

დანიელ დეფო

რობინზონ კრუზო

ნაწილი I

დავიბადე 1632 წელს, ქალაქ იორკში, შეძლებულ ოჯახში. მამაჩემი იქაური არ ყოფილა, ბრემენელი იყო და პირველად ჰულში დასახლებულა. იქ ვაჭრობით კარგა დიდი ქონებაც შეუძენია. ბოლოს, როცა ვაჭრობას თავი ანება, საცხოვრებლად იორკში გადავიდა. შეირთო დედაჩემი, რომლის გვარი - რობინზონი მთელ იმ მხარეში განთქმული იყო. მეც ამიტომ დამარქვეს რობინზონ კრეიციერი; მაგრამ, რაკი ინგლისელებს უცხო სიტყვების დამახინჯება უყვართ, კრუზოს გვიწოდებენ. ჩვენ ასე ვუწოდებთ ხოლმე ჩვენს თავს და ასევე ვწერთ ჩვენს გვარს. ნაცნობებიც კრუზოს მეძახიან.

მყავდა ორი უფროსი ძმა. ერთი - პოდპოლკოვნიკი ფლანდრიაში იყო გამწესებული, ინგლისელების ქვეით პოლკში, და დიუნკერკის ბრძოლაში მოკლეს ესპანელებმა. მეორე ძმისა კი არაფერი ვიცი, ისევე, როგორც ჩემმა მშობლებმა არ იციან, რა გადამხდა თავს.

მე მესამე შვილი ვიყავი და, რაკი ხელობა არ შემასწავლეს, ბავშვობიდან ათასი არეული ფიქრი მიტრიალებდა თავში. მამაჩემი უკვე მოხუცი იყო და სოფლის სკოლის პირობაზე საკმაო განათლება მიმადებინა, უნდოდა ვექილი გავმხდარიყავი; ჩემს გულს კი არაფერი ეკარებოდა, გარდა ზღვაზე მოგზაურობისა.

ისე გამიტაცა ამ ახირებამ, რომ წავედი მამის სურვილის, ბრძანების წინააღმდეგ. არც დედაჩემის მუდარას და მეგობრების თხოვნას ვათხოვე ყური. ალბათ იყო რაღაც საბედისწერო ამ გატაცებაში, რომელსაც ჩემთვის გამზადებული გაწამებული ცხოვრებისაკენ მივყავდი.

მამაჩემმა თავიდანვე განჭვრიტა, რაც მომელოდა. ერთ დილას მიხმო თავის ოთახში, რომელსაც იგი ნეკრესის ქარებმა მიაჯაჭვეს, და გულით მირჩია დავთანხმებოდი. მკითხა, უბრალო ახირების გარდა, რამ მაიძულა დამეტოვებინა სახლი

და სამშობლო. გულაჩუყებული მეხვეწებოდა - თავს გასაჭირში ნუ ჩაიგდებ; ლუკმაპურისთვის ზრუნვა ისედაც არ დაგჭირდება, ყოველ

ღონეს ვიხმარ, რომ მოგიწყო ცხოვრება; მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ: გაფრთხილებ, მაგ ახირებას მოეშვი, რადგან ავის მეტს არას შეგყრის, და თუ მაინც არ დაიშლი, შენს თავს დააბრალო.

ერთი სიტყვით, თუ ჭკუას ვიხმარდი და მისი რჩევისამებრ შინ დავრჩებოდი, ის კეთილი მამა იქნებოდა; ჩემს უბედურებაში კი არ გაერეოდა. ბოლოს ჩემი უფროსი ძმაც მომაგონა, რომელსაც მამა ასევე დაჟინებით ურჩევდა - ნიდერლანდის ომებში ნუ წახვალ, მაგრამ ვერ დააშლევინა. ჭაბუკურმა ოცნებამ გაიტაცა იგი ლაშქრობაში, სადაც მოკლეს კიდევც.

- ჩემი ლოცვა-კურთხევა მაინც არ მოგაკლდება, - განაგრძო მან, - მაგრამ, თუ არ დაიშლი, იცოდე ღმერთის წყალობას ველარ ეღირსები. ბევრს ინანებ, მამას რად არ დავუჭერეო, მაგრამ გვიანდა იქნება, ველარავინ გიშველის.

ბოლო სიტყვები რომ თქვა, რომლებიც მართლაც წინასწარმეტყველური იყო, მამაჩემს ლაპაღუპით ჩამოსცვივდა ცრემლები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი დაღუპული ძმა ახსენა. ხოლო როცა მითხრა - ბევრს ინანებ, მაგრამ ველარავინ გიშველისო, ისე ცუდად შეიქნა, სიტყვა გაუწყდა.

გული ამიჩუყა ამ დარიგებამ. გადავწყვიტე აღარ მეფიქრა მოგზაურობაზე. მაგრამ რამდენიმე დღე გავიდა და ჩემი გადაწყვეტილებაც თან გაიყოლა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, რამდენიმე კვირის შემდეგ განვიზრახე შინიდან გაქცევა. დრო შევარჩიე და, როცა ჩვეულებრივზე უფრო მხიარული მეჩვენა დედაჩემი, ცალკე გავიხმე და ვთხოვე, ურჩიე მამას, ერთი მოგზაურობის ნება დამართოს; თუ არ მომეწონება, დავბრუნდები და პირობას გაძლევთ, ორმაგი გულმოდგინებით ვიმეცადინებ, რომ ეს დაკარგული დრო ავინაზღაურო-მეთქი.

დედაჩემი გაგულისდა. მითხრა, ამაო იქნება მამაშენთან ამაზე ლაპარაკი; მიკვირს, მასთან საუბრის შემდეგ ასეთი რამ

როგორღა წამოგცდა; თუ მაინცდამაინც თავის დაღუპვა გაქვს გადაწყვეტილი, რაღა გვიშველის, მაგრამ იცოდე, რომ ჩვენს თანხმობას ვერ ეღირსები; მე პირადად შენს უბედურებაში ვერ გავერევი და არც იმას გათქმევინებ - მამაჩემი მიშლიდა, მაგრამ დედამ წამაქეზაო.

მე კი მითხრა უარი დედაჩემმა - მამაშენს ვერ ვეტყვიო, მაგრამ შემდეგ გავიგე, თურმე სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა ჩვენი საუბარი. მამაჩემ-

მა თურმე ამოიოხრა და თქვა: შინ რომ დადგებოდეს ეს ბიჭი, შეიძლება ბედნიერებას ეწიოს, მაგრამ, თუ არ დაიშალა და სამოგზაუროდ წავიდა, მაგაზე უბედური კაცი მეორე არ იქნება ქვეყნად; წასვლის ნებას ვერ მივცემო.

მთელი წელიწადი გავიდა, სანამ გაქცევას მოვახერხებდი. მანამდე კი ყურსაც არ ვათხოვებდი მშობლების ჩიჩინს, რაიმე საქმისათვის მომეკიდა ხელი. ხშირად შევდავებივარ კიდეც, როცა დაჟინებით მოითხოვდნენ, აღარ მეფიქრა ჩემს აკვიატებულ გატაცებაზე.

*

ერთ დღეს ჰულში მოვხვდი შემთხვევით. გაპარვას მაშინ არც კი ვაპირებდი. იქ ერთმა ჩემმა ამხანაგმა, რომელიც მამამისის გემით ლონდონში მიდიოდა, შემაგულიანა - შენც წამოდიო. თან მეზღვაურის ჩვეული მოსატყუებელი ხერხიც გაიხსენა - რა გენალვლება, უფასოდ იმგზავრებო. ასე რომ, არც დედას დავეკითხე, არც მამას და 1651 წლის პირველ სექტემბერს ფეხი შევდგი ლონდონისაკენ მიმავალ გემზე.

არა მგონია, სხვა ვინმე ყმაწვილ მოგზაურს ასე უცებ დასტყდომოდეს თავს განსაცდელი და ამდენ ხანს გაგრძელებოდეს, როგორც მე. ჰუმბერს არც კი ვიყავით გაშორებული, რომ ქარი ამოვარდა და ზღვა საშინლად ააღელვა. პირველად ვიყავი ზღვაში და საშინლად შევიქეინი.

მაშინ მივხვდი, რომ სამართლიანად დამსაჯა ზეცამ, რადგან ასე გულქვად დავტოვე სახლი, დავივიწყე შვილის მოვალეობა. მყისვე წარმომიდგა მშობლების დარიგება, მამაჩემის ცრემლები და დედაჩემის ხვეწნა-მუდარა. სინდისი მქენჯნიდა.

ქარიშხალი უფრო გაძლიერდა, ზღვაც უფრო აღელდა. თუმცა ეს იმასთან შედარებით მაინც არაფერი იყო, რაც რამდენიმე დღის შემდეგ ვიხილე. მაგრამ ჩემისთანა გამოუცდელი მეზღვაურის შესაშინებლად, რომელსაც წინათ ამისი მსგავსიც კი არაფერი ენახა, ეგეც კმაროდა. რამდენჯერაც ტალღა მოგვეხეთქებოდა, იმდენი მეგონა, ეს არის ჩაგვყლაპაო, და რამდენჯერაც გემი ჩავარდებოდა ზღვის უფსკრულში, - როგორც მე მაშინ მეჩვენებოდა, - იმდენჯერ იმედს გადავიწყვეტდი - მორჩა, ზევით მეტად ველარ ავალ-მეთქი. მრავალი აღ-

თქმა და ფიცი დავდე, რომ, თუ ღმერთი ინებებდა და ახლა გადამარჩენდა, თუკი კვლავ ველირსებოდი ხმელეთზე ფეხის შედგმას, - პირდაპირ შინ წავიდოდი და ჩემს დღეში გემში აღარ ჩავჯდებოდი; მამის რჩევას მივყვებოდი და ასეთ სივარულაში მეტად აღარ ჩავიგდებოდი თავს.

ეს ბრძნული აზრები მხოლოდ ქარიშხლის ჩადგომამდე გამყვა. მეორე დღეს ქარმა იკლო, დღეღაც დაცხრა და, ასე თუ ისე, მეც შევეჩვიე ზღვას. მაგრამ მთელ დღეს მაინც დაღვრემილი ვიყავი; ზღვის ავადმყოფობა ჯერ კიდევ მაწუხებდა.

ნაშუადღევს გამოიძარა, ქარი სულ მიწყნარდა და მომხიბლავი საღამო დადგა.

იმ ღამეს კარგად გამოვიძინე და ზღვის ავადმყოფობამაც გამიარა. თავს მხნედ ვგრძნობდი, გაცვქეროდი ზღვას და მიკვირდა, გუშინდელს აქეთ ბობოქარი და საშინელი წყალი ასე მალე როგორ დაწყნარდა-მეთქი. ამ დროს, თითქოს განგებო, მომიახლოვდა ჩემი ამხანაგი და მხარზე ხელი დამკრა:

- როგორ ხარ გუშინდელს აქეთ? სანაძლეოს ჩამოვალ, რომ შეგეშინდა, როცა გუშინ ნიავმა წამოუბერა!

- ნიავმაო?! - შევძახე მე, - ეს ხომ საშინელი ქარიშხალი იყო!

- ამას ეძახი ქარიშხალს? - გაიცინა მან, - უბრალო ქარიც კი არ ყოფილა. ეჰ, ერთი კარგი ხომალდი მოგვცა და ამისთანა ქარს ვერც კი შენიშნავდი. მაგრამ შენ ახალგამომცხვარი მეზღვაური ხარ, ბობ. წამოდი, ერთი ფილა პუნში მოვიმზადოთ და ყველაფერი დაგვაფიწყდება. ვერ უყურებ, რა მშვენიერი დარი დადგა?

ამის შემდეგ ჩვენ ნამდვილი მეზღვაურებივით ვიქცევოდით. მოვადულეთ პუნში, შევთვერი და იმ ღამეს უკუღმართობის წუმპეში ჩავახრჩვე მთელი ჩემი სინანული, საღი მოსაზრებანი და მომავლის კეთილგონივრული გეგმები.

ერთი სიტყვით, ჩადგა თუ არა ქარი, დაწყნარდა თუ არა ზღვა, ჩემი აწეწილი ფიქრებიც დაშვიდდა; იმის შიში, რომ ზღვის უფსკრული ჩამყლაპავდა, გადამავიწყდა კიდევ და ძველი ახირების მდინარეს კვლავ გაეხსნა გზა. ლოთობისა და

მეგობრების შემწეობით მალე კისერი მოვუგრიხე ცხელების შემო-

ტევას (ასე შევარქვი იმ ფიქრებს) და ხუთ-ექვს დღეში ბრწყინვალედ გავიმარჯვე ჩემს სინდისზე.

*

მაგრამ ერთი გამოცდა კიდევ მელოდა.

ზღვაში გასვლიდან მეექვსე დღეს იარმაუსს მივაღიქით. ქარიშხლის შემდეგ პირქარი უბერავდა და ჩვენ მძიმედ მივცურავდით. იძულებული გავხდით, ღუზა ჩაგვეშვა. შვიდი-რვა დღე ვიდექით. იარმაუსის მისადგომები მყუდროა, ღუზაც საიმედოდ გვექონდა ჩაშვებული და ჩვენი მეზღვაურები დიდად არ შეშფოთებულან. ისვენებდნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს. მერვე დღით ქარი გაძლიერდა. საჭირო შეიქნა ყველას მიეღო მონაწილეობა იალქნების ჩამოსხნაში, რათა გემი მტკიცედ მდგარიყო. გემმა ძლიერი რყევა დაიწყო.

ქარი ისე გამძვინვარდა, რომ თვით მეზღვაურთა თვალებშიაც შევნიშნე შიში და შეძრწუნება. რამდენჯერმე გავიგონე, კაიუტიდან გამოსულმა კაპიტანმა როგორ ჩაილაპარაკა; „ღმერთო, შეგვიწყალე, გათავდა ჩვენი საქმე, დავიღუპეთ!“

ვიწექი ჩემს კაიუტაში და არც კი ვიცი, რას განვიცდიდი. როდესაც კაპიტნის სიტყვებს მოვკარი ყური - ვიღუპებითო, უარესად შევშინდი. ბოლოს გამოვძვერი ჩემი კაიუტიდან და ზღვას გადავხედე.

ასეთი საშინელი ჩემს დღეში არაფერი მენახა. ზღვის ტალღები მთასავით აიმართებოდა ხოლმე და ყოველ სამ-ოთხ წუთში გვეხეთქებოდა. როცა სული მოვითქვი და მივიხედ-მოვიხედე, ვნახე, რომ ირგვლივ მხოლოდ და მხოლოდ უბედურება გამეფებულიყო. ორი მძიმედ დატვირთული ხომალდისთვის, რომელთაც ჩვენთან ახლოს ჰქონდათ ღუზა ჩაშვებული, ტვირთის შესამსუბუქებლად დაეჭრათ ანძები. ჩვენმა მეზღვაურებმა იყვირეს, ჩვენგან ნახევარ მილში ღუზაჩაშვებული გემი ჩაიძირაო. ორი სხვა გემი ქარიშხალს გაეთაცა და აღელვებულ ზღვაში შეეგდო ბედის ანაბარა; არც ერთ მათგანს არ შერჩენოდა ანძები.

სალამოს თანაშემწე და ბოცმანი კაპიტანს ჩააცივდნენ, წინა ანძა მოვჭრათო, და დაიყოლიეს, რადგან ბოცმანი არწმუნებდა: თუ არ მოვჭერთ, უსათუოდ ჩავიძირებითო. მაგრამ წინა ანძა რომ მოაშორეს, გემმა ისეთი ტორტმანი დაიწყო, იძულებული გახდნენ, უკანაც მოეჭ-

რათ და გემბანი სულმთლად მოეტიტვლებინათ.

უარესი განსაცდელი ჯერ კიდევ წინ იყო. ქარიშხალი გვიტევდა. მეზღვაურებმაც კი აღიარეს, ასეთ საშინელს ჯერ არაფერს შევსწრებივართო. ჩვენი გემი მაგარი იყო, მძიმე ტვირთის გამო ღრმადაც იჯდა წყალში, მაგრამ ისე ტორტმანებდა, რომ მეზღვაურები წამდაუწუმ გაიძახოდნენ - გაჰკრავსო.

ამ სიტყვის მნიშვნელობა არ მესმოდა, რაც კარგიც კი იყო. კაპიტანი, ბოცმანი და რამდენიმე შედარებით გულჩვილი მეზღვაური მუხლმოყრილი ლოცულობდნენ და ყოველ წუთს ელოდნენ ჩაძირვას.

შუადღისას გემის ქვემო ნაწილის დასათვალიერებლად ჩასულმა მეზღვაურმა ამოგვძახა - წყალმა შემოხეთქაო; მეორე მეზღვაურმა კი შეგვატყობინა - წყალი გემში ოთხი ფუტის სიმაღლეზე დგასო. გემის მთელი შემადგენლობა წყლის ამოსახაპად გაგზავნეს. მომჩვენა, თითქოს გული გამეყინა, და მყისვე გულალმა გადავიქეცი საწოლზე. მეზღვაურებმა წამომამყენეს - აქამდე არაფრის მაქნისი იყავი, ახლა კი შენც შეგიძლია სხვებივით ამოხაპო. მეც მაშინვე გავექანე და გულმოდგინედ შევუდექი წყლის ამოხაპვას.

სანამ ჩვენ დაბლა ვმუშაობდით, კაპიტანმა შენიშნა, რომ რამდენიმე პატარა ნახშირის გემი გვიახლოვდებოდა. კაპიტანმა ბრძანება გასცა, ზარბაზანი გაესროლათ. მე არა გამეგებოდა რა მათი ნიშნებისა და ელდა მიეცა: მეგონა, გემი გასკდა-მეთქი. ისე შემეშინდა, გულწასული იქვე გავიშხლართე. ჩემთვის ვიღას სცხელოდა, ყველა იმის ფიქრში იყო, როგორმე თვითონ გადარჩენილიყო, თავიც კი არ შეუწუხებიათ, რა მოუვიდაო. ერთმა მეზღვაურმა ჩემი ადგილი დაიჭირა საქაჩაზზე და დარწმუნებულმა, რომ მე მკვდარი ვიყავი, ფეხით გვერდზე მიმაგდო. დიდი ხანი გავიდა, სანამ გონს მოვიდოდი.

წყალი თანდათან მატულობდა და აშკარა იყო, გემი ჩაიძირებოდა. ქარიშხალი თითქოს ცხრებოდა, მაგრამ ნავსადგურს მაინც ველარ მიალწევდა ჩვენი გემი და კაპიტანიც განაგრძნობდა ზარბაზნის სროლას - შველას ითხოვდა.

ბოლოს ერთმა პატარა გემმა, რომელიც ჩვენ წინ იდგა, გასწირა ნავი და ზღვაში ჩაუშვა. დიდი თავდადებით გვიახლოვდებოდა ნავი, მაგრამ ვერც ჩვენ მოვახერხეთ გადასვლა და ვერც ნავი მოეკარა ჩვენი გემის გვერდს. დიდი ვაი-ვაგლახისა და თავდადების შემდეგ მენავებმა, როგორც იყო, ხელი მოაწვლეს ჩვენგან ნასროლი ბაგირის ბო-

ლოს. ჩვენც მაშინვე მოვითრიეთ ნავი გემის კიჩოსთან და მშვიდობიანად გადავედით.

იმათ გემს ველარ მივალწიეთ, ამის ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ამიტომ შევთანხმდით, ქარის ქროლას მივყოლოდით და, რაც შეიძლებოდა, ნაპირ-ნაპირ გვეცურა. კაპიტანმა მენავეებს აღუთქვა: თუ ნავი ნაპირს მიეხეთქა, ბარალს აგინაზღაურებთო. ნახევრად ქარის შემწეობით, ნახევრად ნიჩბების მოსმით ნელ-ნელა მივუახლოვდით უინტერტონ-ნესის ნაპირს.

თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რაც გემი მივატოვეთ და იგი უკვე ჩაიძირა. პირველად მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა სიტყვები - „გემი გაჰკრავსო“.

მებღვაურები გამწარებით უსვამდნენ ნიჩბებს და ცდილობდნენ ნავი ნაპირისაკენ მიემართათ; როცა ჩვენი ნავი მალლა აზიდულ ტალღებს თავს მოექცეოდა, ხმელეთი გამოჩნდებოდა ხოლმე და ნაპირზე ვხედავდით კარგა ბლომად ხალხს, რომლებიც დიდ ფაციფუსში იყვნენ, აქეთ-იქით დარბოდნენ და ჩვენს მიახლოებას ელოდნენ, რათა დახმარება აღმოეჩინათ. მაგრამ ჩვენ მეტისმეტად ნელა მივიკვლევდით გზას. ბლოს იქ, სადაც ზღვაში შეჭრილი ხმელეთი ნაწილობრივ აოკებს ქარის სიმძაფრეს, რის ვაი-ვაგლახით გავედით ნაპირზე და ფეხით გავუდექით იარმაუთის გზას.

იარმაუთში გულთბილად მიგვიღეს. ქალაქის მესვეურებმა თავშესაფარი მოგვცეს, ხოლო ვაჭრებმა და გემთმფლობელებმა ფული შემოგვწირეს, რითაც თავისუფლად შეგვეძლო ლონდონში ან უკანვე - ჰულში წავსულიყავით.

ტკუა მეხმარა და ჰულში დავბრუნებულიყავი, მართლაც ბედნიერი ვიქნებოდი. მამაჩემი, ბიბლიის იგავისა არ იყოს, ალბათ ზვარაკს დამიკლავდა, რადგან დიდხანს არ გაუვია ჩემი გადარჩენის ამბავი, ის კი მაშინვე შეიტყო, რომ გემი, რომლითაც მე გავემგზავრე, იარმაუთის მისადგომებთან ჩაიძირა.

ჩემი მეგობარი, კაპიტნის შვილი, რომელიც ადრე თვითონვე მაქეზებდა, ახლა ჩემზე უფრო მოტყდა. როცა სალაპარაკოდ შევხვდით ერთმანეთს - ეს კი მოხდა იარმაუთში ჩასვლიდან ორი-სამი დღის შემდეგ, რადგანაც დაგვაშორიშორეს და სხვადასხვა უბანში მიგვიჩინეს ბინა - ნაღვლიანად შემომხედა, თავი გააქნია და მკითხა, როგორ ხარო. მერე მამამისს გააცნო ჩემი თავი და უთხრა: მთელი ქვეყნის მოვ-

ლას აპირებსო. კაპიტანი მომიბრუნდა და სევდიანი, გაწამებული ხმით მითხრა:

- ჭაბუკო, თქვენ არასდროს აღარ უნდა გახვიდეთ ზღვაში. ეს შემთხვევა უნდა მიიღოთ აშკარა გაფრთხილებად, რომ მეზღვაურობა თქვენი საქმე არ არის.

- რათა ბატონო? - ვკითხე მე, - თქვენც აღარ გახვალთ ზღვაში?

- ჩემი საქმე სულ სხვაა. მეზღვაურობა ჩემი ხელობაა და, ამდენად, მოვალეობაც. თქვენ კი საცდელი მოგზაურობისას, ხომ ხედავთ, რა სიმწარე გაგემათ ზეცამ. ეტყობა, თქვენ გამო დაგვატყდა თავს მთელი ეს განსაცდელი, იქნებ ჩვენი გემის იოანე იყავით. მაგრამ ერთი ეს მითხარით: ვინ ხართ, ზღვაში გასვლა რამ გაფიქრებინათ?

მეც მოკლედ ვუამბე ჩემი თავგადასავალი და, როცა დასასრულს მიუუახლოვდი, იგი რაღაც უცნაურმა მღელვარებამ მოიცვა:

- ეს რა მომსვლია! ასეთი ბედუკუდმართი ბიჭი როგორ ამოვუშვი ჩემს გემზე?! ათასი გირვანქა სტერლინგიც რომ მომცენ, იმ გემზე მაინც აღარ დავდგამ ფეხს, სადაც შენ იქნები!.. იცოდეთ, თუ შინ არ დაბრუნდებით, სადაც უნდა წახვიდეთ, უბედურებისა და იმედგაცრუების მეტს ვერაფერს შეხვდებით, სანამ, ბოლოს, მამის სიტყვები არ აგისრულდებათ.

მალე დავშორდით ერთმანეთს, რადგან თითქმის არაფერი მიპასუხია მისთვის, აღარც მინახავს, არც ის ვიცი, საით წავიდა. მე კი ჯიბეში ცოტა ფული მქონდა და ხმელეთით გავწიე ლონდონისაკენ. გზაშიც და ლონდონშიც სულ იმის ფიქრში ვიყავი, რა გზა ამერჩია.

კარგა ხანს ვიჭოჭმანე. არ მინდოდა შინ დაბრუნება. რაც ხანი გადიოდა, განსაცდელიც თანდათან მავიწყდებოდა და ქრებოდა შინ დაბრუნების მცირე სურვილიც. ბოლოს სულ მოვიშორე თავიდან დაბრუნებაზე ფიქრი და ჩავჯექი გემში, რომელიც აფრიკის სანაპიროებისაკენ, ან როგორც მეზღვაურები იტყვიან ხოლმე, გვინეისაკენ მიემართებოდა.

ჩემი უბედურება ის იყო, რომ მთელი ამ თავგადასავალის დროს მეზღვაურად მუშაობა არ დავიწყე; შევეჩვეოდი მეზღვაურის საქმეს და ოდესმე კაპიტანი თუ არა, მისი თანამემძლე მაინც გავხდებოდი. მაგრამ ასე მეწერა, მუდამ უარესი გზა უნდა ამომერჩია ცხოვრებაში; ახლაც

ასე მომივიდა: კარგად მეცვა, ჯიბეში ფული მიჩხრიალებდა და ვამჯობინე, გემზე ბატონივით ვყოფილიყავი. არც ვაკეთებდი რამეს, არც არაფერი შემისწავლია.

ლონდონში კარგ ხალხში მოვხვდი. გავიცანი ერთი გემის კაპიტანი, რომელსაც გვინეის სანაპიროები მოევლო და ისეთ ბედსა სწეოდა, რომ ხელმეორედ გამგზავრებას აპირებდა. როცა გაიგო, მოგზაურობას ვაპირებდი, შემომთავაზა: თუ გამომყვები სამოგზაუროდ, არც არაფერი დაგეხარჯება და ჩემი მეგობარი გახდები, ხოლო თუ რამეს წამოიღებ სავაჭროდ, იქნებ გაგიმართლოს და მთელი მოგება შენი იქნებაო.

მე დავეთანხმე და, რაკი პატიოსანი და უბრალო ადამიანი იყო, დავუმეგობრდი კიდევ. მისივე რჩევით, ვიყიდე უბრალო ჟღარუნა სათამაშოები და სხვა ხარახურა იქ გასაყიდად. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთადერთი მოგზაურობა, როდესაც ბედს ვეწიე. კაპიტნის შემწეობით შევისწავლე მათემატიკა და ნაოსნობის წესები; ვისწავლე, როგორც ჩამეწერა და შეანგარიშა გემის მოძრაობა; ერთი სიტყვით, ყველაფერი, რის ცოდნაც მეზღვაურს გამოადგება. მას სწავლება ჰგვრიდა სიამეს, მე კი - სწავლა. ასე რომ, ამ მგზავრობით ვაჭარიც გავხდი და მეზღვაურიც.

ჩემს ხარახურაში აღებული ოქრო ლონდონში დაბრუნების შემდეგ ფულად ვაქციე და მივიღე სამასამდე გირვანქა სტერლინგი. ამ მოგებამ ისეთი გაბედული ფიქრები შთამბერა, რომელთაც საბოლოოდ დელუპის კარამდე მიმიყვანეს. თუმცა ამ მგზავრობის დროსაც კარგადი გასაჭირი დამადგა - უჩვეულოდ ცხელმა ჰავამ საშინელი ტროპიკული ციებ-ციხელება შემყარა და დიდხანს ვერ გამოვჯანმრთელდი.

ამრიგად, მე გავხდი გვინეელი ვაჭარი. საუბედუროდ, ჩემი მეგობარი კაპიტანი ლონდონში დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა და გადაწყვიტე, მართლ გავმგზავრებულიყავი გვინეაში.

*

იმავე გეგმით გავემგზავრეთ. გარდაცვლილი კაპიტნის ადგილი ეჭირა მის თანაშემწეს, რომელიც პირველ მგზავრობაშიც თან გვახლდა. ამაზე უბედური მგზავრობა ჯერ არ შემხვედრია. მართალია, იმ მოგებიდან 100 გირვანქაც კი არ წამიღია თან (დანარჩენი 200 გირ-

ვანქა და ვუტოვე ჩემი გარდაცვლილი მეგობრის ქვრივს, რომელიც ძალიან სინდისიერი და ერთგული აღმოჩნდა). მგზავრობის დროს საშინელი განსაცდელი დამატყდა თავს.

ერთხელ, გათენებისას, როდესაც ჩვენი გემი უახლოვდებოდა კანარის კუნძულებს, უფრო ზუსტად, აფრიკის სანაპიროსა და კანარის კუნძულებს შორის მიცურავდა, დაგვედევნა იალქნებაშვებული გემი სალხელი ოსმალთა მეკობრისა. ჩვენც ავუშვით იმდენი იალქანი, რამდენსაც ანძები გაუძლებდა, მაგრამ რომ შევნიშნეთ, მოგვედევდნენ, და ალბათ რამდენიმე საათში დაგვეწეოდნენ კიდევ, საბრძოლველად მოვემზადეთ. ჩვენ თორმეტი ზარბაზანი გვექონდა, იმ ყაჩაღს კი - თვრამეტი.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა მეკობრე წამოგვეწია. მაგრამ შეცდომა მოუვიდა და კიჩოდან კი არ მოგვადგა, გვერდზე მოგვაყენა გემი, სადაც ჩვენ მაშინვე რვა ზარბაზანი დავდგივით და დავუშინეთ. იგი მაშინვე გაგვეცალა და ჩვენს ცეცხლს ზარბაზნებითა და ორასი გასროლით უპასუხა. ტყვია არც ერთ ჩვენგანს არ მოხვედრია.

მერე გემის მეორე გვერდიდან მოგვადგა და ჩვენს გემბანზე გადმოსხა სამოცი კაცი, რომლებიც ანძებსა და იალქნებს მისცვივდნენ და ჩეხვა და გლეჯა დაუწყეს. ჩვენ დავერიეთ თოფებით, ხელშუბებითა და სხვა იარაღებით და ორჯერ გავწმინდეთ მათგან გემის ბაქანი, მაგრამ მალე იძულებული გავხდით დავმორჩილებოდით, რადგანაც გემი ძლიერ დაგვიზიანდა. თანაც სამი კაცი მოგვიკლეს, ხოლო რვა დაგვიჭრეს. შეგვიპყრეს და მავრების ნავსადგურში - სალესში წაგვასხეს.

არც ისე საშინლად მომეპყრნენ, როგორც მოველოდი. სხვები სულთნის კარზე გარეკეს, ნაპირიდან მოშორებით, მე კი გემის კაპიტანმა - მეკობრემ თავისთან დამიტოვა, როგორც თავისი მონა და საკუთრება, რადგან ჭაბუკი და მარდი ვიყავი და უფრო გამოვადგებოდი. ჩემი მდგომარეობის ამ საშინელმა ცვლილებამ მიწასთან გამასწორა. მომაგონდა მამაჩემის წინასწარმეტყველური სიტყვები - შავ ღლეში ჩავარდები და მხსნელი არავინ იქნებაო. რა ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ შესავალი იყო იმ დიდი უბედურებისა, რომელიც მელოდა.

ჯერ იმედი მქონდა, რომ, რაკი ჩემმა პატრონმა თავის სახლში მიმიყვანა, მეორედ გამგზავრების დროს თან წამიყვანდა, ზღვაში კი ესპანელი ან პორტუგალიელი მეომრები შეიპყრობდნენ და მეც თავისუფლებას ვეწეოდი. ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ იმედი მალე გამიცრუვდა: ის გაემგზავრა, მე კი შინ დამიტოვა პატარა ბა-

ღის მოსავლელად, ხოლო, ნაოსნობიდან რომ დაბრუნდა, მიბრძანა კაიუტაში დავბრუნებულიყავი და გემისათვის მედევენებინა თვალყური.

გაქცევაზე ფიქრი თავიდან არა მშორდებოდა. სულ იმას ვოცნებობდი, როგორ მომეხერხებინა ეს, მაგრამ გზა ვერ გამოვნახე. სავსებით უთვისტომო ვიყავი.

გავიდა ორი წელი და ერთმა უცნაურმა შემთხვევამ ისევ გამიცოცხლა გაქცევისა და თავისუფლების იმედი. გადაწყვიტე, კვლავ მეცადა ბედი. ერთხელ ჩემი ბატონი, - როგორც გავიგე, უფულობის გამო, - ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს დაყოვნდა სახლში. გამოივლიდა ხოლმე კვირაში ერთი-ორჯერ, ხოლო, თუ კარგი დარი იდგა, ნავებს მოხსნიდა და სათევზაოდ გადიოდა. ნიჩბების მოსასმელად თან გაგვიყოლებდა ხოლმე მე და ერთ მავრის ბიჭს - მარესკოს. ჩვენ კარგად ვართობდით ბატონს და თევზის ჭერაშიაც ისეთი მოხერხება და უნარი გამოვიჩინეთ, რომ ზოგჯერ მარტო მე და იმ მარესკოს გვგზავნიდა სათევზაოდ, თან სათვალთვალოდ თავისსავე ნათესავ მავრს გაგვაყოლებდა ხოლმე.

ერთ მშვენიერ დილას, გავედით თუ არა სათევზაოდ, ისეთი ნისლი ჩამოწვა ზღვაზე, რომ მალე ნაპირიც დავკარგეთ

თვალთვან. მთელი დღე-ღამე ვუსვამდით ნიჩბებს ისე, რომ არ ვიცოდით, სად ვიყავით ან საით მივცურავდით. მეორე დილით გამოირკვა, რომ ნაპირისკენ ცურვის მაგივრად, თურმე საწინააღმდეგო მიმართულებით გავცურეთ და ხმელეთს კარგად დავშორდით. რის ვაივავგლახით მაინც მოვახერხეთ შინ დაბრუნება.

ამ გაჭირვებამ ჭკუა ასწავლა ჩემს ბატონს. გადაწყვიტა, სხვა დროს უფრო ფრთხილად ყოფილიყო და უკომპასოდ და უსაგზლოდ აღარ გასულიყო სათევზაოდ. მან უბრძანა ინგლისელ მონა-დურგალს, რომ კატარღაზე, რომელიც ადრე ჩვენს გემზე იყო და ჩვენი შეპყრობის შემდეგ მეკობრემ მიითვისა, პატარა კაიუტა დაეშენებინა, რომლის უკანაც ერთი მესაჭის ადგილი იქნებოდა, ხოლო წინ ორი კაცი მოთავსდებოდა იალქნების გასაშლელად და სამართავად. კაიუტა კოპწია და მყუდრო იყო. თვით მეკობრეს გარდა, შიგ მოთავსდებოდა ერთი-ორი მონა, სასადილო მაგიდა და პატარა კარადები - მისი საყვარელი სასმელით სავსე ბოთლების, პურის, ბრინჯისა და ყავისთვის.

ხშირად დავდიოდით თევზის საჭერად ამ ნავით. ერთხელაც თან ორი-სამი იქაური წარჩინებული მავრი უნდა ხლებოდა და მათ პატივ-

საცემად ბატონმა განსაკუთრებული თადარიგი დაიჭირა: წინა ღამითვე გაგზავნა ნავზე ერთიორად მომეტებული საგზალი, მე კი მიბრძანა სამი თოფი მომემზადებინა თავისი ტყვია-წამლით, რადგან თევზაობასთან ერთად ფრინველებზეც უნდა ენადირათ.

ყველაფერი შევასრულე, რაც კი ნაბრძანები მქონდა, ნავიც კარგად მოვრეცხე და მეკობრის ალაშიც გამოვკიდე. მეორე დილით ბატონსა და მის მეგობრებს ველოდით, მაგრამ ბატონი მარტოკა მოვიდა და გამომიცხადა, სტუმრებმა წასვლა გადადესო, მე კი მიბრძანა, ბიჭთან და მეთვალყურე მავრთან ერთად წავსულიყავი სათევზაოდ, რადგან მეგობრები ვახშმად უნდა სწვეოდნენ შინ. მითხრა, ცოტაოდენ თევზს რომ შეაგროვებ, მაშინვე ამომიტანეო.

გაქცევის ფიქრმა კვლავ გამიელვა თავში, რადგან ახლა ჩემს განკარგულებაში იყო პატარა გემივით მოწყობილი ნავი. მიეფარა თუ არა თვალს ჩემი ბატონი, მყისვე შევუდექი არა თევზაობის, არამედ შორი მგზავრობის თადარიგს. მართალია, არ ვიცოდი, რა მიმართულებით უნდა წავსულიყავი, მაგრამ სულერთი იყო, ოღონდ კი იქაურობას გავცლოდი.

ჩემი უპირველესი საზრუნავი იყო, როგორმე დამერწმუნებინა მეთვალყურე მავრი, რომ ჩვენთვის საჭირო იქნებოდა საგზლის მომარაგება. ვუთხარი, რომ ვერ გავკადნიერდებოდი და ბატონის პურს ვერ შევჭამდი.

ისიც დამეთანხმა და მაშინვე მოიტანა ნავზე ორცხოვობილათი სავსე დიდი კალათი და სამი დოქი წყაროს წყალი. მე ვიცოდი, სად ინახავდა ჩემი ბატონი ღვინის ბოთლებით სავსე კიდობანს, რომელიც, როგორც იარლიყიდან ჩანდა, ინგლისური გემებიდან იყო მოტაცებული. როგორც კი დრო ვიხელთე, ეს კიდობანიც შეუმჩნეველად ნავში გადავიტანე. მოვიმარაგე აგრეთვე დიდი ნაჭერი ცვილის სანთლების ჩამოსაქნელად, დიდი აცმა კანაფი, ნაჯახი, ხერხი და ჩაქუჩი, რადგან ესენი უსათუოდ დამჭირდებოდა. კიდევ ერთი ოინი მოვიგონე და ამაშიაც მოტყუვდა მიამიტი მავრი.

- მოლი, ჩვენი ბატონის თოფები ნავში აწყვია, მოდი, ცოტაოდენი ტყვია-წამალიც მოიტანე, იქნებ ჩვენთვის ალკაპი მოვკლათ (ღალღის მაგვარი ფრინველი). ვიცი, რომ გემზე ინახავს ბატონი ტყვია-წამალს-მეთქი.

- კარგი, ახლავე მოვიტანო, - დამეთანხმა და მართლაც გადმოიტა-

ნა გემიდან დიდი ტყავის ქისა, რომელშიც, სულ ცოტა, გირვანქა-ნახევარი დენთი მაინც იქნებოდა. მეორე ქისაში ხუთი-ექვსი გირვანქა საფანტი და ცოტაოდენი ტყვია იყო.

ამრიგად, ყველა საჭირო ნივთით მომარაგებულმა ნავსადგური დავტოვეთ და ზღვაში გავედით. სათვალთვალ კოშკში, რომელიც ნავსადგურის მისასვლელში დგას, გვიცნობდნენ და ყურადღებაც კი არ მოუქცევიათ. ერთი მილი რომ გავცურეთ, იალქნები ავუშვით და თევზაობას შევუდექით, მაგრამ ვერაფერი დავიჭირეთ, რადგან ანკესს რომ მოედებოდა თევზი, განგებ არ ამოვადებდი ხოლმე, რომ მავრს არ შეენიშნა. ბოლოს ვუთხარი:

- აქ ვერაფერს გავხდებით, ვერ ვასიამოვნებთ ბატონს ასე, ცოტა უფრო იქით გავცუროთ.

ექვმიუტანლად დამეთანხმა და იალქნები აუშვა. მე საჭეს მივუჯექი და კიდევ უფრო შორს რომ შევაცურე ნავი, შევჩერდი, თითქოს სათევზაოდ მოვემზადე. საჭესთან ბიჭი დავსვი, მე კი მავრს მივუახლოვდი და მის უკან დავიხარე, თითქოს რაღაცას ვეძებდი. მერე ვტაცე ხელი და ზღვაში ჩავუშვი. მაშინვე ამოყვინთა, რადგან საცობივით ცურავდა, და ყვირილი მორთო; მემუდარებოდა მიშველეო, ოღონდ კი ამომიყვანე და თუნდა ქვეყნის დასალიერამდე გამოგყვებით. მაშინვე გამოვიტანე კაიუტიდან თოფი, დავუმიზნე და შევძახე:

- კარგი მცურავი ხარ და ხმელეთს ადვილად მიაღწევ. ხომ ხედავ, რა წყნარი ზღვაა. ნაპირზე დაბრუნდი და ხელსაც არ გახლებ, მაგრამ, თუ არ დაიშლი და ნავს მოუახლოვდები, იცოდე, ტყვიას თავში დაგახელი.

რალა გზა ჰქონდა, მიბრუნდა და ნაპირისაკენ მოუსვა. დარწმუნებული ვარ, არც გაუჭირდებოდა ნაპირამდე მიღწევა, რადგან კარგი მოცურავე იყო

შემეძლო მავრი ჩემთან დამეტოვებინა და ბიჭი დამეხრჩო, მაგრამ ეს ძნელი გასაბედავი იყო, რადგან მისი ნდობა არ შეიძლებოდა. მავრი რომ გატრიალდა, მე ბიჭს მივუბრუნდი.

- ქსური, ჩემი ერთგული თუ იქნები, ბედს გწევ, მაგრამ, თუ ახლავე სახეზე არ ჩამოისვამ ხელს ერთგულების ნიშნად (ასე იფიცებენ ისინი მაჰმადსა და მამამისის წვერს), იცოდე, შენც ზღვაში გადაგადგებ.

ბიჭმა სახეში შემომცინა და ისე გულმართლად შემომფიცა. არ შეიძლებოდა, არ დამეჯერებინა.

სანამ თვალს მიეფარებოდა მავრი, მე გაშლილ ზღვაში ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ვმართავდი ნავს, რათა ეფიქრათ, რომ გიბრალტარისაკენ მივცურავდი, მაგრამ ცოტათი შებინდდა თუ არა, მაშინვე გეზი ვიცვალე და

სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მივმართე ნავი. ზომიერი ქარისა და წყნარი ზღვის წყალობით ისე სწრაფად ვიარეთ, რომ მეორე დღის სამი საათისთვის სულთნის სამფლობელოებიც კი შორს გვექონდა მოტოვებული და ალბათ სხვა მეზობელი მეფეებისაც, რადგან ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო.

ისე დაშინებული ვყავდი მავრებს, ისე მეშინოდა ხელახლა არ ჩავვარდნოდი მათ ხელში, რომ ვამჯობინე შეუჩერებელივ, ღუზის ჩაუშვებლად მევლო. გავბედე და გადავწყვიტე, ხმელეთზე გავსულიყავი, ღუზა იქვე პატარა მდინარეში ჩამეშვა, რომელიც ზღვას ერთვოდა; თუმცა არც ის ვიცოდი, რა მდინარე იყო ეს, და არც ის, თუ სად ვიყავით, რომელ განედზე, რა ქვეყანასა და რა ხალხში.

ნაპირზე არავინ ჩანდა და არც მინდოდა ვინმე გამოჩენილიყო. ახლა ყველაზე უფრო მჭირდებოდა სასმელი წყალი. გადავწყვიტეთ, დაბნელდებოდა თუ არა, ხმელეთზე გავსულიყავით და ადგილმდებარეობა გამოგვერკვია. მაგრამ შებინდდა თუ არა, ისეთი შემადრწუნებელი ხმაური, ყეფა, ღრიალი და ყმუილი გაისმა, რომ საბრალო ბიჭს შიშით გული კინალამ გაუსკდა. მემუდარა, დილაამდე ნაპირზე ნუ გადავაღლოთ.

- კარგი, ქსური, ასე იყოს, დილაამდე დავიცადოთ, - ვუთხარი მე, - მაგრამ ვაითუ ამ ლომებზე უფრო საშინელი ადამიანები შეგვხვდნენ ხვალ!

- ვესროლოთ და გავაქცევთ, - ღიმილით მითხრა ქსურიმ.

ასეთი ლაპარაკი ქსურიმ მონა-ინგლისელებისაგან ისწავლა. გამიხარდა, რომ ბიჭუნა კარგ გუნებაზე იყო და კიდევ უფრო რომ გამემხიარულებინა, ჩენი მეკობრის ღვინო დავალევი. ჩავუშვი წყალში ჩვენი პატარა ღუზა და გათენების მოლოდინში, უხმოდ ვიყავით. უხმოდ ვიყავით-მეთქი ვამბობ, რადგან იმ ღამეს ჩვენს თვალებს ძილი არ მიჰკარებია:

ორი-სამი საათის შემდეგ უცებ რაღაც უშველებელი მხეცები მოადგნენ ნაპირს და დგაფუნით გადმოეშვნენ წყალში, ალბათ გასაგრილებლად. ატყდა ისეთი ჯოჯოხეთური კნავილი და ღმუილი, რომლის მსგავსი ჩემს დღეში არა გამეგონა რა.

ორივე შეგვაძრწუნა ამ ღმუილმა. ხოლო როცა შევნიშნეთ, როგორ მოდგაფუნობდა ჩვენი ნავისკენ ერთი ვეება მხეცი, შიში კიდევ უფრო გაგვიძლიერდა. სიბნელეში ვერ ვხედავდით მას, მაგრამ ქსუტუნსა და ქშენაზე ეტყობოდა, რომ უზარმაზარი და საშინლად ავი უნდა ყოფილიყო. ქსური მარწმუნებდა, ლომიაო.

ადვილი შესაძლებელია, მართლა ლომი ყოფილიყო. საბრალო ქსური შემომბლაოდა, ღუზა ამოვიღოთ და გავეცალოთო.

- არა, ქსური, - ვუთხარი მე, - ღუზა რად უნდა ამოვიღოთ, სჯობს, თოკი დავაგრძელოთ და ზღვის სიღრმეში შევიდეთ, შორს აღარ გამოგვდევნ მხეცები.

ჯერ სიტყვა არც კი დამემთავრებინა, რომ შევნიშნე, ის საშინელი მხეცი ორიოდ ნაბიჯზე მოუახლოვდა ჩვენს ნავს. ჯერ გავშეშდი, მაგრამ მალევე მოვედი გონს, კაიუტაში შევვარდი, თოფი გამოვიტანე და მხეცს დავახალე. მხეცი მყისვე შეტრიალდა და ნაპირისკენ გაცურა.

არა ძალას არ შეუძლია გადმოგცეთ ის შემადრწუნებელი ხმაური, ის ჯოჯოხეთური ღრიალი და ყმუილი, რომელიც თოფის გასროლისთანავე ატყდა როგორც იქვე, ნაპირზე, ისე შორს, ხმელეთის სიღრმეშიც. აშკარა იყო, თოფის ხმა ამ მხეცებს პირველად ესმოდათ. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ღამით ხმელეთზე გასვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ასე იყო თუ ისე, სხვა გზა არა გვექონდა, ნაპირზე უნდა გადავსულიყავით და წყალი მოგვემარაგებინა, რადგან ნავში უკვე

ერთი ყლუპიც აღარ დავგრჩა. ახლა ისღა უნდა გვეფიქრა, როდის და სად გვეშოვა წყალი. ქსურიმ მთხოვა, თუ გამიშვებ, დოქს წავიღებ, ნაპირზე გავალ, წყალს მოვნახავ და მოვიტანო.

„შენ რატომ უნდა წახვიდე-მეთქი, - ვკითხე.

- ველური ადამიანი თუ შემომეყარა, მე შემჭამს, თქვენი კი გზა განაგრძეთ, - ისეთი გრძნობით მიპასუხა ბიჭუნამ, რომ სამუდამოდ მონადირა ჩემი გული.

- არა, ქსური - ვუთხარი მე, - სჯობს, ორივენი წავიდეთ. ველური ადამიანები თუ შემოგვხვდებიან, დავხოცავთ. ვერც ერთს ვერ შეგვჭამენ.

ორცხობილა მივეცი და ცოტა ღვინოც დავალევი, შემდეგ ნავი რამდენადაც შეიძლებოდა ნაპირთან ახლო მივაცურეთ, ხელში თითო თოფი და თითო დოქი ავიღეთ და ხმელეთზე გადავედით.

ვცდილობდი, დიდად არ დავშორებოდი ნავს. ქსურიმ ერთი მილის მოშორებით ჩავარდნილი ადგილი შენიშნა და იქით გაიქცა. ცოტა ხანს შემდეგ შევნიშნე, რომ იგი უკანვე გამორბოდა. მისაშველებლად გავიქეცი, მაგრამ რომ მივუახლოვდი, შევნიშნე, მხარზე თავისივე მოკლული რაღაც უცნაური ცხოველი გადაეკიდებინა, კურდღლის მსგავსი, ოღონდ სხვა ფერისა და უფრო გრძელფეხება. ამან დიდად გაგვახარა, გემრიელი ხორცი აღმოაჩნდა.

ბოლოს გასამგზავრებლად მოვემზადეთ. აქ არსად შევხვედრივართ ადამიანის ნაკვალევს.

ჩემი გამონაგარიშებით, ჩვენ ახლა ვიმყოფებოდით მაროკოს სულთნის სამფლობელოსა და ზანგთა მიწებს შორის. ეს

ადგილები უკაცურია, მხოლოდ მხეცები დათარეშობენ. ოდესღაც ზანგები ბინადრობდნენ აქ, მაგრამ შემდეგ მავრების შიშით აიყარნენ და სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს. მავრებმაც ბინადრობისთვის არახელსაყრელად მიიჩნიეს ეს მწირი ადგილები და მიატოვეს. ალბათ, ზანგებიცა და მავრებიც დაათრთხო მძვინვარე მხეცების საოცარმა სიმრავლემ.

ორჯერ მომეჩვენა დღისით, თითქოს ტენერიფის წვერსა ვხედავდი, რომელიც უმაღლეს მწვერვალად ითვლებოდა კანარის კუნძულებზე. ვცადე კიდევ იქით მიმემართა ნავი, იმედი მქონდა, მივალწევდი, მაგრამ პირქარი გვიბერავდა, თანაც საშიში იყო დიდ ტალღებში ჩემი პატარა ნავის შეცურება. ასე რომ, იძულებული გავხდი, კვლავ ნაპირის გასწვრივ მეცურა და ჩემს პირველ გეგმას მივყოლოდი.

პირველი გაჩერების შემდეგ რამდენჯერმე გავედით ხმელეთზე სასმელი წყლის მოსამარაგებლად. ერთ დილას ვარგა მაღლა ამართულ კონცხს ამოვეფარეთ და ნაპირზე გასარიყად სრულ მოქცევას დაველოდეთ. ქსურიმ, რომელსაც ჩემზე უფრო მახვილი თვალი ჰქონდა, ჩუმად მომიხმო და გამომიცხადა, სჯობს აქაურობას გავეცალოთ.

- შეხედეთ, - განაგრძო მან, - იმ გორაკზე საშინელ ურჩხულს სძინავს.

გავიხედე და მართლაც რაღაც შიშისმომგვრელი ურჩხული დავინახე - ვეება, საშინელი ლომი, რომელიც ზემოდან წამოშვერილ ბორცვის ჩრდილს შეჭფარებოდა და ეძინა.

- ქსური, ნაპირზე უნდა გახვიდე და მოკლა.

- მე მოვკლავ, ის გადაყლაპავს მეს (უნდოდა ეთქვა - გადამყლაპავსო) - შიშით გადმომხედა ქსურიმ.

არაფერი მიპასუხია ბიჭუნასათვის. ვანიშნე, დაწოლილიყო. სამი დიდი თოფი გამოვარჩიე და ტყვიებით გავტენე. ჯერ ლომის თავი ამოვიღე მიზანში და კარგად დამიზნების შემდეგ ვესროლე, მაგრამ მხეცი უცნაურად იწვა - ცალ თათს თითქოს ცხვირზე იფარებდა. ტყვია სწორედ ამ ფეხში მოხვდა და ძვალი დაუჩეჩქვა. იგი უცებ წამოვარდა ღრი-აღით, მაგრამ მომტვრეულ თათში ტკივილი იგრძნო და ისევ მიწას განერთხა. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, რომ თავში ვერ მოვახვედრე. მაშინვე მეორე თოფს ვტაცე ხელი და მეორედ ვესროლე. სიხარულით დავინახე, როგორ აფართხალდა მხეცი. ქსურიმ გული გაიმაგრა და ნებართვა მთხოვა, წყალზე წავალო. თავი დავუქნიე და ისიც მაშინვე გადახტა წყალში. ცალ ხელში პატარა თოფი ეჭირა, ხოლო მეორეს სწრაფად უსვამდა და ნაპირისაკენ მიცურავდა. მხეცს რომ მიუახლოვდა, თავში დაახალა და მოულო კიდევ ბოლო.

ეს, რა თქმა უნდა, კარგი ნადირობა იყო, მაგრამ ლომის ხორცი საჭმელად უვარგისია და დამენანა კიდევ გამოუსადეგარ მხეცზე ფუჭად დაკარგული დენთი და სამი ტყვია.

უცებ გამიელვა, ლომის ტყავი როდესმე გამოგვადგება-მეთქი, და გადავწყვიტე, ტყავი გამეძრო. ბევრი არაფერი გამეგებოდა. ქსური უფრო დახელოვნებული გამოდგა. მთელ დღეს მოვუნდით ამ საქმეს. სამაგიეროდ, გავხადეთ ტყავი, ჩემს კაიუტაზე გავფინეთ და ორ დღეში მზემ მშვენვირად გამოაშრო. მერე ვწვებოდი ხოლმე მასზე.

შემდეგ გეზი ვიცვალეთ და მთელი ათი-თორმეტი დღე სამხრეთით მივცურავდით. თან, რაც შეიძლებოდა, ვიზოგავდით სურსათის მარაგს, რომელიც ისედაც ძლიერ შეგვიმცირდა. ნაპირზე მხოლოდ სასმელი წყლისთვის გადავდიოდით. ჩემი მიზანი იყო, მწვანე კონცხთან ახლოს მივსულიყავი. ვიცოდი, გვინებაში, ბრაზილიასა და აღმოსავ-

ლეთ ინდოეთისაკენ მიმავალ ყველა ევროპულ გემს მწვანე კონცხთან უნდა ჩაეწვლო, ამიტომ ჩემი ბედი მხოლოდ ამაზე მქონდა დამყარებული: ან შევხვდებოდი რომელიმე გემს, ან დავიღუპებოდი.

კიდევ ათი დღე გავიდა. ორ-სამ ადგილას შევნიშნეთ ნაპირზე ხალხი, იდგნენ და ჩვენ შემოგვცქეროდნენ. შავკანიანები იყვნენ, მთლად დედიშობილანი.

ნავი ნაპირთან მივაცურე, რომ გამოვლაპარაკებოდი, და ისინიც კარგა ხანს მოძუნძულდნენ ნაპირის გასწვრივ, ჩვენს ნავს მოსდევდნენ. უცებ შევნიშნე, მათგან მხოლოდ ერთი იყო შეიარაღებული - კარგა გრძელი ჯოხი ეჭირა ხელში. ქსურიმ ამიხსნა, - ეს შუბია და ისინი შორიდანაც მიზანს კარგად ახვედრებენო. მაშინ ცოტა უფრო შორს შევედი ზღვაში, მაგრამ ნიშნებით მათთან საუბარს, როგორც შემეძლო, მაინც განვაგრძობდი. განსაკუთრებით ვცდილობდი მიმეხვედრებინა, რომ რაიმე საჭმელი გვინდოდა. მათაც მანიშნეს, ნავი დააყენე და საჭმელს მოგიტანთო.

ხალხის ჯგუფს ორი შავკანიანი გამოეყო და სოფლისაკენ მოკურცხლა. არ გასულა ნახევარი საათი, რომ ისინი დაბრუნდნენ ორი ნაჭერი გამომხმარი ხორციითა და მარცვლეულით. ჩვენ ვერც ხორცი ვიცანით და ვერც მარცვლეული, მაგრამ მაინც გაგვიხარდა და გადაწყვიტეთ აგვეღო, მაგრამ რაკი ერთმანეთისა გვეშინოდა, სანოვავე ნაპირზე დააწყვეს და მოშორებით დადგნენ, სანამ ჩვენს სურსათს ნავში გადავიტანდით. მერე ისევ მოგვიახლოვდნენ.

ნიშნებით მადლობა გადაუხადეთ შორიდან, რადგან ისეთი არა გაგვაჩნდა რა, რომ სამაგიერო მიგვეზღო. თუმცა მაშინვე მოგვეცა კარგი საშუალება, რომ მათთვისაც გაგვეწია დახმარება.

ჯერ ნაპირს არც კი მოვშორებოდით, რომ უცებ ორი ვეება მხეცი მთიდან პირდაპირ ზღვისკენ დაეშვა. როგორც შევატყვეთ, ერთი მხეცი მეორეს მოსდევდა. არ ვიცი, მამალი მოსდევდა დედალს, თამაშობდნენ თუ მართლაც გამძვინვარებულნი იყვნენ, მაგრამ ველურებს, განსაკუთრებით ქალებს, მხეცების დანახვაზე თავზარი დაეცათ. ყველამ მოკურცხლა შუბიანის გარდა.

მაგრამ მხეცები პირდაპირ ზღვაში შედგაფუნდნენ და ერთმა მათგანმა პირდაპირ ჩვენი ნავისკენ გამოსწია. მე უკვე მზად მქონდა კარგად გატენილი ერთი თოფი, ხოლო დანარჩენ ორს ქსური ამზადებდა. როცა საკმაოდ მომიახლოვდა, ვესროლე და შიგ თავში მოვარტყი.

ვერ აგიწერთ, თოფის ხმაზე როგორ შეშინდნენ საბრალლო ველურები, ზოგი მკვდარივით განერთხო მიწაზე. მაგრამ როცა დაინახეს, როგორ მოკვდა მხეცი, როგორ ჩაიძირა წყალში, თან რაკი მეც ვანიშნე - მოდით-მეთქი, გული მოიცეს, ნაპირს მოუახლოვდნენ და მხეცის ძებნას შეუდგნენ.

მხეცს მივაგენი წითლად შეღებილი წყლის მიხედვით, შემოვახვიე თოკი და ბანგებს ვანიშნე, ნაპირზე გაეთრიათ. რალაც უცხო ჯიშის მშვენიერი ავაზა აღმოჩნდა. აღტაცებულმა ბანგებმა გაკვირვების ნიშნად ხელები ალაპყრეს - ვერ მიმხვდარიყვნენ, რით მოვკალი ეს ნადირი.

მორეც ცხოველმა სროლის ხმაზე პირდაპირ იმ მთებისკენ მოკურცხლა. შორიდან ვერ გავარჩიე, რა მხეცი იყო.

რომ შევატყვე, ბანგებს ნერწყვი მოადგათ ავაზის ხორცის ნდომით, ვანიშნე ჭამეთ-მეთქი, და ისინიც მაშინვე შეუდგნენ საქმეს. დანები არ ჰქონდათ, მაგრამ წამახვილებული ჯოხებით სწრაფად და მარჯვედ გაატყავეს. შემომთავაზეს ხორცი, მაგრამ ვანიშნე, მხოლოდ ტყავი მომეცით-მეთქი. სიამოვნებით დამითმეს. თან დამატებით სანოვაგეც მოგვიტანეს, მაგრამ ვერ გამოვიცანი, რა საკვები იყო. ბოლოს ავიღე ერთი ჩაფი და გადმოვაპირქვავე - მივახვედრე, რომ ცარიელი იყო და გავსებას ვითხოვდი. მაშინვე გადასძახეს რალაც თავისიანებს. გამოჩნდა ორი ქალი თიხის დიდი ჭურჭლით. მოიტანეს და წინანდებურად ნაპირზე დადეს. მე ქსური გავგზავნე და სამივე ჩაფი გავავსებინე. ქალებიც კაცებივით დედიშობილანი იყვნენ.

ამრიგად, მოვიმარაგე მარცვლეული, წყალი, გამოვეთხოვე ჩვენდამი კეთილგანწყობილ ველურებსა და გზას გავუდექი. მთელი თერთმეტი დღე ისე ვიცურეთ, ერთხელაც არ შემიხვევია ნაპირისაკენ. ბოლოს, ზღვაში კარგად შეჭრილ ხმელეთს მოვკარი თვალი. წყნარი ზღვა იყო და მეც გავბედე სიღრმეში შესვლა. კიდევ უფრო რომ მივუახლოვდი, ხმელეთი თითქოს გაორდა და საპირისპირო მხარესაც გარკვევით გამოჩნდა მიწა. მაშინ დავასკვენი, და მართებულადაც, რომ

ზღვაში შეჭრილი ხმელეთი მწვანე კონცხი იყო, ხოლო იმის გადაღმა მდებარე მიწა - ერთ-ერთი იმ მრავალთაგან, რომელთაც აგრეთვე მწვანე კონცხის კუნძულები ჰქვია. ეს მიწები ისე შორს იყო ზღვაში შეჭრილი, პირქარს რომ დაეებრა, ვერც ერთს მივალწევდი და ვერც მეორეს.

*

საგონებელში ჩავვარდი. საჭესთან ქსური დავტოვე, მე კი შევედი ჩემს კაიუტაში, ჩამოვჯექი და დავიწყე ფიქრი.

- გემი, ბატონო, იალქნიანი გემი! - მომესმა უცებ ქსურის ხმა.

სულელი ბიჭი შიშით ლამის ტკუიდან შეიშალა; იფიქრა, ჩვენი ბატონის მდევრები იქნებიანო, თუმცა მე ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ უკვე სამშვიდობოს ვიყავით გასული და ისინი ველარ მოგვეწოდნენ. მაშინვე გარეთ გავვარდი და გემი დავინახე. ისიც კი გავარჩიე, რომ გემი პორტუგალიური იყო. სულაც არ აპირებდა ნაპირისაკენ გემის აღებას. მაშინ ყველა იალქანი ავუშვი და, რაც შეიძლებოდა, შორს შევცურე ზღვაში, რათა როგორმე ხმა მიმეწვდინა.

თუმცა, მივხვდი, რომ როგორც უნდა მეცადა დაწევა, ისინი გამასწრებდნენ და ნიშნის მიცემას ვერ მოვახერხებდი. ის იყო, იმედი გადამეკარგა, რამდენიმე იალქანი დაუშვეს, სვლა შეანელეს და ჩემს მიახლოებას დაელოდნენ.

ამან ძალიან გამამხნევა. იქვე ჩემი ძველი ბატონის დროშა მქონდა, მყისვე გამოვიტანე და გასაჭირის ნიშნად დავხარე, ყოველი შემთხვევისათვის თოფიც გავისროლე - ერთ-ერთს მაინც შენიშნავენ-მეთქი. მერე გავიგე - კვამლი შეუნიშნავთ, გასროლის ხმა კი ვერ გაეგონათ. დაახლოებით სამი საათის მერე გემს მივადექით.

ვინაობა გამომკითხეს ჯერ პორტუგალიურად, მერე ესპანურად, ბოლოს ფრანგულად; მაგრამ მე ამ ენებისა ინჩიბინჩი არ მესმოდა. ბოლოს გემზე ერთი შოტლანდიელი აღმოჩნდა და ინგლისურად შემეხმინა. მეც ვუპასუხე, ინგლისელი ვარ და სალფხიდან მავრებს გამოვექეცი-მეთქი. მაშინ დიდი თავაზით მომცეს ნება გემზე გადავსულიყავი ჩემი თანამგზავრითა და მთელი ჩემი ავლადიდებით.

გახარებულმა, რაც კი მეხადა, ყველაფერი გემის კაპიტანს შევთავაზე გათავისუფლების ჯილდოდ. მაგრამ მან დიდსულოვნება გამოიჩინა და არაფერი მიიღო; მითხრა, ბრაზილიაში ჩასვლის შემდეგ ყველაფერს უკანვე დაგიბრუნებთო.

მარტო სიტყვით როდი მოიღო კაპიტანმა წყალობა, საქმითაც იგივე დაამტკიცა. თავის მეზღვაურებს უბრძანა, ჩემი ნივთებისათვის ხელი

არ ეხლოთ, შეაკვრევინა ყველაფერი ერთად და ნივთების სრული სია გადმომცა იმის ნიშნად, რომ ბრაზილიაში ჩასვლის შემდეგ ყველაფერს დამიბრუნებდა.

რაც შეეხება ჩვენს ნავს, ის მართლაც რომ კარგი რამ იყო, კაპიტანსაც მოეწონა და მითხრა: ეს ნავი ჩემი გემისათვის მინდა ავიღო, რა ფასად გაყიდო.

- თქვენ იმდენი სიკეთე მიყავით, - ვუპასუხე მე, - რომ აბა როგორ შემიძლია გვეაჭროთ; რაც გსურდეთ, ის მომეცით.

- მაშ კარგი, - მითხრა მან, - ახლა თამასუქს მოგცემთ ოთხმოცი გირვანქისას, ხოლო ბრაზილიაში თუ ამაზე მეტს შემოგაძლევთ ვინმე, მაშინ მეც იმდენს მოგართმევთ.

შემდეგ სამოცი გირვანქა ქსურიშიც შემომაძლია. მაგრამ მე ძალიან მეძნელებოდა საბრალო ბიჭის თავისუფლების გაყიდვა. თვითონ იგი ხომ ერთგულად და თავდადებით მეხმარებოდა გათავისუფლებაში! ასე ვუთხარი კიდევ კაპიტანს, რომელმაც მართებულად მიიჩნია ჩემი მოსაზრება და მითხრა:

- კარგი, ათი წლის შემდეგ თავისუფლებას მივანიჭებ, ოღონდ იმ პირობით, თუ ქრისტიანობას მიიღებს. ამაზე ქსურიც არ წასულა წინააღმდეგი და მეც თანხმობა მივეცი.

დაახლოებით ოცდაროი დღის შემდეგ მშვიდობიანად შევედით ბრაზილიაში. აქ უფრო მეტი სიცხადით ვიგრძენი, რომ უკვე თავი დავაღწიე ყოვლად უბადრუკ და სავალალო ყოფას, და მომავალ ცხოვრებაზე ფიქრი დავიწყე.

ჩემს დღეში არ დამავიწყდება პორტუგალიელი კაპიტნის სიკეთე: მან სრულიად უფასოდ ჩამიყვანა ბრაზილიაში, ოცი დუკატი მომცა ავაზის ტყავში, ხოლო ლომის ტყავში - ორმოცი; რაც კი რამ მქონდა, ყველაფერი უკლებლივ დამიბრუნა; რისი გაყიდვაც მსურდა - მანვე შეისყიდა. ბოთლების ყუთი, ორი თოფი, ცვილის ერთი ნაწილი (დანარჩენი სანთლებად გამოვიყენე); ერთი სიტყვით, მთელ ჩემს ავლადიდებაში ავიღე დაახლოებით ორას ოცი ოქრო და ამ თანხით ფეხი შევდგი ბრაზილიის მიწაზე.

*

ბრაზილიაში ჩასვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ჩემმა

ნაცნობმა კაპიტანმა მიმიყვანა ერთ ოჯახში, რომლის უფროსი ისეთივე კეთილი და პატიოსანი კაცი იყო, როგორც თვითონ კაპიტანი. იქ გაეშენებინა შაქრის პლანტაცია და შაქარისავე ქარხანაც ჰქონდა. კარგა ხანი დავყავი ამ ოჯახში და საშუალება მომეცა დავკვირვებოდი, როგორ ამზადებდნენ შაქარს. ისე კარგად ცხოვრობდნენ იქაური პლანტატორები, რომ გადავწყვიტე, თუკი აქ დასახლების ნებართვას მივიღებდი, მეც მათებრ მომეწყო პლანტაცია, მანამდე კი როგორმე ლონდონში დატოვებული ფული უნდა გამომეთხოვა.

მყავდა იქ ერთი მეზობელი, გვარად უელსი, წარმოშობით ინგლისელი, რომელიც პორტუგალიიდან - ლისაბონიდან გადმოსახლებულიყო და თითქმის ჩემს დღეში იყო. მეზობელს ვეძახდი, რადგან მისი პლანტაცია სწორედ ჩემსას ემიჯნებოდა და ერთმანეთში კარგი ურთიერთობა გვქონდა. საბრუნავი კაპიტალი მეცა და იმასაც მცირე გვქონდა და მთელი ორი წლის განმავლობაში ჩვენი შემოსავალი საჭმელსასმელში მიდიოდა. ამის მიუხედავად, მაინც თანდათან მოღონიერება დავიწყეთ და მესამე წელს უკვე თამბაქო დავრგეთ; თანაც შაქრის ლერწმისათვის გავამზადეთ კარგა მოზრდილი ნაკვეთი. მაგრამ ორივეს ძალიან გვჭირდებოდა დამხმარე ძალა და მაშინ განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენი ჩემი შეცდომა - ქსური რომ გავიმეტე და მოვიშორე.

მწარე ნაღველითა და სინანულით ვფიქრობდი ჩემს ცხოვრებაზე. ამ მეზობლის გარდა ისეთი არავინა მყავდა, რომ გამოვლაპარაკებოდი, და ამასაც ხშირად ვერ ვხვდებოდი. მშველელი არავინ იყო, საკუთარი ხელით ვაკეთებდი ყველაფერს და ხშირად ვფიქრობდი ხოლმე, რომ მე უკაცრიელ კუნძულზე გარიყულ ადამიანს ვგავდი.

სანამ ჩემი კეთილი მეგობარი, რომელმაც გაშლილ ზღვაში შემიფარა და შემივრდომა, უკანვე გაბრუნდებოდა, მე ერთგვარად საფუძველი ჩავუყარე პლანტაციას. თითქმის სამი თვე იდგა ნავსადგურში გემი, სანამ ახალ ტვირთს მიიღებდა და სამოგზაუროდ მოემზადებოდა. როდესაც ჩემს მეგობარს განვუცხადე, ლონდონში ცოტაოდენი თანხა მაქვს-მეთქი დატოვებული, მან გულწრფელი, მეგობრული რჩევა მომცა:

- სენიორ ინგლემ! - იგი მუდამ ასე მომმართავდა, - მომეცით მინდობილობის ფურცელი, ხოლო ლონდონში თქვენი თანხის შემნახველს ბარათით აცნობეთ, შეისყიდოს ისეთი საქონელი, რაც აქ კარგად გასაღდება, და ლისაბონში გადაგზავნოს ჩემ მიერ მითითებულ მისამართზე; იქიდან კი მე გადმოგიტანთ საქონელს, როცა უკან დაბრუნდები ღმერთის შეწევნით. მაგრამ, რაკი ბედი ცვალებადია და

ადამიანს მუდამ უბედურება მოელოს, მე გირჩევდით, ჯერ მხოლოდ თანხის ნახევარი გადაგედოთ და მეორე ნახევარსაც ასევე გადმოგიგზავნით; თუ არ გაგიმართლათ, ის ასი გირვანქა მაინც შეგრჩებათ.

მაშინვე მივწერე წერილი ქალს, ვისთვისაც ფული მქონდა მიბარებული, ხოლო პორტუგალიელი კაპიტნის სახელზე მინდობილობის ფურცელი შევადგინე.

ინგლისელი კაპიტნის ქვრივს დაწვრილებით ავუწერე ყველაფერი, რაც თავს გადამხდა: როგორ მოვხვდი მონობაში, როგორ გავიქეცი, როგორ შემიფარა ზღვაში პორტუგალიელმა კაპიტანმა; მივწერე ახლა რას ვაკეთებდი და ვთხოვე, ეყიდა ჩემთვის საჭირო საქონელი.

ჩავიდა თუ არა ლისაბონში ეს პატიოსანი კაპიტანი, მაშინვე მონახა ინგლისელი ვაჭრები და რომელიღაც ლონდონელ ვაჭარს შეუთვალა არა მარტო ის, თუ რა საქონელი უნდა ეყიდა ჩემთვის, არამედ მთელი ჩემი თავგადასავალიც მისწერა; ხოლო იმ ვაჭარმა ყველაფერი ეს კაპიტნის მეუღლეს აცნობა.

ის ქალიც მხოლოდ ჩემი ფულის გადაგზავნას როდი დასჯერდა: პორტუგალიელ კაპიტანს თავისი ჯიბიდან კარგა მოზრდილი თანხა გაუგზავნა საჩუქრად იმ ადამიანური და სათნო მოპყრობისათვის, რაც მან ჩემ მიმართ გამოიჩინა.

ლონდონელმა ვაჭარმა შეისყიდა ასი გირვანქა ყველა საჭირო ინგლისური საქონელი, რაც კი კაპიტანმა მისწერა, და ლისაბონში გადაგზავნა, ხოლო კაპიტანმა იქიდან ბრაზილიაში ჩამოიტანა. ჩამოტანილ ნივთთა შორის, მე არც კი ვიცოდი. ისე (რადგან ახალგაზრდა ვიყავი და ბევრი არა გამეგებოდა რა), კაპიტანს არ დაჰვიწყებოდა ჩემი პლანტაციისათვის საჭირო იარაღები, რაც ძალიან გამომადგა მეურნეობაში.

საქონელი რომ მივიღე, ისეთმა სიხარულმა მომიცვა, ასე მეგონა, საბოლოოდ ვეწიე-მეთქი ბედს. ჩემმა კეთილმა მეურვე-პატრონმა ხუთი გირვანქა სტერლინგით, რომელიც მან ჩემი მეგობარი ქალისაგან მიიღო საჩუქრად, მოსამსახურეც დამიქირავა ექვსი წლით; ჩემგან კი სამაგიერო არაფერი ინდომა, გარდა ჩემივე მოწეული ცოტაოდენი თამბაქოსი.

ამით როდი გათავდა ყველაფერი: ჩამოტანილი საქონელი სულ ინგლისური მანუფაქტურა იყო - მაუდი, შალეული, თივთიკი... ერთი სიტ-

ყვით, იქაური ხალხისათვის განსაკუთრებით სანუკვარი რამ. ასე რომ, სარფიანად გავყიდე ყველაფერი და, შეიძლება ითქვას, ოთხჯერ გავზარდე ჩემი კაპიტალი. ისე მოვაწყვე პლანტაცია, რომ ჩემი ღარიბი მეზობელი შორს მოვიტოვე. უპირველეს ყოვლისა, მონა-ზანგი ვიყიდე და კაპიტნის მიერ ლისაბონიდან ჩამოყვანილი მსახურის გარდა, ერთი ევროპელი მოსამსახურეც დავიქირავე.

მომდევნო წელს კიდევ უფრო კარგად წარვმართე ჩემი პლანტაციის საქმე და ორმოცდაათი საპალნე თამბაქო მოვიწიე იმის გადამეტებით, რაც საჭირო ნივთებში გადავუცვალე ჩემს მეზობლებს; თითო შეკვრა ასგირვანქიანი იყო. ეს თამბაქო, კარგად გამომხმარი და დაწნეხილი, ერთად მეწყო და ლისაბონიდან გემების დაბრუნებას ველოდებოდი.

მაგრამ, რამდენადაც უფრო ვაფართოებდი ჩემს საქმიანობას და დოვლათს, მით უფრო მევსებოდა თავი ისეთი გეგმებითა და სურვილებით, რაც ჩემს სიმდიდრეს აღემატებოდა და რაც ხშირად დიდ საქმოსან ხალხსაც კი მოუღებს ბოლოს. იმის ნაცვლად, რომ ჩემს დაწყებულ საქმეს მივყოლოდი, მთელი გატაცებით მივენდე ამ ახირებულ გულისწადილს.

ახლაც იგივე მომივიდა, როგორც ერთხელ, როცა მშობლებს გავექეცი: ველარ დავუდე გული საქმეს, აღარ დავუცადე ბედნიერ მომავალს, რომელიც გამდიდრებასა და აყვავებას მიქადდა - დაუცხრომელმა სურვილმა მომიცვა, იმაზე სწრაფად გავმდიდრებულიყავი, ვიდრე ამის საშუალებას ჩემი მდგომარეობა მაძლევდა. ამ სურვილით შეპყრობილი კვლავ გადავეშვი ადამიანური უბედურების ისეთ უფსკრულში, როგორშიაც ჯერ კაცი არ ჩავარდნილა და რომლიდანაც ალბათ ძნელად ამოვა ვინმე ცოცხალი და ჯანმრთელი.

ბრაზილიაში თითქმის ოთხი წლის ყოფნასთან და პლანტაციის ასე საგანგებოდ მოწყობასთან ერთად, თავისთავად ცხადია, იქაური ენაც შევისწავლე და, კიდევ მეტი, რამდენიმე მეზობელ პლანტატორსა და სან-სალვადორელ ვაჭრებსაც დავუმეგობრდი. საუბარში ხშირად მიამბნია მათთვის გვინების ნაპირებისაკენ ჩემი ორი გამგზავრების ამბავი, მოვუყევი, როგორ ვაჭრობდნენ იქ ზანგებით და რა ადვილად შეიძლებოდა უბრალო ხარახურის - დანების, სათამაშოების, ჩხარუნების, მაკრატლების, ნაჯახების, სარკის ნატეხებისა და ამისთანების გადაცვლა არა მარტო ოქროსა და სპილოს ძვალში, არამედ ზანგებშიც, რომლებიც დიდი რაოდენობით იყვნენ საჭირო ბრაზილიაში სამუშაოდ.

ჩემი მეგობრები დიდი ყურადღებით მისმენდნენ. განსაკუთრებით აინტერესებდათ ზანგებით ვაჭრობის ამბავი, რაც არათუ ფართოდ არ იყო იმ დროს გავრცელებული, არამედ განსაკუთრებულ assiento-ს, ანუ ესპანელ და პორტუგალიელ მეფეთა ნებართვასაც კი მოითხოვდა. ამიტომ იშვიათად შეხვდებოდით მონა-ზანგებს და ძვირადაც ფასობდნენ.

ერთხელ ჩემი მეგობარი ვაჭრებისა და პლანტატორების წრეში გაცხოველებული საუბარი გვექონდა სწორედ ამ საგანზე, ხოლო მეორე დილას სამი მათგანი კარს მომადგა და პირობა ჩამომართვა, რასაც ახლა გამანდობდნენ, საიდუმლოდ შემენახა. სიტყვა რომ მივეცი, განმიცხადეს:

- თქვენი გუშინდელი საუბარი ჭკუაში დაგვიჯდა და გადავწყვიტეთ, გემი მოვამზადოთ გვინებაში გასაგზავნად. ჩვენც თქვენსავით პლანტატორები ვართ და რაკი ზანგებით ვაჭრობას გვიშლიან და ჩამოყვანილ ზანგებს ვერ ვყიდით, ჩამოვიყვანოთ ჩუმად და ჩვენსავე პლანტაციებში გავინაწილოთ.

ერთი სიტყვით, ჩემს თანხმობასლა ელოდნენ, რომ გემის გამგებლობა მეკისრა და ზანგების შესყიდვის საქმეს გავძლოლოდი. სამაგიეროდ, ჩემს წილ ზანგებს სრულიად უსასყიდლოდ მთავაზობდნენ.

ეს წინადადება მართლაც მაცთუნებელი იქნებოდა მისთვის, ვისაც არც თანხა აქვს დაბანდებული და არც მოგებას მოელის. მაგრამ ჩემისთანა კაცისთვის, რომელსაც მშვენიერი პლანტაცია ჰქონდა და ჩინებულად მოეწყო, კიდევ მგზავრობაზე ფიქრი უდიდესი უგუნურება იყო.

მაგრამ მე ხომ ჩემივე თავის დასალუპად ვიყავი გაჩენილი! როგორც პირველად ვერ მოვერიე მოგზაურობის წადილს და მამის კეთილ რჩევას ყურიც არ დავუგდე, ისევე ახლაც ვერ მოვთოკე თავი. ერთი სიტყვით, დიდი სიხარულით განვუცხადე თანხმობა გვინებისაკენ გამგზავრებაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩემს დაბრუნებამდე ისინი მოუვლიდნენ ჩემს პლანტაციას, ხოლო, თუ არ დავბრუნდებოდი, ისე მოიქცეოდნენ, როგორც დავუბარებდი. ისინი ყველაფრის მოგვარებას შემპირდნენ და წერილობითაც დაივალდებულეს თავი. ანდერძი შევადგინე, რომ, თუ მოვკვდებოდი, ჩემი პლანტაცია და მთელი ქონება ჩემს მხსნელ კაპიტანს გადასცემოდა, ოღონდ იმ პირობით, რომ მას ქონების ნახევარი წაეღო მხოლოდ, მეორე ნახევარი კი ინგლისს გაეგზავნა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თადარიგი დავიჭირე, რათა ჩემი ქონება და პლანტაცია უპატრონოდ არ დარჩენილიყო; ამ გონივრული სიფრთხილის ნახევარი მაინც რომ გამომეჩინა საკუთარი თავის მიმართ და კარგად განმესაჯა, რა უნდა გამეკეთებინა და რა არა, მაშინ ალბათ არც მივატოვებდი ასე კარგად დაწყებულ მეურნეობას, რომელსაც სამომავლოდ კიდევ უფრო კარგი პირი უჩანდა.

მაგრამ მაჩქარებდნენ და მეც ბრმად მივყევი ჩემი ოცნების კარნახს, გონებას კი ანგარიშიც არ გავუწიე. ხომალდი მოამზადეს და მეც ფეხი შევდგი მასზე 1659 წლის 1 სექტემბერს - სწორედ იმ დღეს, რა დღესაც 8 წლის წინათ, ჩემდა ჭირად, პირველად გავედი ზღვაში სამოგზაუროდ, ჰულში, დედ-მამის სახლიდან გაქცეული.

ჩვენი გემი დაახლოებით ასოც ტონას იტევდა. ზედ მოთავსებული იყო ექვსი ზარბაზანი; კაპიტნის, იუნგისა და ჩემ გარდა გემზე თოთხმეტი კაცი იყო; ტვირთი მაინცდამაინც ბევრი არა გვქონია, მიგვქონდა მხოლოდ ისეთი უბრალო ნივთები, რომლებიც ზანგების შესასყიდად გამოგვადგებოდა - უბრალო მძივები, შუშის ნამტვრევები, პატარა სარკეები, დანები, მაკრატლები, ნაჯახები და ასეთი ხარახურა.

*

ჯერ ჩრდილოეთისკენ ავიღეთ გემი, იმ ვარაუდით, რომ როცა ჩრდილო განედის ათ-თორმეტ გრადუსს მივალწევდით, აფრიკის სანაპიროსაკენ შეგვეხვია; როგორც ეტყობა, მაშინ ამ გზით მოგზაურობდნენ. სანამ ჩვენი ნაპირის გასწვრივ მივცურავდით, მშვენიერი ამინდი იდგა, ცხელოდა კიდევ. წმ. ავგუსტინეს კონცხთან შემოვტრიალდით და გაშლილ ზღვაში გავედით. მალე ნაპირიც თვალს მიეფარა.

დაახლოებით თორმეტდღიანი მოგზაურობის შემდეგ, როცა ეკვატორი გადავლახეთ, საშინელი გრიგალი ამოვარდა. დაიძრა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, წამოვიდა ჩრდილო-დასავლეთისკენ, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ქნა პირი და აქედან ისეთი საშინელი ძალით დატრიალდა, რომ მთელი თორმეტი დღე ბედის ანაბარა ვიყავით. აქეთ-იქით გვაბორიალებდა გაცოფებული ქარი. თქმაც არ უნდა, რომ მთელი ეს თორმეტი დღე, ყოველ წუთში მოველოდი დახრჩობას; რასაკვირველია, არც სხვებს შერჩენიათ გადარჩენის იმედი.

ეს გასაჭირი და ქარიშხლის შიშიც არ გვაკმარა ბედმა: ერთი მეზ-

ღვაური ტროპიკული ცხელებით მოგვიკვდა, იუნგი და მეორე მეზღვაური კი ტალღამ მოიტაცა გემბანიდან.

მეთორმეტე დღეს ქარმა კლება იწყო და კაპიტანმა ვარაუდით გამოიანგარიშა, რომ ჩვენ დაახლოებით ჩრდილო განედის მეთერთმეტე გრადუსზე ვიმყოფებოდით. ალბათ სადმე გვიანას სანაპიროსთან ახლოს ან ბრაზილიის ჩრდილოეთ მხარეს, მდინარე ამაზონს იქით, ორონოკოსთან ახლოს, რომელსაც იმ მხარეში დიდი მდინარის სახელით უფრო იცნობენ. კაპიტანმა მკითხა, საით გავემგზავროთ: გემში წყალი ჟონავდა და სამოგზაუროდ აღარ ვარგოდა, ამიტომ იგი მიჩვენდა, გავბრუნებულიყავით.

მე გადაჭრით უარყავი მისი მოსაზრება. ამერიკის სანაპიროს რუკები გულმოდგინედ შევისწავლეთ და დავასკვენით, რომ ყარაიბის კუნძულებამდე დასახლებულ ადგილებს ვერ შევხვდებოდით. ამრიგად, დახმარების იმედიც არ უნდა გვექონოდა. გადავწყვიტეთ, ბარბადოსისკენ აგველო გემი, რომელსაც, ჩვენი გამოიანგარიშებით, თხუთმეტ დღეში მივალწევდით. აფრიკისაკენ გამგზავრებაზე კი, გემის შეუკეთებლად და მეზღვაურთა დაუმატებლად, ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ამის გამო გემი შევიცვალეთ და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულეა ავიღეთ, რათა ინგლისის რომელიმე კუნძულამდე მიგვეღწია და დახმარება მიგველო. მაგრამ ამ განზრახვას შესრულება არ ეწერა, რადგან მეორე ქარიშხალი დაგვატყდა თავს, რომელმაც ისეთივე გაშმაგებით გავაქანა დასავლეთისკენ და მოგვწყვიტა ყველა სავაჭრო გზას. ამრიგად, კიდევ რომ გადავრჩენოდით ზღვას, სამშობლოში დაბრუნება მაინც არ გვეღირსებოდა - კაციჭამია ველურები მოგვიღებდნენ ბოლოს.

ამ დღეში ვიყავით, ქარიშხალი კვლავ მძვინვარებდა, როცა ერთ დილას, გათენებისას, ერთმა ჩვენმა მეზღვაურმა დაიძახა:

- ხმელეთი!

მაგრამ კაიუტიდან გამოსვლაც კი ვერ მოვასწარით, რათა იმედმოცემულებს გვენახა, ქვეყნის რომელ ნაწილში ვიმყოფებოდით, რომ გემი უეცრად მეჩეხს მიეხეთქა და იმავე წუთში ანაზღად შეჩერების გამო ისეთი ძალით ითქრიალა წყალმა გემში, რომ უცებ ყველას გვეგონა - ეს არის დავილუპეთო. მაშინვე კაიუტებში ჩავეშვით, რომ ზღვის ქაფისა და შხეფებისგან დაგვეცვა თავი.

ვისაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია გემის მარცხი, გაუჭირდება მთელი ამ საშინელების წარმოდგენა, ვერ ჩასწვდება იმ შემადრწუნებელ შიშს, რაც განწირულ ხალხს მოიცავს ხოლმე. ვერ გაგვეგო, სად ვიყავით. და რაკი ქარი კვლავ

მძვინვარებდა, თუმცა ახლა ნაკლები ძალით, იმის იმედიც არ შეიძლებოდა გვექონოდა, რომ გემი კიდევ რამდენიმე წუთს გაუძლებდა და არ დაიმსხვრეოდა, თუკი რაიმე სასწაულით უეცრად არ გამოიდარებდა. ერთი სიტყვით, ერთმანეთს შევეცქეროდით და ყოველ წუთს სიკვდილს ველოდით. ერთადერთი ნუგეში ისლა იყო, რომ, ჩვენი მოლოდინის მიუხედავად, გემი მაინც არ იმსხვრეოდა, და კაპიტანმაც თქვა, ქარი თანდათან ცხრებო.

ქარი თითქოს ცოტათი მართლაც შენედა, მაგრამ გემი ისე მაგრად შეჯდა მეჩჩხზე, რომ მისი ადგილიდან დაძვრაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამ საშინელ დღეში მყოფთ ისლა დაგვრჩენოდა, როგორმე საკუთარი თავის შველაზე გვეფიქრა. ერთი ნავი ზედ კიჩოზე იყო დამაგრებული და ქარიშხალმა გემის საჭეს მიაჯახა, დაამსხვრია და ალბათ ტალღებმა გაიტაცა ან ჩაიძირა. მეორე ნავი ბაქანზე გვექონდა დამაგრებული და მეტად ძნელი და საეჭვო იყო მისი ზღვაში ჩაშვება. მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ყოველ წუთს ველოდით გემის დამსხვრევას, ვილაცამ დაიყვირა კიდევ - უკვე იმსხვრევაო.

ამ გასაჭირში რომ ვიყავით, კაპიტნის თანაშემწე ნავს მივარდა და მეზღვაურების დახმარებით ზღვაში გადააგდო. ჩვენ, ყველანი - თერთმეტი კაცი - ნავში ჩავეშვით და ღმერთსა და გამმაგებულ ზღვას მივენდეთ. ქარიშხალი ახლა შესამჩნევად დაცხრა, მაგრამ ნაპირს მაინც ისეთი საშინელი ტალღები ეხეთქებოდა, რომ შეიძლებოდა თავისუფლად გვეწოდებინა ზღვისათვის den wild zee - როგორც ჰოლანდიელები უწოდებენ აღელვებულ ზღვას.

ჩვენი მდგომარეობა, მართლაც სავალალო შეიქნა: ტალღები მეტისმეტად მაღლა ეხეთქებოდა და აშკარა იყო, ნავი ვეღარ გაუძლებდა; იალქანი არ გვექონდა, მაგრამ რომც გვექონოდა, რას გვიშველიდა! ნიჩბებს მაინც ვუსვამდით, თუმცა ვიცოდით, რომ ნაპირთან ტალღა მაგრად მიახლიდა ნავს ხმელეთზე და ნაკუწ-ნაკუწ აქცევდა, ჩვენ კი სიკვდილი არ აგვეცდებოდა.

არ ვიცოდით, როგორი იყო ნაპირი: კლდოვანი თუ ქვიშიანი, ციცაბო თუ მეჩჩიანი. ერთადერთი სუსტი იმედი ის იყო,

იქნება ყურეში ან უბეში მოვხვედრილიყავით, ანდა მდინარის შესართავში, სადაც როგორმე შევავადებდით ნავს და ხმელეთს მოვეფარებოდით. მაგრამ ამის მსგავსს ვერაფერს ვხედავდით. პირიქით, - რაც უფრო ვუახლოვდებოდით ნაპირს, მით უფრო საშინელი ჩანდა იგი, ზღვაზე საშინელი.

დაახლოებით ოთხ-ნახევარი ლიეთი დავშორდით იმ ადგილს, სადაც გემი ჩაიძირა, რომ უეცრად მთასავით მაღალმა ტალღამ წამოუარა კიჩოდან ნავს, თითქოს ზღვის სიღრმეში ჩამარხვას გვიპირებსო. ერთი სიტყვით, ისე გაშმაგებით მოგვეხეთქა, რომ თვალის დახამხამებაში გადააბრუნა ჩვენი ნავი და უმაღვე დაგვაშორა როგორც ერთმანეთს, ისე ნავსაც. ისიც აღარ დაგვაცალა, ღმერთი გვეხსენებინა - ერთბაშად გვშთანთქა ყველანი.

*

არაფერს შეუძლია აღწეროს ის შიში, რაც წყალში ჩაყურყურმაღავეების შემდეგ განვიცადე. მარჯვე მოცურავე ვიყავი, მაგრამ უცებ მაინც ვერ მოვახერხე ამოყვინთვა და ჩასუნთქვა. კარგა დიდი მანძილით გამათრია ტალღამ ხმელეთისაკენ და თითქმის ნაპირთან ახლოს დამტოვა, ცოცხალ-მკვდარი, წყლით გაბერილი. გონება არ დამიკარგავს: როცა შევნიშნე, ნაპირთან სულ ახლოს ვიყავი, ღონე მოვიკრიბე, რომ სამშვიდობოს გავსულიყავი, სანამ მეორე ტალღა მომისწრებდა და უკანვე გამათრევდა. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იყო: მთასავით აშლილი ზღვა გაცოფებული მტერივით მომდევდა, ხოლო მასთან საბრძოლველად მე არც ძალა გამაჩნდა და არც სხვა რამ საშუალება. ისღა დამრჩენოდა, სუნთქვა შეემეკრა, თავზე მოვქცეოდი ტალღას და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ცურვა-ცურვით გავსულიყავი ნაპირზე; ახლა ტალღა ალბათ ხმელეთს მიმახეთქებდა და ისღა უნდა მეცადა, მიქცევის შემდეგ უკანვე არ გავეთრიე.

ოცი-ოცდაათი ფუტის სიღრმით ჩამიხვია ტალღამ და უდიდესი სისწრაფით კარგა ხანს მიმათრევდა ნაპირისაკენ. ძალ-ღონე მოვიკრიბე, სუნთქვა შევიკარი და ცურვით მივყევი დინებას. ის იყო, სული შემეხუთა, რომ უცებ თავი წყალს გემოდან ვიგრძენი და დიდი შვება განვიცადე. ამან სულ ორიოდე წამს გასტანა, მაგრამ ამოსუნთქვა მაინც მოვასწარი და ამან დიდი ძალა და მხნეობა შემმატა. ისევ დამფარა წყალმა, მაგრამ დიდი ხნით აღარ. ტალღა უკანვე მიიქცა და კვლავ მიწა ვიგრძენი ფეხქვეშ. წამით შევდექი, სული მოვითქვი და, რაც ძალა

და ღონე შემრჩა, ნაპირისაკენ მოვუსვი. ამჯერადაც ვერ გადავურჩი ზღვის მრისხანებას, ისევ დამფარა წყალმა. ასე განმეორდა ორჯერ: წინანდებურად გამაქანეს ტალღებმა - ნაპირი მეტად გაშლილი იყო.

უკანასკნელი ტალღა კინალამ საბედისწერო გახდა ჩემთვის, რადგან ძველი სიძლიერით გამაქანა და გამრიცა, უფრო სწორად, კლდეს მიმახეთქა. მაგრად მივარტყი მკერდი და სუნთქვა შემეკრა. კიდევ რომ მოესწრო ტალღას, უსათუოდ დამახრჩობდა. მაგრამ დავასწარი, კლდეს მოვებლაუჭე და ტალღის მიქცევამდე სუნთქვაშეკრული გავჩერდი. ტალღები ახლა უკვე ისე ძლიერი აღარ იყო და, რაკი ნაპირსაც თანდათან მივუახლოვდი, კვლავ გარბენა ვცადე. წყალმა მაინც

გადამიარა თავზე, მაგრამ ისეთი სიძლიერით აღარ - უკან ველარ გამათრია. ცოტა კიდევ გავირბინე და ფეხი შევდგი ხმელეთზე. ჩემდა სასიხარულოდ, ავცოცდი კლდოვან ნაპირზე და საშიშროებას გადარჩენილი, ტალღებს თავდაღწეული, ბალახზე დავეგდე.

მიწაზე ვიყავი, უვნებელი! თვალები მაღლა აღვაპყარი და ღმერთს მაღლი შევწირე გადარჩენისთვის. ნაპირზე დავდიოდი და ერთიანად გადარჩენის ფიქრებით მოცული, დავხტოდი, ათასნაირად ვიქნევდი ხელებს, ვფიქრობდი ჩემს ამხანაგებზე, რომლებიც დაიხრჩვნენ, ვფიქრობდი იმაზე, რომ მე ერთი გადავრჩი. ისინი თვალითაც აღარ მინახავს მერე, ვნახე მხოლოდ სამი ქუდი და ორი ცალ-ცალი ფეხსაცმელი.

მეჩეჩზე შესკუპებულ ჩვენს გემს გავხედე, რომელიც ძლიერ ღელვასა და ტალღებში ძლივს მოჩანდა. ღმერთო, როგორ მოვახერხე, როგორ მოვალწიე ნაპირს!

ცოტა რომ დავმშვიდდი, ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე, რათა მენახა, სად ვიყავი ან რა უნდა მექნა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი სიხარული ნაადრევი იყო. ვაი ასეთ გადარჩენას! თავიდან ფეხებამდე გალუმპულს, გამოსაცვლელი ტანსაცმელი არ გამაჩნდა, არც საჭმელ-სასმელი მქონდა. სანუგეშოსაც ვერაფერს ვხედავდი: ან შიმშილით მოვკვდებოდი, ან მხეცები დამგლეჯდნენ. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ თან არ მქონდა არავითარი იარაღი, რითაც შემიძლებოდა ნადირი მომეკლა და მეჭამა, ან თავი დამეცვა სხვა ნადირისაგან, რომელიც ჩემს მოკვლას და შეჭმას მოისურვებდა. ერთი სიტყვით, ჯიბის დანის, ჩიბუხისა და ცოტაოდენი თუთუნის გარდა აღარაფერი გამაჩნდა. ეს იყო მთელი ჩემი ავლადიდება და ამის შეგნებამ ისეთ საგონებელში ჩამაგდო, რომ ერთხანს გიჟივით დავრბოდი. ამასობაში მოსალამოვდა. მაშინ რა უნდა მექნა, მტაცებელი მხეცები თუ დათარეშობ-

დნენ ამ მხარეს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ღამით გამოდიან ხოლმე საკბილოს საძებნელად!

ველარაფერი მოვიფიქრე გარდა იმისა, რომ ავსულიყავი იქვე ტოტებგაბარდულ ხეზე, რომელიც ნაძვს ჩამოჰგავდა, - ოღონდ ეკლიანი იყო, - და მთელი ღამე იქ გამეტარებინა. სანამ ხეზე ავდიოდი, მილის მერვედით დავშორდი ნაპირს, სასმელ წყალს ვეძებდი და, ჩემდა სასიხარულოდ, მივაგენი კიდეც. წყურვილი მოვიკალი, პირში თუთუნი ჩავიდე, რომ ცოტათი შიმშილი დამეცხრო და ხეზე ავედი. შევეცადე მარჯვე ტოტი ამომერჩია, რომ, თუ ჩამეძინებოდა, ძირს არ ჩამოვვარდნილიყავი. თავის დასაცავად გამოვჭერი კომბლის მსგავსი პატარა ჯოხი, მოვეწყვე და არაქათგამოლეულს მაშინვე ჩამეძინა.

ასე ტკბილად, დარწმუნებული ვარ, ჩემს დღეში მყოფს ბევრს არ დაეძინებოდა. როცა გავიღვიძე, გაცილებით მხნედ ვგრძნობდი თავს.

კარგა ხნის გათენებულზე გამეღვიძა. წყნარი ამინდი იდგა, ქარი ჩამდგარიყო და ზღვაც ისე აღარ ღელავდა. ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ გემი მეჩეჩზე აღარ იყო, ეტყობა, ტალღებს მოეთაცა და იმ კლდესთან გაერიყა, რომელსაც მე მკერდით მივენარცხე. ახლა ნაპირიდან ერთი მილის მოშორებით, სწორედ ჩემ პირდაპირ იდგა და გადავწყვიტე, მიმეღწია გემამდე ზოგიერთი საჭირო ნივთის წამოსაღებად.

ხეზე მოწყობილი ბინიდან რომ ჩამოვედი, კვლავ მივიხედ-მოვიხედე და უცებ ჩემგან ორიოდე მილის მოშორებით ნაპირზე გამორიყული ნავი მეცა თვალში. იქით გავჩიე, მაგრამ ხმელეთში შეჭრილ ყელს თუ ვიწრო უბეს წავაწყდი, დაახლოებით ნახევარი მილის სიგანისას, ასე რომ, ნავამდე ველარ მივალწიე და, რაკი გემთან მისვლა გაცილებით უფრო საჭირო იყო, უკანვე გამოვბრუნდი. იმედი მექონდა, რომ გემზე ბევრ საჭირო რამეს ვიპოვიდი.

ნაშუადღევს ზღვა სულ დაწყნარდა და ტალღები უკვე ისე შორს იყო ჩემგან, გემისკენ რომ მივდიოდი, მთელი მეოთხედი მილი მშრალი ქვიშა გავიარე. აქ კი ისევ ამეშალა მწარე სინანული: აშკარა გახდა, რომ გემზე თურმე არაფერი

ხიფათი აღარ გველოდა; მშვიდობით გავიდოდით ნაპირზე და ახლა ასეთი უმწეო, უნუგემო და უთვისტომო აღარ ვიქნებოდი. თვალზე ცრემლი მომადგა, მაგრამ ცრემლი რას უშველიდა ჩემს გაჭირვებას! გადავწყვიტე, როგორმე გემთან მივსულიყავი. მეტისმეტად მცხუნვარე

დღე იყო. ტანთ გავიხადე და შევცურე.

მივადექი გემს, მაგრამ ახლა უფრო დიდ სიძნელეს წავაწყდი: როგორ უნდა ავძივრალიყავი ზემოთ? გემი სხვა მეჩენზე იდგა, წყლიდან თითქმის მთლიანად ამოშვერილი, და ფეხის მოსაკიდებელი არაფერი იყო. ორჯერ შემოვუარე და მეორე ჯერზე თოკის ნაგლეჯს მოვკარი თვალი. გამიკვირდა კიდეც, მაშინვე რად ვერ შევნიშნე-მეთქი. თოკი კარგა დაბლა იყო ჩამოშვებული, მაგრამ მაინც დიდი ვაი-ვაგლახით მოვახერხე ხელის მოვლება. ავედი წინა ერდოზე და ვნახე, რომ გემი გაბზარულიყო, ბლომად წყალი შესულიყო. იგი დამრეცად იდგა, კიჩო მეჩენზე იდო, ხოლო ჭვინტით თითქმის წყალს ეხებოდა. ამიტომაც, რაც კიჩოსკენ იდო, მშრალი იყო. პირველად სწორედ იქით გავემართე, რადგან ჩემი უმთავრესი საზრუნავი იყო, მენახა, რა გაფუჭდა და რა დარჩა უვნებელი.

სურსათი გადარჩენილიყო, სულაც არ შეხებოდა წყალი და, რაკი მაგრად ვიყავი მოშობილი, მაშინვე საკუჭნაოს ვეცი და ჯიბეები ორცხობილით გამოვიტენე. დრო რომ არ დამეკარგა, თან დავდიოდი, ნივთებს ვათვალიერებდი და თან ვილუკმებოდი. საერთო კაიუტაში რომსაც წავაწყდი და რამდენიმე ყლუპი მოვსვი. სწორედ მისწრება იყო - მუშაობისათვის ცოტადენი შეხურება მჭირდებოდა. აღარაფერი მაკლდა ნავის გარდა, რომლითაც უნდა გადამეზიდა ყველა ის ნივთი, რაც მომავალში დიდად გამომადგებოდა.

გამახსენდა, გემზე რამდენიმე სათადარიგო ქანდარა და ანძა გვექონდა, და შევუდექი კიდეც მუშაობას. ამოვარჩიე რამდენიმე ისეთი ნაჭერი, რომელთაც ადვილად მოვერეოდი, მივაბი ბოლოები ერთმანეთს, რომ წყალს არ მოეტაცა, და დაბლა ჩავუშვი. მერე მეც ჩავყევი, ჩავითრიე ოთხი ძელი, როგორც შემეძლო, მაგრად შევკარი თოკით ბოლოებში, ზევიდან ფიცრები დავაწყვე და ტივს დავამსგავსე. მე თავისუფლად გამიძლებდა ეს ტივი, მაგრამ მთელ ტვირთს ვერ მოერეოდა - პატარა იყო. მაშინ დურგლის პატარა ხერხით სამ ნაჭრად დავხერხე დიდი სათადარიგო ანძა და ტივი

გავაფართოვე. მართალია, დიდი ჭაპანწყვეტა დამჭირდა, მაგრამ იმის სურვილმა, რომ ყველა საჭირო ნივთი მომემარაგებინა, სიმხნევე შემმატა და ისეთი საქმე გამაკეთებინა, რასაც სხვა პირობებში თავს ვერ გავართმევდი.

ამრიგად, ჩემი ტივი საკმაოდ მკვრივი გამოვიდა და კარგა დიდ ტვირთს გაუძლებდა. ახლა მთავარი საზრუნავი ისლა დამრჩა, გადა-

მეწყვიტა, რით დამეტვირთა ეს ტივი და როგორ დამეცვა იგი ზვირ-
თცემისაგან. ჯერ მოვაგროვე და ჩავყარე ფიცრები და თამასები, რაც
კი გემზე გვქონდა. ამის შემდეგ გადმოვიღე მეზღვაურთა სამი სკივრი,
კლიტეები დავამტვრიე და დავაცარიელე, - ისინი ტივზე დავუშვი. ერ-
თი სკივრი სანოვაგით გავავსე - პური, ბრინჯი, სამი ჰოლანდიური ყვე-
ლი, ხუთი ნაჭერი თხის გამომხმარი ხორცი და ცოტაოდენი მარცვალი.
ქერი და პური ერთმანეთში იყო არეული, მაგრამ შემდეგ იმედი გამიც-
რუვდა - ვირთაგვებს სულ გამოეხრათ და წაებილწათ. სასმელთაგან
აღმოჩნდა რამდენიმე ყუთი ბოთლის ღვინო კაპიტნისა და ხუთი-ექვსი
გალონი არაყი. ესენიც ცალკე დავაწყვე, რადგან სკივრებში ადგილი
არა მქონდა და ისედაც რა საჭირო იყო მათი განსაკუთრებული შენახ-
ვა.

ამ საქმით რომ ვიყავი გართული, შევნიშნე, ზღვის მიქცევა განახ-
ლებულიყო - თუმცა ძალიან წყნარი, და გული დამწყდა, როცა დავინა-
ხე, როგორ შეეცურებინა ტალღებს ზღვაში ქვიშაზე დატოვებული ჩემი
ჟილეტი და პერანგი. შემჩნა მხოლოდ წინდები და მუხლებამდე ტი-
ლოს შარვალი, რომლებიც არ გამიხდია, როცა გემისკენ გავცურე.
ამან მაიძულა ტანსაცმელი დამეძებნა გემზე და ბევრიც ვიპოვე, მაგ-
რამ იმაზე მეტი არ წამომიღია, რაც მაშინ დამჭირდებოდა, რადგან
სხვა რამეებზე უფრო მეჭირა თვალი: უპირველესად კი სახელოსნო ია-
რალეებზე, რომლებითაც ხმელეთზე ვიმუშავებდი. კარგა ხნის ძებნის
შემდეგ ვიპოვე კიდევ დურგლის ყუთი. ეს მართლაც სანუკვარი რამ
იყო ჩემთვის და იმ დროს ოქროთი დატვირთულ გემსაც მერჩია. ხე-
ლუხლებლივ გადავიტანე ყუთი ტივზე.

საერთო კაიუტაში ვიპოვე ორი მშვენიერი სანადირო თოფი და
ორიც დამბაჩა. მაშინვე ცალკე გადავაწყვე ისინი დენთთან და საფან-
ტთან ერთად. თან წავიღე ორი ძველი, დაუხანგებული ხმალიც. მახსოვ-
და, რომ სამი პატარა კასრი დენთი უნდა ყოფილიყო გემზე. გულმოდ-
გინე ძებნის შემდეგ ისიც ვიპოვე. ერთ მათგანში წყალი შესულიყო.
დარჩენილი ორი კასრი,

იარაღებთან ერთად, ტივზე გადავიტანე. კარგა მაგრად დაიტვირთა
ჩემი ტივი და ახლა წასვლაზე უნდა მეფიქრა; მაგრამ როგორ მიმეღწია
ნაპირამდე უიალქნოდ, უნიჩბოდ და უსაჭოდ?! საკმაო იყო ნიავის ერ-
თი წამოქროლება საწინააღმდეგო მიმართულებით, რომ მთლიანად
გადაყირავდებოდა ჩემი ტივი.

სამი რამ მიმაგრებდა გულს: ჯერ ერთი, ზღვა წყნარი იყო; მეორეც -
მიქცევა პირდაპირ ნაპირისკენ წამიღებდა; და მესამე - სუსტი ნიავი

სწორედ ხმელეთისკენ უბერავდა. ასე რომ, მოვძებნე ორი-სამი დამტვრეული ნიჩაბი, იქვე ორ ხერხს, ნაჯახსა და ჩაქუნსაც წავაწყდი - ეს იმ იარაღებს გარდა, რაც უკვე ყუთში მქონდა - გადავდი ტივზე და გავწიე. დაახლოებით ნახევარი მილი კარგად გავცურე.

ჩემ წინ ხმელეთში შეჭრილი პატარა ყურე გამოჩნდა და წყლის დინებამ სწორედ იქით გამოქანა. რაც შემეძლო, მარჯვედ ვმართავდი ტივს, რომ შუა დინებაში მოვხვედრილიყავი.

უეცრად ჩემი ტივი მეჩერებე შეჯდა ცალი მხრით, ხოლო მეორე მხარე წყალზე ტივტივებდა. მაშინვე სკივრებს მივვარდი და ზურგით ვამაგრებდი, რომ წყალში არ ჩაცვენილიყო. ტივი კი ვერაფრით დავძარი. მთელი ნახევარი საათი ვიდექი ასე, განძრევასაც ვერ ვბედავდი, სკივრებს ვიჭერდი. შემდეგ წყალმა ცოტათი მოიმატა და თანდათან ტივიც აატივტივა. მეც ვუბიძგე ნიჩბით და მალე პატარა მდინარის შესართავში შევავადე, რომელსაც ორივე მხრივ ნაპირი ემიჯნებოდა. აქ წყლის მიქცევა ძლიერი იყო. ახლა ნაპირს დავუწყე თვალიერება, რომ მოხერხებულად გადავსულიყავი ხმელეთზე. თანაც ვცდილობდი შორს არ ავყოლოდი მდინარეს, რადგან იმედი მქონდა, მალე გემი გამოჩნდებოდა და ჯობდა ნაპირთან ახლო დავბანაკებულიყავი.

როგორც იქნა, მარჯვენა ნაპირთან პაჩაწინა ყურე შევნიშნე და იქით მივმართე ჩემი ტივი. ძალიან გამიჭირდა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა. რის ვაი-ვავლახით მივალწიე ნაპირს, მაგრამ აქაც იგივე განსაცდელი დამადგა, - კინალამ წყალში

გადამიცვივდა მთელი ჩემი ავლადიდება. ნაპირი ერთბაშად მალღებოდა და ოდნავადაც რომ მოხვედროდა მას ტივის ერთი მხარე, მეორით უსათუოდ წყალში გადაყირავდებოდა. რა გზა მქონდა, კვლავ მოქცევას დაველოდე. ნიჩაბი ღუზის მაგივრობას მიწევდა, იმით ვამაგრებდი ტივს ისეთ მოხერხებულ ადგილას, სადაც ნაპირი შედარებით დაბალი იყო და ვიმედოვნებდი, რომ ტალღა პირდაპირ ზედ შემავდებდა. ასეც მოხდა. როგორც კი მოიმატა წყალმა, მაშინვე დადაბლებული ადგილისაკენ ვუბიძგე ტივს და, ვიდრე წყალი უკანვე მიიქცეოდა, ნიჩბებით გავამაგრე: ერთი ერთ მხარეს ჩავარტე ფსკერზე, მეორე - მეორე მხარეს. წყალი უკვე გამობრუნდა, ჩემი ტივი კი ნაპირზე დარჩა უვნებლად.

ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი იყო, კარგად დამეთვალეობინა იქაურობა და მოხერხებული ადგილი ამომერჩია, სადაც ქონება დაცული მექნებოდა ყოველი საშიშროებისაგან. არ ვიცოდი, სად მოვხვდი - მატერიკზე თუ კუნძულზე; დასახლებულ მიწაზე თუ უდაბურზე; მხეცებით ვიყავი გარემოცული თუ არა. დაახლოებით ნახევარი მილის მოშორებით ციცაბო გორაკი გამოჩნდა. ხელი დავავლე სანადირო თოფსა და დამბაჩას, ერთი ქარახსი დენთიც ავიღე და იმ მთის მწვერვალისაკენ გავემართე, რათა ზემოდან უკეთ შემასწავლა იქაურობა. დიდი ვაი-ვაგლახით მივალწიე მწვერვალს და აღმოვაჩინე, რომ კუნძულზე ვიყავი. მიწის ნასახიც არსად ჩანდა, გარდა აჩონჩხილი კლდეებისა და ორი მომცრო კუნძულისა.

შენიშნე აგრეთვე, რომ კუნძული მწირი იყო და დაუმუშავებელი. ეტყობოდა, კაცის ჭაჭანება არ იყო. არც მხეცები შემინიშნავს. ფრინველები კი აურაცხელი იყო, ოღონდ ვერ მივხვდი, რა ჯიშისანი. უკან რომ დავეშვი, ერთი დიდი ფრინველი მოვკალი, რომელიც ხშირი ტყის განაპირას შესკუპებულიყო ხეზე. დარწმუნებული ვარ, ეს პირველი გასროლა იყო ამ კუნძულზე დღიდან ქვეყნის გაჩენისა. გავისროლე თუ არა, ტყის ყოველი მხრიდან სხვადასხვა ჯიშის უთვალავი ფრინველი წამოიშალა საზარელი ჟივილ-ხივილით. ამის მსგავსი წინათ არაფერი გამეგონა. ჩემი მოკლული ფრინველი ფერთა და ნისკარტით ქორს ჰგავდა, ოღონდ კლანჭები გაცილებით მოკლე ჰქონდა. ხორცს მძორის სუნი ასდიოდა და საჭმლად არ ვარგოდა.

იქაურობა რომ დავათვალეიერე, ჩემს ტივს დავუბრუნდი და ტვირთის ხმელეთზე გადმოტანას შევუდექი. დაღამებამდე ამას მოვუნდი. არ ვიცოდი, სად და როგორ გამეთია ღამე. მიწაზე დაწოლისა მეშინოდა, ნადირმა არ დამგლიჯოს-მეთქი, თუმცა შემდეგ გავიგე, რომ შიშის საფუძველი სულ არ არსებობდა.

ასე იყო თუ ისე, ირგვლივ სკივრებითა და ფიცრებით შემოვლობე და, როგორც კი შემეძლო, კარავს დავამსგავსე, რათა ღამე იქ გამეტარებინა. აღარ ვიცოდი, საჭმელი როგორ მომეპოვებინა. იმ დღეს ახლომახლო არაფერი შემინიშნავს, გარდა კურდღლის მსგავსი ორიოდე ცხოველისა, რომლებიც თოფის ხმაზე გამოცვივდნენ ტყიდან.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, რომ გემიდან შეიძლებოდა კიდე ბევრი საჭირო ნივთის გადმოტანა, განსაკუთრებით კი აფრების, ბაგირისა და ამის მსგავსებისა, რომლებიც ხმელეთზე გამომადგებოდა. გადავწყვიტე, თუკი მოვახერხებდი, მეორედაც მივსულიყავი გემზე. ეს საქმე კი საშური იყო, რადგან კიდევე ერთი ქარიშხალი ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა

მას; ყოველგვარი სხვა საქმე უნდა გადამედო და უპირველესად, რაც შეიძლება ბევრი რამ გადმომეზიდა. დავჯექი და ფიქრი დავიწყე, ტივით წავსულიყავი თუ წინანდებურად მიმეცურა გემთან. ტივით წასვლა არახელსაყრელად მეჩვენა და გადავწყვიტე, ზღვის მიქცევასთან ერთად შევდგომოდი საქმეს. ასეც მოვიქეცი, ოღონდ ახლა ტანსაცმელი წინასწარ გავიხადე ჩემს ქოხში და ჭრელი პერანგისა და ტილოს საცვლის ამარა წავედი; შიშველ ფეხზე წაღები ჩავიცვი.

წინანდებურად ავედი გემზე და მეორე ტივი შევკარი. მაგრამ, გუშინდელი გაკვეთილის შემდეგ, ისე დიდი აღარ შემიკრავს, არც ისე დამიტვირთავს. ამჯერად წამოვიღე რამდენიმე მეტად აუცილებელი ნივთი. უპირველესად კი ყველაფერი, რაც დურგლის სახელოსნოში ვნახე: ორი თუ სამი ტომარა სხვადასხვა ზომის ლურსმანი, ერთი დიდი სახრახნისი, ოციოდე ცალი ნაჯახი და, რაც მთავარია, ისეთი საჭირო ნივთი, როგორცაა სალესი ქვა.

ამას გარდა - ორი-სამი ძალაყინი, ორი პატარა კასრი თოფის ტყვია, შვიდი თოფი თავისი დენთით, და საფანტით სავსე მოზრდილი ჩანთა.

შევაგროვე ყოველგვარი ჩასაცმელიც, სათადარიგო იალქანი, ჰამაკი და ლოგინის მოწყობილობა. ყველაფერი ეს, ჩემდა სასიხარულოდ, უხიფათოდ გადმოვზიდე ნაპირზე.

ცოტათი გული მეთანადრებოდა, ჩემს არყოფნაში ნაპირზე დატოვებული სანოვაგე განადგურებული არ დამხვდეს-მეთქი, მაგრამ, როცა დავბრუნდი, ვნახე, რომ არავინ მსტუმრებია, გარდა ერთ-ერთ სკივრზე დასკუპებული გარეული კატის მსგავსი ცხოველისა. ჩემს დანახვაზე ჩამოხტა და გაიძურწა, მაგრამ შორს არ წასულა, იქვე მახლობლად ჩაცუცქდა, არც შემკრთალა, ისე მშვიდად იჯდა და თვალეში მომშტერებოდა, თითქოს ჩემი გაცნობა სურსო. თოფი გადმოვიღე და დავუმიზნე. მაგრამ ეტყობა ვერაფერს მიხვდა, - იჯდა მშვიდად, არც განძრეულა. მაშინ ორცხობილის ნატეხი გადავუგდე, თუმცა ძნელი გასამეტებელი იყო, რადგან მარაგი ისედაც მცირე მქონდა; მაშინვე მივარდა, დასუნა და შესანსლა. მერე შემომხედა მეტად ნასიამოვნები თვალეებით. კიდევ მთხოვდა, მაგრამ მეტი ველარ გავიმეტე და ისიც თავის გზას გაუდგა.

მეორე ტივიც რომ გადმოვტვირთე ნაპირზე (ძალა აღარ მეყო და იძულებული გავხდი კასრები გამეხსნა, დენთი ნაწილ-ნაწილ გადმომეტანა), კარვის კეთებას შევუდექი. კარავი გავაკეთე იალქნისა და

ლატანებისაგან, რომლებიც საგანგებოდ ამისთვის შევარჩიე და მოვჭერი. ყველაფერი, რასაც კი წვიმა და მზე ავნებდა, შიგ შევზიდე, ირგვლივ ცარიელი ყუთები და კასრები შემოვუწყვე, რომლებიც კაცის ან მხეცის უეცარი თავდასხმისაგან დამიფარავდა.

ამას რომ მოვრჩი, კარვის შესასვლელი შიგნიდან ფიცრებით ამოვხერგე, გარედან კი ცარიელი სკივრით გავამაგრე. მერე მიწაზე ლოგინი გავშალე, ორი დამბაჩა სასთუმალთან მოვიმზადე, თოფიც გვერდით მოვიდე, ამ განსაცდელის შემდეგ პირველად ჩავწექი ლოგინში და არაქათგამოლევულს - წინა ღამის თითქმის უძილოსა და მთელი დღის შრომით დამაშვრალს - მაგრად ჩამეძინა.

არა მგონია, მარტოხელა კაცს ამდენი რამ მოემარაგებინოს, მაგრამ მაინც არ ვიყავი კმაყოფილი. სანამ გემი იმავე ადგილას იდგა, აუცილებლად მიმაჩნდა ყოველი ნივთის გადმოტანა, რაც კი გემზე იყო. ასე რომ, ყოველდღიურად, ზღვის მიქცევისთანავე, მივცურდებოდი და ხან რა მომქონდა და ხან რა: თოკები, ბაწრები, სათადარიგო ტილოები, რომლებიც იალქნების დასაკერებლად ჰქონდათ გემზე, ერთი კასრი დასველებული დენთი, ყველა იალქანი, ოღონდ იძულებული ვიყავი დამეჭრა და ისე წამომეღო, მთელს ვერ მოვერიე. ამას ჩემთვის არც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან, სულერთია, იალქნებად მაინც აღარ დამჭირდებოდა.

ხუთი-ექვსი გზის შემდეგ, როცა ყველაფერი მნიშვნელოვანი ასე თუ ისე წამოღებული მეგონა, წავაწყდი პურით სავსე დიდ კასრს, სამ პატარა კასრ რომს, ერთ ყუთ შაქარსა და საუცხოო ფქვილს. გამიხარდა და თან გამიკვირდა კიდევ, რადგან წყლით გაფუჭებული სანოვავის მეტი აღარაფერი მეგულებოდა გემზე. მაშინვე დავცალე დიდი კასრი და პური ნაწილ-ნაწილ შევკარი ტილოს ნაჭრებში. ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვიდობიანად გადავიტანე ნაპირზე.

მეორე დღეს კიდევ ერთი გზა გავაკეთე. რასაც კი მოვერიე, არაფერი დამიტოვებია. ამჯერად შევუდექი ბაგირების გადმოტანას. დიდი ბაგირი წვრილ-წვრილად დავჭერი, რომ უფრო ადვილად გადამეტანა, და ყოველგვარი ადვილადგადასატანი რკინეულობაც მათ მივუმატე, მაგრამ ისეთი მოუხეშავი და დიდი იყო ეს ტვირთი, რომ მდინარის შესართავში ტივი მარჯვედ ვეღარ მივაყენე ხმელეთს და გადაყირავდა. რაც ზედ მეწყო, წყალში ჩაცვივდა. მე თვითონ ადვილად გადავრჩი, რადგან ნაპირთან ახლოს ვიყავი. ჩემი ტვირთიდან კი ბევრი რამ დაიკარგა, განსაკუთრებით რკინეულობა, რომელიც დიდად გამომადგებოდა კუნძულზე. ზღვის მიქცევის დროს ჩავყვინთე წყალში და ბაგირის

ნაგლეჯები ამოვიღე, ცოტაოდენი რკინის ნატეხებიც ამოვკრიფე, მაგრამ ძალიან გავწვალდი. ძნელი იყო ღრმად ჩაყვინთვა და ძებნა, არაქათი გამომეღია. ამის შემდეგაც არ შემინწყვეტია მოგზაურობა: ყოველდღე დავდიოდი და ახალ-ახალი რამეები გადმომქონდა.

ცამეტი დღის გამორიყული ვიყავი ნაპირზე და უკვე თერთმეტი გზა გავაკეთე. ყველაფერი გადმოვზიდე გემიდან, რასაც ადამიანის ორი ხელი მოერეოდა. კიდევ რომ ეცლია ამინდს, მთელ გემსაც გადმოვიტანდი ფიცარ-ფიცარ. მაგრამ, როცა მეთერთმეტე გზისთვის მოვემზადე, შევატყვე, ქარი ახლოვდებოდა. მაინც არ შევეპუე და ზღვის მიქცევისას კვლავ შევცურე. კაიუტა პირველადვე ისე მქონდა დაძებნილ-გადაქეჩილი, რომ აღარ მეგონა შიგ რამე თუ დამრჩებოდა. მაგრამ ახლა უჯრებიანი კარადა აღმოვაჩინე. ერთ-ერთ უჯრაში წავაწყდი სამ სამართებელს, დიდ მაკრატელსა და ათ თუ თორმეტ წყვილ მშვენიერ დანაჩანგალს. მეორე უჯრაში ვიპოვე ოცდათექვსმეტი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ევროპული და ბრაზილიური ოქროსა და ვერცხლის ფული.

ფულის დანახვაზე გამეღიმა.

- ჰოი, ხარახურავ! - ვთქვი ხმამაღლა, - რის მაქნისი ხარ? რაში გამომადგები? იმდაც კი არ მიღირხარ, რომ დავიხარო და აგილო. ეს ერთი დანა მირჩევნია ამ დახვავებულ ფულს. რად მინდიხარ, აქვე დარჩი და ზღვაში ჩაიძირე იმ არსების მსგავსად, რომელიც გადარჩენის ღირსი არ არის.

მერე მაინც გადავიფიქრე, ფული ტილოს ნაჭერში შევახვიე და იმაზე დავფიქრდი, როგორ შემეკრა ტივი. მაგრამ, სანამ ტივის მომზადებით ვიყავი გართული, ცა შავი ღრუბლით დაიფარა; ქარი თანდათან მატულობდა და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ნაპირიდან მძლავრად დაუბერა. მაშინვე მივხვდი, რომ ფუჭი იყო ტივის ნაპირისკენ წარმართვა, ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით. ახლა იმაზე უნდა მეზრუნა, როგორმე თვითონ გავცლოდი აქაურობას, სანამ ტალღები მომძლავრდებოდნენ, თორემ მერე ვეღარ მივაღწევდი ნაპირს. მაშინვე გადავეშვი წყალში და დიდი გაჭირვებით გავცურე ნაპირისკენ. ქარი კი სწრაფად ძლიერდებოდა და მალე მძვინვარე ქარიშხალი დატრიალდა. მაგრამ მე მოვასწარი, მივაღწიე პატარა კარავს და ჩემს გადარჩენილ ავლადიდებსა. მთელ ღამეს მძვინვარებდა ქარიშხალი, ხოლო დილით, როცა გავიხედე, გემის ნატამალიც კი აღარ ჩანდა ზღვაში. ამან, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა, მაგრამ მალევე ვანუგეშე თავი: მე ხომ დრო არ დამიკარგავს, არც ძალ-ღონე დამიზოგავს, რომ ყველა სა-

სარგებლო ნივთი ნაპირზე გადმომეტანა. და კაცმა რომ თქვას, თუნდაც დამცლოდა, ბევრი აღარაფერი დამრჩენია ისეთი, რასაც მოვერეოდნი და გადმოვიტანდი.

*

ამის შემდეგ გემზე ფიქრს თავი გავანებე. ოღონდ ვიცოდი, გემის ნამსხვრევებს თავისით გამოავდებდა ზღვა, და გამორიყა კიდეც რამდენიმე ხნის შემდეგ, მაგრამ მეტად უმნიშვნელო და ჩემთვის გამოუსადეგარი ნამტვრევები.

ახლა საფიქრალი ისლა დამრჩა, როგორ დამეფარა თავი ველურებისა და მხეცებისაგან, თუკი გამოჩნდებოდნენ კუნძულზე. ბევრი ვიფიქრე, როგორ შევბრძოლებოდი მათ, როგორი ბინა მომემზადებინა - მიწაში მომეწყო სადგომი, თუ მიწის ზევით დამედგა კარავი, და ბოლოს გადავწყვიტე, ერთიც მომეწყო და მეორეც.

მალე დავრწმუნდი, რომ ის ადგილი, სადაც მე ვიყავი დამკვიდრებული, საცხოვრებლად არ გამომადგებოდა, რადგანაც ზღვის ნაპირი იყო - დაბლობი და ჭაობიანი, თანაც ახლო-მახლო სასმელი წყალი არ მოიპოვებოდა. გადავწყვიტე, სხვა ადგილი მომეძებნა - უფრო მოხერხებული და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო.

რამდენიმე საკითხი უნდა გამეთვალისწინებინა საცხოვრებელი ადგილის ამორჩევისას: პირველი, - როგორც უკვე აღვნიშნე, უვნებელი უნდა ყოფილიყო და სასმელი წყალიც ახლო მქონოდა; მეორე - მზის გულზე არ უნდა ყოფილიყო; მესამე - დაცული უნდა ყოფილიყო მტაცებლებისგან - ადამიანი იქნებოდა ეს თუ მხეცი; მეოთხე - ზღვა არ უნდა დამეკარგა მხედველობიდან, რადგანაც, ვინ იცის, იქნებ ბედს გამოეგზავნა ჩემთვის მხსნელი გემი და მეც მზად უნდა ვყოფილიყავი - ამ იმედს ვერაფრით შეველეოდი.

კარგა ხნის ძებნის შემდეგ გამოვნახე პატარა მინდორი გორაკის ძირში, რომელიც მინდვრის მხარეს ციცაბო კლდედ ეშვებოდა. ამავე კედელს დაბლა, ზედ მინდორთან, გამოქვაბულის შესასვლელის მსგავსი პატარა ღრმული ჰქონდა, თუმცა არა გამოქვაბულივით ღრმა.

გადავწყვიტე, რომ სწორედ ამ ღრმულის წინ, მწვანე მინდორზე დამედგა კარავი. მინდორი გორაკის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე-

ობდა და, ამრიგად, მთელი დღის განმავლობაში მოფარებული იყო მზის მცხუნვარებას. მზე შემონათებდა მხოლოდ საღამოთი, ჩასვლის წინ, როცა ის სამხრეთ-დასავლეთით გადაიხრებოდა ხოლმე.

სანამ კარავს გავშლიდი, ღრმულის წინ ათიოდე იარდის რადიუსით ნახევარწრე შემოვხაზე. შემდეგ ამ წრეში ორ მწკრივად, ერთმანეთისაგან ორიოდე გოჯის დაშორებით ჩავსვი წვერწამახული მარგილები და საგულდაგულოდ გავამაგრე. დაახლოებით ხუთ-ნახევარი ფუტის სიმაღლის მესერი ისეთი მაგარი გამოვიდა, რომ ვერც ერთი არსება - კაცი თუ მხეცი - ვერც შეძვრებოდა და ვერც ზევიდან გადახტებოდა. ამ საქმეს კარგა დიდხანს მოვუნდი და ღონეც ბლომად შევალე. განსაკუთრებით ძნელი იყო მარგილების გამოჭრა ტყეში, ადგილზე მოზიდვა და მიწაში ჩარჭობა.

მესერში კარი არ გამომიჭრია, შესასვლელად პატარა კიბე გავაკეთე, რომელსაც შესვლის შემდეგ ჩამოვხსნიდი ხოლმე. ასე რომ, მთლიანად დაცული ვიყავი გარესამყაროსაგან და, რაღა თქმა უნდა, ღამით მშვიდად მეძინა; ასე რომ არ გავმაგრებულიყავი, რა დამაძინებდა მოსვენებით! თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამდენი სიფრთხილე სულაც არ იყო საჭირო - არავითარი მტერი და საშიშროება არ მელოდა თურმე გარედან.

დიდი შრომა დამჭირდა, რომ ამ ღობესა თუ სიმაგრეზე გადამეტანა მთელი ჩემი ავლადიდება. წელიწადის განსაზღვრულ დროს იმ მხარეს საშინელი წვიმები იცის. ამიტომ ორი კარავი გავშალე - ერთი მომცრო, შიგნით, მეორე კი, უფრო დიდი, ზემოდან გადავაფარე. კარავი გადავხურე გემიდან წამოღებული დიდი ბრეზენტით.

ახლა მიწაზე კი აღარ მეძინა ძველებურად - არამედ არხეინად ვიწექი ჰამაკში, რომელიც მართლაც რომ მშვენიერი რამ იყო. ეს ჰამაკი ადრე კაპიტნის თანაშემწეს ეკუთვნოდა.

კარავში შემოვიტანე ყველაფერი, რასაც ნესტი აფუჭებს. მერე ღია შესასვლელი ისევ ამოვხერგე და მას მერე, როგორც უკვე ვთქვი, იმ პატარა კიბით გადავდ-გადმოვდიოდი.

ამას რომ მოვრჩი, ახლა კლდეს მივადექი და სწორედ ჩემი კარავის უკან გამოქვაბულის გამოჭრა დავიწყე. მიწა და ქვები გარეთ გამოქონდა და ღობის ძირში ვყრიდი. ასე რომ, მიწამ შემოღობილში თითქმის ფუტ-ნახევრით აიწია. კარვის უკან გამოჭრილი გამოქვაბული საკუჭნაოს მაგივრობას გამიწევდა.

სანამ ამ საქმეებს მოვრჩებოდი, კარგა ხანი გავიდა. ახლა მინდა დავუბრუნდე ზოგიერთ ისეთ რამეს, რითაც მაშინ ჩემი ფიქრები იყო მოცული. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვიფიქრე, როგორ დამედგა კარვები და გამეჭრა გამოქვაბული, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, დაჭეცა. ელვას ისე არ შევუშინებია, როგორც შემადრწუნა ერთმა ფიქრმა, რომელმაც მართლაც რომ ელვის სისწრაფით გამკრა თავში: ჩემი დენთი! გული ჩამწყდა, როცა წარმოვიდგინე, რომ ერთ მესხ შეეძლო სულ გაენადგურებინა დენთის მარაგი.

ისე შევშფოთდი, რომ ჩადგა თუ არა ქარიშხალი, ყოველგვარი საქმე გვერდზე გადავდე: კარვის გამართვაცა და ბინის გამაგრებაც. შევუდექი ყუთების შეკვრასა და ჩანთების გამოჭრას, რომ დენთი დამენაწილებინა და ცალ-ცალკე შემენახა, რათა, თუ აფეთქდებოდა, ყველას ერთბაშად არ წაჰკიდებოდა ცეცხლი. ამ საქმეს მოვუნდი თითქმის მთელი ორი კვირა. ჩემი დენთი, რომელიც დაახლოებით ორას ორმოცამდე გირვანქა იქნებოდა, არა ნაკლებ ას ნაწილად დავყავი. რაც შეეხება იმ კასრს, რომელშიაც დასველებული დენთი იყო, დიდად არ შემიწუხებია თავი, პირდაპირ შევაგდე გამოქვაბულში, ანუ „სამზარეულოში“. დანაწილებული დენთი კი მოვათავსე სხვადასხვა ადგილას, კლდის ნაპრალებსა და სოროებში, სადაც სინესტე ვერ მისწვდებოდა, და ყველა ადგილი საგულდაგულოდ დავნიშნე.

ამ ხნის განმავლობაში, შესვენების დროს, დღეში ერთხელ, ხან კი უფრო ხშირად, თოფს დავავლებდი ხოლმე ხელს და გულის გადასაყოლებლად გავიდოდი. თანაც მინდოდა იქაურობას გავცნობოდი და ისიც გამომერკვია - საკვებად გამოსადეგი ნადირი თუ მოინახებოდა.

პირველსავე გასვლაზე დავრწმუნდი, რომ კუნძულზე თხები იყვნენ. ამან ძალზე გამახარა, მაგრამ სიხარულს წყენაც დაერთო, რადგან ისე ფრთხილნი, ამასთან ისე მარდნი და მოქნილნი იყვნენ ეს თხები, რომ მიპარვით მიახლოება უძნელესი საქმე იყო ქვეყნად. მალე შევნიშნე, რომ როცა თხები კლდეზე იყვნენ და მე მინდორზე გამოვდიოდი, საშინლად დაფრთხებოდნენ და მყისვე გაქრებოდნენ, ხოლო, როცა ისინი ბალახსა სძოვდნენ მინდორში, მე კი კლდეზე ვიდექი - თითქოს არაფერი, ვერ შემნიშნავდნენ. მაშინ დავასკვენი, რომ მათ განსხვავებული თვალები ჰქონდათ - იყურებოდნენ მხოლოდ დაბლა და მათზე მალლა მდგომს ვერა ხედავდნენ. შემდეგში ამით ვსარგებლობდი ხოლმე: ავდიოდი კლდეზე, ზემოდან მოვექცეოდი და ნიშანში მშვენივრად ვიღებდი.

პირველი გასროლით მოვკალი ერთი დედალი თხა, რომელსაც პა-

წია თიკანი ახლდა და ძუძუსა სწოვდა. ამან გული დამწყვიტა. დედა თხის მოკვლის შემდეგაც გაუნძრევლად იდგა თიკანი. ეს კიდევ არაფერი. როცა თხა მოვიგდე მხარზე და გამოვბრუნდი, თიკანი ფეხდაფეხ ამედევნა და შემოღობილამდე მომყვა. მაშინ თხა ძირს დავდე, თიკანი ავიტაცე და გადავიყვანე იმ იმედით, რომ გავბრდიდი და მოვიშინაურებდი, მაგრამ პირი არაფერს დააკარა. ამიტომ იძულებული გავხდი, დამეკლა და თვითონვე მეჭამა. ამ ორი თხის ხორცი კარგა ხანს მეყო, რადგან, როგორც შემეძლო, ვიზოგავდი. ვუფრთხილდებოდი სანოვანებს, განსაკუთრებით კი პურს.

საშინელი ქარიშხლის მიერ ამ უდაბურ კუნძულზე ასე უთვისტომოდ გამორიყულს, რა თქმა უნდა, სრული საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ განგების ძალით მეწერა ამ სივალაზეში დამელია სული. ამას რომ გავიფიქრებდი, ცრემლები ლაპალუპით მცვიოდა, მაგრამ რალაც ძალა ყოველთვის დამაგმობინებდა ხოლმე ასეთ ფიქრებს და დამტუქსავდა. უცებ იმასაც გავიფიქრებდი ხოლმე, როგორ ჩინებულად მოვეწყვე-მეთქი. ან მაშინ რა დღეში ვიქნებოდი, რომ გემი იმ მეჩჩიდან ნაპირისაკენ არ გამოერიყა ტალღებს და საშუალება არ მომცემოდა იქიდან ნივთები გადმომეზიდა. აბა მაშინ მეკითხა შავი დღე, ისევ დედიშობილა რომ დავრჩენილიყავი ამ კუნძულზე, როგორც პირველ დღეს ვიყავი, ულუკმაპუროდ და უიარალოდ?! „განსაკუთრებით კი, - ხმამაღლა მივმართე ჩემივე თავს, - რა უნდა გამეკეთებინა უთოფოდ და უტყვიანამლოდ, უხელსაწყობოდ, უტანსაცმლოდ, ულოგინოდ, უკარვოდ? როგორ გავძლებდი, თუკი

თავშესაფარი არ მექნებოდა?“ ახლა ყველაფერი უხვადა მაქვს და შემიძლია დამშვიდებით ვიყო, რადგან, როცა ტყვია-წამალი გამომელევა, სხვა რამეს ვიღონებ, უთოფოდაც იოლას გავალ. თავიდანვე დავიჭირე ყველაფრის თადარიგი, გავითვალისწინე ყოველგვარი მოსალოდნელი და მოვემზადე არა მარტო იმ დროისათვის, როცა ტყვია-წამალი გამომელეოდა, არამედ იმ დღისათვისაც, როცა ძალ-ღონე და ჯანის სიმრთელე მიმტყუნებდა.

უნდა გამოვტყდე, სულაც არ მომსვლია თავში, ერთი ხელის დაკვრით თუ შეიძლებოდა ჩემი ტყვია-წამლის განადგურება. მე ის მინდა ვთქვა, არც მიფიქრია-მეთქი, რომ მეხს შეეძლო ერთბაშად აეფეთქებინა იგი. ამიტომაც იყო, ასე რომ შემამოფოთა ჭეჭა-ქუხილმა.

ჩემი გამოანგარიშებით, პირველად ამ საშინელ კუნძულზე ფეხი შევდგი 30 სექტემბერს.

ასე, ათი-თორმეტი დღე რომ გავიდა, უცებ გავიფიქრე, რომ წიგნებისა და მელან-კალმის უქონლობის გამო ანგარიში ამერეოდა და კვირა დღეებსაც კი ველარ გამოვარჩევდი. ამის გამო ავდექი და კარგა მოზრდილ ძელზე დიდრონი ასოებით ამოვჭერი: „ამ ადგილას გამოვირიყე ნაპირზე 1659 წლის 30 სექტემბერს“. მერე ეს ძელის ნაჭერი დიდ ბოძს გავაკარი ჭვარედინად და სწორედ იმ ადგილას ჩავარტყე, სადაც პირველად გამოვედი ნაპირზე. ამ ძელზე ყოველდღიურად თითო პატარა ნაჭდევესა ვჭრიდი ხოლმე დანით. ყოველთვის პირველი დღე კიდევ უფრო გრძელი იყო. ასე ვავსებდი ჩემს კალენდარს; ვსაზღვრავდი დროს კვირაობით, თვეობითა და წლებით.

ზემოთ, როცა გემიდან გადმოზიდული ნივთები ჩამოვთვალე, მე გამომჩნა ბოგიერთი, შედარებით ნაკლებღირსშესანიშნავი ნივთი, რომლებიც სხვებზე არანაკლებ სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვის. მაგალითად, კაპიტნის კაიუტაში ვიპოვე კალამი, მელანი და ქალაღდი, სამიოთხი კომპასი, ასტრონომიული ხელსაწყოები, მზის საათები, ჭოგრიტები, რუკები და სანავიგაციო წიგნები. ეს ყველაფერი უთავბოლო ჩავყარე, არ ვიცოდი, გამომადგებოდა თუ არა. ჩემს ნივთებში წავაწყდი აგრეთვე სამ მშვენივრად ამოცემულ ბიბლიას, რომლებიც ოდესღაც ინგლისიდან ჩამომივიდა; რამდენიმე პორტუგალიურ წიგნს, მათ შორის ორ-სამ ლოცვანს.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გემზე ერთი ძალღი და ორი კატა გვყავდა, რომელთა შესახებ საინტერესო ამბავს გიამბობთ თავის დროზე. კატები თან წამოვიყვანე, ძალღი კი თავისით გადმოხტა და გამომყვა, როცა პირველი გზა გავაკეთე ნივთების გადმოსატანად. ამის შემდეგ წლების განმავლობაში ერთგულად მემსახურებოდა იგი. ყველაფერს მიკეთებდა, რის გაკეთებაც შეეძლო, ამხანაგობას მიწევდა. მაგრამ მე მიწოდოდა გამომლაპარაკებოდა კიდევ, - ეს კი მას არ

შეეძლო. როგორც უკვე ვთქვი, მე ვიპოვე კალმები, მელანი, ქალაღდი, რომელთაც ბოლომდე გამოზოგილად ვხმარობდი. სანამ მელანი გამითავდებოდა, ყველაფერს დაწვრილებით ვიწერდი ხოლმე, რაც თავს გადამხდებოდა, მერე კი მორჩა, ველარაფერს ვწერდი, რადგან, რამდენსაც არ ვეცადე, მაინც ვერაფერს გავხდი, ვერაფრით შევცვალე მელანი.

მელნის გარდა, მაინც კიდევ ბევრი საჭირო რამ მაკლდა: მაგალი-

თად, მიწის დასამუშავებელი იარაღები - ნინაბი, ბარი და წერაქვი; ნემსები, ძაფი და ქინძისთავი, აგრეთვე - თეთრეული, მაგრამ უიმისობას ადვილად შევეჩვიე.

*

საჭირო იარაღების უქონლობის გამო საქმე მძიმედ მიდიოდა. თითქმის მთელ წელიწადს მოვანდომე მესრის მთლიანად შემოვლებას და ბინის მოწყობას. ძალიან დიდი დრო წამართვა მარგილების მოჭრამ და გამოჩორკნამ ტყეში, ხოლო კიდევ უფრო დიდხანს მოვუნდი მათ შინ მოზიდვას. ზოგჯერ მთელი ორი დღე ვწვალობდი თითო ასეთი მარგილის გამოჭრასა და მოტანაზე, ხოლო მესამე დღე მიწაში ჩასობას მიჰქონდა. მიწაში ჩასარტობად ჯერ ხის დიდ უროს ვხმარობდი, მერე კი გამახსენდა, რომ ძალაყინი მქონდა, და ახლა იმით დავიწყე მუშაობა, თუმცა მაინცდამაინც დიდი შეღავათი არც ამით მიგრძენია - მეტად მომქანცველი და საჯახირო სამუშაო იყო.

სულ უფრო და უფრო სერიოზულად ვუფიქრდებოდი ჩემს მდგომარეობას და ვიწერდი ჩემს მაშინდელ ფიქრებს; იმდენად არა იმიტომ, რომ შემდეგ იგი ვინმე ჩემივე დღეში ჩავარდნილი ვაცისათვის დამეტოვებინა, - ასეთი მემკვიდრე ალბათ არ მეყოლებოდა, - არამედ გამომეთქვა ჩემი ყოველდღიური განცდები, რაც მაშინ სულს მიწეწავდა, და ამით ერთგვარი შვება მეგრძნო. ჩემი გონება თანდათან მოერია სასოწარკვეთილებას და როგორც შემეძლო, ვინუგეშებდი ხოლმე თავს: ხომ შეიძლებოდა უარეს დღეშიაც ჩავვარდნილიყავი-მეთქი. ჩემს უბედურებას ვუპირისპირებდი იმ სიკეთეს, რასაც ასე თუ ისე ვეწიე. დავიწყე ჩემი მდგომარეობის ორი მხარის ერთმანეთის დაპირისპირებით ჩაწერა, თითქოს კრედიტორის ანგარიში ყოფილიყო.

უარყოფითი: საშინელ, უდაბურ კუნძულზე გადმომხვეწა ბედმა. გადარჩენის ყოველგვარი იმედი დავკარგე. ყველას დავშორდი, მოწყვეტილი ვარ მთელ ქვეყანას. უთვისტომოსა და განდევილს ტანსაცმელი თითქმის აღარ მაქვს, მალე სულ ტიტველი ვიქნები. თან არაფერი მაქვს, რომ მხეცებსა და ველურებს გავუმკლავდე. არც არავინ მყავს, რომ გამომელაპარაკოს.

დადებითი:

ცოცხალი დავრჩი. ჩემი თანამგზავრებივით არ დავმხრჩვალვარ.

შიმშილით არ მოვმკვდარვარ და არ დავლუპულვარ ამ გავერანებულ კუნძულზე, სადაც არსებობის არავითარი პირობები არ არის. ჰავა აქ ისეთი ცხელია, რომ, თუნდაც ბევრი მქონდეს ტანსაცმელი, ალბათ მაინც ვერ ჩავიცვამდი. ისეთ კუნძულზე გამოვირიყე, სადაც სულაც არ ჩანს მხეცები. რა მეშველებოდა, აფრიკის სანაპიროებზე რომ მოვხვედრილიყავი? ღმერთმა სასწაულებრივად მოუახლოვა გემი ნაპირს, რათა შემძლებოდა ისეთი საჭირო ნივთების გადმოტანა, რომლებიც ყოველდღიურად გამომადგება და სიკვდილამდე უზრუნველმყოფს.

*

ერთი სიტყვით, ეს ჩანაწერი ცხადად გვაჩვენებს, რომ ასეთ შავ დღეში იშვიათად თუ ჩავარდნილა ვინმე, და ამის მიუხედავად, მასში იყო დადებითიც, რისთვისაც მაღლობელი უნდა ვიყო.

ქვეყნად ყველაზე უფრო გაუბედურებული კაცის ეს მწარე გამოცდილება მაგალითად გამოადგება ყველას: - რა დღეშიაც უნდა ჩავცვივდეთ, ნუგეშის მონახვა მაინც მუდამ შეიძლება.

ახლა, როცა უკვე თანდათან დავიწყე ჩემს მდგომარეობასთან შეგუება, თავი გავანებე ზღვისკენ წარამარა ცქერას და გემის ძიებას, თავს ძალას ვატანდი, რომ შევჩვეოდი ყველაფერს და რამდენადაც შემეძლო, შვება მეპოვა ცხოვრებაში.

მე უკვე აგიწერეთ ჩემი საცხოვრებელი: კლდის ძირას გაშლილი კარავი, რომელსაც ნახევრად მკვრივი მესერი ერტყა, უფრო სწორად, კედელი, რადგანაც გარედან, მესრის გასწვრივ, კარგა ორი ფუტის სისქის მიწა დავაზვინე, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ კლდიდან ამ კედლამდე ლატანები დავუშვი და რტოებითა და ფოთლებით გადმოვხურე წვიმისაგან თავის დასაცავად.

პირველ ხანებში ისე უთავბოლოდ ეყარა ნივთები კარავში, რომ გვერდს ვერ აუვლიდით. ამიტომ შევუდექი გამოქვაბულის გაფართოებას. რაკი მხეცების შიში აღარ მქონდა, მშვიდად ვკვეთდი კლდეს და ბოლოს, ჩემი კარვის მახლობლად, კარი გამოვჭერი.

ეს მეორე შესასვლელი მარტო მისვლა-მოსვლას კი არ მიადვილებდა, არამედ იმითაც იყო კარგი, რომ ნივთები უფრო ხალვათად გავშალე.

ამას რომ მოვრჩი, ისეთი რამეების კეთება დავიწყე, რაც ყველაზე მეტად მჭირდებოდა. უპირველესად საჭირო იყო მაგიდა და სკამი, რადგან უამათოდ ხეირიანად ვერ დავწერდი, ვერ ვჭამდი, ბევრ სხვა საქმესაც ვერ გავაკეთებდი.

ჩემს დღეში უბრალო სადურგლო ხელსაწყოც კი არ ამელო ხელში, მაგრამ ახლა, ამ პირობებში, მონდომებისა და სიბეჯითის წყალობით აღმოჩნდა, რომ ყოველგვარი ნივთის გაკეთება შემეძლო, მით უმეტეს, ხელსაწყოები თუ მექნებოდა. მე კი მარტო ნაჯახით და შალაშინით ვმუშაობდი, ამიტომ ფიცარი რომ დამჭირდებოდა, უნდა მომეჭრა ხე, გამესხეპა, გამომეჩორკნა, ორივე მხრიდან გამეთალა, გამეთხელებინა და მერე შალაშინით გამეჩანდა.

მართალია, ასეთი მუშაობით თითო ხიდან მხოლოდ თითო ფიცარს ან ლატანს გამოვთლიდი ხოლმე, ისიც წარმოუდგენელი შრომითა და დროსი დახარჯვით, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, - ერთადერთი წამალი ამისა მოთმინება იყო.

ერთი სიტყვით, უპირველესად, როგორც ვთქვი, სკამი და მაგიდა გავაკეთე, ამათზე დავხარჯე ტივით გადმოზიდული მოკლე ფიცრები და ძელაკები, ხოლო ის ფიცრები, ზემოთ აღწერილი ხერხით რომ გამოვთალე, თაროებად გამომადგა. ასეთი თაროები - თითოეული დაახლოებით ერთ-ნახევარი ფუტისა - გამოქვაბულის კედელს მივაჭედე, ერთიმეორის ზევით და ზედ ლურსმნები და რკინეული დავაწყვე, რათა როცა დამჭირდებოდა, ადვილად მიმეგნო. კედელში პალოები ჩავარჯე და ზედ თოფები და ზოგიერთი სხვა ნივთი ჩამოვკიდე. მალე ჩემი გამოქვაბული საწყობს დაემსგავსა. ყველაფერი თავ-თავის ადგილას მქონდა შენახული და მიხაროდა, როცა შევყურებდი ამ სამაგალითო წესრიგს.

შემდეგ ხელი მივყავი დღიურის წარმოებას. პირველ ხანებში გაწამაწიაში ვიყავი და იმდენად არა მუშაობით, რამდენადაც ჩემი სულიერი აფორიაქების გამო. მაშინვე რომ დამეწყო დღიურის წერა, იგი სავსე იქნებოდა განწირული ფიქრებითა და განცდებით. აი, როგორი იქნებოდა, მაგალითად, მისი პირველი ფურცელი: „30 სექტემბერი: მოვალწიე თუ არა ნაპირს და

დახრჩობას გადავრჩი, პირღებინება დამაწყებინა იმ მარილიანი წყლისაგან, რომელიც ბლომად ვყლაპე ზღვაში, ხოლო ცოტა რომ მოვმჯობინდი, ნაცვლად იმისა, ღმერთისთვის მადლი მომეხსენებინა გადარჩენის გამო, ნაპირის გასწვრივ სირბილი დავიწყე, ხელებს ვიმ-

ტვრევი, თავ-პირში ვიცემდი და ჩემს უბედურებას მოვთქვამდი. ბოლოს არაქათი გამომელია და მიწაზე დავეცი, მაგრამ დაძინება ვერ გავბედე, მეშინოდა, მხეცებმა არ დამგლიჯონ-მეთქი“.

მაგრამ თანდათან ასე თუ ისე გავმხნევი და მდგომარეობას შევეჩვიე. როცა ბინა მოვამზადე, სკამი და მაგიდა გავიკეთე, და რაც შემეძლო, ყველაფერი ლაზათიანად მოვაწყვე, შევუდექი დღიურების წერას. ამ დღიურებს სიტყვასიტყვით ვათავსებ აქვე (თუმცა იგი განმეორება იქნება ერთხელ უკვე მოთხრობილისა). დღიურებს ვწერდი, სანამ მელანი გამომელეოდა, მერე კი იძულებული გავხდი, თავი დამენებებინა.

დღიური

30 სექტემბერი, 1659 წ. მე, გაუბედურებული რობინზონ კრუზო, მძვინვარე ქარიშხლის დროს გემის მარცხში მოვეყვი და გამოვირიყე ამ გავერანებულ, ბედუკუღმართ კუნძულზე, რომელსაც „განწირულების კუნძული“ შევარქვი. ჩემი თანამგზავრები ყველანი დაიღუპნენ და მეც სანახევროდ მკვდარი ვარ.

მთელი დღე ჩემს უბედურ მდგომარეობაზე მოვთქვამდი: არც საჭმელი მქონდა, არც იარაღი, არც ტანსაცმელი და არც თავშესაფარი. არსაიდან იმედი არა ჩანდა და წინ სიკვდილს ვხედავდი: ან მხეცები დამგლეჯენ, ან კაციჭამია ველურები მომიღებენ ბოლოს და ან შიმშილით ამომხდება-მეთქი სული. სალამო ხანს ხეზე ავედი და იქ დავიძინე, რადგან ნადირისა მეშინოდა, და, თუმცა მთელი ღამე წვიმდა, მე მაინც მაგრად მეძინა.

1 ოქტომბერი. დილით ძალიან გამიკვირდა, როცა ვნახე, რომ ტალღებს გემი ნაპირთან ახლოს მოეცურებინათ. ერთი

მხრივ, იმედი მომეცა, ქარის ჩადგომის შემდეგ სურსათი და სხვა საჭირო ნივთები გადმომეტანა; მეორე მხრივ კი, სევდა კვლავ განმიახლდა, რადგან დაღუპული ამხანაგები მომაგონდნენ. თითქმის მთელი დღე მოსვენება არ მქონდა ავი ფიქრებისაგან. ბოლოს, როგორც იქნა, იკლო წყალმა და მეც მივცურე გემთან იმ დღეს დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა, თუმცა ქარი ჩადგა.

1-24 ოქტომბერი. ეს დღეები მთლიანად გემიდან ნივთების გადმოზიდვას მოვანდომე. ზღვის მიქცევისთანავე მივცურდებოდი ხოლმე გემთან და იქიდან ტივებით გადმომქონდა ყველაფერი. ისიც უნდა ით-

ქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ წვიმდა და იშვითად თუ გადაიკარებდა. ეტყობა, წვიმების პერიოდი იდგა.

20 ოქტომბერი. ტივი გადამიბრუნდა და რაც კი რამ მელაგა, წყალში ჩამიცვივდა, მაგრამ ზღვის მიქცევის შემდეგ ბევრი რამ ვიპოვე წყალში.

25 ოქტომბერი. მთელი დღე-ღამე წვიმდა. გემი ნაკუწ-ნაკუწად აქცია ქარიშხალმა და უკვე აღარაც ჩანდა ნაპირიდან: ქარი რომ ჩადგა და წყალმა იკლო, მხოლოდ მაშინ გამოჩნდა მისი ნამსხვრევები. მთელ დღეს ჩემი ნივთების დალაგებას მოვუხდი, რომ წვიმას არ გაეფუჭებინა.

26 ოქტომბერი. თითქმის მთელ დღეს სანაპიროზე დავდიოდი და ისეთ ადგილს ვარჩევდი, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა საცხოვრებლის მოწყობა, სადაც დაცული ვიქნებოდი ღამით მხეცებისა და ველური ადამიანების თავდასხმისაგან. საღამოს მივაგენი მოხერხებულ ადგილს კლდის ძირში და კარვების დასადგმელად ნახევარწრე მოვხაზე. გადავწყვიტე ირგვლივ ორ წრედ მესერი შემომევლო და გამემაგრებინა, გარედან კი მიწა დამეზვინა.

26-30 ოქტომბერი. ტვირთი ახალ ბინაზე გადმომქონდა, თუმცა ზოგჯერ კოკისპირული წვიმა დაუშვებდა ხოლმე.

31 ოქტომბერი. გათენდა თუ არა, თოფს ხელი დავავლე და კუნძულის დასათვალიერებლად გავეჩე. მოვკალი ერთი დედალი თხა, მისი თიკანი უკან ამედევნა; მერე ეს თიკანიც დავკალი, რადგან პირს არაფერს აკარებდა.

1 ნოემბერი. კლდის ძირში კარავი დავდგი და ღამე შიგ გავათიე. მერე მარგილები ჩავასვი და ჰამაკი გავაბი.

2 ნოემბერი. შევაგროვე, რაც კი რამ ყუთები და ფიცრები მქონდა და კარავს შემოვავლე ღობედ.

3 ნოემბერი. ორი ფრინველი მოვკალი. გემრიელი ხორცი აღმოაჩნდა. ნაშუადღევს მაგიდის კეთებას შევუდექი.

4 ნოემბერი. დღეს დილით დროის განაწილება დავიწყე; - გამოვყავი განსაზღვრული საათები სამუშაოდ, სანადიროდ, ძილისა და გართობისათვის. ყოველ ცისმარე დღეს თოფს დავავლებდი ხელს და თუ არ წვიმდა, მთელი სამი საათით გავდიოდი სანადიროდ; თორმეტ სა-

ათამდე ვმუშაობდი, მერე ვსადილობდი და თორმეტიდან ორამდე მე-
ძინა, რადგან ამ დროს აუტანლად ცხელა ხოლმე. საღამოს კვლავ რა-
იმე საქმეს ვკიდებდი ხელს. დღევანდელი სამუშაო საათები მაგიდის
კეთებას მოვანდომე, რადგან ვერაფერი შვილი დურგალი ვარ.

5 ნოემბერი. დღეს თოფი ავიღე და ძალიც გავიყოლე. მოვკალი
გარეული კატა, რომლის ბეწვი მეტად ფაფუკია, ხორცი კი - გამოუსა-
დეგარი. რაც უნდა მოვკლა, ვატყავებ და ტყავს ვინახავ. დაბრუნებისას
ზღვის ნაპირზე უცხო ჯიშის ზღვის ფრინველებს წავაწყდი. ცოტა არ
იყოს, შემაშინა ორმა თუ სამმა სელაპმა, რადგან პირველად ვერ ვიცა-
ნი. როცა დავაშტერდი, გაბრუნდნენ და ზღვაში მიიმალნენ.

6 ნოემბერი. დილის გასეირნების შემდეგ ისევ მაგიდის კეთებას
დავუბრუნდი და მოვრჩი კიდევ, თუმცა რომ მიხდოდა, ისეთი ვერ გა-
მოვიდა. მალე დავხელოვნდი დურგლობაში.

12 ნოემბერი. კარგი დარები დაიჭირა. 7, 8, 9, 10 და 12 ნოემბრის
შუადღემდე (მე-11 კვირა იყო) სკამის კეთებას მოვუნდი. რამდენს არ
ვეწვალე, რომ ასე თუ ისე ხეირიანი გამოსულიყო, მაგრამ ვერაფერს
გავხდი.

შენიშვნა: მალე თავი გავანებე კვირადღეობით უქმობას, რადგან
დაფაზე გრძელი ნაჭდევით აღარ გამოვყოფ ხოლმე დღეებს და ამე-
რია.

13 ნოემბერი. დღეს წვიმა მოდიოდა. ამან მეც გამომაცოცხლა და
მიწაც გააგრილა, მაგრამ ისეთი ჭექა-ქუხილი მოჰყვა, რომ შევშინდი -
დენტის აფეთქებისა მეშინოდა. გადავწყვიტე, როგორც კი გამოიდა-
რებდა, დენთი ბევრ ნაწილად დამეყო და უხიფათო ადგილას შემენა-
ხა.

14-16 ნოემბერი. ეს სამი დღე პატარა კოლოფებისა და ჩანთების
დამზადებას მოვანდომე, რომლებშიაც თითო ან, სულ ბევრი, ორ-ორი
გირვანქა დენთი ჩაეტეოდა. ამრიგად, დავანაწილე ჩემი დენთი და,
რამდენადაც კი შემეძლო, ერთმანეთის დაშორებით მოვათავსე. მოვ-
კალი რაღაც დიდი ფრინველი. ხორცი გემრიელი ჰქონდა, მაგრამ რა
ჯიშისა იყო, ვერ გამოვიცანი.

17 ნოემბერი. დღეს დავიწყე ჩემი გამოქვაბულის გაფართოება.
კლდე გამოვჭერი, რომ უფრო კარგად მოვეწყო.

შენიშვნა: ამ საქმის შესასრულებლად განსაკუთრებით სამი იარაღი იყო საჭირო: წერაქვი, ბარი და ურიკა. წერაქვად ძალაყინი გამომადგებოდა, ნიჩაბსა და კალათს კი ვერაფერი მოეუხერხე. უიმათობა კი არაფრით არ შეიძლება. არ ვიცი, რა ვქნა.

18 ნოემბერი. ტყეში შესაფერისი მასალის ძებნისას წავაწყდი ხეს, ანუ იმის მსგავსს, რომელსაც განსაკუთრებული სიმაგრისა

და სიმკვრივის გამო ბრაზილიაში რკინის ხეს უწოდებენ. გამოვჭერი ხე - თუმცა ბევრი ვიწვალე და ნაჯახიც დავაჩლუნგე - და დიდი ვივაგლახით შინ წამოვათრიე. მეტისმეტად მძიმე გამოდგა. უჩვეულო სიმკვრივის გამო ძალიან მიძნელდებოდა ამ ხის დამუშავება. თანდათან ნიჩბისა თუ ბარის სახე მივეცი. ტარი სწორედ ჩვენებური, ინგლისური გამოვთალე, მაგრამ პირი, - რაკი რკინა არ მქონდა ზედ წამოსაცმელად, - დიდხანს ვერ გაძლებდა. ამის მიუხედავად, მაინც კარგად გამომადგა მიწის სამუშაოებზე. დარწმუნებული ვარ, ჩემ გარდა არავის დაუმზადებია ასე ნიჩაბი და ისიც ამდენი ხნის მუშაობით.

მჭირდებოდა კიდევ კალათი ან ურიკა. კალათს ვერასგზით ვერ დაწვნიავდი, რადგან არ მქონდა შესაფერი მოქნილი წნელები. რაც შეეხება ურიკას, ასე მეგონა, ყველა ნაწილს დავამზადებდი ბორბლის გარდა, ბორბლისა კი არა გამეგებოდა რა. თანაც ღერძად გამოსადეგი რკინა არა მქონდა. ამაზეც ხელი ჩავიქნიე და გავაკეთე რაღაც ვარცლის მსგავსი, რომლითაც კალატოზებს კარი დააქვთ ხოლმე. ეს ნიჩაბზე გაცილებით უფრო ადვილი გასაკეთებელი იყო. თუმცა ნიჩაბს, ამ ვარცლსა და იმის ცდას, როგორმე ურიკა გამეკეთებინა, ოთხი დღე მოვანდომე. რა თქმა უნდა, დილის ნადირობა არ ჩამიგდია. ამას, საერთოდ, იშვიათად თუ გამოვტოვებდი და ნადირობიდან ხელცარიელიც იშვიათად დავბრუნებულვარ.

23 ნოემბერი. სანამ ამ იარაღების დამზადებას მოვრჩებოდი, ყოველგვარი სხვა საქმე გადავდე, მერე კი კვლავ დავიწყე ყოველდღიური მუშაობა, რამდენადაც ამის საშუალებას დრო და ძალ-ღონე მძლევდა. მთელი თვრამეტი დღე მოვუნდი ქვაბულის გაფართოება-გაღრმავებას.

შენიშვნა: სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორმე ისე გამეფართოებინა და მომეწყო გამოქვაბული, რომ მას საკუჭნაოს, სამზარეულოს, სასადილო ოთახისა და სარდაფის მაგივრობა გაეწია. მე თვითონ კი კარავში დავბინავდი და მხოლოდ წვიმიან დღეებში შევაფარებდი თავს მღვიმეს, როცა სახლში წყალი ჩამოდიოდა და მასველებდა. შემდეგ

იძულებული გავხდი, კლდიდან მესერზე ლატანები დამეშვა და ისლის სახურავის მსგავსად ზედ ფოთლები დამეყარა.

10 დეკემბერი.

უკვე დამთავრებული მეგონა ჩემი გამოქვაბული თუ სარდაფი, რომ უეცრად (ეტყობა მეტისმეტად დიდი ქვაბული გამოვთხარე) ერთ მხარეს მიწა ჩამოინგრა. ისე ძლიერი იყო ეს ნგრევა, რომ შემაშფოთა, და არცთუ უმიზნოდ, რადგან, ქვეშ რომ მოვყოლოდი, აღარასოდეს აღარ დამჭირდებოდა მესაფლავე. ამით კიდევ ბევრი სამუშაო გამაჩნდა: საჭირო იყო ჩამონგრეული მიწის გარეთ გაზიდვა და ჭერის ისე გამაგრება, რომ კვლავ ჩამონგრევის შიში აღარ მქონოდა.

11 დეკემბერი. შევუდექი საქმეს და სულ გავამაგრე ჭერი.

17 დეკემბერი. ამ დღიდან მოკიდებული 20 დეკემბრამდე თაროები გავაკეთე. ჭერის გამაგრებულ ბიჯგებზე ლურსმნებიც მივაჭედე, რომ, რის დაკიდებაც კი შესაძლებელი იყო ზედ დამეკიდებინა. თითქოს ყველაფერი მოვაგვარე გამოქვაბულში.

20 დეკემბერი. ყველაფერი შევიტანე გამოქვაბულში და სახლი დავალაგე. რამდენიმე ფიცარიც მივაჭედე სანოვავის დასაწყობად. მაგრამ ფიცრები ცოტალა დამრჩა. ერთი მაგიდა კიდევ გავაკეთე.

24 დეკემბერი. მთელი დღე-ღამე კოკისპირულად წვიმს, ფეხიც კი ვერ გავდგი გარეთ.

25 დეკემბერი. მთელი დღე წვიმს.

26 დეკემბერი. გამოიდარა. მიწა წინანდელზე უფრო გრილი და სასიამოვნოა.

27 დეკემბერი. მოვკალი ერთი პატარა თხა, მეორე ფეხში დავჭერი და დავიჭირე. შინ წავიყვანე საბლით. ფეხი მოტეხილი აღმოაჩნდა და მაგრად შევუხვიე.

შენიშვნა: ამ თხას თავს ვეველებოდი და გადარჩა. შემეჩვია, მოშინაურდა, ბალახობდა ჩემს ეზოში და გაქცევას აღარ ცდილობდა. მაშინ პირველად დამებადა აზრი, კარგი იქნება, ჯოგი გავიჩინო-მეთქი, რადგან ტყვია-წამლის მარაგის გამოლევის შემდეგ საკვებად გამომადგებოდა.

28-31 დეკემბერი. პაპანაქება სიცხეა, ნიავიც კი არა ქრის, შინიდან ფეხი ველარ გამიდგამს. მხოლოდ საღამოობით გავდივარ საკვებისათვის. ეს დღეები მოვანდომე სახლის დალაგებასა და დაბინავებას.

1 იანვარი. კვლავ ცხელა, მაგრამ მე დილა-საღამოს გავდივარ სანადიროდ, შუადღისას შინ ვარ ხოლმე. ღამით ცოტათი უფრო შორს გავყევი მინდორს და თხის დიდი ფარა ვნახე. მეტისმეტად ფრთხილნი არიან. ვერ მიეპარები. გავიფიქრე - იქნებ აჯობებს, ძალლით ვინადირო-მეთქი.

2 იანვარი. წავიყვანე ძალლი, თხებზე მივუშვი, მაგრამ შეცდომა მომივიდა: თხები არ შეუშინდნენ და პირისპირ დაუდგნენ. ძალლმაც კარგად იგრძნო საშიშროება და აღარ მიეკარა.

3 იანვარი. ისევ ღობეს თუ კედელს მივუბრუნდი, რადგან ჯერ კიდევ მეშინია გარედან თავდასხმისა, მინდა ღობე გავამაგრო და გავაფართოო.

შენიშვნა: ერთხელ ხომ აგიწერეთ ეს კედელი. ამიტომ დღიურიდან განგებ გამოვტოვე უკვე მოთხრობილი ამბავი. საკმარისი იქნება ვთქვა, რომ სამი იანვრიდან მოკიდებული 14 აპრილამდე ამ კედლის გამაგრება-სრულყოფაზე ვმუშაობდი, თუმცა მთელი სიგრძე კედლისა 24 იარდს არ აღემატებოდა. კედელი ნახევარწრედ იყო განლაგებული და კლდეს ემიჯნებოდა. კლდის შუა ნაწილიდან კლდემდე რვა იარდი იყო და კარებიც სწორედ შუანაწილის პირდაპირ გამოვჭერი.

ამ ხნის განმავლობაში მაგრად ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა ხშირად კვირაობითაც კი მიშლიდა ხელს. მანამ კარგად არ გავამაგრებდი კედელს, რა მომასვენებდა! განსაკუთრებით გამიძნელდა ტყიდან მარგილების გამოზიდვა და მიწაში ჩასობა, რადგან მარგილები მეტისმეტად დიდები გამოვჭერი. ნეტა რა საჭირო იყო ამოდენები?!

როცა კედლის გაკეთებას მოვრჩი და გარედანაც გავამაგრე, თავი დავირწმუნე, თუნდაც გამონდეს ვინმე კუნძულზე, ასეთი შენიღბვის შემდეგ აბა ვის მოუვა თავში, რომ ეს საცხოვრებელი ბინაა-მეთქი. კარგადაც მოვიქეცი, რომ შევნიღბე.

სანადიროდ გასვლა და კუნძულის დათვალიერება არ შემიწყვეტია და ბევრი კარგი რამეც აღმოვაჩინე და გავიგე. ვნახე, მაგალითად, გარეული მტრედების უცხო ჯიში, რომელიც ბუდეს ხეზე კი არ იკეთებდა

ტყის ჩვეულებრივი მტრედების მსგავსად, არამედ კლდის დარანებში. რამდენიმე ხუნდი წამოვიყვანე კიდეც და ვცადე მოშინაურება, მაგრამ რომ დაიბარდნენ, გაფრინდნენ. ამის შემდეგ ხშირად მომყავდა ხუნდები ბუდეებიდან. გემრიელი ხორცი ჰქონდათ.

სახლის მოწყობასა და დალაგებას რომ მოვრჩი, გამოირკვა, რომ ბევრი ისეთი რამ მაკლდა, ის გაკეთებაც პირველ ხანებში შეუძლებლად მეჩვენებოდა. ბოგი რამის გაკეთება მართლაც შეუძლებელი გახდა: მაგალითად, რამდენი კვირა ვეწვალე და ვერაფრით შევკარი კასრი.

ძლიერ განვიცდიდი სანთლის უქონლობასაც. შებინდებოდა თუ არა (შვიდ საათზე ღამდებოდა), იძულებული ვხდებოდი, დავწოლილიყავი. მომაგონდა თაფლის სანთელი, რომელსაც აფრიკაში ვხმარობდი, მაგრამ სადღა მქონდა ცვილი! ისევ ავდექი და ჩემივე მოკლული თხის ქონი გამოვიყენე. თიხისგან გამოვძერწე ჭრაქი და მზებე გამოვაშრე, პატრუქად თოვის ნაგლეჯი ვიხმარე. ასეთი სანთელი ძლივს ბჟუტავდა და არათანაბრად იწვოდა.

ერთხელ, საქმით რომ ვიყავი გართული და რაღაც ნივთებს ვეძებდი, წავაწყდი ჩანთას, რომელშიც, როგორც უკვე ვთქვი,

მარცვლეული ეყარა ფრინველების გამოსაკვებად. ვირთავებს სულ გამოეხრათ. ჩანთა დენტის ჩასაყრელად მჭირდებოდა, ამიტომ ებოში გამოვიტანე და კლდის ძირში დავბერტყე.

ეს მოხდა დიდ წვიმებამდე ცოტა ხნით ადრე. დამავიწყდა კიდეც, სად დავბერტყე ჩანთა, და არც დავკვირვებივარ, რა გადმოცვივდა იქიდან. ამის შემდეგ გავიდა დაახლოებით ერთი თვე და უცებ ებოში შევნიშნე ახლამოწვერილი პატარა მწვანე ღეროები. ჯერ მეგონა იქაური ბალახი იყო, რომელიც ალბათ არ შემინიშნავს-მეთქი, მაგრამ სახტად დავრჩი, როცა რამდენიმე დღის შემდეგ შევნიშნე, რომ ამ მწვანე მცენარეებს, - სულ ათი-თორმეტი ღერი იყო - თავთავები მოეხა; ნამდვილი ქერისა, ჩვენებური, ევროპული, უფრო სწორად, ინგლისური ქერისა.

დამერწმუნებით, როგორ გავუფრთხილდებოდი ჯეჯილს დამწიფებამდე. დაახლოებით ივნისის ბოლოს დამწიფდა. გადავწყვიტე ყოველი მარცვალი სათესლედ შემენახა და ხელახლა დამეთესა იმის იმედით, რომ განსაზღვრული დროის შემდეგ პურის საკმარისი მოსავალი მექნებოდა. მაგრამ მთელი ოთხი წელი გავიდა და ერთი მარცვალისც

კი ვერ ვიგეძე. ოთხი წლის შემდეგაც, როგორც ქვემოთ გიამბობთ, მეტად დაზოგვით და ძუნწად ვხარჯავდი. ეს იმიტომ, რომ პირველ წელს, რაკი დათესვისათვის შესაფერი დრო ვერ შევარჩიე - სწორედ გვალვის წინ დავთესე - არც ამოსულა, ყოველ შემთხვევაში, ისე არ ამოვიდა, როგორც წესია. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ქერს გარდა, ამოვიდა ოცი-ოცდაათი ძირი ბრინჯი, რომლებსაც ისევე ვუფრთხილდებოდი, როგორც პურს, და დანიშნულებაც იგივე ჰქონდა - პური, ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რაიმე საკვები უნდა მომემზადებინა, რადგან პირველ ხანებში გამოცხობას ვერ ვახერხებდი და სხვა საშუალება გამოვძებნე. მერე კი გამოცხობაც შევძელი.

მთელი სამი-ოთხი თვე შეუსვენებლივ ვმუშაობდი და მოვრჩი კიდევ კედლის გამაგრებას, ოღონდ შესასვლელი კარები არ გამიკეთებია, ზევიდან გადავიდოდი ხოლმე კიბით. მინდოდა გამქრალიყო ყოველგვარი ნიშანწყალი იმისა, რომ აქ საცხოვრებელი სახლი იდგა.

16 აპრილი. დავამთავრე კიბის გაკეთება. კედელზე გადავდივარ, კიბეს ჩამოვხსნი ხოლმე და ეზოში ვინახავ. ახლა ყოველმხრივ დაცული ვარ. ეზო საკმაოდ დიდი მაქვს და ისე ვერავინ შემოვა, თუ კედელს არ გადმოაბობდა.

მაგრამ მოვრჩი თუ არა კედელს, მეორე დღესვე კინალამ წყალში ჩამიცვივდა მთელი შრომა და მეც ბეწვზე გადავრჩი: კარვის უკან, გამოქვაბულის შესასვლელში რაღაცას ვაკეთებდი, რომ უეცრად გორაკიდან და ჩემი გამოქვაბულის თალიდან მიწა ჩამოინგრა და თავზე დამეყარა. თავბარი დამეცა, ნამდვილ მიზეზს ვერ მივხვდი. მეგონა, წინანდელივით ჩამოინგრა გამოქვაბული, შემეშინდა, ქვეშ არ მოვყვე და არ დავიმარხო-მეთქი. კიბეს ვეცი და ეზოდან გავედი.

დავდგი თუ არა ფეხი მიწაზე, მივხვდი, რომ საშინელი მიწისძვრა იყო. მიწა, რომელზედაც მე ვიდექი, მ წუთის განმავლობაში სამჯერ ისე შეინძრა, ქვეყნად უმაგრეს შენობასაც კი დაანგრევდა. ნახევარი მილის მოშორებით, ზღვის მხარეს, უზარმაზარი ლოდი მოსწყდა კლდეს და ისეთი ზრიალით დაეცა, რომ ასეთ ჩემს დღეში არაფერი მომისმენია. ზღვაც საშინელმა მღელვარებამ მოიცვა.

ისე გამაშტერა ამ საშინელებამ, რომლის მსგავსი არც მე მენახა რამე და არც არავისგან გამეგონა, რომ ცოცხალ-მკვდარს დავემსგავსე. მიწის რყევამ გული ამირია, როგორც ზღვის აუადმყოფობამ მიყო ერთხელ. მაგრამ ლოდის ზრიალმა ერთბაშად გამომათხიზლა, გონს

მოვედი და უეცრად საშინელმა შიშმა მომიცვა - ვაითუ კლდე ჩემს კარავს დაეცეს და მთელი ჩემი ავლადიდება ქვეშ მოყვეს-მეთქი.

რამდენიმე წუთი გავიდა მესამე რყევის შემდეგ და, რაკი ახალი ძვრა არ მოჰყოლია, გული თანდათან გამიმავრდა, მაგრამ მაინც არ მეყო გამბედაობა კედელზე გადავსულიყავი. მეშინოდა, ცოცხლად არ დავიმარხო-მეთქი. გაუნძრევლად ვიჯექი სასოწარკვეთილი და რა მექნა, არ ვიცოდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მექანიკურად ვიმეორებდი გაცვეთილ სიტყვებს: „ღმერთო, შენ მიშველე!“ ხოლო როცა საშიშროებამ გადაიარა, ეს სიტყვებიც დავივიწყე.

სანამ ასე ვიჯექი, ცაზე ღრუბლები წამოიშალა, როგორც წვიმის წინ იცის ხოლმე; ქარი თანდათან გაძლიერდა და ნახევარი საათი არც კი გასულა, რომ საშინელი გრიგალი დატრიალდა. ზღვა უეცრად აიქოჩრა, აქაფდა და ნაპირს მოაწყდა, ხეები ძირფესვიანად მოგლიჯა გრიგალმა.

სამ საათს გასტანა ამ შემადრწუნებელმა ქარიშხალმა. მერე თანდათან შენედა, ხოლო კიდევ ორი საათის შემდეგ სულაც დაცხრა და ახლა კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მე გაუნძრევლად ვიჯექი, მერე უცებ გავიფიქრე: წვიმასა და ქარს მიწისძვრა იწვევს ხოლმე, მაშ ეტყობა მიწისძვრა გათავდა და უკვე შეიძლება შინ შესვლა-მეთქი. ამ ფიქრმა გამამხნევა და კარავში შევედი, მაგრამ ისეთი თავსხმა იყო, რომ კარავი ვერ უძლებდა და იძულებული გავხდი, ქვაბულში შევსულიყავი. თუმცა იმის შიში მაინც არ მშორდებოდა, ჭერი თავზე არ ჩამომნგრეოდა.

ამ საშინელმა წვიმამ ახალი სამუშაო გამიჩინა: ეზოში დიდი სადინარი უნდა ამომეთხარა წყლისათვის, რომ ნიაღვარი ქვაბულში არ შემოვარდნოდა. კარგა ხანმა გაიარა და მიწისძვრა აღარ განმეორებულა; მე თანდათან დავმშვიდდი, კარადასთან მივედი და ერთი ყლუპი რომი მოვსვი. რომს ვიზოგავდი; ვიცოდი, როცა გამომეღეოდა, ახალს ველარ ვიშოვიდი.

მთელი ღამე განუწყვეტლივ წვიმდა, მეორე დღესაც ნაშუადღევამდე არ გადაულია. ასე რომ, გარეთ აღარ გამოვსულვარ, მაგრამ უკვე მშვიდად ვიყავი და იმაზე ვფიქრობდი, მომავალში რა უნდა მექნა. ეტყობოდა, კუნძულზე ხშირად იცოდა მიწისძვრა, და, ამიტომ არ შეიძლებოდა მღვიმეში ცხოვრება და საჭირო იყო, სადმე გაშლილ ადგილზე ამეგო პატარა ქოხი, გარშემო კი გალავანი შემომეველო.

გადავწყვიტე, მოშორებით გადამეტანა ჩემი კარავი, რადგან აქ გამოშვებული კლდის ქვეშ მდგა და ახალი მიწისძვრის დროს ალბათ თავზე ჩამომენგრეოდა. მთელი ორი დღე იმაზე ვიმტვრევდი თავს, სადა და როგორ მომეწყო ახალი ბინა.

შიშმა, რომ შეიძლებოდა ცოცხლად დავმარხულიყავი, ძილი და მოსვენება დამიფრთხო, თუმცა როცა ვნახე, რომ ყველაფერი თავის რიგზე იყო, გულმა აღარ გამიწია სხვაგან. თანაც ახალი ბინის მოწყობას ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა! სანამ აქ საიმედოდ მოვაწყობდი ყველაფერის, აქვე უნდა დავრჩენილიყავი!

მაინც გადავწყვიტე, დრო არ დამეკარგა, რაც შეიძლება ჩქარა შემომეღობა კარვის წრიული ადგილი და შიგ კარავი ჩამედგა; მანამდე კი იქვე დავრჩენილიყავი და გადასასვლელად მომემზადებინა ყველაფერი.

22 აპრილი. დილითვე დავიწყე ფიქრი, როგორ განმეხორციელებინა ჩემი განზრახვა. ძალიან მაბრკოლებდა საჭირო ხელსაწყოების უქონლობა. მართალია, მქონდა სამი დიდი ცული და ბევრი პატარა ნაჯახი (ნაჯახები ინდიელებთან მიგვექონდა ნივთებზე გადასაცვლელად), მაგრამ ამდენი ჩეხვითა და პობით სულ დაჩლუნგდა და დაბლაგვდა. სალესი ქვა მქონდა, მაგრამ არ შემეძლო ერთდროულად ისიც მეტრიალებინა და ზედ ნაჯახიც მეღესა. როგორც იქნა, სალესი ქვის ღერძს თოკი მოვაბი და ისე მოვაწყე, რომ ფეხით შემძლებოდა მისი ტრიალი, ხელები კი თავისუფალი მქონოდა.

28, 29 აპრილი. ეს ორი დღე იარაღების ლესვას მოვუნდი. ჩემი მოწყობილი სალესი მშვენივრად მუშაობს.

30 აპრილი. შევნიშნე, რომ პურის მარაგი მეღევა. გადავწყვიტე, დღეში თითო ნაჭერი ორცხობილას მეტი არ შევჭამო.

1 მაისი. დილით, წყლის მოქცევის დროს, სანაპიროზე შევნიშნე ჩვეულებრივზე უფრო დიდი საგანი, რომელიც ვასრს ჰგავდა. ახლოს რომ მივედი, ვნახე, რომ მართლაც პატარა ვასრი იყო. იქვე ეყარა დაღუპული გემის ნამსხვრევები, რომლებიც ამ ბოლოდროინდელ ქარიშხალს გამოერიყა ნაპირზე. გამორიყულ ვასრში აღმოჩნდა დენთი, რომელიც წყალს დაესველებინა და ქვასავით შეკრულიყო. ვასრი მაინც ამოვაგორე ნაპირზე და მერე დამსხვრეული გემისაკენ გავწიე.

გემი უცნაურად აყირავებულიყო. წინა მხარე მაღლა აშვეროდა,

ხოლო კიჩო მთლიანად მოშორებოდა ტანს და ცალკე ტორტმანებდა. გემის მისადგომთან, სადაც უწინ ცურვით მივდიოდი ხოლმე, ახლა სილა დაბზინულიყო და ფეხითაც ადვილად მივადექი. როგორც დავასკვენი, ეს მიწისძვრის ნამოქმედარი იყო.

ახალი ბინის მოწყობა სულ გადამავიწყდა და იმასლა ვცდილობდი, როგორმე გემის კაიუტებში შემეღწია. მალე დავრწმუნდი, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან გემი შიგნიდან სულ სილას ამოევსო. გადავწყვიტე, მთელი გემი ნაწილ-ნაწილ გადამეზიდა ნაპირზე; ვიცოდი, რომ თავის დროზე ყველაფერი გამომადგებოდა.

3 მაისი. ხერხით შევუდექი მუშაობას. დავიწყე კოჭის გადახერხვა, რომელზედაც, ჩემი აზრით, დამაგრებული უნდა ყოფილიყო გემბანის უკანა მხარე. ამის შემდეგ სილის გადმოყრა დავიწყე კიჩოს იმ მხრიდან, რომელიც ზემოთ იყო მოქცეული, მაგრამ მოქცევამ მომისწრო და იძულებული გავხდი მუშაობა შემეწყვიტა.

4 მაისი. სათევზაოდ წავედი, მაგრამ ერთი თევზიც ვერ დავიჭირე. ის იყო უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ ანკესს პატარა დელფინი გამოჰყვა. ანკესით, რომელიც ასევე ჩემი გაკეთებული იყო, კარგა ბლომად ვიჭერდი თევზს, ვახმობდი და ისე ვჭამდი.

5 მაისი. გემზე მეორე კოჭიც გადავხერხე, ბაქნიდან სამი დიდი ნაძვის ფიცარი მოვგლიჯე, ერთად შევკარი და ზღვის მოქცევა რომ განახლდა, უკანვე გამოვბრუნდი.

6 მაისი. გემიდან წამოვიღე რკინის ნამტვრევები და ჭანჭიკები. მეტად მძიმე სამუშაო იყო. ისე დავიქანცე, რომ ერთი პირობა ვიფიქრე, თავს დავანებებ-მეთქი.

7 მაისი.

გემბანმა ველარ გაუძლო სიმძიმეს და ჩატყდა. მეგონა, ახლა ნამდვილად მოვახერხებდი შიგნითა ნაწილის დათვალიერებას, მაგრამ სილითა და წყლით იყო გამოვსებული.

8 მაისი. სილისა და წყლისაგან უკვე დაწმენდილი გემბანის გადასაბრუნებლად ძალაყინი წავიღე, გემბანს ორი ფიცარი ავაგლიჯე და ზღვის მოქცევისას უკანვე გამოვბრუნდი. ძალაყინი იქვე დავტოვე.

9 მაისი. გემბანს კიდევ ორი-სამი ფიცარი მოვაგლიჯე და შიგნით შევედი. რამდენიმე კასრს წავაწყდი, ძალაყინი მოვიშველიე და გამო-

ვავორე, მაგრამ გახსნა ვერ მოვახერხე. ვნახე აგრეთვე ინგლისური ტყვიის დიდი შეკვრა, მაგრამ ისე მძიმე იყო, რომ გადმოტანა ვეღარ შევძელი.

10-14 მაისი. ეს დღეები სულ გემზე ვმუშაობდი. გადმოვიტანე ფიცრები, ძელები, თამასები, ორი-სამი ცენტნერი რკინეულიც.

15 მაისი. წავიღე ორი ნაჯახი, რათა ერთი ფურცელი ტყვია მაინც ჩამომეჭრა შეკვრიდან. ერთი ნაჯახი პირით უნდა დამედო ტყვიაზე, მეორე კი ზევიდან უნდა დამერტყა. მაგრამ ტყვია ღრმად იყო წყალში და ჩამოსაჭრელად ვერ მივუღეძი.

16 მაისი. ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა და ტალღებმა უფრო დააქუცმაცა გემი. მე მტრედებზე ნადირობას შევეყვი და შემაგვიანდა, მერე ზღვის მოქცევა დაიწყო და ვეღარ მივედი გემთან.

17 მაისი. კარგა მოშორებით შევნიშნე გემის გამორიყული ნამსხვრევები. ჭვინტის მხარე იყო, მაგრამ ისე მძიმე, რომ ძვრა ვერ ვუყავი.

24 მაისი. დღევანდლამდე განუწყვეტლივ ვმუშაობდი გემის ნაწილების გადმოზიდვაზე და ბევრი ნივთიც გამოვათრიე

ძალაყინით; პირველივე მიქცევის დროს ატივტივდა წყალზე რამდენიმე კასრი და ორი სკივრი, მაგრამ ქარი ნაპირიდან უბერავდა და ყველაფერი ზღვის სიღრმისკენ გააცურა. დღეს ნაპირზე გამორიყა ძელები და ბრაზილიური ღორის ხორციით სავსე კასრი. ქვიშასა და მარილიან წყალს ხორცი სულ გაეფუჭებინა.

შენიშვნა: 15 ივნისამდე ერთი დღეც არ ჩამიგდია, გარდა იმ საათებისა, როცა სანადიროდ დავდიოდდი. ვნადირობ მხოლოდ ზღვის მოქცევის დროს, რომ მიქცევისას თავისუფალი ვიყო. მთელი ამ დროის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ფიცარი, თამასა და რკინეული დამიგროვდა და, გაკეთება რომ ვიცოდე, თავისუფლად შევკრავდი ერთ ნავს. ასევე მოვახერხე, პატარა ნაჭრებად ჩამომეჭრა და გადმომეზიდა ერთ ცენტნერამდე ტყვიის ფურცელი.

16 ივნისი. ზღვის პირას დიდ კუს წავაწყდი. პირველად ვნახე კუნძულზე კუ, აქამდე არ შემხვედრია.

17 ივნისი. მთელი დღე კუს შეწვა-მომზადებას მოვუწიდი. სამოცი კვერცი ჰქონდა. ისე მეამა კუს ხორცი, თითქოს ჩემს დღეში არ მეჭა-

მოს ასე გემრიელი და საამური კერძი; რაც ამ საშინელ კუნძულზე გამოვირიყე, ფრინველისა და თხის ხორცის მეტი არაფერი მიგემნია.

18 ივნისი. მთელი დღე წვიმდა და შინ ვიჯექი. ალბათ წვიმამ გამაცია, რადგან ტანში მაჟრჟოლებს. ამ ადგილებში კი, რამდენადაც ვიცი, არ ცივა ხოლმე.

19 ივნისი. ცუდად ვარ, ტანში ისე მაჟრჟოლებს, თითქოს ზამთარი იყოს.

20 ივნისი. მთელი ღამე თავი მისკდებოდა და მახურებდა.

21 ივნისი.

ძალიან ცუდად ვარ, შიშით ვკვდები, როცა ჩემს მდგომარეობას წარმოვიდგენ - ავად გავხდე და არავინ მომვლელი არ მყავდეს! ღმერთს შევავედრე თავი - პირველად იმ ქარიშხალის შემდეგ, ჰულში რომ დამატყდა თავს, - მაგრამ ისე მაქვს ტვინი არეული, არც კი ვიცი, რა სიტყვებით ვილოცე.

22 ივნისი. დღეს ცოტათი უკეთ ვარ, მაგრამ ავადმყოფობისა მაინც მეშინია.

23 ივნისი. ისევ შემობრუნა. მცივა და მაჟრჟოლებს; თავი მისკდება.

24 ივნისი. გაცილებით უკეთ ვარ.

25 ივნისი. შვიდჯერ შემაცია და შემახურა; ოფლი მასხამდა.

26 ივნისი. მოვიკეთე. ხორციეული აღარაფერი დამრჩა საჭმელად, ამიტომ თოფი ავიღე და სანადიროდ წავედი, მაგრამ ძლივს დავლასლასებ. როგორც იყო, მაინც მოვკალი დედალი თხა. რის ვაი-ვაგლახით მოვათრიე შინ, ერთი ნაჭერი შევწვი და ვჭამე. მინდოდა წვნიანი გამეკეთებინა, მაგრამ ქვაბი არა მაქვს და რაში მოვხარშო?!

27 ივნისი. ხელახლა გამაცია, ისე საშინლად, რომ მთელი დღე ველარ წამოვდექი, არც მიჭამია რამე და არც დამიღვევია. არაქათი არ მქონდა. კვლავ შევავედრე ღმერთს თავი. მაგრამ ისე მაქვს ტვინი არეული, ვერც ერთი ლოცვა ველარ მოვიგონე და ამასლა ვლულლულვებდი: „ღმერთო მომხედე! ღმერთო შემობრალე! ღმერთო შემიწყალე!“ ალბათ, ორი-სამი საათი ვიყავი ამ დღეში; მერე ცოტათი დავმშვიდდი და ჩამეძინა.

შუალამისას გამელვიდა. ბევრად უკეთ ვგრძნობდი თავს, მაგრამ სუსტად ვიყავი და წყურვილი მახრჩობდა; სახლში არა მქონდა წყალი და იძულებული გავხდი, დილამდე მომეთმინა. ისევ ჩამეძინა.

საშინელი სიზმარი ვნახე. თითქოს ღობეს გადაღმა ვეგდე მიწაზე, სწორედ იქ, სადაც მიწისძვრის შემდეგ ვიჯექი, გრიგალი რომ ამოვარდა. უცებ ვხედავ, ჩაშავებული ღრუბლები გადაიხსნა და იქიდან ცეცხლის ალში გახვეული კაცი დაეშვა. ალი დამაბრმავებლად ელვარებდა, ძლივს ვუსწორებდი თვალს. საშინელი სახე ჰქონდა იმ კაცს.

მიწას რომ შეეხო ფეხით, ნიადაგი შეირყა, როგორც მიწისძვრის დროს, და ერთბაშად განათდა ყველაფერი, თითქოს უთვალავი ელვა გაკრთაო. ხელში შუბმომარჯვებული უცნობი ჩემკენ გამოემართა. მომიახლოვდა, პატარა ბორცვზე შედგა და მრისხანე ხმით ალაპარაკდა. მხოლოდ ბოლო სიტყვები გავარჩიე: „ასეთი განსაცდელი მოგეველინა და მაინც არ ინანიებ! მაშ, მოკვდი!“ ამ სიტყვებზე შუბი აღმართა და დამიძინა.

ძალა არ მეყოფა აღვწერო, რა საშინელი ძრწოლა მომგვარა სიზმარმა ძილშივე. ასევე ძნელი გადმოსაცემია ჩემი განცდები გამოღვიძების შემდეგ, როცა მივხვდი, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

28 ივნისი. დილით ჩამოვდექი, ციების შეტევამ სავსებით გამიარა. გონება მოვიკრიბე, რომ წინასწარვე მომემარაგებინა ყველაფერი, თუ კვლავ გამაციებდა. პირველ რიგში, დიდი ბოთლი გავავსე წყლით და მაგიდაზე დავდგი, ლოგინთან ახლოს, რომ პირდაპირ მივწვდომოდი ხელით აუდგომლად. ბოთლში მეოთხედი პინტი რომი ჩავასხი. მერე ცოტაოდენი ხორცი ჩამოვჭერი და შევწვი, მაგრამ ორიოდე ლუკმა მოვციცქნე, გამიძნელდა ჭამა. ჰაერზე გასვლა მინდოდა, მაგრამ სისუსტისაგან მუხლები მეკეცებოდა.

ნავახშმევს კვლავ ვცადე გასეირნება, მაგრამ ისე ვიყავი დასუსტებული, რომ ძლივს მიმქონდა თოფი (უთოფოდ ერთ ნაბიჯსაც არ ვდგამ ხოლმე გარეთ). ცოტა რომ გავიარე, ჩამოვჯექი და თვალი გაუშუბტრე ზღვას, რომელიც ჩემ წინ გადაშლილიყო და წყნარად ირწეოდა. ფიქრებმა გამიტაცა.

მეორე დღეს, 29 ივნისს, აღარ გაუციებია. თანდათან ვიკრებდი ძალ-ღონეს, უკვე შიმშილსაც ვგრძნობდი. კუჭიც უკეთ მოქმედებდა.

30 ივნისი ბედნიერი დღე იყო ჩემთვის. სანადიროდ გამოვედი,

ვცდილობდი სახლს დიდად არ დავშორებოდი. მოვკალი ორი ზღვის ფრინველი, მაგრამ იმ დღეს არ შემიწვავს, - კუს კვერცხებით ვისადი-
ლე, რომელიც ძალიან გემრიელი მეჩვენება. საღამოთი წამალი დავ-
ლიე: რომისა და თამბაქოს ნაყენის ნარევი. თამბაქო არ დამიღეჭავს.
მაგრამ წამალმა აღარ მიშველა - პირველ ივლისს თავს უარესად
ვგრძნობდი, იმედი გამიცრუვდა. ტანში კვლავ მაჟრუღლებს, თუმცა
ისე ძლიერ აღარ.

3 ივლისიდან აღარ გაუციებია. თანდათან მომჭობინება დავიწყე.

ჩემი მდგომარეობა ამის შემდეგაც ხომ ისევ ისე სავალალო იყო,
მაგრამ თითქოს უფრო ადვილად ასატანი შეიქნა. ძალ-ღონე რომ და-
მიბრუნდა, კვლავ განვაგრძე გულმოდგინე მუშაობა, რათა უკეთ მოვ-
წყობილიყავი.

*

ათ თვეზე მეტი გავიდა, რაც ამ წყეულ კუნძულზე ვარ. ყოველგვარი
იმედი აქედან თავის დაღწევისა გადამიწყდა. ღრმად ვარ დარწმუნებუ-
ლი, რომ ჩემ გარდა ადამიანის ფეხი არ მიჰკარებია ამ მიწას.

ბინა რომ მოვაწყვე და ყველაფერი მივალაგე, ძალიან მომინდა
უფრო დაწვრილებით შემესწავლა კუნძული; მენახა, ისეთი საკვები თუ
მოიპოვებოდა, რასაც ადრე არ შევხვედროდი.

15 ივლისს დავიწყე კუნძულის საგულდაგულოდ დათვალიერება.
ჯერ მდინარის შესართავისკენ გავწიე, სადაც ტივებს მოვაცურებდი
ხოლმე. აღმა შევყევი მდინარის კალაპოტს. ორიოდე მილის იქით
ზღვის მოქცევა აღარ აღწევდა და ანკარა ნაკადული მოჩუხჩუხებდა.
მაგრამ ახლა გვალვების სეზონი იყო და ზოგან წყალი თითქმის სულ-
მთლად დაწრეტილიყო.

მდინარის ნაპირზე ველები იყო გადაშლილი. უფრო გევით კი, შე-
მაღლებულ კორდზე, ფოთლებგაშლილი თამბაქო ყვაოდა. ვნახე ბევ-
რი სხვა ჯიშის მცენარეც, მათ შორის ალოე, ოლონდ არ ვიცოდი, რო-
გორ შეიძლებოდა მისი გამოყენება; შაქრის ლერწამიც, მაგრამ ველუ-
რი და გამოუსადეგარი.

ამ აღმოჩენებით დავკმაყოფილდი და უკანვე გამოვბრუნდი. გზაზე
იმის ფიქრში ვიყავი, როგორ გამომეცნო, რომელი მცენარე იყო სა-

სარგებლო. ვერაფერი მოვიფიქრე: ბრაზილიაში ყოფნისას მაინცდამაინც დიდი გულისყურით არ ვაკვირდებოდი, რა მცენარეებს იყენებდნენ იქაურები საკვებად.

მეორე დღეს, 16 ივლისს, იმავე გზას გავყევი და ცოტათი გავცდი წინა დღით მოვლილ ადგილებს. მივადექი მდინარის სათავეს. აქ ველი თავდებოდა და იწყებოდა ხშირი ტყე. ტყეში ხილს წავაწყდი. განსაკუთრებით ბევრი იყო ნესვი და

ყურძენი. ხეებზე გადახლართული ვაზის მწიფე მტევნები ხის ტოტებიდან გამოიყურებოდა. სიხარულით ამევსო გული. მაგრამ მაშინვე მომაგონდა, რომ ბერბერიში რამდენიმე მონა-ინგლისელს ასეთმა ყურძენმა მუცელკეთილი შეჰყარა და მოკლა კიდეც. უცებ შესანიშნავი ხერხი მოვიგონე: მზეზე უნდა გამეხმო ქიშმიშად და, როცა ყურძენი მოილღოდა, მე მაინც მექნებოდა პირის ჩასატკბარუნებელი.

მთელი ღამე იქ დავრჩი. ეს იყო პირველი ღამე, რომელიც სახლში არ გამიტარებია. იმ ღამესაც პირველი დღის ხერხს მივმართე: ხეზე ავედი და ტკბილად გამოვიძინე, მეორე დილას კი კუნძულის დათვალიერება განვაგრძე.

ჩემი მოგზაურობის დასასრულს მივადექი გაშლილ მინდორს. იქვე წყარო მირაკრავებდა. ირგვლივ საამური სურნელი იფრქვეოდა, ყველაფერს მარადიული სიმწვანე ებურა, თითქოს საგანგებოდ გაშენებული ბალი ყოფილიყო. ფეხი შევდგი ამ მომხიბლავ ველზე და იმის გაფიქრებაზე, რომ ეს მთლიანად ჩემი საკუთრება იყო, იღუმალი სიამოვნება ვიგრძენი, თუმცა აკვიატებული სევდა მაინც იყო არეული ამ სიამოვნებაში.

აქ ვნახე დაბურული ჭალა ქოქოსის, ფორთოხლის, ლიმონის და ციტრონის ხეებისა, მაგრამ ყველა ველური იყო, მხოლოდ აქა-იქ შევნიშნე ნაყოფი, - ყოველ შემთხვევაში, იშუამად. მაინც დავკრიფე უმწიფარი ლიმონი. მისი წვენი წყალში გავურიე და მშვენიერი - გრილი და ძალიან მარგებელი სასმელი გამოვიდა. გადავწყვიტე ლიმონისა და ყურძნის მარაგი შემენახა წვიმიანი სეზონისათვის, რომელიც უკვე ახლოვდებოდა.

მაშინვე შევუდექი ხილის კრეფას. ყურძენი მოვკრიფე და ორ ადგილას დავახვავე. ლიმონიც ცალკე დავაგროვე და რამდენსაც მოვერიე, იმ დღესვე წავიღე შინ, დანარჩენის გადასაზიდად კი გადავწყვიტე, მეორედ მოვსულიყავი ტომრით, ჩანთით ან სხვა რამით.

ამრიგად, სამდღიანი მოგზაურობის შემდეგ დავბრუნდი შინ (ანუ ჩემს კარავსა და გამოქვაბულში), მაგრამ ყურძენი ზედმეტი სიმწიფისაგან თითქმის სულ დაჭყლეთილიყო. ლიმონი კარგად შენახულიყო, ოღონდ ესაა, რომ ბევრი არ წამომიღია.

მეორე დღეს, 19 ივლისს, ორი პატარა პარკი წავიღე და სარჩოს გადმოსაზიდად გავეჩე. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კარგად დაგროვილი მწიფე მტევნების ნაცვლად იქ დამხვდა მიმოფანტული, დაქუცმაცებული და დაჭყლეთილი ყურძენი, რომელიც სანახევროდ შეეჭამათ რაღაც ველურ ცხოველებს.

რაკი დავრწმუნდი, ყურძნის დაგროვებასა და შემდეგ გადაზიდვას აზრი არ ჰქონდა, რადგან ერთად დახვავებულ ყურძენს რაღაც ანადგურებდა, ხოლო გადაზიდვისას იჭყლიტებოდა და ფუჭდებოდა, - ახალი ხერხი მოვიგონე: მოვკრიფე ბლომად ყურძენი და ჩხები მაღალ ტოტებზე დავკიდე, მზებზე გამოსაშრობად და გამოსახმობად. ლიმონი კი პარკში ჩავყარე და ბურგზე მოვიგდე.

შინ დაბრუნებული მივხვდი, რომ ჩემი საცხოვრებელი ადგილი ყველაზე მწირი მხარე იყო მთელ კუნძულზე. საჭირო იყო ხეხილით მდიდარ მხარეში მომეძებნა ისეთივე უხიფათო ადგილი, როგორც აქ მქონდა.

იმდენად დიდი იყო ცთუნება იმ მომხიბლავ კუთხეში დასახლებისა, რომ კარგა ხანს ველარ ამოვიგდე თავიდან, მაგრამ, როცა კარგად ავწონ-დავწონე, დავრწმუნდი, არაფრით არ შეიძლებოდა ადგილის შეცვლა: ზღვის ნაპირას იმედის ნატამალი მაინც მქონდა, ოდესმე ბედი გამიღიმებს-მეთქი. შეიძლებოდა, რომ იმავე უკუღმართ ბედს, რომელმაც ამ კუნძულზე გადმომისროლა, სხვაც, ჩემსავით გაუბედურებული ვინმე გამოერიყა! რა თქმა უნდა, ძნელად დასაჯერებელი იყო ამ ოცნების განხორციელება, მაგრამ კუნძულის შუაგულში, დაბურულ ტყეში მომწყვდევაც იმას ნიშნავდა, რომ საბოლოოდ გადამეწყვიტა გადარჩენის ყოველგვარი იმედი.

თუმცა, ისე მომხიბლა იმ ადგილმა, რომ ივლისის მთელი მეორე ნახევარი იქ გავატარე. მთლიანად გადასახლების განზრახვაზე ხელი ავიღე, მაგრამ იმ ველზე მაინც მოვაწყვე ფანჩატურის მსგავსი ბინა, რომელიც ირგვლივ ჩემსიმაღლე ფიჩხისა და წნელის მესრით შემოვლობე. შემოვლობილში კიბით ჩავდიოდი ხოლმე, როგორც ძველ ბინაში. ამრიგად, ზღვის პირას მქონდა მთავარი საცხოვრებელი სახლი, ხოლო მოშორებით - აგარაკი.

ის იყო, ღობის შემოვლებას მოვრჩი, რომ წვიმები დაიწყო და იძულებული გავხდი ძველ ბინაში გადავბარგებულიყავი. მართალია, აქაც ისეთივე კარავი მქონდა გაშლილი, იალქნით დახურული და კარგად გადაჭიმული, მაგრამ ახალ ბინას არც გორაკი ეკრა, რომ ქარისგან დავეცავი, და არც გამოქვაბული ჰქონდა, რომ კოკისპირულ წვიმაში შემეფარებინა თავი.

სამ აგვისტოს მზებზე გაკიდებული ყურძენი შევამოწმე. მშვენივრად დამტკნარიყო. მართლაც რომ საუცხოო ქიშმიში გამოვიდა. მაშინვე შევუდექი ხიდან გამხმარი ჩხების ჩამოხსნას, და სწორედ ბედზე მოვასწარი, რადგან მალე დაიწყო საშინელი წვიმები, რომელიც სულ დააღპობდა ყურძენს და, ამრიგად, ყველაზე სანუკვარი ნაწილი ჩემი ზამთრის სარჩოსი დამედუკებოდა. სულ ორასზე მეტი დიდი ჩხა მქონდა გამხმარი. ჩამოვიღე ყურძენი, უდიდესი ნაწილი გადავზიდე შინ და წვიმაც წამოვიდა. ეს იყო 14 აგვისტო. აქედან მოყოლებული ოქტომბრის შუა რიცხვებამდე ყოველდღე წვიმდა. ზოგჯერ, რომ იტყვიან, ცა ფეხად ჩამოდიოდა და მაშინ თავს ვერ ვყოფდი გამოქვაბულიდან.

ამ წვიმების დროს დიდად გაკვირვებული დავრჩი ჩემი ოჯახის მატებით: ერთი კატა, რომელიც ადრევე დამეკარგა და მკვდარი მეგონა, დაახლოებით აგვისტოს მიწურულს დაბრუნდა და, ჩემდა გასაკვირად, სამი კნუტი მოიყვანა. ეს მით უფრო უცნაური ჩანდა, რადგან ორივე კატა დედალი იყო, ხოლო კუნძულზე გავრცელებული ველური კატები, რომელთაგან ერთი თოფით მოვკალი კიდეც, ჩვენებური კატებისაგან სრულიად განსხვავებული მეგონა. კნუტები სულ დედას ჰგავდნენ. ამ სამი კნუტისაგან შემდეგ იმდენი კატა მომრავლდა, რომ თავი მომაბებრეს; იძულებული გავხდი, სახლიდან გამეყარა და დამეხოცა კიდეც, როგორც მავნებელი მხეცები.

14-დან 26 აგვისტომდე განუწყვეტლივ წვიმდა და შინიდან თითქმის ფეხი არ გამიდგამს. შედეგად, სურსათის მარაგი შემომელია. იძულებული გავხდი ერთი-ორჯერ თავი გამეწირა და სანადიროდ გავსულიყავი. პირველად თხა მოვკალი, მეორედ კი, 26 აგვისტოს, ვეებერთელა კუს წავაწყდი და მართლაც რომ მოვილხინე. ამის შემდეგ საჭმელი ასეთი თადარიგით გავინაწილე: დილით გამხმარ ყურძენს ვჭამდი; სადილად - თხის ან კუს შემწვარ ხორცს, რადგან, სამწუხაროდ, ჭურჭელი არა მქონდა, რომ მომეხარშა; ვახშმად - ორ-სამ კუს კვერცხს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როცა წვიმების გამო სახლში ვიყავი მიჯაჭვული, ყოველდღიურად ორ-სამ საათს გამოქვაბულის გაფარ-

თოებაზე ვმუშაობდი. ერთი მიმართულებით ვაფართოვებდი და, საბოლოოდ, ჩემი შემოღობილის გადაღმა, კლდეში კარი გამოვჭერი. შემდეგ აქედან დავდიოდი ხოლმე, მაგრამ, სამაგიეროდ, წინანდებურად მოსვენებული აღარ ვიყავი, რადგან ადრე მთლიანად შემოღობილი და დაცული მქონდა ბინა, ახლა კი ერთი მხარე ღია იყო, თავისუფლად შეიძლებოდა ვინმე ან რაიმე შემომვარდნოდა. თუმცა შიშის საფუძველი არა მქონია, რადგან თხაზე დიდ არსებას მთელ კუნძულზე ჯერ არაფერს შევხვედრივარ.

30 სექტემბერი. დღეს ამ კუნძულზე მოსვლის უბედური წლისთავი შემისრულდა. გამოვითვალე ჩემი ჭდეები დაფაზე და აღმოჩნდა, რომ სამას სამოცდახუთი დღე გამიტარებია კუნძულზე. ეს დღე გამოვყავი რელიგიურ დღესასწაულად და მარხვა დავნიშნე. მუხლებზე დაჩოქილი ვლოცულობდი და შევთხოვდი ღმერთს, მოწყალე თვალთ გადამოეხედა ჩემთვის. მერე მთელი თორმეტი საათის ნამარხულევმა ორცხობილას ნაჭერი და ერთი მტევანი ყურძენი შევჭამე და ლოგინში ჩავწექი. მთელი წელიწადი ისე გავიდა, კვირა დღე არ მიუქმია: - თავდაპირველად სულაც არა მქონდა ღვთის რწმენა და პატივისცემა, ხოლო მერე კვირა დღის გრძელი ნაჭდევით აღნიშვნასაც თავი დავანებე და ამერია - აღარ ვიცოდი, რომელი რა დღე იყო. ახლა კი, როცა გამოვიანგარიშე, რომ მთელი წელიწადი ვყოფილვარ კუნძულზე, ავდექი და ეს სამას სამოცდახუთი დღე კვირებად დავყავი. ყოველი მეშვიდე დღე უფრო მოგრძო ნაჭდევით გამოვყავი; თუმცა საბოლოოდ გამოირკვა, რომ თურმე ერთი თუ ორი დღე ანგარიშის დროს გამომიტოვებია.

მალე შევნიშნე, რომ მელანი მითავდებოდა და გადავწყვიტე, დღიურში მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენები ჩამეწერა.

*

ზევით უკვე ვთქვი, როგორ ვნახე თითქოს თავისით ამოსული ბრინჯი და ქერი და როგორ დავთესე მერე. კარგად მახსოვს, რომ ბრინჯი ოცდაათი ძირი იყო, ხოლო ქერი - ოცი. წვიმების შემდეგ, როცა მზე სამხრეთით გადაიხარა, გადავწყვიტე, რომ სწორედ შესაფერი დრო იყო მარცვლეულის დათესვისათვის. ხის ნიჩბით ამოვჩიჩქნე მიწა და ცალ-ცალკე დავთესე ბრინჯიცა და ქერიც. მაგრამ არ ვიყავი დარწმუნებული, თესვისათვის შესაფერი დრო იყო თუ არა, და მთელი თესლის მხოლოდ ორი მესამედი გავიმეტე, თითო პეშვი მარცვალი კი შემოვი-

ნახე.

შემდეგ მადლიერი დავრჩი ჩემივე თავისა, რომ შემოვინახე მარცვალნი და ერთბაშად არ დავთესე, რადგან ჩემი ნათესიდან ერთიც კი არ აღმოცენებულა. წვიმების შემდეგ უცებ გვალვა დაიჭირა, მიწა გამოშრა და თესლმა ვერ იხარა, ხელახლა წვიმებამდე არ ამოიწვერა, მაგრამ დაიწყო თუ არა წვიმები, ისე ამოჟუჟუნდა, თითქოს ახლადდათესილი ყოფილიყოს.

რაკი არ იხარა ჩემმა ნათესმა, რაც მე, რა თქმა უნდა, გვალვას დავაბრალე, დავიწყე უფრო ნოტიო ადგილის შერჩევა, რათა მეორედ მეცადა ბედი. გამოვინახე კიდევ ასეთი მიწა ჩემი ახალი აგარაკის მახლობლად, დავაბრე და თებერვალში დავთესე.

მარტი და აპრილი წვიმიანი თვეები გამოდგა. ჯეჯილმა კარგად იხარა და კარგი მოსავალიც მომცა. მაგრამ მთელი თესლის დათესვა ახლაც ვერ გავბედე და ჩემი ხორბლისა და ბრინჯის მარაგი მეტად უმნიშვნელო გამოდგა. სამაგიეროდ, გამოცდილი მეურნე გავხდი და უკვე ზუსტად ვიცოდი, როდის იყო თესვის დრო. ამასთან, წელიწადში ორჯერ შემეძლო დათესვა და ორი მოსავლის მიღება.

სანამ ჩემი ჯეჯილი დაპურდებოდა, როცა გათავდა წვიმების პერიოდი და კარგი ამინდები დაიჭირა - დაახლოებით

ნოემბერში - კვლავ ვეწვიე ჩემს საბაფხულო აგარაკს. რამდენიმე თვე არ მენახა აქაურობა, მაგრამ როგორც დავტოვე, ისევე დამხვდა ყველაფერი. ღობე, რომელიც ორ წრედ შემოვავლე, მთელი და ხელუხლებელი იყო. ამასთან სარებს, რომლებიც ახლომახლო მდებარე ხეთა ტოტებიდან გამოვჭერი, ყლორტები ამოეყარათ და კარგა მოზრდილი რტოები წამოზრდოდათ, - სწორედ ისე, როგორც ტირიფი ამოიყრის ხოლმე გასხეპვის შემდეგ. სახელოდობრ, რომელი ხეების ტოტები იყო, არ ვიცი. მაგრამ გამიკვირდა კი და ძალიანაც შეამა, როცა გაფურჩქნილი ხეები დავინახე. ეს ხეები გადავკრიჭე, ვცდილობდი, რამდენადაც შეიძლებოდა ერთნაირი ფორმა მიმეცა ყველასათვის. ისეთი მშვენიერი საჩრდილობელი შექმნეს, რომ გვალვიან დღეებში შესანიშნავად შეიძლებოდა თავის შეფარება.

ამან მაფიქრებინა, კიდევ გამომეჭრა ასეთი სარები და ჩემი ძველი ბინის გარშემო, კედლის გადაღმა, ნახევარწრედ შემომერთყა ცოცხალი ღობე. ძველი მესრიდან დაახლოებით რვა იარდში ორ მწკრივად ჩავსვი მარგილები, რომელთაც იხარეს და რამდენიმე ხნის შემდეგ

ჯერ სიცხისაგან მიფარავდნენ, მერე კი თავდასაცავ ჯებირადაც გამო-
მადგა. მაგრამ ამას თავის დროზე მოგიტხრობთ...

როგორც მიხვდით, წელიწადის დროები აქ ზამთარ-ზაფხულობით
კი არ უნდა განისაზღვროს, როგორც ეს ევროპაში ხდება, არამედ უნ-
და დაიყოს წვიმისა და გვალვის პერიოდებად, აი ასე:

თებერვლის ნახევარი, მთელი მარტი და აპრილის პირველი ნახე-
ვარი - წვიმები; მზე თითქმის ბენიტშია.

აპრილის ნახევარი - გვალვა; მზე ჩრდილოეთით იხრება.

აგვისტოს ნახევარი, მთელი სექტემბერი და ოქტომბრის ნახევარი -
წვიმები; მზე კვლავ ბენიტშია.

ოქტომბრის მეორე ნახევარი, მთელი ნოემბერი, დეკემბერი, იანვა-
რი და თებერვლის პირველი ნახევარი - გვალვა; მზე სამხრეთით იხ-
რება.

წვიმების პერიოდები ზოგჯერ მეტ ხანსაც გასტანდა ხოლმე, ქარის
მოძრაობის მიხედვით, მაგრამ საერთოდ ჩემი დაკვირვებანი სწორი
იყო. ასეთ დღეებში, მართლაც, განუწყვეტლივ სახლში ვიჯექი.

საქმეც ბევრი გამიჩნდა სახლში ყოფნისას. ბევრი ისეთი აუცილებე-
ლი ნივთი მაკლდა, რომელთა გაკეთებასაც დაუცხრომელი მძიმე
შრომა და განსაკუთრებული მუყაითობა სჭირდებოდა. მაგალითად,
რამდენს არ ვეცადე კალათი დამეწნა, მაგრამ ვერსად ვერ ვიშოვე მა-
ნეული[1] - ირგვლივ სულ მყიდვე წნელი იყო და არ გამოდგებოდა.

ჩემს ბიჭობაში ჩვენს მეზობლად ერთ მეკალათეს სახელოსნო
ჰქონდა. მივდიოდი ხოლმე და დიდი გატაცებით ვუყურებდი, როგორ
წნავდნენ კალათებს. როგორც საერთოდ ბიჭებს სჩვევიათ, მეც ძალი-
ან მიყვარდა თავის გამოდება და ხელის წახმარება. თან გაფაცვიცებით
ვადევნებდი თვალყურს იმათ მუშაობას. ასე რომ, ყველა წესი და ხერ-
ხი ვიცოდი და, მანეული რომ მქონოდა, მშვენიერ კალათას დავწნავ-
დი. მერე უცებ მომაგონდა ხე, რომლის რტოებმაც მიწაში ჩასობის
შემდეგ ყლორტები ამოიყარა. მისი წნელები, ჩემი აზრით, უფრო მოქ-
ნილი იყო და გამოდგებოდა. გადავწყვიტე მესინჯა.

მეორე დღესვე გავეჩე ჩემი აგარაკისკენ (ასე ვუწოდებდი თალარს),
ჩამოვსხიპე წვრილი წნელები და აღმოჩნდა, რომ მართლაც, უკეთესს
ვერ ვინატრებდი. მერე ნაჯახი მოვიტანე და კარგა ბლომად წნელი და-

ვავროვე. წნელი ებოში გადავყარე. როცა ცოტათი შეჭკნა, გამოქვაბულში შევზიდე და მუშაობას შევუდექი. ბევრი კალათი დავწანი. სიკოხტავით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ ჩემთვის ეგეც კმაროდა. ამის შემდეგ ხშირად ვწნავდი კალათებს და ძველებს ახლით ვცვლიდი. მარცვლეულისთვის განსაკუთრებით მჭიდრო და დიდი გოდორი გავაკეთე. ხორბალსა და ბრინჯს ტომარაში აღარ ვყრიდი.

ამ ერთ სიძნელეს კი გავართვი თავი, თუმცა დიდი დრო და შრომა წამართვა, მაგრამ ახლა ორი ნივთის საჭიროებას განვიცდიდი ყველაზე მწვავედ და სწორედ იმაზე დავიწყე თავისმტვრევა, რომ, თუკი შევძლებდი, ისინიც გამეკეთებინა. არ გამაჩნდა ჭურჭელი სითხისთვის, გარდა ორი პატარა ვასრისა, რომლებიც რომით იყო სავსე, და რამდენიმე მომცრო ბოთლისა, რომლებშიც წყალი და სპირტი ესხა; არ მქონდა ქვაბი და ქოთანის ხორცისა და სხვა რამის მოსახარშად. გემიდან წამოღებული ქვაბი მეტისმეტად დიდი იყო და ხორცის მოსახარშად და მოსაშუშად არ გამოდგებოდა; და რაც ძალიან მინდოდა მქონოდა, იყო ჩიბუხი, მაგრამ მისი გაკეთება შეუძლებელი გახდა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს სიძნელეც დავძლიე.

კედლის გადაღმა ხეების დარგვა-გაშენებასა და კალათების დაწენას მოვანდომე მთელი ზაფხული, ესე იგი გვალვის პერიოდი. მაგრამ გამომიჩნდა სხვა საქმეც, რომელმაც იმაზე მეტი დრო წამართვა, ვიდრე გათვალისწინებული მქონდა.

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ გულით მინდოდა მთელი კუნძულის შემოვლა. გადავწყვიტე, მთლიანად შემომველო კუნძულის იქითა სანაპირო. ავიღე თოფი, ნაჯახი, ტყვია-წამლის ჩვეულებრივზე უფრო დიდი მარაგი მოვიმარაგე ჩანთაში, ორიოდ ნაჭერი ორცხობილა და დიდი ჩხა ყურძენიც ჩავიწყვე, ძალი წავიყვანე და გზას გავუდექი.

აგარაკს რომ გავცდი, გადავხედე დასავლეთით გადაშლილ ზღვას. უღრუბლო დღე იყო და შუა ზღვაში კარგად გავარჩიე მიწა. ოღონდ არ ვიცი, კუნძული იყო თუ კონტინენტი. ეს კი შევნიშნე, რომ ხმელეთი მომალლოდ იყო გადაჭიმული დასავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კარგა დიდ მანძილზე.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რა ქვეყანა იყო ეს. ჩემი ვარაუდით, ამერიკის რომელიღაც ნაწილი უნდა ყოფილიყო, ალბათ ესპანეთის სამფლობელოებთან ახლოს. იქაურები ველურები იქნებოდნენ და იქ რომ გავერიყე ზღვას, მაშინ მართლაც რომ უარეს დღეში ჩავვარდებოდი. ამის გაფიქრების შემდეგ თავი დავანებე წუწუნს, რატომ სხვა ადგილას

არ მოვხვდი-მეთქი; თავი დავიმშვიდე, დავემორჩილე ბედისწერას და ვირწმუნე, რომ იგი ყველაფერს ჩვენს საკეთილდღეოდ წარმართავს ხოლმე.

ამას გარდა, როცა კარგად ავწონ-დავწონე ყველაფერი, დავასკვენნი, რომ თუკი ხმელეთი მართლაც ესპანეთის ნაწილს წარმოადგენდა, ადრე თუ გვიან გემს მოვკრავდი თვალს. მაგრამ თუ ესპანეთის სამფლობელო არ იყო, მაშინ ესპანეთსა და ბრაზილიას შორის მდებარე უდაბური კუნძული იქნებოდა, რომელზედაც ყველაზე საშინელი ველურები ბინადრობენ. ისინი კანიბალები ანუ კაციჭამიები არიან.

ასეთი ფიქრებით დამძიმებული, ზანტად მივაბიჯებდი წინ. აქაურობა უფრო მომხიბლავი იყო, ვიდრე ჩემი ძველი საცხოვრებელი ადგილი: თვალს იტაცებდა ყვავილებით დამშვენებული ველები, მობიბინე ბალახი და ლამაზი ხეივნები! აქ იყო უთვალავი თუთიყუში და მომინდა ერთის დაჭერა - ვიფიქრე, მოვიშინაურებ და ლაპარაკს ვასწავლი-მეთქი. დიდი წვალების შემდეგ ჯოხით დავარეტიანე და ჩამოვაგდე ერთი ბახალა, მერე მოვასულიერე და შინ წავიყვანე. მაგრამ რამდენიმე წელი გავიდა, სანამ ლაპარაკს შევასწავლიდი. ბოლოს მშვენივრად მეძახდა სახელს. ერთი სასაცილო რამ შეემთხვა ამ თუთიყუმს, მაგრამ ამას შემდეგ გიამბობთ...

ამ მოგზაურობამ ძალიან გამახალისა. უფრო დაბლობ ადგილებში წავაწყდი კურდღლებს (მგონი კურდღელი იყო) და მეღიებს. ოღონდ ეს მეღეები სულ განსხვავებულნი იყვნენ. ხორციც არაფრად მეჭაშნიკა მათი და ვერც გავბედე შეჭმა, თუმცა რამდენიმე მოვკალი.

კაცმა რომ თქვას, საჭმლის ნაკლებობას არც განვიცდიდი, გემრიელი ხორცი უხვად მქონდა, განსაკუთრებით სამნაირი: თხის, მტრედისა და კუსი. ამრიგად, ჩემი სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, მაინც ბედის მადლიერი უნდა ვყოფილიყავი.

მოგზაურობის დროს დღეში ორ მილზე მეტი არასოდეს არ გამივლია პირდაპირი მიმართულებით, მაგრამ იმდენს ვტრიალებდი ერთ ადგილას, იმდენს გადავუხვევ-გადმოვუხვევდი ხოლმე გზიდან მიდამოების დასათვალისწინებლად, რომ

სადამოლობით ყოველთვის დაქანცული მოვდიოდი. უფრო ხშირად ვიძინებდი ხეზე, ზოგჯერ კი, - მოხერხებულ ადგილს თუ შევხვდებოდი ორ ხეს შუა, სადაც ადვილად შეიძლებოდა სარებით შემორაგვა საწოლისა, ისე რომ ველური არსებანი ჩუმად ვერ მომპარვოდნენ, - მიწა-

ზეც ვწვებოდი.

ზღვის ნაპირს რომ მივადექი, დავრწმუნდი, რომ ბედმა გამრიცა ამ კუნძულის ყველაზე მწირსა და გავერანებულ ადგილას: ჩემს სანაპიროზე, წელიწად-ნახევრის განმავლობაში მხოლოდ სამი კუ დავიჭირე. აქ კი ნაპირი უთვალავ კუს დაეფარა. აქვე იყო უამრავი ფრინველი, სხვადასხვა ჯიშისა, ზოგიერთი - სრულიად უცნობი ჩემთვის. ბევრ მათგანს გემრიელი ხორცი ჰქონდა.

ფრინველებს აქ, რამდენსაც მოვისურვებდი, იმდენს დავხოცავდი, მაგრამ ტყვია-წამალს ვუფრთხილდებოდი. მერჩინა, ერთი თხა მომეკლა, რადგან თხას მეტი ხორცი აქვს. თხები აქ ბლომად იყო, მაგრამ ბევრად ძნელი იყო მოკვლა, რადგან ვაკეზე ცხოველი შორიდანვე გრძნობდა მიახლოებას, გორაკებზე კი უფრო ადვილად მივეპარებოდი ხოლმე.

გავყევი ნაპირს აღმოსავლეთისაკენ. ალბათ, ასე, თორმეტი მილის მანძილზე, და შემდეგ გადავწყვიტე, შინ ავბრუნებულიყავი. ნაპირზე ნიშანი დავასვი, რომ ეს ადგილი არ ამრეოდა.

შინისაკენ სულ სხვა გზით დავბრუნდი, არა სანაპიროთი, რადგან იმედი მქონდა, რომ ჩემს ძველ ბინას მაინც მივაგნებდი. მაგრამ მოვტყუვდი: სამიოდე მილით რომ დავშორდი ნაპირს, დიდ ხევში მოვხვდი, რომელსაც ირგვლივ ხშირი ტყით დაბურული მთები ერტყა.

თავგზა ამერია. აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი. მზის საშუალებით შეიძლებოდა გზის გაგნება, მაგრამ ღრუბლიანი ამინდი იყო. უგზო-უკვლოდ დავეხეტებოდი ხევში. მერე იძულებული გავხდი, ზღვის სანაპიროსაკენ დავბრუნებულიყავი,

ჩემი ნიშანი მეპოვა და ძველ გზას გავყოლოდი. დინჯად და სვენებს-სვენებით მივდიოდი შინისაკენ, რადგან სულისშემხუთავი სიცხე იდგა და თოფი, ტყვია-წამალი, ნაჯახი და სხვა ნივთები ძალიან მამძიმებდა.

უკანა გზაზე ჩემი ძალი თიკანს წააწყდა, დააფრთხო და გამოეკიდა. პირიდან გამოვტაცე. გადავწყვიტე, როგორმე შინ წამეყვანა, რადგან დიდი ხანია აკვიატებული მქონდა ერთი-ორი თიკნის მოშინაურება-გამოზრდის სურვილი, რომელთაგან შემდეგ არვეს მოვამრავლებდი და, ტყვია-წამალი რომ გამომეღეოდა, უზრუნველყოფილი ვიქნებოდი რძითა და ხორცით. თიკანს საყელური შევაბი და საბელზე გამობმული შინ წავიყვანე (საბელი მუდამ თან დამქონდა ხოლმე). რო-

გორც იქნა, მივალწიე აგარაკამდე, თიკანი შემოლობილში დავტოვე, ხოლო მე შინისაკენ გავეშურე, რადგან თვეზე მეტი ხნის წასული ვიყავი და ერთი სული მქონდა, შინ დავბრუნებულყავი.

ვერ აგიწერთ, რა სიამოვნება ვიგრძენი, როცა ჩემს ქობში დავბრუნდი და ჰამაკში ჩავწექი. ამ მომქანცველი მგზავრობის მერე სახლი (როგორც გულში ვეძახდი ხოლმე ამ კარავს), კეთილმოწყობილ საცხოვრებელ ბინად მომეჩვენა. ისეთი სიმყუდროვე და სიმშვიდე ვიგრძენი, გადავწყვიტე, დიდი ხნით აღარსად წავსულიყავი სამოგზაუროდ.

მოგზაურობის შემდეგ მთელი კვირა ვისვენებდი. დროის უდიდესი ნაწილი მოვანდომე კარგა ძნელ საქმეს - გალიის გაკეთებას ჩემი თუთიყუში პოლისათვის, რომელიც თანდათან მომეჩვია და დამიმეგობრდა კიდევ. ასევე ვბრუნავდი საბრალო თიკანზე, რომელიც პატარა ბაკში დავტოვე. გადავწყვიტე, სახლში წამომეყვანა, ან იქ მიმეტანა მისთვის საკვები.

თიკანი იქვე დამხვდა, ანკი სად წავიდოდა! ოღონდ შიმშილით სიკვდილის პირას მისულიყო. მაშინვე გავიქეცი, ხეებსა და ბუჩქებს ყლორტები შევასხიპე და ეზოში ჩავუყარე. მერე საბელი გამოვაბი და შინ წავიყვანე. მაგრამ შიმშილს ისე მოეთვინიერებინა, რომ საბლით თრევა აღარ იყო საჭირო - ძალღივით მომდევდა. მერე, განუწყვეტლივ რომ ვკვებავდი, ისე შემეყვარა საბრალო არსებამ, რომ სავსებით მოშინაურდა და აღარც მივუტოვებოვარ.

შემოდგომის ბუნიობა დადგა და წვიმების პერიოდის დაიწყო. 30 სექტემბერს კვლავ ვიდღესასწაულე ამ კუნძულზე გამორიყვის მეორე წლისთავი. აქედან თავის დაღწევის იმედი, რაც პირველ დღეს მქონდა, აღარ მომმატებია. თუმცა, უკვე აშკარად ვგრძნობდი, ჩემ სავალალო მდგომარეობას მიუხედავად, გაცილებით უფრო ბედნიერი ვიყავი, ვიდრე უწინ, როცა საშინელ, წყეულ, ცოდვებით სავსე ცხოვრებას ვეწეოდი. ისე შევიცვალე, მწუხარებასა და სიხარულს ახლა სულ სხვაგვარად განვიცდიდი. ჩვეული მისწრაფებანი უკვე გაქრა და ახლა ის აღარ მახარებდა, რაც უწინ.

ადრე, სანადიროდ ან კუნძულის დასათვალიერებლად რომ გამოვიდოდი, უცბე მომაწვებოდა ხოლმე სევდა. გული ჩამწყდებოდა, როდესაც წარმოვიდგენდი, რომ მე ამ უკაცრიელი უდაბნოს ტყვე ვიყავი და ოკეანის მარადიული ურდულებით გამოკეტილს გამოხსნა არ მეწერა. ხელებს ვიმტვრევდი და ბალღივით ვქვითინებდი. ზოგჯერ ასეთი

ფიქრები გახურებული მუშაობის დროს მეწვეოდნენ. მაშინ მყისვე ჩაკვეციბოდი, მოვყვებოდი ოხვრას და მთელი ორი საათი მიწას ჩავამტერდებოდი.

ახლა სულ სხვა ფიქრებს მივეცი თავი. ყოველ ცისმარე დღეს ვკითხულობდი ბიბლიასა და ღვთის სიტყვები ასეთ ყოფაშიაც მამშვიდებდნენ. ლოცვანს დღეში სამჯერ მივუბრუნდებოდი ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ შუადღისას, როცა მზე საშუადღეობე იდგა, სულისშემხუთავი სიცხის გამო გარეთ გამოსვლა შეუძლებელი ხდებოდა. ნაშუადღევს მთელი ოთხი საათი ვმუშაობდი ხოლმე.

მთელი საათები მიდიოდა ხელსაწყო-იარაღების უქონლობისა და საქმის არცოდნის გამო. მთელი ორმოცდაორი დღე მოვუნდი, მაგალითად, ფიცრის გამოთლა-გამორანდვას გრძელი თაროსათვის, რომელიც მღვიმეში მჭირდებოდა. ორი ღურგალი, საჭირო ხერხითა და ხელსაწყოთი, ექვს ასეთ თაროს დილიდან შუადღემდე გამოთლის.

აი, როგორ ვამზადებდი ფიცრებს: ჯერ მოსაჭრელად უნდა გამომერჩია დიდი ხე, რადგან ფართო თარო მჭირდებოდა.

მთელი სამი დღე ამ ხის მოჭრას მიჰქონდა, ხოლო ორი დღე ტოტების ჩამოსხეპას ვუნდებოდი, რათა მორისათვის დამემსგავსებინა. გამოუთქმელი შრომა სჭირდებოდა ორივე მხრიდან გამოთლასა და გამოჩორკნას, რათა ცოტა უფრო მსუბუქი ყოფილიყო და ადგილიდან დაძვრა შემძლებოდა. მერე ერთ მხარეს თავიდან ბოლომდე კოხტად გავთლიდი და ფიცარს დავამსგავსებდი. შემდეგ მორს გადავებრუნებდი და ახლა მეორე გვერდის თლასა და სწორებას შევუდგებოდი; ვთლიდი მანამდე, სანამ ორივე მხარეს გლუვი არ გაუხდებოდა ზედაპირი.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ არც მშველელი მყავდა ვინმე და საკუთარი ხელების გარდა თითქმის არაფერი გამაჩნდა, მოთმინებითა და მუყაითობით მართლაც რომ ყველაფერი გავაკეთე, რაც უსათუოდ საჭირო იყო.

*

ნოემბერ-დეკემბერში ქერისა და ბრინჯის მოსავალს ველოდი. ფართობი, რაზედაც მარცვლეული მეთესა, მაინცდამაინც დიდი არ ყო-

ფილა, რადგან, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, პირველი წლის მოსავალი გვალვიან სეზონში დათესვის გამო თითქმის სულ დაიღუპა, სამაგიეროდ ახლა უჩანდა კარგი პირი მოსავალს.

ერთ დღეს შევნიშნე, რომ ახლაც მარცვლეულის დაკარგვის საშიშროების წინაშე ვიდექი: შემომჩვეოდნენ თხები და ის ნადირები, რომლებსაც მე კურდღლებს ვეძახდი. ეტყობა, ეამათ ჯეჯილის ნორჩი ყლორტები და, როგორც კი ნათესი ამოიწვერა, დღე და ღამე შიგ იყვნენ, ძირში კვნეტდნენ ღეროს და, რაღა თქმა უნდა, თავთავის გაკეთებას არ აცლიდნენ.

ყანის გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო შემოღობვა. დიდი წვალეობა დასჭირდა ამ საქმეს, უფრო იმიტომ, რომ სწრაფად უნდა გამეკეთებინა. მაგრამ, რაკი პატარა ყანა მქონდა, სამიოდე კვირაში მთლიანად შემოვავლე ღობე. დღისით სროლით ვაფრთხობდი ნადირს, ღამით კი ღობესთან ძაღლს ვაბამდი, რომელიც მთელი ღამე ყეფდა. მალე ჩემი მტრები ვაიძულე მივეტოვებინე და ყანამაც თავთავის მოსხმა და დამწიფება იწყო.

მაგრამ, თუ ჯეჯილს ნადირი მტრობდა, თავთავიან ყანას ფრინველები შემოეჩვივნენ და ახლა ესენი გახდნენ ჩემი დამაქცევრები.

ერთხელ, ყანის დასათვალიერებლად რომ მივდიოდი, შევნიშნე, რომ ირგვლივ ფრინველები ჩამომსხდარიყვნენ და, როგორც ეტყობა, ჩემს წასვლას ელოდებოდნენ. მაშინვე თოფი გამოვიღე და გავისროლე. გავისროლე თუ არა, ჩემი ყანიდან ფრინველების ახალი გუნდი წამოიშალა, რომელიც ადრე არ შემინიშნავს.

ამან ძალიან შემაწუხა. აშკარა იყო, რამდენიმე დღეში მთელი ჩემი იმედი დაიღუპებოდა და ველარასოდეს მოვიწვევდი ჭირნახულს. გადაწყვიტე, სადღელამისო გუშაგობა დამეწესებინა. უპირველეს ყოვლისა, ყანა შემოვიარე, რათა მენახა, რა ვნება მომაცენეს ფრინველებმა. აღმოჩნდა, რომ ბლომად გაეოხრებინათ, მაგრამ, რაკი თავთავი ჯერ კიდევ არ იყო მწიფე, ბარალი მაინცდამაინც დიდი არ იყო, ამის შემდეგ მაინც თუ მოვახერხებდი დაცვას, ყანას კარგი პირი უჩანდა.

თოფი გადავტენე და, როცა გამობრუნება დავაპირე, შევნიშნე, „ქურდები“ იქვე ახლომახლო ხეებზე წამოსკუპებულიყვნენ. იმათ თვალის ასახვევად თითქოს მართლაც შინ მივდიოდი. ჯერ თვალს არც კი ვიყავი მოფარებული, რომ ერთმანეთს მიყოლებით კვლავ ყანაში დამვება დაიწყეს. ამან ისე გამაგულისა, რომ ველარ მოვიტომინე, აღარ ვა-

ცალე ყველას დაშვება, მივაშურე ღობეს, ვესროლე ჩემს მტრებს და სამ ჩიტს იქვე გავაფრთხობინე სული. დახოცილი ფრინველები ერთმანეთს გადავაბი და სხვების დასაშინებლად მარგილებზე ჩამოვკვიდე.

ძნელი წარმოსადგენია, თუ რა შედეგი გამოიღო ამან. არათუ ყანას აღარ მიეკარნენ ფრინველები, სულაც მიატოვეს კუნძულის ეს მხარე და სადღაც გადაიკარგნენ. სანამ ეს საფრთხობელები მეკიდა სარზე, ერთ ჩიტსაც არ გაუჭაჭანებია ახლომახლო.

თვითონვე მიხვდებით, როგორ გამახარებდა ეს ამბავი. დეკემბრის ბოლო რიცხვებში ყანა ავიღე.

რადგანაც არც ცელი მქონდა და არც ნამგალი, ისღა მოვახერხე, რომ გემიდან წამოღებული გრძელი ხმალი თუ მახვილი გამოვჩარხე, როგორც შემეძლო. დიდი ყანა არ მქონდა და აღება მაინცდამაინც არ გამჭირვებია. ჩემებურად მოვმკე: მარტო თავთავები მოვაცალე და ჩემივე დაწულ ღიდ გოდორში ჩავყარე. მერე ხელით მოვფშვენი ეს თავთავები. ნახევარ-ნახევარი პევი თესლიდან დაახლოებით ორი ბუშელი[2] ბრინჯი და ორ-ნახევარ ბუშელზე მეტი ქერი მოვიწიე. რა თქმა უნდა, ვარაუდით ვიანგარიშე. რადგან საწყაო სად მექნებოდა!

ღვთის შეწევნით, პური მექნებოდა. მაგრამ ახლა ახალი სადავიდარაბო გამომიჩნდა: არ ვიცოდი, როგორ გადამერჩია მარცვალი. როგორ დამეფქვა, როგორ მომეზილა და როგორ გამომეცხო. ამ სიძნელეებს დაემატა ჩემი სურვილიც: საკმაო მარაგი მომემზადებინა პურისა, ამიტომ გადავწყვიტე პირველი მოსავლისათვის ხელი არ მეხლო და სათესლედ შემენახა სამერმისოდ.

სრულიად უმწეო და პირველყოფილ მდგომარეობაში ჩავარდნილს ყოველდღიური სიძნელეები მაწამებდა, რაც სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა.

ჯერ ერთი, მიწის მოსახნავად სახნისი არა მქონია; არც ბარი და ნიჩაბი მქონდა, რომ ნიადაგი დამებარა. ხის ნიჩბით აბა რას დავბარავდი! როგორი იარაღიც მქონდა, მუშაობაც ისე წარმიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დღის განუწყვეტელი შრომა დასჭირდა ამ ნიჩბის გამოთლას, იგი მაშინვე გაფუჭდა და გაცვდა, რადგანაც რკინა არ ჰქონდა გადაკრული.

ასე იყო თუ ისე, შევურიგდი ამ მდგომარეობას და მოთმინებით განვაგრძობდი მუშაობას.

მარცვალი კი დავთესე, მაგრამ ახლა ფარცხი არ მქონდა; იძულებული ვავხდი დაბარულ მიწაზე ხიდან ჩამოჭრილი დიდი ტოტი გამეთრია, რომელიც კი არ დაფარცხავდა და აფხვიერებდა ნიადაგს, არამედ მხოლოდ ფხაჭნიდა და კაწრავდა.

მთელი ეს საქმე განუსაზღვრელ მუშაობას მოითხოვდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა! დრო აღრევე ვავანაწილე და განსაზღვრულ საათებში ყოველდღე ვმუშაობდი. წინ კიდევ მთელი ექვსი თვე მედო და შემეძლო ეს დრო მთლიანდ დამეთმო პურის დასამზადებლად აუცილებელი ნივთების გამოგონება-გაკეთებისათვის.

პირველ რიგში, საჭირო იყო ყანისათვის ახალი ფართობის მომზადება, რადგან თესლი ახლა იმდენი მქონდა, რომ მთელ აკრ მიწას დამითესავდა. სანამ ნიადაგის დამუშავებას შევუდგებოდი, ერთი კვირა ნიჩბის გამოთლას მოვანდომე. დიდი ვაგლახი რამ გამოვიდა ეს ახალი ნიჩაბი - მეტისმეტად ტლანქი იყო და ორჯერ მეტი ენერგია სჭირდებოდა იმით მუშაობას. როგორც იყო, მაინც მოვამზადე ორი მოზრდილი ფართობი ვაკეზე, ჩემს სახლთან ახლოს, დავთესე და მესერი შემოვავლე. სარებად იგივე ხე გამოვჭერი, რომელიც უწინ გამოვიყენე მესერისათვის. ასე რომ, ერთი წლის შემდეგ ჩემი მესერი ცოცხალ ღობედ იქცეოდა და ბევრი შეკეთება აღარ დასჭირდებოდა.

ამ საქმეს არანაკლებ სამი თვე მოვანდომე, რადგან წვიმების პერიოდი დაემთხვა და ხშირად გარეთ ვერ გამოვდიოდი. შინ ყოფნისას, როცა წვიმდა და სახლიდან ფეხს ვერ ვადგამდი, სხვა დიდი საქმე წამოვიწყე. ამასთან, მუშაობის დროს თუთიყუშთან მასლაათით ვართობდი თავს და ლაპარაკს ვასწავლიდი. მან მალე შეითვისა თავისი სახელი და კარგა ხმამაღლაც იმეორებდა. „პოლი“ იყო სხვის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა, რომელიც მე ამ კუნძულზე გავიგონე.

უკვე დიდი ხანია ვცდილობდი, როგორმე თიხის ჭურჭელი გამომეძერწა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ შემესრულებინა გულისწადილი. მთავარი იყო შესაფერისი თიხის პოვნა. რაც შეეხება ჭურჭლის გამოწვას, - აქაური ცხელი ჰავის წყალობით მისი გამოშრობა მზებზეც შეიძლებოდა, რომ შიგ მშრალი სანოვავე მშრალადვე შემენახა. მარცვლეულის შესანახად, გადაფყვიტე, გამომეძერწა ქვევრის მსგავსი ჭურჭელი, რაც შეიძლება დიდი ზომისა.

თიხა მოუქნელი იყო და თავისივე სიმძიმით იშლებოდა, ზოგი მზის გადაჭარბებულმა მცხუნვარებამ დახეთქა და დაფშვნა, რადგანაც ნაჩქარევად გამქონდა მზებზე. ზოგიერთი გამოშრობის შემდეგ დაიფუშა,

როცა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადამქონდა. ერთი სიტყვით, თითქმის მთელი ორთვიანი მუშაობის შემდეგ, როცა უკვე მივაგენი შესაფერის თიხას, მოვთხარე, მოვზილე, შინ მოვიტანე და გამოვძერწე, - მხოლოდ ორი ულაზათო თიხის ჭურჭელი შემრჩა ხელთ (ქვევრს ვერაფრით ვუწოდებ მათ).

როცა ეს ჭურჭელი კარგად გამოშრა მზეზე და საკმაო სიმკვრივე მიეცა, დიდი სიფრთხილით ჩავდგი მათთვის საგანგებოდ დაწნულ გოდრებში, რომ მეტი სიმაგრე ჰქონოდა და ადვილად არ დაშლილიყო. წნულსა და ქვევრს შორის ბრინჯისა და ქერის ნამჭა ჩავტენე. გადავწყვიტე, ჯერ ხორბალი ჩამეყარა შიგ, ხოლო ხორბლის დაფქვის შემდეგ - ფქვილი.

დიდი ჭურჭელი ხომ ვერ გამომივიდა კარგი, სამაგიეროდ უფრო პატარები - ქოთნები, ჯამები, დოქები, თეფშები და ამის მსგავსი მომცრო საგნები - უკეთ გამოვძერწე.

ჩემი მიზანი მაინც სხვა იყო: უნდა დამემზადებინა ისეთი თიხის ქოთანი, რომელიც სითხესაც დაიჭერდა და ცეცხლსაც გაუძლებდა.

გავიდა ხანი. ერთხელ ხორცს ვწვავდი დიდ ცეცხლზე. როცა შეწვას მოვრჩი და ცეცხლს ვაქრობდი, ლადარში უცებ ქვევრის ნატეხს წავაწყდი, რომელიც ისე გამომწვარიყო, რომ ქვის სიმაგრე და აგურის სიწითლე მისცემოდა. გამიკვირდა და თან გამიხარდა: თუკი ნატეხი გამოიწვა, - ვთქვი ჩემთვის, - მაშ მთელი ჭურჭლის გამოწვაც ყოფილა შესაძლებელი.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ როგორ დამენტო ცეცხლი ჭურჭლის გამოსაწვავად. მაშინ წარმოდგენაც კი არა მქონდა ღუმელზე, რომელშიაც მექოთნეები თიხის ჭურჭელს წვავენ ხოლმე. არც ტყვიით მოგლასუნებისა გამეგებოდა რა, თუმცა ცოტაოდენი ტყვია მქონდა. ლადარზე სამი მოზრდილი ქვევრი დავდე. ბევიდანაც ორი თუ სამი ქოთანი დავაწყვე, ირგვლივ და ბევიდან შეშა შემოვუწყვე და ცეცხლი გავაჩაღე. შეშას თანდათან ვუმატებდი, სანამ ქოთნები კარგად არ გავარვარდა. არც ერთი არ გაბზარულა. გავარვარების შემდეგაც ვუმატებდი შეშას და მთელი ხუთი-ექვსი საათი ასე გავაჩერე. შემდეგ შევნიშნე, რომ ერთმა ქოთანმა დნობა დაიწყო, თუმცა არ გაბზარულა: ეს თიხაში არეული ქვიშა გალხვა ძლიერი ცეცხლის ძალით და, კიდევ რამდენიმე ხანს რომ გამეჩერებინა ასეთ ცეცხლში - მინად იქცეოდა. ამის შემდეგ თანდათან შევანელე ცეცხლი და ქოთნების ელვარებამაც თანდათან იკლო. ცეცხლის ერთბაშად ჩაქრობა არ შეიძლებოდა,

ნელ-ნელა უნდა გაცივებულოყო ჭურჭელი, და ამის გამო დილაზე ვუ-
დარაჯე. დილით მზად მქონდა სამი ძალიან კარგი (თუმცა არცთუ ისე
კობტა) ქვევრი და ორი ქოთანნი.

გაცივებაც კი არ ვაცალე ქოთანს, სულმა წამძლია, კვლავ ცეცხლზე
შევდგი, წყალი ჩავასხი და ხორცი მოვხარშე. მშვენიერი იყო! თიკნის
ხორცის წვნიანი, თუმცა არც შვრიის ბურღული და არც სხვა სანელებ-
ლები არ მქონია, მაინც გემრიელი გამოვიდა.

ამის შემდეგ უნდა ამომეთალა ქვის როდინი, რომელშიაც ხორ-
ბალს დავნაყავდი, რადგან ჩემი ორ ხელით წისქვილის მოწყობაზე
ოცნება ზედმეტი იყო. ძალიან გამიძნელდა ამ საკითხის მოგვარება,
რადგან ქვისმთლელობისა არაფერი გამეგებოდა და არც საჭირო
ხელსაწყოები გამაჩნდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ამაოდ ვე-
ძებდი ისეთი სიდიდის ქვას, რომლის ამოტეხვა და როდინად გამოყე-
ნება იქნებოდა შესაძლებელი.

დიდი ხნის ამაო ძებნის შემდეგ გადავწყვიტე, ქვაზე ხელი ამელო და
მაგარი ჯიშის ხე გამომეძებნა. მართლაც, გაცილებით უფრო ადვილად
ვიპოვე შესაფერი სიმაგრის დიდი ჯირკი, რომელიც ძლივს დავძარი
ადგილიდან, დავამრგვალე ცულითა და ნაჯახით, და დიდი წვალებისა
და ვაი-ვაგლახის შემდეგ ფოსო ცეცხლით გამოვწვი - სწორედ ისე,
როგორც ინდოელები აკეთებენ ბრაზილიაში ნავებს; შემდეგ დიდი,
მძიმე ფილთაქვა ანუ სანაყი გამოვჭერი და ხორბლის მეორე მოსავ-
ლამდე შევინახე.

ახლა მთელი თავისტეხა სჭირდებოდა საცრის ანუ ცხრილის გაკე-
თებას. უამისოდ პურის გამოცხობა ვერ წარმომედგინა, მაგრამ ეს ყვე-
ლაზე ძნელი საქმე იყო და ფიქრიც კი ვერ გამებედა, რადგან არავითა-
რი საჭირო მასალა მე არ გამაჩნდა; არა მქონდა რა შესაფერისი, რომ-
ლითაც ფქვილის გაცრას შევძლებდი. რამდენიმე თვის განმავლობაში
ვერაფერი მოვიგონე; მართალია, თხის ბალანი მქონდა, მაგრამ არ
ვიცოდი, როგორ უნდა მომექსოვა ან დამეწნა და, თუნდაც მცოდნოდა,
მაინც ვერაფერს გავხდებოდი, რადგან საჭირო ხელსაწყოები არ
მქონდა. ბოლოს მომაგონდა, რომ გემიდან წამოღებულ ტანსაცმელს
შორის იყო რამდენიმე თხელი ყელსახვევი. სწორედ ამათგან გავაკე-
თე სამი მომცრო საცერი და გამომადგა კიდევ. რამდენიმე წელიწადს
მეყო ეს საცრები. ხოლო მერე რა მოვიგონე, ამას თავის დროზე მო-
გახსენებთ.

ხორბლის დაფქვის საქმე მოგვარებული იყო. ახლა პურის გამოც-

ხობაზე უნდა მეზრუნა. უპირველეს ყოვლისა, მჭირდებოდა საფუარი, მაგრამ ამას არც არაფერი ეშველებოდა და ზედმეტი ფიქრით აღარ შემიწუხებია თავი. ღუმლის მოწყობამ კი მართლაც ძალიან გამაწვალა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს ესეც მოვახერხე: თიხისაგან გამოვძერწე რამდენიმე ფართო, ოღონდ დაბალი კეცი, კარგად გამოვწვი ცეცხლში და შევინახე.

პურის გამოცხობისას დიდ ცეცხლს გავაჩაღებდი ბუხარში, რომლის კერა ჩემივე გამოძერწილი და გამომწვარი ოთხკუთხა აგურით იყო მოკირწყლული (თუმცა არც კი შეიძლება ოთხკუთხა ვუწოდოთ). შემა რომ დაიწვებოდა, ნაკვერცხლებს ამ ბუხარში კარგად გავშლიდი, რომ ყველა კუთხე ანაბრად გახურებულიყო, მერე კი კერას მოვხვეტავდი და პურს ჩავაკრავდი. ზევიდან დავამხობდი თიხის კეცებს და ნაკვერცხლებს დავაყრიდი, რომ მაღალი ტემპერატურა შეენარჩუნებინა. ქვეყნად საუკეთესო თონეშიაც კი ვერ გამოაცხობდნენ ამაზე გემრიელ პურებს. ამ საქმეშიც მალე დავხელოვნდი და საუკეთესო ხაბაზი გავხდი. ბრინჯისაგან ვაცხობდი ნამცხვრებსა და პუდინგებს. ხორციანი ღვებელი არ გამიკეთებია, რადგან მხოლოდ ფრინველისა და თხის ხორცი მქონდა, რაც არ გამომადგებოდა.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ საქმეს თითქმის მთელი მესამე წელი მოვანდომე. თან, რა თქმა უნდა, სხვა საქმესაც ვაკეთებდი: პური თავის დროზე მოვიძკე, თავთავი შინ გადმოვზიდე და დიდ გოდრებში ჩავყარე.

რახან უფრო მეტი მოსავალი მოვიწიე, ბელლის გაფართოებაზეც უნდა მეზრუნა, რადგან არაფერში არ ჩამეტეოდა. ამჯერად, უკვე თავისუფლად შეიძლებოდა მარცვლეულის საკვებად გამოყენება.

*

ამ საქმეებით გართულს, ხშირად მომაგონდებოდა ზღვაში გაწოლილი ხმელეთი, რომელიც კუნძულის მეორე მხრიდან დავინახე. ხშირად მეწვეოდა ხოლმე იდუმალი ნატვრა იქ მისვლისა, რადგან ვფიქრობდი, რომ მატერიკიდან, ან დასახლებული ქვეყნებიდან უფრო ადვილად მოვახერხებდი აქედან თავის დაღწევას.

თუმცა, იქაური ველურების ხელში ჩავარდნას აფრიკულ ვეფხვებსა და ლომებთან მოხვედრა ჯობდა. ვიცოდი, რომ ყარაიბის სანაპიროზე

კანიბალები ბინადრობდნენ, ხოლო ის ადგილები აქედან შორს არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ კაციჭამიებიც რომ არ ყოფილიყვნენ, სულერთია, ველურებიც მომიღებდნენ ბოლოს.

ვინატრე ჩემი ქსური და აფრიანი ნავი, რომლითაც ერთხელ ათას მილზე მეტი გავცურე აფრიკის სანაპიროების გასწვრივ. მაგრამ ნატვრა რას მიშველიდა! ბოლოს გადავწყვიტე, ის ნავი მენახა, რომლითაც გემიდან გამოვცურეთ და რომელიც ქარიშხალმა სადღაც ნაპირზე გამოორიყა, ჩემი სახლიდან მოშორებით. ნავი თითქმის იქვე დამხვდა, ცოტათი გავცურებინა ტალღებსა და ქარს მეჩეჩსა და ქვიშაზე გაერიყა და პირქვე ჩაემხო. მშრალად იდო, წყალს დაშორებოდა.

ამ ნავის შეკეთება და ზღვაში ჩაცურება რომ შემძლებოდა, გაგიხარიათ, ადვილად მოვახერხებდი ბრაზილიაში დაბრუნებას - ნავი გაუძლებდა შორს მოგზაურობას. მაგრამ ვერ გავითვალისწინე, რომ ამას დაუხმარებლად ვერ მოვახერხებდი: ჩემი ძალ-ღონით შეუძლებელი იყო ნავის გადაბრუნება, პირდაპირ ტყეში წავედი, ოწინარებისათვის დიდი კეტები გამოვჭერი და ნავთან მივზიდე.

მთელი სამი-ოთხი კვირა ვეწვალე. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ჩემი უსუსური ძალით შეუძლებელი იყო მისი დაძვრა, ოწინარს თავი გავანებე და ნავის გვერდით ქვიშის გამოთხრა დავიწყე. იმედი მქონდა, საფუძველგამოცლილი ნავი თავისით გადმობრუნდებოდა, მე კი ხის ნაპობებს მივაშველებდი და სასურველ მდგომარეობას მივალეზინებდი.

ქვიშა გამოვთხარე, ხის მორებიც შევუწყე, მაგრამ ნავის ადგილიდან დაძვრა მაინც ვერ მოხერხდა. წყლისაკენ გათრევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! მეტი რაღა გზა მქონდა, - თავი გავანებე, მაგრამ ნავის გამოყენების იმედის დაკარგვამ ოკეანეში შესვლის სურვილი როდი შემინელა; პირიქით, რამდენადაც შეუძლებელი ჩანდა ეს, წასვლის ჟინი მით უფრო მიცხოველდებოდა.

ბოლოს გადავწყვიტე, დიდი ხის მორისაგან თვითონვე გამომეთალა კარჭაპი[3], როგორსაც იქაური ინდოელები აკეთებდნენ ხოლმე, - სრულიად მარტივად, უხელსაწყოდ და დაუხმარებლად. ეს არათუ შესაძლებელი, არამედ ადვილად მოსახერხებელიც მეჩვენა. გამიტაცა ამ აზრმა და ვფიქრობდი, რომ ზანგებსა და ინდოელებზე ადვილად ვაკეთებდი ნავს.

მხედველობიდან გამომრჩა ერთი გარემოება, რითაც ინდოელებს უპირატესობა ენიჭებოდათ. ეს იყო დამხმარე ძალა, რომელიც გამოთ-

ლის შემდეგ ნავს ზღვაში შემაცურებინებდა.

ისე ვიყავი გატაცებული ზღვაში გასვლაზე ოცნებით, რომ არც კი მიფიქრია ამ სიძნელეზე.

შევუდექი ნავის გამოთლას, მაგრამ ალბათ არც ერთი ჭკუათმყოფელ ადამიანს არ მოსვლია ასეთი სისულელე! ჩემი განზრახვის შესრულების სურვილმა ისე გამიტაცა, რომ აღარც კი დავფიქრებულვარ, თავს გავართმევდი თუ არა. მართალია, ხშირად გამიელვებდა ფიქრი, რომ ძნელი იქნებოდა ნავის წყალში შეცურება, მაგრამ ამ კითხვას ყოველთვის უგუნურ პასუხს შევაგებებდი ხოლმე: „ჯერ ნავი გავაკეთო და მერე როგორმე მაგასაც მოვახერხებ“.

ვეებერთელა კედარი მოვჭერი. ოც დღეს ვცემდი ნაჯახს და ძლივს წავაქციე. ტოტების, როკებისა და ვეება კენწეროს ჩამოკვეთასა და გასხეპას დასჭირდა თოთხმეტი დღის გამოუთქმელი შრომა. ამის შემდეგ ერთი თვე მოვუნდი გამოთლას

და ნავის ფორმის მიცემას, რომ წყალზე ტივტივი დაეწყო. დაახლოებით სამი თვე გულის ამოჭრამ წაიღო. მთელი ეს დრო თავაუღებლად ვმუშაობდი. ბოლოს მართლაც მშვენიერი ნავი გამოვიდა, დიდიც იყო - ასე ოცდაექვსი კაცი მოთავსდებოდა; მე და ჩემს ავლადიდებასაც, რა თქმა უნდა, თავისუფლად დაგვიტევდა.

ძლიერ გამიტაცა მუშაობამ და ძალიანაც აღმაფრთოვანა. მთელი ხისაგან გამოჭრილი ამოდენა კარჭაპი ჩემს დღეში არ მენახა. დადგა მისი ზღვაში შეტანის დრო.

რამდენი არ ვუტრიალე, რა არ მოვიგონე, რა განუსაზღვრელი შრომა არ გაეწიე, მაგრამ ამაოდ: ნავის მითრევა სანაპირომდე ვერ მოვახერხე, მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ასიოდე იარდით ვიყავი დაშორებული ზღვას. მთავარი დაბრკოლება ის იყო, რომ ხესა და ზღვას შორის, ნაპირის გასწვრივ, ნიადაგი მაღლდებოდა და ბორცვს ქმნიდა. ფარხმალი მაინც არ დამიყრია, გადავწყვიტე მიწა ჩამომეთხარა, დამრეცი შემექმნა. ამასაც მოვრჩი. ეს ერთი დაბრკოლება გადავლახე, მაგრამ ჩემს საქმეს მაინც ვერაფერი ეშველა, ძვრაც ვერ ვუყავი.

მერე მანძილი გამოვზომე ზღვასა და ნავს შორის და გადავწყვიტე, არხი გამეყვანა: რაკი ნავის გადატანის იმედი დავკარგე, ვიფიქრე, ისევ წყალს შემოვიყვან და გავაცურებ-მეთქი. ახლა ამ საქმეს შევუდე-

ქი. მაგრამ მიწის თხრა რომ დავიწყე და კარგად გავითვალისწინე, რა სიღრმე და სიგანე უნდა ჰქონოდა თხრილს, მივხვდი, რომ მხოლოდ მე ათ-თორმეტ წელიწადს მოვუნდებოდი არხის გაყვანას: ნაპირი ისე იყო შემადლებული, რომ უმაღლეს ადგილას, სულ ცოტა, ოცი ფუტის სიღრმეზე მაინც იქნებოდა საჭირო გათხრა. ბოლოს ამაზვც ხელი ავიღე. მაგრამ ძალიან კი დამწყდა გული.

მივხვდი - თუმცა ძალიან გვიან - რა დიდი უგუნურებაა წინასწარ არ გაითვალისწინო, რამხელა შრომა დასჭირდება ამა თუ იმ საქმეს ან საკუთარი ძალ-ღონით თუ შეძლებ თავი გაართვა მას.

*

კუნძულზე გამორიყვიდან ოთხი წელი შემისრულდა. ეს დღე ძველებურად ლოცვა-ვედრებაში გავატარე. სულიერად დავშვიდდი, რადგან საღმრთო წერილის გამუდმებული და გულმოდგინე კითხვით, ღვთის წყალობით, სულ სხვა თვალთ შევხედე ცხოვრებას. შეხედულებანი შემეცვალა. ახლა რაღაც უცხო, შორეულ რაღმე მეჩვენებოდა ქვეყანა, რომელთანაც არც არაფერი მაკავშირებდა, არც არაფერს მოველოდი მისგან; სურვილიც თითქოს არაფრისა გამაჩნდა. აღარც ვნება შემრჩა, არც თვალის სიხარბე და არც ქედმაღლობა. ნატვრა აღარ იყო საჭირო, რადგან ყველაფერი მქონდა, რითაც კი შემეძლო შვებისა და სიამის განცდა. მთელი კუნძულის ბატონ-პატრონი ვიყავი. თუკი მოვისურვებდი, შემეძლო სამფლობელოს მეფედ ან იმპერატორად გამომეცხადებინა თავი. მეტოქე არავინ იყო, არც მიწა-წყალს მედავებოდა ვინმე და მბრძანებლობაშიაც არავინ მეცილებოდა. შემეძლო იმდენი პური მომეწია, რომ გემების ქარავანი დამეტვირთა, მაგრამ არა მჭირდებოდა და მხოლოდ ჩემი სამყოფი მომყავდა. შემეძლო დამეხოცა უამრავი კუ, მაგრამ თითოზე მეტი არასოდეს მომიკლავს, ისიც იშვიათად. იმდენი ხე-ტყის მასალა მქონდა, რომ მთელ ფლოტს ავაგებდი, ხოლო ჩემი ვენახიდან ტონობით ყურძნის დაწურვა ან გახმობა შეიძლებოდა.

ყველაზე გაუმაძლარი ძუნწიც რომ ჩავარდნილიყო ჩემს დღეში, უსათუოდ განიკურნებოდა სიხარბის მანკიერებისაგან. სანატრელი არაფერი მქონია, თუ სრულიად უმნიშვნელო ნივთებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებიც არ გამაჩნდა და, იმის მიუხედავად, რომ წვრილმანი საგნები იყო, მაინც ძალიან მჭირდებოდა.

ზემოთაც აღვნიშნე, ერთი ქისა ფული მქონდა-მეთქი: დაახლოებით ოცდათექვსმეტი გირვანქა სტერლინგი, სულ ოქრო და ვერცხლი. მაგრამ რა! ფუჭად ეყარა, როგორც ყოვლად უვარგისი და ჭუჭყიანი ხარახურა. ვერაფერში დავხარჯავდი. რამდენჯერ მიფიქრია, როგორი სიამოვნებით მივცემდი ერთ პეშვ ოქროს უბრალო ჩიბუხში ან ხელის წისქვილში, რომლითაც ჩემს ხორბალს დავფქვავდი; ინგლისურ სტაფილოს და ბოლოკის თესლშიც მივცემდი, ან ერთ მუჭა მუხუდოსა და ლობიოში და ერთ ბოთლ მელანში. ერთი სიტყვით, ამ ფულისაგან ბეწვისოდენა სარგებლობაც არ მქონია, ეყარა

თავისთვის კარადაში და ნესტისაგან ობი ეკიდებოდა. აღმასითაც რომ მქონოდა გატენილი მთელი ეს კარადა, ჩემთვის ასევე არავითარი ფასი არ ექნებოდა, რადგან ვერაფერში გამოვიყენებდი.

ახლა გაცილებით უკეთ ვცხოვრობდი, ვიდრე თავიდან. სულიერადაც და ხორციელადაც უფრო მოსვენებული ვიყავი. სადილს რომ მივუჭდებოდი, ხშირად მიძღვნია მადლობა და თაყვანისცემა ღმერთისათვის. რაც მქონდა, იმით ვიყავი კმაყოფილი და, რაც არ გამაჩნდა, იმაზე არ ვწუწუნებდი. ეს ისეთ იდუმალ შვებასა მგვრიდა, რომ გამოთქმაც მიძნელებდა.

ძალიან დამეხმარა ერთი ფიქრი და უსათუოდ სხვა ჩემს დღეში მყოფსაც დაეხმარებოდა: ჩემს მდგომარეობას ვადარებდი იმას, რასაც თავდაპირველად მოველოდი, ან უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვით, - იმას, რაც უთუოდ მელოდა, რომ ღმერთს წყალობის თვალით არ გადმოეხედა, გემი ნაპირთან არ მოეახლოებინა და ჩემთვის საშუალება არ მოეცა, არა მარტო გემთან მისვლისა, არამედ იქიდან მრავალი საჭირო ნივთის გადმოტანისა...

მოკლედ რომ ვთქვა, თუ ერთი მხრივ სავალალო იყო ჩემი ცხოვრება, მეორე მხრივ, მადლობელიც უნდა ვყოფილიყავი, რომ ცოცხალი დავრჩი. ასეთი ფიქრებით კარგად ავწონ-დავწონე ყველაფერი და თავი დავვიმშვიდე.

*

უკვე დიდი ხანი გავიდა, რაც ამ კუნძულზე მოვხვდი და ბევრი რამ, გემიდან გადმოტანილი, ან სულ გამითავდა, ან საცა იყო გათავდებოდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, მელანი თანდათან შემომელია-მეთქი. მეც ვუმატებდი და ვუმატებდი ცოტა-ცოტა წყალს. ბოლოს ისე ბაცი გახდა, რომ ვეღარც კი გაარჩევდით ნაწერს. სანამ მელანი მქონდა, თვის ყოველ დღეს ვნიშნავდი, ვიწერდი, თუ ღირსშესანიშნავი რამე შემემთხვეოდა. ერთხელ თვალი გადავაავლე ამ ჩემს ნაწერებს და შევნიშნე უცნაური დამთხვევა ერთნაირი მოვლენებისა, რომლებიც მე გადამხდა თავს წელიწადის ერთსა და იმავე დღეს. ბედისწერისა რომ მწამდეს რაიმე და ვარჩევდე უბედურსა და ბედნიერ დღეებს, მაშინ ბევრ საინტერესო და უცნაურ დამთხვევას ვნახავდი.

რა დღესაც დედ-მამას და მეგობრებს წრეს მოვშორდი და ჰულში გავიქეცი, რათა იქიდან ზღვაში სამოგზაუროდ გავსულიყავი, იმავე დღეს - ოღონდ რამდენიმე წლის შემდეგ მე შემიპყრო სალახელმა მეკობრემ და მონად წამიყვანა.

იმავე დღეს, როცა იარმაუთის მისადგომებთან ქარიშხალს გადავურჩი და გავიქეცი, რამდენიმე წლის შემდეგ მე თავი დავაღწიე სალახელი მეკობრის მონობას.

ჩემს დაბადების დღეს, 30 სექტემბერს, როცა 25 წელი შემისრულდა, სასწაულებრივად გადავურჩი საშინელ განსაცდელს და ამ კუნძულზე გამოვირიყე, ასე რომ, ჩემი სიცოცხლე და განმარტოებული ცხოვრება ერთსა და იმავე დღეს დაიწყო.

მელნის შემდეგ გამომელია პური, ანუ გემიდან წამოღებული ორცხოობილა. უკიდურესად ვიზოგავდი, მაგრამ მაინც, სანამ ჩემი მოწეული პურის ხარჯვას დავიწყებდი, თითქმის მთელ წელიწადს სულ უპუროდ დავრჩი, ერთი ნაჭერი ორცხოობილაც

აღარ შემრჩენია. მაინც მაღლობელი უნდა ვიყო ბედისა, რომ სამუდამოდ უპუროდ არ დამტოვა და რაღაც სასწაულით მომივლინა ხორბალი.

ტანსაცმელიც მალე შემომაცვდა. თეთრეულისაგან აღარაფერი შემრჩა, გარდა უჯრულა პერანგებისა, რომლებიც მეზღვაურის სკივრში ვიპოვე და ძალიანაც ვუფრთხილდებოდი, რადგანაც აუტანელი სიცხის გამო ამ კუნძულზე ხშირად პერანგის ამარა დავდიოდი. დიდი შეღავათი იყო ჩემთვის ეს ოცდაათამდე პერანგი. მეზღვაურთა სკივრებში წავაწყდი თბილ ფარაჯებსაც, მაგრამ მათი ტარება ამ პაპანაქებაში არ შეიძლებოდა. მართალია, ჰავა კუნძულზე ჯოჯოხეთურად ცხელი იყო და ტანსაცმლის საჭიროებაც თითქმის არ იგრძნობოდა, დე-

დიშობილა სიარული მაინც ვერ შევძელი, მიუხედავად იმისა, რომ მარტოკა ვიყავი. ამის გაფიქრებაც კი არ მინდოდა. სხვა რომ არა იყოს რა, მზის სხივები მეტისმეტად მწველი იყო და ტიტველ სხეულს ძლიერ წვაავდა, კანს მიწყლულეებდა.

გადავწყვიტე, შემეკოწიწებინა ჩემი ნაფლეთები, რომელთაც ტანსაცმელს ვუწოდებდი. ჯუბები სულ შემომმეხია ტანზე. ახლა ისინი როგორმე ჩემი დიდი ფარაჯებისგან უნდა გამომეჭრა და გამომეკერა. შევუდექი თერძობას, ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ჯღანვა-ბლანდვას, რადგან საშინლად დაბლანდული რაღაც გამომივიდა. ასე იყო თუ ისე, მაინც შევაკოწიწე ორი-სამი ჯუბა და ვიმედოვნებდი, კარგა ხანს მეყოფოდა. შარვალი კი სულაც ვერ შევიკერე, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მოვახერხე, და მაშინაც უბადრუკი გამომივიდა.

ერთხელ უკვე ვთქვი, ნადირის ტყავებს ვინახავდი-მეთქი. გავჭიმავდი ხოლმე ჯოხებზე და მზეზე გასაშრობად გამქონდა. ბევრი მათგანი ისე გამოხმა და გაიფშოკა, რომ თითქმის აღარაფრად ვარგოდა, ზოგი კარგად გამომადგა. ამ ტყავებისგან შევიკერე დიდი ქუდი, გარედან ბეწვით დაფარული, რათა უფრო კარგად დაეჭირა წვიმა. ისეთი კარგი გამომივიდა ეს ქუდი, რომ წახალისებულმა ტყავისაგან მთელი ტანი-სამოსიც გამოვკერე - ჯუბა და მუხლებამდე შარვალი.

ქოლგის გაკეთებაც განვიზრახე, მაგრამ დიდხანს მოვუნდი და ბევრიც ვეწვალე. ქოლგა მართლაც ძალიან მჭირდებოდა და მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, როგორმე გამეკეთებინა. ბრაზილიაში მინახავს, როგორ აკეთებენ ქოლგებს; იქ აუტანელი სიცხის გამო უთუოდ საჭიროც არის, ხოლო ჩემს კუნძულზე სიცხე კიდევ უფრო ძლიერი იყო, რადგან ეკვატორთან უფრო ახლოს მდებარეობდა. ამასთან, ხშირად მიხდებოდა გარეთ ხეტიალი და უსათუოდ მჭირდებოდა ქოლგა წვიმაშიც და სიცხეშიც.

განუზომელი შრომა და წვალეა დამჭირდა, სანამ ქოლგის მსგავს რამეს შევაკოწიწებდი. როცა უკვე მეგონა, ეს არის მთავარი სიძნელე დავძლიე და ახლა ჩქარა გავაკეთებ-მეთქი, სწორედ მაშინ გამიფუჭდებოდა. ასე დამემართა ორ-სამჯერ. საბოლოოდ ერთი ქოლგა ისეთი გამოვიდა, რომ სავსებით აკმაყოფილებდა ჩემს მოთხოვნილებას. მთავარი სიძნელე ქოლგის გაშლა-დაკეცვა იყო. გაშლილს ადვილად გავაკეთებდი, მაგრამ მოუხერხებელი იყო გაშლილი ქოლგის გამუდმებით ხელში ჭერა. ბოლოს, როგორც უკვე მოგახსენეთ, მაინც მოვახერხე გაკეთება და გარედან ბეწვი გადავაკარი, რათა ისლის სახურავის მსგავსად წვიმა წვეთ-წვეთად ჩამოსდენოდა.

მზისაგან ისე კარგად მიფარავდა, რომ საშინელ პაპანაქებაშიაც თავისუფლად დავდიოდი და თავს უკეთ ვგრძნობდი, ვიდრე უწინ ჩრდილში სიარულის დროს. როცა აღარ დამჭირდებოდა, ვკეცავდი და ილღიაში ამოვიჩრდი ხოლმე.

ვცხოვრობდი ასე, ღმერთსა და განგების ძალას მინდობილი. თანდათან უფრო საამური გახდა ჩემი ცხოვრება. ზოგჯერ წუწუნით ვიტყვოდი, ადამიანის ხმა არ მესმის-მეთქი, მაგრამ მაშინვე ვკითხავდი თავს: განა მდუმარე საუბარი საკუთარ ფიქრებთან და თვით ღმერთთანაც ამქვეყნიურ გასართობებზე უკეთესი არ არის?!

ამის შემდეგ მთელი ხუთი წელი ისე გავიდა, რომ არაფერი ღირსშესანიშნავი აღარ გადამხდომია თავს. ჩემი მთავარი საქმე, ქერისა და ბრინჯის ყოველწლიურ დათესვა-მოყვანას და ყურძნის გახმობასთან ერთად, იყო ნავის გამოთლა. როგორც იქნა, ამასაც თავი მოვაბი. გავჭერი ნახევარი მილის სიგრძის არხი - ექვსი ფუტი სიგანით, ხოლო სიღრმით ოთხი ფუტი - და ნავი უბეში შევაცურე.

პირველი ნავი, რომელიც, მოგეხსენებათ, ისე გამოვთალე, რომ წინასწარ არც კი გამითვალისწინებია ზღვაში შეცურებას თუ მოვახერხებდი, უშველებელი გამოვიდა და ადგილიდან ვერ დავძარი, ვერც წყალი მივიყვანე მასთან. ასე რომ, იძულებული გავხდი იქვე დამეტოვებინა, როგორც იმის ნიშანი და მოსაგონარი, რომ მომავალში ჭკუა უნდა მეხმარა და გონივრულად მოვქცეულიყავი. მეორე ნავისთვის მანცდამანც კარგი ხე ვერ შევარჩიე, მანძილიც წყლიდან თითქმის ნახევარ მილს აღწევდა, მაგრამ ყველაფერი გათვალისწინებული მქონდა და წინასწარვე ვიცოდი, რომ საქმეს თავს გავართმევდი. დაახლოებით ორი წელი მოვუნდი ამ საქმის შესრულებას, მაგრამ ერთხელაც არ დამიწუწუნია და იმის იმედით, რომ ბოლოს კვლავ შემეძლებოდა ზღვაში გასვლა, შრომა არ დამზარებია.

ნავის გაკეთებას კი მოვრჩი, მაგრამ მისმა სიპატარავემ მაიძულა გამოვთხოვებოდი ჩემს დიად მიზანს. სამაგიეროდ ახალი მიზანი დავისახე: რაკი ნავი მქონდა - კუნძულისთვის შემომეფლო.

სიფრთხილე გამოვიჩინე და თადარიგი წინასწარვე დავიჭირე: ნავზე პატარა ანძა ავმართე და ზედ იალქანი გავშალე.

ამის შემდეგ ნავის ორივე მხარეს - თავსა და ბოლოში - ყუთები მოვაწყვე საგზლისა, ტყვია-წამლისა და სხვა საჭირო ნივთების შესანახად, რომ წვიმასა და წყლის შხეფებს არ გაეფუჭებინა. თოფის შესანა-

ხად ნავის ფსკერზე პატარა, მაგრამ გრძელი ღარი ამოვჭერი, ხოლო ზემოდან ხუფი გავუკეთე, რომ არ დასველებულიყო.

კიჩოზე დავამაგრე გაშლილი ქოლგა. დროდადრო გავდიოდი ხოლმე ზღვაში სასეირნოდ, მაგრამ დიდი მანძილით არ გავშორებივარ ჩემს სანაპიროს. იქვე, პატარა უბეში ვტრიალებდი.

ბოლოს ისე მომინდა ჩემი პატარა სამეფოს საზღვრების დათვალიერება, რომ გადავწყვიტე გავმგზავრებულიყავი. მოვიმზადე საგზა-ლი და სახვა საჭირო რამეები. ჩავაწყვე ოცზე მეტი პატარა კვერი თუ ქერის პური, ჩემი ჩვეულებრივი

კერძი - სასვე ქოთანნი მოხალული ბრინჯი, პატარა ბოთლით რომი: ნახევარი თხა, თხებზე სანადირო ტყვია-ჩამალი და გემიდან გადმოტა-ნილი ორი დიდი ფარაჯა: ერთი ქვეშ უნდა დამეგო, მეორე კი ზევიდან გადამეხურა ღამით.

ჩემი მეფობის (თუ ტყვეობის) მეექვსე წლის ექვს ნოემბერს ზღვაში გავედი და იმაზე მეტი გზა გავიარე, ვიდრე წინასწარ მქონდა გადაწყვეტილი. კუნძული თვითონ არცთუ დიდი იყო, მაგრამ, მის აღმოსავ-ლეთ სანაპიროს რომ მივაღებე, ჩავაწყდი ზღვაში გამოშვერილი კლდეების გრეხილს. იძულებული ვიყავი, შორიდან მომეველო.

შევცბუნდი და გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი, რადგან არ ვიცო-დი, რა მანძილზე იყო გადაჭიმული ეს მეჩენი და სადამდე მომიხდებო-და გაშლილ ზღვაში შეჭრა. ყველაზე უფრო კი იმან შემაფიქრია - უკან დაბრუნებას როგორღა მოვახერხებდი. მაშინ ღუბა ჩავუშვი (წი-ნასწარვე მქონდა გაკეთებული ნავის ღუბა გემიდან წამოღებული მა-სალისაგან), ხელში თოფი დავიჭირე და ნაპირზე გადავედი. ზედ ნა-პირთან გორაკი იყო. ავედი გორაკზე და, როცა მეჩენების ბოლოს ვკი-დე თვალი, გადავწყვიტე, გამეხედა და გზა გამეგრძელებინა.

ამ გორაკიდან კარგად შევნიშნე ზღვის ძლიერი და, შეიძლება ით-ქვას, გაცოფებული დინება, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიემართე-ბოდა და თვით ზღვაში შეჭრილ კლდის ისრამდე აღწევდა. ამან შემა-ფიქრია. საშიში იყო: შეიძლებოდა დინებას მოვეტაცე და გაშლილ ზღვაში შევეცურებინე. მაშინ ველარ მოვახერხებდი კუნძულისკენ შე-მობრუნებას.

მაინც დავრჩი აქ ორ დღეს, რადგან ძლიერი ქარი ქროდა სამხრეთ-აღმოსავლეთით - ესე იგი, ზემოაღნიშნული დინების სწორედ საპირის-

პირო მიმართულებით, და კონცხის გასწვრივ ძლიერ ღელვას ქმნიდა. ასე რომ, ტალღების გამო ნაპირთან დგომა იყო საშიში, ხოლო დინების გამო - ზღვაში შორს შესვლა.

მესამე დღეს ზღვა წყნარი იყო - ქარი წინა ღამეს ჩადგა, და მეც დილიდანვე გავუდექი გზას.

ჩემი მაგალითი გაკვეთილად გამოადგება ყველა გაუფრთხილებელსა და გამოუცდელ მებღვაურს. ჯერ კონცხის ბოლომდე არ მიმეღწია, ხოლო ნაპირს ჩემი ნავის სიგრძით თუ ვიყავი დაშორებული, რომ უკვე ღრმა ზღვაში მოვხვდი და დინებამ წისქვილის ღარში ჩამდინარე წყლის სისწრაფით ჩამითრია. ისეთი საშინელი ძალით გააქანა ნავი, რომ ვეღარაფერს გავხდი. ისღა მოვახერხე, შუა დინებაში არ მოვხვედრილიყავი, მაგრამ ვამჩნევდი, რომ სულ სიღრმეში და სიღრმეში მივექანებოდი, თანდათან ვშორდებოდი შემხვედრ დინებას, რომელიც ხელ-მარცხნივ მოვიტოვე; ნიავი არ იძვროდა, რომ მომშველებოდა, ხოლო ნიჩბების ტრიალით ვერას ვხედებოდი.

იმედი გადამიწყდა, ვიფიქრე - ეს არის, დავიღუპე-მეთქი. დინება კუნძულის ორივე მხრიდან მოემართებოდა. ვიცოდი, რომ რამდენიმე ლიეს მანძილზე ისინი კვლავ გადაჰკვეთავდნენ ერთმანეთს და მაშინ მშვიდობით, ჩემი საქმე წასული იყო. არსაიდან არ ჩანდა ხსნა. სიკვდილი გარდაუვალი იყო, მაგრამ არა წყალში დახრჩობით, - ზღვა თითქმის სულაც არ ღელავდა, - არამედ შიმშილისაგან. მართალია, ნაპირზე კარგა დიდ კუს წავაწყდი, ძლივს ავწიე და ნავში ჩავაგდე, სასმელი წყალიც მქონდა დიდი დოქით, მაგრამ აბა რას მიშველიდა ეს ამ ვეება ოკეანეში გაგდებულ კაცს?!

მიუხედავად ამისა, უკანასკნელი ძალ-ღონის დაძაბვით მაინც შეუპოვრად ვუსვამდი ნიჩბებს. სამხრობის ხანს თითქოს პირქარი ვიგრძენი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ამოიჭრა. ამან, ცოტა არ იყოს, გამამხნევა. ქარი თანდათან მომძლავრდა. ამასობაში კარგა სახიფათო მანძილით დავშორდი კუნძულს; უცებ რომ ღრუბლები წამოშლილიყვნენ ან ნისლი ჩამოწოლილიყო, მშვიდობით, ჩემი საქმე წასული იყო: კომპასი არა მქონდა თან და, თუ ერთხელ მხედველობიდან დავკარგავდი კუნძულს, საბოლოოდ ამებნეოდა გზა-კვალი. მაგრამ ცა გადაწმენდილი იყო. იალქანი ავმართე და ჩრდილოეთისკენ გავწიე, რომ დინებიდან დამეღწია თავი.

როგორც კი ნავს მიმართულება შევუცვალე, ვნახე, რომ წყლის ფერი შეიცვალა: ძლიერ დინებაში მღვრიე იყო, ახლა თანდათან დაიწ-

მინდა. მალე შევნიშნე აღმოსავლეთით ზღვაში გამოშვერილი კლდე-ები, რომლებსაც ტალღები ეხეთქებოდა. მაშინ მივხვდი, რომ სწორედ ეს კლდეები ყოფდა დინებას ორ მიმართულებად: ერთი, უფრო ძლიერი, სამხრეთით მიედინებოდა, ხოლო მეორე მორევსა ქმნიდა და უკანვე ბრუნდებოდა.

წარმოიდგინეთ, რა შვებას ვგრძნობდი, რა სიამით შევაგდებდი აფრაგაშლილ ნავს მეორე დინებაში და ზურგის ქარის ძალით როგორი სიხარულით გავწევდი ნაპირისაკენ.

მთელი ერთი ლიეთი მიმაახლოვა ამ დინებამ ნაპირს, ოღონდ უფრო ჩრდილოეთით წამიყვანა, დამაშორა იმ ადგილს, საიდანაც პირველმა დინებამ გამიტაცა. ერთი სიტყვით, მივუახლოვდი კუნძულის ჩრდილო სანაპიროს, ესე იგი იმის მოპირდაპირე მხარეს, საიდანაც პირველად გავემგზავრე.

*

ასე, ერთ ლიებზე შევატყვე, რომ დინების ძალა იკლებდა და ვეღარ დაძრავდა ნავს. მაგრამ კუნძულს მიახლოებული ვიყავი უკვე. მთლიანად ზურგის ქარს მივენდე და კვლავ კუნძულისკენ განვაგრძე გზა, თუმცა ადრინდელი სიჩქარით ვეღარ მივცურავდი.

საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, როცა შევნიშნე მთელი ჩემი გასაჭირის მიზეზი - ზღვაში შეჭრილი, სამხრეთით გაწოლილი კლდეები, რომლებიც, როგორც აღვნიშნე, ჩრდილოეთით მეორე დინებას ქმნიდნენ. ეს დინება ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ ჩემთვის სასურველი მიმართულება არა ჰქონდა. მე დასავლეთით მქონდა გეზი, ის კი ჩრდილოეთით მიედინებოდა. ამის მიუხედავად, ძლიერი ზურგის ქარის დახმარებით მე დავძლიე წყლის ძალა და დაახლოებით ერთ საათში ერთი მილის მანძილზე მივუახლოვდი კუნძულს. აქ ზღვა წყნარი იყო და ნაპირამდე მისვლა აღარ გამჭირვებია.

შევდგი თუ არა ფეხი მიწაზე, მყისვე მუხლებზე დავეცი და ღმერთს მადლობა შევწირე გადარჩენისათვის. გადავწყვიტე, კუნძულიდან ნავით თავდაღწევაზე მეტად აღარ მეფიქრა. მერე ცოტათი დავნაყრდი წამოღებული საგბლით, ნავი ხეებით დაბურულ პატარა უბეში მივაყენე და, მუშაობითა და მოგზაურობით ქანცგაწყვეტილი, დასაძინებლად დავწექი.

ვერაფრით გადამეწყვიტა, რომელი მიმართულებით წავსულიყავი შინისკენ ჩემი ნავით. უკვე გამოვლილმა გზამ ბევრი ფეთება და გასაჭირი მაჩვენა, ასე რომ, იქით ველარ დავბრუნდებოდი. ხოლო მეორე მხარეს - დასავლეთით - არ ვიცოდი როგორი სავალი იქნებოდა და თავის გაწირვაც მიჭირდა.

მეორე დილას გადავწყვიტე, ფეხით გავყოლოდი სანაპიროს და მომეძებნა შესაფერი უბე, სადაც ნავს დავტოვებდი.

სამი მილი არც კი გამევილო, რომ წავაწყდი ხმელეთში ღრმად შეჭრილ ყურეს, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა და პატარა ნაკადულს უერთდებოდა. ეს მართლაც რომ ზედგამოჭრილი ნავსაყუდელი იყო - მოხერხებული და მყუდრო. აქ დავტოვე ჩემი ნავი და ნაპირს გავყევი, რათა იქაურობა დამეთვალაიერებინა და გამეგო, სად ვიყავი.

ნავიდან წამოვიღე თოფი და ქოლგა, რადგან საშინელი სიცხე იყო, და გზას გავუდექი. იმ ჯოჯოხეთური მგზავრობის შემდეგ ეს გზა საამური მეჩვენა. საღამოს მივალწიე კიდეც ჩემს აგარაკს, სადაც ყველაფერი, როგორც დავტოვე, ისევე დამხვდა.

ჩრდილში წამოვწექი და მალე ჩამეძინა, მაგრამ ჩემივე სახელის რამდენჯერმე გამეორებამ გამომალვია: „რობინ, რობინ, რობინ კრუზო; საბრალო რობინ კრუზო! სადა ხარ, რობინ კრუზო? სად დაიკარგე, სად ყოფილხარ?“

ნახევრად ძძინარემ გავიფიქრე - ალბათ სიზმარში მეძახდა-მეთქი ვინმე. მაგრამ კვლავ რომ ჩამესმა: „რობინ კრუზო, რობინ კრუზო“, ძალიან შევშინდი და შეშფოთებული წამოხტი, თუმცა, თვალი გავახილე თუ არა, ღობებზე შემომჯდარი პოლი შევნიშნე და მაშინვე მივხვდი, რომ ის ლაპარაკობდა.

ვხედავდი, რომ თუთიყუში მელაპარაკებოდა, არც შეიძლებოდა, სხვა რამ ყოფილიყო, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ დავმშვიდდი. ჯერ ერთი, მიკვირდა, როგორ გამოტრინდა ფრინველი აქეთ, მეორეც ის, რომ ის სწორედ ჩემს აგარაკთან დაფრინდა და არა სხვაგან სადმე.

ბოლოს, რომ დავრწმუნდი, ხელი გავუწოდე და სახელი დავუძახე. თუთიყუში მაშინვე მოტრინდა და ჩვეულების თანახმად ცერზე დამაჯდა. ჩხავილს კვლავაც განაგრძობდა: „საბრალო რობინ კრუზო, აქ როგორ მოხვდი? საიდან მოსულხარ?“

*

მგზავრობის სურვილი დიდხანს აღარ გამჩენია. ვიჯექი სახლში წყნარად და უკვე განვლილ განსაცდელზე ვფიქრობდი. მინდოდა, თან მექონოდა ჩემი ნავი. მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მომეხერხებინა მისი წამოღება. ბოლოს, უნავოდ დარჩენა ვარჩიე, თუმცა მის გამოთლას მრავალი თვის მძიმე შრომა დასჭირდა, ხოლო ზღვაში შეცურებას - კიდევ უფრო მეტი.

ეს განწყობა მთელ წელიწადს გამყვა - ვცხოვრობდი მშვიდად და მყუდროდ. ბედს შეევურიგდი, განგებას მივენდე და დავიჯერე, რომ მართლაც ბედნიერი ვიყავი; ადამიანთა საზოგადოების გარდა არაფერი მაკლდა.

*

ამ ხნის განმავლობაში ყველა საქმეში დავხელოვნდი, რის გაკეთებასაც საჭიროება მაიძულებდა. დარწმუნებული ვარ, საუკეთესო ღურგალი ვიქნებოდი, მით უმეტეს, მხედველობაში თუ მივიღებთ საჭირო ხელსაწყოების სიმცირეს. ასევე დავხელოვნდი მექონეობაში, გამოვთალე თიხის ასაზღელი ჩარხი და მუშაობა კიდევ უფრო გავიადვილე, ჭურჭელიც უფრო კოხტა გამომდიოდა.

მაგრამ ისე არასოდეს მიამაყია ჩემი საქმიანობით, არც არასოდეს გამხარებია ასე რისიმე გაკეთება, როგორც ჩიბუხის გამოძერწვამ გამახარა, მიუხედავად იმისა, რომ მეტად მახინჯი და ულაზათო გამომივიდა. სამაგიეროდ, მაგარი და გამძლე იყო და ბოლოს კარგად ატარებდა. ჩემთვის ესეც დიდი ნუგეში იყო, რადგან ჩიბუხის გაბოლება ძლიერ მიყვარდა. გემზე ბევრი ჩიბუხი იყო, მაგრამ თავიდან დიდად არ დავინტერესებულვარ, მეგონა, კუნძულზე თამბაქოს ვერ ვიშოვიდი. მერე კი გემზე ბევრი ვეძებე, მაგრამ ველარ ვიპოვე.

კალათებისა და გოდრების დაწვნაშიაც დიდი უნარი გამოვიჩინე. მართალია, სიკოხტავით მაინცდამაინც ვერ დაიკვებნიდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, ნივთების გადასატან-გადმოსატანად მოხერხებული იყო.

მოვკლავდი თხას, ჩამოვკიდებდი ხეზე, გავატყავებდი, გამოვშიგნავდი, ასო-ასო ავქნიდი და გოდრით შინ მოვიტანდი. ასევე ვვზიდებო-

დი კუსაც: მოვკლავდი, კვერცხებს გამოვაცლიდი, ჩემს სამყოფ ერთ-ორ ნაჭერს ჩამოვჭრიდი და კალათით შინ წამოვიღებდი, დანარჩენს კი იქვე დავტოვებდი, ტყუილ-უბრალოდ რად უნდა მეთრია. ჭირნახულსაც, შეხმებოდა თუ არა, მოვფშვნიდი და დიდ გოდრებში ჩავყრიდი ხოლმე.

უკვე შესამჩნევი გახდა ტყვია-წამლის მარაგის კლება. ეს ისეთი დანაკლისი იყო, რომლის ანაზღაურება არაფრით

შემძლო. საგონებელში ჩავვარდი, რა უნდა მექნა უტყვიაწამლოდ, როგორღა მოვკლავდი თხას?! ზემოთ უკვე აღვნიშნე, მესამე წელს პატარა თიკანი დავიჭირე, გავზარდე და მოვიშინაურე-მეთქი. იმედი მქონდა, როდესმე ვაცსაც დავიჭერდი და არვეს მოვამრავლებდი. მაგრამ ჩემი დედალი თხა ისე დაბერდა, რომ ვაცის დაჭერა ვერ მოვახერხე. ბოლოს სიბერისაგან მოკვდა კიდევ, ვერ შევძელი, რომ დამეკლა.

*

მეთერთმეტე წელი შესრულდა ამ კუნძულზე გამორიყვის დღიდან და, როგორც აღვნიშნე, ტყვია-წამალი თანდათან მეღეოდა. ვცდილობდი, როგორმე მახე დამეგო თხების შესაპყრობად. განსაკუთრებით მინდოდა დედალი თხის შეპყრობა თავისი თიკნებითურთ.

დავუგე მახე რამდენიმე ადგილას, ეტყობა, რამდენჯერმე გაება კიდევ თხა, მაგრამ მახე ყოველთვის დაგლეჯილი დამხვდა, მისატყუებელი საჭმელი კი - შეჭმული; მავთული არა მქონდა და ბაწრით ვაწყობდი მახეს, ხოლო სუსტი ბაწარი თხას ვერ იკავებდა.

ბოლოს გადავწყვიტე ორმოთი დამეჭირა. შევარჩიე ისეთი ადგილები, სადაც, ჩემი დაკვირვებით, თხები უფრო ხშირად ძოვდნენ, ამოვთხარე რამდენიმე ღრმა ორმო, ზემოდან ჩემივე დაწნული ლასტი გადავაფარე და მიწა მოვაცარე, მიწაზე მერე რამდენგანმე ქერისა და ბრინჯის ნამჯა მიმოვაბნიე.

ნაკვალევის მიხედვით ადვილად შევნიშნე, რომ თხებს სულ შეეჭამათ ნამჯა. ერთ ღამეს სამი მახე დავაგე, მეორე დილით მახეები ისევ ისე დამიხვდა, მისატყუებელი კი შეეჭამათ. ეს ძალიან გულისგამტეხი იყო. მაინც არ დავყარე ფარ-ხმალი და მახე შევცვალე. ერთ დილით მივედი ორმოსთან და დიდი ბოტი[4] ვნახე. მეორეში კი სამი თიკანი

აღმოჩნდა - ერთი მამალი და ორი დედალი.

არ ვიცოდი, რა უნდა მექნა დიდი ბოტისათვის: ისეთი მძვინვარე ჩანდა, რომ ორმოში ჩასვლა ვერ გავბედე, რათა ცოცხლად წამომეყვანა, ხოლო მოკვლას რა აზრი ჰქონდა! სულაც არა მქონია ასეთი განზრახვა. გავუშვი და ისიც გაიქცა. მაშინ სულაც არ მომგონებია ის, რასაც შემდეგ მივხვდი: შიმშილი ლომსაც კი მოათვინიერებს. სამი-ოთხი დღე რომ

უჭმელი მემყოფებინა ორმოში, ხოლო მერე წყალი და ცოტაოდენი ნამჯა მიმეტანა, თიკანივით მორჩილად გამომყვებოდა. თხა საერთოდ გონიერი ცხოველია და, თუ კარგად მოეპყარი, მალე მოგეჩვენება.

თიკნები სათითაოდ ამოვიყვანე ორმოდან, საბელი შევაბი და შინ წავასხი, თუმცა დიდი გაჭირვებით.

ერთხანს პირი არ დააკარეს საჭმელს, მერე ქერის ნორჩი ყლორტებით ვაცთუნე და თანდათან მივიჩვიე. ტყვია-წამლის გამოლევის შემდეგ, თუ მინდოდა უხვად მქონოდა თხის ხორცი, მთელი არვე უნდა მომეშენებინა და ცხვრის ფარასავით გამეშვა სახლთან ახლოს. ეს იქნებოდა საკვების მოპოვების ერთადერთი გზა.

ახლა მთავარი საზრუნავი ის იყო, გარეული თხებისათვის არ მიმეკარებინა ჩემი მოშინაურებული თიკნები, თორემ გაზრდის შემდეგაც შეიძლებოდა მათი გაველურება. ღობე ისეთი მაღალი და მაგარი უნდა ყოფილიყო, რომ შიგნიდან მოშინაურებულ თხებს ვერ გაენგრიათ, ხოლო გარედან - გარეული თხები არ შემძვრალიყვნენ.

ეს კარგა ძნელი საქმე გამოდგა ერთი კაცისთვის, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა. მოვნახე მინდორი, სადაც ბალახიც საკმაო იყო, მშვენიერი ანკარა წყაროც მოჩუხჩუხებდა და ერთ მხარეს ხეივანიც ერტყა. მაგრამ, ვინც გამოცდილია ასეთ საქმეებში, ალბათ დამცინებს ჩემი მოუფიქრებლობისთვის, როცა ვიტყვი, რომ სულ ცოტა, ორი მილის სიგრძეზე უნდა შემომეველო ღობე! აქ მთელი სიგიჟე ის კი არაა, რომ მე ასეთი გრძელი ღობის შემოვლება გადავწყვიტე; ჩემი შეცდომა სულ სხვა იყო: რაღა ეს ბაკი და რაღა მთელი კუნძული! ასე ვრცელ შემოლობილში თხები მაინც გარეულები დარჩებოდნენ და მე ვერ მოვახერხებდი მათ დაჭერას.

დავიწყე ღობის შემოვლება და ალბათ ორმოცდაათამდე იარღი შემოვლობე კიდევ, როცა ეს აზრ მომივიდა. ახლა გადავწყვიტე, უფრო

პატარა ადგილი შემომეღობა. ხოლო, როცა თხები მომრავლდებოდნენ, მერე გავაფართოვებდი ბაკს.

მხნედ შევუდექი საქმეს. პირველი ბაკის შემოღობვას დაახლოებით სამი თვე მოვუნდი. მუშაობის დროს საბლით მიმყავდა ჩემი თიკნები და ახლოს ვაძოვებდი, თანდათან ვიშინაურებდი. ზოგჯერ წავიდოდი, ქერისა და ბრინჯის ნამჯას მოვიტანდი და ხელით ვაჭმევდი. შემოღობვა რომ დავამთავრე და თხები შიგ შევრეკე, უკვე ისე მომეჩვივნენ, რომ საცა წავიდოდი, თან მომდევენ და კიკინით საჭმელს მოხოვდნენ.

საქმე კარგად წავიდა, წელიწად-ნახევარში უკვე თორმეტი თხა მყავდა, თიკნების ჩათვლით, ხოლო კიდევ ორი წლის შემდეგ - ორმოცდასამი. ეს იმათ გარდა, რომელთაც თანდათან ვკლავდი და ვჭამდი.

ამასობაში ხუთი ბაკი შემოვლობე ერთმანეთის მახლობლად, ხოლო თითოეულ მათგანს თითო საჩიხე გავუკეთე, რომ საჭიროების დროს თხები შიგ შემერეკა და დამეჭირა. ბაკები ერთმანეთთან ჭიშკრებით დავაკავშირე.

ამ ერთი საქმით ბევრი რამ გავაკეთე. თხის ხორცი ხომ, რამდენიც მომესურვებოდა, იმდენი მქონდა. ამას ახლა რძეც დაემატა. პირველად არც კი მიოცნებია ამაზე, მაგრამ შემდეგ ჭკუაში დამიჭდა. ხშირად დღეში თითო გალონ[5], ზოგჯერ კი ორ-ორ გალონ რძეს ვწვევდი. ჩემს დღეში ძროხა არ მომიწველია, მით უმეტეს, თხა, არც ყველის ამოღებისა და კარაქის შედღვევისათვის მიყურებია, თუმცა ერთიც გავაკეთე და მეორეც, რა თქმა უნდა, ბევრი თავისმტვრევისა და მარცხის შემდეგ. ბოლოს ყველისა და კარაქის ნაკლებობა აღარ განმიცდია.

უნდა გენახათ, როგორი მეფური პატივით ვსადილობდი, მარტოდ-მარტო, მხლებლებითა და მსახურებით გარემოცული! ყველაზე საყვარელი არსება პოლი იყო - მხოლოდ მას ჰქონდა ჩემთან მასლაათის უფლება. ჩემი ძაღლი, რომელიც ისე დაბერდა და დაჩაჩანაკდა, რომ კუნძულზე თავისი ჯიშის არსებას ვერ შეხვდა, რათა მოდგმა გაეგრძელებინა და არ გადაშენებულიყო, ხელმარჯვნავ მეჭდა; ორი კატა მაგიდის აქეთ-იქით ჩაცუცქულიყო. ხელში მომჩერებოდნენ და განსაკუთრებული წყალობის ნიშნად საჭმელს ელოდნენ.

მაგრამ ესენი გემიდან წამოყვანილი კატები როდი იყვნენ. ისინი დიდი ხანია დაიხოცნენ და ჩემი სახლის მახლობლად მე თვითონვე მი-

ვაბარე მიწას. ერთმა კატამ კნუტები დაყარა, რომელთაგან ორი გამოვარჩიე და მოვიშინაურე. სხვები ტყეში გაიჭრნენ და გაველურდნენ. ეს გაველურებული კატები შემოიჭრებოდნენ ხოლმე სახლში და მძარცვავდნენ. ბოლოს იძულებული გავხდი, თოფით მომეშორებინა და ბევრიც დავხოცე. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამომეხსნნენ დანარჩენები. ვცხოვრობდი ჩემი მხლებლებიანად ასე უბრუნველად; ადამიანთა საზოგადოების გარდა არაფერი მაკლდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მეტისმეტად ბევრი ადამიანიც გამოჩნდა.

*

ზოგჯერ ძალიან მომინდებოდა ნავით სეირნობა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, შორს სამოგზაუროდ თავს ვეღარ გავწირავდი. ხშირად დაფიქრებულვარ, როგორ შეიძლებოდა ჩემი ნავის აქეთა მხარეს გადმოტანა. მაგრამ, როცა გავითვალისწინებდი, რა სიძნელეებთან იყო ეს დაკავშირებული, თავს ვინუგეშებდი: უნაყოფად კარგად ვარმეთქი. მოსვენებას არ მაძლევდა სურვილი - ერთხელ კიდევ ავსულიყავი გორაკზე, რომელზედაც უკანასკნელი მგზავრობის დროს ავედი, და გადამეხედა სანაპიროსა და ზღვისათვის. რაც დღე გადიოდა, მით უფრო მიცხოველდებოდა ეს სურვილი, ბოლოს გადავწყვიტე, ფეხით წავსულიყავი სანაპიროს გასწვრივ.

ინგლისში რომ შეხვედროდა ვინმე ჩემი შესახედაობისა ადამიანს, ან დაფეთდებოდა, ან არადა ხარხარს მორთავდა. მე თვითონვე ხშირად მეღიმებოდა ხოლმე, როცა წარმოვიდგენდი ჩემს თავს ასეთ შესახედაობისას და ასეთი ტანსაცმლით მორთულს.

თავზე მედო თხის ტყავისაგან გამოჭრილი დიდი, წოწოლა, უშნო და ულაზათო ქუდი უკან ჩამოშვერილი საყელოთი, რომელიც დარში მზის მცხუნვარებისგან მიფარავდა, ხოლო ავდარში - წვიმისაგან, წყალს კისერში არ უშვებდა.

ტანთ მეცვა თხის ტყავისავე ჯუბა, რომლის კალთები შუა ბარძაყებამდე მწვდებოდა; მუხლებამდე შარვალი - აგრეთვე ბებერი თხის ტყავისა, რომლის საოცრად გრძელი ბეწვები საცვალივით იყო ჩაშვებული და ფეხებსაც მიფარავდა; წინდები და წაღები არ გამაჩნდა, მათ მაგიერ მეცვა რაღაც, არც კი ვიცი, რა ვუწოდო, სათეატრო ჩექმების მსგავსი რამ.

ჯუბაზე შემორტყმული მქონდა ბრტყელი ქამარი, ისიც თხის გაფხევილი ტყავისა. აბზინდებს ორი პატარა თასმით ვიმაგრებდი. ხმალხანჯლის ნაცვლად ქამარში აქეთ-იქით გარტობილი მქონდა პატარა ხერხი და ნაჯახი.

მეორე, შედარებით ვიწრო ქამარი, მხარზე მერთყა, ხოლო ამ ქამარზე დამაგრებული თხის ტყავის ქისები მარცხნივ მქონდა ჩამოშვებული. ერთ ქისაში დენთი მეყარა, მეორეში - ტყვია. ზურგზე გოდორი მეკიდა, მხარზე - თოფი, ხელში მეჭირა ქოლგა, ისიც თხის ტყავის, უშნო და მოუხეშავი, მაგრამ თოფის შემდეგ ყველაზე საჭირო ნივთი.

სახის ფერით სულაც არა ვგავდი მულატს, თუმცა ჩემს დღეში ჩავარდნილი ვაცი მოსალოდნელი იყო, მსგავსებოდა, რადგან სულაც არ ვუფრთხილდებოდი კანს. წვერი პირველ ხანებში და თითქმის მეოთხედი იარდის სიგრძისა წამომეზარდა, მაგრამ, რაკი მაკრატლები და სამართებლები საკმაოდ მქონდა, ავდექი და დავიმოკლე; მხოლოდ უღვაშებისათვის არ მიხლია ხელი და მაჭმადიანივით ჩამომიგრძელდა; რა თქმა უნდა, არც ისე გრძელი უღვაშები მქონდა, რომ ზედ ქუდის ჩამოკიდება ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ ისე ჩამოგრძელდა და გაბურძენულიც ისე იყო, რომ ინგლისში, მაგალითად, ხალხს დააფრთხობდა.

სინამდვილეში კი სულერთი არ იყო, რა მეცმებოდა ან რა სახე მექნებოდა?! მოკლედ, ასეთი ჩაცმულობითა და სახით კვლავ გავემგზავრე და ხუთ-ექვს დღეს არც დავბრუნებულვარ.

ზღვის სანაპიროს გავუყევი და გადავწყვიტე, იმ ადგილამდე მივსულიყავი, სადაც პირველად ჩავუშვი ღუზა ნავით მოგზაურობის დროს. მაგრამ ახლა ნავით არა ვყოფილვარ და რალა საჭირო იყო ზღვას გავყოლოდი. შევიმოკლე გზა, პირდაპირ გადავჭერი. მივაღწიე გორაკს, ზღვას გადავხედე, თვალი გავაყოლე გამოშვერილ კლდეებს და სახტად დავრჩი: ზღვა წყნარად რონინებდა - არც დინება, არც მორევი, არც ღელვა!

საგონებელში ჩავვარდი, აღარც ვიცოდი, რა მეფიქრა. გადავწყვიტე, ერთხანს დამეცადა და კარგად დავკვირვებოდი. მალე მივხვდი ნამდვილ მიზეზს: დასავლეთიდან მომდინარე მოქცევა გზაში უერთდებოდა რომელიღაც დიდ მდინარეს, რომელიც აქ ახლომახლო ერთვის ალბათ ზღვას და ამრიგად წარმოიქმნება ძლიერი დინება. ხოლო, იმისდა მიხედვით, ძლიერი ქარი დასავლეთიდან უბერავს თუ ჩრდილოეთიდან, დინება ხან უფრო ახლოა ნაპირთან, ხან კი დიდი მანძი-

ლით შორდება მას.

სალამოს ისევ ავედი გორაკზე და კვლავ ისეთივე სიძლიერის დინება დავინახე, მაგრამ არა მაშინდელივით ახლოს, როცა ნაპირიდანვე გამიტაცა ნავიანად, არამედ უფრო შორს, ზღვის სიღრმეში.

დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ საჭირო იყო მეთვალთვალა, როდის დაშორდებოდა დინება ნაპირს, დრო მეხელთა და ნავი უკან გამოემბრუნებინა. ამას ადვილად მოვახერხებდი, მაგრამ, როცა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაზე მიდგა საქმე, ისეთი შიში ვიგრძენი უკვე თავს გადახდილი საშინელების მოგონებით, რომ ერთბაშად აფორიაქდი და განზრახვაზე ხელი ავიღე. პირიქით, სულ სხვა გადაწყვეტილება მივიღე - უხიფათო, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო სადავიდარაბო: უნდა გამომეთალა მეორე კარჭაპი; კუნძულის ერთ მხარეს ერთი ნავი მიქნებოდა, მეორე მხარეს - მეორე.

მთელი ჩემი ქონება კუნძულზე: ორი ბინა, ერთი ციხესიმაგრე და ერთი აგარაკი, ბაკი თხებისთვის - იმის მაჩვენებელია, რომ არ ვზარმაცობდი, ძალ-ღონეს არა ვზოგავდი, რათა ყოველგვარი საჭირო საქმე გამეკეთებინა და კარგად მოვწყობილიყავი. ვიცოდი, რომ ცხოველების მოშინაურება და გამოზრდა ჩემთვის სასიცოცხლო საქმე იყო: კიდევ ორმოცი წელიც რომ მეცოცხლა ამ კუნძულზე, გამოუღვეველი მიქნებოდა ხორცი, რძე, კარაქი და ყველი; ხოლო თხის არვეს მოშენება მთლიანად იმაზე იყო დამყარებული - მოვახერხებდი თუ არა ბაკის კარგად შემოღობვას. ღობეს ისეთი მჭიდრო მესერი შემოვაველე, რომ მერე, როცა მარგილებმა იხარა და ზრდა იწყო, იძულებული გავხდი, ზოგი მათგანი მომეტრა, რადგან მეტად ხშირი იყო და ერთმანეთს გასაქანს არ აძლევდა.

აქვე იყო ჩემი ვენახიც, რომლისაგანაც საზამთროდ ქიშმიშს ვახმობდი ხოლმე. მუდამ ფრთხილად და გულისყურით ვეკიდებოდი ამ საქმეს, რადგან ქიშმიში იყო ჩემი ყველაზე საამური და ნოყიერი პირის ჩასატკბარუნებელი.

ამას გარდა, ჩემი საზაფხულო აგარაკი დაახლოებით შუა გზაზე იყო ნავის ყურესა და ძველ სახლს შორის და, ნავთან რომ მივდიოდი, ღამეს ყოველთვის აქ ვათევდი ხოლმე. ნავთან კი ხშირად დავდიოდი, ვცდილობდი სრულ წესრიგში

მიქნოდა. ზოგჯერ ჩავჯდებოდი კიდევ და სასეირნოდ მოვუსვამდი, მაგრამ ერთხელაც არ გამიბედავს შორს, ზღვის სიღრმეში შემეტრა;

ძალიან ფრთხილად ვიქცეოდი და მხოლოდ კენჭის გასროლის მანძილზე მივცურავდი: მეშინოდა, ზღვის დინებამ ძველებურად ფათურავს არ გადაამყაროს-მეთქი.

*

ერთ დღეს, დაახლოებით სამხრობის ჟამს, ჩემს ნავთან მივდიოდი. უცვებ შევნიშნე ადამიანის ტერფის მკაფიოდ აღბეჭდილი კვალი სილაზე. სახტად დავრჩი. ისე გავშეშდი, თითქოს მეხი დამცემოდეს ან მოჩვენება დამენახოს. მივაყურადე, მიმოვიხედე: არსაიდან ჩქამი არ ისმოდა, არც არაფერი ჩანდა. იქვე ბექობზე ავირბინე რომ კარგად დამეთვალაიერებინა ყველაფერი. ისევ ჩამოვედი და ნაპირის გასწვრივ ავირბინ-ჩავირბინე, მაგრამ ამაოდ - იმ ერთი ნატერფალის გარდა ვერაფერი შევნიშნე. მაშინვე დავბრუნდი, რათა მენახა - მართლაც ფეხის ნაკვალევი იყო თუ მომეჩვენა. არა, ეს სინამდვილე იყო. გარკვევით მოჩანდა ანაბეჭდი შიშველი ფეხისა - თითები, ქუსლი და მთელი ტერფი. საიდან გაჩნდა ეს ნაკვალევი, არ ვიცოდი და ვერც წარმომედგინა. უკანვე დავბრუნდი, არეული და შემცბარი. ყოველ ნაბიჯზე უკან ვიხედებოდი და თვალებს ვაცეცებდი, ყველა ხისა და ბუჩქის მეშინოდა და ყოველი კუნძი ადამიანად მეჩვენებოდა.

როგორც კი მივალწიე ჩემს ციხესიმაგრეს - ამიერიდან ასე ვუწოდებ ჩემს სახლს, - ისე შევვარდი ეზოში, თითქოს ვინმე მომდევა. აღარც მახსოვს, კიბით გადავედი თუ იმ ხვრელში შევძვერი, რომელსაც მე ქვაბულის კარს ვეძახდი. ალბათ არც ერთი დამფრთხალი კურდღელი და მელა არ შემძვრალა თავის სოროში ისე დაფეთებით, როგორც მე სახლში შევვარდი.

მთელ ღამეს ძილი არ მომკარებია. რაც უფრო დავშორდი იმ ადგილს, მით უფრო ძლიერი იყო შიში და ძრწოლა.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, თითქოს ეს ეშმაკის ნამოქმედარი იყო. გონებაც ამასვე ამტკიცებდა. აბა, როგორ მოაღწევდა ამ ადგილს ადამიანი? სად იყო ნავი, რომლითაც ისინი მოვიდნენ? რატომ სხვა ნაკვალევი არ აჩნდა სილას? საიდან გაჩნდნენ აქ?

მაგრამ, მეორე მხრივ, ეშმაკის ნამოქმედრად მიჩნევაც სასაცილო იყო: თუ ეშმაკს ჩემი შეშინება ჰქონდა გადაწყვეტილი, რაღა კუნძულის მეორე მხარეს დააჩნია ნაკვალევი, სადაც, ვინ იცის, იქნებ სულაც არ

გამევილო?! ყოველ შემთხვევაში, ათასში ერთი შანსი იყო ამისა; კვალი დააჩნია და ისიც სილაზე, რომელიც ქარის პირველსავე დაბერვაზე გაიფანტებოდა და აღიგვებოდა?!

ყოველივე ეს ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და სრულებითაც არ უთავსდებოდა იმ წარმოდგენას, რაც ჩვენ ეშმაკის მოხერხებულობაზე გვაქვს.

დავრწმუნდი, რომ ეშმაკის საქმე არ იქნებოდა, მაგრამ ახლა უფრო საშინელი ფიქრი ამეშალა. მაშ, კაციჭამია ველურები იქნებოდნენ. თავიანთ კარტაპებით შეცურეს ალბათ ზღვაში, მერე უცებ დინებაში მოჭყვნენ ან პირქარმა მოუსწროთ და კუნძულზე გამოირიყნენ. აქედან კი მალევე გაბრუნდნენ, რადგან ამ უდაბურ ადგილას დარჩენა ისევე ეხალისებოდათ, როგორც მე მათთან შეხვედრა.

ეს აზრი უფრო სარწმუნოდ მივიჩინე და უდიდესი მადლობა ვიგრძენი ბედისადმი, რომ ველურების იქ ყოფნის დროს არ გადამაგდო იქ; რომ მათ ნავი ვერ შენიშნეს. ნავი რომ შეენიშნათ, მიხვდებოდნენ, აქ ადამიანი ბინადრობსო, და ძებნას დამიწყებდნენ.

მაგრამ იქნებ ნახეს კიდევ ჩემი ნავი და მიხვდნენ, რომ აქ ადამიანი ცხოვრობს?! მაშინ ხომ მთელი ტომი წამოვა ერთბაშად და შემსანსლავენ! თუნდაც ვერ მოახერხონ ჩემი ნახვა, სულერთია, ყანას გამინადგურებენ, მოშინაურებულ თხებს გარეკავენ ბაკიდან და მეც შიმშილით სიკვდილი მელის. ამრიგად, შიშმა სულ განდევნა ჩემი გულიდან ღმერთის იმედი. გამიქრა მთელი რწმენა, რომელიც იმ სასწაულებრივ სიკეთესა და სიქველეს ემყარებოდა, რაც ღმერთმა ჩემ მიმართ გამოიჩინა. გაგვიცხე ჩემიმ თავიც უდარდებლობისათვის - რატომ ერთი წლის სარჩობე მეტი მოსავალი არ მომყავდა ყოველწლიურად, რომ მეორე წელსაც მყოფნოდა-მეთქი. გადავწყვიტე, ამიერიდან ერთბაშად ორი-სამი წლის სარჩო მომეწია, რათა, რაიმე ფათერაკი თუ შემხვდებოდა, შიმშილით არ მოვმკვდარიყავი.

ათასნაირი აზრი მომდიოდა თავში, რომ უცებ გავიფიქრე, იქნებ ეს ჩემი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი იყოს-მეთქი; იქნებ ის ნაკვალევი ჩემივე ფეხის ანაბეჭდია, როცა ამასწინანდელი მოგზაურობის დროს ნავიდან ნაპირზე გადმოვედი და შინ დავბრუნდი. ცოტათი გავმხიარულდი. თავს ვარწმუნებდი, რომ ეს მართლაც ასე იყო.

თანდათან გავიმაგრე გული და კვლავ გამოვედი გარეთ. სამი დღე-ღამე შესრულდა, რაც ჩემი ციხესიმაგრიდან თავი არ გამომიყვია. შიმ-

შილი მომერია. ქერის პურისა და წყლის მეტი შინ არაფერი მქონდა. ამასთან, საჭირო იყო თხების მოწველაც, თორემ საბრალო ცხოველებს უკვე შეაწუხებდა ამდენი ხნის მოუწველაობა.

იმ რწმენით გულმოცემულმა, რომ ეს ნამდვილად ჩემი ნატერფალი იყო, ციხესიმაგრე დავტოვე და თხების მოსაწველად აგარაკისაკენ გავეჩე. უნდა გენახათ, როგორ შეშინებული მივიძურწებოდი, წამდაუწუმ უკან ვიხედებოდი. მზად ვიყავი დამეგდო ჩემი გოდორი და თავის გადასარჩენად მომეკურცხლა.

ორი-სამი დღე ასე დავდიოდი და, რაკი არაფერს გადავყრივარ, ცოტათი გავთამამდი. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საკუთარმა ფანტაზიამ მომატყუა. მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დავმშვიდდებოდი, სანამ ისევ არ წავიდოდი იმ სანაპიროზე, ტერფს არ დავაზომებდი ნაკვალევს და არ დავრწმუნდებოდი, რომ ეს ნამდვილად ჩემი ფეხის ანაბეჭდი იყო. მივედი კიდევ იმ ადგილას, მაგრამ აშკარად მივხვდი, რომ მე ამ გზით არ მივლია, არც შეიძლებოდა, ნავიდან წამოსული იმ ადგილებში მოვხვედრილიყავი. ამას გარდა, ტერფი რომ დავაზომე ნაკვალევს, ჩემი ფეხი გაცილებით პატარა აღმოჩნდა.

თავი კვლავ საშინელი ფიქრებით გამევსო, გონება ამემღვრა და ციებ-ცხელებიანივით ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. შინ დავბრუნდი. ახლა ნამდვილად ვიყავი დარწმუნებული, რომ კუნძულზე ერთი ან რამდენიმე ადამიანი ამოსულა. ან იქნებ დასახლებულიც იყოს კუნძული, მე კი ეს აქამდე არ შემიინიშნავს! არ ვიცოდი, რითი დამეცვა თავი.

ოჰ, რა სულელურ გადაწყვეტილებას მიიღებს ხოლმე შეშინებული კაცი! გადავწყვიტე, პირველ რიგში, დამერღვია ღობეები და მოშინაურებული თხები ისევ ტყეში გამელალა, რადგან თუკი მტერი ერთხელ ადვილად ჩაიგდებდა ხელში მსხვერპლს, მერე ხშირად დაბრუნდებოდა იოლად მოსაპოვებელი ნადავლისათვის. უნდა მომეთხარა ორივე ნაკვეთიც, რათა ხორბალი არ ეხილა მტერს და კვლავ მოსასვლელად არ წახალისებულიყო; უნდა დამენგრია აგარაკიც და კარავიც, ხოლო ამით ყოველგვარი ნიშანწყალი მომესპო იმისა, რომ აქ ადამიანი ბინადრობს.

არეულმა ფიქრებმა მთელი ღამე რული არ მომაკარა თვალს. ფიქრებით დაქანცულს გათენებისას ჩამეძინა და წინანდელზე უფრო დამშვიდებულმა გავიღვიძე. ახლა უფრო დინჯად ავწონ-დავწონე ყველაფერი და ასეთი დასკვნა გავაკეთე: ეს მომხიბლავი, ნაყოფიერი და მთავარ ხმელეთთან ახლომდებარე კუნძული არცთუ ისე უკაცრიელი

და მიუვალა, როგორც აქამდე წარმომედგინა. მართალია, მკვიდრი მოსახლეობა ამ კუნძულს არა ჰყვოლია, მაგრამ შესაძლოა, მოდიოდნენ ველურები ნავებით: ზოგჯერ შემთხვევით, ზოგჯერ საგანგებოდ აქეთ გამომგზავრებულნი.

უკვე თხუთმეტი წელია, ამ კუნძულზე ვცხოვრობ და ადამიანს ერთხელაც არ შევხვედრივარ. თუ მართლა მოდიოდნენ ველურები კუნძულზე, მაშინ, ეტყობა, მყისვე უკანვე ბრუნდებოდნენ.

მწარედ ვნანობდი, რომ მეტისმეტად გავაფართოვე ჩემი გამოქვაბული და კარი გალავანს გარეთ გამოვჭერი. კარგად რომ ავწონ-დავწონე ყველაფერი, გადავწყვიტე მეორე გალავანი შემომეველო ჩემი ეზოსთვის, ასევე ნახევარწრედ, როგორც პირველი, ძველი კედლისგან მოშორებით, სადაც თორმეტი წლის წინ ორმწკრივად დავრგე ღობის გასწვრივ ხეები. ისე მჭიდრო და ხშირი იყო ეს ხეები, რომ სინამდვილეში ბევრი არც არაფერი სჭირდებოდა. მხოლოდ აქა-იქ თუ ჩავარტობდი ხეთა შორის სარებს. ეს იოლი საქმე იყო და მალე მოვრჩი.

ამრიგად, ახლა ორმაგი გალავანი ერთყა ჩემს სახლს. გარეთა გალავანი გავამაგრე პალოებით, ძველი ბაგირით,

ჯირკებით და ყველაფრით, რაც, ჩემი აზრით, სიმაგრეს მისცემდა. შვიდ ადგილას ღობეს ჭუჭრუტანა დავატანე - დაახლოებით იმოდენა, რომ ჩემი ხელი გაეტეოდა შიგ. შიგნიდან კედელი გავამაგრე ათი ფუტის სისქე მიწაყრილით. ქვაბულს ვაფართოებდი. მიწა ეზოში შემომქონდა, ღობის ძირში ვყრიდი და გულმოდგინედ ვტკეპნიდი ხოლმე.

ჭუჭრუტანები სათოფურებად მინდოდა. ზემოთაც ვთქვი ერთხელ, გემიდან შვიდი თოფი გადმოვიტანე-მეთქი. თოფები ზარბაზნის მსგავსად მოვაწყვე სადგარებზე ისე მოხერხებულად, რომ ორიოდე წუთში შვიდივე თოფის დაცლა შემეძლო.

ამას რომ მოვრჩი, გალავნის გადაღმა შევუდექი იმ უცნაური ჯიშის მცენარის მოშენებას, რომელიც ტირიფსა ჰგავდა და საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ახლომახლო ყოველი მიმართულები ჩავარტე ამ მცენარის თორმეტი ათასამდე ძირი, თანაც რაც შეიძლებოდა ახლო-ახლო. ოღონდ გალავნის გარშემო, ტყესა და კედელს შორის.

ამრიგად, ორი წლის შემდეგ ჩემი ციხესიმაგრის გარშემო საკმაოდ ხშირი ხეივანი გაჩნდა. ხოლო ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ირგვლივ მერტყა დაბურული ტევრი, რომელიც მართლაც რომ გაუვალა იყო.

ძე-ხორციელს არ მოუვიდოდა თავში, რომ ამ დაბურული ტყის იქით რაიმე იდგა, მით უმეტეს - საცხოვრებელი სახლი. ჩემთვისაც არ დამიტოვებია ამ ტყეში გასასვლელი ბილიკი, კიბეებით გადავდიოდი ხოლმე. კლდის შედარებით უფრო გამოშვერილ ნაწილს კიბეს მივაყუდებდი, ზემოდან კიდევ მეორე კიბეს და ისე გადავდიოდი. ხოლო ორივე კიბეს რომ ავიღებდი, ველარავინ მოაღწევდა ჩემამდე. კიდევ რომ ჩამოეღწია ვინმეს დაბლა, ჩემს ციხესიმაგრეში მაინც ვერ მოხვდებოდა, გალავანს გადაღმა აღმოჩნდებოდა.

ერთი სიტყვით, თავის დასაცავად ყოველგვარი ხერხი ვიხმარე. არცთუ ტყუილ-უბრალოდ შემეჩუხებია თავი, როგორც შემდეგ გაიგებთ, თუმცა იმხანად ნამდვილ ხიფათს ვერ ვხედავდი და მხოლოდ უბრალო შიში მამოძრავებდა.

ამ მუშაობით ვიყავი გართული, მაგრამ არც სხვა საქმეები დამივიწყებია. განსაკუთრებით მზრუნველობით ვეკიდებოდი ჩემს არვეს. გარდა იმისა, რომ მათი მოშენების შემდეგ ტყვია-წამალსა ვზოგავდი, აღარ მჭირდებოდა აგრეთვე გარეული თხების დევნაც.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ თხების შესანარჩუნებლად ორი საშუალება მქონდა: ან უნდა მომენახა ასეთივე მარჯვე ადგილი, გამომეთხარა ქვაბული კლდეში და შიგ შემერეკა ჩემი თხები ყოველ საღამოს, ან ერთმანეთისაგან დაშორებული კარგად შემოღობილი და დაფარული ორი-სამი პატარა ბაკი მომეწყო, სადაც ხუთ-ექვს თიკანს მოვათავსებდი. მთავარ არვეს თუნდაც რომ თავს დასტყდომოდა რაიმე უბედურება, ცოტაოდენი წვალებით მე კვლავ შევძლებდი მათ მომრავლებას. ამ საქმეს კარგა დიდი დრო და შრომა სჭირდებოდა, მაგრამ მაინც უფრო გონივრულად მივიჩნიე და გადაწყვიტე შემესრულებინა კიდევ.

კარგად დავათვალიერე კუნძული, რომ ყველაზე მივარდნილი და მოფარებული კუთხე ამერჩია. გამოვძებნე კიდევ ასეთი მყუდრო ადგილი. ამაზე უკეთესს ვერც ვინატრებდი. ეს იყო პატარა, ნესტიანი, ჩავარდნილი მინდორი დაბურულსა და გაუვალ ტყეში, სადაც ერთხელ გზა ამებნა, როცა აღმოსავლეთიდან ვცდილობდი შინ დაბრუნებას. მინდორი, რომლის ფართობი სამიოდე აკრს აღწევდა, სავსებით მოტიტვლებული იყო და ყოველი მხრიდან ისეთი დაბურული ტევრი ერთყა, რომ ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენდა; ყოველ შემთხვევაში, იმდენი შრომა და წვალება მაინც არ დამჭირდებოდა, რაც სხვა ბაკების შემოღობვაზე გავწიე.

დაუყოვნებლივ შევუდექი მუშაობას. ერთ თვე არც კი გასულა, რომ უკვე შემოღობილი მქონდა ბაკი და შეიძლებოდა ჩემი არვეს შიგ შე-რეკვა. თხების გაქცევის საშიშროება აღარ იყო, უკვე საკმაოდ მოში-ნაურებული იყვნენ.

მეც აღარ დამიყოვნებია, გამოვირეკე ათი ახალგაზრდა დედალი თხა, ორი ვაცი და ამ ახალ ბაკეში შევრეკე. ამის შემდეგაც განვაგრძე ღობის გამაგრება, ოღონდ უფრო ნელა, აღარ მეჩქარებოდა, და ამი-ტომ კარგა ხანსაც გამიგრძელდა ეგ საქმე.

მთელი ეს შრომა გამოწვეული იყო შიშით, რაც ადამიანის ფეხის ანაბეჭდის ნახვით განვიცადე. თვით ადამიანს კი აქამდე არ შევხვედ-რივარ კუნძულზე, არც კუნძულთან ახლომახლო - ზღვაში. მაგრამ იმ დღის შემდეგ, რაც სილაზე ნატერფალი ვნახე, მთელი ორი წლის გან-მავლობაში მოსვენება აღარ მქონდა. დავკარგე წინანდელი სიმშვიდე და მყუდროება. ამას ადვილად წარმოიდგენს ყველა, ვინც განუწყვე-ტელ შიშში ცხოვრობს.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ამ სულიერმა აწეწილობამ თავისი დაღი დაასვა ჩემს რელიგიურ ფიქრებსაც. ისეთი ძლიერი იყო ველურებისა და კაციჭამიების ხელში ჩავარდნის შიში, რომ დამშვიდე-ბით ლოცვა-ვედრება ხშირად აღარ შემეძლო. ზოგჯერ შევეცდებოდი ხოლმე მელოცა, მაგრამ ისეთი მორჩილებითა და სულიერი სიმშვი-ლით მაინც არ მილოცია, როგორც ეს ღვთისმსახურებას შეჰფერის.

ახლა ისევ ჩემს მოთხრობას დავუბრუნდეთ. ეს ერთი ბაკი რომ შე-მოვლობე და რამდენიმე თხა შიგ შევრეკე, ძებნა დაუწყე ასეთსავე მყუდრო და მოფარებულ ადგილას, რათა მეორე ბაკი შემომეღობა. ხეტიალისას მივადექი კუნძულის დასალიერს, დასავლეთით, სადაც უწინ არასოდეს ვყოფილვარ.

ზღვას რომ გადავხედე, მომეჩვენა, თითქოს შორს ნავი დავინახე. ადრე გემზე, მეზღვაურთა სკივრში, ერთი თუ ორი ჭოგრიტი ვნახე და სხვა ნივთებთან ერთად ნაპირზე გადმოვიტანე, მაგრამ ახლა თან არ მქონდა. თვალი ვჭყიტე და დავაშტერდი, მაგრამ ყველაფერი ისე გა-უჩინარდა, ვერ მივხვდი რა იყო. მაშინ გორაკიდან ზღვის პირას და-ვეშვი. მაინც არაფერი ჩანდა. ბოლოს თავი გავანებე, ოღონდ გადავ-წყვიტე, რომ სხვა დროს უჭოგრიტოდ აღარ გამოვსულიყავი შინიდან.

გორაკიდან რომ ჩავედი და კუნძულის მეორე ნაპირს მივადექი, სა-დაც ადრე მართლაც არ დამეკარებიანა ფეხი, საბოლოოდ დავრწმუნ-

დი, რომ ადამიანის ნატერფალის ნახვა ამ კუნძულზე არცთუ ისე უცნაური რამ იყო, როგორც მე

წარმომედგინა. განგების წყალობით კუნძულის იმ მხარეს რომ არ მოვხვედრილიყავი, სადაც არასოდეს მოდიან ველურები, ჩემთვის თავიდანვე აშკარა გახდებოდა, რომ არაფერია ისე ჩვეულებრივი, როგორც მათი სტუმრობა კუნძულზე.

დასავლეთ სანაპიროს ისინი ნავსაყუდლად იყენებდნენ. სადმე შორს რომ გაემგზავრებოდნენ, აქ გამოივლიდნენ ხოლმე. ხშირად ნავებით იბრძოდნენ ზღვაში და გამარჯვებულთ ტყვეები იმ კუნძულზე მოჰყავდათ, თავიანთი საშინელი ჩვეულების თანახმად აქ დაგლეჯდნენ და შესანსლავდნენ მსხვერპლს. მაგრამ ამაზე შემდეგ.

როგორც უკვე ვთქვი, გორაკიდან დავეშვი და ნაპირს მივადექი. უეცრად გავშეშდი - სანაპირო მოფენილი იყო ადამიანის თავის ქალებითა და ჩონჩხებით. ერთგან ცეცხლის კვალი შევნიშნე. იქვე იყო პატარა ორმო, რომელსაც ალბათ კაციჭამიები შემოუსხდებოდნენ და არაადამიანურ ქეიფს მართავდნენ: გლეჯდნენ და ნთქავდნენ თავიანთ მოძმეებს.

ისე გამაკვირვა და გამაშტერა ამ სანახაობამ, რომ ერთხანს ველარც კი გავითვალისწინე ის საშიშროება, რაც აქ მომელოდა.

შიში დამავიწყდა ამ არაადამიანურმა მხეცობამ, რაც ხშირად გამეგონა, მაგრამ არასოდეს მენახა.

მუცელმა გვრემა დამიწყო. გული ამერია. კინალამ გრძობა დაეკარგე. ერთი წუთითაც აღარ შემეძლო იქ გაჩერება. მაშინვე გორაკზე ავვარდი და შინისაკენ მოვუსვი.

ცოტათი რომ გავცდი იმ ადგილს, შევდექი, სული მოვითქვი, ძალა მოვიკრიბე, დიდი სასოებით ავიხედე ზემოთ და თვალთაგან ლაპალპით ცრემლჩამომდინარემ მადლი მოვახსენე უფალს, რომ წილად მარგუნა გავჩენილიყავი ქვეყნის ისეთ მხარეს, სადაც ამისი მსგავსი საშინელი არსებანი არ ბინადრობენ.

მადლიერების გრძობით აღსავსემ გავწიე ჩემი ციხესიმაგრისკენ. ამის შემდეგ კაციჭამიების შიში დიდად აღარ მაწუხებდა, თავს დაზღვეულად ვგრძნობდი. აშკარა იყო, რომ ისინი კუნძულზე ნადავლის საძებნელად არ გამოდიოდნენ, რადგან საკბილო არაფერი ეგულებო-

დათ. ეჭვი არ არის, ძველად ხშირად მოივლიდნენ აქაურობას და, რაკი დაბურული ტყის მეტი ვერაფერი ნახეს, იმედი გადაიწურეს. აგერ თითქმის თვრამეტი წელიწადია, რაც მე ამ კუნძულზე ვცხოვრობ და ერთხელაც არ შემინიშნავს ადამიანის ნაფეხური. კიდევ თვრამეტი წელი რომ მეცხოვრა, ალბათ არც მაშინ ვნახავდი, თუკი ჩემივე თავს არ გამოვამჟღავნებდი და გაუფრთხილებლობის გამო არ შევეჩეხებოდი მათ. მაგრამ ამის საშიშროება არ არსებობდა, რადგან ჩემი ერთადერთი საზრუნავი სწორედ ის იყო, რაც შეიძლება მარჯვედ დამეფარა თავი და იშვითად გამოვსულიყავი ჩემი ქვაბულიდან.

ისეთ ზიზღსა ვგრძნობდი ვაციჭამიების მიმართ მათი საშინელი ჩვეულების გამო, რომ თითქმის ორ წელიწადს ჩემს კარმიდამოს არ მოვშორებივარ. კარმიდამოს რომ ვამბობ, სამ მთავარ ნაკვეთს ვგულისხმობ: ციხესიმაგრეს, აგარაკს და ტყეში შემოღობილ ბაკს.

ტყეში მხოლოდ თხების დასათვალიერებლად დავდიოდი, რადგან ისეთ ზიზღსა ვგრძნობდი ვაციჭამიების მიმართ, რომ მათ შეხვედრას ეშმაკთან შეხვედრა მერჩია. არც ნავის სანახავად წავსულვარ ამ ხნის განმავლობაში, პირიქით, მეორე ნავის გამოთლაზე ვოცნებობდი, რადგან ძველი ნავის იქიდან გადმოტანაზე ფიქრიც არ მინდოდა: კუნძულის იქითა მხარეს შესაძლებელი იყო, ველურებს გადავყროდი, ხოლო იმათ ხელში ჩავარდნილს, კარგად ვიცოდი, რაც მომელოდა.

დრომ მაინც თავისი გაიტანა, თანდათან გამინელდა შიში. ძველებურადვე მშვიდობიანი და მოსვენებული ცხოვრება დავიწყე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა უფრო ფრთხილად ვიყავი და თვალის წინანდელზე უფრო ფხიზლად მეჭირა. განსაკუთრებით ვერიდებოდი თოფის გასროლას: ვაითუ კუნძულზე ველურები იყვნენ და გაიგონმეთქი. მთელი ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გამისროლია თოფი, თუმცა უთოფოდ ფეხი არ გამიდგამს შინიდან.

მუდამ თან დამქონდა გემიდან წამოღებული სამი დამბაჩაც, რომელთაც თხის ტყავისაგან გამოჭრილ ქამარში ვირჭობდი ხოლმე. თან ვატარებდი გემიდან წამოღებულ დიდ მახვილსაც, რომელიც მუდამ ალესილი მქონდა და რომელსაც საგანგებო ღვედი გამოვუჭერი გვერდზე დასაკიდებლად.

ჩემს მაშინდელ ცხოვრებას თუ გადავხედავთ, თითქმის ბევრი არაფერი მაკლდა, ველურების შიშმა და შიშით გამოწვეულმა თავდაცვაზე ზრუნვამ სულ დამიჩლუნგა გამომგონებლობის უნარი უფრო კეთილი ცხოვრების მოსაწყობად. ერთ დროს, მაგალითად, ძალიან ბევრს ვფიქრობდი და თავს ვიმტვრევდი, თუ როგორ გამომეხადა ქერისგან ლუდი. ეს მართლაც განუხორციელებელი ოცნება იყო, რადგან ამისათვის რამდენიმე აუცილებელი საჭირო რამ მაკლდა. უპირველეს ყოვლისა, არა მქონდა ლუდის შესანახი კასრი, თუმცა თვეების განმავლობაში ვეწვალე. არ მქონდა აგრეთვე სვია - ლუდის დასაყენებლად; არც საფუარი - გასაფუებლად; საბოლოოდ არც ქვაბი მქონია - გამოსახდელად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ველურების შიშს რომ არ შეეშალა ხელი, დარწმუნებული ვარ, მაინც დავძლევდი ყოველგვარ სიძნელეს და ავისრულებდი გულისწადილს, რადგან იშვიათად თუ გამინებებია თავი წამოწყებული საქმისთვის.

მთელი ჩემი გამომგონებლობის უნარი იმ დროს სულ სხვა რამისკენ იყო მიმართული. დღედაღამ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეხოცა ეს ურჩხულები იმ სისხლიანი გართობისა და ჟლეტა-გლეჯის დროს და როგორ დამეხსნა მათგან შესატყმელად განწირული მსხვერპლი.

ერთი პირობა ვიფიქრე, საცა ცეცხლს აჩაღებენ, იმ ადგილას ორმოს ამოვთხრი-მეთქი. ორმოში დენთს ჩავყრიდი, ხოლო, როცა ისინი ცეცხლს დააკვესებდნენ - დენთი აფეთქდებოდა და ახლომახლო ყველაფერს გადაწვავდა. მაგრამ, ჯერ ერთი, რომ არ მემეტებოდა უიმი-სოდაც მცირე რაოდენობის დენთი - იმ დროისათვის ერთი კასრილა დამრჩა; ამას გარდა, არ ვიცოდი, როდის აფეთქდებოდა ან დააფრთხობდა თუ არა ველურებს. იქნებ უბრალოდ შეეშინებინა, მაგრამ ისე ვერ დაეფრთხო, რომ სამუდამოდ მიეტოვებინათ ეს კუნძული.

მერე ვიფიქრე, ჩემი სამი თოფით სადმე მოხერხებულ ადგილას ჩავუსაფრდები-მეთქი. როცა გახურდებოდა მათი

სისხლიანი ქეიფი, დავუშენდი და, დარწმუნებული ვარ, თითო გასროლით ორ-სამ ველურს მოვკლავდი ან დავჭრიდი მაინც. მერე კი ჩემი დამბაჩითა და ხმლით მივეჭრებოდი და სულ ამოვჟლეტდი, თუნდაც ოცი კაცი ყოფილიყო.

ისე შორს შევტოპე ამ ფიქრებით, რომ მარჯვე ადგილსაც დავუწყე ძებნა, სადაც უნდა ჩავსაფრებულიყავი, რომ ველურებისათვის მეთვალთვალა. შურისძიება მწყუროდა, მინდოდა ხმლით დავრეოდი და

გამეჭლიტა ოცდაათი კაციჭამია ველური.

რამდენიმე დღის ძიების შემდეგ, გამოვძებნე მოხერხებული ადგილი გორაკზე, საიდანაც შემეძლო თვალყური მედევნებინა მათი ნაგებისათვის ზღვაში. იქიდან კარგად დავინახავდი, როგორ გადმოვიდოდნენ ნაპირზე, მე თვითონ კი მოფარებული ვიქნებოდი დაბურულ ხეებს და ვერ შემნიშნავდნენ. ერთ ხეს დიდი ფულურო ჰქონდა, ასე რომ, თავისუფლად მოვთავსდებოდი და დავიმალეობოდი შიგ. ხოლო, რაც მთავარია, ამ ფულუროდან ნათლად დავინახავდი მათ სისხლიან საქმეებს, დროს ვიხელოებოდი და, როცა შეგვუფედებოდნენ, მიზანში ამოვიღებოდი. აცდენა შეუძლებელიც იქნებოდა, პირველივე გასროლით სამ-ოთხს მოვკლავდი ან დავჭრიდი მაინც.

ამრიგად, ავარჩიე ადგილი და მზადებას შევუდექი. მოვამზადე ორი მუშკეტი და ჩემი ჩვეულებრივი სანადირო თოფი.

მას შემდეგ, რაც კარგად ავწონ-დავწონე ჩემი გეგმა, - ხოლო ოცნებაში სისრულეშიც მოვიყვანე, - ყოველ დილით მივდიოდი ხოლმე იმ გორაკზე, რომელიც ჩემი ციხესიმაგრიდან სამი მილით თუ ცოტა მეტი იყო დაშორებული და გადავხედავდი - კუნძულთან ახლოს ან შორს ზღვაში ნავი ხომ არ ჩანს-მეთქი. დამქანცა ამ მძიმე საქმემ. მთელი ორი-სამი თვის განმავლობაში დღე არ ჩამიგდია, მაგრამ შინ მუდამ ისე ვბრუნდებოდი, რომ ერთხელაც არაფერი შემინიშნავს, არათუ ნაპირზე და ნაპირთან ახლომახლო, არამედ შორს, ოკეანის სიღრმეშიაც, სადამდეც კი თვალი და ჭოგრიტი მისწვდებოდა.

ამდენი ხანი გავიდა, მაგრამ მე მაინც ისევე ვიყავი მზად ოცი-ოცდაათი ველურის დასახოცად. ისე ძლიერი იყო პირველი აფეთქება და ზიზღი, რომ აღარც დავფიქრებულვარ, რამდენად სამართლიანი იყო ჩემი აღშფოთება.

შემდეგ, როცა თანდათან დამქანცა ამდენი ხნის ყოველდღიურმა ამალ მოგზაურობამ, გუნება-განწყობილებაც თანდათან შემეცვალა, პირვანდელი გზნება ნელ-ნელა გამიცვიდა, დავმშვიდდი და უფრო საღი გონებით დავიწყე განსჯა.

რად უნდა ჩავერიო მე მათ საქმეში, რა უფლებით, თუკი გეცა ამდენი საუკუნის მანძილზე ითმენს და დაუსჯელს ტოვებს? მე ვინ მომიწოდებს, ვიყო მათი მსაჯული და ჯალათი, როგორც ნამდვილი დამნაშავეებისა?! ჩემთვის რა დაუშავებიათ, რა უფლება მაქვს ჩავერიო მათ ჩხუბსა და განუკითხავ სისხლისღვრაში?!

ხშირად ვმსჯელობდი ხოლმე საკუთარ თავთან ასე: მე საიდან უნდა ვიცოდე, ღმერთი როგორა სჯის მათ საქმეს?! ერთი რამ ცხადია - თვით იმ ხალხს სულაც არ მიაჩნია ეს დანაშაულად. ოდნავადაც კი არ განიცდიან ისინი სინდისის ქენჯნას. ომში ტყვედ ჩავარდნილი ადამიანის მოკვლა ისევე არ მიაჩნიათ მათ დანაშაულად, როგორც ჩვენ ხარის დაკვლა, ხოლო ვაცის შეჭმა ისეთივე ჩვეულებრივი რამ არის მათთვის, როგორც ჩვენთვის ცხვრის ხორცის ჭამა.

ასეთი მსჯელობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდი, რომ ვთქვი, უთუოდ შემცდარი ვარ, როცა ისინი ვაცისმკვლელებად მიმაჩნია და სასჯელს ვუმზადებ-მეთქი. აბა, რითი იყვნენ ისინი იმ ქრისტიანებზე უფრო მეტად დამნაშავენი, რომელნიც ხშირად ომში ტყვედ ჩავარდნილ ჯარისკაცებს ხოცავენ, ან, რაც კიდევ უფრო ხშირად ხდება, დაერევინან ხოლმე მთელ არმიებს ხმლით და შეუბრალებლად ჟლეტენ, თუგინდ მოწინააღმდეგეს იარაღი დაყრილი ჰქონდეს და მორჩილებას უცხადებდეს.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, - ვფიქრობდი მე, - როგორი არაადამიანური და მხეცური ჩვეულებაც არ უნდა ჰქონდეთ მათ,

მე რა მენალვლება?! აბა, რა დაუშავებიათ ჩემთვის?! სულ სხვა საქმეა, თავს რომ დამსხმოდნენ, ან ჩემი თავდაცვის ინტერესები მოითხოვდეს მათთან შებმას.

ასეთმა ფიქრებმა ჯერ ყოყმანი დამაწყებინა, მერე კი თანდათან სულაც ამაღებინა ხელი ჩემს გადაწყვეტილებაზე. დავრწმუნდი, რომ შემცდარი ვიყავი, როცა ველურებზე თავდასხმისათვის ვემზადებოდი.

ველურთა საქმეში ჩარევა ჩემი მხრივ უგუნურობაც იყო და უწესობაც. ჩემი მთავარი საზრუნავი ის უნდა ყოფილიყო, როგორმე მათ არ შევენიშნე; ყოველი ღონე უნდა მეხმარა მათგან თავდასაფარავად. უნდა წამეშალა ჩემი ყოველი ნაკვალევი, რათა ისინი არ მიმხვდარიყვნენ, რომ კუნძულზე ადამიანი ბინადრობს.

ისე აშკარა იყო ჩემი დასკვნის სისწორე, რომ უდიდეს კმაყოფილებასა ვგრძნობდი, რაკი ისეთი საქმე არ ჩავიდინე, რაც ვაცისმკვლელობაზე არანაკლები ცოდვა იქნებოდა. მუხლმოდრეკილი უმორჩილეს მადლობას ვწირავდი უფალს და შევთხოვდი: დავეფარე და დავეხსენი, არ ჩავეგდე ბარბაროსების ხელში.

ასე გავიდა თითქმის ერთი წელიწადი. მე იმდენად შორს ვიყავი ვე-

ლურებზე თავდასხმის სურვილისაგან, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მივსულვარ გორაკზე და არ გადამიხედავს - თუ გამოჩნდნენ ზღვაში ან კუნძულზე ყოფილან თუ არა. მეშინოდა, კვლავ არ გამღვიძებოდა ძველი მტრობა მათდამი ან მარჯვე შემთხვევას არ ვეცთუნებინე და თავს არ დავსხმოდი. ერთი რამ კი გავაკეთე: იქითა სანაპიროზე წავედი, ნავი აღმოსავლეთით გადმოვიტანე და დავაყენე მაღალ კლდეებში შეჭრილ, მყუდროდ მოფარებულ პატარა ყურეში, სადაც ველურებისაგან დაფარული იქნებოდა, რადგან ვიცოდი, რომ განსაკუთრებული ღინების გამო ისინი ვერ გაბედავდნენ და არც ისურვებდნენ თავიანთი ნავეებით აქეთ წამოსვლას.

ნავთან ერთად გადმოვიტანე მთელი მისი მოკაზმულობაც: ანძა, იალქანი, ღუმის მსგავსი ნივთი, რომელიც ღუმის მაგივრობას ასრულებდა (უკეთესის გაკეთება ვერ მოვახერხე), რათა არ დარჩენილიყო არავითარი ნიშანწყალი ადამიანის არსებობისა.

ამას გარდა, გემოთაც უკვე მოგახსენეთ, თუ არა თხების მოსაწველად, იშვიათად გამოვიდოდი ჩემი სენაკიდან. თხების საწველად და საერთოდ მოსავლელად კი ყოველდღე დავდიოდი ტყეში. მაგრამ ეს არც საშიში იყო, რადგან ბაკი სულ სხვა მხარეს მდებარეობდა.

გავიფიქრებდი ხოლმე, რა მეშველებოდა, ველურებს რომ წავდგომოდი თავს ჯერ კიდევ მაშინ, სანამ მათ ნატერფალს ვნახავდი, როცა თითქმის ტიტველი და უიარაღო დავდიოდი. თან დამქონდა მხოლოდ ერთი თოფი, ისიც ხშირად წვრილი ტყვიით დატენილი, დავეხეტებოდი მთელ კუნძულზე თვალის ცეცებით და ხან სად შევიჭყიტებოდი და ხან სად. მაშინ უნდა გენახათ ჩემი ფეთება, უცებ ადამიანის ფეხის ანაბეჭდის ნაცვლად თხუთმეტ-ოც ველურს რომ წავდგომოდი თავს. რა თქმა უნდა, გამომიდგებოდნენ, ხოლო ველურები ისე სწრაფად დარბიან, რომ, აბა, იმათ ვინ გაასწრებს!

ამას რომ წარმოვიდგენდი, დიდხანს ვერ მოვსულიერდებოდი ხოლმე. მართლაც, რა უნდა მექნა მაშინ? მათ დანახვაზე ავირეოდი და, რისი შეძლებაც მქონდა, იმასაც ვერ მოვახერხებდი. გამკლავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ასეთი ოცნების შემდეგ კვლავ მეწვია ერთი ძველი ფიქრი, რომელიც უწინ უფრო ხშირად მომდიოდა: ხშირად გონება, სურვილი, მისწრაფება და მოვალეობაც კი მოგვიწოდებს, ერთ გზას გავყვეთ, მაგრამ ისე ძლიერად მოქმედებს ჩვენს სულზე რაღაც უცნაური ძალა, რომლის ასავალ-დასავალისა ჩვენ არა გაგვეგება რა, რომ გეგმს შეგიც-

ვლის და სხვა გზაზე დაგვაყენებს. მერე გამოირკვევა, რომ პირველად არჩეულ გზაზე, რომლითაც, ჩვენი წარმოდგენით, თითქოს უსათუოდ უნდა გვევლო, ნამდვილად დავიღუპებოდით და დავიკარგებოდით.

ამის და მრავალი ასეთი ფიქრის საფუძველზე დავასკვნენი, რომ როცა რაიმე საქმის გამო ყოყმანში ვართ და არ ვიცით, რა გზას დავადგეთ, ყოველთვის შინაგან ხმას, იღუმალ კარნახს უნდა დავემორჩილოთ, თუნდაც გონება სულ სხვას გვეუბნებოდეს და ამ იღუმალ ხმის გარდა არც არაფერი გვაქეზებდეს მის გასაკეთებლად.

ვფიქრობ, მკითხველს უცნაურად არ მოეჩვენება, თუ ვაღიარებ, რომ ამ შიშმა, მღელვარებამ და გამუდმებულმა საშიშროებამ, რამაც ჩემი ცხოვრება მოიცვა, ბოლო მოუღო მთელ ჩემს გამომგონებლობასა და ჩხირკედელაობას, რაც მომავალი კეთილდღეობისა და კარგად მოწყობისათვის მჭირდებოდა. ან სადღა მქონდა საკვების გაუმჯობესებაზე ზრუნვის თავი, როცა სიცოცხლის შენარჩუნებაზე უნდა მეფიქრა. ლურსმნის დაჭედებასა და ჯოხის გამოთლასაც კი ვერიდებოდი, ვაითუ ხმაური გაიგონონ-მეთქი. მით უმეტეს, ამავე მოსაზრებით ვერ გავბედავდი თოფის გასროლას. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საშინელ მოუსვენრობას განვიცდიდი, როცა იძულებული ვხდებოდი ცეცხლი დამენთო, რადგან კვამლი დღისით შორი მანძილიდან ჩანს და მეშინოდა არ გამცეს-მეთქი. ამის გამო ყველა ისეთი საქმე, რასაც უსათუოდ ცეცხლი სჭირდებოდა, ტყეში, ახალ ბინაში გადავიტანე. აქ რამდენიმე ხნის შემდეგ ენით გამოუთქმელი ნუგეში მომეცა: კლდის ძირას წავაწყდი დიდ მღვიმეს, რომელიც ძალიან ღრმად იყო მიწაში შეჭრილი. ყველაზე გაბედული ველურიც კი ვერ ჩამოებდავდა, თუნდაც იგი მღვიმის შესასვლელს მოსდგომოდა. იქ ჩაძრომას იკისრებდა მხოლოდ ჩემს დღეში მყოფი ადამიანი, რომელსაც არაფერი ისე არ ესაჭიროებოდა, როგორც უხიფათო თავშესაფარი.

შესასვლელი ამ მღვიმეს დიდი კლდის ძირას ჰქონდა, სადაც მე ხეებსა და მსხვილ ბუჩქნარს ვჩეხდი დასანახშირებლად. სანამ ჩემს ამბავს გავაგრძელებდე, მოგახსენებთ, რისთვის მჭირდებოდა ეს ნახშირი.

წელანაც ვთქვი, რომ ვერიდებოდი სახლთან ახლოს ცეცხლის გაჩაღებას, რადგან მეშინოდა კვამლი არ შეენიშნათ, მაგრამ უცეცხლოდაც ხომ ვერ გავძლებდი! პური უნდა გამომეცხო, საჭმელი მომეხარშა და სხვა ასეთი რამ. მერე მოვიფიქრე, ნახშირით მესარგებლა. მინახავს, როგორ წვავენ ნახშირისათვის შეშას ინგლისში ბელტების ქვეშ. გადავწყვიტე, მეც ამავე ხერხით დამემზადებინა. დაწვავდი შეშას,

ცეცხლს ჩავაქრობდი, ნახშირს გავაცივებდი და სახლში ვეზიდებოდი. ამის შემდეგ ისე ვაკეთებდი ცეცხლზე ყველაფერს, რომ კვამლის შიში აღარ მქონდა.

ერთ დღეს, ბუჩქნარის ჩეხის დროს, ერთი გაბარდნილი ბუჩქის ქვეშ შევნიშნე მღვიმეში შესასვლელი. ძალიან დამაინტერესა, შევსულიყავი და დამეთვალაიერებინა. შესვლა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ, როცა შევედი, აღმოჩნდა, რომ საკმაოდ დიდი იყო ეს გამოქვაბული, ორი კაცის სიმაღლისა იქნებოდა. სიღრმეში, სადაც უკუნი სიბნელე იდგა, ორი დიდი მოელვარე თვალი დავინახე. ვარსკვლავებივით ანათებდნენ. უკან დამდულრულივით გამოვვარდი.

ცოტა ხანი რომ გავიდა და შიშის გამინელდა, სულელი და ჩერჩეტი ვუწოდე საკუთარ თავს: ჩემზე უფრო საშინელი, აბა, რა უნდა ყოფილიყო ამ გამოქვაბულში!

გული დავიმაგრე, დიდ მუგუზაღს დავტაცე ხელი და ხელმეორედ შევვარდი. მაგრამ სამი ნაბიჯის გადადგმა ვერც კი მოვასწარი, რომ ისეთივე შიში ვიგრძენი, როგორც პირველად. ოხვრა შემომესმა - ტკივილების დროს რომ ამოიოხრებს ხოლმე ადამიანი. ამას მოჰყვა რაღაც გაუგებარი დუდღუნი და კვლავ ამოხვნიემა. უკანვე შემოვტრიალდი, უეცარი ელდისაგან ცივი ოფლი დამასხა და თმა ყალყზე დამიდგა.

მაგრამ ძალა მოვიკრიფე და ისევ შევებრუნდი. მუგუზალი ახლა მომალლოდ მეჭირა, თავს ზემოთ, და იმის შუქზე ვიხილე მიწაზე გართხმული საშინელი სანახავი დიდი ბებერი ბოტი. სიბერით მიხრჩნილი და სიკვდილის პირას მისული ქოშინებდა. როგორც იტყვიან - სულს ლაფავდა.

შევანჯღრიე, ვსინჯე თუ წამოვაცენებდი, მაგრამ ვერ შეძლო. მერე გადავიფიქრე - მანამ ცოცხალია, სჯობს აქვე ეგდოს-მეთქი; მე შემაშინა ასე, ხოლო ველურებს მით უფრო შეაშინებდა - თუკი იმდენ გამბედაობას გამოიჩინებდნენ, რომ ქვაბულში ჩამოვიდოდნენ. ცოტა რომ დავმოშმინდი, მივიხედ-მოვიხედე: მღვიმე ძალიან პატარა აღმოჩნდა; რაღაც უშნო - არც მრგვალი, არც ოთხკუთხა. აშკარაა, ადამიანის გამოთხრილი არ ყოფილა, მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ნაღვაწი იყო. ერთი მხრით ხვრელი კიდევ უფრო ღრმად გადიოდა, მაგრამ ისე ვიწრო იყო გასასვლელი, რომ მხოლოდ ფორთხვით

თუ შემეძლო გავლა. არ ვიცოდი, სად მიმიყვანდა ეს ხვრელი, მე კი

სანთელიც არა მქონდა თან. გადავწყვიტე ახლა თავი დამენებებინა და მეორე დღეს მოვსულიყავი სანთლებით და კვესაბედით, რაც მე თოფის ჩახმახითა და ნახშირით გავაკეთე.

მეორე დღეს მართლაც მოვედი და თან მოვიტანე ჩემი ხელით დამზადებული ექვსი დიდი სანთელი (მშვენიერ სანთლებს ვაკეთებდი თხის ქონისაგან). ვიწრო ხვრელს რომ მივადექი, იძულებული გავხდი, ჩამეჩოქა და ფორთხვით წავსულიყავი. ათიოდე იარღი ასე ვიარე. არ ვიცოდი, სადამდე უნდა მევლო ან საბოლოოდ რას წავაწყდებოდი.

ვიწრო ხვრელს რომ გავცდი, ჭერი თანდათან ამალდა. ისეთი დიდებული რამ, როგორც ამ მღვიმის კედლები და ჭერი იყო, თამამად შეიძლება ითქვას, მე ჯერ არაფერი მენახა კუნძულზე. ჩემი ორი სანთლის სხივი კედლებზე ეცემოდა და არეკლილი ასი ათასობით ბრჭყვიალა სინათლეს გამოსცემდა. არც ვიცი, რა უნდა ყოფილიყო ამ კლდეში - ალმასი, სხვა რამ ძვირფასი ქვები თუ, რაც უფრო სარწმუნოდ მეჩვენებოდა, ოქრო.

მე ვიმყოფებოდი მეტად მომხიბლავ გამოქვაბულსა თუ მღვიმეში, თუმცა ირგვლივ წყვილი იყო გამეფებული. წვრილი ქვიშით მოფენილი იატაკი სწორი და მშრალი იყო. არც ჭერს, არც კედლებს ოდნავადაც არა ჰქონდათ სინესტე თუ სისველე და შხამიან, საზარელ ქვეწარმავლებსაც ვერსად ნახავდით. ერთადერთი ნაკლი მოუხერხებელი შესასვლელი იყო. მაგრამ რაკი თავის შესაფარებლად და დასამალად მჭირდებოდა, პირიქით, ჩემთვის უფრო ხელსაყრელიც კი იყო. ასე რომ, აღტაცებაში მომიყვანა ამ აღმოჩენამ და გადავწყვიტე დაუყოვნებლივ გადმომეტანა ისეთი ნივთები, რომლებსაც ყველაზე უფრო ვუფრთხილდებოდი: დენტის მარაგი და ზედმეტი იარაღი, სახელდობრ, ორი სანადირო თოფი (სულ სამი მქონდა) და სამი მუშკეტი (სულ რვა მქონდა). ასე რომ, ციხესიმაგრეში, ღობესთან, ბარბაზნების მსგავსად სადგარებზე მოწყობილი ხუთი მუშკეტი დავიტოვე დატენილი და დამზადებული. თუ სადმე წალება მომინდებოდა, შემეძლო მომეხსნა და წამელო.

იარაღის და ტყვია-წამლის გადატანისას ის კასრიც გავხსენი, რომელშიც სველი დენთი ეყარა. წყლის მხოლოდ სამი-ოთხი დუიმის სისქეზე შეედრნა კასრში ყოველი მხრიდან. დასველებული დენთი ქერქივით გამაგრებულიყო და შიგ მოთავსებულ ფხვიერ დენტს იფარავდა, როგორც ნაჭუჭი იფარავს თხილის გულს. ამრიგად, მომემატა სამოციოდე გირვანქა კარგი დენთი და ესეც სასიამოვნო აღმოჩენა იყო მაშინ ჩემთვის. მყისვე ახალი გამოქვაბულისკენ გავაქანე ტყვია-წამლის

თითქმის მთელი მარაგი. გადავიტანე ტყვიის ფურცლებიც.

თავს ვინუგეშებდი - თუნდაც ხუთასი ველური შემოიჭრას კუნძულზე და ძებნა დამიწყონ, აქ თუ ვიქნები, მაინც ვერ მომაგნებენ, ხოლო კიდევ რომ მომაგნონ, სულერთია, შიგ ვერ შემობედავენ-მეთქი.

ბებერი თხა, რომელიც სულსა დაფავდა, მეორე დღესვე მოკვდა. სუნს რომ არ შევეწუხებინე გახრწნის შემდეგ, იქვე შესასვლელში ღრმად გავთხარე მიწა და ჩავმარხე.

*

კუნძულზე გამორიყვის დღიდან უკვე ოცდამესამე წელში გადავდექი. ამ ხნის განმავლობაში ისე შევეჩვიე ამ ადგილსაც და ჩემს ცხოვრებასაც რომ, თუ ველურების თავდასხმის შიში არა, დარჩენილ დღეებსაც სიამოვნებით გავატარებდი აქ. მერე კი მიწაზე დავეგდებოდი და იმ ბებერ თხასავით ამავე გამოქვაბულში შევხვდებოდი სიკვდილს.

ამასობაში ზოგი თავშესაქცევი და გასართობი მოვიგონე და წინანდელზე უფრო ხალისიანად გამყავდა დრო. უპირველესად, პოლი - ისე გარკვევით და მკაფიოდ ტიტინებდა, რომ მთელი სიამოვნება იყო ჩემთვის მისი მოსმენა. სულ ცოტა, ოცდაექვსი წელიწადი მაინც ცხოვრობდა ჩემთან. კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდა - ვერ გეტყვით. ბრაზილიაში გამიგონია, თუთიყუშები ას წლამდე ცოცხლობენო. იქნებ ახლაც ცოცხალი იყოს საწყალი პოლი და კვლავაც მისჩხაოდეს საბრალო რობინ კრუზოს. არც ერთ ინგლისელს არ დავწყევლი ისე, რომ იმ კუნძულზე ყოფნა და პოლის მოსმენა ვუსურვო, მაგრამ, თუ ვინმე მოხვდა იქ, უსათუოდ ავი სული ეგონება ჩემი თუთიყუში.

ჩემი ძალი საყვარელი და ერთგული მეგობარი იყო. თექვსმეტი წელი გაატარა ჩემთან ერთად და მერე სიბერით მოკვდა.

კატები, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისე გამრავლდნენ, რომ იძულებული გავხდი, რამდენიმეს გარდა, ყველა დამეხოცა. ასე რომ არ მოვექცეულიყავი, საჭმელსაც სულ გამინადგურებდნენ და მეც დამგლეჯდნენ. როცა გემიდან წამოყვანილი ორი ბებერი კატა მოკვდა, სხვა კატებსაც შევუწყვიტე საჭმლის მიცემა და განუწყვეტილად ვდევიდი ჩემგან. ბოლოს გაველურდნენ და ტყეში გაიჭრნენ. დავიტოვე და ოჯახის წევრებად გავიხადე მხოლოდ ორი-სამი კატა, რომლებიც

სხვებზე უფრო შევიჩვიე. გააჩენდნენ თუ არა კნუტებს, მაშინვე ვახრჩობდი.

ამათ გარდა, ეზოში მუდამ მყავდა ორი-სამი თიკანი, რომელთაც ხელით ვკვებავდი ხოლმე. მყავდა კიდევ ორი თუთიყუში, რომლებიც საკმაოდ კარგად ლაპარაკობდნენ, მეძახდნენ კიდევ რობინ კრუზოს, მაგრამ პოლს მაინც ვერ შეედრებოდნენ და მათი სწავლებისათვის მეც არ შემეჩუხებია დიდად თავი. ნაპირზე დავიჭირე და მოვიშინაურე აგრეთვე რამდენიმე ზღვის ფრინველი, რომელთა სახელი არ ვიცი. დავაჭერი ფრთები და გავუშვი. დაიბუდეს სახლის წინ აქოჩრილ ხშირ ხეივანში, მე რომ მარგილებისაგან გავაშენე. ხეები დაბალი იყო და კარგად შეეგუვნენ. ჩეკდნენ ბარტყებს და უდიდეს სიამოვნებას მგვრიდნენ. ერთი სიტყვით, როგორც წელან ვთქვი, თანდათან შევეგუე ჩემს ცხოვრებას და, ველურების შიში რომ არა მქონოდა, კმაყოფილიც ვიქნებოდი.

მაგრამ სულ სხვა რამ მეწერა. ურიგო არ იქნებოდა, რომ ყველამ, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, ყურადღება მიაქციოს ერთ გარემოებას: რა ხშირად ხდება ხოლმე, რომ გავურბივართ უბედურებას, გვეშინია, ყოველნაირად ვცდილობთ თავი დავაღწიოთ, მაგრამ როდესაც მაინც დაგვატყდება ხოლმე თავს, ხშირად თვითონ იქცევა ხსნის ერთადერთ გზად თუ საშუალებად და სწორედ მისი დახმარებით დავაღწევთ თავს მთელს ჩვენს განსაცდელს.

დეკემბრის დილა იყო. არ შემეძლია ზამთარი ვუწოდო ამ დროს, რადგან სწორედ მაშინ იდგა ჩემთვის მკათათვე და მოსავლის ასაღებად დიდხანს მიხდებოდა მინდორში ყოფნა. კარგად გათენებული არც იყო, რომ უცებ ზღვის ნაპირზე ცეცხლი შევნიშნე და სახტად დავრჩი. ეს იყო ჩემგან ორიოდე მილის მანძილზე, მაგრამ, სამწუხაროდ, კუნძულის მეორე მხარეს კი არა, ჩემსკენ.

თავზარი დამეცა. ხეივანში შევიმალე და ველურებთან შეხვედრის შიშით გამოსვლას ველარ ვბედავდი: ვაითუ ველურებმა კუნძულზე ხეტიალის დროს ჩემი ყანა ნახონ ან მოუძველი, ან მომკილი; მიხვდნენ, რომ ეს ადამიანის ნამუშევარია, და ძებნა დამიწყონ-მეთქი. არც მომეშვებოდნენ, სანამ არ მიპოვიდნენ. შეშინებული სასწრაფოდ სახლისკენ გავეშურე. კიბე ჩამოვხსენი და, საერთოდ, ყოველგვარი ნიშანი ადამიანის არსებობისა წავშალე.

თავდასაცავად მოვემზადე. გავტენე ჩემი ბარბაზანი, ანუ სადგარებზე გამაგრებული მუშკეტები, მოვამზადე დამბაჩები და მტკიცედ გადავ-

წყვიტე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლა. ღმერთსაც მხურვალედ შევავედრე თავი, რათა კაციჭამიებისაგან დავეხსენი. ორიოდ საათი ასე ვიყავი. მერე თანდათან მოთმინება დავეკარგე, რადგან არ ვიცოდი, რა ხდებოდა გარეთ, და არც ვინმე მყავდა, დასაზვერავად რომ გამეგზავნა.

ერთხანს კიდევ ვიჯექი და ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო აღარ შემეძლო ერთ ადგილზე ჯდომა და ლოდინი. მივაყუდე კიბე კედელს, ავყევი ციცაბოს იმავე ხერხით, როგორც ზემოთ აგიწერეთ, შევჩერდი პატარა შიბზე, ამოვათრიე კიბე ზევით, კვლავ მივაყუდე კვლის ზევითა ნაწილს და თავზე მოვექეცი. ამოვიღე ჩემი საგანგებოდ წამოღებული ჭოგრიტი, მიწაზე პირქვე დავწექი და იმ ადგილს გადავხედე, საცა ველურები მეგულუბოდა. გარკვევით გავარჩიე, რომ სულ ცოტა ცხრა ველური მაინც იყო. შემოსხდომოდნენ პატარა კოცონს - რა თქმა უნდა, გასათბობად არა, რადგან პაპანაქება სიცხე იყო, - ალბათ ადამიანის ხორცის შესაწვავად, რომელსაც ისინი ან ცოცხალს მოიყვანდნენ თან, ან მოკლულს, - ეს არ ვიცი.

ორი ნავი ჰქონდათ თან, რომლებიც ნაპირზე გადმოეთრიათ და იქვე ეყარა. ახლა ზღვის მოქცევა იყო და ვიფიქრე, გასაბრუნებლად ალბათ მიქცევას თუ ელოდებიან-მეთქი. გაგიჭირდებათ იმის წარმოდგენა, თუ როგორ ამაფორიაქა ამ სანახაობამ, განსაკუთრებით კი იმან, რომ ჩემს სანაპიროზე იყვნენ, ჩემი სახლიდან ასე ახლოს. მერე, რაკი დავრწმუნდი, რომ მათი მოსვლა ყოველთვის ზღვის მოქცევას უკავშირდებოდა, ცოტათი დავმშვიდდი: მიქცევის დროს ყოველთვის უშიშრად შემეძლო სახლიდან გასვლა, თუ მანამდე არ იყვნენ ისინი მოსულნი. ასე რომ, ამ დაკვირვების შემდეგ დამშვიდებული გულით გავდიოდი ყანაში მოსავლის ასაღებად.

როგორც ველოდი, სწორედ ისე მოხდა: დაიწყო თუ არა ზღვის მოქცევა, ველურებმა ნავები ზღვაში შეაცურეს და მოუსვენს. ერთი საათით თუ ცოტა უფრო მეტი ხნით ადრე, სანამ წავიდოდნენ, ცეკვა დაიწყეს. ჩემი ჭოგრიტით მკაფიოდ ვხედავდი მათ მოძრაობებს. ისიც კარგად დავინახე, რომ ყველანი დედიშობილანი იყვნენ, ოღონდაც კაცები იყვნენ თუ ქალები, ეს ველარ გავარჩიე.

შეაცურეს თუ არა ნავები ზღვაში, მაშინვე მივბრუნდი, მხარზე ორი თოფი გადავიკიდე, ქამარში ორი დამბახა გავირჭე, გვერდზე ხმალი დავიკიდე უქარქაშოდ და, რაც ძალი და ღონე მქონდა, იმ გორაკისაკენ გავეშურე, საიდანაც პირველად შევნიშნე ველურები. ორი საათი მოვუნდი გზას, რადგან საჭურველასხმული ვიყავი. სამი ნავი იქაც შევ-

ნიშნე. უკვე ზღვაში გასულიყვნენ.

შემაძრწუნებელი სანახაობა გადამეშალა თვალწინ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაბლა ჩავედი და მათი საშინელი ლხინის ნასუფრალი ვიხილე: ძვლები, სისხლი და ადამიანის სხეულის ნაფლეთები, რომელსაც ეს ქაჯები სიცილ-თამაშით გლეჯდნენ და ნთქავდნენ. ისე ამიმღვრია გული ამ სანახაობამ, რომ ხელახლა შევუდექი გეგმების დაწყობას ველურების პირველივე ჯგუფის მოსასპობად, იმის მიუხედავად, რამდენი იქნებოდნენ ისინი ან რა პირობებში შევეყრებოდი.

ამავე დროს აშკარა გახდა, რომ ველურები არც ისე ხშირად მოდიოდნენ კუნძულზე: თხუთმეტ თვეზე მეტი გავიდა და ერთიც აღარ გამოჩენილა, ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიწინააღმდეგავს არც თვითონ ისინი, არც მათი ფეხის ნაკვალევი, არც სხვა რამ ნიშანი, რაც ამ დროის განმავლობაში მათ აქ ყოფნას დამიდასტურებდა. წვიმიან სეზონზე, ეტყობა, ვერ ბედავდნენ ზღვაში გამოსვლას, მით უმეტეს ასე შორს.

მე მაინც რაღა მომასვენებდა - ყოველ წუთში ველოდი. აქედან დავასკვენი, რომ უბედურების მოლოდინი უფრო მწარეა, ვიდრე თვით უბედურება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოლო აღარ უჩანს ამ განსაცდელსა და შიშს.

ამ დროის განმავლობაში ერთთავად ხოცვა-ჟლეტის გუნებაზე ვიყავი და მთელ საათებს სასარგებლო საქმის გაკეთების ნაცვლად იმაზე ვფიქრობდი, როგორ დავსხმოდი თავს ველურებს, როცა ისინი კუნძულზე მოვიდოდნენ. განსაკუთრებით მაშინ რა უნდა მექნა, თუ ისინი მომავალშიც ორ ჯგუფად გაიყოფოდნენ. ის კი აღარ გავითვალისწინე, რომ თუნდაც ერთი ჯგუფი გამეჟლიტა - ვთქვათ, ათი-თორმეტი კაცი - მეორე დღეს, მეორე კვირას, ან მეორე თვეს კიდევ სხვა ჯგუფს გაჟლეტა მომიხდებოდა, მერე კიდევ სხვა ჯგუფისა და ასე დაუსრულებლად, სანამ ბოლოს ისეთივე და უარესი კაცისმკვლელი გავხდებოდი, როგორი კაციჭამიებიც ისინი იყვნენ.

მოსვენება დავკარგე. სულ იმის მოლოდინში ვიყავი, რომ დღეს ან ხვალ ამ შეუბრალებელ ქაჯებს ჩაუფარდებოდი ხელში. ხოლო როცა თავს გადავდებდი და გარეთ გამოსვლას გავბედავდი, უდიდესი სიფრთხილით ვიქცეოდი, წამდაუწუმ აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალს. მთელი სიცხადით ახლალა მივხვდი, თუ რა დიდი ნუგეში და ბედნიერება იყო ჩემთვის მოშინაურებული თხის არვე თუ ფარა; თოფის გასროლას როგორ გავბედავდი ახლა, მით უმეტეს იმ ადგილებთან ახლომახლო,

სადაც ისინი მოდიოდნენ ხოლმე.

მაგრამ გავიდა წელიწადი და სამი თვე და მხოლოდ შემდეგ გამოჩნდნენ ველურები. შესაძლებელია, უფრო ადრეც იყვნენ ერთხელ ან ორჯერაც, მაგრამ ცოტა ხანს დარჩნენ, ან მე ვერ შევნიშნე. ეს კია, რომ მაისის თვეში, თუ ანგარიში არ მეშლება, ამ კუნძულზე მოსვლის დღიდან ოცდამეოთხე წელს, მე მეტად უცნაური შეხვედრა მომიხდა მათთან... მაგრამ ამას თავის დროზე გვიამბობთ.

იმ თხუთმეტი თუ თექვსმეტი თვის განმავლობაში ძილი გამიკრთა. მივლულავდი თუ არა თვალს, საშინელ სიზმრებს ვხედავდი და დამფრთხალი ხშირად წამოვვარდნილვარ ღამით. დღისით გონება აწეწილი მქონდა ათასნაირი ფიქრით. მესიზმრებოდა, როგორ ვხოცავდი ველურებს, და ჩემი ასეთი მოქმედების გამართლებას ვეძებდი.

მაისის შუა რიცხვები იყო, სახელდობრ მეთექვსმეტე დღე, თუ ჩემს საბრალო ხის კალენდარს ვერწმუნებით, რომელზედაც ვკლავ ვაჭდევი ხაზებს. დღისით საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ამას მოჰყვა შემადრწუნებელი ჭექა-ქუხილიც. ღამით ქარიშხალი კიდევ უფრო გამძვინვარდა. ბიბლიას ვკითხულობდი, რომ უცებ ზღვის მხრიდან მომავალმა ზარბაზნის ხმამ შემაკრთო.

ადვილად წარმოიდგენთ, რა ფაცხაფუცხით წამოვვარდი. მაშინვე კიბეს ვეცი, მივაყუდე კლდეს და აღმა შევეყვი. მოვექეცი თუ არა კლდეს თავზე, უეცრად ზღვაში რალაცამ იელვა, რაც მეორედ გასროლის მაუწყებელი იყო. მართლაც, ნახევარი წუთიც არ გასულა, რომ მეორედ დაიგრუხუნა ზარბაზანმა. ეს იმ მხარეს იყო, სადაც ერთხელ ნავიანად გამიტაცა დინებამ.

მაშინვე მიხვდი, რომ დაღუპვის პირას მისული გემი იყო. ალბათ ახლომახლო მეორე გემი ეგულებოდათ და ზარბაზნის სროლით შველას სთხოვდნენ. საზრიანობა გამოვიჩინე და ვიფიქრე: მე ხომ ვერაფერს ვუშველი, მაგრამ იქნებ მათ მიშველონ-მეთქი. ფიცხლავ შევაგროვე, რაც კი სადმე მშრალი ფიჩხი მქონდა, ერთად დავახვავე და ცეცხლი წავუკიდე. შეშა ხმელი იყო, ამიტომ ერთბაშად აბრიალდა და, მძვინვარე ქარის მიუხედავად, სულ დაიწვა. აშკარაა, უსათუოდ შენიშნავდნენ. ეტყობა შენიშნეს კიდევ, რადგან, ავარდა თუ არა ჩემი ცეცხლის ალი, ზარბაზნის გასროლით შემეხმინანენ. მალე კიდევ რამდენიმე გასროლის ხმა გავიგონე იმავე მხრიდან. მთელი ღამე ფიჩხებს ვუმატებდი და დილაამდე არ გამინელებია ცეცხლი. როცა კარგად გათენდა და ცა გადაიწმინდა, შორს, ზღვაში, კუნძულის აღმოსავლეთით

მხარეს რაღაც შევნიშნე - ვერ გავარჩიე, იალქანი იყო თუ გემის სხვა ნაწილი. ისე შორს იყო, რომ ჭოგრიტმაც ვერ მიშველა, ამასთან, ზღვას კვლავ ნისლი ეკრა და ესეც ხელს მიშლიდა.

მთელ დღეს გულმოდგინედ ვაკვირდებოდი იმ ადგილს და დავრწმუნდი, რომ ის რაღაც ადგილიდან არ იძროდა. ეტყობოდა, ღუბაჩაშვეებული გემი იყო. თქვენ თვითონვე მიხვდებით, როგორ ვიქნებოდი დაინტერესებული ყველაფერი გამეგო. გულმა აღარ მომითმინა, თოფს ხელი დავავლე და კუნძულის სამხრეთით გავეშურე იმ კლდეებისაკენ, საიდანაც ერთხელ დინებამ გამიტაცა.

ამასობაში გადაიკარა კიდეც. კლდეებს რომ მივალწიე, ჩემდა სავალალოდ, მკაფიოდ გავარჩიე, გემი, რომელიც ღამით მინარცებოდა ზღვაში ჩამალულ რიფებს, რომლებიც ადრე ნავში მჯდომმა ვიხილე.

ეტყობა, ამ ხალხს ვერ შეუნიშნავს წყალში ღრმად ჩამალული რიფები, ხოლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარს ზედ მიუნარცხებია.

კუნძული რომ დაენახათ (ჩანს, არ დაუნახავთ კუნძული), ჩემი ამრით, მაშინვე ნავს ჩაუშვებდნენ ზღვაში და თავის დასახსნელად ნაპირზე გამოსვლას ცდიდნენ.

მაგრამ ზარბაზნების სროლამ, რომლითაც ისინი შველას ითხოვდნენ და რომელიც განსაკუთრებით მას შემდეგ გახშირდა, როცა ალბათ ჩემი კოცონი შენიშნეს, მე ათასნაირი ფიქრი ამიშალა. ხან ის ვიფიქრე, ცეცხლის დანახვაზე ნავი ჩამოუშვეს და ნაპირის მიმართულეებით გამოცურეს, მაგრამ, რაკი ძლიერი ღელვა იყო, ალბათ დაიღუპნენ-მეთქი. მერე წარმოვიდგინე, რომ იქნება ნავი არცა ჰქონდათ გემზე, ადრე დაკარგეს. ეს ბევრ შემთხვევაში იყო შესაძლებელი: ჯერ ერთი, წყალი თუ შევარდებოდა გემში - ასეთ დროს ხშირად იძულებულნი ხდებიან ნავები დაამტვრიონ ან საკუთარი ხელით გადაყარონ ზღვაში. შემდეგ ვიფიქრე, იქნებ გემების ქარავანი მოდიოდა ერთად და მგზავრები სხვა გემზე გადასხეს-მეთქი. ისიც წარმოვიდგინე, რომ ისინი ნავებში ჩასხდნენ და იმ დინებაში მოხვდნენ, რომელმაც ერთხელ მე გამიტაცა. იქნებ შორს გარიყა დინებამ, ოკეანის სიღრმეში გარიყა, სადაც ახლა, დასალუჰად განწირულნი და გაუბედურებულნი, შიმშილით კვდებიან და ლამის ერთმანეთი შეჭამონ.

ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი ვარაუდი იყო და ამ დღეში ჩავარდნილს, აბა, რა უნდა მექნა, გარდა იმისა, რომ იქით მეცქირა და უბე-

დური ხალხი შემბრალებოდა.

როგორც უნდა მოვიხდომო, მაინც არ შემიწევს ძალა სიტყვებით გადმოგცეთ, თუ რა დაუცხრომელი სურვილი და ნატვრა აღმიძრა დალუპული გემის დანახვამ: „ნეტა ერთი-ორი მაინც... ნეტავ ერთი სული მაინც გადარჩენილიყო იმ გემიდან და ჩემთან მოსულიყო! ერთი მეგობარი მაინც გამჩენოდა, რომელთანაც გამოლაპარაკება და საუბარი იქნებოდა შესაძლებელი“. მთელი ამ მარტოობის განმავლობაში ერთხელაც არ მომდომებია და მომწყურებია ასე ძლიერ ადამიანებთან ყოფნა, ერთხელაც არ განმიცდია ასე ღრმად მარტოობის სევდა.

დაუცხრომელი იყო ჩემი ნატვრა: ერთი კაცი მაინც გადარჩენილიყო. „ო, ერთი მაინც! ო, ერთი მაინც! ალბათ ათასჯერ გავიმეორე ეს სიტყვები. მაგრამ არ მეწერა ეს ბედნიერება. კუნძულზე ყოფნის ბოლო წლამდე ვერ გავიგე, მოახერხა თუ არა ზოგიერთმა მაინც გადარჩენა. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მწუხარება მომივლინა ნაპირზე გამოჩენილი ყმაწვილი კაცის დამხრჩვალ გვამის ნახვამ. მას ეცვა მებღვაურის ქურთუკი, ლურჯი ტილოს პერანგი და ტილოსივე

მოკლე შარვალი. მარტო ამ ჩაცმულობით შეუძლებელი იყო გამოცნობა, რა ეროვნებისა უნდა ყოფილიყო ეს ჭაბუკი. ჯიბეშიც მხოლოდ ორიოდე ოქრო და ჩიბუხი აღმოაჩნდა. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ათჯერ უფრო ძვირფასი იყო ჩემთვის, ვიდრე პირველი.

წყნარი ზღვა იყო და სულმა წამძლია, ჩემი ნავით დალუპულ გემთან მისვლა გამებედა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იქ ჩემთვის რაიმე მოსადეგსა და სასარგებლოს წავაწყდებოდი. მაგრამ ეს სურვილი კი არ მეწეოდა იქით იმდენად, რამდენადაც იმედი, რომ გემზე შეიძლებოდა ცოცხალი ადამიანი მენახა.

მოვიმზადე კარგა ბლომად პური, წყალი, ერთი ბოთლი რომი (ჯერ კიდევ ბევრი მქონდა რომი), ყურძნით სავსე კალათა და კომპასი - გზის გასაგნებად. ვახსენე ღმერთი და გზას გავუდექი.

ჯერ ნაპირის გასწვრივ მივცურავდი. აქედან გაშლილ ოკეანეში უნდა შევსულიყავი. გადავხედე სწრაფ დინებას, რომელიც კუნძულის ორივე მხარეს მიჰყვებოდა და კარგა შორს მიედინებოდა. გამახსენდა ამასწინდელი თავის გაწირვა, როცა ისეთ საშინელ დღეში ჩამავდო ამ დინებამ.

ნავი იქვე, პატარა ყურეში მივაყენე, ნაპირზე გადმოვედი, პატარა

ბექობზე ჩამოვჯექი და თავი სევდიან ფიქრებს მივეცი.

მახლობლად თვალი ვკიდე პატარა გორაკს, საიდანაც კარგად გამოჩნდებოდა ზღვა კუნძულის ორივე მხარეს.

გადავწყვიტე, გზას მეორე დილითვე გავდგომოდი ის ღამე მეზღვაურის შინელში გახვეულმა ნავში გავატარე. დილით ზღვაში გავედდი. მძლავრად ვუსვამდი ნიჩბებს და პირდაპირ გემისკენ მივდიოდი. ორ საათში მივაღეჭი კიდევ.

გემი - როგორც ეტყობოდა, ესპანური - კლდეს მინარცხებოდა და გემის უკანა მხარე დამსხვრეული იყო. ასევე დამსხვრეულიყო მთავარი და შუა ანძა. მხოლოდ ბუშპრიტი და ქიმი დარჩენოდა მთელი. კარგად რომ მივუახლოვდი, ბანზე ძალღი შევნიშნე, რომელმაც, დამინახა თუ არა, წკმუტუნი და ყეფა მორთო, ხოლო, როცა დავუძახე, ზღვაში გადმოეშვა და ჩემთან მოცურა. მაშინვე ნავზე ავიყვანე და მოვუტეხე პური, რომელიც მან თოვლში მთელი ორი კვირის დამშეული მგლის სიხარბით შესანსლა. მერე წყალი მივეცი, რომელსაც სულმოუთქმელად დაეწაფა.

შემდეგ გემბანზე ავედი. პირველი, რაც გემზე ვიხილე, ორი დამხრჩვალ ადამიანი იყო, რომლებიც სამზარეულოში ეყარნენ ხელი-ხელგადაჭდობილნი. ძაღლის გარდა, ერთი ცოცხალი არსებაც არ იყო გემზე. ნივთებიც წყალს გაეფუჭებინა. წავაწყდი რამდენიმე სავსე კასრს - არ ვიცი, ღვინისას თუ არყისას - მაგრამ მეტისმეტად დიდები იყო და ვერ დავძრავდი. ვიპოვე მეზღვაურთა რამდენიმე სკივრიც, რომელთაგან ორი გადავიტანე ნავში, არც შემიძლია, შიგ რა იყო.

გემის წინა ნაწილი რომ დამსხვრეულიყო და კიჩო გადარჩენილიყო, დარწმუნებული ვარ, კარგა დატვირთული დავბრუნდებოდი შინ.

თუ არ ვცდები, გემი ბუენოს-აირესიდან ან რიო-დელა-პლატადან მოდიოდა, ბრაზილიაზე გავლით მიემართებოდა ჰავანისაკენ, მექსიკის უბეში, და მერე ალბათ ესპანეთისკენ. ეჭვი არ არის, თან მიჭქონდა დიდძალი ქონება, თუმცა ახლა არავისთვის არ იყო ეს გამოსადეგი.

სკივრების გარდა, ნავში დიდი წვალეებით გადავიტანე რაღაც სასმელით სავსე პატარა კასრი. ერთ კაიუტაში ვიპოვე რამდენიმე თოფი და დენთით სავსე დიდი ქარახსი. დენთი წამოვიღე, თოფი კი მჭირდებოდა და იქვე დავტოვე. წამოვიღე აქანდაზი და საკაცე, რომელთა საჭიროებასაც დიდად განვიცდიდი; წამოვიღე აგრეთვე ორი პატარა სპი-

ლენძის ქვაბი და სპილენძისავე ტაფა. თან წამოვიყვანე ძაღლი. იმავე დღეს დაახლოებით ღამის პირველ საათზე, არაქათგამოლეული და გასავათებული კუნძულს მივაღებქი.

ის ღამე ნაფში გავატარე. დილით გადავწყვიტე მთელი ავლადიდება ჩემ ახალ მღვიმეში გადამეტანა - ციხესიმაგრემდე მითრევას მეტი წვალება უნდოდა. რომ დავნაყრდი, ტვირთი ნაპირზე გადავზიდე და დათვალიერება დავიწყე.

პატარა კასრში რომი აღმოჩნდა, რომელიც ბრაზილიურს ვერ შეედრება. სკივრში ბევრი მეტად საჭირო ნივთი აღმოვაჩინე. ერთ-ერთ ყუთში ვიპოვე, მაგალითად, რაღაც უცნაური კოხტა ბოთლები, რომლებშიც მშვენიერი სასმელი ესხა, დაახლოებით სამ-სამი ჰინტი, თავი ვერცხლის საცობით ჰქონდათ დაცული. აღმოჩნდა ოთხი ქილა მშვენიერი მურაბაც, რომელთაგან ორს მჭიდროდ ჰქონდა თავი დაცული, ორი კი გაფუჭებულიყო. აქვე იყო რამდენიმე კარგი პერანგი, რომლებმაც დიდად გამახარა, თხუთმეტამდე ტილოს ხელსახოცი და ჭრელი ყელსახვევი. ხელსახოცებმაც ძალიან გამახარა, რადგან სიცხეში ოფლის მოსაწმენდად გამომადგებოდა. ამავე სკივრში წავაწყდი სამ დიდ ქისასაც, რომლებშიც ათასზე მეტი მონეტა იყო, ხოლო ერთ მათგანში ოქროც აღმოჩნდა, ქაღალდში გამოხვეული.

მეორე სკივრში ტანსაცმელი ეწყო, მაგრამ არცთუ ისე ძვირფასი. საერთოდ, ამ მგზავრობით ბევრი ვერაფერი მოვიპოვე, ხოლო ფული რად მინდოდა, რას ვაქნევდი! მთელ ამ თანხას სიამოვნებით მივცემდი სამ-ოთხ წყვილ ინგლისურ ფეხსაცმელსა და წინდაში, რომლებიც გულით მინდოდა მქონოდა. უკვე რამდენი წელია, ფეხსაცმელი შემომაცვდა და ისე დავდიოდი! ახლა მართლაც ვიშოვე ორი წყვილი ფეხსაცმელი - იმ დამხრჩვალ ადამიანებს გავხადე, გემზე რომ ვნახე, ხოლო კიდევ ორი წყვილი სკივრებში აღმოვაჩინე. მაგრამ ინგლისურს არა ჰგავდა. საცეკვაო თხელ წალებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ ფეხსაცმელს. ამ სკივრშიაც ეყარა ორმოცდაათამდე მონეტა, ოქრო - სრულებით არა. ალბათ ეს ყუთი უფრო ღარიბ კაცს ეკუთვნოდა, პირველი კი - ვინმე ოფიცერს.

მაინც წავათრიე ეს ფული სახლში და, იმ ფულის მსგავსად, რომელიც ადრე ჩვენი გემიდან გადმოვიტანე, გამოქვამულში შევინახე. როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალიან სამწუხარო იყო, რომ კიჩოს მხრიდან ვერ მივუღებქი გემს, თორემ დარწმუნებული ვარ, რამდენჯერმე შემემძლებოდა ჩემი ნავის დატვირთვა ფულით. ხოლო თუ ოდესმე მეღირსებოდა აქედან თავის დაღწევა და ინგლისში წასვლა, ფულს კუნძულზე

დავტოვებდი, საიმედოდ შენახულს; მერე მოვბრუნდებოდი და წავი-
ლებდი.

მთელი ტვირთის ნაპირზე გადმოტანასა და დალაგებას რომ მოვ-
რჩი, ისევ ნავს მივუბრუნდი და თავის ძველ ყურეში მივაცურე. მერე კი
ჩემი ძველი სახლისაკენ გავწიე.

კარგა ხანს ვცხოვრობდი საკმაოდ მშვიდობიანად. მხოლოდ ეს
იყო, რომ ახლა წინანდელზე უფრო ფხიზელი გავხდი, ხშირად ვათვა-
ლიერებდი მიდამოს, თუმცა შორს აღარ წავსულვარ: უფრო მშვიდად
ვიყავი, როცა კუნძულის აღმოსავლეთ მხარეს დავდიოდი, რადგან
იმედი მქონდა, რომ ველურები აქეთ არ მოვიდოდნენ.

ასე გავატარე დაახლოებით ორი წელი. ამ ხნის განმავლობაში კუნ-
ძულიდან გაქცევის ათასნაირი გეგმა და ხრიკი მოვიფიქრე. ერთი პი-
რობა, დაღუპული გემისკენ ხელახალი გამგზავრებისთვის ვემზადებო-
დი. ზოგჯერ სხვადასხვა მიმართულებით გამგზავრებაზე ვოცნებობდი.

*

ოცდაოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფეხი შევდგი ამ უდაბურ
კუნძულზე და განმარტოებული ცხოვრება დავიწყე. მარტის წვიმიანი
სეზონი იყო. ერთ ღამეს ჩემს საწოლსა თუ ჰამაკში ვიწექი. სრულიად
ჯანმრთელი ვიყავი, არაფერი მტკიოდა, არც არაფერ მაწუხებდა, სუ-
ლიერადაც კარგად ვგრძნობდი თავს, მაგრამ არ იქნა, თვალი ვერ
მოვხუჭე, არ დამეძინა; მთელ ღამეს ერთი წამითაც ვერ წავთვლიმე.

ფიქრებში მთელმა ჩემმა ცხოვრებამ ჩამიქროლა - აღრინდელმა
წლებმაც, კუნძულზე მოსვლამდე და კუნძულზე მოსვლის შემდეგმა
დრომაც.

კუნძულზე გამორიყვის პირველ ბედნიერ წლებს გონებაში ვადა-
რებდი იმ მოუსვენარ, შიშით მოცულ ცხოვრებას, რომელიც სილაზე
ადამიანის ნატურალის ნახვის შემდეგ დაიწყო.

სერიოზულად გავითვალისწინე ის აშკარა საშიშროება, რომელიც
მრავალი წლის განმავლობაში მემუქრებოდა ამ კუნძულზე. რა უდარ-
დელად დავდიოდი - უშიშრად და მშვიდად! ხოლო ამავე დროს, ვინ
იცის, რამდენჯერ დავუხსნივარ ყველაზე საშინელი განადგურებისაგან
ბორცვს, ხეს ან საღამოს ბინდ-ბუნდს! ხომ შეიძლებოდა ხელში ჩავ-

ვარდნოდი ველურებსა და კაციჭამიებს, რომლებიც ისეთივე დამშვიდებით დამიჭერდნენ, როგორც მე ვიჭერდი თხასა და კუს; ხოლო ჩემი მოკვლა და შესანსვლა ისევე არ იქნებოდა მათთვის დანაშაული, როგორც ჩემთვის - მტრედისა ან სხვა რაიმე ფრინველის მოკვლა.

ამის შემდეგ თვითონ იმ საზიზღარ კანიბალებზე ფიქრი დავიწყე. ვცდილობდი მივმხვდარიყავი, რას წარმოადგენდნენ, სად ცხოვრობდნენ, რამისმორესაა ხმელეთი, საიდანაც ისინი მოდიან, რატომ სწირავენ თავს და ასე შორს რად დაძრწიან, როგორი ნავეები აქვთ, თუკი ისინი მოდიან ამ კუნძულზე, რატომ არ შემიძლია, მეც მოვახერხო და მათთან მივცურო?!

იმისთვის აღარ შემიწუხებია თავი, რომ წინასწარ გამეთვალისწინებინა, რას გავაკეთებდი იქ მისვლის შემდეგ, რა მეშველებოდა იმათ კლანჭებში ჩავარდნილს ან როგორ დავიფარავდი თავს მათგან, თუ დამესხმოდნენ. ისიც კი არ მიფიქრია, როგორ შეიძლებოდა ხმელეთზე მისვლა ისე, რომ მათ არ შევნიშნე, მათ თავდასხმას ავცილებოდი. ან საკვები სად უნდა მეშოვა, კიდევ რომ არ ჩავვარდნოდი იმათ ხელში, ან იქიდან საით წავიდოდი! ერთადერთ ფიქრს მოეცვა ჩემი არსება: როგორ მიმელწია ჩემი ნავით ხმელეთამდე.

ბოლოს და ბოლოს, ამაზე საშინელი რა უნდა დამემართოს-მეთქი, ვფიქრობდი, - მხოლოდ სიკვდილი თუ იქნება უარესი! ხოლო, მთავარ ხმელეთს თუ მივალწიე, იქნებ იქ მართლაც ვიპოვო ხსნა, იქნებ ქრისტიანების გემსაც გადავეყარო სადმე?! ხოლო ყველაზე ცუდი რა შეიძლება მოხდეს? მოკვდები და ამით ბოლო მოეღება ამდენ წვალებას!

ასეთმა ფიქრებმა სულ მთლად ამაფორიაქა. ჩემი მორჩილება განგების მიმართ, სულიერი სიმშვიდე, ზეცის იმედი - თითქოს ყველაფერი გაქრა. ისეთი ძლიერი და დაუოკებელი იყო ხმელეთისკენ გამგზავრების სურვილი, რომ წინ ვეღარ აღვუდგებოდი.

ორი საათი თუ მეტი ასეთ აგზნებულ მდგომარეობაში ვიყავი. სისხლი მიდუღდა, ტვინი მიხურდა და გული ისე მიცემდა, თითქოს ანთება მქონოდა. ბოლოს დამეძინა, მაგრამ სულ სხვა რამ დამესიზმრა: თითქოს სახლიდან დილით ჩვეულებრივ გამოსულს ნაპირთან ორი კარჯაპი დამენახოს, საიდანაც თერთმეტი ველური გადმოვიდა. ველურებს თითქოს მოჰყავდათ კიდევ ერთი ველური, რომელიც უნდა დაეკლათ და შეეჭამათ. უცებ მსხვერპლი ხელიდან დაუსხლტა მათ, გადახტა და თავს უშველა; თითქოს გამოქცეული ველური პირდაპირ ჩემი ციხესიმაგრის წინ დაშენებული პატარა, მაგრამ დაბურული ხეივნის-

კენ მორბოდა, რათა ხეებისათვის შეეფარებინა თავი. რაკი შევატყვე, რომ არავინ დაედევნა და ამრიგად ეს ველური მარტო იყო, გამოვედი, დავენახვე და ღიმილით გავამხნევე. ველური მუხლებზე დაეცა და ხელებით შევლა მთხოვა. მე კიბებზე მივუთითე, ზედ ასულიყო. ქვაბულში შევიყვანე და მსახურად გავიხადე. რაკი ველური ჩავიგდე ხელთ, თითქოს ასე გავიფიქრე: ახლა მართლაც შეიძლება ხმელეთისკენ წასვლაზე ვიზრუნო-მეთქი. ველური მენავედ

მეყოლება, მასწავლის რა გავაკეთო, საკვები როგორ მოვიპოვო, საით გავცურო და რა ადგილებს მოვერიდო კაციჭამია ველურების შიშით.

რომ გავიღვიძე, გამოუთქმელ სიხარულს ვგრძნობდი, მაგრამ როცა გამოვფხიზლდი და მივხვდი, ეს მხოლოდ სიზმარი იყო, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი.

მაგრამ სიზმრის შემდეგ დავასკვენი, რომ აქედან თავის დაღწევის ერთადერთი გზა კაციჭამიათა მიერ შესატყმელად მოყვანილი ერთი ველურის ხელში ჩაგდება იყო.

მეორე მხრივ, ვხვდებოდი, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ველურების მთელ ბრბოს არ დავესხმოდი თავს და არ გავჟღეტდი. ხოლო ეს არა მარტო განწირული და უიმედო წამოწყება იქნებოდა, არამედ, მეორე მხრივ, უსამართლო მოქმედებაც, და სინდისის ქენჯნას იწვევდა ჩემში. მართალია, ეს თავის დასახსნელად უნდა ჩამედინა, მაგრამ გული მაინც მეწურებოდა, როცა ამდენ სისხლისღვრაზე გავიფიქრებდი.

საბოლოოდ, საკუთარ თავთან დიდი ხნის ბრძოლისა და ყოყმანის შემდეგ, თავის დახსნის მხურვალე და ყოვლისშემძლე სურვილმა გაიმარჯვა. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ერთი ველური ჩამეგდო ხელში. ახლა მთავარი თავსატეხი იყო, როგორ მომეხერხებინა ეს. ვარჩიე, მეთვალთვალა მათთვის და შემდეგ, როგორც საჭიროდ დავინახავდი, ისე მოვექცეულიყავი.

მას მერე ისე ხშირად გამოვდიოდი სახლიდან სათვალთვალოდ, რომ მომეწონა კიდეც. წელიწად-ნახევარზე მეტი გავიდა, მე კი თითქმის ყოველდღე დავდიოდი, რათა ველურების ნავები დამენახა, მაგრამ ამაოდ.

რა თქმა უნდა, მეტისმეტად შემადონებელი იყო ასეთი ლოდინი,

მაგრამ არც მხნეობა გამტეხია და არც სურვილი გამნელებია - პირიქით. ერთი სიტყვით, რამდენადაც უწინ ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ მათ არ დავენახე, ახლა იმდენად ვცდილობდი, მათ გადავყროდი სადმე.

ოცნებაში წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ არა ერთი, არამედ ორი და სამი ველურის მოთვინიერებასაც შევძლებდი, ხელში ჩაგდებას თუ მოვახერხებდი. დავიმონებდი და, რასაც მოვისურვებდი, იმას გავაკეთებინებდი.

დაახლოებით წელიწად-ნახევის შემდეგ, რაკი ამ ხნის განმავლობაში ჩემი განზრახვის შესრულების შემთხვევა არ მომეცა, ხელი ჩავიქნიე. თუმცა, ერთ ადრიან დილას სულ ცოტა ხუთი ნავი მაინც შევნიშნე ნაპირთან, სწორედ ჩემ მხარეს. ველურები არ ჩანდნენ. ალბათ უკვე ნაპირზე იყვნენ. თითო ნავში ოთხი, ექვსი, ხოლო ზოგჯერ მეტი ველურიც სჯდებოდა ხოლმე. აღარ ვიცოდი, რა უნდა მეფიქრა, მარტოხელა კაცი როგორ შევბმოდი ოც-ოცდაათ ველურს.

მიუხედავად ამისა, მაინც მოვემზადე მათთან საბრძოლველად წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, მარჯვე შემთხვევას ველოდი. ერთხანს მივაყურადე, ხმას თუ გავიგონებ-მეთქი. ბოლოს მოთმინების ფიალა ამევსო, თოფი კიბესთან მივაყუდე და კიბით გორაკს თავზე მოვექეცი. ოღონდ მეშინოდა, არ შევენიშნე, და თავი მაღლა არ ამიწევია. ჭოგრიტი მოვიმარჯვე და ვნახე, რომ მართლაც ოცდაათამდე ველური იყო. ცეცხლი გაეჩაღებინათ და საჭმელს აკეთებდნენ, ოღონდ ვერ გავარჩიე, რას და როგორ ამზადებდნენ. კოცონის გარშემო თავიანთებურად იმანჭებოდნენ.

ამასობაში ჭოგრიტით დავინახე, რომ ნავებიდან ორი საბრალო არსება გადმოათრის. ერთი მათგანი მაშინვე დავარდა, ეტყობა რალაცა დაჰვარეს. ალბათ ხის ხმალი ან დიდი კეტი - ასეთი ჩვეულება ჰქონდათ. მას ორი-სამი ველური მივარდა, ჩეხა და აქნა დაუწყეს.

მეორე მსხვერპლი იქვე მახლობლად იდგა, ჯერ მისთვის არა სცხელოდათ. რაკი შენიშნა ცოტათი თავისუფალი ვარო, ამ საბრალო არსებას, ეტყობა, სიცოცხლის იმედი გაუჩნდა, უცებ ისკუპა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქვიშნარის გასწვრივ, ჩემკენ გამოქანდა. ესე იგი იქით, სადაც მე სახლი მედგა.

უნდა გამოვტყდე, თავგარი დამეცა, როცა ჩემკენ გამოქცეული ველური დავინახე, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მომეჩვენა, თითქოს

ველურების მთელი ხროვა მოსდევდა მას. მენიშნა: პირველი ნახევარი ჩემი სიზმრისა ასრულდა; ველური მართლაც ჩემს ხეივანში ეძებდა თავშესაფარს. მაგრამ იმის იმედი აღარ მქონდა, რომ მეორე ნახევარიც ასრულდებოდა.

მაინც არ მომიცვლია ფეხი ადგილიდან. დიდი შვება ვიგრძენი, როცა მხოლოდ სამი ველური დაედევნა. კიდევ უფრო გამიმაგრდა გული, როცა შევნიშნე - გაქცეული ველური მდეურეებზე გაცილებთ სწრაფად გამორბოდა და თანდათან იგებდა მანძილს. აშკარა იყო, კიდევ ნახევარ საათს თუ გაუძლებდა, მდეურეებს ხელიდან დაუსხლტებოდა.

ჩემს სახლსა და მათ შორის პატარა უბე იყო. დევნილ ველურს სწორედ ეს უბე უნდა გადმოელახა, ან არადა სწორედ იქ შეიპყრობდნენ უბედურს. მოადგა კიდევ უბეს, მაგრამ არაფრად ჩაუგდია, პირდაპირ ჩაყვინთა, ერთი ოცდაათჯერ მოუსვა ხელი, გამოცურა და კვლავ საოცარი ძალითა და სისწრაფით გამოქანდა. მდევართავან, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ორს შეეძლო ცურვა, მესამეს - არა. იგი იქითა ნაპირზე გაჩერდა და ყურება დაუწყო, მერე მიტრიალდა და ნელი ნაბიჯით უკანვე გაბრუნდა.

შევნიშნე აგრეთვე, რომ მდეურეები დევნილ ველურზე ორჯერ მეტ დროს მოუნდნენ გამოცურვას. ახლა კი ვიგრძენი, რომ ჩემი ჯერი იყო - დადგა დრო, როდესაც შემეძლო მეშოვა მსახური ან, ვინ იცის, - იქნებ ამხანაგი და მშველელიც. თვით განგება მომიწოდებს, ვიხსნა ეს უბედური არსება!

მყისვე მთელი სისწრაფით დავეშვი კიბებზე, ვტაცე ხელი ორ თოფს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნე, იქვე ეწყო. იმავე სისწრაფით ავედი გორაკზე, შემოვუარე და მეორე მხრიდან გავიქეცი ზღვის მიმართულებით. ჩემი გზა მოკლე იყო, პირდაპირი, თან თავქვე მივრბოდი; ასე რომ, მალე აღმოვჩნდი მდეურეებსა და დევნილს შორის და საბრალო ველურს გასამხნეველად შევუძახე. მან მომხედა და პირველად, ეტყობოდა, ძალიანაც შეეშინდა ჩემი. ხელით ვანიშნე, ჩემთან მოდიმეთქი.

ჩინა მდევარი რომ გამისწორდა, თოფის კონდახი ჩავარტყი და იქვე წავაქციე. გასროლას ვერიდებოდი, რომ სხვებს არ გაეგონათ, თუმცა დიდი მანძილით იყვნენ დაშორებულნი და ასე ადვილად ვერ მიაღწევდა იქამდე თოფის ხმა. თუნდაც გაეგონათ, კვამლს მაინც ვერ შენიშნავდნენ და ამრიგად ვერც მიხვდებოდნენ, რის ხმა იყო. ერთი მდევარი რომ დაეცა, მეორე უცებ შედგა, თითქოს შეშინდაო. ახლა მისკენ

გავეშურე, მშვილდი მოეზიდა და ნიშანში მიღებდა. იძულებული ვიყავი დამესწრო და მომეკლა. პირველივე გასროლით მოვკალი.

საბრალო დევნილი ველური ერთ ადგილზე გაშეშებულიყო. ისე შეეშინებინა იგი სროლასა და ცეცხლს, რომ არც წინ მიდიოდა და არც უკან, თუმცა ეტყობოდა, გაქცევას არჩევდა. ისევ შევეხმიანე და ვანიშნე, ჩემთან მოსულიყო.

მიმიხვდა, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ისევ შეჩერდა, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ხელახლა შეჩერდა. შევნიშნე, რომ ცახცახებდა. ეტყობოდა, ჩემს ტყვედ მიაჩნდა თავი და ელოდა, რომ მოვკლავდი.

ისევ ვანიშნე, ჩემთან მოსულიყო, თან როგორც შემეძლო მივახვედრე, გამხნევდი-მეთქი. თანდათან მიახლოვდებოდა და ყოველი ათი-ოცი ნაბიჯის გადმოდგმის შემდეგ მუხლებზე ეცემოდა. ამით მადლობას მიხდიდა, რომ სიკვდილს გადავარჩინე. მე ალერსიანად გავუღიმე და ვანიშნე, აქ მოდი-მეთქი. საბოლოოდ სულ ახლოს მოვიდა, კვლავ დაიჩოქა. მიწას ეამბორა, გაწვა, ჩემი ფეხი აიღო და თავზე დაიღო. ეტყობა, ეს ფიცი იყო სამუდამო მონობისა. მე წამოვაცენე და როგორც შემეძლო, გავამხნევე.

მაგრამ ჯერ კიდევ არ გათავებულიყო ყველაფერი. დარტყმით წაქცეული ველური ეტყობა დარეტიანდა მხოლოდ და ამასობაში გონს მოვიდა. ეს ჩემ მიერ გადარჩენილ ველურს ვანიშნე და იმისკენ მივახედე. რაღაც მიპასუხა თავის ენაზე და, თუმცა ვერაფერი გავიგე, მისი ლაპარაკი მოსასმენად მეტად სასიამოვნო მომეჩვენა, რადგან ოცდახუთი წლის შემდეგ პირველად მესმოდა ადამიანის ხმა. მაგრამ რა დროს ეგ იყო! ველური თანდათან გამოფხიზლდა და წამოჯდა კიდევ; შევატყვე, რომ ჩემს ველურს შეეშინდა. მაშინ თოფი მოვიმარჯვე, მაგრამ ჩემმა ველურმა მანიშნა, ხმალი მათხოვეო. მახვილი უქარქაშოდ მეკიდა წელზე, მოვიხსენი და მივეცი. იგი მაშინვე მივარდა მდევარს, მყისვე შემოჰკრა და ისე მარჯვედ მოჰკვეთა თავი, რომ ასე ვერც ერთი გერმანელი ჯალათი ვერ მოახერხებდა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რადგან ველურს თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ ენახა ხმალი, ხის ხმალს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. მერე გავიგე, თურმე ისინი ხმლისათვის საგანგებოდ მაგარსა და მძიმე ხეს არჩევენ, ამასთან ისე ამახვილებენ, რომ მტერს ერთი მოქნევით თავსაც კი მოჰკვეთენ, მკლავზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მოჰკვეთა თუ არა თავი, მობრუნდა და გამარჯვებულის სიცილით მოვიდა, ათასნაირად დაიგრიხა - არ ვიცი რის ნიშნად - ხმალი დამიბრუნა და თავისივე მოკლული ველურის

თავიც იქვე მახლობლად დააგდო.

საშინლად გაუკვირდა, ამსიშორიდან მეორე ინდიელის მოკვლა როგორ მოახერხეო. ხელით მანიშნა, ნება მომეცი, ახლოს მივიდეო. მეც თანხმობა ვანიშნე. იგი მიუახლოვდა, ერთხანს გაშტერებული იდგა, მკვდარს უყურებდა. გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ჭრილობას დააშტერდა - შიგ გულში მოხვედროდა ტყვია და მაინცდამაინც ბევრი სისხლი არ დაღვრილიყო. ეტყობა, შიგნით ჩაექცა სისხლი. ბოლოს იმ ველურის მშვილდ-ისარი აიღო და ჩემსკენ წამოვიდა. მე მოვბრუნდი წასასვლელად და ვუბრძანე გამომყოლოდა. თან ვანიშნე, რომ დარჩენა საშიში იყო, რადგან შეიძლებოდა სხვებიც დასდევნებოდნენ.

მაშინ ველურმა მანიშნა, ჯერ ამათ ჩავფლავ სილაში, თუ მართლაც დამედევნენ, გვამები არ შენიშნონო. მეც დავეთანხმე. მაშინვე შეუდგა საქმეს. კლანჭებით მკვირცხლად ამოთხარა საკმაოდ ღრმა ორმო და ჯერ ერთი ველური ჩაფლა, მერე - მეორე. მგონი სულ მეოთხედი საათი მოუნდა ორივეს დამარხვას. ამის შემდეგ დაფუძახე და გავიყოლე, მაგრამ არა ჩემს

ციხესიმაგრეში, არამედ მოშორებით, ჩემს ახალ ქვაბულში, კუნძულის მეორე მხარეს. ასე რომ, სიგმრის მეორე ნახევრის ასრულებას მე თვითონვე შევუშალე ხელი - საშუალება არ მივეცი თავშესაფარი ჩემს ხეივანში მიეღო ამ ველურს.

მივეცი პური და ერთი აკიდო ყურძენი, ცოტაოდენი წყალიც. რომ დანაყრდა, ვანიშნე, დასაძინებლად დაწოლილიყო. მივუჩინე კიდევ ადგილი კუთხეში, საცა ბრინჯის ნამჯა ეყარა, ხოლო ზედ საბანიც იყო. აქ ზოგჯერ მე თვითონვე ვწევბოდი ხოლმე. საბრალო არსება დაეგდო და მაშინვე ჩაეძინა.

ეს იყო წარმოსადეგი ჭაბუკი, ჩასხმული და კოხტა, სრულებითაც არ იყო ტლანქი. სწორი და გრძელი ხელ-ფეხი ჰქონდა. ალბათ, ასე ოცდაექვსი წლისა იქნებოდა, ვაჟკაცური და სათნო, მშვენიერი სახისა, სრულებით არაველური გამომეტყველებით. გრძელი შავი თქმა ჰქონდა, მაგრამ სწორი; შუბლი - მაღალი და ფართო, თვალები - მკვირცხლი და მოელვარე. უფრო შავგვრემანი იყო, ვიდრე შავი, მაგრამ არა ისეთი საზიზღარი მოყვითალო შავგვრემანი, როგორც ბრაზილიელი, ვირჯინიელი და ამერიკის სხვა კუთხეების მკვიდრნი არიან, არამედ უფრო მოყავისფრო, ზეთისხილის ფერისა, შესახედად ძალიან სასიამოვნო, მაგრამ ასაწერად - არც თუ ისე ადვილი. სახე მრგვალი და დიდი, ცხვირი პატარა, მაგრამ ზანგივით მიჭყლეთილი კი არა; პირის

ჭრილი ლამაზი ჰქონდა, თხელ ტუჩებს სპილოსძვლისფერი ჩაწიკწიკებული კბილები უმშვენებდა.

ნახევარი საათის ძილის, უფრო სწორად, თვლემის შემდეგ გამოიღვიძა და ქვაბულიდან გამოვიდა. მე თხებს ვწველიდი ბაკში. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოქანდა, მიწაზე განერთხო და ყოველნაირად ცდილობდა, მორჩილება და მადლობა გამოეხატა ნიშნებითა და მოძრაობით. მერე თავი მიწაზე დადო ჩემს ფეხთან ახლოს, ჩემი ფეხი აიღო და წინანდებურად ზედ დაიდო. კვლავ იმას მანიშნებდა, თუ როგორი მორჩილი და ერთგული მონა იქნებოდა სამუდამოდ. მე ბევრი რამ გავუგე და ვანიშნე, ძალიან ნასიამოვნები ვარ-მეთქი.

მალე ლაპარაკი დაუწყე და მასაც ვასწავლიდი ლაპარაკს. უპირველეს ყოვლისა, თავისი სახელი - პარასკევა - ვასწავლე: პარასკევს გადავარჩინე სიკვდილს. მერე „ბატონის“ დაძახება ვასწავლე და გავაგებინე, რომ ასე უნდა ეწოდებინა ჩემთვის. ასე შევანჯივე „ჰოსა“ და „არას“ თქმას, ამ სიტყვების მნიშვნელობაც ავუხსენი.

თიხის ქოთანში რძე ჩავუსხი და მივეცი, ოღონდ ჯერ თვითონ მოვხვრიპე და ვაჩვენე, პური როგორ უნდა ჩაეწო შიგ. მერე პური მივეცი, რომ მასაც იგივე გაემეორებინა, მყისვე დამემორჩილა და მანიშნა, ძალიან გემრიელიაო.

ღამე იქ გავატარებინე, ხოლო გათენებისას ვანიშნე, მე გამომყოლოდა, მივახვედრე, რომ ტანსაცმლის მიცემა მსურდა. ეს ძალიან გაუხარდა, რადგან დედიშობილა იყო. იმ ადგილს რომ ჩავუარეთ, სადაც მან ორი ველური ჩაფლა სილაში, დამანახა - თურმე რაღაც ნიშნები ჩაესო საფლაგების ადვილად მოსაძებნად. მანიშნა, მოვთხაროთ და შევვამოთ! ამაზე საშინელი გაბრაზებით ვუპასუხე, გამოვხატე მთელი ჩემი ზიზღი და ხელით ვუბრძანე, იქაურობას გასცლოდა. ისიც დაუყოვნებლივ დამემორჩილა.

იქიდან გორაკზე ავიყვანე, რათა მენახა - წავიდნენ თუ არა მისი მტრები. გადავხედე ჭოგრიტით და ვნახე, რომ ამ ადგილას ველურების არავითარი ნიშანწყალი აღარ იყო, არც თვითონ ჩანდნენ და არც მათი ნაგები. აშკარა იყო, ისე წავიდნენ, რომ სულაც არ შეუწუხებიათ თავი ორი ამხანაგის მოსაძებნად.

მაინც არ დამაკმაყოფილა ამ აღმოჩენამ და, რაკი ახლა უფრო მხნედ ვგრძნობდი თავს, ხოლო რაკი ცნობისმოყვარეობაც უფრო გამიცხოველდა, პარასკევა გავიყოლე და იმ ადგილისაკენ გავწიე, სადაც

ისინი იყვნენ გუშინ. მინდოდა, უფრო დაწვრილებით გამეგო მათი ამა-
ბავი. პარასკევას ჩემი ხმალი გადავეცი. მას მშვილდ-ისარიც ეკიდა
მხარზე. მივეცი აგრეთვე წამოსაღებად ჩემი ერთი თოფი, ხოლო ორი
დანარჩენი მე თვითონ დავიჭირე. როცა იმ ადგილს მივალწიე, ძარ-
ღვებში სისხლი გამეყინა. მართლაც რომ შემადრწუნებელი სურათი
იყო, პარასკევას კი არაფრად ჩაუგდია. მიწა სისხლით იყო

შეღებილი, ირგვლივ ადამიანის ძვლები ეყარა, აქა-იქ მოჩანდა
შეტრუსული, დაგლეჯილ-დაწიწკნილი, ნახევრადდაღეჭილი ხორცის
ნაფლეთები. ერთი სიტყვით, ეს იყო მტერზე გამარჯვების აღსანიშნა-
ვად გამართული საზეიმო ქეიფის ნასუფრალი. მე გავარჩიე სამი თავის
ქალა, ხუთი ხელი. სამი თუ ოთხი კანჭი და სხეულის სხვა ნაწილები.
პარასკევამ ნიშნებით ამიხსნა, რომ მათ ოთხი ტყვე მოეყვანათ შესაჭ-
მელად. სამი უკვე შეეჭამათ, ხოლო მეოთხე თვითონ იყო (თავის თავ-
ზე მანიშნა). დიდი ბრძოლა ჰქონოდათ ამათ მეფესა და მის მტრებს.
პარასკევა, ალბათ, ამ მეფის ქვეშევრდომი იყო. უამრავი ტყვე ჩაიგდეს
თურმე ხელთ, გაინაწილეს გამარჯვებულმა ველურებმა და შესაჭმე-
ლად სხვადასხვა ადგილას წაასხეს. აქ ერთი ჯგუფი მოიყვანეს.

პარასკევას ვუბრძანე, შეეგროვებინა ძვლები და ხორცის ნარჩენე-
ბი, შემდეგ კი დიდი ცეცხლი გაეჩაღებინა და დაეწვა. შევატყვე, რომ
პარასკევას ნერწყვი მოსდიოდა ადამიანის ხორცის დანახვამზე. იგი
თავისი ბუნებით ხომ კანიბალი იყო. მაგრამ მე ისეთ ზიზღს ვამჟღავ-
ნებდი, რომ ვერ გაბედა თავისი განზრახვის შესრულება; ყოველნაი-
რად შევეცადე გამეგებინებინა, რომ უსათუოდ მოვკლავდი, თუ ასეთ
რამეს გაბედავდა.

ამ საქმეს რომ მოვრჩით, ჩემს ციხესიმაგრეში დავბრუნდით და მა-
შინვე შევუდექი პარასკევას შემოსვას. უპირველეს ყოვლისა, ჩავაცვი
მას გემზე სკივრში ნაპოვნი ტილოს შარვალი, რომელიც ცოტაოდენი
გადაკეთების შემდეგ კარგად მოერგო. მერე შევუკერე თხის ტყავის
ქურთუკი. ვცდილობდი, როგორც შემეძლო, კარგად მოსდგომოდა
ტანზე. მე უკვე კარგა დახელოვნებული თერძი ვიყავი. კურდღლის
ტყავისაგან ქუდი გამოვუჭერი, ძალიან მოხერხებულები და საკმარად
კოხტაც. ასე რომ, იმ მდგომარეობის პირობაზე კარგად გამოეწყო ჩემი
მსახური და ძალიანაც გახარებული დამირჩა, რომ თავის ბატონზე უა-
რესად არ ეცვა, თუმცა პირველ ხანებში თავს უხერხულად გრძნობდა,
განსაკუთრებით შარვალი ეხამუშებოდა, ქურთუკის სახელოებიც ეჩო-
თირებოდა ილლიებში. იძულებული გავხდი ცოტა მომეშვა. მერე თან-
დათან შეეჩვია და საბოლოოდ მშვენივრად გრძნობდა თავს.

მეორე დღეს, შინ რომ დავბრუნდით, პარასკევას დაბინავებაზე ზრუნვა დავიწყე. თვითონაც რომ კარგად ეგრძნო თავი და

მეც სავსებით გულდამშვიდებული ვყოფილიყავი, პატარა კარავი დავუდგი მოტიტვლებულ ადგილას, ორ სიმაგრეს შორის: პირველის გადაღმა და მეორის შიგნით. აქედან იყო სწორედ შესასვლელი ჩემს გამოქვაბულში და მე სქელი ფიცრებით შეკრული კარი გავაკეთე იქ, რომელიც შიგნით იღებოდა და ღამით ურდულით ვკეტავდი ხოლმე; კიბესაც ვიღებდი ღამლამობით, იარაღებიც ყოველ საღამოს შინ შემქონდა. ამრიგად, პარასკევა ისე ვერასგზობით ვერ შემოაღწევდა შიგნით, რომ ხმაური არ აეტეხა და არ გაველვძიებინე.

მაგრამ ამდენი სიფრთხილე სულაც არ იყო საჭირო, რადგან ჯერ არავის ჰყოლია ქვეყნად ისეთი ერთგული, მოსიყვარულე და გულწრფელი მსახური, როგორც პარასკევა იყო - მთლიანად ჩემზე მონდობილი და, როგორც ბავშვი მშობლებთან, ისე იყო იგი ჩემთან. დარწმუნებული ვარ, თუ საჭირო იქნებოდა, თავსაც კი გასწირავდა ჩემს დასახსნელად. თავისი ერთგულებით მალე გამიქრო ყოველგვარი ეჭვი და დამარწმუნა, რომ ამდენი სიფრთხილე სრულიად უსაფუძვლო იყო.

გაკვირვებით ვფიქრობდი ამაზე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ღმერთის მაღალი ნებით, მისივე შექმნილ არსთა უმრავლესობას წართმეული აქვს საშუალება გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი და სათნოება. ისე კი მათაც ჩვენსავით აქვთ ღვთისაგან მიმადლებული ყოველი ნიჭი და უნარი - ისეთივე ძალა, გონება, განცდები, სიკეთისა და მოვალეობის გრძნობა, მადლიერება, გულწრფელობა, ერთგულება, უსამართლობის გამო აღშფოთების უნარი. ისინი მზად არიან, ჩვენსავით - ჩვენზე მეტადაც კი, ისარგებლონ შემთხვევით და გამოამჟღავნონ ყველა ის სიკეთე, რაც მათთვის მიუნიჭებია ღმერთს.

ძალიან მომწონდა ჩემი ახალი ამხანაგი და ჩემს მოვალეობად დავისახე, შესწავლებინა ყველაფერი, რაც სასარგებლო და საჭირო იქნებოდა და რაც ცხოვრებაში გამოადგებოდა, უპირველეს ყოვლისა კი - ლაპარაკი. ასეთი ნიჭიერი შეგირდი ჯერ ალბათ არავის ჰყოლია ქვეყნად. განსაკუთრებით ის უნდა აღინიშნოს, რომ დაუზარელი იყო, მხიარული, მუდამ ბეჯითი და, როცა რაიმეს გავაგებინებდი ან თვითონ მიმახვედრებდა, ისე უხაროდა, ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო მასთან საუბარი. თანდათან გამიადვილდა ცხოვრება და ისეთ შვებას ვგრძნობდი, ვფიქრობდი კიდევ: ველურების თავდასხმის შიში რომ არა, სულაც არ შევიწუხებდი თავს აქედან წასვლაზე ფიქრით და სამუ-

დამოდ აქ დავრჩებოდი.

ორი-სამი დღე გავიდა, რაც ციხესიმაგრეში მივიყვანე პარასკევა, რომ უცებ გავიფიქრე: თავისი საშინელი ჩვეულება - ადამიანის ხორცის ჭამა რომ მოვაშლევინო, საჭირო იქნება სხვა ხორცის გემო გავასინჯო-მეთქი.

ერთ დღიას იგი ტყეში წავიყვანე. მინდოდა მოშინაურებული თხა დამეკლა, შინ წამომეღო და მომეხარშა. მაგრამ გზაზე ხის ქვეშ გარეული თხა შევნიშნე თავისი ორი თიკნით. უცებ შევაჩერე პარასკევა და ვანიშნე, ხმა არ ამოეღო. თოფი გადმოვიღე, დავუმიბნე, ვესროლე და ერთი თიკანი მოვკალი.

საბრალო ველური, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ დაინახა, მაგრამ ვერ მიხვდა, როგორ მოვკალი შორიდან მისი მოსისხლე მტერი, ახლა ერთბაშად გაშეშდა, ათრთოლდა, ცახცახი დააწყებინა და თვალები ისე გაუშტერდა, რომ შემეშინდა, გული არ შეუღონდეს-მეთქი.

თიკანი არ დაუნახავს, ვერც იმას მიხვდა, თუ მოვკალი რამე, და ხელით სხეულის სინჯვა დაიწყო, დაჭრილი ხომ არ ვარო. როგორც ეტყობა, იფიქრა, ჩემი მოკვლა აქვს განზრახულიო, მუხლებზე დაეცა, ფეხებზე მომეხვია და დიდხანს რაღაცას დუდღუნებდა. მისი ლაპარაკისა არაფერი გამეგებოდა, თუმცა მივხვდი, რომ მემუდარებოდა, ნუ მომკლავო.

ღვარწმუნე საბრალო არსება, რომ მისთვის ვნების მიყენება არ მინდოდა. ხელი მოვკიდე, გავუცინე, მოკლული თიკანი დავანახვე და ვანიშნე, მოეტანა. ისიც მაშინვე გაიქცა, მაგრამ სანამ თიკანს ათვალეირებდა გაკვირვებით, მე მოვასწარი თოფის ხელმეორედ გადატენა.

ამასობაში შორიასლოს ხეზე ქორის მაგვარი რაღაც დიდი ფრინველი შევნიშნე. შემთხვევით ვისარგებლე, პარასკევას ჩემთან მოვუხმე და ფრინველი დავანახვე. კარგად რომ დავაკვირდი, თუთიყუში აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, დავანახვე ფრინველი, მერე ჩემს თოფზე ვანიშნე და მივუთითე ხის ქვეშ იმ ადგილზე, სადაც თუთიყუში დაეცემოდა. მინდოდა მიმეხვედრებინა, თუ როგორ მოვკლავდი ფრინველს, და ამით დამემშვიდებინა იგი.

ამის შემდეგ მართლაც გავისროლე თოფი და პარასკევამ დაინახა,

როგორ დავარდა ფრინველი მიწაზე, თუმცა, ამდენი განმარტების მიუხედავად, მაინც დაფრთხა. როგორ შევატყვე, უფრო იმან შეაშინა, რომ მას არ დაუნახავს, ხელმეორედ თუ ჩავდე თოფში რაიმე; ალბათ წარმოიდგინა, რომ ამ იარაღში გამოულეველი სიკვდილის მთელი მასალა იყო, რომელიც სპობდა და ანადგურებდა ყველაფერს. კარგახანს ვერ ბედავდა თოფისთვის ხელის ხლებას, ოღონდ ელაპარაკებოდა კი, თითქოს პასუხის გაცემა შესძლებოდა თოფს. მერე გამომიტყდა, თურმე ემუდარებოდა, ნუ მომკლავო.

ცოტათი რომ დამშვიდდა, ვუბრძანე, მოკლული ფრინველიც მოეტანა. მაშინვე გაიქცა, მაგრამ შეაგვიანდა: თუთიყუში უცებ არ მომკვდარიყო და მოშორებით წაფართხალებულყო.

ბოლოს მაინც იპოვა და მოიტანა. იმ დღეს სხვა ველარაფერს წავაწყდით.

მივათრიე სახლში თიკანი, იმავე საღამოს გავატყავე, ავქენი, მერე რამდენიმე ნაჭერი ქოთანში ჩავყარე და მოვხარე. მშვენიერი წვნიანი გამომივიდა. ჯერ მე გავსინჯე, მერე კი ჩემს ველურს გავასინჯე, რომელსაც ძალიან მოეწონა. ის კი მეტისმეტად უცნაურად ეჩვენა, ხორცს რომ მარილით ვჭამდი. ცოტაოდენი მარილი მოციცქნა, მაგრამ მაშინვე გადმოაფურთხა და პირში წყალი გამოივლო. ახლა ჩემი ჯერი იყო: მეც უმარილო ხორცი მოვციცქენე. მაშინვე პურტყება და ფურთხება დავიწყე, ვანიშნე, გული ამერია-მეთქი. მაინც ვერაფერმა გაჭრა - მარილიანი კერძის ჭამას ვერა და ვერ შევაჩვიე. ყოველ შემთხვევაში, კარგახანს არ უჭამია მარილიანი საჭმელი და შემდეგაც ძალიან ცოტა მარილს ხმარობდა.

მოხარული ხორცი და წვნიანი რომ გავასინჯე, გადავწყვიტე, მეორე დღეს შემწვარი ხორცით გავმასპინძლებოდი. დავასვი ორი მარგილი, ზედ ჯოხი დავამაგრე და ხორცი ჩამოვკიდე. ქვეშ კი ცეცხლი შევუნთე. ნელ-ნელა ვაბრუნებდი თხის ხორცს და თანდათან შეიბრაწა. პარასკევა აღფრთოვანებული იყო ჩემი გამოგონებით. როცა შემწვარი ხორცი გასინჯა, აღარ იცოდა, როგორ გადმოეცა აღტაცება.

მეორე დღეს სამუშაო გავუჩინე პარასკევას: დავსვი და ხორბალი ვანაყვინე. მერე ფქვილის გაცრაც ვასწავლე. მან მალე აულო ალლო სამუშაოს, ხოლო, როცა გაიგო, რომ ამ ხორბლისგან მერე პურს გამოვაცხობდით, განსაკუთრებული გულმოდგინებით განაგრძო საქმე. ფქვილის მოზელაცა და გამოცხობაც ვაჩვენე. ცოტა ხანში ისე დახელოვნდა, აღარაფერში ჩამომივარდებოდა.

ახლა ერთის ნაცვლად ორი ადამიანი ვიყავით გამოსაკვები და საჭირო იყო საყანე მიწის გაფართოება, რათა წინანდელზე მეტი ჭირნახული მომეწია. ამოვირჩიე კიდევ ნაკვეთი და ძველებურადვე დავიწყე შემოღობვა. პარასკევა არა მართო გულმოდგინედ და ენერგიულად, არამედ ხალისიანადაც მეხმარებოდა. განვუმარტე, რად მჭირდებოდა ეს მიწა. მიმახვედრა, რასაც ფიქრობდა: რაკი ჩემ გამო საზრუნავი მოგემატა და მეტი უნდა იმუშაო, ოღონდ მითხარი, რა გავაკეთო, და მზადა ვარ, ყოველგვარი მძიმე საქმე შევასრულო.

კუნძულზე გატარებული მთელი დროიდან ეს იყო ყველაზე ბედნიერი წელიწადი. პარასკევამ კარგად ისწავლა ლაპარაკი და თითქმის ყველა საგნისა და ადგილის სახელწოდება. ძალიან უყვარდა ჩემთან საუბარი. ამრიგად, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კვლავ მომეცა საშუალება, თანდათან დამეწყო ჩემი ენის გამოყენება. მასთან საუბარი ხომ მახარებდა და მახარებდა, მაგრამ თვითონ ჭაბუკითაც ვიყავი კმაყოფილი და გახარებული. თანდათან შევიყვარე. დარწმუნებული ვარ, მასაც შევეყვარდი.

ერთხელ დავინტერესდი, გამეგო, ძალიან თუ ენატრებოდა სამშობლო. იმ დროისათვის უკვე ისე შევასწავლე ინგლისური, რომ თითქმის ყველა შეკითხვაზე შეეძლო ეპასუხა. ვკითხე, შენს ტომს ბრძოლაში როდესმე თუ გაუმარჯვინა-მეთქი. „მაშ, მაშ, ჩვენ ყოველთვის ბრძოლაში უკეთ ვიყავით“ - ბრძოლაში ყოველთვის ვიმარჯვებდითო, უნდოდა ეთქვა. ასე რომ, ჩვენ შორის შემდეგი საუბარი გაიმართა:

- ყოველთვის ვიმარჯვებდითო, ამბობ, - მივმართე მე, - მაშ როგორღა მოხდა, რომ ტყვედ ჩავარდი?

- ჩვენებმა მაინც ბევრი გაანადგურეს.

- გაანადგურეს? თუკი თქვენებმა გაანადგურეს, ტყვედ როგორღა ჩავარდი?

- საცა მე ვიბრძოდი, იმ ადგილას ისინი გვჭარბობდნენ. მათ შეიპყრეს ერთი, ორი, სამი და მეოთხე - მე. სხვა ადგილას, საცა მე არ ვიყავი, ჩვენებმა სულ მოსპეს ისინი, ხელში ჩაიგდეს ერთი, ორი... ათასობით.

- მერედა, რატომ არ გიშველეს, რად არ დაგიხსნეს?

- მტრებმა მაშინვე წაგვასხეს ერთი, ორი, სამი და მე. ჩაგვყარეს და

გამოგვაქანეს, ჩვენებს კი ნავეები არ ჰქონდათ.

- ახლა ესეც მითხარი, პარასკევა, თქვენები როგორ ექცევიან ტყვეებს? ასევე მიჰყავთ და სჭამენ?

- მაშ, ჩვენებიც ჭამენ ადამიანებს, ყველა ჭამს.

- სად მიჰყავთ ტყვეები?

- ყველგან, საცა მოესურვებათ.

- აქაც მოდიან ხოლმე?

- ჰო, მაშა, აქაც მოჰყავთ. სხვა ადგილებშიაც.

- შენ თვითონ ყოფილხარ აქა?

- ვყოფილვარ, აი იქით (თითით მაჩვენა კუნძულის ჩრდილო-დასავლეთი მხარე. ეტყობა, მისი ტომი იქ იხდიდა ხოლმე ლხინს).

ამრიგად, მე გავიგე, რომ ჩემი მსახური პარასკევა ადრეც ყოფილა აქ სხვა ველურებთან ერთად, რომლებიც ხშირად მოდიოდნენ ხოლმე კუნძულის იქითა სანაპიროზე, და მასაც მიუღია მონაწილეობა კაციჭამიების საშინელ ღრეობაში. ახლა კი ასეთ ლხინში იგი თვითონვე იყო მსხვერპლად მოყვანილი. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ცოტათი უფრო გავიმაგრე გული და დავშოშმინდი, პარასკევა იქითა ნაპირზე წავიყვანე. მაშინვე იცნო ის არემარე და მითხრა, აქ ერთხელ ვიყავითო. მაშინ თურმე ოცი მამაკაცი, ორი ქალი და ერთი ბავშვი შეეჭამეს. ინგლისურად ვერა თქვა „ოცი“ - კენტები შეაგროვა, ერთ მწკრივში დააწყო და მთხოვა დამეთვალა.

*

ჩვენი საუბარი განგებ გადმოგეცით. იგი ერთგვარი შესავალია იმისა, რასაც ახლა მოგიხსნობთ. ამ გამოლაპარაკების შემდეგ პარასკევას ვკითხე, რამსიშორეს იყო ჩვენი კუნძულიდან იმათი ხმელეთი და ხშირად თუ იღუპებოდნენ ნავეები ზღვაში. არაო, მიპასუხა, არც ერთი ნავი არ დაღუპულა. გაცურავ თუ არა კუნძულიდან ცოტას, დინება იწყება, ქარიც დილაობით მუდამ ერთი მხრივ უბერავს, ნაშუადღევს კი - მეორე მიმართულებით.

დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით გაწოლილი მიწა, რომელიც მე მატერიკი მეგონა, თურმე დიდი კუნძული ტრინიდადი ყოფილა, რომელიც მდინარის შესართავის ჩრდილოეთით მდებარეობს.

ათასობით კითხვა დავაყარე პარასკევას იმ ქვეყნის, მისი მცხოვრებლების, ზღვისა და ხმელეთის შესახებ. მანაც, რაც კი იცოდა, ყველაფერი მიაძმო. ვკითხე აგრეთვე, რა ტომები ცხოვრობდნენ იქვე ახლომახლო და რას ეძახდნენ იმ ტომებს, რომელთაგან ერთ-ერთს თვითონვე ეკუთვნოდა. მან მხოლოდ ერთი სახელი მითხრა - კარები. სხვა სახელი არა აქვთო. ადვილად მივხვდი, რომ ესენი იყვნენ ყარაიბები, რომელთა სამკვიდრო ჩვენს რუკებზე აღნიშნულია ამერიკის იმ ნაწილზე, რომელიც ორინოკოს შესართავიდან გვინეამდეა გადაჭიმული და უფრო იქითაც მიდის. მანვე მითხრა, რომ მთვარის გადაღმა - ესე იგი იმ ადგილს იქით, სადაც მთვარე ჩადის, ანუ დასავლეთით, - შენებრ თეთრი, წვერიანი ადამიანები ცხოვრობენ, რომელთაც ბევრი ხალხი გაჟლიტესო. მაშინვე მივხვდი, რომ ესპანელებს გულისხმობდა, რომელთა სისასტიკისა და უღმობლობის ამბავი საქვეყნოდ ცნობილი გახდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მერე ვკითხე, როგორ შეიძლებოდა ჩემი კუნძულიდან იმ თეთრ ადამიანებამდე მიღწევა, და იცოდა თუ არა მან ეს გზა.

- დიახ, დიახ, - მიპასუხა მან, - შეიძლება ორი ნავით.

ჯერ ვერ გავიგე, რას ამბობდა, ვერასგზით ვერ მიმახვედრა. ბოლოს, ბევრი თავისმტვრევის შემდეგ, როგორც იქნა, მივხვდი, რასაც გულისხმობდა - დიდ, ორი ნავისოდენა ნავს.

ამ საუბრის შემდეგ იმედი მომეცა, რომ ადრე თუ გვიან ჩემი საბრალო ველურის შემწეობით კუნძულიდან გაქცევას მოვახერხებდი.

*

ამ ხნის განმავლობაში, როცა პარასკევას ჩემი ენა შევასწავლე და, რასაც ვიტყოდი, უკვე ყველაფერი ესმოდა, დრო უქმად არ დამიკარგავს, რათა მის სულში ღვთის რწმენა ჩამენერგა. ერთ დღეს ვკითხე:

- ვინ შეგქმნა შენ?

პირველად ვერ მიმიხვდა საბრალო არსება, ეგონა, მამამისის ვი-

ნაობას ვეკითხებოდი. მერე შორიდან მოვუარე და ვკითხე:

- ვინ გააჩინა ზღვა, ეს მიწა, მთები და ტყეები?

მიპასუხა, ეს ყველაფერი მოხუცმა ბენამუკიმ შექმნა, რომელიც შორს, სულ მაღლა ცხოვრობსო. სხვა არაფერი მითხრა ამ დიდ ბერიკაცზე, გარდა იმისა, რომ იგი ყველაზე და ყველაფერზე მოხუცია.

- თუკი იმ მოხუცმა შექმნა ყველაფერი, ეს როგორღა მოხდა, რომ ყველანი მას არა სცემენ თავყანს?

ძალიან სერიოზულად შემომხედა და გულუბრყვილოდ მიპასუხა:

- ყველა ასე მიმართავს მას: „ო!“

მერე ვკითხე, თქვენში, სიკვდილის შემდეგ ადამიანები სადმე თუ მიდიან-მეთქი. მიპასუხა:

- დიახ, მიდიან, ბანამუკისთან მიდის ყველა.

- ისინიც მასთან მიდიან, ვისაც თქვენა სჭამთ? - ვკითხე მე.

- დიახ, - მიპასუხა მან.

იმ დღიდან მე მას დავუწყე ჭეშმარიტი სარწმუნოების ჩანერგვა. გულისყურით მისმენდა. დიდი აღფრთოვანებით მოისმინა იესო ქრისტეს ამბავი. ვასწავლე, როგორ უნდა ელოცა.

ერთ დღეს პარასკევამ გამომიციხადა: თუკი თქვენი ღმერთი მზებზე უფრო მაღლაა და მაინც ესმის თქვენი, მართლაც რომ ბევრად დიდი ყოფილა, ვიდრე ბენამუკი, რომელიც არცთუ ისე შორსაა, მაგრამ მაინც არაფერი ესმის ჩვენი, თუ არ ავედით დიდ მთაზე, სადაც თვითონვე ცხოვრობსო.

მე ვკითხე:

- ოდესმე ყოფილხარ და გილაპარაკნია მასთან?

- არა, - მიპასუხა პარასკევამ, - ახალგაზრდები იქ არ დადიან, მასთან მისვლა მხოლოდ მოხუცებს შეუძლიათ, რომელთაც ჩვენ უოკეკის ვეძახით.

როგორც გავიგე, ასე უწოდებენ ისინი თავიანთ სასულიერო პი-

რებს, ანუ ქურუმებს. ისინი დადიან დიდ მთაზე და ამბობენ: „ო!“ (ეს არის იმათებური ლოცვა). იქიდან დაბრუნებულნი თავიანთ ხალხს უამბობენ ბენამუკის ნათქვამს.

დავასკვნინი, რომ სასულიერო პირთა გაიძვერობა ყველაზე უვიც წარმართთა შორისაც არის.

ყოველნაირად შევეცადე, რათა პარასკევას თავიდან გამეფანტა ეს აბდაუბდა. ამას მოვაცოლე ძალიან გრძელი საუბარი ეშმაკის შესახებ. პარასკევა გულისყურით მისმენდა, მაგრამ ერთხელ ისეთი შეკითხვა მომცა, რომ სახტად დავრჩი და აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა:

- თქვენ ამბობთ, ღმერთი ძლიერი და დიდიაო; ეშმაკზეც დიდია? ეშმაკზე მეტი ძალა აქვს?

დავეთანხმე.

- ჰო, მაგრამ, - განაგრძო პარასკევამ, - თუკი ღმერთი გაცილებით ძლიერი და მაგარია, რად არ მოკლავს ეშმაკს? რატომ ითმენს მის ამდენ ბოროტებას?

ისე დამაბნია ამ კითხვამ, ველარაფრის თქმა ვერ მოვახერხე. უკვე მოხუცი ვიყავი, მაგრამ ამ საქმეში ცოდნა ისევ ახალგაზრდისა მქონდა. რაკი ვერაფერი ვუპასუხე, ისევ წაყრუება ვამჯობინე, თითქოს არაფერი გამეგონოს. მაგრამ პარასკევა დაჟინებით მოითხოვდა პასუხს. ამასობაში მეც მოვიგონე რაღაც და ვუპასუხე:

- ერთხელაც იქნება, ღმერთი მწარედ დასჯის მას. დადგება მისი განკითხვის დღეც, უფსკრულში ჩააგდებენ და უშრეტელ ცეცხლში ამყოფებენ.

ჩემმა პასუხმა არ დააკმაყოფილა პარასკევა.

- ერთხელაც იქნება! - გაიმეორა ჩემი სიტყვები, - არაფერი გამეგება, ახლავე რად არ კლავს? ან აქამდე რატომ არ მოკლავ?

*

ასე გავიდა სამი წელი. პარასკევასთან საუბარი ისეთი სასიამოვნო და ტკბილი იყო, რომ სრულ ბედნიერებას განვიცდიდი. ველური თან-

დათან ნამდვილ ქრისტიანად იქცა. ერთად ვკითხულობდით საღვთო წერილებს და ისევე ახლოს ვიდებოთ ღმერთთან, თითქოს ინგლისში ვყოფილიყავით.

რაც შეეხება ბიბლიის ცალკეულ სადავო და ძნელად ამოსახსნელ ადგილებს, ჩვენ მათ ისე ვტოვებდით. არ ვსჯიდით, თუ რომელი ეკლესია სჯობს, ჩვენთვის ეს სრულად ზედმეტი და უსარგებლო იყო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც არავისთვის არის საჭირო.

როცა უკეთ გავიცანით ერთმანეთი, როცა უკვე ყველაფერი ესმოდა, ვუამბე მთელი ჩემი თავგადასავალი, ყოველ შემთხვევაში, იმ დროიდან, რაც კუნძულზე გამოვირიყე: რა გადამხდა თავს, როგორ ვცხოვრობდი და რამდენი ხანია, აქ ვარ. გავუმჟღავნე მთელი საიდუმლო (მისთვის მართლაც რომ ასე იყო) დენტისა და ტყვიისა. სროლაც ვასწავლე, ვაჩუქე დანა და ამით ძალიანაც გავახარე. გამოვუჭერი აშურმა, ოღონდ ხმლის ნაცვლად ნაჯახი დავკიდე, რომელიც არა მართო საბრძოლველად, არამედ სამუშაოდაც გამოადგებოდა.

ვუამბე ევროპის ქვეყნების ამბები. უფრო დაწვრილებით კი ინგლისი ავუწერე. ვუთხარი, რომ ის ჩემი სამშობლო იყო, ავუხსენი ჩვენი ცხოვრებს წესი და რიგი. დაწვრილებით ვუამბე, როგორ დაიმსხვრა ჩვენი გემი, ვაჩვენე კიდევ ის ადგილი და გემის ჩონჩხი.

გამორიყული ნავის ნამსხვრევებიც ვაჩვენე, რომლითაც გემიდან გამოვცურე და რომელსაც ნაპირზე გამორიყვის შემდეგ ძვრაც კი ვერ ვუყავი, თუმცა ახლა ნაკუწ-ნაკუწად იყო დაფშენილი. ნავის დანახვაზე პარასკევა ერთხანს შეჩერდა და დაფიქრდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვკითხე, რას ჩაუფიქრდი-მეთქი. ბოლოს მიპასუხა:

- მე ნახა ასეთი ნავი, მსგავსი მივიდა ჩვენთან, - პარასკევამ საკმაოდ დაწვრილებით ამიწერა ნავი, მერე კი მგზნებარედ დაუმატა: - თეთრი ხალხი დაღრჩობა გადაგარჩინე.

მცისვე ვკითხე, როგორ, ნავში თეთრკანიანები იყვნენ-მეთქი?

- დიახ, ნავი სავსე იყო თეთრი ადამიანებით, - და პარასკევამ თითებით მანიშნა, რომ ჩვიდმეტი იყვნენ.

- მერე რა მოუვიდათ? - განვაგრძობდი გამოკითხვას.

- ახლაც ცხოვრობენ ჩვენთან, - მიპასუხა მან.

მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს ადამიანები ალბათ იმ გემიდან იყვნენ. პარასკევა მარწმუნებდა, ცოცხლები არიან, ველურებმა თავისუფლად გაუშვეს და საკვებიც კი მისცესო.

- ეს როგორღა მოხდა, რომ არ მოკალით და არ შეჭამეთ? - ვკითხე მე.

- რად უნდა მოგვეკლა, - მიპასუხა პარასკევამ, - ჩვენ ისინი დავიძ-
მობილეთ. ჩვენები მხოლოდ როცა ომი, მაშინ შეგჭამენ, - ანუ ველუ-
რები მხოლოდ ომში დატყვევებულებს ჭამენო.

გავიდა ხანი. ერთხელ კუნძულის დასავლეთ მხარეს ვიყავით, იმ
გორაკზე, საიდანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, მოწმენდილ ამინდში
დავინახე დიდი ხმელეთი, ამერიკის სანაპიროები. ახლაც მზიანი ამინ-
დი იდგა და პარასკევა მთელი გატაცებით დააშტერდა იმ ხმელეთს. მე-
რე შეხტა და გახარებულმა ხტუნვა დაიწყო.

- რა სიხარული, რა ბედნიერება! - გაიძახოდა იგი, - ხედავ, ჩემი მი-
წა მოჩანს, იქ არის ჩემი ხალხი!

თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, უცნაურმა გზნებამ მოიცვა მთელი
მისი არსება, თითქოს ეს არის, სამშობლოში გამგზავრებას აპირებსო.

ამ დაკვირვებამ საგონებელში ჩამაგდო. ეჭვიც აღარ მეპარებოდა,
თუკი თავისიანებთან დაბრუნებას მოახერხებდა, არათუ მარტო ახალ
სარწმუნოებას დაივიწყებდა, არამედ მეც აღარ დამინდობდა: თავის
მოდმეებს ჩემს სამყოფელს მოასწავლიდა, თან წამოიყვანდა ას, ორას
ველურს, მომკლავდნენ და შემჭამდნენ.

ეს იყო საშინელი ცილისწამება ჩემი საბრალო, პატიოსანი მსახუ-
რის მიმართ და შემდეგ ვნანობდი, რომ ასეთი ფიქრი გავივლე გულში.
მანამდე კი ჩემი ეჭვი დღითი დღე ძლიერდებოდა და რამდენიმე კვი-
რის განმავლობაში ისე შინაურულად და ალერსიანად აღარ ვეპყრო-
ბოდი ჩემს ველურს. მაგრამ პატიოსან, ერთგულ არსებას აზრადაც არ
მოსვლია ასეთი რამ. ამაში რამდენიმე ხნის შემდეგ დავრწმუნდი და
ძალიანაც გავიხარე.

სანამ ამ ეჭვით ვიყავი შეპყრობილი, ყოველდღე ვცდილობდი, რო-
გორმე გამომეტეხა პარასკევა და მის ფიქრებს ჩაწვდომოდი, მაგრამ
ყოველი მისი სიტყვა ისეთი მიამიტური იყო, რომ საბოლოოდ კვლავ
მოინადირა ჩემი გული, ისე რომ, სულაც არ შეუმჩნევია ჩემი შემფო-

თება.

ერთ დღეს კვლავ იმ გორაკზე მოვხვდით. ოღონდ ზღვაზე ნისლი იწვა და ხმელეთი არ ჩანდა.

- პარასკევა, არ გინდა ახლა შენს სამშობლოში იყო, შენიანებთან?
- ვკითხე მე.

- ო, როგორ გავიხარებდი, ჩემიანებთან რომ დამსვა!

- მერე რას გააკეთებდი იქ? ისევ ველური გახდებოდი? ისევ დაიწყებდი კაცის ჭამას?

წყენით შემომხედა, თავი გააქნია და თქვა:

- არა, არა! პარასკევა იმათ ასწავლის, რომ კარგად იცხოვრონ, ღმერთი იწამონ, პურიით, საქონლის ხორციითა და რძით იკვებონ, ადამიანის ხორცი აღარ ჭამონ.

- აჰ, ხომ მოგკლეს! - შევესიტყვე მე.

პარასკევა დაფიქრდა და დინჯად თქვა:

- არ მომკლავენ. ისინი სიამოვნებით ისწავლონ კეთილი საქმე... მათ ბევრი რამ ისწავლეს იმ ნავით მოსულ წვეროსანი ხალხისგან.

მერე ვკითხე, მაშ ისევ დაბრუნდები-მეთქი? თუ გამომყვებით, წავალ, - მიპასუხა მან.

- მე გამოგყვე?! ხომ შემჭამეს!

- აჰ, არა! არ დავანებებ თქვენს შეჭმას. მე შევაყვარებ მათ თქვენს თავს.

თავისი ჩიქორთული ინგლისურით მომითხრო, თუ როგორ კარგად მოექცნენ ისინი ჩვიდმეტ თეთრკანიანს.

იმ დღიდან ავიკვიატე, როგორმე მიმეცურა იმ წვეროსან ხალხთან, რომლებიც, ჩემი ღრმა რწმენით, ესპანელები ან პორტუგალიელები უნდა ყოფილიყვნენ. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ თუ მათთან მისვლას მოვახერხებდი, საერთო ძალით უთუოდ დავაღწევდით თავს აქაურობას. დიდი ხმელეთიდან ეს გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდ-

რე ჩემი განმარტოებული კუნძულიდან.

ასე რომ, რამდენიმე დღის შემდეგ ვუთხარი პარასკევას, ნავს მოგცემ და სამშობლოში დაბრუნდი-მეთქი. წავიყვანე კუნძულის მეორე მხარეს, სადაც ნავი მქონდა ყურეში ჩამალული. ნავიდან წყალი ამოვხაპეთ და ორივენი ჩავსხედით.

პარასკევა ძალიან ყოჩალი მენიჩბე აღმოჩნდა: თითქმის ჩემსავით სწრაფად და მარჯვედ მართავდა ნავს.

მეორე დღეს ჩემი პირველად გამოთლილი ნავი ვაჩვენე, რომლის ზღვაში შეცურება ადრე მარტოვამ ვერ მოვახერხე. პარასკევას მოეწონა - ნავს შესაფერი სიდიდე ჰქონდა. მაგრამ მთელი ოცდაორი-ოცდასამი წლის განმავლობაში მზისა და წვიმისაგან სულ დახეთქილიყო და დამპალიყო. პარასკევამ მითხრა, ასეთი ნავი თავისუფლად გვეყოფა, - შიგ საკმარის საჭმელ-სასმელსაც მოვათავსებთო.

ერთი სიტყვით, პარასკევასთან ერთად ხმელეთისკენ გამგზავრება ისე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ვუთხარი კიდევ. პარასკევამ არაფერი მიპასუხა, ოღონდ დაღონდა და მოიღრუბლა.

- რა მოგივიდა? - ვკითხე მე.

- ნეტა რად უჯავრდება პარასკევას ბატონი?! ისეთი რა ჩავიდინე?

- მე სულაც არ გიჯავრდება. ვერ გავიგე, რას ამბობ!

- არ მიჯავრდებით! არ მიჯავრდებით. - რამდენჯერმე გაიმეორა პარასკევამ, - მაშ რატომ მგზავნით შინ?

- შენ თვითონ არ მეუბნებოდი, შინ წასვლა მენატრებაო?!

- შინ წასვლა მინდა. მაგრამ თქვენთან ერთად. ბატონი თუ არ წამოვა, არც პარასკევა წავა.

- მეც წამოვიდე, პარასკევა?! მერედა, რა უნდა გავაკეთო?

იგი მკვირცხლად მომიბრუნდა.

- ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ: ველურებს ასწავლით კარგები გახდნენ. ეტყვით, რომ ღმერთი ირწმუნონ, ილოცონ და ახალი ცხოვრება დაიწყონ.

- ეჰ, ჩემო პარასკევა, - ვუპასუხე მე, - შენ თვითონვე არ იცი, რას ამბობ; ვის რა უნდა ვასწავლო, როცა თვითონვე უვიცი ვარ.

- ჰო, ჰო, - წამოიძახა მან, - მე ხომ მასწავლე კეთილი, ახლა იმათაც ასწავლე.

- არა, პარასკევა, უჩემოდ უნდა წახვიდე, მე კი აქ დამტოვე, ძველებურადვე მართოდმართო.

პარასკევა გაიქცა, ნაჯახს დაავლო ხელი და საჩქაროდ მომირბენინა:

- აიღეთ და პარასკევა მოჰკალით!

- რატომ? - გამიკვირდა მე.

მან სწრაფად მიპასუხა:

- მაშ თავიდან რად იშორებთ? აქვე მოჰკალით, ნუ მოიშორებთ.

მის თვალეში ცრემლიც კი შევნიშნე. ერთი სიტყვით, ჩემთვის ამკარა გახდა პარასკევას უსაზღვრო ერთგულება. მაშინვე ვუთხარი და შემდეგაც ბევრჯერ გავუმეორე: რაკი ასე გულით გწადია ჩემთან დარჩენა, არასოდეს მოგიშორებ-მეთქი.

კუნძულიდან წასვლის დაუცხრომელი სურვილი პარასკევასთან საუბარმა კიდევ უფრო გამიცხოველა. დრო აღარ დამიკარგავს, მაშინვე შევეუდექი შორ მანძილზე სამოგზაურო ნავისათვის გამოსადეგი დიდი და გამძლე ხის ჩეხვას. კუნძულზე ისეთი ტყე იყო, რომ პატარა კარჭასა და ნავს კი არა, მთელ ფლოტს ეყოფოდა; მაგრამ ჩემი მთავარი საბრუნავი იყო, ნაპირთან ახლოს შემერჩია ხე, რათა თავიდან ამეშორებინა პირველი შეცდომა და ნავის ზღვაში შეცურება არ გამძნელებოდა.

ბევრი ძეხნის შემდეგ პარასკევამ ამოარჩია ერთი ხე - ამ საქმეში მას მეტი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა. პარასკევა იმის მომხრე იყო, რომ ხე ამოგვეწვა, მე კი ამოჭრას ვარჩევდი, ვაჩვენე კიდევ საჭირო ხელსაწყოები იგი დარწმუნდა ამოჭრის უპირატესობაში და ისე დახელოვნდა იარაღების ხმარებაში, რომ ერთი თვის მაგარი მუშაობის შემდეგ ნავი უკვე მზად იყო. მთელი ორი კვირა მოვუნდით მის ზღვაში შეცურებას. საგორავ მორებზე შევაცენეთ და თითო გოჯობით ვანაცვლებდით ნაპირისაკენ. ბოლოს შევაცურეთ ზღვაში. ოც კაცს თავისუფლად დაიტევდა ეს ნავი.

სანამ გზას გავუდგებოდით, მე კიდევ ერთი რამ უნდა მომეგვარებინა, რის შესახებ პარასკევამ არაფერი იცოდა: უნდა მომემზადებინა ანძა, იალქანი, ღუბა და ბაგირი.

ანძის გამოჭრა ადვილი საქმე იყო. იქვე მახლობლად შევარჩიე აშოლტილი კედარი, პარასკევას მოვაჭრევი და ვასწავლე, თუ როგორ გამოეთვალა. იალქანი მე თვითონ უნდა მომემზადებინა. მქონდა ძველი იალქნები, უფრო სწორად, იალქნის ნაფლეთები, მაგრამ არ მიფიქრია, როდისმე თუ გამომადგებოდა, და მთელი ოცდაექვსი წელიწადი ისე უპატრონოდ ეყარა, ერთხელაც არ მინახავს. მეტი წილი დამპალიყო, თუმცა მოვახერხე ორი ნაჭრის შერჩევა და შევუდექი გამოკერვას. ბევრი წვალემა დამჭირდა, რადგან ნემსი არ მქონდა. ბოლოს და ბოლოს, შევაკოწიწე სამკუთხა იალქანი, როგორსაც ზოგჯერ ინგლისში ხმარობენ ხოლმე.

თითქმის მთელი ორი თვე მოვუნდი ამ საქმეს - ანძა-იალქნების გამართვასა და ნავის მოკაზმვას. საგულდაგულოდ ვმუშაობდი და კარგადაც გავაკეთე. ზემოჩამოთვლილი იალქნების გარდა, ნავის წინა მხარეს ავმართე აგრეთვე პატარა იალქანი, რომელიც გამიადვილებდა ნავის მიბრუნებას ქარის მიმართულების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ კიჩოსთან საჭე მოვაწყვე, რომელიც დიდად დაგვეხმარებოდა ნავის მართვაში. რა თქმა უნდა, ძალიან უბადრუკი დურგალი ვიყავი, მაგრამ კარგად ვიცოდი, რა მნიშვნელოვანი, თითქმის აუცილებელიც იყო საჭე ჩვენთვის, ამიტომ ძალ-ღონე არ დავიშურე და დიდი ვაი-ვაგლახით მივაღწიე მიზანს.

ყველაფერს რომ მოვრჩი, პარასკევას დაუწყე ნავის მართვის სწავლება, რადგან მას საჭისა და იალქნების არაფერი გაეგებოდა, თუმცა ყოჩაღი მენიხბე იყო. პარასკევა გაშტერდა, როცა ნახა, როგორ ვმართავდი საჭით ნავს და როგორ ვატრიალებდი აქეთ-იქით იალქნებს იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით მსურდა ნავის წაყვანა. სულ ადვილად შევასწავლე ეგ საქმე და მალე დახელოვნებული მეზღვაური გახდა, ოღონდ კომპასს მაინც ვერაფერი გაუგო.

*

ჩემი ტყვეობის ოცდამეშვიდე წელიწადი დადგა. მოახლოვდა წვიმიანი დღეებიც, როდესაც მეტწილად სახლში ვიჯექი ხოლმე. საჭირო იყო ახალი ნავის, რაც შეიძლება, კარგად დაბინავება. შევაცურეთ იგი

იმ ყურეში, სადაც მე თავდაპირველად გემიდან წამოღებული ტვირთი გადმომქონდა ტივებით, ნაპირს მივაყენეთ და პარასკევას ვუბრძანე, პატარა აუზი გაეთხარა, რომელშიც თავისუფლად დაეტეოდა ნავი. წყლის მიქცევის შემდეგ, ჯებირი გავუკეთეთ და ამრიგად ნავი დაცული იყო. ზემოდანაც გადავხურეთ, რომ წვიმას არ დაეღპო.

მზიანი დარების დადგომასთან ერთად ყოველდღიურად ვემზადებოდი მგზავრობისათვის. ჩემი პირველი საბრუნავი იყო საკმარისი საგზლის მომარაგება.

ერთ დილას, სწორედ ამ საქმეებით გართულმა, პარასკევას ვუბრძანე ზღვის ნაპირას წასულიყო და კუ დაეჭირა. საერთოდ, კვირაში ერთხელ ვიჭერდით ხოლმე კუს ხორცისა და კვერცხებისათვის.

ჯერ წასულიც არ მეგონა, რომ პარასკევამ უკანვე მოირბინა, სასწრაფოდ გადმოველო გარეთა ღობეს და ისე შემლილივით მომვარდა, თითქოს მიწაზე ფეხი არც დაეკარებინოს. სიტყვის თქმა არც კი დამაცადა, ისე მომაცარა:

- ვაი, ბატონო! უბედურება! იქ, ო, იქ, ერთი, ორი, სამი ნავი! ერთი, ორი, სამი!

პარასკევას ლაპარაკის მიხედვით, ჯერ ექვსი ნავი მეგონა, მაგრამ სამი აღმოჩნდა.

- არაფერია, პარასკევა, - დავაიმედე ჩემი მსახური, - ნუ გეშინია!

როგორც შემეძლო, გული გავუმაგრე, მაგრამ საბრალო არსება დარწმუნებული იყო, რომ მის მოსაძებნად მოვიდნენ. ფიქრობდა, დამიჭერენ, ნაკუწ-ნაკუწად დამგლეჯენ და შემსანსლავენო. ისე აეტანა კანკალს, აღარ ვიცოდი, რა მექნა.

მერე გამოქვაბულიდან გამოვიტანე რომი და პარასკევას დავალევი. რომს ძალიან ვიზოგავდი და ჯერ კიდევ ბლომად მქონდა. შემდეგ საჩქაროდ გამოვიტანე ორი სანადირო თოფი და მსხვილი საფანტით დავტენე; გამოვიტანე ოთხი მუშკეტიც, რომლებიც ორ-ორი ხელნაკეთი დიდი ტყვიითა და ხუთ-ხუთი მომცრო ტყვიით დავტენე. აგრეთვე ორ-ორი ტყვიით გავტენე წყვილი დამბაჩაც; შემოვირტყი ჩემი დიდი ხმალი, ხოლო პარასკევას თავისი ნაჯახი მივეცი.

კარგად რომ შევიარაღდით, ჭოგრიტით ხელში გორაკზე ავედი, რათა გადამეხედა და მენახა, რა ხდებოდა. მაშინვე გავარჩიე ოცდაერთი

ველური, სამი ტყვე და სამი ნავი. აშკარა იყო, ისინი მოვიდნენ მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად; აქ უნდა მოეღხინათ ამ სამი ტყვე-აღამიანით. ეს იყო ბარბაროსული ლხინი, მაგრამ მათთვის სრულიად ბუნებრივი და ჩვეულებრივი.

შევნიშნე აგრეთვე, რომ დაბანაკებულიყვნენ არა იქ, სადაც სამი წლის წინ პარასკევა მოიყვანეს, არამედ ჩემს ყურესთან უფრო ახლოს. აქ ნაპირი შედარებით დაბალი იყო და დაბურული ტყეც ზღვის პირს ემიჯნებოდა. საშინლად აღმაშფოთა იმან, რომ ჩემს კარმიდამოსთან ასე ახლოს მოაყენეს ნავები. მაშინვე დაბლა დავეშვი გორაკიდან და პარასკევას მივმართე:

- მე გადავწყვიტე, მივუხტე და სულმთლად ამოვწყვიტო ისინი. შენც გამომყვები?

პარასკევა თანდათან მოერია შიშს - რომს ცოტათი გაემხნევებინა - და მხიარულად გაიმეორა:

- თუნდა მოვკვდები, თქვენ თუ მიბრძანებთ.

გაცეცხლებულმა, პარასკევას მივეცი ერთ დამბახა, რომელიც მან ქამარში გაირჭო, სამი თოფი კი მხარზე მოიგდო; ერთი დამბახა და დანარჩენი სამი თოფი მე წავიღე და ასე აღჭურვილებმა გავწიეთ. ჯიბეში ჩავიდე პატარა ბოთლით რომი, ხოლო დიდი ჩანთით დენთი და ტყვიები ჩემს მსახურს მოვკიდე ბურგზე. პარასკევას ვუბრძანე, ფეხდაფეხ მომყოლოდა და, სანამ არ ვეტყვოდი, არც გაესროლა, არც ხმა ამოეღო და არც გზიდან გადაეხვია.

გზაში კვლავ მომავალ ბრძოლაზე ვფიქრობდი და პირველი ფიცხელი გადაწყვეტილება თანდათან გამინელდა. იმათ სიმრავლეს კი არ დავუფრთხივარ, - მთლად დედიშობილანი და უიარაღონი იყვნენ და, თუნდაც მარტოვაც ვყოფილიყავი, მაინც ვაჭობებდი. ჩემი თავი ახლა სულ სხვა ფიქრებს მოეცვა: „რა მაიძულებს - რა შემთხვევა, რა მოვალეობა, მით უფრო, რა საჭიროება, რომ ხელები გავისვარო იმათი სისხლით, რომელთაც არავითარი ვნება ჩემთვის არ მოუყენებიათ. ბოლოს და ბოლოს, ეს ბარბაროსული ჩვეულება ხომ მათივე უბედურებაა, მამა-პაპითვე გადმოცემული. მე ვინა ვარ, რომ ვიყო იმათი მსაჯული და მით უმეტეს - ჯალათი! ღმერთი, როცა საჭიროდ დაინახავს, თვითონვე დასჯის. ყოველ შემთხვევაში, რა ჩემ საქმეა! პარასკევასგან კი სამართლიანია მათი დასჯა, რადგან იგი აშკარა და მოსისხლე მტერია იმ ველურებისა, რომლებიც მისი ტომის ხალხს ეომები-

ან“.

მთელი გზა ისე გავიარე, სხვა რამეზე არც მიფიქრია. ბოლოს, გადაწყვიტე, შევსულიყავი ტყეში, მივახლოებოდი და მათი ბარბაროსული ლხინისთვის მეცქირა. მერე კი ისე მოვქცეულიყავი, როგორც ღმერთი ჩამაგონებდა.

ამ გადაწყვეტილებით შევდგი ფეხი ტყეში და რაც შეიძლებოდა ფრთხილად და ჩუმად განვაგრძე გზა. პარასკევა ფეხდაფეხ მომდევდა. ტყის პირს რომ მივუახლოვდით, შევდექი. ჩუმად მოვუხმე პარასკევას და ერთ დიდ ხეზე მივუთითე, რომელიც სულ განაპირას იდგა. ვუბრძანე, მისულიყო იმ ხესთან და ენახა, გარკვევით თუ მოჩანდნენ ველურები, და რას აკეთებდნენ.

პარასკევა წავიდა, მალევე მობრუნდა და მომახსენა, გარკვევით ჩანანო. თურმე ცეცხლს შემოსხდომოდნენ და ერთ-ერთ ტყვეს შეექცეოდნენ. მეორე ტყვე კი იქვე ეგდო, ქვიშაზე, და, პარასკევას სიტყვით, ახლა მისი ჯერი იყო, მას შეჭამდნენ. ამან ცეცხლი წამიკიდა. მერე პარასკევამ დაუმატა: მეორე ტყვე ჩვენებური კი არ არის, ერთ-ერთი თეთრი კაცია იმ წვეროსანთაგან, რომლებიც ნავით მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაშიო. თავზარი დამეცა. მაშინვე მივვარდი დიდ ხესთან, ჭოგრიტი მოვიმარჯვე და გარკვევით დავინახე ზღვის პირას დაგდებული ლერწმის რტოებითა და ლელქაშით შებორკილი თეთრი ადამიანი. იგი ევროპელი იყო და ტანსაცმელი ემოსა.

გული ყელში მებჯინებოდა. ბუჩქნარის მოფარებით ხესთან მივედი, სადაც ნიადაგი ცოტათი მაღლდებოდა და ველურები კიდევ უფრო გარკვევით ჩანდნენ.

წუთის დაკარგვაც აღარ შეიძლებოდა, რადგან ორი ველური უკვე გაგზავნეს საბრალლო ქრისტიანის მოსაკლავად და დასაჩეხად, დანარჩენები კი, ცხრამეტი კაცი, იქვე დაყრილიყვნენ ცეცხლთან და ხორცს ელოდნენ. გაგზავნილი ველურები ტყვესთან ჩაცუსქდნენ ბორკილის შესახსნელად. მე პარასკევას მივუბრუნდი:

- აბა, პარასკევა, როგორც გიბრძანო, ისე მოიქეცი. მიყურე და, რასაც მე გავაკეთებ, შენც ის გაიმეორე, - მუშკეტი და სანადირო თოფი მიწაზე დავაწყვე. პარასკევაც ასე მოიქცა. მეორე მუშკეტი ხელში მოვიმარჯვე, ველურებს დავუმიბზნე და გავისროლე.

პარასკევამ ჩემზე მარჯვედ ისროლა: ერთი გასროლით ორი მოკლა

და სამი დაჭრა, მე კი მხოლოდ ერთი მოვკალი და სამი დავჭერი. თქვენ თვითონვე წარმოიდგენთ, რა საშინელ თავზარს დასცემდა ველურებს თოფის ხმა. ვინც ცოცხალი გადარჩა, მყისვე ფეხზე წამოხტა, მაგრამ დაბნეულობისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ, საით გაქცეულიყვნენ, რადგან ვერ მიმხვდარიყვნენ, საიდან მოდიოდა ეს გამანადგურებელი ძალა. პარასკევა თვალს არ მაშორებდა, რათა, ჩემი ბრძანების მიხედვით, ჩემთვის მოებოდა.

პირველი გასროლის შემდეგ საჩქაროდ დავაგდე მუშკეტი და სანადირო თოფს დავწვდი. პარასკევაც ასე მოიქცა.

სანადირო თოფები ხომ საფანტით იყო დატენილი, ამიტომ ახლა მხოლოდ ორი კაცი დაეცა, სამაგიეროდ, ბევრი დაიჭრა; მოჰყვნენ გიჟებივით ღრიალსა და ბლავილს. ჭრილობებიდან სისხლი თქრიალით სდიოდათ. მალე სამი მძიმედ დაჭრილი ველური კიდევ დავარდა. თუმცა ჯერ ისევ ცოცხლები იყვნენ.

სანადირო თოფი დავაგდე და გატენილი მუშკეტი ავიღე.

ფიცხლავ ტყიდან გამოვვარდი, პარასკევაც გმირულად მომდევდა ფეხდაფეხ. როცა შევატყვე, რომ დამინახეს, მთელი ძალ-ღონით შეეყვირე, პარასკევასაც ვუბრძანე ჩემთვის მოებოდა, და რაც შემეძლო, სწრაფად გავიქეცი. თუმცა, უნდა ითქვას, ჩქარა მაინც ვერ გავრბოდი, რადგან იარაღით ვიყავი დატვირთული.

პირველად საბრალო მსხვერპლს მივაშურე, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ქვიშაზე ეგდო, ველურების კოცონსა და ზღვას შორის. ორი ჯალათი-ველური, რომლებიც ის იყო თავიანთ საქმეს უნდა შესდგომოდნენ, დაფრთხნენ თოფის ხმაზე, მსხვერპლს თავი მიანებეს და თავქუდმოგლეჯილებმა ნავებისაკენ მოკურცხლეს. მათ მიჰყვა კიდევ სამი ველური. პარასკევას მოვხედე და ვუბრძანე, დასდევნებოდა და ესროლა. პარასკევა მაშინვე მიმიხვდა, ველურებს გამოეკიდა და რომ მიუახლოვდა, ესროლა კიდევ. უცებ მეგონა, ყველა დახოცა-მეთქი, რადგან დავინახე, როგორ ერთბაშად ჩაცვივდნენ ნავში, მაგრამ ორი მალევე წამოდგა. პარასკევამ მაინც მოახერხა ორი კაცი მოეკლა და მესამე დაეჭრა; დაჭრილიც ნავში ეგდო, თითქოს მკვდარი ყოფილიყოს.

ამასობაში დანა ამოვიღე და საბრალო მსხვერპლს ხელ-ფეხი გავუთავისუფლე, წამოვაყენე და პორტუგალიურად ვკითხე, ვინა ხარ-მეთქი. მან ლათინურად მიპასუხა, Christianus - ქრისტიანი ვარო. მაგრამ

ისე იყო მიკნავლებული, რომ არც ფეხზე

დგომა შეეძლო და არც ლაპარაკი. ჯიბიდან ბოთლი ამოვიღე და ვანიშნე მოსვი-მეთქი. მანაც მაშინვე მოსვა. მერე პურის ნაჭერი მივეცი. ისიც შეჭამა. ამის შემდეგ ვკითხე: „სადაური ხართ?“ მან მიპასუხა „Espagniole“ - ესპანელი ვარო. ცოტათი რომ მომჯობინდა, ყოველნაირად შეეცადა, ენიშნებინა ჩემთვის, თუ რა მადლობელი იყო გათავისუფლებისათვის. თავს ძალა დავატანე, გავიხსენე, რაც კი ვიცოდი ესპანური სიტყვები და მივმართე:

- სინიორ, ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ, ახლა კი ბრძოლაა საჭირო. თუ კიდევ შეგრჩათ ძალა, აიღეთ ეს დამბაჩა და ხმალი, მუსრი გავავლოთ

მან მადლიერების გრძნობით ჩამომართვა იარაღები და, თითქოს ძალა შეემატაო, მყისვე ცოფიანივით ეკვეთა თავის მკვლელებს, ორი მათგანი მაშინვე აკუწა.

სიმართლე უნდა ითქვას, ისეთი მოულოდნელი ელდა იყო ეს ყველაფერი საბრალო ველურებისათვის, ისე დაფრთხნენ და აირივნენ ჩვენი თოფის ხმაზე, რომ გაქცევაც ვერ მოეხერხებინათ. ასეთივე ბედი ეწია იმ ხუთ ველურსაც, რომელთაც პარასკევა დაედევნა. სამი მათგანი ტყვიამ მოცელა, ორი - შიშმა.

თოფი ისევ ხელში მეჭირა და უკიდურესი საჭიროებისათვის ვზოგავდი, რადგან დამბაჩა და ხმალი ესპანელს გადავეცი. პარასკევას დავუძახე, ჩვენს საფარ ხესთან მიერბინა და უკვე დაცლილი თოფები მოეტანა. ეს ბრძანება მან ელვის სისწრაფით შეასრულა. ჩემი თოფი პარასკევას გადავეცი და მე დანარჩენი თოფების გადატენვას შევუდექი.

სანამ ამ საქმით ვიყავი დაკავებული, ესპანელსა და ერთ ველურს შორის ფიცხელი შეტაკება მოხდა. ველური თავისი დიდი ხმლით ეკვეთა ესპანელს - ამავე ხმლით უნდა აეკუწათ მათ ადრე, ჩვენ რომ არ მივშველებოდით. ესპანელი, როგორც მოსალოდნელი იყო, მარჯვედ და მამაცურად იბრძოდა და, საერთო სისუსტის მიუხედავად, კარგადაც

გაუმკლავდა ინდიელს - ორი მძიმე ჭრილობა მიაყენა თავში, მაგრამ ჩასკვნილმა და მარჯვე ინდიელმა საბოლოოდ მიიმწყვდია მოწინააღმდეგე, მივარდა და ხელში ეცა - ჩემი ხმლის წართმევა უნდოდა. ესპანელმა ჭკუა იხმარა და ხმალი დაუთმო; სამაგიეროდ, უცებ იძრო

ქამრიდან დაძვინჯა და ველურს დაახალა. მაშინვე გააფრთხობინა სული, აღარ დასჭირდა ჩემი მიშველება, თუმცა უკვე მისკენ მივრბოდი.

თავის ნებაზე მიშვებულ პარასკევას ნაჯახი მოემარჯვებინა და ველურებს მისდევდა. სამ დაჭრილს უკვე გააფრთხობინა სული და ახლა სხვებსაც დაერია.

ესპანელმა თოფი გამომართვა, ორ ველურს დაედევნა და ორივე დაჭრა, მაგრამ სირბილი აღარ შეეძლო და დაჭრილებმა ტყეს შეათარეს თავი. პარასკევამ ერთი მათგანი მოკლა. მეორე უფრო მარდი აღმოჩნდა: მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი იყო, ზღვაში შევიდა და ნავისკენ გაცურა, რომელშიაც სამი ველური ელოდა. ამრიგად, ოცდაერთი კაციდან გადარჩა მხოლოდ ოთხი - ნავში მყოფნი, რომელთაგან ერთი დაჭრილი იყო და არ ვიცოდი, რა ბედი ეწია - მოკვდა თუ ცოცხალი დარჩა. საერთო ანგარიში ასეთი იყო: 3 მოკვალით პირველივე გასროლით; 2 მოკვალით მეორე გასროლით; 2 პარასკევამ ნავში მოკლა; 2 პირველად დაჭრილი მანვე მოკლა; 1 აგრეთვე მან მოკლა ტყეში; 3 ესპანელმა მოკლა; 4 სხვადასხვა ადგილას ვიპოვეთ უკვე მკვდარი: ზოგი ჭრილობის შედეგად, ზოგიც პარასკევას მიერ მოკლული; 4-მა ნავში მოგვასწრო. ამათგან ერთი დაჭრილია, იქნებ მკვდარიც; სულ - 21.

*

ნავში მსხდომნი თავგამოდებით უსვამდნენ ნიჩბებს. პარასკევამ ორ-სამჯერ ესროლა მათ, მაგრამ მგონი ვერც ერთს ვერ მოახვედრა. მერე შემეხვეწა, მათივე ნავით გავედევნოთო. ველურების გაქცევა მეც დიდად მაშფოთებდა: ისინი თავისიანებს მოუთხოვრდნენ, რაც თავს გადახდათ, წამოვიდოდნენ ორასი-სამასი ნავით და ყველას შეგვსანსლავდნენ. ასე რომ, მეც დავთანხმდი ნავით დადევნებას, გავიქეცი, ჩავხტი ნავში და პარასკევას ვუბრძანე, მომყოლოდა.

მაგრამ, ჩავდგი თუ არა ნავში ფეხი, სახტად დავრჩი: შიგ ხელ-ფეხ-შეკრული საბრალლო არსება ეგდო. ისე მაგრად იყო გაკოჭილი, თავის წამოწევა არ შეეძლო, ამიტომ არ იცოდა მის ირგვლივ რა მოხდა და შიშისაგან მიმკვდარებული ეგდო. უკვე იმდენი ხნის შებორკილი იყო, რომ ძლივსლა ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

მაშინვე გავუხსენი ხელ-ფეხი და წამოვიყვანე. მაგრამ არც წამოდ-

გომა შეეძლო და არც ლაპარაკი. შესაბრალოსად კვნესოდა. ეგონა, უნდა მომკლან და ხელ-ფეხი იმიტომ გამიხსნესო.

ამასობაში პარასკევაც მოვიდა და ვუბრძანე, განემართა ამ კაცი-სათვის, რომ თავისუფალი იყო; ჯიბიდან რომი ამოვიღე, რათა მისთვის დამეღვევინებინა. რომმა და გათავისუფლების ამბის გაგებამ მართლაც მოასულიერა საბრალო არსება; იგი ნავში წამოჯდა. მაგრამ რა მოუვიდა პარასკევას, როცა მისი ხმა გაიგონა და სახეში ჩახედა! ეს სანახაობა კაცს გულს მოუკლავდა და ცრემლს მოჰგვრიდა. ჯერ მივარდა და ლოშნა დაუწყო, მერე გულში ჩაიკრა მაგრად, ტირილი მორთო, სიცილი აუვარდა, შესძახა, ხტუნვა დაიწყო. მერე იცეკვა, იმღერა, ისევ იტირა, თითების მტვრევას მოჰყვა, სახესა და თავში წაიშინა, ისევ ამღერდა და აცეკვდა. დიდხანს ვერ ამოვადებინე ხმა, ვერ ვათქმევინე, რა მოხდა. ბოლოს ცოტათი დაწყნარდა და მითხრა, ეს მამაჩემიაო!

გამიძნელდება გადმოგცეთ, როგორ იმოქმედა ჩემზე მამა-შვილურმა სიყვარულმა და იმ განცდის ხილვამ, რაც მამის გათავისუფლების სიხარულმა გამოიწვია. არც იმის ძალა შემწევს, მთელი იმ უცნაური ალტკინების ნახევარი გადმოგცეთ, რაც პარასკევამ გამოიჩინა. ვინ იცის, რამდენჯერ ჩახტა ნავში და ისევ უკანვე გადმოვიდა. ნავში რომ ჩადგამდა ფეხს, გვერდით მოუჯდებოდა, გულს გაიღებდა და მამას ჩაიკრავდა; მთელი ნახევარი საათი ასე ეალერსებოდა. მერე გაშეშებული ხელებისა და ფეხების ზელასა და სრესას უწყებდა. ეს რომ დავინახე, ცოტაოდენი რომი მივეცი და ვასწავლე იმით დაეზილა. მართლაც ძალიან უშველა.

ამ შემთხვევამ, რაღა თქმა უნდა, ხელი აგვადებინა ნავით გამოდევნების განზრახვაზე, ველურები უკვე თვალს მიჰფარებოდნენ. ესეც ჩვენდა იღბლად მოხდა! ორი საათის შემდეგ, როდესაც მათ გზის მეოთხედი მანძილიც არ ექნებოდათ გავლილი, ისეთი ძლიერი ჩრდილო-დასავლეთის ქარი ამოიჭრა, რომ წარმოუდგენელია მათი ნავი გადარჩენილიყო და ნაპირამდე მიეღწია. ქარი მთელი ღამე მძვინვარებდა.

მაგრამ ისევ პარასკევას დაუბრუნდეთ. იგი ისე გაერთო მამის ალერსით, რომ გულმა აღარ მომცა ხელი შეემშალა. როცა გადავწყვიტე, ახლა ცოტათი იჯერებდა-მეთქი გულს, ჩემთან მოვუხმე. მაშინვე გამოიქცა ხტუნვითა და სიცილით. მის ალტრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ვკითხე, მამაშენს პური თუ აჭამე-მეთქი. მან თავი გააქნია და მიპასუხა: „არა. საზიზღარმა ქოფაკმა თვითონვე შეხეთქა ყველა!“ ეს თავის თავზე თქვა. მაშინ ერთი ნაჭერი პური ამოვიღე პატარა ჩანთი-

დან, რომელიც თან მქონდა და მივეცი; თვითონ მას ცოტაოდენი რომი შევთავაზე, მაგრამ არ დალია - ისიც მამამისს წაუღო. გავატანე აგრეთვე ერთი მუჭა ქიშმიში, რომელიც ჯიბეში მეყარა.

ძლივს მოასწრო პარასკევამ ყურძნის გადაცემა, რომ მყისვე ნავიდან გადმოხტა და ვხედავ, მოჯადოებულივით უკანვე გამორბის თავქუდმოგლეჯილი. საერთოდ ასეთი ფეხმარდი მორბენალი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. ხეირიანად ვერც კი მოვასწარი თვალის შევლება, რომ უკვე მიიძალა. ეს მოხდა თვალის დახამხამებაში და რამდენი არ ვუძახე, ხმა ვერ დავაწიე. თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ პარასკევა ისევ გამოჩნდა, მაგრამ ახლა ისე სწრაფად აღარ ბრუნდებოდა, უფრო მძიმედ ადგამდა ფეხს. როცა მოახლოვდა, შევნიშნე რომ ხელში რაღაც ეჭირა.

თურმე შინ წასულიყო და დოქით სასმელი წყალი წამოეღო მამამისისთვის. მოიტანა აგრეთვე ორი პური. პურები მე გადმომცა, წყალი კი მამისკენ წაიღო. მაგრამ მოწყურებული ვიყავი და პირველად მე მოვსვი. წყალმა ყოველგვარ რომზე უფრო უშველა პარასკევას მამას, მოასულიერა.

ვუბრძანე, დოქი საბრალო ესპანელისათვის მიეტანა, რომელიც აგრეთვე წყურვილით სულს ღაფავდა. იგი ხის ჩრდილში იწვა, მდელივით, არაქათგამოლეული; ისე მაგრად შეებორკათ ისიც, რომ ხელფეხი საშინლად დასიებოდა და გაჰქვავებოდა. როცა პარასკევას მიტანილი წყლით გული იჯერა და პურის ლოლნას შეუდგა, მივედი და ერთი მუჭა ქიშმიში მივეცი. თავი ასწია და უსაზღვრო მადლიერების გრძობით შემომხედა. წამოდგომა მაინც ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ასე მამაცურად იბრძოდა. ორჯერ თუ სამჯერ სცადა წამომდგარიყო, მაგრამ ფეხები ისე დასიებოდა და ისე ტკიოდა, რომ ვერ მოახერხა. წყნარად იჯექი, ნუ გაინძრევი-მეთქი, ვუთხარი. პარასკევას კი ვუბრძანე, მისთვისაც ისევ დაეზილა რომით ფეხები, როგორც მამამისს დაუზილა.

საბრალო მოსიყვარულე არსება წამდაუწუმ უკან იხედებოდა და მამამისს შეჰყურებდა, ხომ ისევ იქა ზისო. უცებ მოიხედა და, რაკი მამაველარ დაინახა, მყისვე ხმაამოუღებლად წამოვარდა და ისე სწრაფად გაფრინდა, იფიქრებდი, მიწას ფეხს არც კი აკარებდსო. მამა მიწაზე გაშოტილი დაუხვდა, განაწამებ სხეულს ასვენებდა.

ესპანელს მივმართე, პარასკევა მოგეშველება და ნავამდე გაგყვება-მეთქი. ნავით კი სახლში მიიყვანდა და იქ მოვეუვლიდით. პარასკე-

ვამ სტაცა ხელი ესპანელს, ბეჭებზე მოიგდო და ნავისკენ გააქანა. ჯერ ნავის ძვიდებზე ჩამოსვა ფრთხილად, ხოლო შემდეგ აიყვანა და თავის მამას მოუსვა გვერდით. მერე ნაპირზე გადმოვიდა, ნავი წყალში შე-
აცურა, თვითონ შიგ ჩახტა და, ძლიერი ქარის მიუხედავად, ისე სწრა-
ფად გააქანა, რომ მე ნაპირზე ფეხით ვერ დავეწიე

ამრიგად, მან მიიყვანა ისინი ჩემს ყურეში, ნავში ჩატოვა და მეორე
ნავის გადმოსატანად გაიქცა. მე რომ ჩამიარა, ვკითხე,

სად მიდიხარ-მეთქი. „ის ნავიც უნდა წამოვიღო“, მიპასუხა მან და
ქარის უსწრაფესად გაფრინდა. ასეთი სწრაფი მორბენალი ჩემს დღეში
არც კაცი მინახავს და არც ცხენი. მე ჯერ არც კი ვიყავი ყურემდე მისუ-
ლი, რომ მეორე ნავიც მოაცურა: ერთი სიტყვით, ჩამიქროლა გვერ-
დით, მივიდა და სტუმრებს ნავიდან გადმოსვლა უშველა. მაგრამ ად-
გილიდან განძრევა არც ერთს შეეძლო და საბრალო პარასკევა საგო-
ნებელში ჩავარდა, აღარ იცოდა, რა ექნა.

ამ საქმეს ისევ მე ვუშველე. პარასკევას გადავძახე, მოხერხებულად
დაესვა ისინი მიწაზე, მე კი სახელდახელო ჯალამბარი გამოვჭერი.
დავსვით ჯალამბარზე დავრდომილები, დავავლეთ მე და პარასკევამ
ხელი და წავიყვანეთ. მაგრამ, გარეთა ზღუდეს რომ მივადექით, კიდევ
უფრო უარესს გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით: მათი გადაყ-
ვანა იმ სიმაღლე კედელზე არაფრით არ შეგვეძლო, ხოლო ღობის გა-
მომტვრევა არ მინდოდა. ახლაც თავსატეხი გამიჩნდა: მაშინვე მუშაო-
ბას შევუდექით მე და პარასკევა და ორი საათის შემდეგ გარეთა კე-
დელსა და ჭალას შორის მშვენიერი კარავი გავშალეთ ძველი იალქნე-
ბისაგან. ზემოდან კი მცენარეთა ტოტებით გადავხურეთ. კარავში ორი
საწოლი მოვაწყეთ. გავშალე ბრინჯის ნამჯა, ზედ თითო საბანი გადავა-
ფარე ზეწრის მაგივრად და თითო საბანიც ზევიდან გადასახურავად მი-
ვეცი.

ამრიგად, ჩემი კუნძული დასახლებული გახდა, უკვე მდიდარი ვიყა-
ვი ქვეშევრდომებით. ყოველთვის მხიარულად გამეცინებოდა ხოლმე,
როცა წარმოვიდგენდი, რომ მე ნამდვილ მეფესა ვგავდი. ასეთი ფიქრი
კი ხშირად მომდიოდა. ჯერ ერთი, რომ მთელი კუნძული ჩემი საკუთ-
რება იყო და, რაღა თქმა უნდა, სრული უფლება მქონდა ბატონობისა.
მეორეც, ხალხი ნამდვილი მონდა-მორჩილი იყო ჩემი, მე ვიყავი სრუ-
ლუფლებიანი ბატონი და კანონმდებელი. მათ სიცოცხლე მივანიჭე და
ახლა, თუ საჭირო იქნებოდა, მზად იყვნენ თავი გაეწირათ ჩემთვის.
ისიც საყურადღებოა, რომ ჩემი სამივე ქვეშევრდომი სულ სხვადასხვა
რწმენისა იყო: პარასკევა პროტესტანტი იყო, მამამისი - წარმართი და

კანიბალი, ესპანელი კი - პაპისტი. მთელ ჩემს სამფლობელოში სინდისის თავისუფლება გამოვაცხადე.

*

თავშესაფარი და საწოლი ხომ მივუჩინე ჩემ მიერ შევრდომილ ორ უძლურ ტყვეს, ახლა იმათ გამოკვებაზეც უნდა მეზრუნა. პარასკევას ვუბრძანე, ჩემი სათადარიგო არვედან ერთწლიანი თხა აერჩია - არც მთლად ჩვილი თიკანი და არც ბებერი ბოტი. დავკალით თხა, ჩამოვაჭერით ბარკლები და პატარა ნაჭრებად ავკუწეთ. შემდეგ პარასკევას დავავალე, მოეხარშა და შეეწვა ხორცი. გარწმუნებთ, საუცხოო კერძი გამოვიდა - ბრინჯითა და ქერით შეზავებული ჩვნიანი. სადილი ახალ კარავში მოვამზადეთ, რადგან სახლში ცეცხლს არ ვაჩაღებდით ხოლმე. იქვე ვისადილეთ. მეც დავეწვიე ჩემს სტუმრებს და ჭამის დროს ვცდილობდი, გამემხიარულებინა და გამემხნევებინა ისინი. პარასკევა თარჯიმნობას მიწევდა მამამისთან და ნაწილობრივ ესპანელთანაც, რადგან ესპანელი მშვენივრად ლაპარაკობდა ველურთა ენაზე.

ნასადილევს, ანუ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ნავახშმევს, პარასკევას ვუბრძანე, ნავით წასულიყო და ბრძოლის ველიდან ჩვენი თოფები წამოეღო, რადგან მანამდე ვერ მოვიცალეთ იარაღისათვის. მეორე დღეს კი დახოცილი ველურების დასამარხავად გავგზავნე. გვაძეები პირდაპირ მზებზე ეყარა და მალე გაიხრწნებოდა. დავავალე აგრეთვე, მიწაში ჩაეფლო მათი ბარბაროსული ქეიფის ნასუფრალი, რომელიც საკმაოდ ბევრი იყო და რომელთაც თვითონ ვერ ჩავფლავდი - გაფიქრებაც არ შემეძლო ამისი, ვერაფრით ავიტანდი ამ სურათის ნახვას. პარასკევამ ჩინებულად შეასრულა ჩემი დავალება და ველურების ნიშან-წყალიც კი გააქრო იქიდან.

ამასობაში საუბარი გავაბი ჩემს ორ ახალ ქვეშევრდომთან. უპირველეს ყოვლისა, პარასკევას დავავალე, გამოეკითხა მამამისისთვის, რას ფიქრობდა იგი იმ ველურების შესახებ, რომლებიც ნავით გაიქცნენ: დაბრუნდებოდნენ თუ არა ისინი ისეთი ლაშქრით, რომელსაც ჩვენ ვერ გავუმკლავდებოდით.

მისი აზრით, ის ოთხი ველური ვერ გადაურჩებოდა იმდამინდელ ქარიშხალს: ან დაიხრჩობოდნენ, რაც უფრო

მოსალოდნელი იყო, ან გაირიყებოდნენ სამხრეთის სანაპიროებზე,

სადაც მათ აშკარა სიკვდილი და შესანსვლა ელოდათ. მაგრამ მაინც თუ გადაურჩნენ ორივე საშიშროებას და შინ მშვიდობით დაბრუნდნენ, მერე რას გააკეთებდნენ - ამაზე იგი ვერაფერს ამბობდა. ყოველ შემთხვევაში, ცეცხლმა და საშინელმა ხმაურმა ძლიერ დააფრთხო გაქცეული ვეღურები. პარასკევას მამის ღრმა რწმენით, ისინი თავისიანებს გადასცემდნენ, რომ დანარჩენები ელვამ და მეხმა გაწყვიტა და არა ადამიანებმა. ხოლო ის ორი - მე და პარასკევა - რომლებიც იმათ შეებრძოლნენ, სინამდვილეში მათ მოსასპობად დაშვებული ციური ძალები იყვნენ და არა ადამიანები.

ამას იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რადგან ბრძოლის დროს თურმე ყური მოჰკრა, როგორ გადასძახეს ეს ერთმანეთს. შეუძლებელიც იყო, წარმოედგინათ ადამიანისაგან ცეცხლის ასე გაკვესება და ასეთი ხმის გაღება, ამასთან, შორ მანძილზე კაცის მოკვლა.

მოხუცი ვეღური არ შემცდარა. როგორც შემდეგ გადმომცეს, ვეღურები აღარასოდეს მისულან იმ კუნძულზე. ისინი ალბათ ისე დააფრთხო იმ ოთხმა კაცმა (ეტყობა, გაქცეული ვეღურები გადაურჩნენ ზღვის ღელვას), რომ ირწმუნეს: ვინც კი იმ მოჯადოებულ კუნძულზე მივიდოდა, ღმერთები ცეცხლით მოსპობდნენ.

მაგრამ მაშინ ეს არ ვიცოდი და კარგა ხანს ვიყავი დაფეთებული. მეცა და ჩემი ლაშქარიც მუდამ მზად ვიყავით ბრძოლისთვის. ახლა უკვე სამი კაცი მყავდა და, ასი ვეღურიც რომ გამოჩენილიყო, თამამად შემეძლო გამებედა მათთან ბრძოლა.

გამოხდა მცირე ხანი. ვეღურების ნაწევები არ ჩანდა და ამის გამო მათი თავდასხმის შიშიც თანდათან გამინელდა. ისევ ხმელეთისაკენ გამგზავრებაზე დავიწყე ფიქრი, მით უმეტეს, რომ პარასკევას მამა მარწმუნებდა: თუ წახვალ, იმ ქვეყნის მკვიდრთაგან კარგად მოპყრობის იმედი გქონდესო.

მაგრამ ესპანელთან ერთმა სერიოზულმა საუბარმა ცოტა ხნით ხელი ამაღებინა ჩემს გადაწყვეტილებაზე. თურმე გემის მარცხის შემდეგ ესპანელთან ერთად კიდევ თექვსმეტი მისი თანამემამულე და პორტუგალიელი მოხვედრილა იმ ხმელეთზე. ისინი მაშინვე ზავით შეეკრნენ ვეღურებს, მაგრამ აუტანელ გაჭირვებას განიცდიან და ლამის შიმშილით ამოწყდნენ. მე გულდასმით გამოვკითხე ყველა წვრილმანი. აღმოჩნდა, რომ ისინი ესპანური გემით რიო-დელა-პლატიდან ჰავანი-საკენ მიემგზავრებოდნენ: იქ უნდა დაეტოვებინათ ტვირთი, რომელიც უმთავრესად ტყავისა და ვერცხლისაგან შედგებოდა, ხოლო უკან წა-

მოელოთ ევროპული საქონელი, რასაც კი იქ შეხვდებოდნენ. გემზე თურმე სხვა გემის მარცხს გადარჩენილი ხუთი პორტუგალიელი მებღვაური ჰყავდათ შეხიზნული. დაიმსხვრა თუ არა მათი ხომალდი, ხუთი კაცი ერთბაშად დაიღუპა, დანარჩენებმა კი განუსაზღვრელი წვალეებით და ვაი-ვაგლახით თავი დააღწიეს განსაცდელს და შიმშილით გასავათებულნი კაციჭამიების ქვეყანაში გაირიყნენ, სადაც ისინი ყოველ წუთში ველურებისაგან დაგლეჯასა და შესანსვლას მოელოდნენ. იარაღი თან ჰქონდათ თურმე, მაგრამ უტყვიანობის გამო სრულიად გამოუსადეგარი იყო; ღელვის დროს ნავში თითქმის სულ დაუსველდათ დენტის მარაგი, ხოლო, რაც გადარჩა, იმდენად მცირე იყო, რომ პირველსავე დღეს დახარჯეს, როცა საკვების მოსაპოვებლად ნადირობდნენ.

მერე მე ვკითხე, რა მოელით მათ იქ, ან ერთხელ მაინც როგორ არ სცადეთ-მეთქი გაქცევა. ამაზე მიპასუხა: ბევრი ბჭობა გვქონდა, მაგრამ, რაკი არც გემი გაგვაჩნდა, არც იარაღი გემის გასაკეთებლად და არც არავითარი საჭმელ-სასმელი, ჩვენი თათბირები ყოველთვის ცრემლითა და სასოწარკვეთილებით მთავრებოდა!

მე ვკითხე, როგორ გგონია, ჩემს წინადადებას გაქცევის შესახებ როგორ მიიღებენ, ან მოხერხდება თუ არა აქედან თავის დაღწევა, ისინი რომ აქ გადმოვიდნენ-მეთქი. მერე გულახდილად გაუზიარე ჩემი შიში, რომ ყველაზე უფრო, როცა ჩემს სიცოცხლეს ამათ მივანდობდი, ღალატი და მათგან ცუდად მოპყრობა მაფიქრებდა.

ესპანელმა მთელი გულწრფელობით მიპასუხა: ისე სავალალოა ახლანდელი მათი მდგომარეობა და ისე განიცდიან ისინი ამას, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, თავიანთ მხსნელს არაფრით არ უმუხთლებენ, ასეთ რამეს გულშიც კი არ გაივლებენო.

მაგრამ, თუ თქვენ ინებებთ, მოხუცი ველურის თანხლებით მე მათთან წავალ, მოველაპარაკებ და პასუხს მოგიტანთო. აღმითქვა, რომ თავის ამხანაგებს საზეიმო ფიცს დაადებინებდა, რათა ისინი სრული მორჩილნი ყოფილიყვნენ ჩემი, როგორც მათი მეთაურისა და კაპიტნის. იგი ფიცს დაადებინებდა მათ წმინდა სახარებაზე, რომ ჩემი ერთგულნი იქნებოდნენ, სადაც მოვისურვებდი, იმ ქრისტიანულ ქვეყანაში წამყვებოდნენ და სხვაგან წასვლას არ მოინდომებდნენ, ხოლო, სანამ ჩემ მიერ არჩეულ ქვეყანაში მივიდოდით, უსიტყვოდ და უყოყმანოდ დაემორჩილებოდნენ ჩემს ყოველ ბრძანებას. მათ მიერ ხელმოწერილ ვალდებულების ქალაქს კი იგი მე მომიტანდა.

მერე მითხრა, პირველად მე შემოგფიცავთ, რომ მანამ ცოცხალი ვარ და მანამ თვითონვე არ გამავდებთ, ფეხსაც არ მოვიცვლი, ხოლო, თუ ჩემმა თანამემამულეებმა მაინც გიღალატეს, მე თქვენ ამოგიდგებით მხარში და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თქვენთვის ვიბრძოლებო.

ამ მტკიცე სიტყვების შემდეგ გადავწყვიტე, თუ მოვახერხებდი, მეშველა მათთვის, მანამდე კი მოსალაპარაკებლად მოხუცი ველური და ესპანელი გამეგზავნა. მაგრამ, როცა უკვე ყველაფერი მოვამზადეთ იმათ გასამგზავრებლად, ესპანელმა საწინააღმდეგო მოსაზრება წამოაყენა, რომლის მიხედვითაც ნახევარი წლით მაინც უნდა გადაგვედო მისი ამხანაგების დახსნის საქმე. ისეთი გონივრული იყო მისი მოსაზრება, თან ისეთი გულწრფელი, რომ არ შემეძლო მაშინვე არ დავთანხმებოდი. აი, რა მითხრა მან:

*

დაახლოებით ერთი თვე გავიდა, რაც ესპანელი შევიხიზნეთ, და ამ ხნის განმავლობაში მე უკვე გავაცანი მას, როგორ ვცხოვრობდი, განგების შეწევნით როგორ მოვეწყვე და თავს რა გზით ვიჩინე. ნახა ჩემი პურისა და ბრინჯის მარაგი, რომელიც საკუთრივ ჩემთვის მეტისმეტად ბევრი იყო, მაგრამ ოთხი კაცისაგან შემდგარ ჩემს ახალ ოჯახს არ ეყოფოდა. ყოველ შემთხვევაში, დიდი დაზოგვა და მომჭირნეობა იყო საჭირო, რომ თავი გაგვეტანა. ხოლო ერთბაშად რომ შემოგვემატებოდნენ მისი თანამემამულეები, რომელთა რიცხვი იმჟამად თოთხმეტ კაცამდე იყო დასული, რაღა თქმა უნდა, მით უფრო არ გვეყოფოდა ჩემი საჭმლის მარაგი. ამას გარდა, გემის აგებას თუ მოვახერხებდით, საჭირო იყო აგრეთვე საგზალიც, სანამ ამერიკის რომელიმე ქრისტიანულ ქვეყნამდე მივალწევდით. ესპანელის აზრით, უფრო გონივრული იქნებოდა, ნება მიმეცა მისთვის და ორი ველურისთვის, დაემუშავებინათ ყამირი მიწა და დაეთესათ იმდენი, რამდენ ხორბალსა და ბრინჯსაც გავიმეტებდი სათესლედ; დაგვეცადა მეორე მოსავლისათვის, საკვების მარაგი მოგვემზადებინა და მხოლოდ შემდეგ წამოგვეყვანა მისი თანამემამულეები, თორემ რაღა დახსნა გამოვა - ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. შიმშილმა და გაჭირვებამ იქნებ უთანხმოებაც ჩამოაგდოსო.

ისე მიზანშეწონილი და გონივრული იყო ეს რჩევა, რომ მისმა მოსაზრებამ დიდი სიამოვნება მაგრძნობინა, ხოლო მისმა ერთგულებამ

გამახარა. მაშინვე შევუდექით ოთხივენი მიწის დამუშავებას და გულ-მოდგინებითაც ვმუშაობდით, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევდა ხის იარაღები. ერთი თვის შემდეგ ჩვენ უკვე მზად გვქონდა დაბარული და გაფხვიერებული საყანე მიწა. დავთესეთ ოცდაორი ბუშელი ქერი და თექვსმეტი ღოქი ბრინჯი - მეტის გამეტება არ შეიძლებოდა. საჭმელად ექვსი თვის მარაგიც არ დაგვიტოვებია, რადგან იმ ადგილებში ყანის მოყვანას იმდენი დრო არ სჭირდებოდა.

ახლა ჩვენ იმდენი ვიყავით, რომ მომხდურ ველურებს, თუ განუსაზღვრელად დიდი რაოდენობით არ მოვიდოდნენ ისინი, თავისუფლად გავუმკლავდებოდით. ამიტომ მათი შიში აღარ გვქონდა და მთელ კუნძულზე, საითაც მოგვეპრიანებოდა,

არხეინად დავდიოდით. ხოლო, რაკი აქედან გაქცევისა და გათავისუფლების ფიქრი არავის გვშორდებოდა, არ შეიძლებოდა საამისო თადარიგი წინასწარვე არ დაგვეჭირა. შევარჩიე გემის მასალად გამოსადეგი რამდენიმე ხე და პარასკევა და მამამისი მოსაჭრელად მივაყენე. ესპანელს კი, რომელსაც კუნძულიდან გამგზავრების გეგმებს ვუზიარებდი, მათი მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა დავავალე. მერე ვაჩვენე, თუ რა შეუპოვრობითა და წვალებით მოვახერხე დიდი ხისაგან ფიცრების გამოთლა. მათაც ეს საქმე დავავალე და გამოჩორკნეს კიდევ მუხის ხისაგან თორმეტიოდე ფიცარი - დაახლოებით ორი ფუტის სიგანისა; ოცდათხუთმეტი ფუტის სიგრძისა და სამი-ოთხი გოჯის სისქისა. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, თუ რა განუსაზღვრელი შრომა დასჭირდებოდა ამ საქმის შესრულებას.

ამავე დროს შინაური თხების მომრავლებამზე ბრუნვაც დავიწყე. ერთ დღეს რომ მე და პარასკევა წავიდოდით სანადიროდ, მეორე დღეს ესპანელსა და პარასკევას გავგზავნიდი ხოლმე: მე და ესპანელი ვმორიგეობდით. ასე დავიჭირეთ კიდევ ოცი თიკანი. დედა თხას რომ ვკლავდით, თიკნები ცოცხლად მოგვყავდა და ჩვენს არვეს ვუმატებდით. ამასობაში ყურძნის გახმობის დროც მოახლოვდა. ბევრი ყურძენი მოვკრიფეთ და გავახმეთ. ქიშმიში პურთან ერთად ჩვენი მთავარი საკვები იყო და ნოყიერი საკვებიც.

დადგა მკის დროც. ყანას არა უშავდა რა, მეორე მოსავლამდე თავისუფლად გვეყოფოდა, თუნდაც თექვსმეტივე ესპანელი გადმოსულიყო ჩემს კუნძულზე; ხოლო გზას თუ გავუდგებოდით, საგზადაც სავსებით საკმარისი იქნებოდა, სანამ ამერიკის რომელიმე ქვეყანას მივადგებოდით.

მოსავლის აღების შემდეგ შევუდექით დიდი გოდრების დაწვნას, რომელშიაც ჭირნახული უნდა შეგვენახა. ესპანელი დიდად დახელოვნებული და მარჯვე გამოდგა მ საქმეში.

ახლა, რაკი მომარაგებული მქონდა სტუმრებისათვის საკმარისის სურსათი, ესპანელს ნება დავრთე, ხმელეთისაკენ

გამგზავრებულიყო და იქ მყოფ თანამემამულეებს მოლაპარაკებოდა. მკაცრად გავაფრთხილე, ისეთი არავინ წამოეყვანა, ვინც მისი და მოხუცი ველურის თანდასწრებით ფიცს არ დადებდა, რომ არავითარ ვნებას არ მიაყენებს, არ შეებრძოლება და თავს არ დაესხმის იმ ადამიანს, რომელიც მას კუნძულზე შეხვდება და რომელმაც იმდენი სიკეთე გამოიჩინა, რომ მათ დასახსნელად გაგზავნა ეს ორი კაცი. ეს ფიცი უნდა ყოფილიყო ქალაქდებე დაწერილი და მათგან ხელმოწერილი. მაგრამ როგორ უნდა შეესრულებინათ ბოლო დავალება უმელნოდ და უქალაქოდ, ეს მაშინ არც მოგვეგონებია და არც გვიკითხავს.

ამ დავალებით ესპანელი და მოხუცი ველური, პარასკევას მამა, გამგზავრნენ იმავე ნავით, რომლითაც ისინი აქ მოვიდოდნენ, ან უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვი, რომლითაც ისინი ველურებმა მოათრიეს, შებორკილები და დასაგლეჯად განწირულები. გავატანე ორი მუშკეტი და რვა-რვა გასროლისათვის სამყოფი ტყვია-წამალი. თან დავაბარე, რომ ტყვია-წამალი დაეზოგათ და მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს ეხმარათ.

მართლაც რომ, სიხარულით ვამგზავრებდი მათ. ოცდაშვიდი წლისა და კიდევ მეტი ხნის განმავლობაში ეს იყო პირველი ცდა, გათავისუფლებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი. საგზლად იმდენი ქიშმიში და პური გავატანე, რომ დიდხანს ეყოფოდათ; ხოლო მათ თანამემამულეებს დაახლოებით რვა დღეს გამოკვებავდა. წინასწარ შევთანხმდით, რომ დაბრუნებისას ისინი შორიდანვე მომცემდნენ ნიშანს, რის მიხედვითაც მე მათ ვიცნობდი.

*

სულ ცოტა, რვა დღე გავიდა, რაც ჩემი მგზავრების მოლოდინში ვიყავი, რომ უეცრად ისეთი უცნაური და წარმოუდგენელი რამ მოხდა, რომლის მსგავსი ალბათ ჯერ არაფერი მომხდარა ისტორიაში. ერთ დილას ჯერ ისევ ტკბილად მეძინა ქოხში, რომ ჩემი მსახური პარასკევა

შემოვარდა და ხმამალლა დამიძახა:

- ბატონო, ბატონო, დაბრუნდნენ! დაბრუნდნენ!

მაშინვე წამოვხტი, საჩქაროდ ჩავიცვი და ანგარიშიუცემლად, ისე რომ საშიშროება არ გამითვალისწინებია, ჩემს პატარა ხეივანში გავვარდი. თუმცა, უნდა ითქვას, იგი ახლა კარგა დიდი ტყე იყო. საშიშროება არც კი გამითვალისწინებია-მეთქი, ისე, უიარალოდ გავვარდი. მაგრამ როგორ სახტად დავრჩი, როდესაც ზღვას გადავხედე და დაახლოებით ერთ-ნახევარი ლიეს მანძილზე ნაპირისკენ მომავალი სამკუთხაილქნიანი ნავი დავინახე. ისიც შევატყვე, რომ ნავი იმ ხმელეთიდან კი არ მოდიოდა, არამედ კუნძულის სამხრეთიდან. ეს რა შევნიშნე, საჩქაროდ მოვუხმე პარასკევას და ვუბრძანე, ჩემ გვერდით ყოფილიყო, რადგან, ვისაც ჩვენ ველოდით, ისინი არ მოდიოდნენ, ხოლო წინასწარ არ შეიძლებოდა თქმა, სამტროდ მოდიოდა ეს ხალხი თუ სამოყვროდ.

შინ შევედი და ჭოგრიტი გამოვიტანე, მერე კლდეზე კიბე მივაყუდე და თავზე მოვექეცი.

გორაკზე ფეხის დადგმა ვერც კი მოვასწარი, რომ უცებ აშკარად გავარჩიე გემი, რომელსაც ჩემგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით ორ-ნახევარი ლიეს მანძილზე ჩაეშვა ღუბა. ჩემი დაკვირვებით, ინგლისური გემი უნდა ყოფილიყო და, როგორც გავარჩიე, ნავიც ინგლისური ბარკასი იყო.

ვერ გადმოგცემთ, რა მღელვარებამ მომიცვა ერთბაშად. მართლაც აუწერელი იყო პირველი სიხარული, გამოწვეული გემის დანახვით, რომელზედაც (ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული) ჩემი თანამემამულეები და, ამრიგად, მეგობრები იქნებოდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გულზე მაინც მაწვა რაღაც იდუმალი ეჭვი, რომელიც მიკარნახებდა, ფრთხილად ვყოფილიყავი. რა უნდოდა ინგლისურ გემს ამ მხარეში, სადაც ინგლისის არც ერთი სავაჭრო გზა არ გადიოდა. ბოლო ხანებში ქარიშხალი არ ყოფილა და ქარის გადმოსროლილი არ იქნებოდა. ხოლო, თუ მართლა ინგლისური იყო ეს გემი, აშკარაა, კარგ საქმეზე არ იქნებოდნენ აქეთ გადმოხვეწილნი და, ამდენად ქურდებისა და მკვლევლების ხელში ჩაგვარდნას ისა სჯობდა, ჩუმად ვყოფილიყავ და შორიდან მედევნებინა თვალყური.

*

ნავი თანდათან უახლოვდებოდა ნაპირს, ეტყობოდა, მისადგომად მოხერხებულ უბეს ეძებდნენ. საბედნიეროდ, მათ ვერ შენიშნეს ის პატარა უბე, სადაც მე ადრე ტივებით შემოვდიოდი ხოლმე. იქიდან ნახევარი მილის მოშორებით, პირდაპირ ნაპირზე შეაგდეს ნავი. უბე რომ შეენიშნათ, მაშინ, შეიძლება ითქვას, სწორედ ჩემს კართან აღმოჩნდებოდნენ და კინწისკვრით გამაგდებდნენ ჩემი კოშკიდან, ერთიანად გამძარცვავდნენ.

ნაპირზე რომ გადმოვიდნენ, ნამდვილად დავრწმუნდი, ინგლისელები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობა მაინც. ერთი თუ ორი ჰოლანდიელად მივიჩნიე, მაგრამ, როგორც გამოირკვა, შევცდი. სულ თერთმეტი კაცი იყო, რომელთაგან სამი - იარაღაყრილი და, ჩემი აზრით, შებორკილიც. პირველად ოთხი-ხუთი კაცი გადმოხტა ნავიდან. მათ ეს სამი ტყვე გადმოათრის. ერთი ტყვეთაგანი, როგორც შევნიშნე, ხელებს იქნევდა, რაღაცას ემუდარებოდა, ეტყობოდა, უკიდურესობამდე სასოწარკვეთილი იყო. ზოგჯერ ორი დანარჩენიც ალაპყრობდა ხელებს მალლა, მაგრამ უფრო თავშეკავებით.

ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი პარასკევამ თავისი ჩიქორთული ინგლისურით გადმოძახა:

- ო, ბატონო! ინგლისელებიც ისევე ჭამენ ადამიანებს, როგორც ველურები.

- არა, პარასკევა, არა, მე იმას ვშიშობ, არ მოკლან. შეჭმით კი, ნუ გეფიქრება, არ შეჭამენ.

უცებ ერთმა არამზადამ დიდი მახვილი და ხმალი მოუღერა ერთ-ერთ საბრალო ტყვეს. ამის დანახვაზე ძარღვებში სისხლი გამეყინა.

ო, როგორ ვინატრე მაშინ ჩემი ესპანელი და მოხუცი ველური. როგორმე რომ მომეხერხებინა და თოფის მანძილზე მივპარვოდი, ადვილად შეიძლებოდა ტყვეების გათავისუფლება - იმ არამზადათაგან არც ერთს თოფი არ ჰქონდა, მაგრამ მალე სულ სხვა ხერხი მოვიგონე.

შევნიშნე, რომ ტყვეების ასე აბუჩად აგდების შემდეგ არამზადა მეზღვაურები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ, თითქოს კუნძულის დათვალიერება განუზრახავთო. შევნიშნე აგრეთვე, რომ ტყვეებსაც შეეძლოთ წასულიყვნენ, საითაც სურდათ, მაგრამ წასვლა არ ისურვეს, მი-

წაზე დასხდნენ სასოწარკვეთილები.

ამან მომავონა ჩემი სულიერი მდგომარეობა, როცა პირველად გამოვირიყე ამ კუნძულზე; აქეთ-იქით ვიხედებოდი და თავი დაღუპული მეგონა. როგორ დაფეთებით ვაცეცებდი მაშინ თვალებს ირგვლივ, რა საშინელებანი მეღანდებოდა; როგორ წამებით გავათენე ღამე ხეზე იმის შიშით, რომ მხეცებს არ დავეგლიჯე.

ეს ხალხი რომ გადმოვიდა ნაპირზე, ძლიერი ზღვის მოქცევა იყო, ხოლო, ვიდრე ისინი თავიანთ მოყვანილ ტყვეებს იგდებდნენ მასხრად, შემდეგ კი სანამ კუნძულის დასათვალიერებლად ხმელეთზე ყი-აღს მორჩებოდნენ, დრო შეუმჩნევლად გავიდა და ახლა მიქცევა დაიწყო. წყალი კარგა მანძილით გაშორდა ხმელეთს და ნავი ქვიშაზე დარჩა.

ორი კაცი დატოვეს მათ ნავში, მაგრამ, როგორც შემდეგ გავიგე, ისინი ზომამზე მეტად გამოთვრნენ და მალე ჩაეძინათ. ეტყობა, ერთ-ერთი უფრო ფხიზლობდა, მან გამოიღვიძა და, რა ნახა, ნავი ქვიშაზე შემჯდარიყო, ამხანაგი შეანჯღრია. მერე კუნძულზე მოყიალე არამზადებსაც გასძახა. ისინი ჩქარა მოვიდნენ მისაშველებლად, მაგრამ ისე მძიმე იყო ნავი, ხოლო ნაპირი ისეთი შლამიანი, რომ ძვრაც ვერ უყვეს, ვერაფრით ვერ მოახერხეს ნავის ზღვაში შეცურება.

დიდად არ შეუწუხებიათ თავი, ხელი ჩაიქნიეს ნამდვილი მეზღვაურების მსგავსად და კვლავ ხმელეთზე ხეტიალს მოჰყვნენ.

გავიგონე, როგორ გადასძახა ერთმა თავის ამხანაგებს ინგლისურად: „წამოდი, ჯეკ, თავი გაანებეთ; მოქცევა განახლდება და ეგეც ატივტივდება“. ამან კი დამარწმუნა იმაში, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა - ნამდვილად ინგლისელები იყვნენ.

ვიცოდი, რომ ზღვის მიქცევამდე სულ ცოტა ათი საათი მაინც იყო დარჩენილი, ხოლო მანამდე ჩამობნელდებოდა კიდევ - უფრო ადვილად შემეძლებოდა ახლოდან თვალყურის დევნება და მოსმენაც.

ამასობაში ბრძოლისათვის ვემზადებოდი წინანდებურად, ოღონდ უფრო ფრთხილად ვიქცეოდი, რადგან ახლა სულ სხვა მტერთან მქონდა საქმე. პარასკევასაც ვუბრძანე, საბრძოლველად აღჭურვილიყო: იგი უკვე ჩინებული მსროლელი იყო. ორი სანადირო თოფი ავიღე, ხოლო მას სამი მუშკეტი მივეცი. მეტად მრისხანე შესახედაობა კი მქონდა: გახვეული ვიყავი ჩემს საშინელ თხის ტყავში, თავზე წოწოლა ქუდი

მეხურა, გვერდზე ხმალი მერტყა, ქამარში - ორი დამბაჩა, მხარზე - თოფი!

როგორც უკვე მოგახსენეთ, თავდაპირველად განვიზრახე, დაბნელებამდე დამეწყო მოქმედება, მაგრამ დაახლოებით ორი საათისათვის, როცა სულის შემხუთავი სიცხე ჩამოწვა, შევნიშნე, როგორ წავიდა ერთი ჯგუფი ტყეში სახეტილოდ, ხოლო დანარჩენები იქვე დაეყარნენ, ალბათ დასაძინებლად. საბრალო გაწამებულ ტყვეებს კი, აბა, რა დააძინებდათ; ჩრდილში ჩამომსხდარიყვნენ, ჩემგან დაახლოებით მეოთხედი მილის მოშორებით. ჩემი აზრით, დანარჩენები ვერა ხედავდნენ.

ეს რომ შევნიშნე, გადავწყვიტე, გამოვცხადებოდი მათ და საქმის ვითარება გამეგო. პარასკევა შორიახლო მომდევდა, ისიც თავით-ფეხებამდე შეიარაღებული; ოღონდ ჩემზე უფრო ნაკლებად ჰგავდა მოჩვენებას.

თითქმის თავზე წავადექი ტყვეებს შეუმჩნეველად და უცებ, ვიდრე შემნიშნავდნენ, ხმამაღლა შევძახე ესპანურად:

- ვინა ხართ თქვენ, ბატონებო? - ამის გაგონებაზე ისინი ერთბაშად დაფრთხნენ, მაგრამ კიდევ უფრო დაფრთხნენ, როცა მე შემავლეს თვალი და ჩემი უცნაური მოძრაობა დაინახეს. არაფერი მიპასუხეს, მაგრამ, რა შევატყვე, გაქცევას აპირებდნენ, ინგლისურად შევეხმიანე:

- ბატონებო, ნუ გეშინიათ, იქნებ სწორედ იქ შეიძინოთ მეგობარი, საცა ყველაზე ნაკლებად გაქვთ იმედი!

- მაშ, იგი ცით მოვლენილი იქნება, - თქვა ერთმა მათგანმა დინჯად და ქუდი მომიხადა.

საბრალო არსება აცახცახებული და თვალცრემლიანი მომიბრუნდა:

- ღმერთი გამომეცხადა თუ ადამიანი? ნამდვილი ადამიანი ხართ თუ ანგელოზი?

- გთხოვთ, შიში ნუღარაფრისა გექნებათ: ადამიანი ვარ, ინგლისელი, და, როგორც ხედავთ, თქვენს დასახსნელად მოვსულვარ. ერთი მსახურის მეტი არავინ მყავს, სამაგიეროდ, იარაღი და ტყვია-წამალი გვაქვს ბევრი. გულახდილად გვითხარით, რით შეგვიძლია დაგეხმაროთ? რა გადაგხდომიათ თავს?"

- თავს რა გადაგვხდა? - დაიწყო მან, - ეჰ, ბატონო, ჩვენი თავგადასავალი ძალიან გრძელია, ხოლო მკვლევლები ისე ახლოს არიან, რომ დაწვრილებით მოყოლას ვერ მოვასწრებთ. მოკლედ მოგახსენებთ: მე კაპიტანი ვარ იმ გემისა. მეზღვაურები ამიჯანყდნენ, მოკვლას ძლივს გადავრჩი და საბოლოოდ, ამ უდაბურ კუნძულზე მომათრიეს ამ ორ კაცთან ერთად, - ერთი ჩემი თანაშემწეა, მეორე კი მგზავრი. ჩვენ გარდაუვალ დაღუპვას მოველოდით, რადგან კუნძული უკაცრიელი გვეგონა. და ახლაც არ ვიცი, რა ვიფიქროთ.

- ის მხეცები არ იცით, საით წავიდნენ? - ვკითხე მე.

- იქ წვანან, ბატონო. - მიმითითა მან მახლობელ ხეებზე. - შიშით გული მეწურება, არ დაგვინახონ და თქვენი ლაპარაკი არ მოისმინონ. თუ შეგვნიშნეს, ყველას ამოგვწყვეტენ.

- იარაღი აქვთ? - ვკითხე მე.

მან მიპასუხა, ორი თოფი აქვთო, რომელთაგან ერთი თურმე ნავში დატოვეს.

- ძალიან კარგი, - ვთქვი მე, - დანარჩენი მე მომანდეთ. როგორც ვატყობ, უნდა ეძინოთ. მით უფრო ადვილი იქნება მათი დახოცვა! იქნებ ცოცხლად შეპყრობა აჯობებს?

მან მიპასუხა, მათში ორი თავგებულადებული გარეწარია, რომელთა შეწყალება სახიფათო იქნება; ხოლო იმ ორს თუ მოვიშორებთ, დანარჩენების გამოსწორება, ჩემი ღრმა რწმენით, ადვილად შეიძლებაო.

- კეთილი, ვუთხარი მე მაშინ, - გვერდზე მივდგეთ და ისე მოვილაპარაკოთ. ცოტათი მოვეფაროთ, თორემ საშიშია, არ გავალვიძოთ.

ხალისით გადმომყვნენ და ტყეს შევაფარეთ თავი.

- ყური მიგდეთ, ბატონო, - დავიწყე მე, - თქვენს დასახსნელად თავის დადება თუ გავბედე, თანახმა იქნებით თუ არა, შემისრულოთ ორი პირობა?

მან არც კი დამაცადა სიტყვის დასრულება, პირდაპირ განაცხადა:

- მეცა და ჩემი გემიც - თუკი მოვახერხებთ მის ხელში ჩაგდებას - თქვენი ვიქნებით. რაც გნებათ, ის გვიბრძანეთ. მაგრამ თუ გემი წავართვით იმ ყაჩაღებს, მაშინ თქვენთან დავრჩები საფლავის კარამდე, სა-

დაც მიბრძანებთ, იქ წამოვალ.

მისმა ამხანაგებმაც იგივე გაიმეორეს.

- მაშ კარგი, - ვუთხარი მე, - აი, რას მოვითხოვ თქვენგან: 1. სანამ ჩემს კუნძულზე ხართ, არავითარი პრეტენზია არ განაცხადოთ ხელი-სუფლებაზე; ჩემ მიერ გადმოცემულ იარაღს პირველსავე მოთხოვნაზე დამიბრუნებთ, არ მოიხმართ მას ჩემი და ჩემი ქვეშევრდომების სამტროდ; უსიტყვოდ შეასრულებთ ჩემს ყველა ბრძანებას. 2. თუ გემის ხელში ჩაგდება მოვახერხებთ, მეცა და ჩემს მსახურსაც უსასყიდლოდ ჩაგვიყვანთ ინგლისში.

იგი მარწმუნებდა ყოველნაირი ფიცით, რომ სამუდამოდ დავალებული იქნებოდა ჩემგან სიცოცხლის მინიჭებისათვის.

- კეთილი! - ვთქვი მე, - აჰა, თქვენ სამი მუშკეტი თავისი ტყვია-წამლით. ახლა ესეც მითხარით, რას ფიქრობთ? რა აჯობებს, როგორ მოვიქცეთ?

ის კვლავ თავგამოდებით შეეცადა დაემტკიცებინა ჩემთვის, თუ რა მადლიერი იყო და წინამძღოლობა მე შემომთავაზა. მაშინ მე ჩემი მოსაზრება გაუზიარე: ჩემი აზრით, უმჯობესია, ერთბაშად დავახალოთ თოფი მწოლიარეებს. ღმერთს მივანდოთ მათი ბედი. თუ ვინმე ცოცხალი გადარჩება, ვუბრძანოთ დაგვემორჩილოს; დაგვნებდებიან - ვაჩუქოთ სიცოცხლე-მეთქი.

კაპიტანმა მოკრძალებით გამომიცხადა, რომ მათი განუკითხავად დახოცვის მომხრე არ იყო.

- მხოლოდ ის ორი გამოუსწორებელი ავაზაკი მოვკლათ, - თქვა მან, - მთელი აჯანყება გემზე იმათი მოწყობილია და, ახლა თუ დაგვის-ხლტდნენ ხელიდან, სულერთია, მაინც დავიღუპებით.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, შევნიშნეთ, ზოგმა უკვე გამოიღვიძა. მალე ორი მეზღვაური ფეხზე წამოდგა. კაპიტანს ვკითხე, ესენი ხომ არ არიან აჯანყების მოთავენი-მეთქი.

- არა, - მიპასუხა მან.

- ძალიან კარგი, დაე წავიდნენ, ეტყობა, განგებამ გააღვიძა და სიკვდილისაგან იხსნა. მაგრამ, სხვებიც თუ გაგეცათ, ნამდვილად თქვენი ბრალი იქნება, - მივმართე კაპიტანს.

ამ სიტყვებით გამხსნევებულმა კაპიტანმა მუშვეტი მოიმარჯვა, დამბანა კი ქამარში გაირჭო; მისმა ამხანაგებმაც თოფებს დაავლეს ხელი და კაპიტანს წინ გაუძღვნენ. ფეხის ხმაზე ერთ-ერთმა გაღვიძებულმა მეზღვაურმა მოიხედა და მათკენ მიმავალი ტყვეები რომ დაინახა, თავისიანებს გადასძახა. მაგრამ გვიანლა იყო, რადგან, მორთო თუ არა მეზღვაურმა ყვირილი, ტყვეებმა თოფი დაახალეს. იმ ორმა ტყვემ ესროლა თოფი, კაპიტანი კი თავისას ზოგავდა და ბრძნულადაც მოიქცა. მიზანში მშვენივრად მოარტყეს: ერთ გარეწარს მაშინვე გააფრთხობინეს სული, ხოლო მეორე მძიმედ დაჭრეს. დაჭრილი უცებ ზებე წამოვარდა და ყვირილი დაიწყო, მიშველეთო. მაგრამ კაპიტანი მიიჭრა მასთან და უთხრა, რომ უკვე გვიანლა იყო დახმარებისათვის მოწოდება, ახლა ის ერჩივნა, ღმერთისთვის შენდობა ეთხოვა თავისი არამზადობის გამო. უთხრა ესა და თავში თოფის კონდახი ჩასცხო, სამუდამოდ ჩააწყვეტინა ხმა.

ახლა სამი კაცი დარჩა იმ ჯგუფიდან, მათში ერთი მსუბუქად იყო დაჭრილი. რაკი იგრძნეს, ამაო იქნებოდა წინააღმდეგობის გაწევა, პატიება გვთხოვეს. კაპიტანმა აღუთქვა პატიება, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი ერთგულებას შეჰფიცავდნენ

და გემის ხელში ჩაგდებაში დაეხმარებოდნენ, შემდეგ კი უკანვე წაიყვანდნენ იამაიკაში. მათ მხურვალედ დაუწყეს დარწმუნება. კაპიტანმა დაიჯერა მათი გულახდილობა. წინააღმდეგი მეც არ წავსულვარ, ოღონდ ვაიძულე ხელ-ფეხზე ბორკილები დაედოთ, სანამ კუნძულზე იყვნენ.

სანამ აქ ეს ამბავი ხდებოდა, პარასკევასა და კაპიტნის თანაშემწეს ვუბრძანე ნავთან მისულიყვნენ და ნიჩბები და იალქნები წამოეღოთ. მათ შეასრულეს ჩემი ბრძანება. ამასობაში ის სამი მეზღვაურიც მოვიდა, რომელთაც თავისდა იღბლად გაეღვიძათ. თოფის ხმა გაეგონათ და მაშინვე გამობრუნებულიყვნენ. რა იხილეს თავიანთი ტყვე-კაპიტანი ახლა მათი დამპყრობი გახდა, ისინიც დაემორჩილნენ. ამრიგად, სრულ გამარჯვებას მივაღწიეთ.

*

უკვე დრო იყო კაპიტანსა და მე ერთმანეთისთვის ჩვენ-ჩვენი თავგადასავალი გვეამბნა. პირველად მე დავიწყე. ყველაფერი ვუამბე, რაც კი თავს გადაამხდა. გულისყურით მისმენდა, განცვიფრებული

დარჩა განსაკუთრებით იმით, თუ როგორ საოცრად მოვახერხე საჭმელ-სასმელითა და იარაღით მომარაგება. მთელი ჩემი ცხოვრება მართლაც საოცრება იყო და რაღა გასაკვირია, რომ ასე დაინტერესდა კაპიტანი.

ჩემი ამბავი რომ დავამთავრე, კაპიტანი და მისი ორი ამხანაგი შინ წავიყვანე. სახლში იმავე გზით შევედი, რა გზითაც გამოვედი, ანუ სახურავიდან. რაც მეზადა, ყველაფრით გავუმასპინძლდი და მთელი ჩემი მეურნეობა დავათვალიერებინე.

გაოცებულნი იყვნენ იმით, რაც ვაჩვენე და ვუამბე. განსაკუთრებით ჩემმა ციხესიმაგრემ ალაფრთოვანა კაპიტანი. განვუმარტე, რომ ეს ჩემი ციხესიმაგრე და მთავარი საცხოვრებელი ადგილი იყო, მას გარდა, დიდი პრინციების მსგავსად, მქონდა სააგარაკო სასახლეც, რომელსაც მოგვიანებით ვაჩვენებდი, ახლა კი ჩვენი მთავარი საზრუნავი გემის ხელში ჩაგდება იყო.

გემზე კიდევ ოცდაექვსი კაცი დარჩა, რომელთაც ამ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის კანონით სიკვდილი მიესჯებოდათ. ამიტომ ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ და გემს არ დათმობდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, ინგლისში ან რომელიმე კოლონიაში ჩასვლისთანავე სახრჩობელა არ ასცდებოდათ. უაზრო იქნებოდა ჩვენი პატარა გუნდით მათთან შებრძოლება.

კაპიტნის სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, ჩამაფიქრა. სასწრაფოდ უნდა მოგვეგონებინა რაღაც ხერხი და მოულოდნელი თავდასხმით მახეში გაგვება ისინი. უცებ თავში გამიელვა, რომ ცოტა ხნის შემდეგ გემის ეკიპაჟი მეორე ნავით

გამოემართებოდა ამხანაგების საძებნელად; ალბათ შეიარაღდებოდნენ კიდევ და ძალიან გაგვიძნელდებოდა მათთან შებრძოლება.

უპირველეს ყოვლისა, მათი ნავი უნდა დაგვემტვრია, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მისი წაღება. ხოლო რაც ნავში იყო, ყველაფერი უნდა წამოგვეღო. ასეც მოვიქეცი, მივედი და წამოვიღეთ იარაღები და სხვაც ყველაფერი: ერთი ბოთლი არაყი, ერთი ბოთლი რომი, ცოტაოდენი ნამცხვარი, დენთი და ტილოში გახვეული კარგა ბლომად შაქარი. განსაკუთრებით შაქარმა და არაყმა გამახარა, რადგან ამდენი წელი არც ერთი და არც მეორე არ მეგემნა.

როცა ყველაფერი ნაპირზე გადავიტანეთ, ნავის ფსკერი კარგა

დიდზე დავხვრიტეთ, რათა, თუ ვერ გავუმკლავდებოდით მათ, ნავი მაინც არ გაგვეტანებინა.

მართალი გითხრათ, გემის ხელში ჩაგდების იმედი დიდად არ მქონდა, მაგრამ, თუკი ნავის გატაცებას ვერ მოახერხებდნენ ისინი, მაშინ ჩვენთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მისი შეკეთება. ხოლო ამ ნავით თავისუფლად გავეწვდით კუნძულებისაკენ და ჩვენს მეგობარ ესპანელებსაც გავუვლიდით, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ დამვიწყებია.

ნავი საერთო ძალით უბეში შევაცურეთ, მოშორებით, რომ ძლიერი მიქცევაც ვერ გაიტაცებდა; ფსკერიც გავუხვრიტეთ, რათა სახელდახელოდ შეკეთება შეუძლებელი ყოფილიყო. შემდეგ ჩამოვსხედით და იმაზე დავიწყეთ ფიქრი, კიდევ რა უნდა გვექნა. უეცრად გემიდან ზარბაზნის ხმა შემოგვესმა, ამავე დროს დავინახეთ, დროშებით ნიშანს აძლევდნენ ნავს - დაბრუნდიო. მაგრამ, რაკი ნავი მაინც არ ბრუნდებოდა, კიდევ რამდენჯერმე გაისროლეს ზარბაზანი.

ბოლოს, როცა ზარბაზნის სროლა და დროშებით ნიშნის მიცემა ამოვ გამოდგა - ნავი მაინც არ ბრუნდებოდა - მეორე ნავი მოხსნეს გემს და ჩვენსკენ გამოუშვეს. ეს ჭოგრიტებით დავინახეთ. როცა ნავი გვიახლოვდებოდა, შევნიშნეთ, რომ მასში, სულ ცოტა, ათი შეიარაღებული კაცი იჯდა.

*

გემი ნაპირიდან თითქმის მთელი ორი მილით იყო დაშორებული. ასე რომ, საკმაო დრო გვექონდა, კარგად დაგვეთვალიერებინა ნავში მსხდომი ხალხი, სახეებიც კი გარკვევით ჩანდა. მოქცევის ძალამ მათი ნავი ცოტათი დააშორა პირველს და უფრო აღმოსავლეთით გააგდო: ასე რომ, მეზღვაურები ნიჩბებს უსვამდნენ და ნავს ნაპირის გასწვრივ მოაცურებდნენ, რათა იქ გადმომსხდარიყვნენ, სადაც პირველი ნავი მოადგა ნაპირს და სადაც ახლაც იდგა.

სამი მათგანი, კაპიტნის სიტყვებით, ძალიან პატიოსანი ყმაწვილი იყო და შეთქმულებაში სხვებმა ჩაითრიეს იძულებითა და დაშინებით.

რაც შეეხება ბოცმანს, რომელიც, ეტყობა, ამ ჯგუფზე მეთაურობდა, და დანარჩენები, თავგებულადებული არამზადები იყვნენ, რაღა თქმა

უნდა, გააფთრებით იბრძოლებდნენ.

მე გავუღიძვე კაპიტანს და ვუთხარი, ჩვენს დღეში მყოფი ხალხისათვის შიში არ არსებობს, რაც არ უნდა მოგველოდეს, ჩვენს ახლანდელს ყოფას მაინც სჯობია, თუნდა სიკვდილი იყოს ამ ბრძოლის ბოლო, სულერთია - ჩვენ ამითაც თავისუფლებას ვეწევი-მეთქი.

ტყვეების განცალკევების თადარიგი ადრევე დავიჭირეთ. როგორც კი შევნიშნეთ, როგორ მოხსნეს გემს მეორე ნავი და ზღვაში ჩაუშვეს, ჩვენ მაშინვე დავანაწილეთ ტყვეები და უხიფათო ადგილას მოვათავსეთ. ორი, კაპიტანის აზრით უფრო ნაკლებად სანდო, პარასკევასა და კაპიტანის თანაშემწეს გავატანეთ გამოქვაბულში. იქ ისინი მოფარებული იქნებოდნენ, შიში არ გვექნებოდა, რომ ვინმე აღმოაჩენდა, ან მათ ლაპარაკს გაიგონებდა. ამასთან, კიდევ რომ მოეხერხებინათ გაქცევა, ტყეში გზას ვერ გაიგნებდნენ. ხელ-ფეხშეკრული დატოვეს, დაუტოვეს საჭმელი და აღუთქვეს, თუკი წესიერად და

წყნარად იქნებოდნენ, ერთ-ორ დღეში თავისუფლებას მიიღებდნენ, ხოლო თუ გაქცევას მოინდომებდნენ, მაშინვე სიკვდილით დასჯიდნენ. მათაც პირობა დადეს, რომ მოთმინებით აიტანდნენ პატიმრობას; თანაც მადლობა თქვეს კეთილი მოპყრობის, საჭმელ-სასმლისა და სანთლებისთვის, რომლებიც პარასკევამ მისცა.

დანარჩენ ტყვეებს უფრო კარგად მოვეპყარით, თუმცა ორი მათგანი ისევ ხელ-ფეხშეკრული გვყავდა, რადგან კაპიტანი მაინც ვერ ენდობოდა ბოლომდე. ორი ტყვე კი, კაპიტანის რეკომენდაციით, ჩემს სამსახურში ავიყვანე. ამრიგად, სულ შვიდნი ვიყავით და კარგად შეიარაღებულნი. ადვილად გავუმკლავდებოდით ნავში მსხდომ ათ მეზღვაურს, მით უმეტეს, რომ, კაპიტანის სიტყვით, მათშიაც ერია სამი-ოთხი პატიოსანი კაცი.

პირველ ნავს რომ გაუსწორდნენ, თავიანთი ნავი უბეში შემოიყვანეს, ნაპირზე გადმოვიდნენ და ნავიც ხმელეთზე გამოათრიეს. ამან ძალიან გამახარა, რადგან მეშინოდა, ვაითუ ნაპირიდან მოშორებით ჩაუშვან ღუზა, ნავში მცველები დატოვონ და ჩვენ ადვილად ვერ ჩავიგდოთ ნავი-მეთქი.

გადმოსხდნენ თუ არა ნაპირზე, მეორე ნავს მისცვივდნენ. მაგრამ სახტად დარჩნენ, როცა სავსებით გაძარცვული და ფსკერგახვრეტილი დახვდათ. ცოტა ხანს ჩაფიქრდნენ, მერე სამჯერ დაიყვირეს, თავიანთ ამხანაგებს უხმობდნენ. ბოლოს წრედ მოეწყვნენ და თოფებით ბათქი

მისცეს. ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, გავიგონეთ, ექომ ტყეში დაიგრუხუნა. გამოქვაბულში მსხდომნი ვერ გაიგონებდნენ, ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთ კი ესმოდათ, მაგრამ გამოხმაურება ვერ გაბედეს.

ისინი ისე შეშფოთდნენ ამ მოულოდნელობით, რომ, როგორც შემდეგ გვიაბეს, თურმე გადაწყვიტეს ნავში ჩამსხდარიყვნენ და შეეტყობინებინათ ამხანაგებისათვის, რომ დიდი ნავი ფსკერგახვრეტილი დახვდათ, ხოლო ხალხი - დახოცილი. ასეც მოიქცნენ, ნავი ზღვაში შეაცურეს და ყველანი შიგ ჩასხდნენ.

კაპიტანი შეშფოთდა. იფიქრა, ესენი გემს მიადგებიან, შეატყობინებენ თავიან ამხანაგების დაღუპვის ამბავს, იალქნებს აუშვებენ და გასწევენ, გემს საბოლოოდ უნდა გამოვემშვიდობო, მაგრამ მალე შიშის ახალი საბაბი მიეცა.

ნავი შორს არ შეჭრილა ზღვის სიღრმეში. შევნიშნეთ, რომ უკანვე, ნაპირისაკენ მობრუნდა, ეტყობა, მოითათბირეს და ახალი გადაწყვეტილება მიიღეს. სამი კაცი ნავში დატოვეს, დანარჩენები კი ნაპირზე გადმოვიდნენ, რათა მთელი კუნძული მოეველოთ და ამხანაგები მოეძებნათ.

აღარ ვიცოდით, რა გვექნა. კიდევ რომ შეგვეპყრო ნაპირზე გადმოსული შვიდი კაცი, მაინც ვერაფერი ნუგეში იქნებოდა, თუკი ნავი გაგვისხლტებოდა ხელიდან. ის სამი კაცი დაბრუნდებოდა გემზე, ღუზას ამოიღებდნენ, იალქნებს გაშლიდნენ... და მორჩა, გემი ჩვენთვის დაკარგული იყო.

მაგრამ სხვა გზაც რომ არ იყო! უნდა გვეცადა და გვენახა, რა მოხდებოდა. გადმოვიდა თუ არა შვიდი კაცი ხმელეთზე, ნავში დარჩენილებმა ნავი ისევ მოაცილეს ხმელეთს და ნაპირიდან კარგია მოშორებით ჩაუშვეს ღუზა. ასე რომ, ჩვენთვის შეუძლებელი გახდა მათთან მისვლა.

ნაპირზე გადმოსულები გუნდად გამოემართნენ იმ გორაკისაკენ, რომლის ძირშიაც მე სახლი მედგა. ჩვენ კარგად ვხედავდით მათ, ისინი კი ვერა ვხედავდნენ.

თხემზე რომ ავიდნენ, მოჰყვნენ ყვირილსა და ძახილს. იმდენი იღრიალეს, ხმა ჩაუწყდათ. მერე იქვე ჩამოსხდნენ და ბჭობა გამართეს. ამათაც რომ თავიანთი ამხანაგებივით გაებედათ და დაეძინათ, გაგიხარიათ, ჩვენ ბედსა გვწევდნენ. მაგრამ დაძინებას ვერ ბედავდნენ.

კაპიტანმა სწორად ივარაუდა, თუ რა შეიძლებოდა იმათ მოეთათბირათ, და ჭკვიანური მოსაზრება გამოთქვა: ისინი ერთხელ კიდევ მისცემენ ერთდროულ ბათქს, რათა ხმა მიაწვდინონ თავიანთ ამხანაგებს; ჩვენ კი დრო უნდა ვიხელთოთ და, სანამ თოფების გადატენვას მოასწრებენ, თავს დავესხათ. თქმა არ უნდა, დაგვენებლებიან და სისხლისღვრასაც ავცდებითო.

მომეწონა მისი გეგმა, ოღონდ მათთან ახლოს უნდა ვყოფილიყავით ჩასაფრებული, რათა უცებ მივხტომოდით და თოფების გადატენვის საშუალება არ მიგვეცა, თუმცა თოფის სროლა არ უფიქრიათ და ჩვენც ვისხედით, არ ვიცოდით, რა გზას დავდგომოდით.

დიდხანს მოუთმენლად ვუცდიდით, რა მოხდებოდა. ბოლოს, კარგა ხნის ბჭობის შემდეგ, წამოდგნენ და თავქვე დაეშვნენ, ზღვისკენ.

როგორც კი დავინახე, როგორ დაეშვნენ დაბლა, მაშინვე ვთქვი, და ასეც იყო, - ალბათ ძებნას თავი დაანებეს და ბრუნდებიან-მეთქი. ჩემი მოსაზრება რომ გაიგონა, კაპიტანს ელდა ეცა. მაგრამ იმათ დასაბრუნებლად მე მაშინვე მოვიგონე ხერხი, რომელმაც გამიმართლა კიდევც.

პარასკევასა და კაპიტნის თანაშემწეს ვუბრძანე, პატარა უბის დასავლეთით წასულიყვნენ, იმ ადგილას, სადაც მე ადრე პარასკევა დავიხსენი კაციჭამიებისაგან. იქიდან ნახევარი მილის მოშორებით, ბორცვზე უნდა ასულიყვნენ და რაც შეიძლება მაღალი ხმით ეყვირათ, სანამ მებღვაურებს არ გააგონებდნენ. ხოლო, როცა ისინი გამოეპასუხებოდნენ, ამათ მეორე ადგილას უნდა გადაენაცვლათ და კვლავ შეხმიანებოდნენ. ასე ძახილ-ძახილითა და ადგილის გადანაცვლებით, რაც შეიძლება შორს უნდა შეეცუებინათ კუნძულზე, ტყის სიღრმეში, მერე კი ჩემთან მოსულიყვნენ ჩემ მიერ ნაჩვენები გზით.

ის იყო ნავში უნდა ჩამსხდარიყვნენ მებღვაურები, რომ პარასკევამ და კაპიტნის თანაშემწემ ყვირილი ატეხეს. იმათ მაშინვე გაიგონეს, ყვირილითვე უპასუხეს და ნაპირის გასწვრივ, დასავლეთისაკენ გაემართნენ, საიდანაც ხმა მოდიოდა უცებ უბეს წააწყდნენ, წყალი მომატებულყო და ფეხით ვერ გადაჭრიდნენ. მაშინ, ჩემი მოლოდინისამებრ, ნავს მოუხმეს, გადაგვიყვანეთო.

უბე რომ გადაჭრეს, ნავში ახლა მხოლოდ ორი კაცი დატოვეს, მესამე თვითონ წაიყვანეს. ნავი კარგა ღრმად იყო შეჭრილი უბეში და იქ პატარა ხეზე დაამაგრეს.

მეც ეს მინდოდა. პარასკევა და კაპიტნის თანაშემწე ხომ თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, მე გავუძეხი დანარჩენებს, შეუმჩნეველად უბე გადავჭერი და მოულოდნელად წავადექი თავზე ორ მეზღვაურს. ერთი იქვე ნაპირზე გაშხლართულიყო, მეორე კი ნავში იჯდა. ნაპირზე მწოლიარე ძილმორეული მეზღვაური ჩვენს დანახვამზე წამოხტომას შეეცადა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურებული კაპიტანი მივარდა, ჩაარტყა და ისევ მიწას განართხო, ნავში მჯდომს კი დაუყვირა - დაგვნებდი, თორემ სულს გაგაფრთხობინებთო.

როგორც ეტყობა, ეს ერთი იმ სამთაგანი იყო, რომლებიც დანარჩენებივით ხალისით არ ჩაბმულან ამბოხებაში, ამიტომაც არათუ ადვილად დაგვნებდა, შემდეგ გულწრფელად შემოგვიერთდა კიდევ.

ამასობაში პარასკევა და კაპიტნის თანაშემწე ჩინებულად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს, ასე ძახილ-ძახილ კარგა შორს გაიტყუეს მეზღვაურები და ისე დაქანცეს, რომ დაღამებამდე ვერასგზით ვეღარ მიაღწევდნენ თავიანთ ნავამდე. თვითონაც არაქათგამოლეულნი დაბრუნდნენ სახლში.

რამდენიმე საათი გავიდა მას შემდეგ, რაც პარასკევა დაბრუნდა, ისინი კი არ ჩანდნენ. ბოლოს გამოჩნდნენ, ნავისკენ მოდიოდნენ. გვესმოდა, როგორ გასძახოდნენ წინანი ჩამორჩენილებს, ფეხს აუჩქარეთო.

ბოლოს, როგორც იყო, მიადგნენ ნავს. ძალა არ მეყოფა გადმოგცეთ მათი შეშფოთება, როცა ხმელეთზე იხილეს ცარიელი ნავი (მიქცევა დაწყებულიყო და წყალს დაეკლო). გვესმოდა, როგორ საწყლად გასძახოდნენ ერთმანეთს: მოჯადოებულ კუნძულზე მოვხვდით, ან ყაჩაღები ბინადრობენ აქა და ისინი დახოცავდნენ ჩვენს ამხანაგებს, ან არადა ჭინკები და ავი სულები წაიყვანდნენ და მოსპობდნენო.

დიდხანს ყვიროდნენ, ეძახდნენ თავიანთ ორ ამხანაგს, მაგრამ პასუხი არ იყო. საღამოს ბინდბუნდში ძლივს ვარჩევდით, როგორ დარბოდნენ აქეთ-იქით. ხელებს იმტვრევდნენ; უცებ ნავს მივარდებოდნენ და დასასვენებლად ჩამოსხდებოდნენ, მერე ისევ წამოცვივდებოდნენ და ისევ სირბილს მოჰყვებოდნენ. ასე გაგრძელდა კარგა ხანს.

ჩემიანებს ძლივს ვაკავებდი: შებნეულა თუ არა, მაშინვე მთხოვეს, თავს დავესხათო. მაგრამ მე უფრო ხელსაყრელ შემთხვევას ველოდი, სისხლისღვრას ვერიდებოდი. მით უმეტეს, ვიცოდი, ისინი კარგად შეიარაღებულნი იყვნენ და მეშინოდა, ხალხი არ მომიკლან-მეთქი. პა-

რასკევასა და კაპიტანს ვუბრძანე, მიწას გართხმოდნენ, ცოცვით, შემჩნევლად, რაც შეიძლება ახლო მისულიყვნენ და მხოლოდ შემდეგ ესროლათ თოფი.

დიდხანს არ დასჭირვებიათ ასე ცოცვა, რადგან მალე წაადგათ თავზე ამბოხების მოთავე და სულისჩამდგმელი ბოცმანი, რომელსაც თან გამოეყოლებინა ორი მეზღვაური და მთავარ ჯგუფს დაშორებულნი, მოუსვენრად მოდიოდნენ. კაპიტანმა ხმით იცნო იგი და ძლივს შეიკავა თავი, რომ ახლოს მოეშვა და დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად ის იყო. როგორც კი გაუსწორდნენ არამზადები, პარასკევა და კაპიტანი წამოცვივდნენ და მყისვე თოფი დაახალეს.

ბოცმანს იქვე ამოხდა სული, მეორე მეზღვაური დაიჭრა და ძირს დაეცა ბოცმანის გვერდით, თუმცა რამდენიმე საათს კიდევ იცოცხლა; მესამე მეზღვაური კი გაიქცა.

გავარდა თუ არა თოფი, მე მაშინვე დავძარი მთელი ჩემი არმია, რომელიც ამჟამად რვა კაცს შეადგენდა, - სახელდობრ: მე თვითონ - გენერალისიმუსი, პარასკევა - გენერალ-ლეიტენანტი, კაპიტანი თავისი ორი ამხანაგით და ის სამი ტყვე, რომელთაც ჩვენ იარაღი ვანდეთ.

უკვე ბნელოდა, როცა წავადექით. ისინი ვერა გვხედავდნენ, რამდენი ვიყავით. მე ვუბრძანე იმ მეზღვაურს, რომელიც ნავში შევიპყართით და შემდეგ გადმოვიბირეთ, თავისი ამხანაგები სახელებით გამოეძახებინა, რათა მოლაპარაკება გამემართა და როგორმე მშვიდობიანად დამემთავრებინა ყველაფერი. როგორც მსურდა, სწორედ ისე მოხდა. ასეთ დღეში ჩავარდნილი ხალხისათვის უსიტყვოდ დანებება სრულიად ბუნებრივი იყო.

მეზღვაურმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუღრიალა ერთ თავის ამხანაგს:

- თომ სმით! თომ სმით!

- ვინ არის, რობინზონი ხარ? - ეტყობა, ხმაზე იცნო.

პირველმა უპასუხა:

- ჰო, მე ვარ, მე ვარ: თომ სმით, თუ ღმერთი გწამს, იარაღი დაჰყარეთ და დანებდით, თორემ ახლავე ყველას ამოგწყვეტენ.

- მერე, ვის უნდა დავნებდე? - იკითხა სმითმა.

- აქ არიან, აქა, - უპასუხა პირველმა, - აქ არის ჩვენი კაპიტანი ორ-
მოცდაათი კაცის თანხლებით. ორი საათია თქვენ დაგდევენ. ბოცმანი
მოკლეს, უილი ფრაიც დაჭრილია, მეც შემიპყრეს. თუ არ დანებდით,
იცოდეთ, დაიღუპებით.

- მერე შეგვიწყალებენ? - იკითხა თომ სმითმა, - თუ შეგვიწყალებენ,
დავნებდებით.

- დაიცა, ჯერ კაპიტანს ვკითხო, - რობინზონი კაპიტანთან მივიდა.

კაპიტანმა თვითონვე გასძახა სმითს:

- ჰეი, სმით, ჩემს ხმას ხომ იცნობთ? თუ დაუყოვნებლივ დაყრით ია-
რალს და დაგვნებდებით - შეგიწყალებთ. უილი ატკინსის გარდა, ყვე-
ლას შეგინდობთ.

ახლა უილი ატკინსმა დაიყვირა:

- კაპიტანო, თუ ღმერთი გწამთ, შემიწყალებთ: ასეთი რა დავაშავე?
ეგენიც ხომ ჩემნაირი დამნაშავენი არიან!

სხვათა შორის, ეს არ იყო მართალი. ამბოხების დაწყებისთანავე
უილი ატკინსი თურმე პირველი მივარდა კაპიტანს მხეცურად და ლან-
ძღვა-გინებით ხელები შეუკრა. მიუხედავად ამისა, კაპიტანმა მაინც
უთხრა, ახლა დაყარე იარაღი და ვნახოთ, გუბერნატორი თუ შეგიწყა-
ლებსო. გუბერნატორს მე მიწოდებდნენ.

ერთი სიტყვით, ყველამ დაყარა იარაღი და პატიება გვთხოვეს. მა-
შინ მე ჩვენი შუამავალი მებღვაური გავგზავნე და კიდევ ორი კაცი გა-
ვაყოლე, რომ მათთვის ხელ-ფეხი შეეკრათ. ამის შემდეგ ჩემი ორმოც-
დაათმეომრიანი არმია, რომელიც,

სინამდვილეში, იმ სამ წარგზავნილთან ერთად რვა კაცს შეადგენ-
და, წინ დაიძრა და ჩაიბარა ტყვეებიცა და ნავიც. მე და პარასკევა სა-
ხელმწიფოებრივი მოსაზრებების გამო არ გამოვჩენილვართ.

მებღვაურები მწარედ ინანიებდნენ და მხურვალედ ემუდარებოდ-
ნენ კაპიტანს, ნუ დაგვხოცავთო. კაპიტანმა უპასუხა, რომ პატიება მისი
საქმე არ იყო, არამედ კუნძულის მბრძანებლისა, რადგანაც ისინი გუ-
ბერნატორის ტყვეები იყვნენ.

- თქვენ გეგონათ, რომ უკაცრიელ კუნძულზე გადმომაგდეთ, მაგ-

რამ ღმერთმა ასე არ ინება. მისი წყალობით, კუნძული დასახლებულია და გუბერნატორიც ინგლისელი ჰყავს. გუბერნატორმა თუ მოისურვა, ახლავე ყველას ჩამოგახრჩობთ. მაგრამ მან შევიბრაღათ და განზრახული აქვს, ინგლისს გაგვზავნოთ, სადაც კანონიერ სასჯელს მიიღებთ. უილი ატკინსს კი გუბერნატორი ურჩევს, სიკვდილისათვის მოემზადოს, რადგან მისი ბრძანებით ხვალ დილით ჩამოახრჩობენ.

მართალია, ყველაფერი ეს კაპიტნის მოგონილი იყო, მაგრამ სასურველი შედეგი გამოიღო. ატკინსი მუხლებზე დავარდა და კაპიტანს შეეხვეწა, გუბერნატორს ჩემი თავი შეავედრეო. სხვებიც ემუდარებოდნენ, ღვთის გულისათვის, ინგლისში ნუ გაგვზავნიდით.

ჩემი აზრით, უკვე დაჰკრა გათავისუფლების ჟამმა, ახლა ძალიან ადვილი იქნებოდა ამ ყმაწვილების დაყოლიება, რათა გემის დაპყრობაში მოგვეშველებოდნენ. მე კიდევ უფრო დავშორდი მათ, სიბნელეში მივიმალე, რათა არ დაენახათ, როგორი გუბერნატორი ვიყავი, და კაპიტანს მოვუხმე. ჩემი ხმა რომ გაიგონა, წინასწარ გაფრთხილებული ერთ-ერთი ჩვენგანი კაპიტანთან მივიდა და მოახსენა:

- კაპიტანო, გუბერნატორი გეძახით.

კაპიტანმა მყისვე უპასუხა:

- მოახსენეთ მის აღმატებულებას, რომ ახლავე ვეახლები.

ამან კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. დარწმუნდნენ, რომ გუბერნატორი თავისი ორმოცდაათი კაციტ მართლაც აქვე იყო, ახლომახლო.

კაპიტანი რომ მოვიდა, მე გემის დაპყრობის გეგმა გავაცანი. იგი აღტაცებაში მოვიდა და გადაწყვიტა, მეორე დილითვე შეესრულებინა.

მაგრამ, უფრო მარჯვედ რომ განგვეხორციელებინა ეს გეგმა და სრულ გამარჯვებაში ვყოფილიყავით დარწმუნებული, მე მას ვუთხარი, რომ ტყვეების დანაწილება და განცალკევება იყო საჭირო. ატკინსი და კიდევ ორი გამოუსწორებელი გარეწარი ხელ-ფეხშეკრული უნდა გაგვგზავნა გამოქვაბულში, სადაც სხვა ტყვეები გვყავდა. ეს საქმე დავეალა პარასკევასა და კაპიტნის ორ ამხანაგს.

მათ მიიყვანეს ტყვეები გამოქვაბულში, რომელიც ახლა ციხედ იქცა, და რომელიც მართლაც რომ მეტად გულშემაღონებელი იყო, მით უმეტეს ასეთი ხალხისათვის. დანარჩენები გაგვზავნე ჩემს სააგარაკო

კარაუში.

მეორე დღეს, დილით, ტყვეებთან მოსალაპარაკებლად კაპიტანი გავგზავნე, რომელსაც უნდა გამოერკვია და ჩემთვის მოეხსენებინა, შეიძლებოდა თუ არა მათი ნდობა და მათთან ერთად გემზე თავდასხმა. კაპიტანმა დაარწმუნა ამბოხებულები, თუ მოგვეხმარებით გემის დაპყრობაში, გუბერნატორი თქვენს პატიებას თვითონ ითავდებებსო.

ყველა მიხვდა, თუ რა სიხარულით მიიღებდა ამ წინადადებას ასეთ დღეში ჩავარდნილი ხალხი. მუხლებზე დავარდნენ კაპიტნის წინაშე და დაიფიცეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მისი ერთგულები იქნებოდნენ.

კაპიტანმა შემატყობინა მოლაპარაკების შედეგი და გადმოცა, ნამდვილად მჯერა იმათი ერთგულებისო.

მაგრამ, უფრო გულდამშვიდებული რომ ვყოფილიყავით, კაპიტანს ვუთხარი, გაბრუნებულიყო და იმ ჯგუფიდან ხუთი კაცი ამოერჩია, რომლებსაც იგი განუცხადებდა, რომ ჩვენ ხალხის ნაკლებობას კი არ განვიცდიდით, არამედ თანაშემწეებად იყვანდა კაპიტანი მათ, ხოლო დანარჩენი ორი მეზღვაური ციხე-კოშკში (ჩემს გამოქვაბულში) გამოკეტულ სამ ტყვესთან ერთად მძევლებად ეყოლებოდა გუბერნატორს, მათი ამხანაგების ერთგულების საწინდრად: თუ ამორჩეულმა მეზღვაურებმა ერთგულების ფიცი დაარღვიეს, მაშინ მძევლებს ჩამოახრჩობდნენ.

ეს იყო მკაცრი ღონისძიება. მეზღვაურები მიხვდნენ, რომ უნდა მიეღოთ ეს წინადადება. ახლა მძევლები და კაპიტანი ყოველნაირად უნდა ცდილიყვნენ, შთაეგონებინათ იმ ხუთი მეზღვაურისათვის, რომ პატიოსნად შეესრულებინათ დავალება.

ამრიგად, აი რა ძალებსა ვფლობდი ამ ექსპედიციაში: 1. კაპიტანი, მისი თანაშემწე და ერთი მგზავრი; 2. ორი ტყვე პირველი ჯგუფიდან, რომელთაც მე კაპიტნის დახასიათების შედეგად თავისუფლება მივანიჭე და იარაღს ვანდობდი, 3. კიდევ ორი მეზღვაური, რომლებიც აქამდე ქვაბულში მყავდა ხელ-ფეხშეკრული, მაგრამ კაპიტნის თხოვნით ახლა გავათავისუფლე; 4. ახლახან გათავისუფლებული ხუთი მეზღვაური. ესე იგი მთლიანად თორმეტი კაცი. ამათ გარდა, ხუთი კაცი გამოქვაბულში გვყავდა მძევლად.

გადავწყვიტე, ხუთი მძევალი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მყო-

ლოდა გამოქვაბულში. პარასკევა დღეში ორჯერ შევიდოდა მათთან და საჭმელ-სასმელს მიუტანდა. დანარჩენი ორი მეზღვაური გარკვეულ მანძილზე მიიტანდა სანოვაგეს და იქიდან პარასკევას მიჰქონდა ხოლმე.

ორ მძევალთან კაპიტნის თანდასწრებით გამოვიჩნდი, კაპიტანმა მძევლებს განუცხადა, რომ მე გუბერნატორისაგან ნაბრძანები მქონდა, თვალყური მედევნებინა მათთვის. თუ გაბედავდნენ ურჩობას, კოშკში მიიყვანდნენ და რკინის ხუნდებს დაადებდნენ.

კაპიტნისათვის ახლა ძნელი არ იყო, ის ორი ნავი მოემზადებინა, შეეკეთებინა და ხალხი გაენაწილებინა. ერთ-ერთი ნავის კაპიტანად თავისი მგზავრი დანიშნა და ოთხი კაცი ჩააბარა. თვითონ, მისი თანაშემწე და ხუთი მეზღვაური მეორე ნავში მოთავსდნენ.

საქმე ჩინებულად შეასრულეს, რადგან ხერხი იხმარეს და შუალამისას მიადგნენ გემს. ისეთ მანძილზე რომ მიუახლოვდნენ, საიდანაც ხმას გააგონებდნენ, კაპიტანმა რობინზონს უბრძანა, გამოლაპარაკებოდა, ეთქვა მათთვის, რომ ნავიც და ხალხიც მოიყვანეს, თუმცა დიდი ხანი მოუნდნენ მათ ძებნას და ასე შემდეგ. მას ლაპარაკით უნდა შეექცია გემში მყოფნი, სანამ მეორე ნავი მიადგებოდა.

კაპიტანი და მისი თანაშემწე პირველნი აცვივდნენ გემის ბანზე, მეორე თანაშემწესა და დურგალს მუშკეტის კონდახი ჩასცხეს და წააქციეს. თავიანთი მეზღვაურების გულითადი მხარდაჭერის საშუალებით ტყვედ ჩაიგდეს მთავარ და უკანა გემბანზე მყოფნი, ქვევიდან ამოსასვლელი კარები კი დაკეტეს. ამასობაში მეორე ნავიც მიადგა გემს; ამათ გემის წინა მხარე აიღეს და სამი კაცი შეიპყრეს.

ამას რომ მორჩნენ, კაპიტანმა თავის თანაშემწეს უბრძანა, სამი მეზღვაურის თანხლებით იმ კაიუტის კარი შეემტვრია, სადაც ამბოხებულთა კაპიტანს ეძინა. განგაშზე იგი წამოვარდნილიყო და ორი მეზღვაურისა და იუნგის დახმარებით, თოფით ხელში, თავდასაცავად ემზადებოდა. როცა თანაშემწემ რკინის კეტით კაიუტის კარები შეამტვრია, ახალმა კაპიტანმა და მისმა მხლებლებმა გაბედულად დაახალეს თოფები. თანაშემწე მუშკეტის ტყვიით დაიჭრა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია ჭრილობას, კაიუტაში შევარდა და ახალ კაპიტანს ზედ თავში დაახალა დამბაჩა. ეს რომ დაინახეს სხვებმა, მაშინვე დანებდნენ: გემი უკვე დაპყრობილი იყო. მეტი სისხლი აღარ დაღვრილა.

გემის დაპყრობისთანავე კაპიტანმა ბრძანება გასცა, შვიდჯერ გაეს-

როლათ ზარბაზანი. ეს იყო ჩვენი დათქმული ნიშანი, რომელსაც, თუ გაიმარჯვებდნენ, მაშინ მოგვცემდნენ. დამერწმუნეთ, როგორ გამახარებდა ამის მოსმენა. მთელი ღამე, დაახლოებით დილის ორ საათამდე, ნაპირზე ვიდექი და ამ ნიშანს ველოდი.

როგორც კი მოვისმინე ზარბაზნის ხმა, დავეგდე და მთელი დღის ღელვითა და ჯაფით დამაშვრალს, მაშინვე მაგრად ჩამეძინა.

თოფის ხმამ გამაღვიძა. მყისვე წამოვვარდი. ვილაც მეძახდა. „გუბერნატორო! გუბერნატორო!“ მაშინვე ვიცანი, - კაპიტანი მეძახდა გორაკიდან. საჩქაროდ ავვარდი მაღლა. კაპიტანმა გემი დამანახვა და გადამეხვია:

- ჩემო ძვირფასო მეგობარო და მხსნელო, - თქვა მან. - აჰა, თქვენი გემი. იგი თქვენ გეკუთვნით, და ჩვენც, გემის მთელი შემადგენლობა, თქვენს განკარგულებაში ვართ.

გემს გადავხედე. ნაპირიდან სულ რაღაც ნახევარი მილის მოშორებით იდგა. სიხარულის ელდამ ლამის გრძნობა წამართვა. თვალნათლივ ვხედავდი თავისუფლებას. ყველაფერი კარგად მოეწყო. დიდი ხომალდი აქვე იდგა და, საითაც მოვისურვებდი, იქით შემეძლო წასვლა. კარგა ხანს ვერ მოვახერხე ხმის ამოღება. კაპიტანს რომ ხელი არ შეეგებებინა, იქვე ჩავიკეცებოდი.

ჩემი მღელვარება რომ შენიშნა, კაპიტანმა მყისვე საგანგებოდ ჩემთვის წამოღებული პატარა ბოთლი ამოიღო ჯიბიდან და გულის გასამაგრებელი რაღაც სასმელი დამალევინა. სასმელმა ცოტათი გამომაფხიზლა. მიწაზე დავჯექი, მაგრამ ხმის ამოღება მაინც დიდხანს ვერ მოვახერხე.

მერე ერთბაშად მომასკდა სიხარულის ნიაღვარი მკერდში და ავტირდი. ახლა ჩემი ჯერი დადგა: გადავხედე ჩემს დამხსნელს და დიდად გავიხარეთ.

მოტანილ ნივთთა შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს მთელი ყუთი მშვენიერი მაგარი სასმელები, ექვსი დიდი ბოთლი მადეირას ღვინო, ორი გირვანქა საუცხოო თამბაქო, თორმეტი დიდი ნაჭერი ცხვრის ხორცი და ექვსი ნაჭერი ღორის ღორი, მთელი ტომარა ლობიო და ას გირვანქამდე ორცხოებილა.

მომართვეს აგრეთვე ერთი ყუთი შაქარი, ერთი ყუთი ფქვილი, მთე-

ლი ტომარა ლიმონი, ორი ბოთლი ლიმონის წვენი და კიდევ ბევრი რამე. ასევე, რაც ათასჯერ უფრო გამოსადეგი და მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის: ექვსი ახალი პერანგი, ექვსი მშვენიერი ყელსახვევი, ორი წყვილი ხელთათმანი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ქუდი, ერთი წყვილი წინდა და თავისივე ნახმარი მშვენიერი კოსტიუმი. ერთი სიტყვით, თავით-ფეხებამდე გამომაწყო.

ყველა თქვენგანი წარმოიდგენს, რა ძვირფასი საჩუქარი იქნებოდა ეს, მაგრამ ალბათ არაფერი იქნება ქვეყანაზე ისეთი უსიამოვნო, უხერხული და მოუხეშავი, როგორც ეს ტანსაცმელი მეჩვენა პირველად, როცა ჩავიცვი.

ამ ცერემონიის შემდეგ, როცა სახლში შევიტანეთ საჩუქრები, ბჭობა გავმართეთ, თუ რა უნდა გვექნა ტყვეებისათვის. ღირდა კიდევ ბჭობად, რადგან ძნელი გადასაწყვეტი იყო - შეიძლებოდა თუ არა, გაგვებედა მათი თან წაყვანა, განსაკუთრებით ორი მათგანისა, რომლებიც ყოვლად გამოუსწორებელი არამზადები იყვნენ.

კაპიტანს მივმართე: თქვენი სურვილიც თუ იქნება, მე ვკისრულობ, იმ ორ გარეწარს თვითონვე შევახვეწინო, კუნძულზე დამტოვეთო.

პარასკევასა და ორ მძევალს დავავლე, გამოქვაბულში მისულიყვნენ, ის ხუთი ტყვე ჩემს აგარაკზე მიეყვანათ და იქ დამლოდებოდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეც იქ გამოვცხადდი ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი. მერე ვკითხე, თავს რით იმართლებთ-მეთქი. ერთმა მათგანმა დანარჩენების სახელითაც მომახსენა: რალა გვეთქმის, გარდა იმისა, რომ კაპიტანმა სიცოცხლის შენარჩუნება აღგვითქვა, და თქვენგანაც ახლა მორჩილად მოველით შეწყალებასო.

ამაზე ვუპასუხე, გადაწყვეტილი მაქვს კუნძული დავტოვო და მთელი ჩემი ხალხით ინგლისს გავემგზავრო კაპიტნის გემით. რაც შეეხება კაპიტანს, იგი ისე არ წაგიყვანთ, თუ ბორკილები არ დაგადლოთ, როგორც ნამდვილ პატიმრებს, ხოლო ინგლისში სამართალში მიგცემთ ამბოხების მოწყობისა და გემის გატაცებისთვის, - ამას კი, თქვენ თვითონვე უნდა იცოდეთ, სახრჩობელა მოსდევს. ამრიგად, აღარ ვიცი, რა აჯობებს თქვენთვის. თუ მოისურვებთ აქ დარჩენას - ჩემი სურვილიც ეგ არის - შეგიწყალებთ. მე პირადად კი აქედან მივემგზავრები-მეთქი.

თქვეს: გვირჩევნია გავრისკოთ და აქ დავრჩეთ, ინგლისს რომ გამოგვეთ, ჩამოგვახრჩობენო.

კაპიტანმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერ ბედავდა მათ დატოვებას კუნძულზე. მეც თითქოს ვიწყინე ეს, კაპიტანზე გავბრაზდი და განვუცხადე: ესენი ჩემი ტყვეები არიან და არა თქვენი, ხოლო, რაკი ამდენი წყალობა მოვიღე მათზე, არც სიტყვას გავტეხ-მეთქი. თუ თქვენ მიზანშეწონილად არ მიგაჩნიათ დათანხმება, ახლავე გავათავისუფლებ მათ და რამდენიც გენებოთ სდიეთ ხელახლა შესაპყრობად.

ამის შემდეგ კიდევ უფრო მადლიერი დარჩნენ ისინი. მეც, შეპირებისამებრ, ბორკილები მოვახსნე და თავისუფლება მივანიჭე. ვუბრძანე, ტყეში გაილაღეთ, საცა შეგიპყარი-მეთქი. თან აღვუთქვი, რომ რამდენიმე თოფსა და ცოტაოდენ

ტყვია-წამალს დავუტოვებდი, აგრეთვე რჩევა-დარიგებასაც მიცემდი. ასე რომ, თვითონაც თუ მოისურვებდნენ, მშვენივრად იცხოვრებდნენ.

ამას რომ მოვრჩი, კაპიტანს ვთხოვე, გემზე წასულიყო და ყველაფერი მოემზადებინა, მეორე დილით კი ჩემთვის ნავი გამოეგზავნა.

კაპიტნის წასვლის შემდეგ კუნძულზე დარჩენილები შინ მივიწვიე და სერიოზული საუბარი გავუბი თავიანთი მდგომარეობის შესახებ: კარგი არჩევანი გააკეთეთ, კაპიტანს რომ გაჰყოლოდით, ჩამოხრჩობას ვერ ასცდებოდით-მეთქი.

როცა ტყვეებმა კუნძულზე დარჩენის სურვილი განაცხადეს, შევპირდი, მთელ ჩემს თავგადასავალს გიამბობთ და ამრიგად გაგიადვილებთ კუნძულზე ცხოვრებას-მეთქი. მართლაც, ყველაფერი ვუამბე; როგორ მოვხვდი აქა და როგორ ვცხოვრობდი. ვაჩვენე ჩემი ციხესიმაგრე, ვასწავლე, როგორ ვაცხოვობდი პურს, როგორ ვთესავდი ყანას, როგორ ვახმობდი ყურძენს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ვუთხარი, რაც კი შეუძლებოდა მათ ცხოვრებას. იმ თექვსმეტი ესპანელის თავგადასავალიც ვუამბე, რომლებიც შესაძლებელია მოსულიყვნენ აქა. ესპანელებს წერილი დავუტოვე და ამათ პირობა ჩამოვართვი, ისევე მოეპყართ, როგორც თავისიანებს ეპყრობიან-მეთქი.

მთელი ჩემი აღჭურვილობაც დავუტოვე. აღვუთქვი, როგორმე კაპიტანს დავიყოლიებ და მოვაცემინებ კიდევ ორიოდე პატარა კასრდენტსა და ბოსტნეულის თესლს, რაც, მეც რომ მქონოდა, დიდად გამახარებდა-მეთქი. ამათვე დავუტოვე ერთი პარკი ლობიო, რომელიც კაპიტანმა მომიტანა და გავაფრთხილე, დაეზოგათ და სათესლედ ეხმარათ.

ყველაფერს რომ მოვრჩი, ისინი იქვე დავტოვე და გემისაკენ გავე-
წიე. დაუყოვნებლივ შევუდექით გასამგზავრებლად მზადებას, მაგრამ
იმ ღამეს მაინც ვერ მოვასწარიტ წასვლა. მეორე დილას, უთენია, იმ
ხუთიდან ორი კაცი მოადგა ცურვით

გემს. საცოდავად დაიღრიჯნენ და შეგვევედრნენ: ღვთის გულისათ-
ვის, ნუ დავტოვებთ, თუნდაც ახლავე ჩამოგვახრჩონ, სულერთია, აქ
სიცოცხლე მაინც არ გვიჩერიაო.

კაპიტანმა ისე მოაჩვენა თავი, თითქოს უჩემოდ მათი შევრდომების
უფლება არა ჰქონდა. დიდი ხვეწნის შემდეგ აღქმა დავადებინეთ, რომ
გამოსწორდებოდნენ და შევივრდომეთ. მერე კარგა მაგრად გავჯოხეთ
და იქიდან მოყოლებული, მართლაც რომ პათიოსანი და უწყინარი ჭა-
ბუკები გახდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მიქცევა განახლდა, ნაპირზე ნავი
გავგზავნეთ, კუნძულზე მყოფთ შეპირებული ნივთები გადავუტანეთ.
ჩემი შუამდგომლობით, კაპიტანმა იმათი სკივრები და ტანსაცმელიც
გაატანა, რისთვისაც დიდად მადლობელნი დარჩნენ. ამის გარდა, მე
გავამხნევე კიდევ ტყვეები: თუ აქეთ მომავალ გემს გადავეყარე, არ
დაგივიწყებთ, უსათუოდ დავავალე, გამოგიარონ და წამოგიყვანონ-
მეთქი.

სამახსოვროდ გემზე ავიტანე თხის ტყავის წოწოლა ქუდი, ქოლგა
და თუთიყუში. არ დამვიწყებია ფულის წამოღება, რომელიც იმდენ
ხანს ეყარა უსარგებლოდ, რომ უკვე ჟანგი მოჰკიდებოდა და ჩაშავებუ-
ლიყო - თუ არ გავაპრიალედი, ვერცხლად არც კი გავიდოდა. ამასვე
დაემატა ესპანურ გემზე ნაპოვნი ფულიც.

ამგვარად, გემის კალენდრის მიხედვით 1686 წლის 11 ივნისს, ოც-
დათხუთმეტი წლის შემდეგ, პირველად მივადექი ინგლისს.

*

ინგლისში ჩასვლის შემდეგ თავს ნამდვილი უცხოელივით
ვერძნობდი. ჩემი კეთილისმყოფელი და ერთგული მნე ქალი, რომ-
ლისთვისაც ფული მქონდა დატოვებული, ცოცხალი დამიხვდა, მაგრამ
მეორედ დაქვრივებულიყო და დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. დავამ-
შვიდე, ძველი ერთგულებისა და გულმონწყალების სამაგიეროდ, რო-

გორც კი შემიძლია, ხელს გაგიმართავ-მეთქი. მაგრამ ჩემი შეძლება მაშინ მეტისმეტად შეზღუდული იყო. აღვუთქვი; თქვენს სიკეთეს ჩემს დღეში არ დავიფიქვებ-მეთქი. არც დამიფიქვინია, როცა მისთვის ხელის გამართვის საშუალება მომეცა...

შემდეგ იორკშირისკენ გავწიე. ჩემი მშობლები და მთელი ჩემი გვარი ამოწყვეტილიყო. დამხვდა ორი ძმისწული და ორი და. მე კარგა ხნის დაღუპული ვეგონე ყველას და მემკვიდრეობა ჩემთვის არ დაეტოვებინათ. ერთი სიტყვით, მშველელი არავინ იყო, ჩემი ფულით კი ვერ დავსახლდებოდი.

ასეთ დღეში რომ ვიყავი, წავაწყდი ნამდვილი მადლიერების გამოვლინებას, რომელსაც სულაც არ ველოდი. გემის კაპიტანმა, რომელიც მე უბედურებისაგან ვიხსენი, თავის პატრონებს დაწვრილებით უამბო ყველაფერი - როგორ გადავარჩინე გემი, ხალხი და ტვირთი. გემის მეპატრონეებმა თავიანთ ვაჭრებთან ერთად მიმიწვიეს, ბევრი ტკბილი სიტყვა მითხრეს და მთელი ორასი გირვანქა სტერლინგი მომიძღვნეს.

მაგრამ, კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი, რა ძნელი იქნებოდა ჩემი დასახლება ინგლისში, გადავწყვიტე, ლისაბონში წავსულიყავი და მეცადა გამეგო, რა ბედი ეწია ჩემს პლანტაციას ბრაზილიაში, ან ჩემს ამხანაგს რა მოუვიდა, რომელიც ალბათ უკვე დიდი ხნის დაღუპულად მთვლიდა.

გემში ჩავჯექი და აპრილში უკვე ლისაბონში ვიყავი. თან მახლდა ჩემი მსახური პარასკევა.

ლისაბონში კითხვა-კითხვით მივაგენი ჩემს ძველ მეგობარ კაპიტანს, რომელმაც ერთხელ აფრიკის სანაპიროებიდან წამომიყვანა გემით. მოხუცებულიყო და ზღვა მიეტოვებინა. გემი კი გადაელოცა თავისი შვილისათვის. ის ბრაზილიაში ვაჭრობდა. შვილიც ტაბუკობის ასაკს გადაცილებული იყო. მოხუცმა კაპიტანმა ვერ მიცნო, მეც ძლივს ვიცანი.

თბილი მოკითხვის შემდეგ გამოვკითხე ჩემი პლანტაციის და ამხანაგის ამბავი. მოხუცმა მიპასუხა, უკვე ცხრა წელიწადია ბრაზილიაში არ ვყოფილვარ. უკანასკნელი მგზავრობის დროს კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, იგი ცოცხალი იყო, ხოლო ის პირები, რომელთაც თქვენ მეურნეობის მეთვალყურეობა მიანდეთ, ორივენი დაიხოცნენო. თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ პლანტაციიდან კარგ შემოსავალს

მივიღებდი, რადგან, როცა უკვე დაღუპულად ჩამთვალეს, ჩემმა მეურვეებმა მთელი ჩემი შემოსავლის აღრიცხვა სახელმწიფო მოხელეს მიანდეს, რომელმაც გადაწყვიტა, თუკი არ გამოვჩნდებოდი, ჩემი ქონების ერთი მესამედი სახელმწიფოსათვის გადაეცა, დანარჩენი ორი მესამედი კი წმ. ავგუსტინეს მონასტრისათვის; ხოლო თუ გამოვჩნდებოდი, ვალდებული იყვნენ, მთელი ქონება გადმოეცათ, გარდა იმ წლიური შემოსავლისა, რომელიც საქველმოქმედო საქმეებზე დაიხარჯა. იგი მარწმუნებდა, რომ სახელმწიფო მოხელეცა და მონასტრის მწევრეტაღურად აწარმოებდნენ შემოსავლის ყოველწლიურ აღრიცხვას.

მე ვკითხე, მაინც რას შეიცავდა ჩემი პლანტაციის შემოსავალი, ღირდა თუ არა მისი მოკითხვა ან როცა იქ ჩავიდოდი, ნამდვილად თუ მოვახერხებდი უფლებების აღდგენას ჩემს წილ ქონებაზე?

- ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენით გაიზარდა თქვენი პლანტაციის შემოსავალი, ის კი ვიცი, რომ თქვენმა ამხანაგმა თავისი პლანტაციით უზომო სიმდიდრე დააგროვა. თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ყური მოვკარი, რომ სახელმწიფოსათვის გადაცემული ერთი მესამედი თქვენი ქონებისა, რომელიც მონასტრისათვის შეუწირავთ, ყოველწლიურად ორას მოიდორზე მეტს იძლევა. რაც შეეხება თქვენს უფლებებს: ჯერ ერთი, თქვენი ამხანაგი ცოცხალია და ის დაგიმორწმებთ, მეორეც - თქვენი გვარი იქაურ პლანტატორთა სიაში წერია.

მანვე მითხრა, რომ ჩემი ორი მეურვის შვილები მეტად პატიოსნები, სამართლიანები და მდიდრები იყვნენ. ისინი არათუ ჩემი უფლებების აღდგენაში დამეხმარებოდნენ, არამედ კარგა დიდ თანხასაც გადმომცემდნენ - ჩემი პლანტაციის მთელი თორმეტი წლის შემოსავალს, სანამ სახელმწიფოს გადაეცემოდა და სანამ მას მათი მამები განაგებდნენ.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა და მეწყინა კიდევ. მოხუც კაპიტანს ვკითხე, ასე რად მოიქცნენ მეურვეები, აკი ჩემი ანდერძით ჩემი ერთადერთი მემკვიდრე თქვენ იყავით-მეთქი.

- მართალი ხართ, - მიპასუხა მან, - მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, ნამდვილად დაიღუპეთ თუ არა, და სანამ არ დავრწმუნდებოდით, თქვენს ქონებას ვერ დავეპატრონებოდი. ეგეც არ იყოს, არ მინდოდა ხელი მომეკიდა ამ საქმისათვის - ამ სიშორეს. თქვენი ანდერძი კი წარვადგინე და ჩემი უფლებებიც. ამრიგად, დანამდვილებით რომ მცოდნოდა, ცოცხალი იყავით თუ მკვდარი, მე მინდობილობას წარვადგენდი და ingenio-ს (ასე ეძახდნენ შაქრის ქარხანას) მფლობელი გავხდებოდი...

კიდევ უნდა გითხრათ ერთი რამ, რაც ალბათ ისეთი სასიამოვნო არ იქნება, როგორც დანარჩენი ცნობები: თქვენმა ამხანაგმა და მეურვეებმა, რაკი დარწმუნდნენ თქვენს დაღუპვაში - ამაში დარწმუნებული იყო მთელი ქვეყანა - პირველი ექვსი თუ რვა წლის მოგება მე გადმომცეს. მეც ავიღე. დაწვრილებით ანგარიშს ჩაგაბარებთ - სულ რამდენი მივიღე და რაში დავხარჯე... ასეა თუ ისე, თქვენ არაფერი გაგიჭირდებათ: დაბრუნდება თუ არა, ჩემი ვაჟი მთლიანად გადაგიხდით ვალს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა ძველმა მეგობარმა გადმომცა ჩემი პლანტაციის პირველი ექვსი წლის შემოსავლის ანგარიში, რომელიც დამოწმებული იყო ჩემი ამხანაგისა და მეურვეების მიერ. ამ ანგარიშის მიხედვით, დავრწმუნდი, რომ პლანტაციის შემოსავალი ყოველწლიურად შესამჩნევად იზრდებოდა. მოხუცმა იანგარიშმა და აღმოჩინდა, რომ მას ჩემი ემართა ოთხას სამოცდაათი მოიდლორი ოქროთი, სამოცი ყუთი შაქარი და თხუთმეტი ორმაგი შეკვრა თამბაქო, რაც მის გემთან ერთად დაიღუპა. ეს კი მოხდა თურმე ჩემი წასვლიდან მეთორმეტე წელს, როცა ის ლისაბონში ბრუნდებოდა. კეთილმა მოხუცმა მიამბო, როგორ გახდა იძულებული, ჩემი ფულით აენაზღაურებინა ზარალი.

მოხუცმა კაპიტანმა ასსამოცი პორტუგალიური ოქროს მოიდლორი შემომთავაზა, ხოლო ვალის დანარჩენი ნაწილის თამასუქად მომცა იმ გემის მფლობელობის ქალაქი, რომლითაც მისი ვაჟი ბრაზილიაში იყო გამგზავრებული.

მოხუცის პატიოსნებამ და სიკეთემ გული ამიჩუყა. მომაგონდა ყველაფერი, თუ რა სიკეთე უქნია მას ჩემთვის... ცრემლები ძლივს შევიმაგრე.

მაინც გამოვართვი ასი მოიდლორი, დანარჩენი თანხა დავუბრუნე და დავპირდი, თუ ოდესმე დავიბრუნებ პლანტაციას, ამასაც დავიბრუნებმეთქი. მერე მართლაც ასე მოვიქეცი.

მოხუცმა ჩემი სახელი ოფიციალურ სარეგისტრაციო წიგნში შეატანინა და ფიცით დაამოწმა, რომ მე იგივე პირი ვიყავი, რომელმაც ერთ დროს მიწა შევიძინე ზემოთ ნახსენები პლანტაციის გასაშენებლად.

ეს დაადასტურა ნოტარიუსმა, მანვე შემიმოწმა მინდობილობის ქალაქი, რომელიც მოხუცმა წერილთან ერთად თავის ნაცნობ ბრაზილიელ ვაჭარს გაუგზავნა, მე კი შემომთავაზა მასთან დავრჩენილიყავი პასუხის მოლოდინში.

აღბათ არავინ ისე პატიოსნად არ მოქცეულა, როგორც ის ვაჭარი, რომელსაც მე მინდობილობა გავუგზავნე: შვიდი თვე არც კი გასულა და იმ ვაჭარ-მეურვეების (რომელთა დავალებითაც მე პირველად გავემგზავრე გვინეაში) მემკვიდრეებისაგან მივიღე მოზრდილი პაკეტი, რომელშიც შესაბამისი ქაღალდები ეწყო. პაკეტში იყო ჩემი ამხანაგის წერილიც, რომელიც გულით მილოცავდა გადარჩენას და დაწვრილებით ამიწერდა, თუ როგორ გაიზარდა ჩემი მეურნეობა. გულით მეპატიუხებოდა, ჩამოდი და შენს მეურნეობას დაეპატრონე, მანამდე კი მომწერე, ვის მივანდო შენი ქონებაო. გამომიგზავნა საჩუქრებიც: ლეოპარდის შვიდი მშვენიერი ტყავი, ეტყობა აფრიკიდან ჩამოუტანეს, ხუთი ყუთი საუკეთესო ტკბილეული და ასი გამოუჩარხავი ოქრო, მოიდორბე ცოტათი მომცრო ზომისა.

იმავე გემით მივიღე მეურვე ვაჭრებისაგან გაგზავნილი იმ წლის ანგარიში - 1.200 ყუთი შაქარი, 800 შეკვრა თამბაქო და დანარჩენი ოქრო.

შეუძლებელია გადმოგცეთ, რა მოუვიდა ჩემს გულს, როცა ეს წერილები გადავიკითხე და მთელი ჩემი სიმდიდრე ჩემთან ვიხილე. მოხუცი რომ არ ყოფილიყო და წამალი არ მოეშველებინა, მოულოდნელ სიხარულს ნამდვილად ვერ გავუძლებდი და გული გამისკდებოდა. მერე ექიმი მოიყვანეს. მან სისხლი გამომიშვა. ამან ცოტათი მიშველა და მოვსულიერდი.

ასე უეცრად მე გავხდი მფლობელი ხუთი ათასზე მეტი გირვანქა სტერლინგისა და მამულისა ბრაზილიაში, რომლის წლიური შემოსავალი ათას გირვანქას აღემატებოდა; ხოლო ეს შემოსავალი ისევე ნაღდი იყო, თითქოს ინგლისში მქონოდეს მამული. ერთი სიტყვით, გაოგნებული ვიყავი და არ ვიცოდი, როგორ მესარგებლა, როგორ დავმტკბარიყავი ჩემი მდგომარეობით.

უპირველეს ყოვლისა, სამაგიერო მივუზღე ჩემს მოხუც კაპიტანს: ჯერ ის 100 მოიდორი დავუბრუნე, მერე ნოტარიუსი მოვიხმე და ოფიციალური წესით ის თამასუქი გავაუქმე, რომლის ძალითაც 470 მოიდორი ემართა ჩემი. ამის შემდეგ ნოტარიუსს მინდობილობა შევადგენინე, რაც უფლებას ანიჭებდა კაპიტანს, ყოველწლიურად მიეღო პლანტაციის შემოსავალი ჩემთვის გადმოსაცემად, ხოლო ჩემს ამხანაგს ვავალდებულებდი, მისთვის ჩაეხარებინა ანგარიში და მისთვისვე გადმოეგზავნა გემებით საქონელი. ამას გარდა, ჩემი შემოსავლიდან დავუნიშნე ყოველწლიურად 100 მოიდორი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო სიკვდილის შემდეგ მისი შვილი მიიღებდა წლი-

ურად 50 მოიღორს.

ახლა, მართლაც რომ მეტი საზრუნავი მქონდა, ვირე უდაბურ კუნძულზე. აღარ მქონდა გამოქვაბული, სადაც ფულის დავმალავდი; არ ვიცოდი, სად შემენახა, ვისთვის მიმებარებინა. ერთადერთი მართლაც პატიოსანი ადამიანი ჩემი მფარველი კაპიტანი მეგულეზოდა.

როგორც მაშინ მეჩვენებოდა, ჩემი საქმეები ბრაზილიაში წასვლას მომიწოდებდნენ, მაგრამ ისე როგორ უნდა წავსულიყავი, თუ იქაურ საქმეებს არ მოვაგვარებდი და ქონებას სანდო ხელს არ ჩავაბარებდი. ერთი პირობა ვიფიქრე, ჩემი ძველი მეგობრის ქვრივს დავუტოვებ-მეთქი, რომელიც, ვიცოდი, პატიოსანი ქალი იყო და ჩემი ერთგულიც; მაგრამ ეს ქალი უკვე მოხუცებული იყო და, ამასთან, გადატაკებული, ალბათ - ყელამდე ვალებში.

მოვნახე ლისაბონელი ვაჭარი, რომელსაც ლონდონში წარმომადგენელი ჰყავდა, და ვთხოვე, არა მარტო ფულის გადაცემა დაევალებინა თავისი წარმომადგენლისთვის, არამედ ისიც, რომ პირადად მისულიყო, ჩემი გაგზავნილი ასი გირვანქა სტერლინგი გადაეცა, ენუგეშებინა საბრალო მოხუცი და ეთქვა, რომ სანამ სული მედგა, არ მოვაკლებდი დახმარებას.

ამასთან, ჩემს ორ დასაც ვავუგზავნე სოფელში ას-ასი გირვანქა სტერლინგი. მართალია, ძალიან არ უჭირდათ, მაგრამ არც დალხინებულები იყვნენ: ერთი დაქვრივებულიყო, მეორეს კი ქმარი ისე არ ეპყრობოდა, როგორც წესია.

მაგრამ მთელ ჩემს ნათესავეებსა და ნაცნობებში ერთიც ვერ გამოვარჩიე ისეთი, რომლისთვისაც ქონების მინდობას გავბედავდი და ბრაზილიაში გულდამშვიდებული წავიდოდი.

ერთხანს ვფიქრობდი, სამუდამოდ გადავსახლებულიყავი ბრაზილიაში, რადგან იმ ქვეყნის ქვეშევრდომობა უკვე მიღებული მქონდა; მაგრამ ვორჯოფობი რელიგიის გამო და იმის გამოც, რომ არ ვიცოდი, ვისთვის დამეტოვებინა ჩემი ქონება. ბოლოს, გადავწყვიტე, ინგლისში წავსულიყავი და თან წამეღო. ვიმედოვნებდი, რომ იქ ჩასვლის შემდეგ ან დავუახლოვდებოდი ვინმეს, ან ნათესავს აღმოვაჩენდი, რომელიც მიერთგულებდა.

მოვაგვარე საქმეები, გავყიდე საქონელი და ფული საიმედო ქალღმრთელად ვაქციე. ახლა თავსატეხი ის გამიჩნდა, რა გზით

წავსულიყავი ინგლისში. ზღვას საკმაოდ შეჩვეული ვიყავი, მაგრამ უცნაური წინათგრძობის გამო ზღვით წასვლა არ მინდოდა. გემზე მოთავსებული ბარგი ორჯერ-სამჯერ უკანვე გადმოვადებინე.

მართალია, ბევრი უბედურება მახსოვდა ზღვისაგან და მიზგბად ეგეც კმაროდა, მაგრამ აქ მაინც სხვა იყო: ორივე ხომალდი, რომლებიც მე გასამგზავრებლად ავარჩიე, დაიღუპა. ერთი აღჭირელებმა დაიპყრეს და გაიტაცეს, მეორე კი ტორბეისთან ჩაიძირა და სამი მგზავრის გარდა ყველა დაიხრჩო.

ასე შეშფოთებული რომ მნახა მოხუცმა კაპიტანმა, რომელსაც მე არაფერს ვუმაღავდი, დაბეჯითებით მიჩრია, წავსულიყავი ხმელეთით.

ერთი სიტყვით, გადავწყვიტე მთელი გზა ხმელეთით მევლო და მხოლოდ კალედან დუვრამდე გამეცურა ზღვით. ხოლო, რომ უფრო სახალისო ყოფილიყო მგზავრობა, ჩემმა მოხუცმა კაპიტანმა მგზავრი მომინახა - ერთი ლისაბონელი ვაჭრის შვილი. შევხვდით აგრეთვე ორი ინგლისელ ვაჭარს და ორი პორტუგალიელ ჭაბუკს, რომელთაგან ერთი მხოლოდ პარიზამდე მიდიოდა. ასე რომ, სულ ექვსნი ვიყავით და თან ხუთი მსახური გვახლდა. ვაჭრები და პორტუგალიელი ჭაბუკები თითო მსახურით დაკმაყოფილდნენ, რათა უფრო იაფად გამოსულიყვნენ; მე ერთი ინგლისელი მეზღვაური ავიყვანე მსახურად და პარასკევაც თან მახლდა, რომელსაც ევროპული ჩვევებისა არა გაეგებოდა რა და გზაში ვერ მომემსახურებოდა.

ლისაბონიდან ყველანი კარგად შეიარაღებულნი და აღჭურვილნი გავედით. მე პატივი დამდეს და, როგორც ხნით უფროსს და ორი მსახურის პატრონს, კაპიტანი შემარქვეს.

*

ესპანეთი არც ერთ ჩვენგანს არ ენახა და მადრიდში რომ ჩავედით, გადავწყვიტეთ, ცოტა ხნით შევჩერებულიყავით. მადრიდი ოქტომბრის შუა რიცხვებში დავტოვეთ. ნავარის საზღვარს რომ მივალწიეთ, შემაძრწუნებელი ამბავი დაგვახვედრეს: საფრანგეთის მხარეს მთებში იმოდენა თოვლი მოსულიყო, რომ მგზავრები ამაო ხეტიალისა და დიდი რისკის შემდეგ პამპელუნაში დაბრუნებულიყვნენ.

პამპელუნაში ჩემთვის აუტანელი სიცივე იყო, რადგან ცხელ ჰავას

ვიყავი შეჩვეული. საბრალო პარასკევა ნამდვილად დაფეთდა, როცა თოვლით დაფარული მთები დაინახა და სიცივე იგრძნო. მას თავის დღეში არ ენახა თოვლი და არც ასეთი სიცივე განეცადა.

ყველა სიკეთესთან ერთად, პამპელუნაშიც განუწყვეტლივ თოვდა. ისედაც ცუდი გზები კიდევ უფრო გაუვალნი გახდა. ბევრგან მეტისმეტად ღრმად იდო თოვლი და მგზავრობა შეუძლებელი იყო. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლებოდა თოვლს დავემარხეთ. ოცი დღე ვიდევით პამპელუნაში. რაკი ზამთარი ის იყო იწყებოდა და ამასთან მთელ ევროპაშიაც უმკაცრესი ზამთარი დადგა, რომლის მსგავსიც არავის ახსოვდა, ამხანაგებს შევთავაზებ ფონტარაბისკენ აგველო გზი და იქიდან ზღვით ბორდოში გადავსულიყავით.

მაგრამ, სანამ ჩვენ ამ ორჭოფობასა და ყოყმანში ვიყავით, პამპელუნაში ოთხი ფრანგი ჩამოვიდა, რომელთათვისაც გადაღმა, საფრანგეთის საზღვრებში შეეკრა თოვლს გზა. მათ მეგზური გამოსჩენოდათ. მას ლანგედოკის გასწვრივ, მთა-მთა ეტარებინა მგზავრები. იქ თოვლი გაყინული იყო და კაცსაც უძლებდა და ცხენსაც.

ამ მეგზურმა ჩვენც აღგვითქვა - თოვლის ფიქრი ნუ გაქვთ, მე ვიკისრებ თქვეს გადაყვანას იმავე გზით; ოღონდ იმ პირობით,

თუ კარგად შეიარაღდებით, რადგან დიდთოვლობისას მთის კალთებზე ხშირად გამოჩნდებიან დამშეული მგლის ხროვებიო. შემოგვიერთდა კიდევ თორმეტი კაცი თავიანთი მსახურებით - ზოგი ფრანგი და ზოგიც ესპანელი - და 15 ნოემბერს პამპელუნიდან გავედით. მართალი გითხრათ, გამიკვირდა, როცა წინსვლის ნაცვლად, მეგზურმა უკანვე დაგვაბრუნა და მთელი ოცი მილი იმავე გზით გვატარა, რა გზითაც მადრიდიდან მოვედით.

გადავჭერთ ორი მდინარე და ბარში გავედით. აქ ისევე თბილად, მაგრამ ერთბაშად მარცხნივ შევუხვიეთ და ახლა მეორე მხრიდან მივადექით მთებს.

მიუხედავად იმისა, რომ შიშისმომგვრელი მთები და უფსკრულები იყო, შეუმჩნევლად გადავიარეთ მთა. თოვლს დიდად აღარ დავუბრკოლებივართ. ბოლოს დავინახეთ ლანგედოკისა და გასკონიის ამწვანებულ-აყვავებული ნაყოფიერი პროვინციები. მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ შორს იყო, წინ ჯერ კიდევ ძნელი გზა გვედო.

თოვა დაიწყო და მთელი დღე-ღამე ისე ბარდნიდა, რომ ადგილი-

დან ფეხი არ მოგვაცვლევინა. მეგზური გამხნევებდა, ჩქარა გავცდებოთ თოვლიან მთებსო.

დაღამებამდე ორი საათილა რჩებოდა, რომ ტყიდან სამი საშინელი მგელი და ერთი დათვი გამოცვივდა. მეგზური შეუმჩნევლად წინ წასულიყო და თვალს მოჰფარებოდა. სწორედ მას გამოუცვივდნენ ეს მხეცები. ერთი მგელი ცხენს მიახტა, მეორე კი მეგზურს ეცა და ისე გააფთრებით, რომ მეგზურმა ისლა მოახერხა, ჩვენ დაგვიწყო ძახილი. მე პარასკევას ვუბრძანე, ცხენი გაეჭენებინა და გაეგო, რა მოხდა. მიუახლოვდა თუ არა მგზავრს, პარასკევამაც საშინელი ღრიალი მორთო: - ბატონო, ბატონო! - მაგრამ, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება, გაბედულად გაექანა და დამბაჩა დაახალა მგელს, რომელიც საბრალო მეგზურს გლეჯდა.

მოკლა თუ არა პარასკევამ ერთი მგელი, მეორემ მყისვე თავი ანება ცხენს და გაიძურწა. ცხენიც გადარჩა. კაცი უფრო დაზიანდა, გამძვინვარებულმა მხეცმა ორ ადგილას უკბინა - მკლავში და მუხლს ზემოთ...

ალბათ არავის უნახავს ისეთი ფიცხელი და უცნაური ბრძოლა, რაც პარასკევასა და დათვს შორის გაიმართა. დათვს ორი განსაკუთრებული თვისება აქვს: ჯერ ერთი, ადამიანს, რომელიც მისი ჩვეულებრივი საკბილო არ არის, თავისით არ მივარდება, თუ თვითონ კაცი არ დაესხა თავს. პირიქით, ტყეში რომ შემოგეყაროთ, ზედაც არ შემოგხედავთ, თუ თქვენ არ გამოიჩნევთ. ოღონდ თავაზიანად უნდა მოიქცეთ და გზა უტოლოთ, რადგან მეტისმეტად ნებიერი ვაჟბატონი გახლავთ და თვით ხელმწიფეც რომ შეხვდეს, გზიდან არ ჩამოეცლება. ვთქვათ, შეგეშინდათ: გირჩევნიათ განზე იყუროთ და თან იაროთ, რადგან, თუ მიაშტერდით, ვინ იცის, იქნებ იწყინოს. ხოლო, თუ რამე მოუღერეთ და ესროლოთ, თუნდაც თქვენი თითისოდენა ჩხირი, იგი უსათუოდ შეურაცყოფად მიიღებს, რა საქმითაც არ უნდა იყოს გართული, თავს მიანებებს და შურის საძიებლად გამოგეკიდებათ. ღირსებას არავის შეალახვინებს. ეს მისი პირველი თვისებაა. მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ, თუ ერთხელ განაწყენდა, არც დღე, არც ღამე არ მოგეშვებათ, სანამ არ დაგეწევათ და შურს არ იძიებს.

ის იყო, პარასკევამ იხსნა ჩვენი მეგზური და ჩვენც მივუახლოვდით, რომ ტყიდან დათვი გამობაჯბაჯდა. ამოდენა დათვი ჩემს დღეში არ მენახა. ერთბაშად შევკრთით ყველანი: პარასკევას კი სახეზე აშკარა სიხარული და სიმხნევე გამოეხატა.

- ოჰ, ოჰ, ოჰ, - სამჯერ შესძახა მან და დათვისკენ გაიშვირა ხელი, - მომეცით ნება, ხელი ჩამოგართვა მას; ბევრი გაგაცინე.

- შე სულელო, - ვუთხარი გაოცებულმა - ხომ შეგჭამა!

- მე შეგჭამა! მე შეგჭამა! - ორჯერ შესძახა პარასკევამ, - მე თვითონ შეეჭამო! მე თქვენ ბევრი გაცინე. თქვენ აქ იდექით. მე თქვენ ნახო, როგორი სიცილი გაჩვენოთ!

თქვა თუ არა ეს, ჩაჯდა, ჩექმები გაიხადა და ქალამნები ჩაიცვა, რომლებიც ჯიბეში ჰქონდა. ჩემს მეორე მსახურს სადავე მიუგდო. თოფს ხელი დასტაცა და ქარივით გაფრინდა.

დათვი თავის გზაზე მიბაჯბაჯებდა და სულ არ ფიქრობდა ვინმესთან შეტაკებას, სანამ პარასკევა არ წამოეწია და არ დაუძახა:

- ეი, მომისმინე! ყური მიგდე! მე შენ გელაპარაკო!

პარასკევა დაეწია დათვს, უცებ დიდ ქვას დაავლო ხელი და შიგთავში სთხლიშა.

იგრძნო თუ არა დათვმა ქვა და დაინახა თუ არა ადამიანი, ბაჯბაჯით გამოევიდა. პარასკევა პირდაპირ ჩვენსკენ გამოიქცა, თითქოს შველას ჩვენგან მოელისო. გადაფწყვიტეთ, მოგვეკლა დათვი და ჩემი მსახური გადაგვერჩინა, თუმცა ძალიან გაგულისებული კი ვიყავი მასზე: დათვი თავისი გზით მიდიოდა, ამან კი მოაბრუნა და ჩვენ მოგვაყენა. დავუყვირე:

- აი, შე ძაღლო! ამას ეძახი სიცილს?! ჩქარა მობრუნდი და ცხენზე შეჯექი, დათვი უნდა მოვკლათ!

მან ყური მოჰკრა ჩემს სიტყვებს და მომაცხა:

- არ ესროლოთ! არ ესროლოთ! იდექი, სიცილი გაჩვენოთ!

დათვი რომ ერთ ფეხს გადადგამდა, პარასკევას უკვე ორი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული. უცებ დიდი მუხის ხე შენიშნა, ნაბიჯს უმატა, მიიბრინა ხესთან და ზედ მოექცა. თოფი კი მიწაზე დააგდო.

დათვიც მალე მიადგა ხეს. ჯერ თოფი დასუნა, მაგრამ მაშინვე თავი ანება და ხეზე აბლოტება დაიწყო. ხომ ასეთი ზობროხი იყო, მაგრამ მაინც კატასავით მიცოცავდა.

პარასკევამ მსხვილი ტოტიდან წვერისკენ გადაინაცვლა. დათვიც მიჰყვა, მაგრამ შუა ტოტზე შედგა.

- აბა, ახლა ნახეთ, როგორ გასწავლო დათვს ცეკვა! - დაიძახა პარასკევამ და ხტუნვას მოჰყვა. დათვმა ტორტმანი დაიწყო, მაგრამ თავს მაინც იმაგრებდა და უკან იყურებოდა, დასაბრუნებელ გზას ზომავდა. ამბზე მართლაც რომ გულიანად გაგვეცინა. მაგრამ პარასკევა ამით როდი დაკმაყოფილდა! რა დაინახა, დათვი შედგაო, თვითონაც შეჩერდა და შესძახა:

- ჰა, აქეთ აღარ მოდიხარ? მობრძანდი!

დათვმა ცოტათი წინ გაიწია. ისევ აცეკვდა პარასკევა და დათვიც ააცეკვა.

ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ, რომ დრო იყო, მოგვეკლა დათვი. ავძახე კიდევაც პარასკევას, ნუ გაინძრევი, დათვს უნდა ვესროლოთ-მეთქი. პარასკევა შემეხვეწა:

- არა, გთხოვთ, გთხოვთ! მე თვითონ მოკლავს ახლა!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იმდენი იხტუნა პარასკევამ და დათვიც ისე ებლაუჭებოდა ტოტს, რომ ჩვენ მართლაც ბევრი ვიხარხარეთ. მაინც ვერ წარმომედგინა, კიდევ რას აპირებდა ეს ჭაბუკი. ჯერ გვეგონა, დათვის ძირს ჩამოგდება უნდაო. მაგრამ დათვიც კარგა მოხერხებული იყო, ასე ადვილად ვერ ჩამოაგდებდა. ვერც წვერისკენ გაიტყუებდა: თავისი დიდი თათებით მაგრად ებლაუჭებოდა ტოტს და წონასწორობას ინარჩუნებდა. აღარ ვიცოდი, რით გათავდებოდა ეს სერი.

რაკი შენიშნა, დათვი მაგრად იყო ჩაბლაუჭებული ტოტს და წინ წასვლას აღარ აპირებდა, პარასკევამ შესძახა:

- კარგი, კარგი, არ მოვდიხარ? მე წახვალ, მე წახვალ! შენ არ მოვდიხარ, მე წახვალ, მოხვალ შენთან.

იგი კიდევ უფრო წინ წავიდა, წვერისკენ, დაეკიდა ტოტს, გადალუნა, ნელა დაეშვა და, მიწას რომ მიუახლოვდა, ჩამოხტა, მერე თოფს მივარდა, ხელი დასტაცა და გაჩერდა.

- რაღას აპირებ, პარასკევა, - ვკითხე მე, - ესროლე.

- არ გინდა სროლა, ჯერ არ გინდა. მე თვითონ ვესროლო, მე თქვენ კიდევ სიცილი გაჩვენე.

დათვმა რომ შენიშნა, მტერი გამეცალაო, უკან დაიძრა, მაგრამ მეტისმეტად მძიმედ და ზანტად. ყოველ ნაბიჯზე უკან იხედებოდა, სანამ ხის ტანს არ მიაღწია. მერე ისევ ძველებურად მოებლაუჭა ხეს და მძიმე-მძიმედ დაეშვა. ჯერ უკანა ფეხებით არც კი შეხებოდა მიწას, რომ პარასკევა მიუახლოვდა, თოფის ლულა ყურზე დაადო და იქვე გააფრთხოვინა სული.

მერე ჩვენკენ მობრუნდა, აბა, თუ იცინიანო, და, რაკი ნასიამოვნები სახე გვქონდა ყველას, თვითონაც აროხროხდა:

- ესე მოკლავდით დათვის ჩვენში!

- ასე ვკლავდითო?! თოფი რომ არ გქონდათ? - ვკითხე მე.

- თოფი არა გქონდა, მაგრამ გრძელი ისრით მოკლავდით, - ამიხსნა მან.

ეს მართლაც რომ სერი იყო. მაგრამ ჩვენ ისევ უდაბურ ადგილას ვიმყოფებოდით, მეგზური მაგრად იყო დაკბენილი და აღარ ვიცოდით, რა გვექნა.

წინ კიდევ სამი ლიე გზა გვედო. მეგზური გვაჩქარებდა და ჩვენც გზას გავუდევით.

მიწა კვლავ თოვლით იყო დაფარული, თუმცა ისეთი ღრმა თოვლი აღარ იდო და აღარც ისეთი საშიში გზა იყო, როგორც მთებში.

კიდევ ერთი სახიფათო ადგილი უნდა გაგვევლო. მეგზურმა გვითხრა, თუკი აქეთ მხარეს კიდევ დარჩნენ მგლები, უსათუოდ იქ შეგვეყრებიანო. ეს იყო ტყით გარშემორტყმული პატარა მინდორი, რომელსაც გასდევდა გრძელი და ვიწრო ხეობა. ამ ხეობით უნდა შევსულიყავით სოფელში, სადაც ღამის გათევას ვაპირებდით.

მზის ჩასვლამდე ნახევარი საათილა იყო დარჩენილი, როცა პირველად ტყეში შევდგით ფეხი, ხოლო, როცა მინდორში გამოვედით, ის იყო მზეც ჩავიდა. ტყეში არაფერს გადავყრივართ, ოღონდ ერთ პატარა მინდორზე, რომლის სიგრძე ორას მეტრს არ აღემატებოდა, ხუთმა დიდმა მგელმა გადაგვირბინა წინ. ჩვენ ვერც კი შეგვნიშნეს, თვალის დახამხამებაში გაუჩინარდნენ.

მეგზურმა, რომელიც, სხვათა შორის, კაი მშიშარა ვინმე ბრძანდებოდა, გაგვაფრთხილა: მოემზადეთ, თორემ, მჯერა, ამათ სხვა ხროვა მოჰყვებაო.

თოფები მოვიმარჯვეთ, მაგრამ მგლები აღარ გამოჩენილან. გავცდით ტყეს და მინდორში გამოვედით. აქ კი თვალში გვეცა მგლებისაგან დაგლეჯილი ცხენი, რომელსაც თორმეტამდე მგელი შემოხვეოდა და სჯიჯნიდა. ვერ ვიტყვი, ჭამდნენ-მეთქი, რადგან ხორცი უკვე შეესანსლათ და ახლა ალბათ ძვლებს თუ ღრღნიდნენ.

გადავწყვიტეთ, ხელი არ შეგვეშალა მათი ნადიმისათვის. არც იმათ მოუქცევიათ მაინცდამაინც დიდი ყურადღება. პარასკევას უნდოდა ესროლა მათთვის, მაგრამ არაფრით დავანებე: ისედაც ბევრი სადავიდარაბო გვექონდა. მინდვრის შუაგულს არც კი ვიყავით მიღწეული, რომ მარცხნიდან, ტყიდან, საშინელი ყმუილი შემოგვესმა. გავიხედეთ და ბარე ასი მგელი დავინახეთ, პირდაპირ ჩვენსკენ მომავალნი. აღარ ვიცოდი, როგორ დავხვედროდით ამ ხროვას! ერთადერთი გამოსავალი ის იყო - ვიწრო წრე შეგვეკრა. თვალის დახამხამებაში მოვეწყვეთ წრედ. სროლის დროს რომ დიდი შუალედები არა გვექონოდა, ამხანაგები გავაფრთხილე, გედიზედ კი არ დაეხალათ თოფი, არამედ ყოველ მეორეს გაესროლა, ხოლო დანარჩენებს შემართული უნდა ჰქონოდათ ჩახმახი და, თუ პირველი სროლით ვერ გავაქცევდით მხეცებს, ახლა იმათ გაესროლათ. ვინც გაისროდა, თოფის ხელმეორედ გატენას არ უნდა შესდგომოდა, არამედ დამბაჩა მოემზადებინა. თითოეული ჩვენგანი თითო თოფითა და ორ-ორი დამბაჩით იყო შეიარაღებული.

მაგრამ ამდენი ბათქი ამჯერად აღარ დაგვჭირვებია, რადგან პირველივე გასროლის შემდეგ მტერი ერთ ადგილზე გაქვავდა: ცეცხლმაც შეაშინა და ხმაურმაც. ოთხ მგელს იქვე გავაფრთხობინეთ სული, რამდენიმე დაიჭრა და უკანვე გაბრუნდა. თოვლზე სისხლის კვალი რჩებოდა.

შეჩერებით კი შეჩერდნენ მგლები, მაგრამ უკან მაშინვე არ გაბრუნებულან. უცებ ერთი ხერხი მომაგონდა, რომელიც ოდესღაც გამეგონა: რაც ძალა და ღონე გვექონდა, ყველამ ერთბაშად დავიღრიალეთ. მგლები მაშინვე შეტრიალდნენ და გაბრუნდნენ. მეორედაც ვისროლეთ. მგლებმა ძუნძულს უმატეს და ტყეში მიიმაღნენ.

ახლა საშუალება მოგვეცა, თოფები გავვეტენა და დრო აღარ დავუვკარგა, პირდაპირ გავდგომოდით გზას. მაგრამ ის იყო, თოფები გავტენეთ და წასასვლელად მოვემზადეთ, რომ ტყიდან ისევ შემადრწუნე-

ბელი ხმაური მოგვესმა. ოღონდ ახლა იმ მხრიდან, საითაც ჩვენი გზა მიდიოდა.

ღამდებოდა, ხმაური კი თანდათან ძლიერდებოდა. უცებ მგლების ორი-სამი ხროვა შევნიშნეთ. ალყას გვარტყამდნენ, მაგრამ ჯერ თავს არ გვესხმოდნენ და ჩვენც წინ მივიწევდით. გზა ძალიან ცუდი იყო და ცხენები ნელა მიგვყავდა. ასე ვიარეთ და მივადექით ტყის პირს. იქ კი უთვალავი მგელი შევნიშნეთ.

უცებ ტყიდან თოფის ხმა გაისმა. მივიხედეთ და დავინახეთ შეკაზმული და ლაგამამოდებული ცხენი, რომელიც ქარივით მიქროდა, უკან კი თექვსმეტი-ჩვიდმეტი მგელი მისდევდა. ცხენს კარგა მანძილით ჩამოეტოვებინა მგლები, მაგრამ, დარწმუნებული ვიყავით, დიდხანს ვეღარ გაუძლებდა, მგლები წამოეწეოდნენ. რაღა თქმა უნდა, ასეც მოხდა.

იქით გავქანდით, საიდანაც ცხენი გამოვარდა, და ჩვენ თვალწინ შემადრწუნებელი სურათი გადაიშალა: მხეცების მიერ დაგლეჯილი მეორე ცხენისა და ორი კაცის გვამები ეყარა. თოფი, ეტყობა, ერთ-ერთმა მათგანმა გაისროლა.

თავზარი დაგვეცა. აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ისევ მხეცებმა მიგვადებინეს გადაწყვეტილება: საკბილოს შოვნით დაიმედებულნი ირგვლივ შემოგვერტყნენ. სამასი მგელი მაინც იქნებოდა. ჩვენდა იღბლად, იქვე, ტყის პირისაგან მოშორებით დიდი ხის მორები ეწყო, ზაფხულში მოეჭრათ და გადასაზიდად გაემზადებინათ. სწორედ ამ მორებისკენ დავძარი ჩემი რაზმი. ერთ-ერთი დიდი ხის უკან მოვთავსდით, მორი მიწაყრილად გამოვიყენეთ და სამკუთხად განვლაგდით. ცხენები შუაში დავაყენეთ. კიდევ კარგი, ასე მოვაწყვეთ, რადგან მგლები მაშინვე ყმუილ-ყმუილით მოცვივდნენ და მორზე შემოხტნენ. განკარგულემა გავეცი, წელანდელივით გაესროლათ რიგრიგობით, ყოველ მეორე კაცს. პირველივე გასროლით რამდენიმე მგელი მოვკალით. მაგრამ საჭირო იყო განუწყვეტელი ცეცხლი, რადგან მგლები ეშმაკებით მოძვრებოდნენ, უკანანი წინა მწკრივებს ახტებოდნენ. მეორედაც რომ დავახალეთ თოფები, ცოტა ხნით შედგნენ. იმედი მომეცა, გაბრუნდებოდნენ; მაგრამ მხოლოდ ერთი წამით შედგნენ, ახლა უკანა მგლები გამოძვრნენ წინ. ორჯერ დავახალეთ და მბაჩები და ამ ოთხი გასროლით, ჩვიდმეტი-თვრამეტი მგელი დავხოცეთ, ხოლო ორი ამდენი დავჭერთ. მაინც წინ მოიწევდნენ.

აღარ მინდოდა ასე უცებ დაგვეხალა უკანასკნელი ტყვია. მსახურს

მოვუხმე - პარასკევას არა, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით ტენიდა თოფებს, - მეორე მსახურს, საპირისწამლე მივეცი და ვუბრძანე, მორის გაყოლებზე მოეფრქვია ფართოდ და სქლად. მსახურმა შეასრულა ჩემი დავალება და გამობრუნება ძლივს მოასწრო, რომ მგლები კვლავ მოცვივდნენ მორთან. რამდენიმე ზედ ამოიჭრა.

მაშინ გატენილი დამბაჩა მიწაზე მოფრქვეულ დენტთან მივიტანე, გამოვუშალე ჩახმახი და ნაპერქკალმა დენთი ერთბაშად ააბრდღვი-ალა. მორზე ამომძვრალი მგლები მაშინვე დაითუთქნენ და ექვსი-შვი-დი ჩავარდა კიდეც.

ბრძანება გავეცი, უკანასკნელი დამბაჩაც დაგვეხალა და მერე ყი-ჟინა დაგვეცა. მგლებმა კუდი ამოიძუეს და გაბრუნდნენ. ჩვენ ხმლით დავერიეთ დაჭრილ მგლებს, რომლებიც მიწაზე ფართხალებდნენ, და ოცამდე მხეცი ავკუწეთ. ამან გაგვიმართლა: მათი ყმუილი და ღრიალი უფრო კარგი გაკვეთილი გამოდგა დანარჩენებისთვის: საბოლოოდ გაგვეცალნენ.

სულ სამოცამდე მგელი დავხოცეთ, დღის სინათლე რომ ყოფილი-ყო, უფრო მეტს დავხოცავდით. ამრიგად, გავწმინდეთ ბრძოლის ველი და გზას გავუდექით. გზაში კვლავ გვესმოდა მგლების ყმუილი, რამ-დენჯერმე თითქოს დავინახეთ კიდეც, მაგრამ ვერ დავიჟინებ.

დაახლოებით ერთ საათში მივადექით პატარა დაბას, სადაც ღამე უნდა გაგვეთია. ხალხი აწრიალებული და იარაღასხმული დაგვხვდა. წინა ღამით მგლები და რამდენიმე დათვი მიხდომოდათ.

მეორე დილას ჩვენი მეგზური ცუდად შეიქნა - ნაკბენები დაუჩირ-ქდა და დაუსივდა - და ვეღარ მოგვეყვებოდა. იძულებული გავხდით, ახალი მეგზური აგვეყვანა, რომელმაც ტულუზაში ჩავვიყვანა, სადაც თბილოდა და ნაყოფიერი, თვალწარმტაცი ბუნება გადაშლილიყო. არც თოვლი იყო და არც მგლები.

როცა იქაურებს ვუამბეთ, როგორ მოვეწყვეთ საბრძოლველად და ცხენები შუაში როგორ დავმალეთ, დაგვძრახეს: მგლები სწორედ ცხე-ნების დანახვას გაუცოფებია, თორემ, ჩვეულებრივ, თოფის ხმაზე ხე-ლად დაფრთხებიანო. განუწყვეტელი ცეცხლი რომ არ დაგვემინა და დენტის აფეთქება არ მოგვეგონებინა, ჩვენი საქმე წასული იყო, ნაკუწ-ნაკუწად დაგვგლეჯდნენ. ცხენებიდან არ უნდა ჩამოვსულიყავით; მა-შინ იმდენად თავისად აღარ დაიგულებდნენ მგლები ცხენებს. ან უნდა მიგვეტოვებინა ცხენები და განზე გავმდგარიყავით. მაშინ მგლები ცხე-

ნებს მიცვივდებოდნენ, ჩვენ კი მშვიდობიანად წამოვიდოდით, მით უმეტეს, რომ ბევრნი ვიყავით და იარაღი გვქონდა.

ამის შემდეგ საფრანგეთში ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა. ტულუზიდან პარიზში ჩავედი და კალესაკენ გავემართე, საიდანაც 14 იანვარს მშვიდობიანად მივაღდექი ღუვრს.

უკვე მივალწიე ჩემს მიზანს და მოკლე ხანში მთელი ჩემი ქონების მფლობელი გავხდი. ანგარიშის ქაღალდებიც გავინაღდე.

ჩემი მთავარი მრჩეველი კაპიტნის კეთილი მოხუცი ქვრივი იყო, რომელიც ძალიან მადლობელი იყო ჩემი გაგზავნილი ფულის გამო. ყველაფერში ვენდობოდი მას. ერთი პირობა ვფიქრობდი, ჩემი ქონება ამ ქალისთვის მიმენდო, მე კი ლისაბონში დავბრუნებულიყავი, საიდანაც შემდეგ ბრაზილიაში წავიდოდი. მაგრამ ახალი დამაბრკოლებელი მიზეზი გამიჩნდა: რელიგია. კათოლიკურ რელიგიაზე გული ჯერ კიდევ უდაბურ კუნძულზე ყოფნისას ამიცრუვდა. ხოლო კათოლიკობას თუ არ მივიღებდი, ისე არ შეიძლებოდა ჩემი წასვლა ბრაზილიაში, თორემ ინკვიზიციის ხელში აღმოვჩნდებოდი და სიკვდილი არ ამცდებოდა. ისევ შინ დარჩენა ვამჯობინე, პლანტაციას კი, ხელსაყრელი შემთხვევა მომეცემოდა თუ არა, გავყიდდი.

ჩემი გადაწყვეტილება ვაცნობე მოხუც კაპიტანს ლისაბონში. მან მიპასუხა, რომ ძნელი არ იყო ამ საქმის მოგვარება, ხოლო მას თუ დავაკისრებდი, იგი ჩემი სახელით შესთავაზებდა ორ ვაჭარს, ჩემი ძველი მეურვეების მემკვიდრეებს,

რომლებიც ბრაზილიაში ცხოვრობდნენ, სიხარულით შეისყიდდნენ ჩემს მამულს და ოთხი-ხუთი ათასი ოქროთი მეტსაც კი მომცემდნენ. მე დავეთანხმე. დაახლოებით რვა თვის შემდეგ კი გემი დაბრუნდა და კაპიტნის წერილი ჩამომიტანა: ვაჭრები დათანხმებულიყვნენ და ლისაბონში წარმომადგენლისათვის 33.000 ოქრო გამოეგზავნათ ჩემთვის გადმოსაცემად.

*

ასე დასრულდა ჩემი ცხოვრების პირველი ნაწილი, რომელიც დაიწყო უგუნურად, მაგრამ ბედნიერად დასრულდა.

აღბათ იფიქრებთ, რაკი ასეთ სრულ ბედნიერებას ვეწიე, ხელახლა

სადავიდარაბოდ აღარ გავიხდიდი საქმეს. მაგრამ მივეჩვიე მოხეტიალეს ცხოვრებას. ამასთან, ოჯახი მე არ გამაჩნდა, ნათესავები ცოტა მყავდა და, სიმდიდრის მიუხედავად, ნაცნობ-მეგობრებიც ბევრი არ მყოლია. გავყიდე მამული ბრაზილიაში, მაგრამ იქ წასვლის სურვილი მაინც ვერ ამოვიგდე თავიდან - მოგზაურობის დაუცხრომელმა ჟინმა კვლავ მომიარა. განსაკუთრებით ჩემი კუნძულის სანახავად მიმიწევდა გული. მინდოდა გამეგო, ისევ იქ თუ იყვნენ საბრალო ესპანელები, ან იქ დატოვებული არამზადები როგორ მოეპყრნენ მათ.

ჩემი ჭეშმარიტი მეგობარი კაპიტნის ქვრივი დაჟინებით მიშლიდა წასვლას და იმდენს მეჩიჩინა, რომ მთელი შვიდი წლით ამაღებინა ხელი მოგზაურობაზე. გასაზრდელად ავიყვანე ორი ჩემი ძმისწული. უფროსს, რომელსაც თავისი პატარა მემკვიდრეობაც ჰქონდა, აზნაურით ვზრდიდი და ანდერძში ერთგვარი ქონებაც დავეუტოვე თავისივე მემკვიდრეობის მისამატებლად; უმცროსი ძმა კი გემის კაპიტნად გამოვწვრთენი. ხუთი წლის შემდეგ, რაკი დავრწმუნდი, რომ გონიერი, ყოჩაღი და გაბედული ჭაბუკი დადგა, გემი გავუმართე და ზღვაში გავუშვი. ამ ყმაწვილმა მერე მეც წამიყოლა სამოგზაუროდ, უკვე მოხუცი კაცი.

ამასობაში ნაწილობრივ მეც დავსახლდი ინგლისში, შვეირთე ცოლი. უნდა ითქვას, საკმაოდ სარფიანი და შესაფერისი ქორწინება იყო. სამი შვილი მეყოლა - ორი ვაჟი და ერთი ქალი, მაგრამ ცოლი ადრე გარდამეცვალა. ჩემი ძმისწული გამდიდრებული დაბრუნდა ესპანეთიდან. მოგზაურობის დაუცხრომელმა სურვილმა და ჩემი ძმისწულის დაჟინებულმა თხოვნამ გაიმარჯვა და გადავწყვიტე, სავაჭროდ გავყოლოდი აღმოსავლეთ ინდოეთში. ეს მოხდა 1694 წელს.

ამ მოგზაურობის დროს ჩემს ახალ კოლონიაშიც შევიარე, კუნძულზე. ვნახე ჩემი მემკვიდრე ესპანელები, გავიგე მათი თავგადასავალი და იმ არამზადებისაც, მე რომ კუნძულზე დავტოვე. მიაძბეს, თავიდან როგორ შეურაცხყოფდნენ საბრალო ესპანელებს, მერე როგორ მორიგდნენ, ისევ წაიხსუბნენ, შეკავშირდნენ, კვლავ გაითიშნენ; ბოლოს, ესპანელები იძულებული გახდნენ, სასტიკად მოპყრობოდნენ მათ; შემდეგ ისინი დაემორჩილნენ ესპანელებს და ამის შემდეგ როგორ კეთილსინდისიერად ეპყრობოდნენ ესპანელები. მიაძბეს მთელი ისტორია. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ყარაიბელების შესევის ამბავი. ისინი თურმე რამდენჯერმე შეიჭრნენ კუნძულზე. მიაძბეს, როგორ მოაწყვეს კუნძული; ხუთმა მათგანმა სცადა დიდ ხმელეთზე წასვლა, ხოლო იქიდან თერთმეტი მამაკაცი და ხუთი ქალი წამოიყვანეს ტყვედ. მე რომ მივედი, ოცამდე ბავშვი დამხვდა კუნძულზე.

ამას გარდა, დავუნაწილე მათ კუნძული, ყველას თავისი ადგილი მივუჩინე, მთელი მიწის მფლობელობის უფლება კი მე დავიტოვე. ყველაფერი მოვაწესრიგე, დავუბარე, კუნძულის დატოვება არც იფიქროთ-მეთქი, და გზას გავუდექი.

იქიდან ბრაზილიაში წავედი. ვიყიდე პატარა გემი, ზედ ხალხი დავსხი და კუნძულზე გავგზავნე. გაგზავნილთა შორის იყო შვიდი ქალიც. ინგლისელებს შევპირდი, ინგლისიდან კიდევ გამოგიგზავნით საჭირო ნივთებით დატვირთულ გემსა და ქალებს-მეთქი. შევასრულე კიდევ პირობა. მშვენივრად მოეწყვნენ, ბეჯითად მუშაობდნენ და სინდისიერად ექცეოდნენ ერთმანეთს. ბრაზილიიდან გავუგზავნე ხუთი ძროხა, რამდენიმე ცხვარი და ღორები. მეორედ რომ ვესტუმრე, ნახირი უკვე მომრავლებული დამიხვდა.

მაგრამ მთელ ამ ისტორიას, აგრეთვე იმასაც, თუ როგორ დაესხა თავს მათ სამასი ყარაიბელი, როგორ გაუნადგურეს პლანტაციები, როგორ დაამარცხეს და მოუკლეს სამი კაცი; მერე ქარიშხალმა როგორ დაღწეა მტრის ნავეები, ამათ კი დანარჩენები დაამშინეს და მოსპეს; კვლავ როგორ ააღორძინეს და ფეხზე დააყენეს დანგრეული მეურნეობა და შემდეგ რა მშვიდად ცხოვრობდნენ იმ კუნძულზე... - ერთი სიტყვით, მთელ ამ ისტორიას, განსაცვიფრებელი შემთხვევებით სავსეს, აგრეთვე ჩემს ახალ თავგადასავალსაც, რაც მომდევნო ათი წლის განმავლობაში გადამხდა, ამბის მეორე ნაწილში გვიამბობთ.

ნაწილი II

ალბათ ყველა იფიქრებს, რომ ჩემი თანდაყოლილი მისწრაფება ხეტიალისადმი აქამდე გამინელდებოდა და, აგერ, სამოცდაერთ წელს მიღწეულ კაცს, ახლა მაინც დამიდგებოდა გული შინ. მით უმეტეს, რომ სიმდიდრე მე არ მჭირდებოდა და საძებნი არაფერი მქონდა. ისედაც საკმაო ქონება დავაგროვე ჩემთვისაც და იმათთვისაც, ვისთვისაც მემკვიდრეობა უნდა დამეტოვებინა.

ჩემი ქონება იზრდებოდა, რადგან დიდი ოჯახი არა მყოლია და ჩემს შემოსავალსაც ვერ ვერეოდი. წესით, ახლა უნდა ვმჯდარიყავი ჩემთვის, მესარგებლა მოპოვებულით და თვალყური მედევნებინა, როგორ იზრდებოდა იგი ყოველდღიურად.

მაგრამ ამ კეთილდღეობამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა

ჩემზე, ყოველ შემთხვევაში ისე მაინც ვერ იმოქმედა, რომ მოგზაურობის ძლიერი სურვილი ჩაეკლა. ღამით მუდამ სიზმარში მეღანდებოდა ჩემი კუნძული და დღისით გამუდმებით მასზე ვოცნებობდი.

ეს ერთი ფიქრი ყველაფერზე ძლიერი იყო და ჩემი წარმოდგენაც ისე ძლიერად და დაძაბულად მუშაობდა, რომ ძილშიც ხმამაღლა ვლაპარაკობდი ამას. ცხადშიც, რაზეც უნდა დამეწყო მუსაიფი, ბოლოს მაინც ამ თემაზე გადავდიოდი და თვითონვე ვხედავდი, როგორი მომაბეზრებელი ვხდებოდი.

ხშირად მომეჩვენებოდა ხოლმე, თითქოს ხეებს მოფარებულ ჩემს ძველ ციხესიმაგრესთან ვიდექი კუნძულზე და მოხუც ესპანელსა და პარასკევას მამას ვხედავდი; აგრეთვე იმ სამ არამზადა მეზღვაურსაც, რომლებიც იქ დავტოვე.

ერთხელ სიზმარში ვნახე გასაოცარი სიცხადით, თითქოს პირველი ესპანელი და პარასკევას მამა მიაშობდნენ იმ სამი მეკობრის არამზადობის ამბავს. მიაშბეს, როგორ ბარბაროსულად ცდილობდნენ ისინი ესპანელების დახოცვას, როგორ განგებ წაუკიდეს ცეცხლი იმათი სანოვაგის მარაგს, რათა შიმშილით ამოეწყვიტათ.

რა იყო ამაში მართალი - თავის დროზე ვნახავთ. არ ვიცი საიდან გამიჩნდა სიზმარში ასეთი ფიქრები, ეს კია, რომ ბევრი რამ სიმართლე გამოდგა.

ამ ოცნებებსა და ზმანებებში გავატარე რამდენიმე წელი. ჩემთვის აღარ არსებობდა არავითარი გართობა, არავითარი საამური საათები და თავშესაქცევი. ცოლი ხედავდა, რომ ჩემი გონება მთლიანად ამ ფიქრით იყო მოცული, და ერთ ღამეს მთელი სერიოზულობით განმიცხადა: მჯერა, რომ ყველაფერი ეს რაღაც იდუმალი ძალით თვით განგებიდან მომდინარეობს და ასე მტკიცედ სწორედ ის მოგიწოდებს გამგზავრებას, - არც არაფერი დაგაკავებდა, ცოლ-შვილი რომ არ გბორკავდესო. მერე დაუმატა: მართალია, შენთან განშორების გაფიქრებაც კი არ შემიძლია, მაგრამ, რაკი დარწმუნებული ვარ, რომ მყისვე გაემგზავრებოდი კუნძულისაკენ, მე რომ უცებ მოვკვდე, და რაკი ყველაფერი ეს ზეცაშია გადაწყვეტილი, არ მინდა მე ვიყო ერთადერთი დამაბრკოლებელი მიზეზი. ასე რომ, საჭიროდ თუ მიგაჩნია და გულშიც თუ ამოჭრილი გაქვს...

ცოლმა შემატყო, რა გაფაცვიცებით ვუგდებდი ყურს მის სიტყვებს, თანაც თვალეებში ჩავაშტერდი. ამან, ცოტა არ იყოს, დააბნია და სიტ-

ყვა გაუწყდა. ვკითხე, რას გაჩუმდი, სათქმელს რად არ ამთავრებ-მეთქი. მაგრამ შევნიშნე, რომ მეტისმეტად აღელვებულიყო და თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა.

- მითხარი, ჩემო ძვირფასო, - მივმართე მე, - შენცა გსურს, წავიდე?

არა, - ნაზად მიპასუხა მან, - მაგრამ, თუკი გადაწყვეტილი გაქვს წასვლა, რაღა გზა გადაგიღობო, ბარემ მეც თან წამოგყვები. მართალია, შენი ხნისა და შენი მდგომარეობის კაცისათვის უაზრობად მიმაჩნია ასეთი გამგზავრება, - განაგრძო მან და თვალებზე კვლავ ცრემლები მოადგა, - მაგრამ რაკი ასე უნდა მოხდეს, მე ვერ მიგატოვებ. ან ისე მაინც მოვაწყო საქმე, რომ ხელი არ შეგიშალო.

ცოლის ასეთი ნაზი საუბრის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ბურანიდან გამოფხიზლდი და დინჯად დავიწყე საკუთარ თავთან მსჯელობა: ჭკვიანური არ იქნება, სამოცი წლის კაცი, რომელიც გულისგამაწვრილებელი წანწალისა და გაჭირვების შემდეგ შვებასა და ბედნიერებას ვეწიე, კიდევ საალაბედოდ გადავვარდე და ისეთ ფათერაკში გავეხვიო, რაც მხლოდ სიჭაბუკეს ან სიღატაკეს შეჭფერის.

ცოლიანი ვიყავი, ერთი ბავშვი უკვე მყავდა და ცოლი მეორეზე იყო ფეხმძიმედ. რისი მოპოვებაც კი შეიძლება ქვეყნად, ყველაფერი მქონდა და ფულისათვის განსაცდელში თავის ჩაგდება აღარ მჭირდებოდა. უკვე ხანში შესული ვიყავი და ჯობდა, იმისთვის მომეფლო, რაც უკვე მქონდა. ჩავუფიქრებოდი ხოლმე ჩემი ცოლის სიტყვებს - ეს ზეცის ნებაა და ამიტომ ვალდებული ხარ უსათუოდ გაემგზავრო, მაგრამ თვითონვე არა მჯეროდა ეს.

ამრიგად, ბევრი ფიქრის შემდეგ დავძლიე ჩემი ოცნებები და გადავწყვიტე, ყველაზე საიმედო ხერხისათვის მიმემართა - სხვა რაიმე საგნებისათვის მიმეპყრო ყურადღება. ისეთი საქმისათვის მომეკიდა ხელი, რაც მთლიანად დამავიწყებდა გამგზავრებაზე ფიქრს, რადგან შევნიშნე, რომ ასეთი ფიქრები უმთავრესად მოცლილობის ჟამს მეწვეოდნენ ხოლმე.

ამ მიზნით ბედლორდის საგრაფოში შევიძინე პატარა ფერმა და გადავწყვიტე, იქ დავსახლებულიყავი. მედგა ერთი კოპწია, მყუდრო სახლი და მიწაც, როგორც დავაკვირდი, ნოყიერი იყო. დავამუშავებდი, მოსავალს მივიყვანდი, საქმით გავერთობოდი. ყველაზე კარგი ის იყო, რომ ჩემს მამულს ზღვა არ ეკრა და, ამრიგად, ვერ დავინახავდი მეზღვაურებს, გემებსა და ისეთ რამეებს, რაც შორეულ ქვეყნებს მომა-

გონებდა.

ერთი სიტყვით, გავემგზავრე ჩემს ფერმაში, დავსახლდი მთელი ოჯახით, შევიძინე გუთნები, ფარცხები, ურმები, ფორანი, ძროხები, ცხვარი და ისე სერიოზულად მოვკიდე საქმეს ხელი, რომ ექვს თვეში უკვე ნამდვილი სოფლის მეურნე გავხდი. ჩემი ფიქრები მთლიანად მოსამსახურეების მეთვალყურეობაზე, ნიადაგის დამუშავებაზე, ეზოს შემოღობვაზე, მცენარეების დარგვასა და ასეთ რამეებზე იყო მიპყრობილი.

ჩემს საკუთარ ადგილ-მამულში ვეწეოდი მეურნეობას: რენტას არ ვიხდიდი, არაფრით შეზღუდული არ ვიყავი - მინდოდა დავრგავდი, მინდოდა მოვჭრიდი. რასაც ვრგავდი - ჩემი საკუთრება იყო, რასაც მოვიწევდი - მთლიანად ოჯახში შემქონდა. სავსებით დავივიწყე მოგზაურობაზე ფიქრი და ცხოვრებაში არავითარ ხიზს არ განვიცდიდი.

ახლა, ჩემი ფიქრით, მართლაც ვტკბებოდი საშუალო მდგომარეობის ადამიანის ცხოვრებით. მაგრამ სწორედ ამ დროს განგებამ მოულოდნელად საშინელი თავბარი დამცა, ამიწეწა ცხოვრება და კვლავ ძველი სიძლიერით გამიცხოველა მოგზაურობის აკვიატებული ჟინი.

აღარ შევუდგები ცოლზე ელეგიის წერას, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მუდამ მხარში მედგა, ჩემი ყოველი საქმის სული და გული იყო, თავისი კეთილგონიერებით ბედნიერებას მინარჩუნებდა. ჩემს დაუდგრომელ სულს უფრო მეტად ათვინიერებდა, ვიდრე ეს შეეძლო დედის ცრემლებს, მამის დარიგებას, მეგობრის რჩევას ან ჩემივე საკუთარ გონებას. ბედნიერი ვიყავი, როცა მის ცრემლებსა და მუდარას ვემორჩილებოდი, ახლა კი, მისი დაკარგვის შემდეგ, უთვისტომო და თავგზააბნეული დავრჩი. ირგვლივ ყველაფერი ულაბათო და მოუხეშავი მეჩვენებოდა. ისევე უცხოდ ვგრძნობდი თავს, როგორც ბრაზილიაში პირველად ჩასვლისას, ისეთსავე მართლობას განვიცდიდი, როგორსაც ჩემს განმარტოებულ კუნძულზე... აღარ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, ან რა არ უნდა გამეკეთებინა.

ჩემი კეთილგონიერი მრჩეველი უკვე აღარ იყო ცოცხალი და მე ქარის ნებაზე მიშვებულ უმესაჭო ხომალდსა ვგავდი. ჩემი

ფიქრები კვლავ ძველმა გატაცებამ მოიცვა, თავში ისევ შორეულ მხარეებში მოგზაურობის აკვიატებული ჟინი მიტრიალებდა. მთელი ის უწყინარი სიამოვნება, რასაც ცოტა ხნის წინათ ჩემი მეურნეობა, ბალი, ნახირი და ოჯახი მანიჭებდა, ახლა ერთბაშად არარად იქცა, ყოველ-

გვარი მომხიბლაობა დაკარგა - ისეთივე გახდა, როგორც მუსიკა ყრუსთვის ან საჭმელი გემოვნება დაკარგული ადამიანისათვის. ერთი სიტყვით, გადავწყვიტე თავი მიმენებებინა ჩემი მეურნეობისათვის და ლონდონს დავბრუნებულიყავი. რამდენიმე თვის შემდეგ მართლაც ასე მოვიქეცი.

მაგრამ ლონდონშიაც ისევ ისე გულდამძიმებული ვიყავი. თვით ქალაქი არ მიყვარდა, საქმეც არაფერი მქონდა, დავყიალობდი უსარგებლოდ და ცოცხალი ვიქნებოდი თუ მკვდარი - ეს ყველასთვის სულერთი იყო. ასეთი ცხოვრება კი ჩემთვის, ბავშვობიდანვე მოძრავი და საქმეში გართული კაცისთვის ზიზღისმომგვრელი იყო.

1693 წლის დასაწყისში ჩემი ძმისწული, რომელიც გემის კაპიტანად გაგზარდე, დაბრუნდა თავისი პირველი, პატარა მოგზაურობიდან - ბილბოლანს, ჩემთან მოვიდა და შემომთავაზა, ნაცნობი ვაჭრები აღმოსავლეთ ინდოეთსა და ჩინეთში სავაჭროდ გამგზავრებას მთავაზობენო. „თუ გამომყვები, ბიძაჩემო, - მითხრა მან, - თქვენს კუნძულზეც მიგიყვანთ, რადგან ბრაზილიაში გავლას ვაპირებ“.

სწორედ იმ დილას, მის მოსვლამდე, დიდი ხნის მღელვარე ფიქრისა და ყველაფრის აწონ-დაწონვის შემდეგ, გადავწყვიტე, ლისაბონს გავმგზავრებულიყავი, რათა რჩევა მეკითხა ჩემი ძველი კაპიტნისათვის. თუკი გონივრული იქნებოდა ჩემი განზრახვა, კუნძულზე გავემგზავრებოდი და ჩემს ხალხს მოვინახულებდი.

ფიქრებში ვიყავი გართული, როგორ დავასახლებდი კუნძულს, როგორ წავიყვანდი აქედან იქ ხალხს, მერე პატენტს ავიღებდი კუნძულის მფლობელობაზე... ერთი სიტყვით, რას არ ვოცნებობდი, როცა უცებ ჩემი ძმისწული შემოვიდა და, როგორც უკვე მოგახსენეთ, აღმოსავლეთ ინდოეთისაკენ გამგზავრება შემომთავაზა.

ერთხანს არაფერი ვუპასუხე, ისე მივაშტერდი.

- რა ეშმაკმა მოგაგზავნა ამ უკუღმართი დავალებით! - მივმართე მერე.

ჩემს ძმისწულს პირველად თითქოს შეეშინდა. ერთბაშად გაშეშდა, მაგრამ, რაკი შეატყო, არცთუ ისე უსიამოვნო იყო ჩემთვის ეს წინადადება, ისევ გამოერკვა.

- იმედი მაქვს, უკუღმართი არ იქნება ეს საქმე, ბატონო, - თქვა მან,

- მე მგონია, გესიამოვნებათ თქვენი ახალი კოლონიის ნახვა, სადაც თქვენ ერთხელ ქვეყნად ყველა მბრძანებელზე ბედნიერად მეფობდით.

ერთი სიტყვით, მისი გეგმა სავსებით დაემთხვა ჩემს მაშინდელ განწყობილებას, თანხმობა განვუცხადე - თუკი ვაჭრებთან შევთანხმდები, წამოვალ, ოღონდ, ვერ შეგპირდები, რომ ჩემს კუნძულს იქითაც გამოგყვები-მეთქი.

- რათა, ბატონო, ისევ კუნძულზე დარჩენას ხომ არ აპირებთ? - მკითხა მან.

- დაბრუნებისას ველარ გამომივლი და ვერ წამომიყვან?

ჩემმა ძმისწულმა მიპასუხა, ვაჭრები არაფრის გულისთვის არ დათანხმდებიან, ძვირფასი საქონლით დატვირთული გემი პირდაპირ გზას ავაცდინო და სხვა მიმართულებით გადავახვევინო. „ეგეც არ იყოს, იქნებ გზას ავცდე და სულაც ველარ გამოგიაროთ, მაშინ ხომ ისევ ისეთ ღლეში ჩავარდებით?“

ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ გამოსავალი მალე ვიპოვე: გემით თან წავიღებდით დაშლილ კარჭაპს, რომელსაც რამდენიმე დურგალი კუნძულზე ორ-სამ ღლეში ააწყობდა და ზღვაში შეაცურებდა. დურგლებიც თან უნდა წაგვეყვანა.

ბევრი აღარ მიფიქრია, წინ ველარაფერი აღმიდგებოდა. ჩემი ცოლი უკვე მკვდარი იყო, ხოლო ისეთი ვინმე, რომ თავი დიდად შეეწუხებინა და ჩემთვის რამე ერჩია ან დაეშალა, აღარ მყავდა, გარდა იმ ძველი კარგი მეგობრისა - კაპიტნის ქვრივისა. ეს ქალი ბევრს მეჩინინა, მეღავა - ანგარიში გაუწიე შენს კეთილ მდგომარეობას, განსაკუთრებით შენს პატარა ბავშვებსო, მაგრამ ამან ვერ გაჭრა. მოხუცს ვუთხარი, რაღაც უჩვეულო ძალა აქვს მოგზაურობით ჩემს გატაცებას და შინ დარჩენა განგების წინააღმდეგ წასვლა იქნება-მეთქი. ამის შემდეგ მან თავი გაანება შეგონებას და თვითონვე წამომამშველა ხელი არა მარტო საგზლის მომზადებაში, არამედ საოჯახო საქმეების მოწესრიგებასა და ბავშვების აღზრდისათვის ზრუნვაშიც.

ანდერძი შევადგინე და ყველაფერი ისე მოვაწესრიგე, რომ სავსებით მოსვენებული და დამშვიდებული ვიყავი. ბავშვების აღზრდა მთლიანად კაპიტნის ქვრივს მივანდე, თან საკმარისი გასამრჯელოც დავუტოვე.

*

1694 წლის იანვრის პირველ დღეებში ჩემი ძმისწული უკვე მზად იყო გასამგზავრებლად, ხოლო მ იანვარს მე და ჩემი პარასკევა დაუნსში ჩავსხედით გემში, თან წავიღეთ ზემოხსენებული კარტაპი და კარგა ბლომად საჭირო ნივთები ჩემს კოლონიაში დასატოვებლად.

უპირველეს ყოვლისა, თან წავიყვანე რამდენიმე მსახური. მათ შორის იყო ორი დურგალი, ერთი მჭედელი და ერთიც ხელმარჯვე ყმაწვილი, ხელობით მეკასრე, მაგრამ ყველაფერი კარგად ეხერხებოდა - მშვენივრად აკეთებდა ყოველგვარ ბორბლებსა და ხორბლის საფქვევ ხელ-წისქვილს; ამასთან, კარგი ხარატი და მექოთნეც იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა თიხისა და ხისგან.

წავიყვანე აგრეთვე ერთი თერძი, რომელმაც პირველად სურვილი გამოთქვა, აღმოსავლეთ ინდოეთში გაჰყოლოდა ჩემს ძმისწულს, შემდეგ კი დაგვთანხმდა, ჩვენს ახალ პლანტაციასში დარჩენილიყო. ეს კაცი ძალიან საჭირო და მარჯვე გამოდგა არა მარტო თავის ხელობაში, არამედ ბევრ სხვა საქმეშიაც.

როგორც მახსოვს, ჩემი ბარგი შედგებოდა ბლომად ტილოსა და ინგლისური ქსოვილისგან - ეს ესპანელების შესამოსად, რომლებიც, იმედი მქონდა, კუნძულზე დამხვდებოდნენ. ჩემი გამოანგარიშებით, მათ შვიდ წელიწადს თავისუფლად უნდა ჰყოფნოდათ ეს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, წავუღე მათ ასევე ხელთათმანები, ქუდები, ფეხსაცმელები, წინდები და ასეთი რამეები, სულ ორასი გირვანქა სტერლინგისა. ამავე საფასურში შედიოდა რამდენიმე ლოგინი, საოჯახო ნივთები, განსაკუთრებით კი სამზარეულო მოწყობილობანი - ქვაბები, ქოთნები, კალისა და სპილენძის ჭურჭლეული და სხვა; დაახლოებით ასი გირვანქა სტერლინგის რკინეული - ლურსმანი, ყოველგვარი ხელსაწყო-იარაღი, კავები, ანჯამები და სხვა საჭირო ნივთები, რაც კი მაშინ მომაგონდა.

წავიღე კიდევ ასამდე იაფფასიანი იარაღი - თოფები და მუშკეტები; რამდენიმე დამბაჩა, კარგა ბლომად საფანტი სხვადასხვა ზომისა, სამი-ოთხი ტონა ტყვია და ორიც სპილენძის ზარბაზანი. ამასთან, რაკი წინასწარ არ ვიცოდი, რამდენი ხნით მივემგზავრებოდი ან რა შემემთხვეოდა, წავიღე ასი პატარა კასრი დენთი, ხმლები, მახვილები და

რკინის ბუნიკები შუბებისა და აფთებისათვის.

ჩემს ძმისწულს დამატებით წამოვალეხინე ორი მომცრო, კინოზე დასამაგრებელი ზარბაზანი. ეს ზარბაზნები კუნძულზე უნდა დაგვეტოვებინა და საჭიროების შემთხვევაში გამოგვეყენებინა.

პირქარმა თავდაპირველად ჩრდილოეთით გაგვიტაცა და იძულებული გავხდით, გოლუეში, ირლანდიაში, შევჩერებულიყავით, სადაც მთელი ოცდაორი დღით შეგვბორკა ქარმა. სამაგიეროდ, ამ განსაცდელმა ერთი ნუგეში მაინც მოგვანიჭა: იქ სანოვაგის არაჩვეულებრივი სიუხვე და სიიაფე იყო. ასე რომ, მანამ იქ ვიდექით, არათუ ჩვენი საგზლისათვის არ გვიხლია ხელი, პირიქით, მივუმატეთ კიდევ. აქვე ვიყიდე ღორები და ორი ჩვილხბოიანი ძროხა. კუნძულზე მინდოდა წამეყვანა, თუ მშვიდობიანი მგზავრობა გვექნებოდა. მაგრამ შემდეგ სხვაგვარად დატრიალდა საქმე.

ხუთ თებერვალს ირლანდიიდან გავედით და რამდენიმე დღის განმავლობაში მარჯვე ზურგქარი გვიადვილებდა სვლას. როგორც მახსოვს, ოც თებერვალს, შეღამებისას, კაიუტაში შემოვიდა ვახტბე მოდარაჯე კაპიტნის თანაშემწე, რომელმაც მოგვახსენა, ცეცხლი შევნიშნე და ზარბაზნის ხმა მომესმაო. სათქმელი არ კი დამემთავრებინა, რომ ახლა იუნგი შემოვარდა და გვითხრა, ბოცმანმა მეორე გასროლაც გაიგონაო. მაშინვე ყველანი წამოვხტით და გემბანზე გამოვცვივდით, მაგრამ ერთხანს არაფერი გაგვიგონია. გავიდა რამდენიმე წუთი და უცებ დიდი ცეცხლი გამოჩნდა. ეტყობოდა, სადღაც შორს საშინელი ხანძარი მძვინვარებდა.

მაშინვე გამოვიანგარიშეთ ჩვენი გემის ადგილსამყოფელი და ერთხმად დავასკვნით, რომ იმ მიმართულებით,

ჩრდილო-დასავლეთით, საიდანაც ცეცხლი მოჩანდა, მთელი ხუთასი მილის მანძილზე არ შეიძლებოდა ხმელეთი ყოფილიყო. ალბათ ზღვაში რომელიღაც გემს გასჩენოდა ხანძარი. ამასთან, ეტყობოდა, შორს არ უნდა ყოფილიყო ეს ადგილი, რადგან სულ ცოტა ხნის წინ ზარბაზნის ხმაც გავიგონეთ. გემი იქით ავიღეთ და იმედი მოგვეცა, მალე მივაღწევდით, რადგან რაც დრო გადიოდა, ხანძარი მით უფრო დიდი მოჩანდა. მაგრამ ნისლიანი საღამო იყო და ცეცხლის მეტს კარგა ხანს ვერაფერს ვხედავდით. ასე, ნახევარი საათის შემდეგ ცა ცოტათი გადაიწმინდა და ჩვენ მარჯვე ზურგქარის წყალობით იმდენად წინ წავიწიეთ, რომ უკვე გარკვევით გამოჩნდა შუა ზღვაში ცეცხლმოდებულ დიდი ხომალდი.

ამ უბედურების ხილვამ გული ჩამწყვიტა, თუმცა არ ვიცოდი, ვინ იყო იმ გემზე. მაშინვე ის მომაგონდა, ერთხელ მე თვითონვე რა დღეში ვიყავი ჩავარდნილი, როცა პორტუგალიელმა კაპიტანმა შემივრდომა და წარმოვიდგინე, რამდენად სავალალო იქნებოდა იმ საბრალო ადამიანების მდგომარეობა, როცა ახლოს მეორე გემი არ ეგულვებოდათ. ხელად ბრძანება გავეცი, ხუთჯერ ზედიზედ გაესროლათ ზარბაზანი. ამით იქნებ გვენიშნებინა, რომ შველა ახლოს იყო, და ისინიც ცდილიყვნენ ნავით თავის გადარჩენას.

გათენების მოლოდინში დრეიფზე გავჩერდით და ცეცხლმოდებულ ხომალდის მიმართულებით გავემართეთ. უცებ გემი აფეთქდა და მაშინვე, რამდენიმე წუთში, ცეცხლი ჩაქრა, ესე იგი, გემი ჩაიძირა. ეს იყო შემადრწუნებელი, მართლაც რომ გულისმომკვლელი სანახაობა: საბრალო ადამიანები სულ დაიღუპებოდნენ გემთან ერთად, ან განუზომელ გაჭირვებაში იქნებოდნენ, შუა ოკეანეში ნავებით მოტივტივენი. მაგრამ ღამე იყო და ვერაფერს ვხედავდით. ყოველ შემთხვევაში, სადაც კი შესაძლებელი იყო, ყველგან ჩამოვაკიდებინე ანთებული ფანრები და ბრძანება მივეცი, მთელი ღამის განმავლობაში არ შეეწყვიტათ ზარბაზნების სროლა, რათა იმ მეზღვაურებს გაეგოთ, რომ იქვე ახლოს ვიყავით და ჩვენი გემის მიმართულებით წამოსვლა გაადვილებოდათ.

დაახლოებით დილის რვა საათი იქნებოდა, როცა ჭოგრიტით შევნიშნე ნავები. ორი ნავი იყო, ორივე ხალხით გაჭედილი

და წყალში ღრმად ჩაშვებული. ნავებში მსხდომთ, ეტყობოდათ, უკვე დაენახათ ჩვენი გემი და ახლა გამწარებით უსვამდნენ ნიჩბებს, პირქარის წინააღმდეგ მოცურავდნენ.

მაშინვე ბაირალი ავაფრიალეთ, რათა მიგვეხვედრებინა, რომ ჩვენი ისინი შევნიშნეთ. მერე დამატებით იალქნები გავშალეთ და მათკენ გავემართეთ, თან კი გემზე მოპატიჟების ნიშანს ვაძლევდით. ასე, ნახევარი საათის შემდეგ მივაღეჭით კიდევ მათ და ყველანი გემზე ამოვიყვანეთ. სამოცდაოთხი ადამიანი იყო - კაცები, ქალები და ბავშვები. ბევრი მგზავრი ყოფილიყო გემზე.

გამოირკვა, რომ ფრანგული სავაჭრო გემი იყო, სამასი ტონა წყალწყვისა, რომელიც ახლა კვებეკიდან საფრანგეთს ბრუნდებოდა. კაპიტანმა დაწვრილებით გვიამბო თავიანთი უბედურების ამბავი: მესაჭის გაუფრთხილებლობით თურმე საჭესთან ახლოს გაჩნდა ცეცხლი. მესაჭის ყვირილზე მიცვენილ მეზღვაურებს ეგონათ, სულ ჩააქრეს ხანძა-

რი, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ნაპერწკლები გემის სხვა ნაწილშიაც მოხვედრილიყო, ამასთან ისეთ მოუხერხებელ და მიუდგომელ ადგილას, რომ ჩაქრობა შეუძლებელი გახდა. ცეცხლი თანდათან გაჰყვა ტიმბერსს, გადავიდა ჭერზე და საბოლოოდ ტრიუმში შევარდა. ხანძრის ჩასაქრობად თავგამოდებული ბრძოლა ამას გამოდგა.

რომ ველარაფერს გახდენ, ადგენ და ნავებში გადასხდნენ, რომლებიც, მათდა იღბლად, კარგა დიდები იყო. ჰქონდათ ბარქაზი, კარჭაპი და ერთიც მომცრო ნავი, რომელშიაც სასმელი წყალი და სანოვაგე გადაიტანეს და არჩიეს, დაბრუნებულიყვნენ ნიუფაუნდლენდისაკენ, მით უმეტეს, რომ ქარიც იმ მიმართულებით ქროდა. თავიანთ საგზლითა და წყლით თორმეტ დღეს გაჭირვებით გაიტანდნენ თავს, ისე რომ შიმშილით სული არ ამოხდებოდათ. კაპიტანს იმედი ჰქონდა, ამ ხნის განმავლობაში, თუ ავდარი არ წამოეწეოდა და ქარიც მიმართულებას არ შეიცვლიდა, მიაღწევდნენ კიდევ ნიუფაუნდლენდს. გზაში შეეძლოთ აგრეთვე თევზების დაჭერაც. მაგრამ მრავალი უბედურება იყო მოსალოდნელი: შეიძლებოდა ქარიშხალი ამოვარდნილიყო, რომელიც ნავებს გადააბრუნებდა და ჩაძირავდა, წვიმა და სიცივე სახსრებს დაუზრობდა და გაუშეშებდა, პირქარი გზიდან ააცდენდა და შიმშილით ამოწყდებოდნენ. მართლაც რომ სასწაული იქნებოდა მათი გადაარჩენა.

ასე შიშით და სასოწარკვეთილებით რომ იყვნენ თავზარდაცემულნი, ზარბაზნის ხმა მოესმათ და სიხარულისგან გაოგნდნენ. გულში იმედი ჩაესახათ. გაიგონეს თუ არა ზარბაზნის ხმა, იალქნები დაუშვეს, რადგან ზარბაზნის ხმა პირქარს მიჰქონდა, და გადაწყვიტეს, დილამდე ასე დაეცადათ.

უფრო დიდი იყო მათი განცვიფრება, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ფარნები შენიშნეს და კიდევ ახალ-ახალი გასროლა გაიგონეს: მე ხომ ვუბრძანე, დილამდე არ შეეწყვიტათ სროლა. მაშინ იმათ ნიჩბები აამუშავეს, რათა ჩვენთან მოსვლა დაეჩქარებინათ. ბოლოს განუსაზღვრელი სიხარულით აევსოთ გული, როცა მიხვდნენ, რომ ჩვენ ისინი შევნიშნეთ.

ძალა არ შეეწყვეს ავიწეროთ ის უცნაური ცმუკვა და აღგზნება, რითაც საბრალო ხალხი მოულოდნელი გადარჩენის სიხარულს გამოხატავდა. ზოგს ცრემლები მოსდგომოდა თვალზე; ზოგიც აქეთ-იქით ეხეთქებოდა გაშმაგებით, თითქოს გამოუთქმელი მწუხარების ტკივილს განიცდისო; ზოგი ნამდვილ გიჟს ჰგავდა; რამდენიმე მათგანი გემის ბაქანზე დარბოდა და მხიარულად აბაკუნებდა ფეხებს; იქით

ცეკვავენ, აქეთ მღეროდნენ; ვინ თითებს იმტვრევდა; ბევრ მათგანს ენა ჩავარდნოდა, ხმას ვერ იღებდნენ; ზოგიერთს გული არეოდა, ზოგიც გულშემოყრილი ეყარა; რამდენიმე კაცი პირჯვარს იწერდა და ღმერთს მადლობას სწირავდა.

მეორე დღეს კაპიტანი და ერთ-ერთი მღვდელი მე და ჩემს ძმისწულს გვეახლნენ მოსალაპარაკებლად. რჩევა გვკითხეს, როგორ მოვიქცეთო. რაც გვაბადია, სუყველაფერი რომ მოგცეთ, თქვენი სიკეთის სამაგიეროს ამით ოდნავადაც ვერ გადავიხდით, მაგრამ ცოტაოდენ ფულსა და ძვირფას ნივთებს, რისი გადარჩენაც შევძელით, ახლავე მოგართმევთ, ოღონდ ისეთ ადგილას გადაგვსხით ნაპირზე, საიდანაც საფრანგეთში წასვლას მოვახერხებთო.

ჩემმა ძმისწულმა პირველად დააპირა ფულის აღება, მაგრამ მე დავუშალე, რადგან ვიცოდი, რას ნიშნავდა ხმელეთზე

გადასხმა უცხო ქვეყანაში. პორტუგალიელ კაპიტანს, რომელმაც ზღვაში შემვივრდომა, დახსნის საფასურად ასევე რომ გამოერთმია ჩემთვის ყველაფერი, რაც კი მებადა, შიშშილით სული ამომძვრებოდა. ან არადა ისეთივე მონა ვიქნებოდი ბრაზილიაში, როგორიც ბერბერიში ვიყავი.

ამიტომ ასე ვუპასუხე კაპიტანს: მართალია, უბედურებისაგან დავიხსენით, მაგრამ ეს ჩვენი მოვალეობა იყო, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ და ასეთივე მოპყრობას ვისურვებთ ჩვენს მიმართაც, ამგვარ ან სხვა რაიმე გასაჭირში თუ ჩავცვივდებით-მეთქი. იმაზე მეტი, აბა, რა გავაკეთეთ, რასაც დარწმუნებული ვარ, თქვენც გააკეთებდით ჩვენთვის, ასეთ დღეში რომ გენახეთ; განა იმითომ დაგიხსენით და შეგივრდომეთ, რომ ახლა ავდგეთ და გაგძარცვოთ; უფრო საშინელი გულქვაობა არც იქნება რამე, ცეცხლს გადარჩენილი გროშები წაგართვათ და ხელცარიელები გადაგსხათ ნაპირზე; როგორ, დახრჩობისაგან დაგიხსენით და ახლა შიშშილით სული ამოგხადოთ?! არა, სულ უმნიშვნელო რამესაც არ გამოგართმევთ-მეთქი, ვთქვი მე.

რაც შეეხება ხმელეთზე გადასხმას, კაპიტანს განვუცხადე, რომ ეს მართლაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ჩვენ დასავლეთ ინდოეთისკენ მივემგზავრებოდით. მართალია, ჩვენს პირდაპირ გზას კარგა ბევრით ავცდით და უფრო დასავლეთით გადავუხვიეთ, - ალბათ ღვთის ნებით, მათ გადასარჩენად, - მაგრამ ის აღარ შეგვეძლო, კიდევ გაგვემრუდებინა გზა ჩვენივე ნებით. ჩემს ძმისწულს არ შეეძლო გემის დაქირავებლებთან დადებული ხელშეკრულება დაერ-

ღვია, რომლის მიხედვითაც ბრაზილიაში უნდა შეგვევლო. ერთადერთი, რას ვაკეთებაც ჩვენ შეგვეძლო, ეს იქნებოდა - გეზი აგველო იმ მიმართულებით, სადაც უფრო მოსალოდნელი იყო დასავლეთ ინდოეთიდან ინგლისისაკენ ან საფრანგეთისაკენ მიმავალ გემებს შევხვედროდით.

მგზავრებს ეძნელებოდათ დასავლეთ ინდოეთისკენ წასვლა. მუდარა დამიწყეს, რაკი აქამდეც ვაგმრუდებით გზა და დასავლეთით გადაგიხვევიათ, ბარემ მიჰყევით მაგ მიმართულებას და ნიუფაუნდლენდისაკენ მაინც წაგვიყვანეთ, იქნებ გზაში გემს ან კარჭაპს გადავყვართო. იმედი ჰქონდათ, დაიქირავებდნენ გზად შეხვედრილ გემს და კანადისკენ გასწევდნენ, საიდანაც მოდიოდნენ.

მათი თხოვნა გონივრულად მივიჩინე და თანხმობის მიცემა გადაწყვიტე, რადგან, ჩემი აზრითაც, ამ საბრალო ხალხის წაყვანა დასავლეთ ინდოეთში არა მარტო მათ მიმართ იქნებოდა შეუწყნარებელი სისასტიკე, არამედ ჩვენი მოგზაურობის გეგმასაც მთლიანად დაანგრევდა - მთელ საგზაოს ვაგვითავებდნენ ისინი. ჩემი აზრით, მოულოდნელი შემთხვევის გამო გემის შეცვლა, რასაც უთუოდ მოითხოვდა საჭიროება, სრულებითაც არ ნიშნავდა ხელშეკრულების დარღვევას და ვერავინაც ვერ ვაგვკიცხავდა ამისათვის. არც ღვთისა და არც ბუნების კანონი ნებას არ ვაძლევდა ხელი გვეკრა ასეთ საჭიროებაში ჩავარდნილი ხალხისათვის. ვალდებული ვიყავით, სადმე ნაპირზე გადაგვესხა საბრალო ხალხი. ამიტომაც დავთანხმდი, წაგვიყვანა ისინი ნიუფაუნდლენდში, თუკი ხელსაყრელი ამინდი იქნებოდა, თუ არადა მარტინიკოში მაინც მიგვიყვანა, დასავლეთ ინდოეთში.

აღმოსავლეთის ქარი კვლავ ძლიერად უბერავდა, მაგრამ მაინც კარგი ამინდი იდგა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ნიუფაუნდლენდს მივადექით და ჩვენი ფრანგები ბარქაზში გადავსხით. ბარქაზი იმ პირობით დაიქირავეს, რომ, თუკი ნაპირზე საჭირო სანოვაგეს იმოვიდნენ, შემდეგ საფრანგეთშიც წაყვანათ. ახალგაზრდა მღვდელმა რომ გაიგო, ჩვენ დასავლეთი ინდოეთისაკენ მივემგზავრებოდით, გვთხოვა, თან წაგვიყვანა და კორომანდელში გადმოგვესვა. მაშინვე დავთანხმდი, რადგან ძალიან შემიყვარდა ეს ახალგაზრდა კაცი. ქვემოთ დავინახავთ, არც შევმცდარვარ. ამის გარდა, კიდევ ოთხი ფრანგი მებღვაური დარჩა ჩვენს გემზე სამუშაოდ და ყოჩაღი ბიჭებიც გამოდგნენ.

აქედან პირდაპირ დასავლეთ ინდოეთისკენ ავიღეთ გეზი. მთელი

ოცი დღე მივცურავდით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ხან სუსტი ზურგის ქარის დახმარებით, ხან კი სრულიად წყნარ ამინდში. უეცრად საშუალება მოგვეცა, კვლავ გამოგვეჩინა ადამიანური გულმოწყალება თითქმის ისეთსავე უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხის მიმართ, როგორც პირველად შეგვხვდა.

1694 წლის 19 მარტს ზღვაში იალქანი შევნიშნეთ. მალე გავარჩინეთ, რომ ეს იყო დიდი ხომალდი, რომელიც ჩვენსკენ მოცურავდა. თავდაპირველად ვერ მივუხვდით, რა აწუხებდათ, მაგრამ, როცა უფრო მოგვიახლოვდა, დავინახეთ, რომ მთავარი ანძა, წინა ანძა და ბუშპრიტი გაჭუჭუბოდათ. გაჭირვების ნიშნად ბარბაზანიც გაისროლეს. კარგი ამინდი იდგა, ქროდა ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთის ქარი და ჩვენც მალე მოგვეცა საშუალება გემოვლაპარაკებოდით.

ბრისტოლის გემი აღმოჩნდა, რომელიც ახლა ბარბადოსიდან შინ ბრუნდებოდა. რამდენიმე დღის წინათ რეიდზე მდგომი და ჯერ კიდევ ცურვისთვის მოუმზადებელი გემი საშინელმა გრიგალმა მოსწყვიტა თურმე ღუზას და გაიტაცა, ისე რომ, კაპიტანი და ბოცმანი ნაპირზე დარჩნენ. გემზე არ ჰყავდათ არც გამოცდილი მეზღვაურები, რომლებიც გემს სამშვიდობოს მიიყვანდნენ. უკვე ცხრა კვირა ასე დაბორილობდნენ ზღვაში. ამას დაემატა მეორე საშინელი ქარიშხალიც, როცა ანძები დაკარგეს. იმედოვნებდნენ, ბაჰამის კუნძულებს მიაღწევდნენ, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთის ძლიერმა ქარმა, რომელიც ახლაც ქროდა, კვლავ გაიტაცა ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და, რაკი ძლიერი იალქნები აღარ შერჩათ, რითაც ქარის წინააღმდეგ ცურვას მოახერხებდნენ, ახლა იმასლა ცდილობდნენ, როგორმე კანარის კუნძულებამდე მიეღწიათ.

მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ საჭმელი შემოღეოდით და შიმშილისაგან სულს დათავდნენ, ძლივსლა დალასლასებდნენ.

მგზავრთაგან გემზე იყო ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ახლდა დედა და მოსამსახურე გოგო. ყველაზე შავ დღეში ახლა ისინი იყვნენ, რადგან საგბალი არ ჰქონდათ, ხოლო თვითონ ასეთ გასაჭირში ჩავარდნილ მეზღვაურებს, ადვილად დასაჯერებელია, საბრალო მგზავრების თანაგრძნობისთვის აღარ ეცალათ. აღწერაც კი ძნელია იმისა, თუ რა საშინელ დღეში იყვნენ ახლა ისინი.

ცნობისმოყვარეობას რომ იმათ გემზე არ ავეყვანე, ალბათ ვერც კი გავიგებდი ამას. ჩემთან გამოცხადდა კაპიტნის მეორე თანაშემწე, რო-

მელიც ახლა გემს მართავდა, და მითხრა, დიდ კაიუტაში სამი მგზავრი გვყავს, რომელთა მდგომარეობა სავალალოაო.

გადავწყვიტეთ, დამშეული ხალხისთვის გაჭირვება შეგვემსუბუქებინა, მიგვეცა სარჩო, რისი გამეტებაც კი შეგვეძლო. მაინც ისე შევცვალეთ მოგზაურობის გეზი, რომ ახლა შეგვეძლო ყველაფერი დაგვეთმო მათთვის, თუნდაც მერე ჩვენთვის საჭირო საგზლის შესავსებად ვირჯინიას ან ამერიკის სხვა რომელიმე კუთხეში გავლა დაგვჭირვებოდა.

დამშეულნი ახლა ახალ საშიშროებაში აღმოჩნდნენ: ეშინოდათ, ერთბაშად ძალიან ბევრი არ ყოფილიყო ის მცირე საჭმელიც კი, რაც ჩვენ მათთვის გავიმეტეთ. კაპიტნის თანაშემწეს ექვსი კაცი მოჰყვა ნავით, მაგრამ საბრალო ხალხი სულ ჩონჩხებს დამსგავსებოდა - ისე გამოლევოდათ ძალ-ღონე, რომ ნიჩბები ძლივსლა ეჭირათ. თვითონ კაპიტნის თანაშემწეც შიმშილისაგან მისავათებულოყო.

გავაფრთხილე, ერთბაშად ნუ მიაძლებით-მეთქი, მაგრამ ხორცი მაინც მაშინვე გამოვუტანეთ. სამი ლუკმა არც კი გადაეყლაპა, რომ ცუდად შეიქნა, ამიტომ მეტი აღარც უჭამია. დოსტაქარმა წვნიანი მოურბენინა და შიგ რალაც წამალი გაურია - ეს საკვებიც იქნება მისთვის და წამალიცაო. მართლაც, ცოტა მოსვა კაპიტნის თანაშემწემ და მაშინვე გამომჯობინება დაეტყო. ამასობაში არც მისი მეზღვაურები დამვიწყებია, მათთვისაც მოვატანინე საჭმელი. ისე იყვნენ გამკვლევბულნი, რომ თავს ველარ იჭერდნენ და პირდაპირ დაულეჭავად ყლაპავდნენ. ორი მათგანი მაინც ისე ხარბად მიაძლა, რომ მეორე დილას კინაღამ ფეხი გაფშვიკეს.

ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი საბრალო ხალხის ხილვამ ჩემივე უბედურება მომაგონა, როცა პირველად გავირიყე კუნძულზე და არათუ ლუკმაპური, მისი მოპოვების იმედიც არ გამაჩნდა. ამასთან, ყოველ წუთში იმის შიში მიპყრობდა, თვითონვე არ გავმხდარიყავი მხეცების საკვები. მაგრამ, ვიდრე თანაშემწე თავიანთ განსაცდელს მიაბობდა, მე თავიდან არ მშორდებოდა დიდ კაიუტაში გამომწყვდეული სამი ბენავი ადამიანის ბედი - დედისა, შვილისა და მოახლე გოგოსი, რომელთა ხმა აგერ ორი-სამი დღეა არავის გაეგონა და რომლებიც საკუთარმა უბედურებამ სულაც გადაავიწყა თანაშემწესაც და მეზღვაურებსაც. ეს თვითონვე აღიარა თანაშემწემ. მივხვდი, რომ მათთვის პურის ნამცეციც კი არავის გაუმეტებია და აქამდე უთუოდ დაიღუპებოდნენ, ალბათ იატაკზე ეყრებოდნენ ფეხებგაჭიმულნი.

სანამ კაპიტნის თანაშემწესა და მის მხლებლებს ასე ვასულიერებდით, მე არ დამვიწყებია აგრეთვე შიმშილისაგან სიკვდილის პირას მისული გემზე დარჩენილი მეზღვაურები. ჩემსავე ნავში ჩავაწყობინე ერთი ტომარა პური, ოთხი-ხუთი ნაჭერი ხორცი და ჩემს თანაშემწეს გავატანე თორმეტი მეზღვაურის თანხლებით. დოსტაქარმა ჩემს თანაშემწეს დაავალა თვალყური ედევნებინა დამშეული მეზღვაურებისათვის, რომ უმად არ შეეჭამათ ან ნახევრად მოხარშული არ ამოეღოთ ქვაბიდან. ამასთან, პირველად ცოტ-ცოტა გაენაწილებინა.

თანაშემწეს დავავალე აგრეთვე დიდ კაიუტაში შესულიყო და საბრალო მგზავრები ენახა. დოსტაქარმა შეზავებული წვნიანიც გაატანა ქოთნით, რომელიც მან ადრე კაპიტნის თანაშემწეს შეახვრებინა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს წვნიანი ნელ-ნელა მოაბრუნებდა მათ.

გულმა აღარ მომითმინა და კაპიტნის თანაშემწის თანხლებით მეც გემისკენ გავეჩე.

გემზე საშინელი არეულობა დაგვხვდა. საბრალო ხალხს ლამის აჯანყება მოეწყო ქვაბიდან მოუხარშავი ხორცის ამოსაღებად. მაგრამ ჩემს თანაშემწეს, რომელიც მტკიცედ ასრულებდა ბრძანებას, სამზარეულოს კართან მცველი დაეყენებინა. მცველიც, რაკი შეგონებით ვერაფერს გახდა, ახლა მათ ძალით უმკლავდებოდა. ხორცის მოხარშვამდე ჩემმა თანაშემწემ ქვაბში ორცხობილა ჩააყრევინა დასალობად, შემდეგ ამოიღო და ცოტ-ცოტა გაუნაწილა ყველას, თანაც განუცხადა, ასე ცოტას თქვენნივე სასიკეთოდ გაძლევთო. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მე თვითონვე რომ არ მიმესწრო, და აღერსითა და მუქარით არ შემეკავებინა, დარწმუნებული ვარ, ძალით შეუცვივდებოდნენ სამზარეულოში, ხორცს ღუმლიდან დაითრევდნენ და დაგლეჯდნენ, რადგან ცარიელი სიტყვები მშიერ მუცელზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ. ასე იყო თუ ისე, დავამშვიდეთ და ნელ-ნელა შევაჩვიეთ საჭმელს: პირველად ცოტა მივეცით, მერე უფრო მეტი და მეტი, ასე რომ, საბოლოოდ სულაც გამოიძღეს მუცელი და კარგადაც იყვნენ.

მაგრამ დიდ კაიუტაში მყოფი საბრალო მგზავრების გასაჭირი სულ სხვა იყო, სხვებისაზე გაცილებით უარესი. უკანასკნელი ექვსი-შვიდი დღის განმავლობაში იმათ ერთი ნამცეცი პურიც არ ჰქონდათ გასინჯული. საბრალო დედა, რომელიც მეზღვაურების გადმოცემით მგრძობიარე და კარგად აღზრდილი ქალი იყო, თავისი ულუფიდანაც, თურმე შვილს უნაწილებდა და ბოლოს ერთბაშად დავარდნილიყო.

ჩვენს კაპიტნის თანაშემწეს სულთმობრძავი დახვდა. თანაშემწემ

გასამხნეველად და მოსაბრუნებლად ბევრი თბილი სიტყვა უთხრა და კოვზით წვნიანიც ჩაასხა პირში. ქალმა ბაგე გახსნა და ერთი ხელი ასწია, მაგრამ ლაპარაკი აღარ შეეძლო. ისე კი ყველაფერი კარგად გაიგო, რაც უთხრეს. მან ანიშნა, უკვე გვიანდა არის, მაინც ველარაფერს მიშველითო, და ხელი შვილისკენ გაიშვირა, თითქოს ამბობდა, იმას მიხედეთო. ამ სანახაობით გულჩაწყვეტილმა კაპიტანმა მაინც სცადა, ერთი-ორი კოვზი წვნიანი დაეღევიებინა. მაგრამ უკვე ძალიან დაგვიანებული იყო - ქალი იმავე ღამეს მოკვდა.

შვილი, რომლის გადარჩენა მოსიყვარულე დედის სიცოცხლის ფასად დაჯდა, ცოტა უკეთ დაგვიხვდა, თუმცა ლოგინზე უგრძნობლად გამხლართულიყო და სიცოცხლის ნიშანწყალი იმასაც ძლივს ეტყობოდა. პირში ედო ნაგლეჯი ძველი ხელთათმანისა, რომლის უდიდესი ნაწილი უკვე დაეღეჭა და შეეჭამა. იმის წყალობით რომ ახალგაზრდული ენერგია ჰქონდა და დედამისზე ძლიერი იყო, ჩემმა თანაშემწემ მოახერხა, ცოტაოდენი წვნიანი დაეღევიებინა, და მანაც გამოცოცხლება იწყო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ჩაასხეს პირში ორი-სამი კოვზი წვენი, მაგრამ ჭაბუკი ცუდად შეიქნა და უკანვე წამოაღებინა.

ახლა უნდა მიგვეხედა საბრალო მოახლე გოგოსთვის, რომელიც იატაკზე გაწოლილიყო თავისი ქალბატონის გვერდით და ბნედამორეული ადამიანივით სიკვდილს ებრძოდა. საბრალო გოგოს მართო შიმშილი და სიკვდილის შიში კი არ უსწრაფებდა სიცოცხლეს, არამედ, როგორც მებღვაურებმა გვითხრეს, შემდეგ, სტანჯავდა უბედურება თავისი ქალბატონისა, რომელიც ჯერ ისევ ორი სამი დღის წინ მის თვალწინ კვდებოდა და რომელიც მას განსაკუთრებული სინაზით უყვარდა.

აღარ ვიცოდით, რა უნდა მოგვეხერხებინა ამ საბრალო გოგოსთვის. ჩვენმა დოსტაქარმა, რომელიც თავის საქმეში კარგად დახელოვნებული და გამოცდილი იყო, დიდი წვალეებით მოახერხა მისი შემობრუნება სიცოცხლისაკენ და ახლა მის გონს მოყვანას ცდილობდა.

ამ ჩანაწერების წამკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ გაშლილ ზღვაში სტუმრობა სოფლიდან სოფელში გასეირნებას როდი ჰგავს, როცა ხშირად მთელი ორი კვირით ეწვევიან ხოლმე ერთმანეთს. ჩვენი მოვალეობა ის კი არ იყო, მათთვის დაგვეცადა, არამედ დახმარება უნდა აღმოგვეჩინა. იმათი სურვილი იყო, გამოგვეყოლოდნენ, მაგრამ არ შეგვეძლო უანძო ხომალდთან ერთად გვევლო. კაპიტანმა გვთხოვა, მთავარი ანძა ამამართვინეთო, და ჩვენც დავთანხმდით - სამი-ოთხი დღე მათთან დავრჩით. მებღვაურებს დაუუტოვეთ ხუთი პატარა კასრი საქონლის ხორცი, ერთი კასრი ღორის ხორცი, ორი დიდი კასრი ორ-

ცხოვრობდა, მუხუდო, ფევილი და სხვა რამეები, რისი გამეტებაც კი შეიძლებოდა. სანაცვლოდ წამოვიღეთ სამი ყუთი შაქარი, რომი, ცოტაოდენი ოქროს ფული და წამოვედით. მათი დაჟინებული თხოვნით თან წამოვიყვანეთ ჭაბუკი მგზავრი და მოახლე გოგო მთელი თავიანთი ბარგი-ბარხანით.

ჭაბუკი დაახლოებით ჩვიდმეტი წლის იქნებოდა - ლამაზი, ზრდილი, მოკრძალებული და ჭკვიანი, რომელიც ძალიან შეაწუხა დედის სიკვდილმა. გამოირკვა, რომ მამაც რამდენიმე თვის წინათ დაჰკარგოდა ბარბალოსში. ჭაბუკმა თურმე დასტაქარს სთხოვა, მე დავეყოლიებინე და წაგვეყვანა, რადგან ამ გულქვა მეზღვაურებმა დედა მომიკლესო. ეს მართლაც ასე იყო, მათ, შეიძლება ითქვას, მართლაც მოკლეს დედამისი, რადგან შეეძლოთ სულ მცირეოდენი რამ გაემეტებინათ უმწეო ქვრივი ქალისათვის - სიცოცხლის შესანარჩუნებლად მეტი არც უნდოდა. მაგრამ შიმშილმა არც მეგობარი იცის, არც ნათესავი, არც კანონი და არც სამართალი; ამიტომ არც სინდისის ქენჯნას იწვევს იგი და არც თანაგრძნობას აღძრავს.

დოსტაქარმა გააგებინა, საითაც მივდიოდით, და გააფრთხილა, რომ ჩვენთან წამოსვლით იგი კარგა მანძილით დაშორდებოდა მეგობრებს და, ვინ იცის, იქნებ ისეთსავე დღეში ჩავარდნილიყო, როგორშიაც ჩვენ ის ხომალდზე ვნახეთ - შიმშილით მიმკვდარებული. ამაზე ჭაბუკმა უპასუხა, ოღონდ კი ამ საშინელ ხალხს მომაშორეთ და არ დავეძებ, სადაც უნდა

წამიყვანოთ; ერთხელ უკვე მიხსნა კაპიტანმა და დარწმუნებული ვარ, ვნებას აღარ მომაყენებსო. რაც შეეხება მოახლე გოგოს, ჭაბუკს იმედი ჰქონდა, რომ, თუკი გონს მოვიდოდა იგი, ძალიან მადლიერი იქნებოდა, ამიტომ მის წაყვანასაც გვთხოვდა. დოსტაქარმა გადმომცა ყველაფერი. ისეთი თანაგრძნობით ლაპარაკობდა ჭაბუკზე, რომ დავთანხმდი და ორივე ამოვაყვანინე გემზე მთელი თავიანთი ბარგი-ბარხანით. კაპიტანს ხელწერილი ჩამოვართვი, რომ ბრისტოლში ჩასვლისთანავე იგი მოძებნიდა ქვრივი ქალის ნათესავს, იქაურ ვაჭარს, ვინმე მისტერ როჯერსს, რომელსაც ჩემს წერილსა და განსვენებული ქვრივის კუთვნილ ტვირს ჩააბარებდა.

მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ეს დავალება შეესრულებინოს, რადგან იმ გემის ასავალ-დასავალი მერე აღარ გამიგია. ალბათ ვერც კი მიაღწია ბრისტოლს. უფრო მოსალოდნელია, რომ იგი ზღვაში დაიღუპებოდა, რადგან გემს ფსკერი დაზიანებული ჰქონდა, ჩვენ რომ შევხვდით, წყალი ჟონავდა.

თავს აღარ შეგაწყენთ უმნიშვნელო დაბრკოლებების მოყოლით. პირდაპირ გეტყვით, რომ 1695 წლის 10 აპრილს მივადექით ჩემს ძველ საცხოვრებელ ადგილს - კუნძულს.

მაგრამ ასე ადვილად როდი მივაგენი მას. რადგან თავდაპირველად, ბრაზილიიდან რომ გავემგზავრეთ, ამ კუნძულს მივადექით სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან (ამავე მიმართულებით გამოვბრუნდი უკანაც), - ახლა კი ხმელეთსა და კუნძულს შორის ვიყავი მოქცეული, სანაპიროს რუკა თან არ მქონდა და აღარ ვიცოდი, რომელი უნდა ყოფილიყო ეს კუნძული.

ბევრი ვუტრიალე ზღვაში გაწოლილ კუნძულებს, რამდენიმეზე გადავედით კიდევ დიდი მდინარის - ორინოკოს შესართავთან, მაგრამ ამაოდ. ამ გადასვლებით ერთ რამეში კი დავრწმუნდი: მე რომ ადრე ჩემი კუნძულის მოპირდაპირე მხარეს გაწოლილი დიდი ხმელეთი კონტინენტი მეგონა, სინამდვილეში ყოფილა გრძელი კუნძული, ან კუნძულთა მთელი მწკრივი, ხოლო ის ველურები, რომლებიც ჩემს კუნძულზე მოდიოდნენ ხოლმე, სინამდვილეში ყარაიბები კი არ ყოფილან, არამედ ახლომახლო კუნძულის მცხოვრები იმავე ჯურის ბარბაროსები.

ასე, კუნძულიდან კუნძულზე ხეტიალით, საბოლოოდ მივადექი ჩემი კუნძულის სამხრეთ სანაპიროს და მაშინვე ვიცანი კიდევ. ჩემი საცხოვრებლის ახლო მდებარე ყურესთან მივაყენე გემი და ღუზა ჩავუშვი.

დავინახე თუ არა ჩემი კუნძული, მაშინვე პარასკევას ვუხმე და ვკითხე, აბა, სად ვართ-მეთქი. მან მიიხედ-მოიხედა, მერე უცებ ხელი ხელს შემოჰკრა და ყვირილს მოჰყვა: „ჰო, იქა! ჰო, იქა!“ თან ხელს ნაპირისკენ იშვერდა და გიჟივით ხტოდა. კინაღამ ზღვაში ჩახტა და ნაპირისაკენ მოუსვა.

- რას იტყვი, პარასკევა, - ვკითხე მე, - როგორ გგონია, დაგვხვდება ვინმე კუნძულზე თუ არა? ვნახავთ მამაშენს?

პარასკევა ერთხანს მუნჯივით იდგა, მაგრამ მამა რომ ვუხსენე, სახე მოქეუფრა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსცვივდა.

- რა მოგივიდა, პარასკევა? იმიტომ დაღონდი, რომ მამაშენი უნდა ნახო? - ვკითხე მე.

- არა, არა, - თავი გააქნია მან, - ვეღარ ვნახო; მორჩა, მეტად ვეღარ

ვნახო.

- ვითომ რატომაო? საიდან იცი, რომ ვერ ნახავ?

- აჰ, არა, არა, - განაგრძო პარასკევამ, - იგი დიდი ხანია, მოკვდება. დიდი ხნის წინ მოკვდება.

- კარგი, ერთი. აბა, საიდან იცი? სხვებზე რაღას იტყვი, სხვები დაგვხვდებიან?

როგორც ეტყობა, პარასკევას ჩემზე უფრო მახვილი თვალი ჰქონდა, - ხელი გაიშვირა გორაკისაკენ, რომლის ძირშიაც მე სახლი მედგა და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ნახევარი ლიე მანძილი გვაშორებდა იმ ადგილს, წამოიძახა:

- ჩვენ დავინახო, ჩვენ დავინახო, ჰო, ბევრი კაცი, იქა და იქ!

მივაშტერდი, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე, ჭოგრიტიც კი მოვიშველიე, მაინც ვერ დავინახე. პარასკევას სიმართლეში მეორე დღეს დავრწმუნდი - გორაკის თავზე მართლაც მდგარა ხუთი-ექვსი კაცი, რომლებიც თურმე გემს შემოსცქეროდნენ. არ იცოდნენ, რა ეფიქრათ ჩვენზე.

როგორც კი მითხრა პარასკევამ, ნაპირზე ხალხსა ვხედავო, მაშინვე ინგლისის დროშა გავაშლევინე. არ გასულა თხუთმეტი წუთი, რომ ყურეს პირდაპირ კვამლი ავარდა. მაშინ დაუყოვნებლივ ნავი ჩავაშვებინე ზღვაში, ზავის ნიშანი - თეთრი დროშა - ავაფრიალე და პარასკევასთან ერთად ნაპირისაკენ გავწიე. წავიყვანე აგრეთვე ახალგაზრდა მოძღვარი, რომელსაც მოგზაურობის დროს დაწვრილებით ვუამბე მთელი ჩემი თავგადასავალი, თუ როგორ ვცხოვრობდი კუნძულზე. ამიტომ მღვდელს ძალიან უნდოდა კუნძულზე წამოსვლა. თან გავიყოლე თექვსმეტი თავით ფეხებამდე შეიარაღებული კაცი, ყოველი შემთხვევისათვის, უცხო ხალხი რომ შეგვფეთებოდა, მაგრამ იარაღი სულაც არ დაგვჭირვებია.

ნავი პირდაპირ ყურესაკენ მივმართეთ. ძლიერი მოქცევა ხელს გვიწყობდა. პირველი ადამიანი, რომელიც ხმელეთზე შევნიშნე, ჩემ მიერ გადარჩენილი ესპანელი იყო - მაშინვე ვიცანი სახით. ბრძანება გავეცი, თავდაპირველად ჩემ გარდა არავინ გადასულიყო ნაპირზე, მაგრამ პარასკევას დატოვება ნავში ვერანაირად ვერ მოვახერხეთ: ამ მოსიყვარულე არსებას უკვე თვალი მოეკრა მამისათვის და წამოს-

ვლის ნება რომ არ მიგვეცა, უთუოდ ზღვაში გადახტებოდა. არც კი შეუდგამს ხეირიანად ფეხი ნაპირზე, რომ მაშინვე ადგილს მოსწყდა და მამისაკენ გაფრინდა ისარივით.

როგორი გულქვაც არ უნდა ყოფილიყო ადამიანი, ცრემლებს ვერ შეიმაგრებდა იმ საოცარი ალტყინებისა და სიხარულის ხილვაზე, რაც პარასკევამ მამასთან შეხვედრისას გამოიჩინა - გულში იხუტებდა, ლოშნიდა, სახეზე ხელს უსვამდა, მერე

ხელში აიტაცა და ხეზე ჩამოსვა, თვითონ კი იქვე მიუცუცქდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოდგა და თვალებში ჩააშტერდა. მთელი თხუთმეტი წუთი ისე უყურებდა, როგორც რაიმე უცნობ სურათს ათვალეირებს ხოლმე ადამიანი. ბოლოს კვლავ მიწაზე გაწვა და ფეხებზე ხელის სმა და ლოშნა დაუწყო. მერე ისევ წამოვარდა და სახეში ჩააშტერდა: - კაცი იფიქრებდა, მონუსხულიაო.

მეორე დღეს პარასკევა სულ სხვაგვარად, ძალიან საცოდავად გამოხატავდა თავის ალტყინებას: გამოედო ხელი მამამისისათვის და რამდენიმე საათის განმავლობაში ნაპირზე დაასეირნებდა წინ და უკან. თან წამდაუწუმ ნავისკენ გარბოდა და მოარბენინებდა შაქრის ნატეხს, არაყს, ნამცხვარს და ხან რასა და ხან რას.

ნამუადღევს მისი შეშლილობა კიდევ სხვაგვარად გამოიხატა: მამა მიწაზე დასვა, თვითონ კი შემოუარა მანჭვა-გრეხით, ისე, რომ ენა არ გაუჩერებია: უყვებოდა თავისი მოგზაურობის ამბებს, ართობდა. მოკლედ, ჩვენში ქრისტიანებსაც რომ ასეთივე სიყვარული ჰქონდეთ თავიანთი მშობლებისა, კაცი იტყოდა, მეხუთე მცნება საჭირო აღარ არისო.

მაგრამ საუბრის თემას გადავუხვიეთ. დავუბრუნდეთ ისევე ნაპირზე გადასვლის ამბავს. საჭირო არ იქნება ავწერთ მთელი ის ცერემონია და თავაზიანობა, რითაც ესპანელებმა მიმიღეს. პირველი ესპანელი, რომელსაც, როგორც გითხარით, მე ვიცნობდი, რადგან ერთხელ სიცოცხლე ვაჩუქე, ნავს მოადგა მეორე ესპანელის თანხლებით, რომელსაც ბავის ნიშნად აგრეთვე თეთრი დროშა ეჭირა ხელში. მაგრამ ჩემმა ესპანელმა არათუ ვერ მიცნო, აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს მე ვიქნებოდი, სანამ არ გამოველაპარაკე.

- ვერ მცნობთ, სინიორ? - მივმართე პორტუგალიურად.

ესპანელს ხმა არ ამოუღია, მუშკეტი თავის ამხანაგს გადაუგდო, ეს-

პანურად რაღაც თქვა, ხელები გაშალა, ჩემსკენ გამოიქცა და გადამეხვია.

ეს როგორ მეპატიება, ის კაცი ვერ ვიცანი, რომელიც ერთხელ ბეციდან მხსნელ-ანგელოზით მომეველინაო, თქვა მან. ამას მოაყოლა ბევრი ქათინაური, როგორც საერთოდ სჩვევიათ კარგად აღზრდილ ესპანელებს. მერე თავის ამხანაგს გადასძახა, წადი და სხვებსაც შეატყობინეო. შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა და მკითხა, თქვენს ძველ სახლში წამობრძანებას ხომ არ ინებებთ, რომელსაც ახლა ისევ თქვენ გადმოგცემთ, თუმცა, თვითონვე ნახავთ, ბევრი ვერაფერი შევმატეთო.

გავყევი, მაგრამ ვერ მივაგენი ჩემს საცხოვრებელ ადგილს. თითქოს პირველად ვიყავი ამ მხარეში. იმდენი ხე დაერგოთ ჩემ შემდეგ, ისეთი განლაგებით და ისე ხშირად და ათი წლის განმავლობაში ეს ხეები ისე დაზრდილიყო, რომ სახლი მიუვალი გამხდარიყო. ათასნაირად დაკლაკნილი, გაუთელავი ბილიკებით უნდა გევლოთ და ამ ბილიკებსაც მხოლოდ მისი გამყვანი მიაგნებდა.

ესპანელს ვკითხე, რა ციხესიმაგრედ გიქცევიათ ეს სახლი-მეთქი. ამაზე მიპასუხა:

- თქვენც დამერწმუნებით, რომ ასე იყო საჭირო, როცა კარგად გაიგებთ, რა გადაგვხდა თავს აქ დაბრუნების მერე, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, როცა თქვენი გამგზავრება გავიგეთო. სიხარულისა და კმაყოფილების მეტი, აბა, რა უნდა მეგრძნო, როცა გავიგე, რომ ოცნება აგისრულდათ და ბედს ეწიეთ - გაემგზავრეთ, მით უმეტეს, კარგი გემით, - განაგრძო მან, - ხშირად მქონდა ხოლმე რაღაც ძლიერი წინათგრძნობა, რომ, ადრე იქნებოდა თუ გვიან, კვლავ შეგვხვდებოდით.

რაც შეეხება იმ სამ ბარბაროსს (ასე იხსენიებდა მათ), რომლებიც ჩვენ კუნძულზე დავტოვეთ და რომელთა შესახებაც იგი რაღაც გრძელი ამბის მოყოლას შემპირდა, ესპანელებს ერჩივნათ ველურებთან მოხვედრილიყვნენ, ვიდრე მათთან.

- კიდევ კარგი, ცოტანი იყვნენ, - განაგრძო მან, - თორემ, ჩვენზე ძლიერები რომ ყოფილიყვნენ, დიდი ხანია სალხინებელში ვიქნებოდით.

ამ სიტყვებზე პირჯვარი გამოისახა.

- იმედი მაქვს, საწყენად არ დაგრჩებათ, ბატონო, როცა გიამბობთ,

როგორ გვაიძულა საჭიროებამ და ჩვენივე თავის გადარჩენის ინტერესებმა, იარაღი აგვეყარა და ქვეშევრდომებად გვექცია ისინი, რომელთაც ჩვენზე ბატონობა არ იკმარეს და მოინდომეს ჩვენი მკვლელები გამხდარიყვნენ.

ამასობაში ესპანელის გაგზავნილი კაციც დაბრუნდა და თან თორმეტი სხვა მოიყოლა. მათი ჩაცმულობის მიხედვით შეუძლებელი იყო გარჩევა, თუ რა ჯურის ხალხი უნდა ყოფილიყო. ესპანელი ჩემკენ მობრუნდა, ხელი მათკენ გაიშვირა და მითხრა: „ბატონო, აი ერთი ნაწილი იმ სინიორებისა, რომლებიც თქვენ უნდა გიმადლოდნენ გადარჩენას“. მერე იმათ მიუბრუნდა და ჩემი თავი გააცნო. ამის შემდეგ ისინი სათითაოდ მომეახლნენ, მაგრამ ისეთი ამბით, თითქოს მეზღვაურები და უბრალო ხალხი კი არ ყოფილიყვნენ, არამედ დიდებული ელჩები, ხოლო მე - დიდი მპყრობელი და ხელმწიფე. უაღრესად ზრდილობიანები და მოკრძალებულები იყვნენ და თან ვაჟკაცური მიხრა-მოხრა და დახვეწილი მანერები ჰქონდათ.

აქ უნდა გაგახსენოთ, რომ მე ველურებისაგან ჩემ მიერვე გადარჩენილი ესპანელი და პარასკევას მამა დიდი ნავით გავამგზავრე კონტინენტზე (მაშინ მეგონა, რომ ის ხმელეთი კონტინენტი იყო) ესპანელის ამხანაგების გადმოსაყვანად, რათა ისინიც დამეხსნა იმ საშინელი განსაცდელისაგან, რაშიაც თვითონ ეს ესპანელი იყო ერთხელ ჩავარდნილი, დახმარება აღმომეჩინა მათთვის იმჟამად, შემდეგ კი, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ერთად მოგვენახა რაიმე გზა თავის დასახსნელად.

მაშინ ფიქრადაც არ მომდიოდა, რომ კუნძულიდან თავის დაღწევას მოვახერხებდი, მით უმეტეს, არა მქონდა იმის წინათგრძნობა, რაც შემდეგ მოხდა - რას ვიფიქრებდი, რომ ინგლისური გემი მოადგებოდა ნაპირს და წამიყვანდა.

რალა თქმა უნდა, სახტად დარჩებოდნენ ისინი, როცა კუნძულზე დაბრუნდებოდნენ და ჩემ მაგივრად სამი უცხო კაცი დახვდებოდათ, რომლებიც მთლიანად დაეპატრონნენ ჩემს ავლა-დიდებას; ის მეზღვაურები რომ არ ყოფილიყვნენ, მთელი ქონება მათი საკუთრება გახდებოდა.

ესპანელს, უპირველეს ყოვლისა, ვთხოვე, დაწვრილებით ეამბნა, როგორ იმოგზაურა ნავით, თანამემამულეების წამოსაყვანად რომ გავგზავნე.

ბევრი არაფერია საამბობელი, მიპასუხა, გზაში ისეთი ღირსშესანიშნავი არაფერი შეგვმთხვევია, რადგან კარგი ამინდი იდგა და ზღვაც დაწყნარებული იყო. თანამემამულეებს, რაღა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდათ მისი დანახვა, სახტად დარჩნენ თურმე თავიანთი ამხანაგის დანახვაზე, რადგანაც იცოდნენ, რომ ისინი უსათუოდ შესანსლავდნენ ისევე, როგორც ყველა სხვა ტყვეს უსწორდებოდნენ ხოლმე. როცა მან თავისი გადარჩენის ამბავი მოუთხრო და გადასცა, ახლა თქვენ წასაყვანად მოვედიო, იმათ თავი სიზმარში ეგონათ.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ნავეები ეშოვათ, ამიტომ იძულებული გახდნენ, სინდისი ცოტა ხნით დაევიწყებინათ და ბოროტად გამოეყენებინათ თავიანთი მეგობრული დამოკიდებულება ველურებთან, ეთხოვათ მათგან ორი დიდი ნავი ან კარტაპი და თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოს სათევზაოდ მიდიოდნენ. მეორე დილითვე ჩასხდნენ ნავეებში და გაემგზავრნენ; ეტყობა, დიდი მზადება არ დასჭირებიათ, რადგან ბარგი მათ არ ჰქონდათ და არაფერი - არც ტანსაცმელი, არც საგბალი, არც სხვა რამ, გარდა იმისა, რაც ზედ ეცვათ, და ცოტაოდენი ძირებისა, რომლისგანაც ისინი საკვებს ამზადებდნენ.

სულ სამი კვირა შეაგვიანდათ და ამ ხნის განმავლობაში, მათდა საუბედუროდ, მე კუნძულიდან წასვლის საშუალება მომეცა. სამწუხაროდ, კუნძულზე დავტოვე სამი გამოუსწორებელი არამზადა.

ერთადერთი სამართლიანობა, რაც მათ გამოიჩინეს, ის იყო, რომ ესპანელებს კუნძულზე მისვლისთანავე გადასცეს ჩემი წერილი, სანოვაგე და სხვა საჭირო რამეები, როგორც ნაბრძანები მქონდა; გადასცეს აგრეთვე დიდი ქალაღი, რომელმაც ჩამოწერილი მქონდა, როგორ ვაცხოვდი პურს, ვზრდიდი მოშინაურებულ თხებს, ვიწვედი ყანას, ვახმობდი ყურძენს, ვაკეთებდი ქოთნებს, ერთი სიტყვით, ყოველგვარი საქმიანობა, რასაც მე იქ ვეწეოდი.

პირველ ხანებში კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს; თავიანთი კუთხე მიუჩინეს სახლშიაც, გამოქვაბულშიაც და დაიწყეს შეხმატკბილებული ცხოვრება. უფროსი ესპანელი და პარასკევას მამა ყველაფერს განაგებდნენ. ინგლისელები კი არაფერს აკეთებდნენ - მთელი დღეები კუნძულზე დაწანწალებდნენ, თუთიყუშებს ესროდნენ, კუებს იჭერდნენ, ხოლო შინ ღამით ბრუნდებოდნენ და ესპანელების მომზადებულ ვახშამს თქვლევდნენ.

ესპანელები ამაზეც თანახმა იქნებოდნენ, ოღონდ იმათ სხვაგვარად არ შეეწუხებინათ და ხელი არ შეეშალათ. რამდენიმე ხნის შემდეგ

იმ არამზადებს აღარ მოუთმინა გულმა. პირველ ხანებში მათი უთანხმოებანი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ საამბობლადაც არა ღირს, მერე კი, საბოლოოდ, მებღვაურებმა აშკარა ომად აქციეს: იგი დაიწყო წარმოუდგენელი თავხედობითა და სისაძაგლით, სრულიად უმიზნოდ და უსაბაბოდ ისე, რომ ბუნების ყოველგვარ კანონსა და საღ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა. ეს ყველაფერი პირველად თვით შეურაცხყოფილმა მხარემ - ესპანელებმა მიაბეს და შემდეგ, ინგლისელები რომ დავკითხე, ერთი სიტყვაც ვერ უარყვეს.

სანამ შევუდგებოდე ამ ამბის დაწვრილებით მოთხრობას, ერთი შემთხვევა უნდა გიამბოთ: ჩავსხედით თუ არა გემში და ღუზის ამოღება დავაპირეთ, გემბანზე პატარა ჩხუბი მოხდა. შემეშინდა, ისევ ამბობება არ მოხდეს-მეთქი, მაგრამ კაპიტნის ჩარევამ ყველაფერი მოაგვარა. მან ორი ყველაზე გამოუსწორებელი ჩხუბისთავი შეიპყრო და ხუნდები დაადო, ხოლო, რაკი ისინი პირველი ამბოხების დროსაც გამოირჩეოდნენ და ახლაც მაგრად იმუქრებოდნენ, კაპიტანი მათ დაემუქრა, ასე ხუნდებით ჩაგიყვანთ ინგლისში და ამბოხებისა და გემის გატაცებისათვის ჩამოგახრჩობენო.

კაპიტანს სინამდვილეში არა ჰქონია ასეთი განზრახვა, მაგრამ მუქარამ გემის მთელი შემადგენლობა შეაშინა.

მალე იმ ორ ჩხუბისთავსაც ავხსენი ხუნდები და ყველა დავაშოშმინე, მაგრამ იმ ღამეს მაინც ველარ გავემგზავრეთ, დილისათვის კი ქარიც ჩამდგარიყო. მეორე დღეს გამოირკვა, რომ იმ ორ ჩხუბისთავს თითო მუშკეტი და სხვა იარაღი გაეტაცათ, ჩამსხდარიყვნენ ნავში, რომელიც ჰერ კიდევ არ იყო გემზე ატანილი, და თავის არამზადა ამფსონებთან გაქცეულიყვნენ კუნძულზე. გავიგე თუ არა ეს, მაშინვე ვუბრძანე, დიდი კარჭაპი ჩაემვათ ზღვაში და თორმეტი კაცი კაპიტნის თანაშემწის თანხლებით იმ არამზადების შესაპყრობად გასულიყო ნაპირზე, მაგრამ მდევრებმა ვერც ისინი ნახეს, ვერც დანარჩენები, რადგან ავაზაკებმა დაინახეს თუ არა ნაპირისკენ დაძრული კარჭაპი, ტყეში დამალნენ.

კაპიტნის თანაშემწემ ერთი პირობა დააპირა თაღლითების ყანა აეოხრებინა, სახლი და მთელი მარაგი სურსათისა გადაეხუტა და ისინი ცარიელზე დაეტოვებინა, მაგრამ, რაკი ჩემი ბრძანება არა ჰქონდა, ველარ გაბედა, ყველაფერი ხელუხლებელი დატოვა და კარჭაპით ისევ გემს მოადგა.

ამრიგად, ორი არამზადის მიმატებით, კუნძულზე ხუთი კაცი გახდა,

მაგრამ პირველი სამი გაცილებით უარესები იყვნენ, ასე რომ, ორი-სამი დღის ერთად ცხოვრების შემდეგ ახლადმისულები შინიდან გამოყარეს.

ესპანელების ჩამოსვლის შემდეგ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა. მათ დაუწყეს შეგონება იმ სამ ინგლისელ მხეცს, ისევ შერიგებოდნენ თავიანთ ამხანაგებს და, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ ოჯახად ეცხოვრათ. მაგრამ არამზადებს მოსმენაც კი არ სურდათ. ასე რომ, ის ორი საბრალო მეზღვაური სულ გარიყული დარჩა და, როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ შრომა და თავის შეწუხება უშველიდათ, თავიანთი კარვები დაიდგეს კუნძულის ჩრდილო ნაპირზე, მხოლოდ ცოტათი უფრო დასავლეთისაკენ, რათა დაცული ყოფილიყვნენ ველურებისაგან, რომლებიც ყოველთვის აღმოსავლეთიდან მოადგებოდნენ ხოლმე კუნძულს. იქ აიშენეს მათ ორი ქოხი - ერთი საცხოვრებლად, მეორე საკუჭნაოდ და ბეღლად. ესპანელებმა უწილადეს სათესლე ხორბალი და ჩემი დატოვებული ცოტაოდენი მუხუდო. მათ დაბარეს მიწა, დათესეს, შემოღობეს სწორედ ჩემი მაგალითის მიხედვით და საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ. პირველი მოსავალი მალე მოიწიეს და, თუმცა მიწის პატარა ნაკვეთი ჰქონდათ დამუშავებული, - მეტი ვერ მოასწრეს, -

თავის გასატანად მაინც ეყოფოდათ, მეორე მოსავლის მოწევამდე საჭმელი არ მოაკლდებოდათ. ამასთან, ერთი მათგანი გემზე მზარეულის თანაშემწედ მუშაობდა, ასე რომ, მშვენიერ წვნიანს, ღვეზელსა და სხვა საჭმელებს ამზადებდა.

ცხოვრობდნენ ასე მშვიდობიანად, მაგრამ ერთ დღესაც ის სამი გამოუსწორებელი არამზადა მოვიდა და გამოსაჯავრებლად და აბუჩად ასაგდებად ტრაბახს მოჰყვა, კუნძული ჩვენია, გუბერნატორმა (მე მგულისხმობდნენ) დაგვიტოვა და ჩვენ გარდა მასზე არავის არა აქვს უფლება - თუ რენტას არ გადაგვიხდით, სახლის დადგმის უფლებას არ მოგცემთო.

დამხვდურებმა პირველად ხუმრობა სცადეს და სახლშიც შეიპატიჟეს არამზადები, მაგრამ ერთ-ერთი გაგულისდა და გინება დაიწყო, ხუმრობისათვის არა გვცალია და ამას ახლავე დაგიმტკიცებთო. იმ საბრალო ხალხს იქვე, ერთ კუთხეში, ცეცხლი გაეჩაღებინა და სადილს ხარშავდნენ. ეს მხეცი ცეცხლთან მივარდა, მუგუზბალს ხელი დასტაცა და ქოხის კედლებს დაუშინა გარედან. რა თქმა უნდა, ხეს მაშინვე მოეკიდა ცეცხლი და აბრიალდა. გადაიწვებოდა კიდევ მთელი სახლი რამდენიმე წუთში, მაგრამ ერთ-ერთმა მასპინძელმა მოასწრო,

მივარდა გარეწარს, ხელი ჰკრა, იქით გადააგდო და ცეცხლი ჩააქრო, თუმცა ეს არცთუ ისე იოლი საქმე იყო.

ხელის კვრა როგორ გამიბედაო, გამწარდა გარეწარი, ღობიდან სარი ამოაძრო და საწყალ მასპინძელს მოხერხებულად რომ არ აეცდინა დარტყმა და ქოხში დროზე არ შევარდნილიყო, იქვე სულს გააფრთხოვინებდა. რა დაინახა განსაცდელში ვართო, ამხანაგიც შეჰყვავა ქოხში და თვალის დახამხამებაში ორივენი თოფებით გამოცვივდნენ გარეთ. ერთი მათგანი, სწორედ ის, სარის დარტყმას რომ გადაურჩა, მივარდა სარიანს და, ვიდრე ამხანაგები მიშველებას მოასწრებდნენ, თოფის კონდახი სთხლიშა, იქვე გაშხლართა მიწაზე. ახლა ის ორი გამოიქცა მისაშველებლად. დამხვდურები მათკენ მიბრუნდნენ და თოფი დაუმიზნეს. არ მოგვეკაროთო, უკვილეს.

მომხდურებსაც თან ჰქონდათ თოფები, მაგრამ ერთ-ერთმა დამხვდურმა, რომელიც თავის ამხანაგზე უფრო გულადიც იყო, ხოლო ახლა საშიშროებას კიდევ უფრო თავზეხელაღებული გაეხადა, დასტყვივლა: ხელის ან ფეხის განძრევა თუ გაგიბედავთ, ახლავე გაგათავებთო. მერე უბრძანა, იარაღი დაეყარათ.

იარაღი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაუყრიათ, მაგრამ, რა შეატყვეს, ეს თავის განზრახვაზე უკან არ დაიხევსო, მოლაპარაკება გამართეს. შეთანხმდნენ, რომ წაიყვანდნენ თავიანთ დაჭრილ ამხანაგს და გაეცლებოდნენ. ეტყობა, მძიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული იმ არამზადას.

დიდი შეცდომა მოუვიდათ დამხვდურებს, რომ უპირატესობით არ ისარგებლეს და იარაღი არ აჰყარეს. ეს მათთვის არ იყო ძნელი და სინამდვილეში ასეც უნდა მოქცეულიყვნენ, მერე კი წასულიყვნენ ესპანელებთან და ყველაფერი ეამბნათ იმ არამზადების შესახებ, რადგან ამის შემდეგ სამი გარეწარი სულ სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობდა და ამას არც მალავდნენ.

ჯერ იყო და, დედა თხა და სამი თიკანი მოუკლეს, რომელთაც საბრალო ხალხი თანდათან იშინაურებდა და ზრდიდა; მერე ყანა აუოხრეს, გაუთელეს, ერთი სიტყვით, დღისით თუ ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ; ისე გაუმწარეს სიცოცხლე, რომ გადაწყვიტეს: როგორც კი მოახელთებდნენ, პირდაპირ შეტაკებოდნენ, იმის მიუხედავად, რომ ესენი ორნი იყვნენ, ისინი კი - სამნი.

ერთ დღეს მოემზადნენ ციხესიმაგრეში წასასვლელად (ასე უწო-

დებდნენ ისინი ჩემს ძველ საცხოვრებელს), სადაც მაშინ გარეწარი და ესპანელები ერთად ცხოვრობდნენ. უნდოდათ სამართლიან ბრძოლაში გამოეწვიათ, ესპანელები კი მოწმედ ჰყოლოდათ, რათა თვალყური ედევნებინათ, რომ წესები არ დაერღვიათ. გათენებისას მიადგნენ ციხესიმაგრეს და ინგლისელებს გამოუძახეს, ხოლო, როცა ესპანელი გამოეხმაურა, ამათ უთხრეს, ინგლისელებთან გვაქვს საქმეო.

წინააღმდეგობით, როგორცაც, ორ ესპანელს ტყეში გზად შეხვედრია ერთ-ერთი ინგლისელი იმ ორთაგან, რომელთაც სხვებისაგან გამოსარჩევად. ამიერიდან პატიოსან ხალხს ვუწოდებ. იმან თურმე მწარედ შესჩივლა ესპანელებს თავიანთი სამი თანამემამულის ბარბაროსობის ამბავი - როგორ გაუნადგურეს ყანა, გაუთელეს ჯეჯილი, რომლის მოწევამდეც ისინი ოფლს ღვრიდნენ, მოუკლეს მეწველი თხა და სამი თიკანი; ერთი სიტყვით, მთელი სარჩო-საბადებელი გაუნადგურეს. და თუ ესპანელები კვლავაც არ გაუმართავდნენ ხელს, შიმშილით ამოწყდებოდნენ.

შინ დაბრუნების შემდეგ, ვახშმად რომ ისხდნენ, ერთმა ესპანელმა გაბედა და ძალიან მორიდებულად გაკიცხა ინგლისელები; ასეთ გულქვაობასა და სისასტიკეს როგორ იჩინებდათ თქვენნივე უწყინარი თანამოძმეების მიმართ, რომელთაც განუწყვეტელი შრომით ძლივს წელი გაიმართეს და ლუკმაპური მოიპოვესო.

ერთი ინგლისელი მკვირცხლად მიუბრუნდა და უთხრა;

- მერე აქ რა ესაქმებათ? ვინ მისცა აქ მოსვლის ნება? არც თევზის უფლება აქვთ და არც სახლის აგებისა, ეს მაგათი მამული არაა.

- რატომ, სენიორ ინგლებ, - წყნარად უპასუხა ესპანელმა, - შიმშილით ხომ არ უნდა დაიხოცონ?!

ინგლისელმა, ნამდვილ მოუხეშავ მებღვაურს რომ შეეფერება, ისე უთხრა:

- თავში ქვა უხლიათ, იშიმშილონ და დაიხოცონო, ამ მიწაზე ვერ დათესავენ და ვერც სახლს ააშენებენ.

- აბა, რა უნდა ქნან, სენიორ? - კვლავ შეეკითხა ესპანელი.

ახლა მეორე მხეცი ჩაერია.

- რა ქნანო? კისერიც უტეხიათ! მოგვემსახურონ, ჩვენთვის იმუშაონ.

- რა გული მოგცემთ, რომ ეს დაავალოთ? - თქვა ესპანელმა, - თქვენი ფულით ხომ არ გიყიდიათ, რა უფლება გაქვთ, მსახურებად გაიხადოთ?

ინგლისელმა უპასუხა:

- კუნძული ჩვენია, ჩვენ გვაჩუქა გუბერნატორმა და ჩვენ გარდა, აქ არავის არაფერი ესაქმება, - თქვა ეს და ღმერთი დაიფიცა, წავალთ და იმ ახალ ქოხებს გადავბუგავთ, სახლს ამ მიწაზე არ ავაშენებინებთო.

- ისე გამოდის, სენიორ, - განაგრძო ესპანელმა, - რომ ჩვენც თქვენი მსახურები უნდა გავხდეთ!

- მაშ, რა გეგონათ! - უპასუხა თავხედმა ძაღლმა, - თქვენც მსახურები უნდა გახდეთ, მანამ თავიდან არ მოგვიშორებიხართ, - და თან რამდენჯერმე შეიკურთხა. ესპანელს გაელიმა, თქმით კი აღარაფერი უთქვამს.

მაგრამ ამ პატარა დავამ ინგლისელები გააფიცხა. ერთი მათგანი, თუ არ ვცდები, ის, ატკინსი რომ ერქვა, ზემე წამოიჭრა და ამხანაგებს შესძახა:

- აბა, ჯერ წამოდი, ერთი კიდევ მივუხტეთ. ნახე, ეს ციხესიმაგრეც თუ არ დავანგრიოთ! ჩვენს მამულზე ვის რა უფლება აქვს, კოლონიები დააარსოს?

თქვა ეს და სამივენი გაცვივდნენ, თან წაიღეს თითო თოფი, დამბაჩა და ხმალი. მიდიოდნენ და დუდღუნებდნენ: ესპანელებსაც კაი დღეს დავაყრიოთ, ოღონდ ერთი შემთხვევა მოგვეცესო.

სად წავიდნენ ან ის საღამო სად გაატარეს, ესპანელებს არ გაუგიათ. როგორც ეტყობა, კუნძულზე იხეთიალეს, მერე კი ჩემს ფანჯარტურს მიადგნენ და, რაკი არაქათგამოცლილები იყვნენ, დაეყარნენ და დაეძინათ. როგორც შემდეგ გამოირკვა, გადაწყვეტილი ჰქონდათ, დაეცადათ შუალამემდე, მერე მიჰპარვოდნენ საბრალო ინგლისელების სახლს, სახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ, ხოლო მძინარე ხალხი შიგ გამოეხუტათ. გაქცევას თუ ეცდებოდნენ, დაეხოცათ.

მაგრამ აკი მოგახსენეთ, იმ ორ პატიოსან კაცსაც ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება არამზადების წინააღმდეგ, თუმცა გაცილებით უფრო სამართლიანი, ვიდრე სახლის გადაწვა და ხალხის ავაზაკურად ამოწყვეტა. საბედნიეროდ, ისინი გათენებამდე ადგნენ და სახლიდან

წავიდნენ. სისხლისმსმელმა არამზადებმა ველარ მოუსწრეს.

მივიდნენ, ნახეს, რომ სახლში არავინ იყო, და ატკინსმა, რომელიც, ეტყობა, მათი თავკაცი იყო, ამხანაგებს გადასძახა:

- შეხე, ჯეკ, ბუდე აქ არის, ჩიტები კი გაფრენილან, - და ერთი მაგრად შეიგინა. ერთხანს ჩაფიქრებულები იდგნენ და არკვევდნენ, ასე უთენია სახლიდან რამ გაიყვანათო. ბოლოს დაასკვნეს, ალბათ ესპანელები გააფრთხილებდნენო. ერთმანეთს შეჭფიცეს, რომ ესპანელებზეც იძიებდნენ შურს. მიიღეს ეს სასტიკი გადაწყვეტილება და საბრალო ხალხის სახლს მისცვივდნენ. დაწვით არ დაუწვავთ, მაგრამ არც რამე დაუკლიათ - დაანგრიეს, დაარღვიეს, სულ ნაკუწ-ნაკუწ აქციეს, ერთი ფიცარიც არ დატოვეს, ბოძიც კი არ დარჩა იმის ნიშნად, რომ აქ ოდესმე სახლი მდგარა. საოჯახო ნივთებიც აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტეს, ისე შორს გადაყარეს, რომ შემდეგ საბრალო ხალხმა ზოგი რამ სახლიდან ერთი მილის დაშორებით იპოვა. მერე სახლის ირგვლივ დარგულ მცენარეებს მიჰყვეს ხელი და სულ ძირიანად დაგლიჯეს. მოარღვიეს ყანის ღობეც და თხების საჩიხეც. ერთი სიტყვით, ისე გაძარცვეს და ააოხრეს იქაურობა, გეგონებოდათ, თათრის ურდოებს აუოხრებიათო.

ამასობაში ის ორი კაცი იმათ ძებნაში იყო გართული. გადაწყვეტილი ჰქონდათ, სადაც არ უნდა შეხვედროდნენ, ბრძოლაში გამოეწვიათ, მიუხედავად იმისა, რომ ორნი იქნებოდნენ სამის წინააღმდეგ. მართლაც რომ გადაყროდნენ გზაზე, დიდი სისხლის ღვრა მოხდებოდა, რადგან ისინი მართლაც რომ ჩასხმული, ახოვანი და შეუპოვარი ბიჭები იყვნენ.

მაგრამ განგება უფრო ზრუნავდა მათზე და როცა ის ორი ინგლისელი ციხესიმაგრეს მიადგა, ავაზაკები უკვე სახლს აოხრებდნენ; ხოლო, როცა ავაზაკები დაბრუნდნენ ციხესიმაგრეში, პატიოსანი ინგლისელები მაშინ მივიდნენ თავიანთ ნასახლართან.

ის სამი არამზადა ცოფიანივით მივარდა სახლში, სახეზე ალმური ასდიოდათ თავიანთი ნამოქმედართ აღგზნებულებს. მიცვივდნენ ესპანელებს და ყველაფერი უამბეს ტრაბახითა და სიცილით. ერთი ეცა ერთ-ერთ ესპანელს, მოგლიჯა თავიდან ქუდი და ჰაერში აისროლა, მერე დაეჭყანა და პირში მიახალა:

- თუ არ მოჭკვიანდებით, თქვენც ის დღე მოგელით, სინიორ ჯეკ ესპანელო.

ესპანელი უწყინარი და თავაზიანი კაცი იყო, მაგრამ სიმამაცით არავის ჩამოუვარდებოდა. ერთხანს უყურა არამზადას, მერე კი, არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ მივიდა და, რაკი იარაღი თან არა ჰქონდა, ერთი ისეთი მუშტი უთავაზა, რომ მაშინვე ძირს დაანარცხა.

ამის დანახვაზე მეორე არამზადამ, რომელიც თავხედობით პირველს არ ჩამოუვარდებოდა, დამბაჩა იძრო და ესპანელს დაახალა. ტყვიამ თმაში გაუარა ესპანელს, მაგრამ ცოტათი ყურიც გაკაწრა და კარგა ბლომად სისხლი ადინა. ახლა კი მართლაც გაცეცხლდა ესპანელი, ასე არ უნდაო, იფიქრა, დაიხარა, წაქცეულ არამზადას თოფი გამოჰგლიჯა და ის იყო დამბაჩიანისათვის უნდა ესროლა, რომ ამ დროს დანარჩენი ესპანელები გამოქვაბულიდან გამოცვივდნენ, ამას უყვირეს, არ ესროლოო, და იმ ორ ინგლისელსაც გამოსტაცეს თოფები.

იარაღაყრილი არამზადები ცოტათი დაცხრნენ და ესპანელებს შეეხვეწნენ, იარაღი დაგვიბრუნეთო. განუცხადეს, თუ თვითონვე მოისურვებთ, არაფერს გავნებთ. პირიქით, ხელს გაგიმართავთ და წინანდებურად შეხმატკბილებულად ვიცხოვროთ, იარაღის დაბრუნებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტიაო.

იარაღის დაბრუნებაზე რომ უარი მიიღეს, გაცოფდნენ და მუქარას მოჰყვნენ, უიარაღოდაც გაჩვენებთ სეირსო. ესპანელებს აინუნშიაც არ ჩაუგდიათ მათი მუქარა, გააფრთხილეს, თუ გაბედავთ და ხელს ახლებთ ან ყანას, ან საქონელს, იცოდეთ, სულს გაგაფრთხოვინებთო.

ამან ოღნავადაც არ დაამშვიდა არამზადები, - კვლავ გიჟებივით ღრიალებდნენ და ილანძღებოდნენ.

წავიდნენ თუ არა ისინი, მაშინვე ორი პატიოსანი ინგლისელი მოივარდა, ისინიც კარგა აღელვებულები და გაცოფებულები იყვნენ: უკვე მოესწროთ სახლში მისვლა და ენახათ აოხრებული სახლ-კარი და განადგურებული ყანა.

გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მოექებნათ არამზადები და გასწორებოდნენ. აქაც ესპანელები ჩაერივნენ საქმეში და განუცხადეს, ნებას ვერ მოგცემთ ორ იარაღასხმულ კაცს - იარაღაყრილებს დაედევნოთ და გაჟლიტოთო. „მაგრამ, - თქვა დარბაისელმა ესპანელმა, რომელიც სხვებს მეთაურობდა, - თუ მოგვანდობთ, ჩვენ თვითონვე გაგიჩნთ სამართალს; იმათ ვაზღვევინებთ, რადგან დარწმუნებული ვარ, როგორც კი ცოტათი დაშოშმინდებიან, უკანვე დაბრუნდებიან - უჩვენოდ ვერ გაძლებენ. პირობას გაძლევთ,

ისე არ შევირიგებთ, თუ თქვენ მთლიანად არ აგინაზღაურეს ზარალი. ოღონდ იმედი გვაქვს, ასეთი პირობის შემდეგ თქვენც სიტყვას მოგვცემთ, რომ არას ავნებთ“.

ინგლისელებს ამაზე დათანხმება ეძნელებოდათ და ყოყმანობდნენ. მაგრამ ესპანელები არწმუნებდნენ, ამას იმიტომ

გეუბნებით, რომ გვინდა სისხლისღვრა ავიშოროთ და საბოლოოდ ყველაფერი კარგად მოვაგვაროთო. „ხომ ხედავთ, ისედაც ცოტანი ვართ, - თქვეს მათ, - მიწა კი უხვად არის; ძალიან სამწუხაროა, რომ ერთმანეთთან მეგობრულად არ ვართო“. ბოლოს, როგორც იქნა, დათანხმდნენ და რამდენიმე დღით ესპანელებთან დარჩნენ, რადგან მათი სახლი დანგრეული იყო.

ასე, ხუთი დღის შემდეგ, არაქათგამოცლილი და შიმშილისაგან სიკვდილის პირას მისული სამი მაწანწალა ჭალაში დაბრუნდა. იქ დახვდათ ჩემი ესპანელი და კიდევ ორნი. ინგლისელები მიეახლნენ და მორჩილებითა და ქედის მოდრეკით სთხოვეს, ისევ თქვენს ოჯახში მიგვიღეთო. ესპანელებმა თავაზით მიიღეს, მაგრამ განუცხადეს, რომ მათი მოქცევა თავიანთივე თანამემამულეთა მიმართ მეტად არაადამიანური იყო, ესპანელებსაც უხეშად მოექცნენ და ახლა იმ ინგლისელებისა და სხვა ესპანელების დაუკითხავად ვერაფერს ეტყოდნენ. წავალთო, - უთხრეს, - სხვებსაც მოვეთათბირებით და ნახევარ საათში პასუხს შეგატყობინებთო.

თვითონვე მიხვდებით, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რაკი ასე მოთვინიერდნენ. პასუხის მოლოდინში შეეხვეწნენ, ცოტაოდენი პური გამოგვიგზავნეთო. ესპანელებმა გაუგზავნეს არა მარტო პური, არამედ კარგა მოზრდილი ნაჭერი თხის ხორცი და მოხარშული თუთიყუში. ისე იყვნენ დამშეულნი, რომ გემრიელად შეექცნენ საჭმელს.

ნახევარი საათის ბჭობის შემდეგ ესპანელებმა გამოიძახეს და მათი საქმე განსაჯეს. მათივე თანამემამულე ინგლისელები ბრალსა სდებდნენ თავიანთი ნაღვაწ-ნადაგის განადგურებასა და მათი მოკვლის განზრახვაში. ესპანელები ამათი მომრიგებლები იყვნენ და აიძულეს სამი არამზადა, წასულიყვნენ და თანამემამულეებისათვის ორი ქოხი აეგოთ - ერთი ისეთივე პატარა, მეორე წინანდელზე უფრო დიდი. ისევ შემოელობათ საყანე მიწა, ხეები დაერგოთ იქვე, სადაც მოთხარეს, ნაყანევი დაებარათ და ხორბლის დასათესად დაემუშავებინათ. ერთი სიტყვით, რაც კი რამ გააფუჭეს, ნაწილობრივ მაინც უნდა აღედგინათ: ყანის სემონი და ხეების დარგვის დრო უკვე გასული იყო და ისე კარ-

გად აღარ გაიხარებდა.

არამზადები დაემორჩილნენ და, რაკი მთელი იმ ხნის განმავლობაში თავზესაყარ საჭმელ-სასმელს აძლევდნენ, გულიანად შეუდგნენ საქმეს. მთელი საზოგადოება ტკბილად და შეთანხმებულად განაგრძობდა ცხოვრებას.

მაგრამ არ იქნა და არა, იმ სამ ინგლისელს თავიანთივე თავისთვის ხელი ვერ გაანძრევინეს. მიუხედავად ამისა, ესპანელებმა განუცხადეს: თქვენ ოლონდ შეხმატკბილებულად და მეგობრულად იცხოვრეთ, შეიგნეთ, რა სიკეთის მომცემია ეს ყანა, და თუნდა ხელს ნუ გაანძრევთ, ისე უსაქმოდ იხეტიალეთ, თქვენს სარჩოსაც ჩვენ მოვიწევთო.

ერთი თუ ორი თვე ცხოვრობდნენ ასე შეხმატკბილებულად, მერე ესპანელებმა იარაღი დაუბრუნეს და თავისუფლება მიანიჭეს. შეეძლოთ, სადაც უნდოდათ, იქ ეხეტიალათ.

უმაღური არამზადები ერთი კვირაში წინანდებურად საძაგლები გახდნენ, მაგრამ ამ დროს მოხდა რაღაც ისეთი, რამაც საფრთხეში ჩააგდო ყველას სიცოცხლე. ამიტომ იძულებულები გახდნენ, პირადი წყენა და უსიამოვნება გვერდზე გადაედოთ და თავის გადარჩენაზე ებრუნათ.

*

ესპანელები მთავარ სახლში დაბანაკებულიყვნენ, ინგლისელები კი ცალკე მოათავსეს. უკანასკნელი ამბოხების შემდეგ ცალკე აცხოვრებდნენ და ახლოს არ იკარებდნენ.

ერთ ღამეს ესპანელებმა მოუსვენრად იგრძნეს თავი, ვერ დაიძინეს, გორაკზე ასვლა დააპირეს და სახტად დარჩნენ, როცა მოშორებით ცეცხლი დაინახეს და ბრბოს ყაყანი გაიგონეს.

რამდენჯერაც კი ველურებს ვნახავდი კუნძულზე, მუდამ იმის ფიქრში ვიყავი, ადამიანის ცხოვრების ნიშანწყალს არ წასწყდომოდნენ, ხოლო თუ მაინც გადაეყრებოდნენ, შემდეგ ყოველთვის იმას ვცდილობდი, ცოცხალი აღარ გამეშვა არც ერთი, რომ აქედან ამბავი არ წაეღოთ. მხოლოდ ბოლო შეტაკების დროს მომივიდა პატარა მარცხი, როდესაც სამმა ველურმა ნავში ჩახტომა მოასწრო.

დაინახეს თუ არა ცეცხლი, შეცბუნებული ესპანელები დაუყოვნებლივ გამობრუნდნენ, დანარჩენები გააღვიძეს და მოახლოებული საშიშროების შესახებ შეატყობინეს. ერთბაშად ყველა ფეხზე დადგა, მაგრამ შეუძლებელი გახდა მათი დარწმუნება, რომ შინ მსხდარიყვნენ და გარეთ წრიალი არ დაეწყით. - ყველას უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა, რა ხდებოდა.

ველურები ისე დახტოდნენ აქეთ-იქით, აშკარა იყო, ადრე თუ გვიან, ზოგი მათგანი სახლსაც წააწყდებოდა ან სხვა ისეთ ადგილს, რაც მათ მიახვედრებდა, რომ კუნძულზე ადამიანები ცხოვრობდნენ. ესპანელებს ძალიან აშფოთებდათ აგრეთვე თხის არვეს ბედი, რადგან, თხები რომ გაეწყვიტათ ველურებს, ესენი შიმშილით დაიხოცებოდნენ. ამიტომაც გადაწყვიტეს, სანამ ჯერ კიდევ ბნელოდა, სამი კაცი გამოეყოთ - ორი ესპანელი და ერთი ინგლისელი, - რომლებიც თხებს მღვიმესთან ახლოს დიდ მინდორზე გარეკავდნენ და თუ საჭირო გახდებოდა, მღვიმეშიაც შერეკავდნენ.

ბევრი იფიქრეს, თავი იმტვრიეს, რა გაეკეთებინათ. ბოლოს გადაწყვიტეს, სანამ ბნელოდა, დასაზვერავად გაეგზავნათ მოხუცი ველური - პარასკევას მამა, რომელსაც იქნებ მოეხერხებინა და გაეგო, რამ მოიყვანა კუნძულზე, ახლა რას აპირებდნენ და ასე შემდეგ. მოხუცმა კაცმა უყოყმანოდ იკისრა ეს საქმე, სულმთლად გატიტვლდა - რადგან ველურების უმრავლესობა დედიშობილა იყო - და გასწია.

ორიოდე საათის შემდეგ დაბრუნდა.

ველურები თურმე ორ სხვადასხვა ტომს ეკუთვნოდნენ. თავიანთ სამშობლოში დიდი ომი ჰქონდათ ერთმანეთს შორის. ომი რომ დამთავრდა, ტყვეები წამოასხეს, რათა, ჩვეულების მიხედვით, თავიანთი სისხლიანი ნადიმი გაემართათ, მაგრამ სრულიად შემთხვევით ორივე ტომი ერთსა და იმავე კუნძულზე მოხვდა და ამან სულმთლად გააფუჭა ნადიმი. გაცოფებულნი იყვნენ ერთმანეთზე და პარასკევას მამა დარწმუნებული იყო - ინათებდა თუ არა, ისინი ბრძოლას დაიწყებდნენ.

ეტყობა, არც ერთ ტომს იმის ეჭვი არა ჰქონდა, რომ კუნძულზე მათ გარდა კიდევ იყო ვინმე. ჯერ სიტყვა არც კი დაემთავრებინა პარასკევას მამას, უცებ მოისმა ყურისწამლები ხმაური, რაც იმას მოასწავებდა, რომ ორი პატარა არმია სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაება.

პარასკევას მამას ათასნაირი მოსაზრება მოჰყავდა, რათა ხალხი დაერწმუნებინა, რომ საჭირო იყო სახლში ჩაკეტილიყვნენ და თვალს

მოფარებოდნენ. ველურები თვითონვე ამოწყვეტენ ერთმანეთს, ხოლო ცოცხლად გადარჩენილები წავლენო.

მართლაც ასე მოხდა. მაგრამ ვერაფრით მოხერხდა მათი დარწმუნება, განსაკუთრებით კი ინგლისელებისა, რომელთა ცნობისმოყვარეობამ კეთილგონიერებას სძლია. გული არ უდგებოდათ შინ, უნდოდათ, ბრძოლისათვის ეცქირათ.

მოშორებით წავიდნენ, ტყეში, და ისე მოეწყვნენ, რომ ბრძოლას კარგად უთვალთვალებდნენ. თვითონ ასე ეგონათ, შეუმჩნეველები ვართო, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ველურებმა მაინც შენიშნეს ისინი.

მძვინვარე ბრძოლა გაჩაღდა. მთელი ორი საათის განმავლობაში თურმე ისეთი ხელჩართული შეტაკება იყო, ვერ შეატყობდი, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. მერე თანდათან ჩვენს სახლთან ახლოს განლაგებულ ტომს გაუჭირდა და მალე ერთმა ნაწილმა მოკურცხლა კიდევ.

კვლავ საშინელმა შიშმა მოიცვა ჩვენი ხალხი: გაქცეულები თავის შესაფარებლად სახლის წინ გაშენებულ ხეივანს მიაშურებდნენ და უნებურად ჩვენს ციხესიმაგრეს წააწყდებოდნენ, ხოლო შემდეგ მათი მღევრებიც მიადგებოდნენ სახლს. გადაწყვიტეს, იარაღი აესხათ და გალავანის უკან ჩასაფრებულებიყვნენ. თუ რომელიმე ველური ჭალაში შეიჭრებოდა, მაშინვე გამოუხტებოდნენ და მოკლავდნენ. იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ველურებს ხმლით აკუწავდნენ ან თოფის კონდახს ჩასცხებდნენ და ისე გააფრთხობინებდნენ სულს, თოფს კი სულაც არ გაისროდნენ იმის შიშით, რომ ველურებს არ გაეგონათ.

როგორც ფიქრობდნენ, სწორედ ისე მოხდა. დამარცხებული არმიის სამი წევრი თავის გადასარჩენად ჭალაში შევარდა. ის კი არ იცოდნენ, იქ ვინმე თუ ცხოვრობდა - ისე, დასამალად მიაშურეს ჩამობურულ ტყეს. მზვერავმა მაშინვე შეატყობინა ეს დანარჩენებს და თან დაუმატა, გამარჯვებულები არ მოსდევენ გამოქცეულებსო. რაკი ეს გაიგო მეთაურმა ესპანელმა, რომელიც მეტად კაცთმოყვარე ადამიანი იყო, იმ სამი გამოქცეულის მოკვლის ნება აღარ მისცა ამხანაგებს. სამი კაცი გაგზავნა გორაკის თავზე, უბრძანა, ირგვლივ შემოევილოთ, მერე უცებ დასხმოდნენ თავს და ტყვედ ჩაეგდოთ. მისი ბრძანება შესრულებულ იქნა. დამარცხებული არმიის სხვა ცოცხლად დარჩენილმა წევრებმა ნავებს მიაშურეს და ზღვაში შეცურდნენ. გამარჯვებულებს დიდად არც კი შეუწუხებიათ თავი გამოსადევნებლად, ერთ ადგილას შეგროვდნენ და მტერზე გამარჯვების ნიშნად ორჯერ გამაყრუებლად დაიყვირეს.

ასე დამთავრდა ბრძოლა. იმავე დღეს, ასე, სამ საათზე, ისინიც ჩას-
ხდნენ ნავებში და წავიდნენ. ამრიგად, ესპანელები კვლავ ბატონ-პატ-
რონები დარჩნენ კუნძულისა და რამდენიმე წლის განმავლობაში აღა-
რც უნახავთ ველურები.

წავიდნენ თუ არა ველურები, ესპანელები საფრიდან გამოვიდნენ
და ბრძოლის ველი შემოიარეს. ოცდათორმეტი მოკლული ნახეს. ზოგი
მათგანი დიდი, გრძელი ისრით იყო განგმირული, მაგრამ უმრავლე-
სობა ხის ხმლით აეკუწათ. ბრძოლის ველზე ეყარა თექვსმეტი-ჩვიდმე-
ტი ასეთი ხმალი, ამდენივე მშვილდი და მრავალი ისარი. მოკლულთა-
გან უმეტესობას თავი ჰქონდა გაჩეჩქვილი, ზოგს ხელები ან ფეხები
ჰქონდა მომტვრეული. ამკარაა, ისინი იბრძოდნენ უჩვეულო, ენით გა-
მოუთქმელი გაცოფებითა და გააფთრებით. არც ერთი დაჭრილი არ
ეგდო ბრძოლის ველზე, ყველა მოკლული იყო, - ეტყობა, ან არ მოეშ-
ვებიან ხოლმე მოწინააღმდეგეს სულის ამოხდომამდე, ან თან მიჰყავთ
დაჭრილები.

ამ საშინელმა სანახაობამ ის სამი მხეცი ინგლისელიც კი მოათვი-
ნიერა: მორჩილები გახდნენ, ხელი მიჰყვეს მუშაობას ისევე, როგორც
სხვები შრომობდნენ. რგავდნენ, თესავდნენ, მკიდნენ და ყველაფერს
შეეჩვივნენ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ისეთი უკიდურესი
რამ ჩაიღინეს, რომ დიდი თავისტეხა დასჭირდათ საქმის გამოსაკე-
თებლად.

სამი ტყვე ველური მსახურებად გაიხადეს, ასწავლეს, როგორ უნდა
ემუშავათ. მაგრამ ისე არ ექცეოდნენ მათ, როგორც მე ჩემს პარასკე-
ვას: არ ასწავლიდნენ ცხოვრების გონებრივ კანონებს, მით უმეტეს, არ
ცდილობდნენ რელიგიური რწმენის ჩანერგვას, არც აღერსიან და
სათნო მოპყრობას აჩვენებდნენ. ესაა, რომ ყოველდღიურად აჭმევ-ას-
მევენდნენ და ამის სანაცვლოდ ოფლსაც ბევრს აღვრევიანებდნენ საკმა-
ოდ მომაბეზრებელი მუშაობით.

საერთო საშიშროებამ ყველა შეარიგა და დაამეგობრა და ახლა
ბჭობა დაიწყეს, როგორ მოქცეულიყვნენ, გადაეტანათ თუ არა თავიან-
თი საცხოვრებელი უფრო მყუდრო ადგილას.

დიდი დავის შემდეგ გადაწყდა, დარჩენილიყვნენ, რადგან იმედს
არ კარგავდნენ, რომ ადრე თუ გვიან, თავიანთი გუბერნატორისგან -
ესე იგი, ჩემგან - რაიმე ცნობას მიიღებდნენ. თუ მე ხალხს გავაგზავნი-
დი, უნდა გამეგზავნა სწორედ იმ სანაპიროზე და იქ თუ აოხრებული ნა-
სახლარი დახვდებოდათ, იფიქრებდნენ, ალბათ ველურებს ამოუწყვე-

ტიათო და გაბრუნდებოდნენ უკან. ამასთან ერთად კი გაქრებოდა მათი იმედიც.

რაც შეეხება ყანასა და ფარეხს, შეთანხმდნენ, გადაეტანათ ყანისა და არვეს ნახევარი, რომ თუ ერთგან მოსპობდნენ ველურები, მეორე ნახევარი მაინც დარჩებოდა.

ეს, მართლაც რომ, გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს. კიდევ უფრო ჭკვიანური კი ის იყო, რომ ის სამი ტყვე-ველურის ნდობა არ გამოიჩინეს - არაფერი შეატყობინეს გადატანილი ყანისა და თხის არვისა. რაც მთავარია, დაუმალეს მღვიმე, სადაც საშიშროების დროს გულდამშვიდებით შეაფარებდნენ თავს. იმ მღვიმეში გადაიტანეს ორი კასრი დენთიც.

ორ წელიწადს ველურები აღარ გამოჩენილან.

მაგრამ ახლა ისევ იმ სამ ინგლისელთან მოუვიდათ ჩხუბი და, აი, რატომ: ერთი ყველაზე შფოთიანი ინგლისელი ერთ-ერთ მონა-ველურზე გაგულისდა: მონამ თურმე ვერ გააკეთა საქმე ისე, როგორც ინგლისელისგან ჰქონდა ნაბრძანები, და საერთოდ, უხალისოდ ემორჩილებოდა მას. გაბრაზებულმა ინგლისელმა ქამრიდან ნაჯახი ამოიძრო და საბრალო ველურს მივარდა მოსაკლავად.

იქვე ახლოს ერთი ესპანელი იდგა, რომელმაც დაინახა მოღერებული ნაჯახი როგორ მოხვდა ველურს მხარში, შეეშინდა, საბრალო არსებას მკლავი არ მოაგლიჯოსო, და მუდარით მივარდა - ამ საწყალს ნუ მოკლავო. თვითონ შუაში ჩადგა და ველურს გადაეფარა.

ინგლისელი კიდევ უფრო გააფთრდა, ახლა ესპანელს მოუღერა ნაჯახი და დაემუქრა - შენც ისე გაგიმასპინძლდები, როგორც ამ ველურს უნდა გავსწორებოდიო. ესპანელმა დარტყმა აიცდინა და სამაგიეროდ ისე სთხლიშა გულქვა ინგლისელს ბარი, რომ მყისვე მიწაზე დაანარცხა.

უცებ მეორე ინგლისელი მივარდა ამხანაგს მისაშველებლად და ახლა იმან დაანარცხა ესპანელი. ამხანაგის გამოსაქომაგებლად ორი სხვა ესპანელიც გამოიქცა, რომელთაც მესამე ინგლისელი მივარდა. თოფი და დამბაჩა ან სხვა რამ იარაღი თან არა ჰქონიათ, მხოლოდ ნაჯახი და სხვა სამუშაო იარაღები ჰქონდათ. მესამე ინგლისელს კი ხელთ ეპყრა ჩემი ძველი, უკვე დაჟანგებული მახვილი, რომლითაც მან ორივე ესპანელი დაჭრა.

ხმაურზე დანარჩენი ესპანელებიც მოცვივდნენ და სამივე ინგლისელი შეიპყრეს. ახლა გადასაწყვეტი ის იყო, რა უნდა ექნათ ამ არამზადებისათვის?! ისე ხშირად ჩხუბობდნენ ხოლმე, ისეთი გულქვა, თავბეხელადებული, უღმობელი და ბოროტი ხალხი იყო, რომ ადამიანის სიცოცხლეს არაფრად აგდებდნენ, თანაც მუდამ უსაქმურად დაწანწალებდნენ... ერთი სიტყვით, მათთან ცხოვრება საშიში იყო. მაგრამ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ეს ვერ გადაეწყვიტათ.

მეთაური ესპანელი ბევრს ეჩივინა - ჩვენებურები რომ იყოს, ულაპარაკოდ ჩამოგახრჩობდით, რადგან ყოველი კანონი და ყველა მბრძანებელი მოწოდებულია, საზოგადოების ინტერესები დაიცვას: ვინც საშიშროებას უქადის საზოგადოებას, ის თავიდან უნდა მოიძოროსო. მაგრამ თქვენ ინგლისელები ხართ, ხოლო ჩვენს ხსნასა და თავისუფლებას სწორედ ინგლისელის სულგრძელობასა და სიკეთეს უნდა ვუმაღლოდეთ, ამიტომაც მზად ვარ, გულმოწყალება გამოვიჩინო თქვენ მიმართ. დე, თქვენივე თანამემამულეებმა - ამ ორმა ინგლისელმა გაგასამართლოთ.

ერთ-ერთი პატიოსანი ინგლისელი წამოდგა და განაცხადა, ამ საქმეს ჩვენ ნუ მოგვანდობთო, - რადგან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, - განაგრძო მან, - უსათუოდ სახრჩობელაზე გავგზავნით.

მან ესპანელებს უამბო, როგორ ამზადებდა უილი ატკინსი, ერთი იმ სამთაგანი, შეთქმულებას ესპანელების დასახოცად.

ამის გაგონებაზე მთავარმა ესპანელმა უილი ატკინსს მიმართა:

- რას იტყვით, სინიორ ატკინს, ჩვენს ამოწყვეტას აპირებდით? ჰა, იქნებ თქვათ რამე!

გულქვა არამზადამ არათუ უარყო ეს, არამედ უტიფრად განაცხადა: ჯანდაბას თქვენი თავი, სანამ ბოლოს არ მოგიღებთ, ვერ მოვისვენებთო.

- ახლა ესეც ბრძანე, სინიორ ატკინს, - განაგრძო ესპანელმა, - რა დაგიშავეთ, რას გვემართლებით, რომ ჩვენი დახოცვა გადაგიწყვეტით? ჩვენი ამოწყვეტით, აბა, რა ხერი დაგეყრებათ? რა უნდა მოვიმოქმედოთ ისეთი, რომ ამ განზრახვაზე ხელი აგაღებინოთ? ახლავე დაგხოცოთ, რომ მერე ჩვენი ამოწყვეტის საშუალება აღარ მოგცეთ? ჰა, რად გვაიძულებ ამას, სინიორ ატკინს?!
3

ესპანელი მშვიდად და პირზე ღიმილით ლაპარაკობდა, მაგრამ სინიორ ატკინსი ისე გააცოფა მისმა დამცინავმა ღიმილმა, სამ კაცს რომ არ ჰყოლოდა გაკავებული და იარაღიც თან ჰქონოდა, ალბათ იქვე მოკლავდა, იმდენ ხალხში.

ინგლისელის ასეთმა თავგებულადებულობამ ისინი აიძულა, სერიოზული გადაწყვეტილება მიეღოთ. ორი პატიოსანი ინგლისელი და ის ესპანელი, რომელმაც საბრალო ველური იხსნა, მოითხოვდნენ ერთ-ერთი არამზადის ჩამოხრჩობას, რათა ეს გაკვეთილი ყოფილიყო დანარჩენი ორისათვის. ამასთან, ვინ უნდა დაესაჯათ, თუ არა იგი, ვინც ორჯერ მონდომა, ნაჯახით მოეკლა კაცი, და თითქმის შეასრულა კიდეც თავისი განზრახვა, რადგან საბრალო ველური ისე საცოდავად იტანჯებოდა მიღებული ჭრილობისაგან, ყველას ეგონა, მოკვდებოდა.

მაგრამ მეთაური ესპანელი მაინც უარზე იდგა. ჩვენ ყველანი ინგლისელმა დაგვიხსნა და გადაგვარჩინა, ამიტომ ვერ დავთანხმდები, რომ ინგლისელი მოვკლათ, თუნდაც იმან სანახევროდ ამოგვწყვიტოსო, - ამბობდა იგი, - მე თვითონვე რომ მომკლას ინგლისელმა, სიკვდილის წინ სიტყვის თქმა თუ მოვახერხე, უსათუოდ შევუნდობო.

ისე დაბეჯითებით ამბობდა ამას ესპანელი, ველარავინ შეეკამათა. ახლა ის იყო საზრუნავი, როგორ დაეთარა ხალხი მათგან თავდასხმის საშიშროებისაგან. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ, პირველ ყოვლისა, ის სამი ინგლისელი განეიარაღებინათ - არ მიეცათ არც თოფი, არც ტყვია-წამალი, არც ხმალი და არც სხვა რამ იარაღი, გაეძევებინათ საზოგადოებიდან და თავის ნებაზე გაეშვათ, როგორც უნდოდათ, ისე ეცხოვრათ; არავის - არც ესპანელებს და არც ინგლისელებს - ხმა არ გაეცათ მათთვის, არა ჰქონოდათ მათთან მისვლა-მოსვლა და საერთოდ რაიმე ურთიერთობა; განსაზღვრულ მანძილზე არ მოეშვათ თავიანთ სახლ-კართან. და თუ კიდეც გაბედავდნენ ისინი რაიმე სისაძაგლის ჩადენას, სადაც კი მოიხელთებდნენ, შეუბრალებლად მოკლავდნენ.

მან მსჯავრს ეს პირობაც დაუმატა: განდევნილებს მისცემდნენ სათესლე მარცვალს, რვა თვის სამყოფ ხორბალს, ექვს მეწველ თხას, ოთხ ვაცსა და ექვს თიკანს, სამუშაო იარაღებს. ოღონდ ჯერ უნდა შეეფიცათ, რომ ისინი არას ავნებდნენ, შეურაცხყოფასაც არ მიაყენებდნენ ესპანელებსა და თავისავე თანამემამულე ინგლისელებს.

ასე რომ, არამზადები საზოგადოებიდან გააძევეს.

დაახლოებით ოთხი-ხუთი დღის შემდეგ უკანვე მობრუნდნენ და ესპანელს ანგარიში ჩააბარეს - სად აირჩიეს საცხოვრებელი და საყანე ადგილი. ეს იყო სადღაც გადაკარგულში, კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აიშენეს იქ ორი კოხტა ქოხი, კლდის ძირში, სამი მხრიდან ტყით შემოზღულდული. ასე რომ, თუ ისინიც დარგავდნენ ხეებს, ადვილად მოახერხებდნენ უცხო თვალისაგან დაფარვას.

ასე განცალკევებით ცხოვრობდნენ ისინი მთელ ექვს თვეს. ამასობაში მოიწიეს კიდევ პირველი მოსავალი, თუმცა მეტისმეტად მცირე, რადგან პატარა ნაკვეთი დაამუშავეს.

წვიმები რომ დაიწყო ველარაფერი მოუხერხეს მარცვლეულ., გამოქვაბული არ ჰქონდათ, რომ შეენახათ. ამან მოდრიკა მათი ქედმაღლობა. ესპანელებს ეახლნენ და შეელა სთხოვეს. მათაც სიამოვნებით წააშველეს ხელი და ოთხ დღეში კარგა დიდი ქვაბული გამოჭრეს კლდეში - ხორბალსაც დაიტევდა და სხვა რამეებსაც. დაახლოებით ცხრა თვის შემდეგ კი არამზადებმა ისეთი სისაძაგლე ჩაიდინეს, რომ მთელი კოლონია დაღუპვის პირას მიიყვანეს.

*

ეტყობა, მოხებრდათ განუწყვეტელი შრომა და უცნაური აზრი აეკვირათ - გამგზავრებულიყვნენ იმ ხმელეთისაკენ, საიდანაც ველურები მოდიოდნენ ხოლმე, როგორმე რამდენიმე ველური ტყვედ წამოეყვანათ და ყოველგვარი სამუშაო მათთვის დაეკისრებინათ.

ერთ დილას სამი ვაჟბატონი ესპანელებთან გამოცხადდა, - სათხოვარი გვაქვს და მოგვისმინეთო. ესპანელებმა გულისყურით მოუსმინეს: მოგქანცა ასეთმა ცხოვრებამ, არა ვართ მიჩვეული შრომას და საჭირო რამეებს ჩვენ თვითონ ვერ ვამზადებთ, სხვების დაუხმარებლად შიმშილით ამოვწყდებითო. ახლა რომ ნებას მოგვცემდეთ, იმავე ნაფში ჩავსხდეთ, რომლითაც ერთხელ ამ სანაპიროს მოვადექით, თან იარაღსა და ცოტაოდენ ტყვია-წამალსაც დაგვითმობდეთ თავდასაცავად, წავიდოდით, კონტინენტისკენ გაწვევლით ბედის საცდელად და თქვენც გაგათავისუფლებდით ჩვენზე ბრუნვისა და დახმარებისაგანო.

ესპანელებმა გაატანეს ბლომად სანოვაგე, ინგლისელები გაბედულად ჩასხდნენ ნაფში და ზღვაში შეცურდნენ, სადაც მათ, სულ ცოტა, ორმოცი მილი გზა მაინც ელოდათ.

მაშინვე თავქუდმოგლეჯილი გავარდა ეს ინგლისელი. გეგონებოდათ, მოჯადოებულიათ, მივარდა მეთაურ ესპანელთან და შესძახა: - მორჩა, ჩვენი საქმე წასულია, კუნძულზე სამი უცნაური კაცი გამოჩნდაო. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, ეს არ იცოდა. ესპანელი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე კი თქვა:

- ალბათ ველურები არიან.

- არა, - თქვა ინგლისელმა, - ჩაცმული ხალხია, თოფებიანი.

- მაშ რაღამ შევაშინა? ველურები თუ არ არიან, მეგობრები იქნებიან, რადგან ქრისტიანი, ვინც უნდა იყოს დედამიწის ზურგზე, არაფერს გავნებს.

ამ საუბარში რომ იყვნენ, სამი ინგლისელიც გამოვიდა ახალგაშენებული ტყიდან. შორიდანვე დაიძახეს. ამათაც ხმით მაშინვე შეიცნეს ინგლისელები და ყოველგვარი შეშფოთება გაქრა. სამაგიეროდ ახლა გაკვირვებამ მოიცვა ესპანელები. ნეტა რა მოხდა, ისევ უკან რაღამ მოიყვანათო?

მაშინვე შეიყვანეს სახლში და გამოჰკითხეს - სად იყვნენ, რა გააკეთეს. ინგლისელებმა რამდენიმე სიტყვით უამბეს თავიანთი თავგადასავალი.

დაახლოებით ორ დღეში მიაღწიეს იმ ხმელეთს, მაგრამ შორიდანვე შენიშნეს, რომ მათ დანახვაზე ხალხი აწრიალდა, - საბრძოლველად მოემზადნენ. არჩიეს, აღარ მიეყენებინათ ნავი ნაპირზე და გზა გაეგრძელებინათ. ექვსი-შვიდი საათი კიდევ იცურეს ჩრდილოეთით და გაშლილ ზღვაში გავიდნენ. მაშინ მიხვდნენ, რომ ხმელეთი, რომელიც ჩვენი კუნძულიდან მოჩანდა, კონტინენტი კი არ იყო, არამედ კუნძული. გაშლილ ზღვაში რომ შევიდნენ, ახლა მეორე კუნძულს მოჰკრეს თვალი მარჯვნივ, უფრო ჩრდილოეთისაკენ, ხოლო დასავლეთით კიდევ რამდენიმე კუნძული გამოჩნდა. გადაწყვიტეს, რომელიმე კუნძულს მისდგომოდნენ, აირჩიეს კიდევ ერთ-ერთი დასავლეთით მდებარე კუნძული და ნაპირზე გადავიდნენ.

იქაურები თავაზიანად და მეგობრულად შეხვდნენ. მაშინვე მოურბენინეს მცენარის ძირები და გამხმარი თევზები. სტუმართმოყვარე ხალხი ჩანდა. მამაკაცებს ქალებიც არ ჩამორჩნენ: ყოველნაირად ცდილობდნენ, საჭმელი მიერთმიათ, შორიდან მოჰქონდათ თავზე დაწყობილი სურსათი.

ოთხი დღე გაატარეს ინგლისელებმა იმ კუნძულზე და, როგორც კი შეეძლოთ, ნიშნებით გამოჰკითხეს, რა ტომები ბინადრობდნენ ირგვლივ. მეტისმეტად მძვინვარე და უღმობელი კაციჭამიები ცხოვრობენ ყოველ მხარესო, - ანიშნეს მათ. თვითონ ისინი კი კაცის ხორცს არ ჭამდნენ, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ გამართავდნენ ხოლმე დიდ ღრეობას და მაშინ შეექცეოდნენ ტყვეებს.

ინგლისელებმა ჰკითხეს, ასეთი ღრეობა უკანასკნელად როდის გქონდათო. ორი თვის წინათო - იყო პასუხი, - მთვარეზე მიუთითეს და ორი თითი აჩვენეს. მათ დიდ მეფეს თურმე ორასი ტყვე ჰყავდა ომიდან წამოყვანილი: ახლა იმ ტყვეებს ასუქებდნენ და მომავალი ნადიმისათვის ამზადებდნენ. ინგლისელებს ძალიან უნდოდათ თვალი შეევლოთ იმ ტყვეებისათვის, ისინი კი ვერ მიუხვდნენ, ეგონათ, რამდენიმე ტყვეს საჭმელად გვთხოვენო. კარგიო, თავი დაუქნიეს, მერე მზის ჩასვლასა და ამოსვლაზე ანიშნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეორე დილას, მზის ამოსვლისას, რამდენიმე ტყვეს მოიყვანდნენ.

გათენებისას მართლაც მოასხეს ხუთი ქალი და თერთმეტი კაცი და ინგლისელებს გადასცეს საგზლად, ისევე, როგორც ჩვენს ნავსადგურებში მირეკავენ ხოლმე ძროხებსა და ხარებს გზაში დასაკლავად.

ხომ ისეთი გულქვა და ბარბაროსები იყვნენ ეს ინგლისელები, მაგრამ ამ სანახაობის ხილვაზე მაინც გული აერიათ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. უარის თქმა არ შეიძლებოდა, რადგან ამით საშინლად აწყენინებდნენ ველურებს. თან წაეყვანათ და - რა უნდა ექნათ ამდენი ხალხისათვის! ერთხანს ითათბირეს და ბოლოს გადაწყვიტეს, მიეღოთ ეს ძღვენი. სამაგიეროდ მათაც დაუტოვეს ველურებს ერთი ნაჯახი, ძველი გასაღები, დანა და ექვსი თუ შვიდი ტყვია; ველურებს არ ესმოდათ, რაში გამოადგებოდათ ეს, მაგრამ მაინც დიდად ნასიამოვნები დარჩნენ. საბრალო ტყვეებს ზურგზე გაუკრეს ხელები და ინგლისელების ნავში ჩაყარეს.

ინგლისელებმა ნავი ზღვაში შეაცურეს და გზას გაუდგნენ. შეიარეს პირველსავე კუნძულზე და რვა ტყვე გადასხეს - თავისუფლება მიანიჭეს, რადგან ამდენი არა სჭირდებოდათ.

გზაში ყოველნაირად სცადეს, რაიმე გაეგებინებინათ თავიანთი ტყვეებისათვის, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. რაც არ უნდა ეთქვათ, მიეცათ ან გაეკეთებინათ მათთვის, ველურებს სულ ის ეჩვენებოდათ, ეს არის მოკვლას გვიპირებენო.

როცა სამმა მაწანწალამ თავისი თავგადასავლის მბობა დაამთავრა, ესპანელმა ჰკითხა, თქვენი ახალი ბინადრები სადღა არიანო. იმათ უპასუხეს - ტყვეები ნაპირზე გადმოვიყვანეთ და ქოხებში დავამწყვდიეთ, ახლა კი თქვენთან საჭმლის სათხოვნელად მოვედითო. ესპანელებმა და ორმა ინგლისელმა გადაწყვიტეს, წასულიყვნენ და საკუთარი თვალით ენახათ ტყვეები. პარასკევას მამაც თან წაიყვანეს.

მივიდნენ ქოხში და ნახეს მიწაზე დაყრილი ხელებშეკრული ტყვეები. ყველანი დედიშობილანი იყვნენ, სამი ახოვანი, კარგად ჩასკვნილი, ჩამოსხმულნაკვთებიანი მამაკაცი, ასე ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისა, და ხუთი ქალი, რომელთაგან ორი ოცდაათიდან ორმოც წლამდე იქნებოდა; დანარჩენი ორი - არა უმეტეს ოცდაოთხისა, ხოლო მეხუთე, მშვენიერი აშოლტილი ქალიშვილი, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისა თუ იყო.

ქოხში მოხუცი ინდიელი - პარასკევას მამა შეგზავნეს, რათა ენახა, ტყვეთა შორის ხომ არაავინ იყო მისი ნაცნობი, ან გამოლაპარაკებოდა მაინც, თუკი იცოდა რომელიმე მათგანის ენა. მოხუცმა კაცმა კარგად დაათვალიერა ტყვეები, მაგრამ ნაცნობი არაავინ აღმოჩნდა; ერთი ქალის გარდა, ვერც ლაპარაკი და ნიშნები ვერ გააგებინა ვერავის. მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რათა ველურებისათვის მიეხვედრებინა, რომ ისინი ჩავარდნენ ქრისტიანების ხელში, რომელთაც საშინლად ეზიზღებათ ადამიანის ხორცის ჭამა. ასე რომ, მათ ხელსაც არაავინ ახლებდა და შეეძლოთ, გულდამშვიდებულნი ყოფილიყვნენ.

ეს რომ გაიგონეს და დარწმუნდნენ, აღარ მოგვკლავნო, ტყვეებმა ძალიან გაიხარეს.

ქალს, რომელიც ახლა თარჯიმნობას სწევდა, აკითხვინეს, თუ გსურთ ემსახუროთ და იმუშაოთ იმ ხალხისათვის, რომელთაც თქვენ წამოგიყვანეს და სიკვდილისაგან გიხსნესო. ეს რომ გაიგონეს, ყველა ხტუნვას მოჰყვა. მერე ზოგმა რას დაავლო ხელი და ზოგმა - რას, რაც კი ხელში მოხვდებოდათ მხარზე გადაიდებდნენ და მიმოდიოდნენ, ვითომ მზადა ვართ, თქვენთვის ვიმუშაოთო.

ხუთივე ინგლისელმა მთავარი ესპანელის რჩევით თითო ქალი აირჩია ცოლად და შეუდგნენ ახლებურად ცხოვრებას. ესპანელები და პარასკევას მამა ცხოვრობდნენ ჩემს ძველ ციხესიმაგრეში, რომელიც მათ შიგნით კარგა დიდზე გაათართოვეს. მათთანვე ცხოვრობდა აგრეთვე სამი მსახური, რომლებიც ველურების უკანასკნელი შეტაკების დროს წამოიყვანეს. ეს იყო მთელი კოლონიის მთავარი ბირთვი, რო-

მელიც სხვებს სურსათით ამარაგებდა და, საერთოდ, ყოველგვარ საქმეში შველოდა, რაც კი შეეძლო და რასაც საჭიროდ დაინახავდა.

ამ ამბავში ყველაზე საოცარი ის იყო, თუ როგორ შეთანხმდა ეს ხუთი ბრიყვი ინგლისელი ქალების განაწილებაზე; როგორ მოხდა, რომ ორს ერთი და იმავე ქალის შერთვა არ მოუხდა, მით უმეტეს, რომ ორისამი იმ ქალებიდან ძალიან ლამაზი იყო. ჩხუბის თავიდან ასაცილებლად ინგლისელებმა კენჭი ყარეს, პირველად ვის უნდა ამოერჩია ცოლი. ვისაც პირველი არჩევანის უფლება ერგო, ქოხში შევიდა, სადაც საბრალო შიშველი ქალები იყვნენ, და ყველაზე გონჯი და ხნიერი ამოარჩია. ამან საერთო სიცილ-ხარხარი გამოიწვია. ესპანელებმაც კი ვერ შეიკავეს სიცილი, მაგრამ ჭკუა სწორედ იმან იხმარა, რადგან ის ქალი ბეჯითი და გამრჯე ცოლი გამოდგა.

როცა ცოლების არჩევას მორჩნენ და ქალებსაც ცოტა გადაუარა შიშმა, კაცებმა მუშაობას მიჰყვეს ხელი, ესპანელებიც მიეშველნენ. რამდენიმე საათში თითო ოჯახს თითო ქოხი თუ კარავი ჰქონდა საცხოვრებლად. ძველი ქოხები კი გამოტენილი იყო ხელსაწყო-იარაღებითა და სურსათ-სანოვავით. ის სამი ავკაცი დასახლდა ყველაზე მოშორებით, ხოლო ორნი, რომელთაც მე პატიოსანი კაცის სახელი შევარქვი, შედარებით ახლოს. ისე კი ყველანი კუნძულის ჩრდილო სანაპიროზე განლაგდნენ. ამრიგად, ჩემს კუნძულზე სამ ადგილას გაჩნდა მოსახლეობა. შემოძლია ვთქვა, ქალაქს ჩაეყარა საფუძველი.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ როგორც საერთოდ ხშირად ხდება ხოლმე ქვეყნად, იმ ორ პატიოსან ინგლისელს უარესი ცოლები შეხვდათ, ხოლო სამ ყოვლად უმაქნისსა და უკეთურ გარეწარს, რომლებიც არც საკუთარ თავს აყრიდნენ ხეირს და არც სხვას და მხოლოდლა სახრჩობელის ღირსნი იყვნენ, შეხვდა სამი ჭკვიანი, გამრჯე, მზრუნველი და მარჯვე ცოლი.

ერთხელ ისეთი რამ მოხდა, რომლის მსგავსი მეც არ გადამხდენია თავს. ერთ დილას, გათენებისას, კუნძულს მიადგა ინდიელებისა თუ ველურების - როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ - ხუთი-ექვსი ნავი. მათი მოსვლის მიზანი, რაღა თქმა უნდა, გარკვეული იყო - უნდა ენადიმათ მონების ხორციით. მაგრამ ესპანელები და ჩემი ქვეყნის ხალხიც ისე შეეჩვივნენ ამას, რომ უკვე აღარც კი დამფრთხალან. გამოცდილებით იცოდნენ, თუ ჩუმად იქნებოდნენ და ველურებს არ დაენახვებოდნენ, ისინი მორჩებოდნენ თავიანთ საქმეს და უკანვე გაბრუნდებოდნენ, რადგან წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, კუნძულზე ვინმე თუ ცხოვრობდა. ერთი სიტყვით, რაკი იცოდნენ ეს, აღარავითარი ღონისძიება არ

იყო საჭირო, გარდა იმისა, რომ სამივე მოსახლეს შეატყობინეს - ჩუმად მსხდარიყვნენ სახლში და არ გამოჩენილიყვნენ; მხოლოდ ესაა, რომ მზვერავი გაგზავნეს, რომელიც მათ შეატყობინებდა ველურების წასვლის ამბავს.

ეს უეჭველად გონივრული იყო, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ წყალში ჩაუყარა მათ წინდახედულობა. ამჯერად, ველურებმა გაიგეს, რომ კუნძული დასახლებული იყო. საბოლოოდ, ამან გამოიწვია თითქმის მთელი კუნძულის აფორიაქება. როცა ველურები ნადიმს მორჩნენ და გაემგზავრნენ, ესპანელები გარეთ გამოვიდნენ. ზოგს სულმა წასძლია გაქცეულიყო და ენახა ის ინდორი, სადაც ველურებს ღრეობა ჰქონდა გამართული, მაგრამ როგორი გაკვირვებული დარჩნენ, როდესაც აქ მიწაზე გაშლართული და მკვდარივით მძინარე სამი ველური ნახეს. ეტყობა, ისე ამოიყორეს მუცლები ამ არაადამიანურ ქეიფში, რომ განძრევაც ველარ მოახერხეს და მხეცებივით იქვე ჩაეძინათ, ან არადა იქნებ ტყეში ხეტილობდნენ და დანარჩენებს ველარ მიუსწრეს, რომ ერთად გამგზავრებულიყვნენ.

უეცარი გაკვირვებისაგან ესპანელები დაიბნენ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. შემთხვევით მეთაური ესპანელი იყო მათთან და იმას ჰკითხეს რჩევა, მაგრამ იგი გამოტყდა, ვერა მომთიქრებია რაო. მონებად წამოეყვანათ - ისედაც საკმარისი მონები

ჰყავდათ; მოეკლათ - როგორ მოეკლათ! ამის მომხრეც არავინ იყო. უფროსმა ესპანელმა მითხრა, უდანაშაულოდ ადამიანის სისხლის დაღვრას, აბა, რა გვაფიქრებინებდაო. ამ საბრალო არსებებს ხომ არაფერი დაუშავებიათ მათთვის. ბოლოს მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ერთხანს კიდევ დაეცადათ, იქნებ ველურები თავისით გაბრუნებულიყვნენ. მაგრამ უცებ მეთაურ ესპანელს მოაგონდა, რომ მათ ნავი აღარ ჰქონდათ, ხოლო, კუნძულზე ხეტიალს თუ მოჰყვებოდნენ, უსათუოდ წააწყდებოდნენ რომელიმე სახლს. მერე კი მორჩა, მათი საქმე წასული იყო. გადაწყვიტეს, დაბრუნებულიყვნენ, ველურები გაელვიძებიანთ და ტყვეებად წამოესხათ. საბრალო ველურები საშინლად დაფრთხნენ, როცა ნახეს, რომ შეპყრობილი და შებორკილი იყვნენ.

ბედი იმათი, რომ ველურები ჩემს ძველ ციხესიმაგრეში არ წაასხეს, არამედ სააგარაკო კარავში მიიყვანეს, რომელიც მეურნეობის მთავარ ბირთვად ჰქონდათ გადაქცეული: იქა ჰქონდათ მოწყობილი თხების ფარეხი, იქვე ამუშავებდნენ საყანე ნიადაგს და სხვა.

კარვიდან ველურები იმ ორი ინგლისელის სახლში გადაიყვანეს და საქმე მიუჩინეს, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, გასაკეთებელი ბევრი არაფერი ჰქონდათ.

ერთმა მოახერხა კიდევ სამშობლოში დაბრუნება, რადგან ორი-სამი კვირის შემდეგ კვლავ მოადგნენ ველურები ნავებით კუნძულს, გამართეს თავიანთი ჩვეულებრივი ნადიმი და მეორე დღეს უკანვე დაბრუნდნენ. ადვილად შესაძლებელია, ისიც მათ გაჰყვა.

ამან ძალიან შეაშფოთა ჩვენი ხალხი. ჰქონდათ კიდევ შიშის მიზეზი. ველური თუ მშვიდობიანად დაბრუნდა სამშობლოში, - ფიქრობდნენ ისინი, - ეჭვი არ არის, თავისიანებს შეატყობინებს, რომ კუნძულზე ხალხი ცხოვრობსო.

ორიოდე თვის შემდეგ ჩრდილო სანაპიროს, სადაც ადრე არასოდეს გადმომსხდარან ველურები, მოადგა ექვსნი ნავი. თითო ნავში შვიდი-რვა, ხოლო ზოგში ათი კაცი იჯდა. მზე ერთი საათის ამოსული იქნებოდა, როცა ნაპირზე გადმოსხდნენ კარგა მოხერხებულ ადგილას, ასე ერთი მილის მოშორებით ინგლისელების სახლიდან, რომელშიაც ადრე ის გაპარული ველური ცხოვრობდა. მეთაური ესპანელის აზრით, ყველანი რომ ერთად ყოფილიყვნენ, იმდენ ვნებას ველარ მიაყენებდნენ ველურები, ერთი კაცი ვერ დაუსხლტებოდათ მაშინ ხელიდან. ახლა კი სულ სხვაგვარად იდგა საქმე: ორი კაცი ორმოცდაათი ველურის წინააღმდეგ დიდი განსხვავება იყო. საბედნიეროდ, შორიდანვე, ასე, ერთი ლიეს მანძილზე შენიშნეს მტერი.

სანამ ისინი ნაპირზე გადმოვიდოდნენ, საათზე მეტი გავიდა. ინგლისელები მაშინვე მიხვდნენ, რომ გაცემულები იყვნენ, ამიტომ, დაინახეს თუ არა ნავები, ხელად მიცვივდნენ ორ მონა-ველურს და ხელები გაუკრეს. დანარჩენ ორ ველურს იმ სამთავან, რომლებიც ქალებთან ერთად მოიყვანეს კუნძულზე და რომელთაც ერთგულება გამოიჩინეს, უბრძანეს, წაეყვანათ ესენი თავშესაფარში და ფეხებიც შეეებორკათ. მათვე გაატანეს აგრეთვე თავიანთი ცოლებიც.

ამის შემდეგ, როცა ველურები უკვე ნაპირზე გადმოსხდნენ და პირდაპირ ამათკენ გამოემართნენ, ინგლისელები ფარეხს ეცნენ და მეწველი თხები გარეთ გამორეკეს, უნდოდათ, შეცდომაში შეეყვანათ ველურები, - ვითომ გარეული თხებიყო. მაგრამ გაპარული ველური, რომელიც მათ მოუძლოდა, ეტყობოდა კაი გაქნილი ვაჟბატონი იყო: ყველაფერი უამბია თავისიანებისთვის და პირდაპირ სახლისკენ წამოუძღვა.

საბრალო დამფრთხალმა ინგლისელებმა, ცოლები რომ გაისტუმრეს ტყეში და თან ზოგი ნივთიც გაატანეს, ახლა შემთხვევით მათთან მისული მესამე ველური აფრინეს ესპანელებთან და სასწრაფო დახმარება ითხოვეს. თვითონ კი ამასობაში ხელი სტაცეს თოფებს და თავშესაფრისკენ გასწიეს.

ინგლისელები შორს არ წასულან, მახლობელ გორაკზე ავიდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალყურს მტრის პატარა რაზმს, რომელიც პირდაპირ მათი სახლისაკენ მიემართებოდა. ცოტა ხანიც და მთელი სახლი და დოვლათი ცეცხლის ალში გაეხვია.

შემდეგ მხეცებივით გააფთრებული ინდიელები გაიშალნენ და იქაურობას მოედნენ. დაძრწოდნენ და ყველგან ნადავლს დაეძებდნენ, განსაკუთრებით ადამიანები უნდოდათ, რადგან აშკარა გახდა, მათ ყველაფერი იცოდნენ.

ეს რომ დაინახეს, ინგლისელებმა იფიქრეს, ვაითუ აქაც მოგვადგნენო, და გადაწყვიტეს, ნახევარი მილით კიდევ გადაენაცვლებინათ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რაც უფრო შორს წავიდოდნენ, მით უფრო დაიფანტებოდა ველურების რაზმი. ასეც მოხდა.

ინგლისელები შუა ტყეში ერთი უზარმაზარი ხის ფულუროში შეძვრნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს ველურებს. ცოტა ხანში ორი ველური გამოეყო საერთო ჯგუფს და პირდაპირ ინგლისელებისაკენ გამოექანა. მალე იმ ორს სამი ველური აედევნა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მოშორებით შენიშნეს მათკენ მომავალი კიდევ ხუთი ველური. ამათ გარდა შვიდი-რვა კაცი სხვა მიმართულებით გარბოდა.

საბრალო ინგლისელებს თავგზა აერიათ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ. შიშობდნენ, რომ სანამ მშველელები გამოჩნდებოდნენ, ტყესმოდებული ველურები იმათ თავშესაფარს წააწყდებოდნენ და მერე მშვიდობით, ყველაფერი დაკარგული იყო. ამიტომ გადაწყვიტეს, შეეჩერებინათ ისინი. თუ ერთბაშად ბევრი მოჯარდებოდა და გამკლავება ძნელი შეიქნებოდა, მაშინ ხებე ავიდოდნენ და, თუნდაც კუნძულზე მოსული ყველა ველური დასხმოდა თავს, მაინც მოახერხებდნენ თავის დაცვას, სანამ ტყვია-წამალი არ გამოეღეოდათ. ერთადერთი საფიქრებელი ის იქნებოდა, ველურებს ცეცხლი არ გაეჩინათ ხისთვის.

მათკენ მიმავალი ველურები მიზანში ამოიღეს და გადაწყვიტეს, რიგრიგობით ესროლათ.

ველურები ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთიმეორეს, ამიტომ პირველივე გასროლით ორი დავარდა: წინას თავში მოხვდა ტყვია და მაშინვე უსულოდ დაეცა, მეორეს კი, - იმ გაქცეულ ინდიელს, ტანში მოხვდა და ისიც დაეცა ცოცხალ-მკვდარი. მესამესაც გაეკაწრა მხარი, ლბათ იმავე ტყვიით, რომელმაც მეორეს ტანში გაუარა, - და თუმცა იმდენი ვნება არ მიუყენებია, მაინც ისე დააფეთა, რომ მაშინვე ჩაიკეცა და ჯოჯოხეთურ კვნესა-ღრიალს მოჰყვა.

ველურების ბოლო ჯგუფი ხმაურმა დააფრთხო. ჯერ ერთი, ტყემ ათასჯერ უფრო გააძლიერა თოფის ხმა, - ექომ თავში დაიჭექა და ბოლოში გავარდა. ამას გარდა, თოფის ხმაზე ფრინველები წამოიშალნენ და ყველა თავისებურად მოჰყვა ჩხავილსა და კრიახს, სწორედ ისევე, როგორც მაშინ, როცა მე პირველად გავისროლე თოფი ამ კუნძულზე.

*

ისევ მიწყნარდა ხმაური. ველურები ვერ მიხვდნენ, რა მოხდა, და მიადგნენ თავიანთ ამხანაგებს, რომლებიც საცოდავად ეყარნენ მიწაზე. ამ საბრალო უგუნურ ქმნილებებს არც კი ესმოდათ, რომ მათაც ისეთივე უბედურება მოელოდათ. შეჯგუფდნენ დაჭრილებთან და რალაცას ელაპარაკებოდნენ.

ამასობაში პირველმა ინგლისელმა ისევ გატენა თოფი. გადაწყვიტეს, ორივეს ერთად გაესროლა; მოკლეს ან მძიმედ მაინც დაჭრეს ოთხი კაცი. მეხუთეც შიშით მკვდარს დაემსგავსა. თუმცა ტყვიას არც კი გაუკაწრავს, ისიც სხვებთან ერთად დავარდა. ასე რომ, რაკი მიწაზე გაწოლილები დაინახეს, ინგლისელებმა იფიქრეს, ეს არის, ყველა ამოვხოცეთო.

იმის რწმენამ, რომ ველურები დახოცილები იყვნენ, ინგლისელები გაათამამა და თოფების დაუტენავად გამოძვრნენ საფრებიდან. ეს უსათუოდ შეცდომა იყო. სახტად დარჩნენ, როცა ნახეს, რომ რამდენიმე ველური ცოცხალი იყო. ერთი, რომელიც დაჭრილიც კი არ იყო, მუხლებზე დავარდა, ხელები მაღლა აღაპყრო და შესაბრალის კნავილს მოჰყვა, ანიშნებდა, ნუ მომკლავთო. ინგლისელებმა ანიშნეს, მახლობელ ხესთან მიდი და დაჯექო. იღბლად, ერთ ინგლისელს ჯიბეში ბაწარი აღმოაჩნდა, რომლითაც ხელები ბურგს უკან შეუკრეს და იქვე დააგდეს, თვითონ კი რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დაწინაურებულ ორ ველურს გამოუდგნენ, რადგან შიში ჰქონდათ, ან იმათ, ან სხვა

ჯგუფს ველურებისას, თავშესაფარი არ აღმოეჩინათ ტყეში, სადაც ახლა ცოლები ჰყავდათ შეფარებული და გადამალული ჰქონდათ საოჯახო ნივთები. ერთი წამით მოჰკრეს კიდევ თვალი ორ ველურს, მაგრამ ძალიან შორს. ყოველ შემთხვევაში, ესენი დამშვიდდნენ მაინც, რადგან დაინახეს, როგორ გადაჭრეს ველურებმა მინდორი და ზღვას მიადგნენ სწორედ მათი თავშესაფრის მოპირისპირე მხარეს. დამშვიდებული ინგლისელები ხელებშეკრული ველურისკენ გამობრუნდნენ, მაგრამ ტყვე იქ აღარ დაუხვდათ. გადაწყვიტეს, ალბათ სხვა ველურებმა გაათავისუფლეს: შუაზე გაწყვეტილი თოკი, რომლითაც მათ ხელები შეუკრეს ტყვეს, იქვე ეგდო, ხის ძირში.

ახლა ისინი ისევ ჩავარდნენ საგონებელში, აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ, საიდან გამოჩნდებოდა მტერი ან რამდენი იქნებოდა. ბოლოს გადაწყვიტეს, ცოლებთან მისულიყვნენ და გაეგოთ, რა დღეში იყვნენ, თანაც გაემხნევებინათ, რადგან ეჭვი არ არის, შეშინებული იქნებოდნენ; მართალია, ველურები იმათივე ტომისანი იყვნენ, მაგრამ მაინც ძალიან ეშინოდათ, უფრო მეტადაც ეშინოდათ, რადგან კარგად იცოდნენ მათი ზნე-ჩვეულებანი.

ველურები თურმე მართლაც მიადგნენ ტყის იმ ნაწილს. სულ ახლოს მისულიყვნენ გამოქვაბულთან, მაგრამ თავშესაფრისთვის მაინც ვერ მიეგნოთ, რადგან მიუვალ ადგილას იყო, დაბურულ ხეებში ჩამალული; ინგლისელებს ყველაფერი უვნებლად დახვდათ, ოღონდ ქალები ძალიან დამფრთხალიყვნენ. ამასობაში, მათდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ, შვიდი ესპანელიც მოვიდა დასახმარებლად: დანარჩენი ათი, მსახურებისა და მოხუცი პარასკევას (მე ვგულისხმობ პარასკევას მამას) თანხლებით, საზაფხულო ფანჩატურის დასაცავად წასულიყვნენ, სადაც ისინი ხორბლის მარაგს ინახავდნენ და სადაც თხები ჰყავდათ მოჩიხული.

მაგრამ ველურები ასე შორს აღარ შეჭრილან. ესპანელებს თან მიჰყვა ერთი ველური იმ სამთაგან, რომლებიც ადრე ჩაიგდეს ტყვედ, - ეგ თქვენ უკვე იცით - და ინგლისელების მიერ ხელებშეკრული ველური. ესპანელებმა თურმე ხეს ჩაუარეს, ნახეს შვიდი მოკლული კაცი, მერვეს ხელ-ფეხი გაუხსნეს და თან წამოიყვანეს. მერე იძულებულები გახდნენ, ისევ შეეკრათ ხელ-ფეხი და იმ ორ ველურთან მოეთავსებინათ, რომელთა ამხანაგიც კუნძულიდან გაიქცა.

ტყვეები ზედმეტ ტვირთად დააწვა მათ. ეშინოდათ, არ გაგვექცნენო, და ერთი პირობა გადაწყვიტეს კიდევ, ამოეხოცათ, რადგან თავის გადარჩენისათვის ასე მიიჩნიეს საჭიროდ. მაგრამ მთავარი ესპანელი

არ გახდა თანახმა. მან ბრძანება გასცა, ჩემს ძველ მღვიმეში გაეგზავნათ ისინი და ორი ესპანელის მეთვალყურეობით იქ მოეთავსებინათ. ასეც მოიქცნენ, გადაიყვანეს გამოქვაბულში, შეუკრეს ხელ-ფეხი და სარჩო დაუტოვეს.

ესპანელების გამოჩენამ ის ორი ინგლისელი ისე გაამხნევა, რომ ერთ ადგილას გული აღარ დაუდგათ. წაიყოლეს ხუთი ესპანელი, თან წაიღეს იარაღი და ველურების საძებნელად გასწიეს. უპირველესად, იმ ხეს მიადგნენ, სადაც დახოცილი ველურები ეყარნენ. იქ უკვე მისულიყო ველურების ახალი ჯგუფი. ეტყობა, გადაეწყვიტათ გვამების წაღება, ორი გვამი გაეთრიათ კიდევ კარგა დიდ მანძილზე, მაგრამ ბოლოს თავი გაენებებინათ.

აქედან ისინი გაემართნენ ბორცვისკენ, საიდანაც ადრე თავიანთი სახლის ნგრევას უთვალთვალებდნენ. დაინახეს ველურები, რომლებიც ნავში სხდებოდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

საბრალო ინგლისელები რომ ასე განადგურებულები და გაუბედურებულები ნახეს, კუნძულის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, ახალი სახლის აგებაზე ხელი წაეშველებინათ. თანამემამულეებიც კი, რომლებიც საერთოდ არ იყვნენ დაჩვეული კეთილ საქმეს, როცა გაიგეს, რომ ასეთი უბედურება შეემთხვათ, მაშინვე მოცვივდნენ და შველას დაჰპირდნენ, კარგი მეგობრობაც გაუწიეს, - რამდენიმე დღეს მუშაობდნენ სახლის აღდგენაზე. ერთი სიტყვით, ინგლისელები მოკლე ხანში ისევ ფეხზე წამოდგნენ.

ორი დღის შემდეგ მათ კვლავ დაინახეს ზღვის ნაპირზე გამორიყული სამი ნავი ველურებისა, ხოლო ცოტა მოშორებით ორი დამხრჩვალ ველური; სწორედ იმ ღამეს, როცა ველურები კუნძულიდან წავიდნენ, ძლიერი ქარიშხალი ამოიჭრა და ალბათ ამიტომაც დაიღუპნენ ველურები.

მაგრამ ყველა ხომ არ დაიხრჩობოდა. ზოგი, ალბათ, გადარჩა და თავისიანებს ამბავი მოუტანა, რა გადახდათ თავს და რა გააკეთეს. თანაც გააქვზეს ისინი, მეორედაც მოეწყოთ ასეთივე გალაშქრება.

გავიდა ასე, ხუთი თუ ექვსი, თვე და მოულოდნელად კუნძულს მიადგა საოცრად დიდი, არა ნაკლებ ოცდარვა ნავისაგან

შემდგარი ფლოტი, ველურებით სავსე, რომელთაც თან წამოეღოთ იმდენი მშვილდ-ისარი, დიდი კეტები, ხის ხმლები და სხვა საომარი ია-

რალები, რომ ჩვენი ხალხი ერთბაშად შეძრწუნდა.

ისინი საღამოხანს მიადგნენ ნაპირს, ისიც ძალიან მოშორებით, აღმოსავლეთით. ასე რომ, ჩვენების განკარგულებაში მთელი ღამე იყო მოსათათბირებლად და გადაწყვეტილების მისაღებად, თუ როგორ უნდა დახვედროდნენ მტერს. გამოცდილებით იცოდნენ, რომ თავის გადარჩენის ყველაზე საიმედო გზა იყო მოხერხებულად დამალვა, თავიანთი არსებობის ყოველგვარი ნიშანწყლის გაქრობა. ახლა მით უმეტეს ასე უნდა მოქცეულიყვნენ, რადგან მტერი უფრო მრავალრიცხოვანი ჩანდა. ამიტომ გადაწყვიტეს, უპირველეს ყოვლისა, დაერღვიათ ორი ინგლისელის სახელდახელოდ აგებული ქოხები, ხოლო მათი თხები მღვიმეში შეერეკათ. მათი აზრით, ინათებდა თუ არა, ველურები პირდაპირ იმ ორი ინგლისელის ქოხებისაკენ გასწევდნენ ძველი ოინის გასამეორებლად.

თხის მთელი ფარა შერეკეს ძველ ფანჩატურში, რომელიც ესპანელების საკუთრება იყო. ერთი სიტყვით, რაც კი შეიძლება, შლიდნენ თავიანთი არსებობის ნიშანწყალს. მეორე დილით ორი ინგლისელის კარ-მიდამოში ჩასაფრდნენ ყველანი და მტერს დაუწყეს ლოდინი.

როგორც მოელოდნენ, სწორედ ისე მოხდა ყველაფერი. ახალმა მოლაშქრეებმა აღმოსავლეთ სანაპიროზე დატოვეს ნავეები და პირდაპირ იქით გასწიეს. ჩვენების ვარაუდით, ორას ორმოცდაათამდე კაცი იქნებოდა. ჩვენი არმია მეტისმეტად მცირერიცხოვანი იყო, თანაც იარაღი არა ჰყოფნიდათ. სულ, ქალების გამოკლებით, იყვნენ 17 ესპანელი, 6 ინგლისელი, მოხუცი პარასკევა, 3 მონა, რომლებიც ქალებთან ერთად მოიყვანეს და რომელთაც ერთგულება დაამტკიცეს, და კიდევ 3 მონა, რომლებიც ესპანელებთან ცხოვრობდნენ. ახლა მათი იარაღები: 11 მუშკეტი, 5 დამბახა, 3 სანადირო თოფი, კიდევ 5 მუშკეტი და სანადირო თოფი, რომლებიც მე ამბოხებულ მეზღვაურებს წავართვი, 2 ხმალი და 3 ალებარდი.

მონებს მუშკეტსა და თოფებს არ აძლევდნენ, მათ ჰქონდათ ალებარდი, ანუ დიდი, გრძელი რკინისბუნიკიანი კეტი და ნაჯახი. თითო ნაჯახი ჩვენებსაც ჰქონდათ წელში გარჯობილი. ქალებმაც მოინდომეს ბრძოლაში მონაწილეობა და ამათ თითო ნაჯახი და მშვილდ-ისრები მისცეს, რომლებიც ესპანელებმა წაართვეს ველურებს პირველი ბრძოლის დროს.

უფროსი ესპანელი მთავარი გამგებელი იყო ბრძოლისა, ხოლო უილიამ ატკინსი - თავისი ბოროტების გამო მეტად საშიში კაცი, მაგრამ

სამაგიეროდ ყველაზე გამბედავი და მამაცი - მის თანაშემწედ ითვლებოდა.

ველურები ლომებივით ეკვეთნენ, ჩვენებს კი განლაგების მხრივ არავითარი უპირატესობა არა ჰქონდათ. უილიამ ატკინსმა, რომელმაც იმ დღეს ყველაზე მეტად იმარჯვა, ექვსი კაცი წაიყოლა თან და პატარა ბუჩქნარში ჩასაფრდა, როგორც მოწინავე რაზმი. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, ველურების პირველი რაზმი გაეტარებინათ და შუა ლაშქრისათვის დაეწყოთ სროლა. როცა ესროდნენ, უკანვე უნდა გამობრუნებულიყვნენ, რაც შეიძლება სწრაფად შემოევლოთ ტყე და შეერთებოდნენ ესპანელებს, რომლებიც დაბურულ ხეებს იყვნენ მოფარებული.

მტერი ტყეს მოედო სრულიად უწესრიგოდ. უილი ატკინსმა დაახლოებით ორმოცდაათი კაცი გაატარა, მერე კი როცა შენიშნა დიდ ჯგუფად მომავალი ველურები, თავის სამ მებრძოლს უბრძანა, ესროლეთო. თითოეულ მათგანს თოფი ექვსი-შვიდი ტყვიით ჰქონდა გატენილი. რამდენი კაცი მოკლეს ან დაჭრეს, არ იცოდნენ, მაგრამ ველურების შეშფოთება და შეძრწუნება ენით აუწერელი იყო. თავზარი დაეცათ, როცა საშინელი ხმაურობა გაიგონეს: ის კი ნახეს, როგორ დაიხოცნენ და დაშავდნენ თავიანთი ამხანაგები, ხოლო ამის ჩამდენს ვერავის ხედავდნენ. პირველი შეშფოთებისგან ჯერ კიდევ არ გამოორკვეულიყვნენ, რომ ახლა უილი ატკინსმა და მისმა დანარჩენმა სამმა მებრძოლმა დაახალეს თოფები იმ ჯგუფს, სადაც ყველაზე მეტი ველური ირეოდა. ამის შემდეგ ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ პირველმა სამმა გატენა თოფები და მესამე ბათქი მისცეს.

უილი ატკინსი და მისი მეგობრები თითო გასროლის შემდეგ მაშინვე რომ გასცლოდნენ იქაურობას, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, ან თავისიანები ყოფილიყვნენ იქვე და განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ მოექციათ მტერი, თქმა არ უნდა, ველურები გაიქცეოდნენ, რადგან იმათ შიშს უმთავრესად ის იწვევდა, რომ ვერავის ხედავდნენ და ეგონათ, ღმერთი გვავლებს მუსრს ელვა-მეხითო. უილი ატკინსი ხელახლა შეუდგა თოფის გადატენვას. ველურები კი ამასობაში თავიანთ შეცდომას მიხვდნენ: თეთრების საძებნელად დაწინაურებულმა ველურებმა ზურგიდან მოუარეს ატკინსის რაზმს. ატკინსმა და მისმა ამხანაგებმა ორსამჯერ დაახალეს თოფი, ოცზე მეტი კაცი მოუკლეს, მაგრამ სამაგიეროდ იმათ თვით ატკინსი დაჭრეს და ერთი ინგლისელი ისრით მოკლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მოკლეს აგრეთვე ერთი ესპანელი და მონა ინდიელი.

ამრიგად, ასეთ გასაჭირში ჩავარდნილმა ჩვენმა ხალხმა უკან დაიხია და შემაღლებულ ბორცვს მიადგა ტყეში. ესპანელებმაც სამჯერ მისცეს ბათქი და დაიხიეს. სხვა გზა არ იყო, რადგან მტერი ურიცხვი ჩანდა და მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათ კაცზე მეტი მოკლეს, ხოლო კიდევ უფრო მეტი დაუჭრეს, მაინც თავგანწირვით იბრძოდნენ, საშიშროებას არ ეპუებოდნენ, გამწარებით მიიწევდნენ წინ ჩვენი ხალხისაკენ და ისრის ღრუბლებით ცას აბნელებდნენ. შენიშნეს აგრეთვე, რომ მათ დაჭრილთაგან, ვისაც კი ფეხზე დგომა შეეძლო, ცოფიანივით იბრძოდა.

უკან დახევისას ჩვენებმა მოკლული ესპანელი და ინგლისელი ბრძოლის ველზე დატოვეს. ველურებმა საშინლად დაასახიჩრეს ისინი, კეტებითა და ხის ხმლებით დააგლიჯეს ხელები, ფეხები, თავი. მერე წრე შეკრეს - ეტყობა, ასეთია მათი ადათი, - და გამარჯვების აღსანიშნავად ორჯერ შეკვივლეს, მაგრამ, როცა ნახეს, როგორ კვდებოდნენ მათი დაჭრილი ამხანაგები უბრალოდ, სისხლისაგან დაცლის გამო, კვლავ დამწუხრდნენ.

როცა მთავარმა ესპანელმა თავი მოუყარა თავის პატარა რაზმს ბორცვზე, ატკინსმა, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი იყო, დაიჟინა, გინდა თუ არა, ახლავე თავს დავესხათ ერთად. მაგრამ ესპანელმა უპასუხა:

- ხომ ხედავთ, სინიორ ატკინს, როგორ იბრძვიან მათი დაჭრილები! ისა სჯობია, დილამდე დავიცადოთ, ამასობაში სისხლისაგან დაიცლებიან, დასუსტდებიან, ღონე გამოეღვევათ და ნაკლები მტერი დაგვრჩება.

ეს იყო გონივრული რჩევა, მაგრამ უილი ატკინსმა მხიარულად უპასუხა:

- მართალი ბრძანდებით, სინიორ, მაგრამ დილამდე მე რაღა კარგი დღე მომელის! ამიტომაც მინდა ახლავე შევუტოო, ვიდრე არ გავცივებულვარ.

- არა, სინიორ ატკინს, - მიუგო ესპანელმა, - თქვენ მამაცურად იბრძოდით და თქვენი საქმე გააკეთეთ კიდევ. თუ ხვალ მართლა არ შეგეძლებათ ბრძოლა, ჩვენ ვიბრძოლებთ თქვენ მაგივრად. მე მგონია, დილამდე დაცდა სჯობს.

მართლაც ასე მოიქცნენ.

მთვარიანი, ნათელი ღამე იყო, ამასთან ველურები სულ აირივნენ, თავს დასტრიალებდნენ თავიანთ დახოცილებსა და დაჭრილებს, დიდი ფაციფუცი და ხმაური მოისმოდა მათგან. ამიტომ გადაწყვიტეს, იმავე ღამეს დასხმოდნენ თავს. განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნებოდა, ჩუმად მიპარვას და პირველი ბათქის მოულოდნელად მიცემას თუ მოახერხებდნენ. არც იყო ეს ძნელი: ერთ-ერთი ინგლისელი, რომლის კარ-მიდამოსთანაც დაიწყო პირველად ბრძოლა, წინ წაუძღვა დანარჩენებს, ჯერ დასავლეთით ატარა ტყე-ტყე, ზღვის ნაპირის გასწვრივ, მერე ერთბაშად სამხრეთით შეაბრუნა და ისე ახლოს მიაყენა ველურების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომ ველურებს არც არაფერი შეუმჩნევიათ და ჩქამიც კი არ გაუგონიათ. პირველად რვა თოფმა გაისროლა; ნახევარ წუთში - კიდევ რვამ. უამრავი ველური მოკვდა და დაიჭრა. თანაც ისინი ვერ ხედავდნენ მტერს და არც ის იცოდნენ, თავის საშველად საით გაქცეულიყვნენ.

ესპანელებმა დიდი ფაციფუცით გატენეს თოფები, სამ ჯგუფად გაიყვნენ და გადაწყვიტეს, ერთბაშად მიხტომოდნენ. თითო ჯგუფში რვა სული იყო, ანუ სულ ოცდაორი კაცი და ორიც ქალი, რომლებიც, აქვე უნდა ითქვას, თავგანწირვით

იბრძოდნენ. ყოველგვარი იარაღი - თოფებიცა და ალებარდ-კეტებიც - თანაბრად გაინაწილეს. უნდოდათ, ქალები უკან მოექციათ, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ - გვირჩევნია, ჩვენს ქმრებთან ერთად დავიხოცოთო. ამრიგად, ისინი ხეების საფარიდან გამოვიდნენ და ასე რაზმებად დაწყობილნი ყიჟინითა და ყვირილით მტერს მიეჭრნენ.

ველურები შეგროვილიყვნენ და შიშით ძრწოდნენ, რადგან ერთბაშად სამი მხრიდან ესმოდათ საშინელი ყიჟინა. თეთრები რომ შეენიშნათ, მაშინვე შეებრძოლებოდნენ - დაიწყეს კიდევ ისრის სროლა და საბრალო მოხუცი პარასკევა დაჭრეს, თუმცა მძიმედ - არა. მაგრამ ჩვენებმა სულისმთქმის საშუალებაც არ მისცეს, ერთბაშად მიუხტნენ და სამი მხრიდან დაახალეს თოფი. შემდეგ კონდახებით, ხმლებით, ნაჯახებითა და კეტებით დაერივნენ. ველურებს თავგზა აერიათ, შესაბრალის წკმუტუნსა და ყმუილს მოჰყვნენ და თავის საშველად, საითაც მოუხდებოდათ, იქით გარბოდნენ.

ჩვენები საშინლად დაქანცა ველურების ჟლეტამ - ასოთხმოცამდე კაცი მოკლეს და დაჭრეს ორივე შეტაკების დროს. დანარჩენები კი, შიშით ჭკუადაკარგულები, ტყეში გაიფანტნენ, გორაკები გადაირბინეს და თავიქუდმოგლეჯით მიაშურეს ზღვის ნაპირას დატოვებულ ნაგებს.

მაგრამ მათი უბედურება ამით არ დამთავრებულა. საღამოს ძლიერი ქარიშხალი ამოიჭრა, შეუძლებელი იყო ზღვაში შესვლა. მოქცევის დროს ტალღებს ისე შორს გამოერიცა ნავეები ხმელეთზე, რომ ხელახლა ზღვაში შეცურებას მთელი დავიდარაბა სჭირდებოდა, რამდენიმე დამსხვრეულიყო კიდევ.

ჩვენები აღფრთოვანებულები იყვნენ გამარჯვებით, მაგრამ იმ ღამეს მაინც არ მოუსვენიათ. ცოტათი რომ მოიკრიბეს ღონე, გადაწყვიტეს ზღვის ნაპირას გასულიყვნენ და ენახათ, რა დღეში იყვნენ გაქცეული ველურები. ამრიგად, თავისდა უნებურად, ბრძოლის ველზე გავლა მოუხდათ, სადაც მათ ნახეს რამდენიმე საბრალო არსება, რომლებიც სულს დათავდნენ. მართაც რომ შემადრწუნებელი სანახაობა იყო კეთილშობილი ადამიანისათვის. ბრძანების გაცემა აღარ დასჭირვებიათ, თვითონ მონა-ველურები დაერივნენ ნაჯახებით საბრალო სულთმობრძავეებს და საიქიოს გაისტუმრეს.

საბოლოოდ, ისინი ნაპირს მიუახლოვდნენ და დაინახეს კიდევ უფრო საცოდავი ნაშთი მტრის განადგურებული არმიისა - ასამდე ველური. უმრავლესობა ჩამჯდარიყო, მუხლები თითქმის პირთან მიეტანათ, ზედ ხელები დაეწყოთ და თავი ორივე ხელზე ჰქონდათ დაყრდნობილი.

როცა ჩვენები ორი თოფის მანძილზე მიადგნენ, მთავარმა ესპანელმა ბრძანება გასცა, ორი მუშკეტი უტყვიოდ გაესროლათ, ისე, ველურების შესაშინებლად, რათა ენახათ, როგორ იმოქმედებდა ეს მათზე, რას აპირებდნენ. ისევ ბრძოლის გუნებაზე იყვნენ თუ მარცხის შემდეგ გატყდნენ, სულიერად დაეცნენ და ბრძოლისათვის აღარ სცხელოდათ. შემდეგ ამის მიხედვით მოიქცეოდნენ ჩვენები.

ამ ხერხმა გაჭრა. გაიგონეს თუ არა ველურებმა პირველი თოფის ხმა და მეორეს გაელვებასაც მოჰკრეს თვალი, დაფეთებულები წამოვარდნენ. ბოლოს, როცა დაინახეს, რომ ჩვენები სწრაფი ნაბიჯით მიიწევდნენ მათკენ, წივილითა და ყმუილით მოედნენ ტყეს. ასეთი ყმუილი პირველად ესმოდათ ჩვენებს და ვერც გაიგეს, რას ნიშნავდა. მალე ისინი გორაკებს მიეფარნენ.

უილი ატკინსის აზრით, ჯობდა მოეწყვიტათ ველურები ნავეებს და წაერთმიათ მათთვის ოდესმე უკანვე დაბრუნებისა და კუნძულის აოხრების საშუალება. ზოგიერთი წინააღმდეგი იყო ატკინსის წინადადებისა. შიშობდნენ, ეს არამზადები ტყეში დაიმალებიან და კიდევ უფრო გამწარდებიან, იძულებული ვიქნებით, როგორც მხეცებზე, ისე ვინადი-

როტ მათზე; მუდამ შიშში უნდა ვიყოთ, შინიდან გამოსვლისა გვეში-
ნოდეს, დაიწყებენ ყანების გამუდმებით აოხრებას, მოშინაურებულ
თხებს გაგვიჩანაგებენ და, ერთი სიტყვით, განსაცდელში ჩაგვაგდებე-
ნო.

უილი ატკინსი ამის პასუხად ამბობდა, ისა სჯობია, ას კაცთან
გვექონდეს საქმე, ვიდრე ას ტომთანაო; როგორც ამ ნავებს მოვსპობთ,
ისევე უნდა მოვსპოთ თვით ველურები, თუ არ გვინდა, ჩვენვე ამოგ-
ვწყვიტონო.

ერთი სიტყვით, ისე დაასაბუთა მან თავისი მოსაზრება, რომ ბო-
ლოს და ბოლოს, ყველა დათანხმდა. მაშინვე ნავებს მისცვივდნენ, იქ-
ვე ხმელი ხის ფიჩხი შეაგროვეს და სცადეს, ნავებისათვის ცეცხლი წა-
ეკიდებინათ, მაგრამ წყლით გაუღენთილ ნავს ასე ადვილად როდი
ეკიდებოდა ცეცხლი. ბოლოს ზემოთა ნაწილის დაწვა მაინც მოახერ-
ხეს, ისე რომ, ნავი გამოუსადეგი გახდა.

ინდიელებმა რომ შენიშნეს, რას აკეთებდნენ ჩვენები, ტყიდან გა-
მოცვივდნენ, რამდენადაც კი შეიძლებოდა მიუახლოვდნენ ჩვენს
ხალხს, დაიხოქეს და დაიწყეს ყვირილი, მაგრამ მოწინააღმდეგეებს
ინჩიბინჩიც არ ესმოდათ მათი ლაპარაკისა, თუმცა ხელის საცოდავად
ქნევასა და უცნაურ ვნავილზე ადვილად შეიძლებოდა მიხვედრა, რომ
ნავების დაბოგვას ემუდარებოდნენ.

ბოლოს ველურებმა ჯოჯობეთური წივილ-კივილი მორთეს, მერე კი
შეშლილებით გაიფანტნენ კუნძულზე. ჩვენებმა ახლა უკვე აღარ
იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რა ექნათ მათთვის. ვერ მოიფიქ-
რეს, რომ მტრის ასე სასოწარკვეთილებამდე მიყვანის შემდეგ საჭირო
იყო პლანტაციის საგულდაგულოდ დაცვა. მართალია, თხის ფარა გა-
დამალეს და ინდიელებმა ვერ მოახერხეს მათი მთავარი თავშესაფრის
აღმოჩენა, მაგრამ, სამაგიეროდ, მიაგნეს ყანას და ერთიანად გადათე-
ლეს. დამწიფებულ ყურძენს მისდგნენ და სულ მთლად დაგლიჯეს.

ყველაზე დიდი ნუგეში ის იყო, რომ ველურებს იარაღი არ გააჩ-
ნდათ. მართალია, მშვილდები ჰქონდათ, მაგრამ ისრები აღარ შერჩათ
და არც ისეთი იარაღი ჰქონდათ, რომ ისრები გამოეთალათ.

დიდ გასაჭირში ჩაცვივდნენ, მაგრამ ჩვენებიც ცუდ დღეში ჩაყარეს.
თავშესაფრები ხელუხლებელი დარჩათ, სამაგიეროდ სურსათ-სანოვა-
გის მთელი მარაგი გაუნადგურეს და ყანაც სულ მთლად გაუჩანაგეს.
ერთი მათი ნუგეში იყო თხის ფარა, რომელიც მღვიმის ახლოს ხევში

ჰყავდათ დამალული, და იქვე პატარა პურის ყანა, აგრეთვე იმ სამი ინგლისელის პლანტაცია, უილი ატკინსისა და მისი ამხანაგებისა, რომელთაგან ახლა ორი დარჩა ცოცხალი.

როცა კარგად აწონ-დაწონეს თავიანთი მდგომარეობა, გადაწყვიტეს, თუკი შესაძლებელი იქნებოდა, შორს, კუნძულის სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაერეკათ ველურები, რომ, თუ კუნძულზე ველურების ახალი რაზმი გამოჩნდებოდა, ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. შემდეგ ჩვენებს შეეძლებოდათ ყოველდღიურად ენადირათ მათზე, შეევიწროებინათ, რამდენადაც შეძლებდნენ, დაეხოცათ და ამრიგად თანდათან გაემეჩხერებინათ ველურთა რაზმი. ბოლოს, თუკი მოახერხებდნენ მათ მოათვინიერებს და ხელს მოაკიდებინებდნენ რაიმე საქმეზე, მიეცათ ხორბალი და მისი თესვა-მოყვანა ესწავლებინათ.

კარგა ხანი გავიდა, სანამ რომელიმე ველურის შეპყრობას მოახერხებდნენ. ბოლოს შიმშილისაგან არაქათგამოღეულ ინდიელს წააწყდნენ და შეიპყრეს. პირველად იგი დაბღვერილი იყო - არც საჭმელს გაეკარა და არც სასმელს; მაგრამ, ბოლოს, როცა დარწმუნდა, კარგად ექცეოდნენ, ცუდს არაფერს უპირებდნენ და საჭმელსაც სთავაზობდნენ, გული მოიბრუნა და მორჩილი გახდა. მაშინ მოჰგვარეს მოხუცი პარასკევა, რომელიც ბევრს ეჩიჩინა - სხვებსაც ასევე კარგად და ლმობიერად მოეპყრობიან და, არა მარტო შეგივრდომებენ და არ ამოგწყვეტენ, არამედ კუნძულის ერთ ნაწილსაც კი დაგიტომობენო. მხოლოდ თქვენც უნდა პირობა დადოთ, რომ მოზომილი ადგილიდან არ გამოხვალთ და სხვებს არავითარ ვნებასა და ზიანს არ მიაყენებთო; სამაგიეროდ ხორბალს მოგცემენ დასათესად და ყანის მოსაწევად, ხოლო მანამდე თავის გასატანად პურსაც დაგიტომობენო. ახლა წადიო, - უთხრა მოხუცმა პარასკევამ, - და შენიანებს მოელაპარაკე, აბა ნახე ერთი რას იტყვიან; დაე იცოდნენ, რომ, თუ ახლავე არ დათანხმდებიან, ყველას ამოწყვეტენო.

სულმთლად მოთვინიერებული უბედური არსებანი, რომელთა რიცხვი ახლა ოცდაჩვიდმეტზე დასულიყო, მაშინვე დათანხმდნენ ამ მოთხოვნას და შეემუდარნენ ცოტაოდენი საკვები მოგვეცითო. პასუხის მიღებისთანავე მათკენ გაემართა კარგად შეიარაღებული თორმეტი ესპანელი და ორი ინგლისელი, სამი მონა-ინდიელისა და მოხუცი პარასკევას თანხლებით, რომელთაც აჰკიდეს კარგა ბლომად პური და ბრინჯი - ჯერ მოხარშული, ხოლო შემდეგ მზეზე გამომცხვარი; წაასხეს აგრეთვე სამი ცოცხალი თხა. ველურებს უბრძანეს გორაკზე ასულიყვნენ და ისინიც მაშინვე დამორჩილდნენ. ავიდნენ, სადაც ნაბრძანები ჰქონდათ, დასხდნენ და მადლობის გრძნობით შესანსლეს მთელი ეს

სანოვაგე. ამის შემდეგ

ველურ ინდიელებს შეასწავლეს ყანის დამუშავება, პურის ცხოება, თხების გამოზრდა და მოწველა. ცოლებიღა აკლდათ, რომ მალე ახალი ტომი წარმოქმნილიყო. მისცეს მათ ნაკვეთი მიწისა, რასაც ერთი მხრით მაღალი კლდეები ემიჯნებოდა, მეორე მხრით კი ერთყა ზღვის ნაპირამდე გაშლილი ველი, კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიწა საკმაოდ ვრცელი და პოხიერი ჰქონდათ. ჩვენებმა ასწავლეს ხის ნიჩბის გამოთლა, მისცეს თორმეტი ნაჯახი და სამი თუ ოთხი დანა. ამგვარად, ცხოვრობდნენ ისინი, როგორც ყველაზე მორჩილი და უწყინარი ხალხი.

*

ჩემი მისვლა დიდი შველა იყო კუნძულის მოსახლეობისათვის, რადგან ჩვენ ისინი მოვამარაგეთ მრავალი საჭირო ნივთით. ამ იარაღების წყალობით ისე გაიწაფნენ მუშაობაში, რომ ბოლოს კოხტა ქოხები და სახლები წამოჭიმეს, რომელთაც ირგვლივ წნული შემოავლეს კალათის მსგავსად. მართალია, უცნაური შესახედაობა ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მშვენიერი საფარი იყო სიცხისგანაც და ყოველი ჯურის მავნებელისგანაც.

ჩვენებს ისე მოეწონათ ეს ნამუშევარი, რომ ველურებს უბრძანეს, ასეთი სახლები ჩვენც აგვიშენეთო. ასე რომ, როცა მე იმ ორი ინგლისელის კარ-მიდამოს სანახავად მივედი, შორიდან დიდ სკებსა ჰგავდა მათი სადგომი.

უილი ატკინსს, რომელიც თანდათან ბეჯითი, სასარგებლო და კეთილგონიერი კაცი გახდა, ისეთი კარავი შემოეღობა თავისთვის, რომლის მსგავსი, დარწმუნებული ვარ, არავის არაფერი უნახავს. ასოცი ნაბიჯი იყო წრის სიგრძე, კედელი შვიდი ფუტის სიმაღლისა ჰქონდა - მაგარი, მჭიდროდ წნული. შიგნითაც იდგა ერთი კარავი, რომლის წრიული სიგრძე ოცდაორ ნაბიჯს არ აღემატებოდა, ოღონდ უფრო მჭიდროდ დაწნული იყო. ამ კარავს ფორმა რვაკუთხედისა ჰქონდა და ყოველ კუთხეში თითო დიდი ბოძი იყო ჩასობილი, რომელზედაც გადებული იყო მოზრდილი კოჭები, ერთმანეთზე ხის კოტებით დამაგრებული. კოჭებიდან მას აღემართა მეტისმეტად კოხტა პირამიდისებური სახურავი. მართალია, ატკინსს ლურსმანი არა ჰქონია, მაგრამ ძველი რკინისაგან, რომელიც მე დავტოვე კუნძულზე, გამოეჭრა რამდენიმე

სამსჯვალე და ამით დაემადგურებინა. ამ კაცმა მართლაც დიდი გამომგონებლობის უნარი გამოიჩინა - ისეთი რამეები გააკეთა, რაზედაც ადრე წარმოდგენა არა ჰქონია: მოაწყო სამჭედლო და ორი მშენიერი საბერველი გააკეთა ხისგან; ნახშირიც გამოწვა თავისთვის; რკინის კეტებისაგან გვარიანი გრდემლი გამოკვერა რკინის დასამუშავებლად. თავის სამჭედლოში ბევრ რამეს აკეთებდა, განსაკუთრებით კი ანჯამებს, რკინის კავებს, სამსჯვალეებს, ურდულებსა და კოჭებს...

მაგრამ ისევ სახლს დავუბრუნდეთ. შიგნითა კარავის სახურავზე ხომ ჩაღანგარები დაატედა, მერე კავებს შორის ჩელტების დაწვნას შეუდგა, მაგრამ ისე მჭიდროდ წნავდა, ხოლო შემდეგ ისე მარჯვედ გადახურა ბრინჯის ჩალითა და წვიმისდამტერი ფოთლებით, რომ ფიქალის ან კრამიტის სახურავსა ჰგავდა და წვიმას სულაც არ ატარებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩელტები ველურებმა დაუწნეს და მათი მადლობელი უნდა ყოფილიყო. გარეთა წრიულ კედლამდეც, ლაფაროს მსგავსად, ჩაღანგარები ჰქონდა დაშვებული, ასე რომ, შიგნითა კედელსა და გარეთა კედელს შორის ასოცი ფუტის სიგანე ფართობი იყო ხეივანივით.

შიდა ფართობი მან ექვს ნაწილად დაყო ასეთივე, ოღონდ უფრო კოხტად დაწული, ჩელტებით და, ამრიგად, ექვსი ოთახი გააკეთა, რომელთაც დატანებული ჰქონდა თითო კარი. ერთი კარი შესასვლელში იყო გაჭრილი, მეორე კი - იმ ლაფაროში. ეს გარე ფართობიც ექვს თანაბარ ნაწილად იყო დაყოფილი და მართო თავის შესაფარებლად და დასასვენებლად კი არა ჰქონდათ, არამედ საკუჭნაოდ, საოჯახო ნივთების დასაწყობადაც.

ამ დიდ სკაში სამი ოჯახი ცხოვრობდა - უილი ატკინსი და მისი ერთი ამხანაგი, აგრეთვე მოკლული ამხანაგის ცოლი თავისი სამი ბავშვით. ქვრივს ყოველგვარ დახმარებას უწევდა ქმრის ორი ამხანაგი - უნაწილებდნენ მარცვლეულს, რძეს, ყურძენს... თხას რომ მოკლავდნენ, ან ზღვის ნაპირზე კუს დაიჭერდნენ, იმასაც უწილადებდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ.

ქალებმა ქმრებისაგან ყველაზე კარგად ინგლისური ენა შეისწავლეს. ბავშვების უმრავლესობაც, რომელთა რიცხვი დაახლოებით ოცს აღწევდა, თავიდანვე შეეჩვია ინგლისურს.

შემდეგ სერიოზული მოლაპარაკება გავმართე იმ ესპანელთან, რომელსაც გუბერნატორს ვეძახდი, კუნძულზე საბოლოოდ დარჩენის შესახებ, რადგან მე მათ წასაყვანად არ მოვსულვარ. არც იქნებოდა მართებული, ერთი ნაწილი წამეყვანა და დანარჩენი იქვე დამეტოვებინა. ცოტანი რომ დარჩებოდნენ, ხომ უფრო გაუჭირდებოდათ! პირიქით-მეთქი, - განვუცხადე; - აქ თქვენს წასაყვანად კი არ მოვედი, არამედ თქვენს საბოლოოდ დასამკვიდრებლად და ჩამოგიტანეთ კიდევ ათასნაირი ნივთი; ბევრს ვფიქრობდი, ისეთი რამეებით მომემარაგებინეთ, რაც თავდასაცავადაც გამოგადგებოდათ და ცხოვრების უკეთ მოსაწყობადაც; ჩამოგიყვანეთ სხვადასხვა ხელობის ხალხი, რათა მოსახლეობაც შეგმატოთ და, ამასთან, თავიანთი ხელობის მიხედვით საჭირო საქმეებიც გაგიკეთონ.

უილი ატკინსმა მთელი გულწრფელობით განაცხადა, ჩვენ საკმაოდ ბევრი უბედურება გადავიტანეთ, რათა საბოლოოდ ჭკუაში ჩავვარდნილიყავით და საკმაოდ ბევრი გარეშე მტერიც შეგხვდა, რომ ერთმანეთის მეგობრები გავმხდარიყავითო. ჩემდა თავად, - თქვა მან, - მზადა ვარ სხვებთან ერთად ვიცოცხლო და მოვკვდე. პატიებასა ვთხოვ ყველას ჩემი უგუნურობისათვის. რაც შეეხება ინგლისში წასვლას, კიდევ ოც წელიწადს რომ არ წავიდე, არას ვინაღვლიო.

მეგობრული გრძნობების ამ გულღია და წრფელი გამოვლინების აღსანიშნავად გადაწყვიტეთ, მეორე დღეს საერთო სადილი გაგვემართა. მართლაც, დიდებული ლხინი გადავიხადეთ. მთელი გულით მოვილხინეთ, შემდეგ გემიდან გადმოვატანინე ჩემი წამოღებული ნივთები და განაწილების დროს რომ დავა არ ამტყდარიყო, ყველას ვაჩვენე, რათა დამერწმუნებინა, რომ ნივთები საკმარისი იყო და ყველას თანაბრად შეხვდებოდა.

საჩუქრების დარიგებას რომ მოვრჩი, მათ წარვუდგინე ჩემი ჩამოყვანილი ხალხი. პირველ რიგში კი თერძი, მჭედელი და ორი დურგალი, რადგან ესენი ძალიან საჭირონი იყვნენ. და რაც მთავარია, ის ოსტატი, რომელსაც ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან: ის კი, მართლაც რომ, მისწრება აღმოჩნდა.

თერძი მაშინვე შეუდგა საქმეს და, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ნებართვით თითო პერანგი შეუკერა კუნძულის მცხოვრებლებს. გარდა ამისა, შეასწავლა ქალებს არა მარტო ნემსის ხმარება, არამედ დაიხმარა კიდევაც ისინი თავიანთივე ქმრებისა და სხვების პერანგების შეკერვაში.

რაც შეეხება დურგლებს, ალბათ, არც არის საჭირო იმის აღნიშვნა, თუ რა სასარგებლო იყო მათი საქმე. ჩემი დამზადებული ულაზათო და გაურანდავი ავეჯი იმათ დაშალეს, გარანდეს და მშვენიერი მოხერხებული მაგიდები, სკამები, საწოლები, კარადები, თაროები, ყუთები და ასეთი რამეები გააკეთეს, მაგრამ რომ მეჩვენებინა ამ დურგლებისათვის თვით ბუნება როგორ ოსტატებსა ქმნის, წავიყვანე და უილი ატკინსის წნული სახლი ვაჩვენე. აღიარეს, ჩვენს დღეში არ გვინახავს ასეთი რამ - ბუნების მიერ ასეთი დაოსტატება, ასე მარჯვედ და ლაზათიანად დაწნული სახლი, თუ სხვა რამეო. ერთი მათგანი ცოტა ხანს დაფიქრდა და მომიბრუნდა: „დარწმუნებული ვარ, - თქვა მან, - ამ კაცს ჩვენი დახმარება არა სჭირდება. საკმარისი იქნება მხოლოდ ხელსაწყოები უბოძოთო“.

ამის შემდეგ გამოვიტანე ხელსაწყო-იარაღები და ყველას გავუნაწილე.

ნაპირზე გადავიყვანე ყმაწვილი კაცი, - რომლის დედა შიმშილით მოკვდა გემზე, - და მისი მოახლე გოგო. გამოვუყავით პატარა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ააგეს სამი კარავი, თუ ქოხი, ატკინსის მსგავსად წნული გალაფნით შემოღობილი. საცხოვრებელი ისე იყო განლაგებული, რომ განაპირა კარავები საწოლ ოთახად ჰქონდა თითოეულს, ხოლო შუა კარავში, დიდი საწყობის მსგავსად, სანოვაგე და ნივთები ელაგათ და იქვე სადილობდნენ.

ის ორი ინგლისელიც მათ მეზობლად დასახლდა. ასე რომ, კუნძული მხოლოდ სამ კოლონიად იყო დაყოფილი. ესპანელებს, მოხუც პარასკევასა და პირველ მსახურებს ჩემი ძველი საცხოვრებელი ეჭირათ, გორაკის ძირში, რომელიც თითქოს კუნძულის დედაქალაქი იყო, და რომელიც იმათ ჩემ შემდეგ დიდად განევრცოთ და გაეფართოვებინათ.

მეორე კოლონია უილი ატკინსისა იყო. იქ ცხოვრობდა ოთხი ოჯახი ინგლისელებისა. ვგულისხმობ იმ ინგლისელებს, რომლებიც მე თვითონვე დავტოვე კუნძულზე თავიანთი ცოლ-შვილით; ამათ გარდა, სამი მონა-ველური, ომში მოკლული ინგლისელის ქვრივი, ყმაწვილი კაცი და მოახლე ქალი, რომელიც, სხვათა შორის, ჩემს იქ ყოფნაში გავათხოვეთ. იქვე დასახლდნენ თერძი, დურგლები, მჭედელი და ის ოსტატი, რომელზედაც მე ვამბობდი - ხელიდან ყველაფერი გამოსდის-მეთქი, და რომელიც ოც კაცს უდრიდა, რადგან საოცარი სიმარჯვის გარდა, ძალიან გულმხიარულიც იყო. სწორედ მას შევრთეთ პატიოსანი ქალიშვილი, გამოვუყავი მათ მიწის ნაკვეთი და დავასახლე. კუთ-

ვნილი მიწა ყველას მივუჩინე, დაუსახლებელი ფართობი კი ჩემს საკუთრებად გამოვაცხადე. რაც შეეხება კუნძულზე მცხოვრებ ველურებს, იმათ ერთ ნაწილს გამოვუყავი მიწის ნაკვეთები, დანარჩენები კი თეთრების მსახურები გახდნენ.

*

ამრიგად, მოვრჩი კუნძულზე ყოველგვარ საქმეებს და 6 მაისს კვლავ გემზე შევდგი ფეხი. მეორე დღეს გამომშვიდობების ნიშნად სალუტი მივეცი ბარბაზნის ხუთჯერ გასროლით, იალქნები ავუშვით და გზას გავუდექით. დაახლოებით ოცდაორ დღეში მივადექით ყველა წმინდანის უბეს, ბრაზილიაში. ღირსშესანიშნავი არაფერი გადავხედომია თავს, გარდა ქვემოთ მოთხრობილი ამბისა.

სამი დღის წამოსულები ვიქნებოდით ჩვენი კუნძულიდან. ქარი არ ქროდა. აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერი დინების გავლენით, რომელიც ყურესა თუ უბისკენ მიედინებოდა, ცოტათი ავცდით გემს. ერთი-ორჯერ მეზღვაურებმა დაიყვირეს - აღმოსავლეთით ხმელეთი გამოჩნდაო, მაგრამ ვერანაირად ვერ განვსაზღვრეთ დიდი ხმელეთი იყო თუ კუნძული. მესამე დღეს, საღამო ხანს, როცა ქარი კვლავ ჩამდგარი იყო და არც ზღვა ღელავდა, შევნიშნეთ, რომ ხმელეთის გასწვრივ ზღვა შავი რაღაცით იყო დაფარული. კარგა ხანს ვერ გავარჩიეთ, რა უნდა ყოფილიყო, ამიტომ კაპიტნის პირველი თანაშემწე ჯაჭვა ბაგირს შეჰყვა, დურბინდით გადახედა და ცოტა ხნის შემდეგ დაიძახა, ჯარიო. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა ამ სიტყვით და მოუფიქრებლად დავუტატანე.

- ნუ გამიცხარდებით, ბატონო, - მითხრა მან, - მართლაც რომ ჯარია, და თანაც ფლოტი. სულ ცოტა, ათასი ნავი მაინც იქნებოდა და თან აქეთ მოემართებოდნენ.

ცოტა არ იყოს, შევცბი. ჩემი ძმისწულიც შეშინდა, რადგან ველურების შესახებ ისეთი საშინელი ამბები მოისმინა კუნძულზე, რომ აღარ იცოდა, რა ეფიქრა; ისღა ამოილულულა ორ-სამჯერ - მორჩა, უსათუოდ შეგვსანსლავენო.

წყნარი ამინდი იდგა დ დინებაც პირდაპირ ნაპირისკენ მიგვაქანებდა. ამიტომ, უნდა გამოვტყდე, უარესსაც მოველოდი.

მაინც გავამხნევე, ვუთხარი, ნუ შეშინდებით-მეთქი. თანაც ვუბრძანე, დაგვეცადა და თუ შევატყობდით, შეტაკება გარდაუვალი იყო, ღუზა ჩაგვეშვა.

ქარი კვლავ არ იძროდა და ისინი სწრაფად გვიახლოვდებოდნენ. ასე რომ, ბრძანება გავეცი, ღუზა ჩაეშვათ და იალქნებიც დაეშვათ. ველურებისაგან ერთადერთი ის იყო საშიში, გემისთვის ცეცხლი არ გაეჩინათ. გავაფრთხილე კიდევ მებღვაურები და ვუბრძანე ნავები მოეხსნათ - ერთ გემის ჭვინტზე უნდა მიემაგრებინათ, ხოლო მეორე - კიჩოზე, შიგ მენავეები უნდა მსხდარიყვნენ.

ასეთი თადარიგი იმიტომ დავიჭირე, რომ, თუ ველურები მართლა მოინდომებდნენ გემისათვის ცეცხლის წაკიდებას, ნავებში მყოფი მებღვაურები მზად იქნებოდნენ და შკოტებითა და ვედროებით ჩააქრობდნენ ხანძარს. ცოტა ხანს ვიდექით ასე, იმათ მოლოდინში. ბოლოს მოახლოვდნენ.

ასეთი საშინელი სანახაობა ალბათ ჯერ არ უნახავს არცერთ ქრისტიანს. კაპიტნის თანაშემწეს დიდი შეცდომა მოუვიდა, ათასი ნავი რომ ივარაუდა, მაგრამ, როცა მოახლოვდნენ და დავთვალეთ, ას ოცდაექვსამდე ნავი მაინც აღმოჩნდა, თითოეულ ნავში თექვსმეტი-ჩვიდმეტი კაცი იჯდა, ზოგში მეტიც.

როცა სულ ახლოს მოვიდნენ ჩვენთან, ეტყობოდა, სახტად დარჩნენ. ეჭვი არ იყო, ამ გემის მსგავსი თავის დღეში არაფერი ენახათ. პირველად ვერც გადაეწყვიტათ რა ექნათ, მაგრამ მაინც ჯიქურ მოდიოდნენ და, ეტყობოდათ, გარს შემოვლა უნდოდათ. მაშინ ნავებში მსხდომ მებღვაურებს ჩავძახეთ, ახლოს ნუ მოუშვებთო. ამ ბრძანებამ, ჩვენდაუნებურად, ბრძოლაში ჩაგვაბა.

მათი ექვსი დიდი ნავი ახლოს მოადგა ჩვენს ნავს და მებღვაურებმა ველურებს ხელით ანიშნეს, უკან გაბრუნდითო. მაშინვე

მიხვდნენ და გაბრუნდნენ, მაგრამ უკან დახევისას დაახლოებით ორმოცდაათი ისარი წამოვიდა ჩვენსკენ იმ ნავებიდან და ჩვენს ნავში მყოფი ერთ-ერთი მებღვაური მძიმედ დაიჭრა. მე მაინც გადავძახე, არაფრის გულისთვის საპასუხოდ არ ესროლოთ-მეთქი. ნავში მსხდომთ გადავეცი რამდენიმე ფიცარი და დურგალმა ხელად მოაწყო ისრებისაგან თავის დასაფარავი ზღუდე, კიდევ თუ დაიწყებდნენ ველურები ისრების სროლას.

ამის შემდეგ ნახევარ საათს არ გაუვლია, რომ ყველანი ერთბაშად მოგვადგნენ კიხოდან, ამჯერად კიდევ უფრო ახლოს, და კარგად გავარჩიეთ, ვინც იყვნენ, თუმცა ვერ მივხვდით, რას გვიპირებდნენ. მაშინვე ვიცანი ჩემი ძველი მეგობრები - სწორედ იმ ჯურის ველოურები, რომლებთანაც რამდენჯერმე მომიხდა შეტაკება. კიდევ ცოტა ხანი და კვლავ გაბრუნდნენ, გვერდიდან გაუპირდაპირდნენ ჩვენს გემს და შემდეგ სწრაფად მოუსვეს ნიჩბები - ჩვენსკენ გამოემართნენ. ისე ახლოს მოგვადგნენ, რომ ჩვენს ლაპარაკს გაიგონებდნენ.

მებღვაურებს ვუბრძანე, კარგად მოფარებოდნენ საფარს და ზარბაზნები მოემზადებინათ. თანაც, რაკი ისე ახლოს იყვნენ, რომ ხმას მივაწვდენდით, პარასკევას დავავალე ბაქანზე გასულიყო და ხმამაღლა გამოლაპარაკებოდა ველოურებს თავიანთივე ენაზე, გაეგო რა სურდათ. პარასკევა მაშინვე გავიდა ბაქანზე. არ ვიცი, გაუგეს თუ არა მათ პარასკევას, მაგრამ, გაიგონეს თუ არა მისი ხმა, ჩვენგან უახლოეს ნავში მსხდომმა ექვსმა ველოურმა ნავი ცოტათი უკან მიაბრუნა, თვითონ კი შებრუნდნენ, დაიხარნენ და შიშველი უკანალი დაგვანახეს.

ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს - გამოწვევას თუ შეურაცხყოფას, ან იქნებ ამით ნიშანს აძლევდნენ სხვებს. ეს კია, რომ პარასკევამ მაშინვე იყვირა - სროლას აპირებენო და, მისდა საუბედუროდ, სამიოდე ისარი წამოვიდა ველოურთა ნავებიდან.

გამოუთქმელი მწუხარება მომაცენეს - მომიკლეს ჩემი საბრალო პარასკევა. სხვები კი შეფარებულნი იყვნენ და გადარჩნენ. სამი ისარი მოხვდა უბედურს, სამი ისარიც მის მახლობლად დაეცა.

ჩემი ძველი ერთგული მსახურისა და ამხანაგის დაკარგვამ ისე გამაცოფა, რომ მაშინვე ბრძანება გავეცი, ხუთი ზარბაზანი პატარა ტყვიებით გაეტენათ, ხოლო ოთხი - დიდებით და ერთბაშად ისეთი ბათქი მიეცათ, როგორიც, დარწმუნებული ვარ, თავის დღეში არ მოლანდებიან. ზარბაზნების გასროლის დროს ისინი ჩვენგან ორასიოდე მეტრზე თუ იქნებოდნენ და მებღვაურებმა ისე მარჯვედ ამოიღეს ნიშანში, რომ სამი თუ ოთხი ნავი პირველივე გასროლით გადაბრუნდა.

იმ უბრდელობით (შიშველი უკანალი რომ მოგვიშვირეს) აბა რა შეურაცხყოფა უნდა მოეყენებინათ ჩვენთვის?! მით უმეტეს, არ ვიცი, ველოურებისათვის იქნებ არც კი ითვლება ეს შეურაცხყოფად. ამიტომ, გადაწყვეტილი მქონდა საპასუხოდ ოთხ-ოთხი ზარბაზანი მხოლოდ დენთით გამესროლა. ვიცოდით, მათ დასაფრთხობად ეგეც კმაროდა. მაგრამ, როცა ვნახე, როგორი გამწარებით ამოგვიღეს ნიშანში, და განსა-

კუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემი საბრალო პარასკევა მოკლეს, რომელიც გულით მიყვარდა, ვაფასებდი და რომელსაც ჰქონდა კიდეც დამსახურებული ეს სიყვარული, - მე არათუ მართალი ვიქნებოდი ღვთისა და კაცის წინაშე, არამედ გულით გავიხარებდი, ყველა ნავის ჩაძირვა და ყოველი ველურის დახრჩობა რომ შემძლებოდა.

ვერ გეტყვით, რამდენი კაცი დავხოცეთ პირველი ბათქით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ასეთი შიში და შეძრწუნება ერთბაშად ამდენი ხალხისა, არავის უნახავს. ცამეტი თუ თოთხმეტი ნავი დაიმსხვრა და გადაბრუნდა, ხოლო ველურები ზღვას მოეფინნენ ცურვით. დანარჩენებს შიშმა თავგბა აუბნია - რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოუსვენს ნიჩბები და ყურადღებაც არ მიაქციეს მათ, ვისაც ნავი ჩაეძირა ან დაემსხვრა. ასე რომ, ჩემი ვარაუდით, ბევრი დაიღუპა. ერთი საათის შემდეგ, როცა ყველანი თვალს მიეფარნენ, ჩვენმა მეზღვაურებმა ტყვედ წამოიყვანეს ერთი საბრალო ველური, რომელიც იქვე ცურავდა და თავის გადარჩენას ლამობდა.

იმავე საღამოს ამოიჭრა სასურველი ქარი, ღუზა ამოვიღეთ, იალქნები გავშალეთ და ბრაზილიისაკენ გავწიეთ.

ჩვენი საბრალო ტყვე ისე იყო გაბრუებული, რომ არც ჭამის თავი ჰქონდა, არც ლაპარაკისა, და გვეგონა, შიშმილით მოკვდებოდა. მაგრამ ამის წამალიც გამოვნახე: ჩავასმევინე ბარქაზში და მეზღვაურებს დავავალე, ენიშნებინათ, ხმას თუ არ გაიღებდა, წაიყვანდნენ და იმავე ადგილას ჩააგდებდნენ ზღვაში, საიდანაც ამოიყვანეს. არც ამან გაჭრა. მაშინ მეზღვაურებმა მართლაც ჩააგდეს იგი ზღვაში, დატოვეს და წამოვიდნენ. ახლა კი იკადრა ველურმა დადევნება, მოსდევდა ჩვენებს და თან რაღაცას ეძახდა თავის ენაზე, თუმცა მეზღვაურებს არაფერი ესმოდათ მისი, ბოლოს მაინც ამოიყვანეს და ამის შემდეგ ველური უფრო მოთვინიერდა და როცა ცოტა ინგლისური შევასწავლეთ, გვითხრა, მეფეებთან ერთად მივდიოდით, დიდი ბრძოლა უნდა გადაგვეხადათ. მეფეები რომ ახსენა, ჩვენ ვკითხეთ - მაინც რამდენი მეფე გახლდათო. „ხუთი ტომი ვიყავით, - გვითხრა მან, - და ორი ტომის წინააღმდეგ საბრძოლველად გავერთიანდით“. „ჩვენთან რაღას მოდიოდით?“ - ვკითხეთ შემდეგ. „გვინდოდა ახლოს გვენახა ეს დიდი საოცრება“.

კვლავ ის საწყალი არსება უნდა ვახსენო, უკანასკნელად უნდა გამოვეთხოვო. საბრალო პატიოსანი პარასკევა! რამდენადაც კი შეგვეძლო, უკანასკნელი პატივი ვეცით - კუბოში ჩავაწვინეთ, ზღვაში ჩავუშვით და თერთმეტი ბარბაზანი გავისროლეთ. ასე დასრულდა ქვეყნად

ყველაზე მაღლიერი, ერთგული, პატიოსანი და მოსიყვარულე მსახურის ცხოვრება.

*

ბრაზილიისკენ ჩვენს სვლას მარჯვე ზურგქარი უწყობდა ხელს და თორმეტი დღის შემდეგ ხმელეთიც გამოჩნდა. კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ ღუზა ჩავუშვით ყველა წმინდანის უბეში, რომელიც ჩემი ხნის ადგილს წარმოადგენდა და საიდანაც დაიწყო ჩემი ბედნიერებაცა და უბედურებაც.

აქედან ჩემს კუნძულზე გავგზავნე ინგლისიდან წამოღებული კარტაპი ყოველგვარი საჭირო ტვირთით დატვირთული.

მებღვაურს, რომელსაც ეს კარტაპი უნდა წაეყვანა, კუნძულზე დასახლება სურდა და კიდევ ერთი პატიოსანი და ღირსეული, მაგრამ ეკლესიისგან შერისხული, ბრაზილიელი კაცი გავაყოლეთ იქ დასამკვიდრებლად.

მე კი აღმოსავლეთ ინდოეთში გასამგზავრებლად მოვემზადე. არავითარი საქმე იქ არა მქონია. ჩემი იქ წასვლა იმას ჰგავდა - თავისუფალი, უდანაშაულო კაცი თავისი ნებით მივიდეს ნიუგეიტის მეციხოვნესთან და სთხოვოს, ციხეში გამოამაწყვდიე სხვა ტუსაღებთან ერთად და შიმშილით მომკალიო.

*

ჩემს კუნძულზე აღარ წავსულვარ. კუნძულის მოსახლეობის ამბავი კი უკანასკნელად ჩემი ბრაზილიელი მეგობრის წერილით შევიტყვე, რომელსაც ჩემ შემდეგ კიდევ ერთი გემი გაეგზავნა კუნძულზე. მისი წერილი, რამდენიმე წლის დაწერილი, ლონდონში დამხვდა, როცა მოგზაურობიდან დავბრუნდი. იგი იტყობინებოდა, რომ კუნძულის მოსახლენი საწყლად ცხოვრობდნენ, უკმაყოფილონი იყვნენ იმდენ ხანს იქ ყოფნით. უილი ატკინსი მომკვდარიყო, ხუთი ესპანელი იქიდან გამგზავრებულიყო, ველურები ხშირად აღარ აწუხებდნენ, მაგრამ რამდენიმე შეტაკება მაინც ჰქონოდათ. კუნძულის მცხოვრებნი შეემუდარნენ თურმე ჩემს მოზიარეს, წერილით მოეგონებინა ჩემი შეპირება კუნძულიდან მათი წაყვანის თაობაზე, რათა სიკვდილის წინ მაინც ენახათ

*

ბრაზილიიდან გასულებმა ატლანტის ოკეანე გადავცურეთ და კეთილი იმედის კონცხს მივაღექეთ. დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. ავიღეთ თუ არა სასმელი წყალი, მაშინვე კორომანდელისკენ გავწიეთ. იქვე გავიგეთ, რომ ორმოცდაათბარბაზნიანი ფრანგული სამხედრო გემი, რომელსაც თან ახლდა ორი დიდი სავაჭრო ხომალდი, ინდოეთის მიმართულებით გამოსულიყო; ვიცოდით, რომ იმუამად საფრანგეთთან საომარ მდგომარეობაში ვიყავით და შიში გვექონდა, გზაში არ გადავყროდით. მაგრამ ისინი თავისი გზით წასულიყვნენ და იმათი ასავალ-დასავლისა აღარაფერი გავვიგონია.

პირველად მივაღექეთ მადაგასკარის კუნძულს. საგზლის მომარაგების შემდეგ იძულებული გავხდით რამდენიმე ხანს იქვე დავჩინილიყავით. ერთ საღამოს გადავედით კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაშინვე ირგვლივ ხალხი შემოგვერტყა, მრავალრიცხოვანი ბრბო. მაგრამ შეჩვეული ვიყავით მათგან კარგ მოპყრობას და ამიტომ არავითარი საშიშროება არ გვიგრძნია. როგორც კი დავინახეთ ხალხი, სამი ტოტი მოვჭერით ხეზე და ჩვენგან მოშორებით მიწაში ჩავასვით. იმ მხარეში ეს არის ზავისა და მეგობრობის ნიშანი. იმათაც ხელად ჩაარტყეს სამი ბოძი თუ ტოტი. ამით გვანიშნეს, რომ ჩემგან შეთავაზებული ზავი მიღებული იყო. ამასთან, რაკი ეს ზავის ნიშანია, უფლება არ გაქვს, იმათი სამი ბოძი გადალახო და იქით წახვიდე, ვერც ისინი გადმოლახავენ შენს ბოძებსა თუ ტოტებს. ასე რომ, სავსებით დაცული ხარ ამ სამი ბოძის ფარგლებში. თქვენსა და იმათ ტოტებს შორის მოთავსებული ადგილი ბაზარივით არის - ერთმანეთს შორის ლაპარაკისა, გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობისათვის. საზღვრიდან რომ გახვალ ამ საბაზრო ადგილზე, იარაღი უნდა აიხსნა; ისინიც თავიანთ შუბებსა და ზუფანებს ბოძებზე ჩამოკიდებენ ხოლმე და უიარაღონი გამოვლენ. მაგრამ თუკი რაიმე ავნეთ იმათ და, ამრიგად, ზავი დაარღვიეთ, მაშინ ბოძებს მივარდებიან, იარაღს ჩამოხსნიან და მორჩა - ამით საზავო შეთანხმებას ბოლო მოეღება.

იმ საღამოს, როგორღაც, ჩვეულებრივზე მეტი ხალხი შემოგვერტყა, მაგრამ თავაზიანად და მეგობრულად გვექცეოდნენ.

თან მოიტანეს სურსათ-სანოვაგე და ჩვენც, სამაგიეროდ, რაც კი

რამ ხარახურა გვებადა, ის შევთავაზებთ. ქალებმა, თავის მხრივ, მოგ-
ვიტანეს რძე, ხის ძირები და კიდევ რაღაც საჭმელი - საჭირო და სა-
სურველი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობ-
და. ხის ტოტებისაგან იქვე პატარა კარავი გავშალეთ და გადავწყვი-
ტეთ, ღამე ნაპირზე გაგვეტარებინა.

არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ რატომღაც ხმელეთზე ვერ მოვისვენე
და ვარჩიე ნავში გადავსულიყავი: იქვე, ნაპირთან ახლოს ორი ღუბა-
ჩაშვებული ნავი იდგა და დარაჯად ორი კაცი ჰყავდა მიჩენილი. ერთ-
ერთს ვუბრძანე ნავი ნაპირთან მოეყენებინა. ბევიდან გადასაფარებ-
ლად ხის ტოტები გადავატანინე ნავში, ძირს იალქანი გავაშლევინე და
დავწექი.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა ნაპირიდან მოისმა საშინელი
ღრიალი - ერთ-ერთი ჩვენი მებღვაური გვეძახდა, ღვთის გულისათვის
მოგვეხმარეთ, ჩქარა ნავი მოგვაშველეთ, თორემ ყველას ამოგვწყვე-
ტენო. ამას მოჰყვა თოფის ხმაც, ზედიზედ ხუთჯერ, რადგან სწორედ
ხუთი თოფი ჰქონდათ ნაპირზე. თოფის სროლა სამჯერ განმეორდა,
რადგან, ეტყობა, იქაურ მკვიდრებს ისე როდი აფრთხობდა თოფი, რო-
გორც ამერიკელ ველურებს.

ხმაურზე გამომღვინა, გებე წამოვხტი და მენავეს ვუბრძანე ნავი
ნაპირისაკენ წაეყვანა.

მალე მივაღებეთ ნაპირს, მაგრამ ჩვენებმა ნავის კარგად მიყენება
არც გვაცალეს: ერთი ალიაქოთით და ფაცხაფუცხით ჩაეშვენენ წყალში,
რადგან უკან სამასი-ოთხასი კაცი მოსდევდათ. სულ ცხა კაცი იყო ნა-
პირზე, - რომელთაგან ხუთს ჰქონდა თოფი. მართალია, დანარჩენებ-
საც ჰქონდათ ხმლები და დამბაჩები, მაგრამ ეს, აბა, რას უშველიდათ!

შვიდი კაცი ჩავსვით ნავში, მაგრამ ძალიან გაგვიძნელდა, რადგან
სამი მათგანი მძიმედ დაეჭრათ. ამ დროს სეტყვასავით წამოვიდა ის-
რები და იძულებული გავხდით, ფარად სკამები მოგვეშველებინა, აგ-
რეთვე რამდენიმე ფიცარი, რომლებიც,

ჩვენდა სასიხარულოდ, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ნავში.
დღე რომ ყოფილიყო, ნამდვილად ამოგვხოცავდნენ, რადგან ისინი,
როგორც ეტყობა, საოცრად მარჯვე მსროლელები არიან. მთვარის
მკრთალ შუქზე ვარჩევდით, როგორ იდგნენ ნაპირზე და ზუფანებსა და
ისრებს გვიშენდნენ. ჩვენც დავტენეთ თოფები და გავისროლეთ. ღრი-
ალის მიხედვით დავასკვნით, რომ რამდენიმე კაცი დაიჭრა. მიუხედა-

ვად ამისა, მაინც იდგნენ საომრად ჩამწკრივებულნი და, ეტყობა, გათენებას ელოდნენ, რათა უფრო კარგად ამოველეთ ნიშანში.

ასე ვიდრეით საგონებელში ჩავარდნილნი, არ ვიცოდით, როგორ ამოგველო ღუზა ან როგორ გაგვეშალა იალქანი, რადგან ამას ისე ვერ მოვახერხებდით, თუ მთელი ტანით არ ავიმართებოდით ნავში. ეს კი საშიში იყო: ისევ ამოგვიღებდნენ ნიშანში და მოგვკლავდნენ, როგორც ჩვენ ჩამოვაგდებთ ხოლმე ჩიტს ხიდან.

ამასობაში გაჭირვების ნიშანი მივეცით გემს, რომელიც ნაპირიდან მთელი ლიეს დაშორებით იდგა ზღვაში. კაპიტანმა, ჩემმა ძმისწულმა, სროლა რომ გაიგონა და ჭოგრიტით დაგვინახა რა დღეში ვიყავით (თან თოფებიც ნაპირისკენ გვქონდა მიმართული), მაშინვე მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო. სასწრაფოდ ამოიღო ღუზა, რამდენადაც კი შეიძლებოდა, მოუახლოვდა ნაპირს და მაშველი ნავი ჩამოუშვა, რომელშიაც ათი კაცი იჯდა. მაგრამ ნავში მსხდომთ შორიდან დაუძახეთ ძლიერ ახლოს არ მოსულიყვნენ, აუხსენით, რა დღეშიაც ვიყავით ჩავარდნილი. მაინც მოგვიახლოვდნენ, მერე ერთი მეზღვაური ცურვით წამოვიდა და თოკის ბოლო წამოიღო, მტრის შეუმჩნევლად ამოძვრა ჩვენს ნავზე და ბაწარი ნავს გამოაბა; ღუზის თოკი გადავჭერთ და ჩვენი ნავი ბაგირით გააცურეს ისე მოშორებით, რომ ისრები ვეღარ გვწვდებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიცრებს ვიყავით მოფარებულნი.

აქამდე ჩვენი ნავი გემსა და ნაპირს შორის იყო, მაგრამ, როგორც კი მოვეცალეთ გემს და ნაპირისკენ პირდაპირ გასროლის საშუალება მივეცით, იგი შემობრუნდა და ბაქნიდან რკინა და ტყვია დაუშინა.

როცა გემის ბაქანზე შევდგით ფეხი და საშიშროებას თავი დავაღწიეთ, უკვე საშუალება მოგვეცა, გამოგვერკვია, რანაირად მოხდა ეს შეტაკება. გემის სავაჭრო წარმომადგენელი, რომელიც მრავალჯერ ყოფილა იმ მხარეში, მიმტკიცებდა, რომ რაღაი ჩვენ შორის ზავი დაიდო, იქაური მცხოვრებნი თითსაც კი არ დააკარებდნენ ჩვენს ხალხს, ალბათ, თვითონ ჩვენებმა გამოიწვიესო.

საბოლოოდ, ყველაფერი გამოირკვა. თურმე ერთ დედაბერს რძე მოეტანა ჩვენს კარავში გასაყიდად, თანა ხლებოდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც, აგრეთვე გასაყიდად, წამოელო ძირები და ბალახბულახი. მანამ დედაბერი ხელს გაიცილიდა, ერთ-ერთმა ჩვენმა მეზღვაურმა უშნო ბლლარძუნი დაუწყო გოგოს, დედაბერმა კი საშინელი ყვირილი მორთო. მეზღვაურმა მაინც არ დათმო მისი ნადავლი, ბებერს

თვალთაგან მოაშორა და ხეებს მოაფარა. უკვე ბინდბუნდი იდგა. დედაბერი სასწრაფოდ გაეშურა თავისიანებთან და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი შეატყობინა. სამი-ოთხი საათის განმავლობაში ეს უზარმაზარი არმია მოგვაყენა და, ცოტა გაწყდა, ყველანი არ ამოგვეწყვიტეს.

ერთი ჩვენი მეზღვაური ბრძოლის დაწყებისთანავე განგმირეს შუბით, როგორც კი გამოხტა კარვიდან.

სხვები მშვიდობით გადარჩნენ, თვით იმ ყმაწვილის გარდა, რომელიც მთელი ამ უბედურების მიზეზი იყო და რომელსაც საკმაოდ ძვირად დაუჯდა თავისი შავი სატრფო. მისი ასავალ-დასავლისა ძალიან დიდხანს ვერაფერი გავიგეთ. მთელი ორი დღე არ მოვშორებივართ ნაპირს, მიუხედავად იმისა, რომ მარჯვე ქარი ქროდა. ვაძლევდით ნიშნებს გემიდან, ნავითაც ავუარ-ჩავუარეთ ნაპირს რამდენჯერმე კარგა დიდ მანძილზე, მაგრამ არა და არა, მისი ნახვა არ მოხერხდა და იძულებული გავხდით, ძებნისათვის თავი დაგვეწებებინა.

მაგრამ გულმა ნება არ მომცა, ნაპირზე არ გადავსულიყავი და არ მომეკითხა იმ ბიჭის ამბავი. იმის გაგებაც ძალიან მინდოდა, ინდიელებს რა მოუვიდათ. უკვე მესამე დღე იყო იმ შემთხვევის შემდეგ. სიფრთხილზე გამოვიჩინე და ბნელში გადასვლა ვარჩიე, რათა თავიდან ამეცილებინა ხელახალი შეტაკება.

თან წავიყვანე ოცი დარჩეული მეზღვაური, სავაჭრო წარმომადგენელი და, შუალამეს ორი საათი აკლდა, როცა ნაპირზე გადავედით - სწორედ იმ ადგილას, სადაც ორი დღის წინ ინდიელებთან შეტაკება მოგვიხდა. ეს ადგილი იმიტომ ავირჩიე, რომ, როგორც უკვე გითხარით, მინდოდა გამეგო, წავიდნენ თუ არა ინდიელები იქიდან, ან რაიმე კვალი ხომ არ დარჩათ იმ განადგურების შემდეგ. ვიმედოვნებდი, როგორმე ორი მათგანის ხელში ჩაგდებას თუ მოვახერხებდი, მერე იმ ტყვეებს ჩვენს მეზღვაურში გაუფიცვლიდით.

ჩუმად გადავედით ნაპირზე და ორ ნაწილად გავიყავით - ერთ ჯგუფს ბოცმანი მეთაურობდა, მეორეს კი მე. ჩქამიც არ ისმოდა. სიბნელეში ვერც გავარჩიეთ რამე. ორივე ჯგუფმა გავწიეთ ერთმანეთზე ცოტათი დაშორებით, მაგრამ ისე ბნელოდა, ვერაფერს ვხედავდით. უცებ ბოცმანმა ადამიანის გვამს წამოჰკრა ფეხი და წაიქცა. შედგნენ და მე დამელოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ამ ადგილას ინდიელები უნდა ყოფილიყვნენ. გადავწყვიტეთ, მთვარის ამოსვლამდე დაგვეცადა და მაშინ აშკარად დავინახავდით, რა დანაკლისი ჰქონდათ ველურებს. ვიცოდით, რომ მთვარე დაახლოებით ერთ საათში ამოვიდოდა. ოცდა-

თორმეტი გვამი დავთვალეთ მიწაზე, რომელთაგან ორი ჯერ არ მომკვდარიყო. ზოგს ხელი ჰქონდა მოგლეჯილი, ზოგსაც - ფეხი, ერთი უთავოდ ეგდო. დაჭრილებს ალბათ თან წაიყვანდნენ ინდიელები.

რაკი ყველაფერი გავიგეთ, რისი გაგებაც შეიძლებოდა, გადავწყვიტე უკანვე დავბრუნებულიყავით. მაგრამ ბოცმანმა და მისმა რაზმმა შემომითვალეს, ინდიელთა ქალაქში წასვლას ვაპირებთ, სადაც ის ძაღლები ბინადრობენ, - ასე ეძახდნენ ხოლმე, - და თქვენც გამოგვყვითო. თუკი მიაგნებდნენ იმათ სამყოფელს, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ კარგი ნადავლით დაბრუნდებოდნენ. იქნებ ტომ ჯეფრიც ვნახოთო, - ეს იყო იმ დაკარგული მეზღვაურის სახელი.

წასვლის ნებართვის სათხოვნელად რომ გამოეგზავნათ კაცი, მე ვიცი, რა პასუხსაც შევუთვლიდი: ვუბრძანებდი, მაშინვე გემზე დაბრუნებულიყვნენ, რადგან ასეთი სულელური თავგანწირვა ჩემგან არაფრით არ შეიძლებოდა - საქონლით დატვირთული გემი იქვე გვედგა და წინ შორი გზა გვედო. მაგრამ არ უთხოვიათ - პირდაპირ შემომითვალეს

მივდივართო, თხოვნით კი იმას მთხოვდნენ, მეც შევერთებოდი ჩემი რაზმით. რა თქმა უნდა, ცივი უარი შევუთვალე და წამოვდექი, რათა ნავისკენ წავსულიყავით. ორმა მეზღვაურმა თავი მომაბეზრა - გავყვეთო. რაკი უარზე ვიდექი, წუწუნს მოჰყვნენ. მერე განმიცხადეს, ჩვენი ბატონი ხომ არა ხართ, არც გემორჩილებით, თვითონვე წავალთო. მათ მიჰყვა მეორე, მესამე და ერთი სიტყვით, ყველამ მიმატოვა, გარდა ერთისა, რომელიც დავიყოლიე დარჩენილიყო, ამას გარდა, ერთი ბიჭი კიდევ ნავში გვყავდა დატოვებული. ამრიგად, სავატრო წარმომადგენელი და მე იმ ერთ მეზღვაურთან ერთად უკანვე დავბრუნდით, ნავში ჩავსხედით და ლოდინი დავუწყეთ, რადგან შეპირებული ვიყავით, დავუცდიდით. დავარიგე, ფრთხილად ყოფილიყვნენ.

თავდაპირველად მათი მთავარი მიზანი იყო ველურების გაძარცვა. დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ოქროს ნახავდნენ. მაგრამ ერთმა გარემოებამ, რაც არც ერთ მათგანს არა ჰქონია გათვალისწინებული, შურისძიების ცეცხლით აღაგზნო ყველანი და ქაჯებად გადააქცია.

მოულოდნელად ისინი გადაეყარნენ ხეზე ცალი მკლავით ჩამოკიდებულ, ყელგამოღადრულ და სულმთლად გატიტვლებულ ტომ ჯეფრის. იქვე იდგა ერთი სახლი, სადაც მათ ნახეს თექვსმეტი-ჩვიდმეტი ინდიელი, რომლებიც წინა შეტაკებაშიაც მონაწილეობდნენ; მათგან ორი-სამი ჩვენი ტყვიით იყო დაჭრილი. არ ეძინათ - ისხდნენ და ლაპა-

რაკობდნენ.

უბედური, დასახიჩრებული ამხანაგის ნახვაზე ჩვენი მეზღვაურები გაცოფდნენ და შეჰფიცეს, რომ შურს იძიებდნენ. ადგნენ და დენთით გააჩინეს ცეცხლი. თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ ოთხ-ხუთ ადგილას ავარდა ქალაქში ალი.

მანამ ისინი ამ ყოფაში იყვნენ, უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მოუსვენრად ვგრძნობდი თავს. განსაკუთრებით მაშინ დამიმძიმდა გული, როცა ცეცხლის ალში გახვეული ქალაქი დავინახე. გემზე დარჩენილმა მეზღვაურებმა ჩემი ძმისწულიც გამოაღვიძეს, რომელიც ცაში ავარდნილი ცეცხლის დანახვაზე საშინლად შეწუხდა, არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს. ბოლოს აარჩია ცამეტი კაცი, ნავში ჩასხა, თვითონაც შიგ ჩაჯდა და ნაპირისკენ გამოსწია.

სახტად დარჩა, როცა ნაპირთან ახლოს ნავში დაგვინახა მხოლოდ მე, სავაჭრო წარმომადგენელი და ორი მეზღვაური. აღარ მოუთმინა გულმა და გამოაცხადა: ჯანდაბას, რაც მომივა, მომივიდეს, უნდა წავიდე და ჩემს მეზღვაურებს მივეშველო.

ბევრი ვუშალე, მერე შევთავაზე ისევ მე და ეს ორი მეზღვაური წავალთ, თუ მოვახერხეთ, შორიდან დავათვალიერებთ, რა მოხდა, და შეგატყობინებთ-მეთქი, მაგრამ ჩემს ძმისწულთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო.

რალას ვიზამდი, ხომ არ ვუღალატებდი. მოკლედ, კაპიტანმა ორი მეზღვაური გაგზავნა ნავით და დამატებით თორმეტი კაცი გამოითხოვა გემიდან: ექვსი ჩვენ გამოგვყვებოდა, ექვსი კი იქვე უნდა დარჩენილიყო ნავების სადარაჯოდ. როგორც იქნა, მივადექით ქალაქს, თუმცა ისე მოსდებოდა ცეცხლი ყველაფერს, რომ ქუჩების გარჩევა აღარ შეიძლებოდა.

პირველად წავაწყდით ქოხისა თუ სახლის ნანგრევებს - უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, - ნაცარს, რადგან სახლი მთლიანად ჩაფერფლილიყო. ჩვენ წინაშე ბარბაროსული შურისძიებისა და გაცოფების ისეთი უმაგალითო სურათი გადაიშალა, რომელიც საერთოდ სცილდება ადამიანურ ბუნებას და ამიტომ ვერც წარმოგვედგინა, რომ ეს ჩვენი ხალხის ნამოქმედარი იქნებოდა. მაგრამ ჯერ სადა ხარ! გამძვინვარებული ცეცხლი თანდათან წინ მიიწევდა და ყვირილიც ცეცხლთან ერთად სულ ახალი და ახალი სახლიდან მოისმოდა. ისე რომ, მთლად ავირიეთ. ცოტათი წინ წავიწიეთ და, ჩვენდა გასაკვირად, და-

ვინახეთ სამი შიშველი ქალი, რომლებიც კი არ მოდიოდნენ - მოქროდნენ ჩვენსკენ, თითქოს ფრთები გამოსხმიათო. თან კი შემადრწუნებლად გაჰვიოდნენ. იმათ უკან გამოჩნდა თექვსმეტი-ჩვიდმეტი ასევე შეშინებულ-შეძრწუნებული ადგილობრივი მკვიდრი მამაკაცი, რომელთაც სამი ჩვენი ინგლისელი ყასაბი მოსდევდა, მაგრამ რაკი ვერ წამოეწივნენ, თოფი დაუშინეს და ერთ-ერთი მოკლული ჩვენ თვალწინ დავარდა.

ველურებმა რომ დაგვინახეს, ჩვენც მტრად მიგვიდეს, იფიქრეს, ეს არის ერთიანად უნდა ამოგვწყვიტონო, და გულგამგმირავი ღრიალი მორთეს, განსაკუთრებით ქალებმა.

გული დამეწურა, ძარღვებში სისხლი გამეყინა ამის დანახვამ. დარწმუნებული ვარ, უცებ რომ მოახლოებულიყო ის სამი ინგლისელი მღევარი, იქვე მოვაკვლევიანებდი ჩვენს ხალხს. როგორც იქნა, მივახვედრეთ იმ უბედურ დამფრთხალ დევნილებს, რომ მათთვის ვნების მიყენებას არ ვაპირებდით. მაშინვე მოგვცვივდნენ, მუხლებზე დაეცნენ, ხელები აღაპყრეს და საცოდავად შეგვემუდარნენ, დაგვიხსენითო.

სული მიმდიოდა, ისე მიხდოდა გამეგო, როგორ მოხდა ყველაფერი ეს, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გამაგებინეს და მხოლოდ ნიშნებით მივხვდი, რომ ზოგმა მათგანმა თვითონვე არ იცოდა, რა მოხდა. ისე შემადრწუნა ჩვენი ხალხის ამ აღმაშფოთებელმა მოქმედებამ, რომ ერთ ადგილას ვეღარ მოვისვენე, ისევ ჩვენებთან დავბრუნდი და გადაწყვიტე, არაფერს შევპუებოდი, რაც უნდა მომსვლოდა, შევჭრილიყავი ცეცხლმოდებულ ქალაქში და ყველაფრისათვის ბოლო მომელო. მივბრუნდი თუ არა ჩვენებთან, ჩემი გადაწყვეტილება გავუზიარე და ვუბრძანე გამომყოლოდნენ.

უცებ სისხლსა და მტვერში ამოგანგლული ოთხი მეზღვაური და ბოცმანი გამოჩნდნენ. თითქოს ვერ გაძლნენ ამ ხოცვა-ჟლეტით და ამოსაწყვეტად ახლა სხვებს ეძებდნენ. ჩვენმა მხლებელმა მეზღვაურებმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ყვირილი დაუწყეს და ძლივს გააგონეს.

დაგვინახა თუ არა ბოცმანმა, სიხარულით მტერზე გამარჯვების ყიჟინა დასცა, ეგონა, მაშველი ძალა შემემატაო. როგორც იქნა, გავაჩუმე და ვუყვირე:

- გულქვა ძაღლო! რას ჩადი! კიდევ თუ ვინმეს გაუბედავს ამათთვის

ხელის ხლება, მაშინვე გავათავებ. თუ თავი არ მოგძულეხვიათ, ახლავე ხელები გააჩერეთ და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალო!

- რათა, სერ! - მიპასუხა მან, - იცით, რას გვავალებთ? ან ის მაინც თუ იცით, რა ჩაიდინეს? ჩვენ ასეთი მოქმედების მიზეზს თუ ეძებთ, ერთი აქეთ მობრძანდით.

თქვა ესა და მაჩვენა ხეზე დაკიდებული, ყელგამოღადრული ყმაწვილი.

უნდა გამოგიტყდეთ, ამ სანახაობამ მეც გამაცეცხლა და სხვა დროს ალბათ ვერც შევიკავებდი თავს, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, რომ იმათ ისედაც შორს შეტოპეს.

მაგრამ ახლა ახალი სადავიდარაბო გამიჩნდა: ჩვენი მხლებელი მეზღვაურების შეკავებაც ისეთივე ძნელი გახდა, როგორც იმ დანარჩენებისა. ეს კიდევ არაფერი, ჩემი ძმისწულიც მიემხრო და მათივე გასაგონად განმიცხადა: - იმის შიშილა მაქვს, რომ ჩვენებს არ მოერიონ, ერთიც არ უნდა დარჩეს ცოცხალი, რადგან ასე საშინლად შეიწირეს საბრალლო კაცი. როგორც ნამდვილ მკვლელებს, ისე უნდა მოვექეციოთ.

მართლაც, რვა მეზღვაური ბოცმანისა და მისი ამფსონების მხარეს გადავიდა და მაშინვე გაემართნენ თავიანთი სისხლიანი საქმის დასამთავრებლად. რალა მექნა, დავინახე, რომ ვერაფერს გავხდებოდი და უკანვე გამოვბრუნდი დაღვრემილი და გულდამძიმებული.

სავაჭრო რწმუნებულს და კიდევ ორ კაცს გარდა, ველარავინ დავიყოლიე, თან გამომყოლოდა. ზღვის სანაპიროს რომ მივაღდექი, შევნიშნე - ცეცხლი თითქმის ქრებოდა, ხმაურიც მინელებულიყო. მაგრამ გემზე რომ ავედი, არც კი გასულა ნახევარი საათი და კვლავ გაისმა სროლა - ჩვენები ისროდნენ. ძალიან გაბრაზებული ვიყავი ჩემს ძმისწულზე. აბა, რა მისი საქმე იყო ამ ჩხუბში ჩარევა - გემი ებარა და თავის გზას ადგა, მან კი, იმის ნაცვლად, რომ გაშმაგებისაგან დაბრმავებული თავისი ხალხი დაეშოშმინებინა, პირიქით, უფრო შეაგულიანა ამ სისხლიანი და წყეული საქმისათვის.

ასე იყო თუ ისე, მეორე დღეს იალქნები გავშალეთ და გზას გავუღდექით. როგორ სამართლიანადაც უნდა ჩაეთვალათ ჩვენებს თავიანთი მოქმედება, მე მაინც არ ვეთანხმებოდი და ვეუბნებოდი, რომ ღმერთი გზაში დაგვსჯიდა ამისთვის.

მართალია, პირველად მათ მოკლეს ტომ ჯეფრი, მაგრამ ჯეფრი თვითონვე იყო ჩხუბის მიზები და დამნაშავე, მან დაარღვია ზავი და შეურაცხყო, თუ ძალა იხმარა ახალგაზრდა ქალზე, რომელიც ზავის იმედით მათთან მივიდა და მიენდო.

*

გები ავიღეთ სპარსეთის უბისკენ, იქიდან კი კორომანდელის სანაპიროსკენ უნდა წავსულიყავით იმ ვარაუდით, რომ მხოლოდ სურატში შეეჩერდებოდით, მაგრამ სავაჭრო წარმომადგენლის მთავარი მიზანი მაინც ბენგალის უბეში მისვლა იყო.

პირველი უბედურება სპარსეთის უბეში შეგვემთხვა, სადაც ხუთი ჩვენი მეზღვაური, რომელთაც არაბეთის ნაპირზე გადასვლა გაბედეს, არაბებმა შეიპყრეს და არ ვიცით - დახოცეს თუ მონებად წაასხეს. დანარჩენებმა, ვინც მათთან ერთად ისხდნენ ნავში, ვერ გაბედეს მიშველება და ნავის გამობრუნებაც ძლივს მოასწრეს. მე კვლავ შევარცხვინე ჩემი მეზღვაურები წარსული მოქმედებისათვის და ვუთხარი, რომ ეს იყო ზეცის სამართლიანი შურისძიება.

მაგრამ ჩემმა გამუდმებულმა შეგონებამ იმაზე უფრო ცუდი შედეგი გამოიღო, ვიდრე მოველოდი. ერთ დღეს ბოცმანი, რომელიც ამ საქმის მოთავე იყო, ჯიქურ მომვარდა და მომახალა: რა ამბავია, რომ აღარ გაათავეთ ამაზე ლაპარაკი? უსამართლოდ მაინც არა სჯიდეთ! მოსდგომიხართ და ლანძღავთ ხალხს, განსაკუთრებით კი მე. ბოლოს და ბოლოს, მგზავრი ხართ და მეტი არაფერი, გემზე მბრძანებლობა თქვენთვის არავის მოუნდია, არც მოგზაურობის საქმეები გეკითხებათ, ვალდებული არა ვართ, თქვენი ტუქსვა ავიტანოთ. ჩვენ რა ვიცით, გულში რა გიღვეთ, იქნებ რაიმე ცუდს გვიპირებთ, ინგლისს რომ დაზბრუნდებითო.

მოთმინებით ვუსმენდი, სანამ იგი დაამთავრებდა, მერე კი ვუპასუხე: მართალია, მთელი ამ ხნის განმავლობაში აღშფოთებული ვიყავი ამ ხოცვა-ჟლეტვის გამო, რაც თქვენ მადაგასკარში მოაწყვეთ, ჩემს აღშფოთებას თავისუფლად გამოვთქვამდი კიდევ, როცა შემთხვევა მომეცემოდა, მაგრამ თქვენ სხვებზე მეტად არ მილანძღიხართ. გემზე მბრძანებელი არა ხართო, რომ მეუბნებით, - ეგ მართალია, არც მიცდია ასეთი რამ, მე უბრალოდ, ნება მივეცი თავს ისეთ

საკითხზე მელაპარაკა, რაც ყველას შეგვეხებოდა; ხოლო მოგზაურობის საქმეები მეკითხება თუ არა - ეგ თქვენი საქმე არ არის, რადგან გემში მეც მიდევს მნიშვნელოვანი წილი და უფლება მაქვს ამაზე მეტიც ვილაპარაკო, ვალდებული არა ვარ, ანგარიშები თქვენ ჩაგაბაროთ, ან სხვა ვინმეს.

ამას ვეუბნებოდი და თანდათან ვცხარობდი.

ბოცმანმა ველარაფერი მიპასუხა და მეგონა, ეს არის, ამაზე მეტად კრინტს აღარ დაძრავს-მეთქი. ამ დროს ჩვენ ბანგალიის უბეში ვიდექით, რეიდზე. გადავწყვიტე, ნავით ნაპირზე გავსულიყავი: თან იქაურობას დავათვალიერებდი და თან გულს გადავაცოლებდი. სავაჭრო რწმუნებულებს თან გავიცოლე.

სალამო ხანს, ის იყო გემზე დაბრუნებას ვაპირებდით, რომ ერთი ჩვენი მეზღვაური მოვიდა და განმიცხადა, ტყუილად ნულარ შეიწუხებთ თავს ნავში ჩაბრძანებით, რადგან ნაბრძანები გვაქვს გემზე აღარ მიცევანოთო.

ყველა მიხვდა, როგორ სახტად დავრჩებოდი ამ შეურაცხმყოფელი ცნობის გამო. მეზღვაურს ვკითხე, ვინ გიბრძანა, ეს ჩემთვის გეცნობებიანა-მეთქი.

მაშინვე წავედი და სავაჭრო რწმუნებული მოვნახე, ვუამბე რაც მოხდა და თან დავძინე, რომ გემზე ამბოხება მომხდარა - ამას წინასწარ ვგრძნობდი. ვთხოვე, დაუყოვნებლივ მისულიყო გემზე და კაპიტანისათვის ეცნობებინა ყველაფერი.

მაგრამ ეს სრულებით ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან გემზე უკვე ყველაფერი გადაწყვეტილიყო. როგორც კი დამინახეს ნავით გამგზავრებული, ბოცმანი, თოფჩა, დურგალი და სხვა უფრო დაბალი თანამდებობის მოხელენი კაპიტანთან მივიდნენ მოსალაპარაკებლად. ბოცმანმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა და გაიმეორა ყველაფერი, რაც ადრე მე მითხრა.

მერე განუცხადა, რაკი ასე მშვიდობიანად წავიდა ნაპირზე, ჩვენ აღარ გვინდა ძალა ვიხმაროთ; თავისით რომ არ წასულიყო, მაშინ ვაიძულებდით წასვლას... რაკი თქვენი დაქირავებულები ვართ და გვინდა კიდევ ერთგულად გემსახუროთ, საჭიროდ მიგვანჩნია გაგიცხადოთ, თუ იგი არ დატოვებს გემს ან თქვენ არ დაატოვებინებთ, - მაშინ ჩვენ თავს ვანებებთ თქვენს გემზე მუშაობას და მივდივართო.

ჩემი ძმისწული ყოჩალი ბიჭი იყო, ამასთან, გამჭრიახი გონებისა. მართალია, ერთბაშად გაშეშდა, ეს რომ მოისმინა, ამაში თქვენ თვითონვე დამერწმუნებით, მაგრამ მაინც მშვიდად უპასუხა: დამაცადეთ, კარგად ავწონ-დავწონო ყველაფერი. სანამ თვითონ არ ვნახავ ბიძაჩემს, გადაჭრით არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო. მერე დაუსაბუთა, რომ მათი გადაწყვეტილება არაგონივრული და უსამართლო იყო, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა: დაიფიცეს - თუ ის გემზე კიდევ ამოგიშვია, ჩვენ ყველანი ნაპირზე გადავალთო.

ჩემმა ძმისწულმა რაკი ასე ვერაფერი გააწყო, ადგა და მკვახედ დაუწყო ლაპარაკი, განუცხადა, რომ მეც მნიშვნელოვანი წილი მედო გემში და მას კანონის ძალით უფლება არა ჰქონდა, ჩემივე საკუთარი სახლიდან გავეგდე; თქვენ როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, მე კი ნაპირზე გავალ და ბიძას მოველაპარაკებო.

ცოტა ხანში ჩემი ძმისწული მოვიდა მოსალაპარაკებლად. ძალიან მეამა მისი ნახვა, რადგან მეშინოდა, არ შეიპყრონ და გემი არ გაიტაცონ-მეთქი. მაგრამ მაღლობა ღმერთს, ასე შორს არ შეუტოპავთ.

როცა ძმისწულმა შემატყობინა, როგორ დაიფიცეს, რომ ყველა, როგორც ერთი, გემს დატოვებდა, თუკი კვლავ მათთან დავბრუნდებოდი, მე ვუთხარი, შენ ნურა გეფიქრება რა, მართლაც დავრჩები-მეთქი. მხოლოდ ვთხოვე, ჩემი ნივთები გამოეგზავნა ნაპირზე და ცოტაოდენი ფულიც დაეტოვებინა. მე კი როგორმე გავიგნებდი გზას ინგლისისაკენ.

ჩემი ძმისწულისათვის მეტად მძიმე იყო ეს, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. დაბრუნდა გემზე და მეზღვაურები დააშოშმინა - ბიძაჩემი თქვენს მოთხოვნას დათანხმდაო.

ახლა მე ვიყავი სავსებით უთვისტომო, გადაკარგული სადღაც ქვეყნის დასალიერში. შემეძლო გავმგზავრებულიყავი ხმელეთით სურათისაკენ, დიდი მოგოლის ქვეყანაზე გადავლით; შემდეგ ზღვით სპარსეთის უბეს გადავჭრიდი და ბასრას მივადგებოდი, იქიდან კი ქარაგნით არაბეთის უდაბნოზე გავლით ალექსოსა და ალექსანდრიაში მივიდოდი, საიდანაც კვლავ ზღვით მივადგებოდი იტალიას, მერე ისევ ხმელეთით საფრანგეთში... ერთი სიტყვით, ეს გზა ერთად აღებული, თუ მეტს არა, დედამიწის დიამეტრს უდრის.

ჩემმა ძმისწულმა დამიტოვა ორი მსახური, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი თანამგზავრი და ერთიც მსახური. პირველი მათგანი

თანაშემწე იყო ჩვენი გემის მნესი, მეორე კი მისი მსახური. მნეს ჩემმა ძმისწულმა სთხოვა თავისი თანაშემწე ჩემთვის დაეთმო. დავიქირავე მშვენიერი ბინა ერთი ინგლისელი ქალის სახლში, სადაც ჩემ გარდავაჭრები ბინადრობდნენ - რამდენიმე ფრანგი, ორი იტალიელი თუ ებრაელი და ერთიც ინგლისელი.

მეზობლებმა საკმაოდ კარგად მიმიღეს. მთელი ცხრა თვე გავატარე იმის ფიქრში, როგორ მოვწყობილიყავი. თან მქონდა ძვირფასი ინგლისური საქონელი და კარგა ბლომად ფული.

საქონელი მოგებით გავასალე და ვიყიდე რამდენიმე ძალიან ძვირფასი ბრილიანტი. ჩემთვის ასე სჯობდა, რადგან სადაც უნდა წავსულიყავი, შემეძლო, მთელი ჩემი ავლადიდება თან მქონოდა.

*

გამოხდა ხანი. ამასობაში ინგლისში დაბრუნების ერთგვარი გეგმა დავაწყეთ, მაგრამ მაინცდამაინც არც ერთი არ მომწონდა. ერთ დილას ჩემთან მოვიდა ინგლისელი ვაჭარი, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა და რომელსაც ამ ხნის განმავლობაში დავუახლოვდი, და გემის ყიდვა და ჩინეთში სავაჭროდ წასვლა შემომთავაზა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. მართალიამ ვაჭრობა არასოდეს ყოფილა ჩემი სტიქია, ხეტიალი კი - იყო; თუ ვინმე შემომთავაზებდა ისეთ ქვეყანაში გამგზავრებას, რომელიც ადრე არ მენახა, უსათუოდ დავთანხმდებოდი.

კარგა ხანი გავიდა, სანამ მოსაწონ გემს ვიშოვიდი. მერე ინგლისელი მეზღვაურების დაქირავებაც გაჭირდა. ბოლოს, როგორც იქნა, ავიყვანეთ შტურმანი, ბოცმანი და თოფჩა - ინგლისელები; ჰოლანდიელი დურგალი და სამი მეზღვაური. გადავწყვიტეთ, რომ ამ ხალხით ილლას გავიდოდით, რადგან დამხმარე ძალად საკმაოდ ბევრი ინდიელი მეზღვაური გვყავდა.

პირველად ჩვენ მივადექით აჩინს კუნძულ სუმატრაზე, იქიდან კი სიამს გავემგზავრეთ და ჩვენი საქონლის ერთი ნაწილი ოპიუმსა და ბრინჯის არაყში გადავცვალეთ. ოპიუმი, საერთოდ, კარგ ფასში გადიოდა ჩინეთში. ერთი სიტყვით, სურკანიც მოვიარეთ და რვა თვის მოგზაურობის შემდეგ ბენგალიაში დავბრუნდით. ამ მოგზაურობით ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

მშვენივრად ვიმოგზაურეთ და პირველადვე დიდძალი ფული გავაკეთე. ამასთან, ჩინებულად ვისწავლე ფულის მოგების ხერხები. ოცი წლით უფრო ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ცთუნება დამძლევდა და იქვე დავრჩებოდი სავაჭროდ, სხვა შემოსავლის წყაროზე აღარც ვიფიქრებდი. მაგრამ, აბა, რა ძალა უნდა ჰქონოდა ასეთ ცთუნებას სამოც წელს გადაბიჯებული ვაცისთვის, რომელსაც საკმაო სიმდიდრე ჰქონდა და რომელიც დაუდგრომელი ხასიათის გამო გავიდა ბღვაში.

ჩემს თანამგზავრს კი სავსებით განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. ოღონდ ფული მოეგო და შეეძლო ფოსტის ცხენით ეჩანჩალა წინ და უკან, ერთი და იმავე გზით, ერთსა და იმავე სასტუმროში შეჩერებულიყო; მე კი გიჟ მოხეტიალე ჭაბუკსა ვგავდი, რომელსაც არაფრად ეპიტნავენა ერთი და იგივე ადგილი ორჯერ ნახოს. მაგრამ ეს კიდეც არაფერი: ერთი სული მქონდა, სამშობლოს მივახლოებოდი, ამავე დროს კი ვერ ვაძამეწყვიტა, რა გზით წავსულიყავი. ამ ყოყმანში რომ ვიყავი, ჩემმა მეგობარმა, რომელიც მუდამ რაღაც ახალ საქმეს ეძებდა, შემომთავაზა მეორედ გამგზავრება მოლუკის კუნძულებისაკენ, სადაც მიხაკით უნდა დაგვეტვირთა გემი და წამოგვეღო.

*

მეც დავთანხმდი, რადგან სახლში უსაქმოდ ჯდომას, რაც ჩემთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი უბედურება იყო, წასვლა ვამჯობინე.

მგზავრობა მეტად ხელსაყრელი გამოდგა.

ამის შემდეგ გამოხდა მცირე ხანი და ნაპირს მოადგა ბატავიიდან მომავალი ჰოლანდიური გემი, რომელიც, ასე, ორას ტონამდე ტვირთს იტევდა. მეზღვაურები ერთბაშად ავად გამხდარიყვნენ, თუ იგონებდნენ ავადმყოფობას, და კაპიტანს მუშა ხალხი აღარ ჰყავდა, რომ ბღვაში გასულიყო. ამიტომ ღუბა ბენგალიის უბეში ჩაუშვა და საჯაროდ გამოაცხადა, გემსა ვყიდო. ეტყობოდა უკვე საკმაოდ დაეგროვებინა ფული, ან სხვა რამ მიზნების გამო, ევროპაში დაბრუნება უნდოდა. ეს ცნობა ჩემს ახალ ამხანაგებზე ადრე მე გავიგე და გულში ამოვიჭერი, უსათუოდ მეყიდა ის გემი. მაშინვე მივედი ამხანაგთან და ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი.

იგი ერთხანს დაფიქრდა, - საზოგადოდ არ იყო სულწასული ვაცი, -

კარგად აწონ-დაწონა ყველაფერი და მითხრა:

- ცოტა არ იყოს, დიდია ჩვენთვის, მაგრამ მაინც თანახმა ვარ, ვიყი-
დოთ.

მართლაც ვიყიდეთ ეს გემი. გადავწყვიტეთ, მოვლაპარაკებოდით მეზღვაურებს და, თუ დავიყოლიებდით, გემზე დაგვეტოვებინა, მაგრამ ერთბაშად გაქრნენ ყველანი, ხელფასი არ მიუღიათ, მხოლოდ თავი-
ანთი წილი მიიღეს გემის ფულიდან. მივიკითხ-მოვიკითხეთ, მაგრამ ერთიც ვეღარ ვნახეთ. მერე გავიგე, თურმე ხმელეთით გაუდგნენ გზას დიდი მოგოლის ქალაქისაკენ, საიდანაც სურათს ჩავიდოდნენ და იქი-
დან ზღვით გასწევდნენ ესპანეთის უბისაკენ.

ძალიან შევწუხდი, ეს რომ გავიგე. ასეთი მოგზაურობა სწორედ სა-
ჩემო იყო. ახალ ქვეყნებსაც მოვივლიდი და სამშობლოსაც მივუახ-
ლოვდებოდი. როცა გავიგე, რა ვაუბატონებიც ბრძანებულან, ღმერთს
მადლობა შევწირე, რომ მათთან ერთად მგზავრობას ამარიდა.

გამოირკვა, რომ იმათი ვითომ კაპიტანი, სინამდვილეში გემის გამ-
გებელი კი არა, უბრალო თოფჩა ყოფილიყო. თურმე სავაჭროდ მიდი-
ოდნენ, მაგრამ მალაის სანაპიროზე თავს დაესხნენ ადგილობრივი
მცხოვრებნი და კაპიტანი და სამი მეზღვაური მოკლეს. კაპიტანი რომ
მოკლული ნახეს, მეზღვაურებმა გადაწყვიტეს, გემი გაეტაცნათ და
გაქცეულიყვნენ, ასეც მოიქცნენ და ბენგალიას მოადგნენ, ხოლო კა-
პიტნის თანაშემწე და ხუთი სხვა მეზღვაური ნაპირზე გადასხეს უფრო
ადრე.

ექვსი წელი ვმოგზაურობდი. დავდიოდი წინ და უკან, ნავსადგური-
დან ნავსადგურში, ვვაჭრობდი და დიდ მოგებასაც ვნახულობდი. უკა-
ნასკნელ წელს ჩემს ამხანაგთან ერთად გადავწყვიტე იმავე გემით ჩი-
ნეთში გავმგზავრებულიყავი, მაგრამ პირველად სიამში შევიარეთ
ბრინჯის შესასყიდად.

ამ მგზავრობისას მოგვისწრო ძლიერმა პირქარმა და კარგა ხანს
მალაკის ვიწრო უბეში, კუნძულებს შორის გვაბორიალა. ვერც მოვას-
წართ ამ ძნელად სავალი ადგილიდან გასვლა, რომ გემი გაიბზარა
და წყალმა იწყო შიგ დენა. რამდენს არ ვეცადეთ, მაგრამ ვერაფრით
ვიპოვეთ ბზარი. იძულებული გავხდით, თავი ნავსადგურისთვის შეგვე-
ფარებინა.

ჩემი ამხანაგი უკეთ იცნობდა იმ მხარეს და ამიტომ კაპიტანს უბ-

რძანა, გემი მდინარე კამბოდიას შესართავში შეეყვანა. მდინარე კამბოდია ჩრდილოეთით ეკვრის სიამამდე გადაჭიმულ დიდ ყურესა თუ უბეს.

სანამ იქ ვიდექით, ხშირად გადავდიოდით ნაპირზე სურსათისათვის. ერთ დღეს, ნაპირზე ყოფნისას, ჩემთან მოვიდა ვიღაც ინგლისელი, რომელიც, ეტყობა, თოფჩის თანაშემწედ მუშაობდა ერთ-ერთ ინგლისურ გემზე. ის გემიც მდინარეში იდგა ახლა ქალაქ კამბოდიას მახლობლად, - რამ მიიყვანა იქ, არ ვიცი. მოვიდა ის კაცი და ინგლისურად დამიწყო ლაპარაკი.

- ახლავე თუ არ გახვედით ზღვაში, მოქცევასთან ერთად თავს დაგესხმით ხალხით სავსე ხუთი დიდი ბარქაზი. თუ ხელში ჩაგიგდეს, მშვიდობით. მაშინვე ჩამოგახრჩობენ, როგორც მეკობრეებს, ხოლო საქმის დაწვრილებით გამორკვევას მერე შეუდგებიან...

- ვერ მივმხვდარვარ, ჩემთან რა ესაქმებათ, მაგრამ რაკი თქვენ მათრახილებთ, დროის დაკარგვა არ შეიძლებაო, რა გაეწყობა, ახლავე გემზე ავალ და დაუყოვნებლივ გავალთ ზღვაში. მაგრამ, სერ, ისე უნდა გაგშორდეთ, რომ ვერაფერი გავიგო? ნუთუ ნათელს არ მოჭფენთ თქვენს სიტყვებს?! - ვკითხე მე.

- მხოლოდ ნაწილს გეტყვით ამ ამბისას. თან ერთი ჰოლანდიელი მეზღვაური მახლავს და იმედი მაქვს, დავიყოლიებ, დანარჩენი იმან გიამბოთ. მაგრამ მეშინია, რომ ველარ მოვასწრებ. პირველი ნაწილი ამბისა ალბათ კარგად მოგეხსენებათ: ამ გემით თქვენ იყავით სუმატრაში, სადაც მალაიელებმა კაპიტანი მოგიკლეს, მასთან ერთად მოკლეს აგრეთვე სამი მეზღვაური; თქვენ კი, ან სხვებმა, ვინც მაშინ იქ იყვნენ, გემი გაიტაცეთ და მას შემდეგ მეკობრეები გახდით. აი, ეს გახლავთ ამ ამბის თავი და ბოლო. ახლა დამერწმუნეთ, ყველას შეგიპყრობენ, როგორც მეკობრეებს და ისე დაგსჯიან. თქვენ თვითონვე მოგეხსენებათ - მეკობრეები თუ იგდეს ხელთ, სავაჭრო გემები კანონებს აღარ დაგიდევენ.

- ახლა კი სავსებით გასაგებია თქვენი სიტყვები, - ვუთხარი მე, - და მადლობასაც მოგახსენებთ. მართალი მოგახსენოთ, არ ვიცოდი, ასეთი საქმის ჩამდენი თუ ვიყავი და დარწმუნებულიცა ვარ, რომ სრულიად პატიოსანი და კანონიერი გზით დავეუფლე ამ გემს, მაგრამ, რაკი ასეთ საქმეს გვიმზადებენ, რაღა გაეწყობა, მეც უნდა მოვემზადო თავდასაცავად.

- არა, სერ, ყველაზე კარგი თავდაცვა ის იქნება, საშიშროებას გაცალკოთ, - მითხრა მან, - თუკი გიღირთ საკუთარი თავი, ან თქვენი მეზღვაურების სიცოცხლე, ნუღარ აყოვნებთ, ახლავე ზღვაში გადით, სანამ მოქცევა განახლებულა. ისინი ზღვის ხელახალ მოქცევას ელოდებიან. ასე რომ, მოასწრებთ კიდევ გაშლილ ზღვაში გასვლას. ზღვაში დადევნებას კი ისინი ვერ გაბედავენ, მით უმეტეს ქარიც თუ იქნა, რადგან ნავებით მოგდევნენ.

- მადლობელი ვარ. არ ვიცი, რითი უნდა გადაგიხადოთ ასეთი დიდი სიკეთე!

- აბა, რა უნდა გადამიხადოთ, სერ, როცა დარწმუნებული არა ხართ ჩემი სიტყვების სიმართლეში. მაგრამ, აი, რას გეტყვით: მთელი ცხრა-მეტი თვის ხელფასი მაქვს მისაღები გემზე, რომელსაც მე ინგლისიდან გამოვყევი, მომმართა მან, - ამ ჰოლანდიელს კი შვიდი თვის ხელფასი ერგება; ამ ფულს თუ აგვინაზღაურებთ, ჩვენც გამოგყვებით, მეტს არაფერსა გთხოვთ. მაგრამ თუ დარწმუნდებით, რომ მართლაც გადაგარჩინეთ დალუპვას, მაშინ თქვენთვის მოგვინდვია, როგორც გენებოთ.

ამაზე უცოცმანოდ დავეთანხმე და მათივე თანხლებით გემისკენ გავეჩე. გემზე არც კი ვიყავი ასული, რომ ჩემი ამხანაგი შემომეგება და მომახარა - წყლის დენა შევაჩერეთ, აღარ ჟონავსო!

- მართლა? - შევყვირე მე, - მადლობა უფალს! მაშ, ახლა საჩქაროდ ღუზა ამოვიღოთ.

- ღუზა ამოვიღოთ? - გაიკვირვა ჩემმა ამხანაგმა, - მერედა რათა, რა მოხდა?

- ნუღარაფერს მეკითხები, ყველამ თავის საქმეს მიაშუროს და წუთსაც ნუ დაგვარგავთ!

გაოცდა ჩემი ამხანაგი, მაგრამ ხელად მიბრუნდა და კაპიტანს უბრძანა მაშინვე ამოეღოთ ღუზა. ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო ზღვის სრული მოქცევა, მაგრამ ნაპირიდან მქროლი ნელი ქარის დახმარებით მაინც სასწრაფოდ დავიძარით. მერე ჩემი ამხანაგი კაიუტაში შევიყვანე და რაც ვიცოდი, ყველაფერი ვუთხარი. იმ მეზღვაურებსა მოვუხმე და დანარჩენი ამბავიც ვაამბობინე.

ამასობაში კარგა ხანი გავიდა. უცებ ერთი ჩვენი მეზღვაური შემოვარდა კაიუტაში და კაპიტნის დანაბარევი გადმოგვცა - მოგვდევნო.

- მოგვდევენ? - ვკითხე მე, - რით?

- ხუთი ბარქაბითა და ნავით, - მიპასუხა ყმაწვილმა, - ნავები სულ ხალხითაა გაჭედილი.

- მაშ ყველაფერი მართალი ყოფილა! - წამოვიძახე მე.

მაშინვე მოვუხმე მეზღვაურებს და განვუმარტე - იმათ მეკობრეები ვგონივართ და განზრახული აქვთ, შეგვიპყრონ-მეთქი. თან ვკითხე: „რას იზამთ, მხარში თუ ამოგვიდგებით და ერთმანეთს თუ გაიტანთ?“ მათ მგზნებარედ მიპასუხეს: თქვენთან ვიცოცხლებთ და თქვენთან ერთად მოვკვდებითო. მერე კაპიტანს დავეკითხე, როგორ აჯობებდა მათთან ბრძოლის წარმართვა, რადგან გადაწყვეტილი მქონდა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლა.

კაპიტანს პასუხი უკვე მზადა ჰქონდა: ჯერ ზარბაზნები დავუშინოთ და ახლოს ნუ მოვუშვებთ, მერე კი, თუ მოგვიახლოვდნენ, თოფები დავახალოთ და გემზე ამოსვლის საშუალებას ნუ მივცემთ; ხოლო, თუ ამანაც არ გაჭრა, ჩვენს კაიუტებში ჩავიკეტოთ, - ალბათ, ისეთი იარაღები არ ექნებათ თან, რომ კარების შემომტვრევა მოახერხონო.

ამასობაში თოფჩამ ორი ზარბაზანი გამოატანინა და კიჩოზე და ქიმზე დაადგმევინა. ზარბაზნები გაატენინა თოფის ტყვიებით, რკინის პატარა ნატეხებით და ყველაფრით, რაც ხელში მოხვდათ. ერთი სიტყვით, საბრძოლველად მოვემზადეთ. მაგრამ ამასობაში მომძლავრებული ქარის წყალობით, ჩვენ სულ უფრო და უფრო ღრმად შევდიოდით ზღვაში და მოშორებით ვხედავდით ხუთ დიდ ბარქაზს, რომელთაც იალქნები გაეშალათ და მოგვდევენ.

ორი მათგანი მოგვიახლოვდა კიდევ. მაშინ ჰაერში გავისროლეთ ზარბაზანი და თეთრი ბაირალი ავაფრიალეთ, იმის ნიშნად, რომ მათთან ლაპარაკი გვსურდა.

ისინი კვლავ გააფთრებით მოიწევდნენ. თოფის მანძილზე რომ მოგვიახლოვდნენ, თეთრი ბაირალი ჩამოვხსენით და წითელი ავაფრიალეთ, თან თოფი დავუშინეთ, რადგან არაფერი გვიპასუხეს. მათ ეს აინუნშიაც არ ჩააგდეს და ისე ახლოს მოგვადგნენ, რომ უკვე სალაპარაკო რქით ხმას მივაწვდენდით. გავძახეთ, თუ თავი არ მოგძულებით, დაგვეხსენითო.

არაფერმა არ გაჭრა, ისინი კვლავ მოიწევდნენ, ცდილობდნენ კი-

ჩოდან მოგვდგომოდნენ და ხელჩართული ბრძოლა გემართათ. მაშინ ხუთი ზარბაზანი ვესროლეთ. ერთი გასროლა ისე მარჯვე იყო, რომ უკანა ნავს კიჩო მოსწყვიტა. მაგრამ მეორე ნავი მაინც არ გვეშვებოდა. ახლა ის ამოვიღეთ ნიშანში.

ამასობაში უკან დარჩენილი ერთ-ერთი ნავი დაწინაურდა და იმ დაზარალებულს მიეშველა. გავარჩიეთ, როგორ გადასხეს ხალხი. კვლავ გავძახეთ წინა ნავს და ბავი შევთავაზეთ, მოლაპარაკება გვინდაო, დაუწყვირეთ.

პასუხიც არ მოუციათ, პირიქით, ზედ კიჩოზე მოგვადგნენ. მაშინ ჩვენმა თოფჩამ სასწრაფოდ მოამზადა ორი ზარბაზანი და ესროლა, მაგრამ ააცდინა. ნავში მსხდომებმა ყიჟინა დასცეს და ქუდების ქნევას მოჰყვნენ. თოფჩამ სასწრაფოდ გატენა ზარბაზნები და მეორედ დაახალა. ერთი ყუმბარა შუაგულ ნავში გასკდა და ჩვენ აშკარად დავინახეთ, რა უბედურება დატრიალდა.

მაგრამ ეს არაფრად ჩავაგდეთ, გემი შემოვაბრუნეთ და კიდევ სამი ზარბაზანი დავახალეთ, ისე რომ ნავი თითქმის სულ დაიმსხვრა. ამან დიდი არეულობა გამოიწვია მენავეებში.

ვერ ვიტყვი, რა ადგილას მოხვდა ყუმბარა. ეს კია, რომ ნავმა ჩაძირვა დაიწყო და რამდენიმე კაცი უკვე წყალში ფართხალებდა.

ეს რომ დავინახე, მაშინვე მოვამზადე ჩვენი ნავი, რომელიც იქვე, გემბანზე გვექონდა, ჩავსხი შიგ ხალხი და ბრძანება მივეცი, თუ მოახერხებდნენ, რამდენიმე კაცი მაინც გადაერჩინათ დახრჩობას, მერე კი სწრაფადვე დაბრუნებულიყვნენ გემზე, რადგან უკვე ვხედავდით, რომ დანარჩენი ნავები გვიახლოვდებოდნენ.

ჩვენი მეზღვაურები დაემორჩილნენ ჩემს ბრძანებას და ამოიყვანეს სამი კაცი. ამოვიდნენ თუ არა ისინი გემზე, სასწრაფოდ ავშალეთ ყველა იალქანი და კიდევ უფრო ღრმად შევედით ზღვაში. გემიდან დავინახეთ, რომ როცა დანარჩენი სამი ნავი მიადგა პირველს, დევნაზე ხელი აიღეს.

ამრიგად, თავი დავალწიეთ საშიშროებას, რომელიც იმაზე დიდი იყო, ვიდრე წარმომედგინა. თუმცა მიზეზი არ ვიცოდი. ამის შემდეგ გადაწყვიტე, გემი შეგვეცვალა და უფრო აღმოსავლეთისკენ წავსულიყავით, სადაც ევროპულ სავაჭრო გემებს არ გადავეყრებოდით.

კარგა ღრმად რომ შევედით ზღვაში, იმ ორ მეზღვაურს გამოვკითხე, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ჰოლანდიელმა მეზღვაურმა მაშინვე ამიხსნა: ის ვაჟბატონი, ჩვენ რომ გემი მოგვყიდა, როგორც უკვე გითხარით, ქურდი ყოფილა. ხოლო ნამდვილი კაპიტანი გემისა, თავის სამ მეზღვაურთან ერთად, ვერაგულად მოუკლავთ მალაიელებს. თვით ამ ჰოლანდიელმა და კიდევ ოთხმა სხვა მეზღვაურმა ტყეს შეაფარეს თავი. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ, ჰოლანდიელმა რაღაც სასწაულებრივად მოახერხა გაქცევა და ცურვით მიაღგა ერთ ჰოლანდიურ გემს, რომელიც ჩინეთიდან მოდიოდა და ახლა სასმელი წყლის ასაღებად ნაპირს მოახლოებოდა. გემიდან თურმე ნავი ჩაუშვეს ნაპირზე მისადგომად და წყლის მოსამაგრებლად. ჰოლანდიელმა მაინც ვერ გაბედა გამოჩენა და ნაპირზევე ჩაჯდომა ნავში - ღამით კარგა დიდი გზა ცურვით გაიარა და მხოლოდ მერე მიაღგა ნავს.

იქიდან იგი ჩავიდა ბატავიაში, სადაც გატაცებული გემის ორ მეზღვაურს შეხვდა. იმათ მოგზაურობის დროს მიეტოვებინათ გემი და ცალკე წასულიყვნენ. ჰოლანდიელმა სწორედ ამ მეზღვაურებისაგან გაიგო, რომ ბოცმანმა ბენგალიაში გემი ვიღაც მეკობრეებს მიჰყიდა, რომლებიც აქეთ-იქით დათარეშობდნენ და უკვე მოესწროთ კიდევ მდიდრულად დატვირთული ერთი ინგლისური და ორი ჰოლანდიური გემის დარბევა.

ბოლო ნაწილი ამ ამბისა ჩვენ შეგვეხებოდა, თუმცა ყველაფერი მოგონილი იყო. მაგრამ ჩემმა ამხანაგმა სრული სიმართლე თქვა - ხელში რომ ჩავვარდნოდით ასე წინასწარვე ჩვენ წინააღმდეგ განწყობილ ხალხს, სულ ტყუილი იქნებოდა თავის დაცვა ან იმათგან შებრალების მოლოდინი. ამიტომ, ჩემი ამხანაგის აზრით, დაუყოვნებლივ უნდა გავბრუნებულიყავით ბენგალიაში, სადაც შეგვეძლო დაგვეცვა ჩვენი სიმართლე, დაგვემტკიცებინა, სად ვიმყოფებოდით მაშინ, როცა გემი პირველად შემოვიდა ნავსადგურში, ვისგან ვიყიდეთ ის და ასე შემდეგ. გულდამშვიდებული მაინც ვიქნებოდით, რომ ნამდვილი მსაჯულებისაგან სიმართლეს მივიღებდით. იმის შიში აღარ გვქონდა, რომ ჯერ ჩამოვეხრჩვეთ და მერე შესდგომოდნენ ჩვენს გასამართლებას.

ერთი პირობა, თითქოს ჭკუაში დამიჯდა ჩემი ამხანაგის მოსაზრება, მაგრამ, როცა კარგად ავწონ-დავწონე ყველაფერი, დავრწმუნდი, რომ ბენგალიისკენ გაბრუნება თავის გაწირვა იქნებოდა, რადგან მალაის ვიწრო უბეში ვიმყოფებოდით და განგაშს თუ გამოაცხადებდნენ, ყოველი მხრიდან შეეძლოთ გზების მოჭრა - ჰოლანდიურ გემებსაც და ინგლისურსაც. ხოლო როცა შეგვნიშნავდნენ, რომ ჩვენ დევნილები ვიყავით, მაშინვე გავგანადგურებდნენ. ინგლისელ მეზღვაურსაც ვკითხე

რჩევა და ისიც ამავე აზრისა აღმოჩნდა - უსათუოდ შეგვიპყრობენო.

ამ საშიშროებამ ჩემი ამხანაგი დააფრთხო და გემის მთელი შემადგენლობაც. გადავწყვიტეთ, სასწრაფოდ წავსულიყავით ტონკინისაკენ, საიდანაც შემდეგ ჩინეთში გადავიდოდით. იქ ჩვენს პირვანდელ განზრახვას დავუბრუნდებოდით - ვაჭრობას დავიწყებდით, გემსაც, ასე იქნებოდა თუ ისე, როგორმე გავყიდდით და უკან სხვა ხომალდით დავბრუნდებოდით.

ეს იყო ყველაზე კარგი გზა საშიშროებისაგან თავის დასაღწევად. ასე რომ, გემი ავიღეთ ჩრდილო-ჩრდილო-დასავლეთით და გავწიეთ. ორმოცდაათი ლიეთი ავცდით ჩვენს ნამდვილ გზას. ამან, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ჯერ ერთი, ნაპირს რომ საკმაო მანძილით გავშორდით, ამოიჭრა ძლიერი პირქარი და დიდხანს გაგვაჩერა ზღვაში. ამასთან, საგზალი გველოდა, და, რაც უარესია, საშიშროება გვემუქრებოდა - რომელიმე ინგლისური ან ჰოლანდიური გემი, რომელთა ნაგები ჩვენ გვდევენენ, შეიძლებოდა ამავე მიმართულებით წამოსულიყო და ადგილზე ჩვენთვის წაესწრო, ან არადა ჩინეთისაკენ მიმავალ რომელიმე სხვა გემს გააგებინებდნენ ჩვენს ამბავს და ის გემიც ისეთივე გამწარებით გამოგვედევნებოდა.

უნდა გამოვტყდე, ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს და მეგონა, ასეთ საშიშროებაში ჩემს დღეში არ ჩავვარდნილვარ-მეთქი, რადგან, ათასი უბედურება დამტყდომია თავს, მაგრამ ქურდობისათვის დევნილი მაინც არ ვყოფილვარ, არც არაფერი ჩამიდენია ისეთი, რომ უპატიოსნო კაცის, გაიძვერას და მით უმეტეს, ქურდის სახელი დამემსახურებინოს. ახლა კი გავიხლართე ყველაზე საშინელ საქმეში, რისი წარმოდგენაც კი შეიძლებოდა: სრულიად უდანაშაულო ვიყავი და არ შემეძლო ეს დამემტკიცებინა; თუ შემიპყრობდნენ, შეიძლება ყველაზე საშინელ დანაშაულში დაედოთ ბრალი. ამიტომაც გამწარებით ვცდილობდი ხელიდან დავსხლტომოდი მათ.

ასეთი შეწუხებული რომ დამინახა, ჩემმა ამხანაგმა გამხნევება დამიწყო, თუმცა თვითონ პირველად ჩემზე უარესად იყო შემოფოთებული. ჩამომითვალა იმ სანაპიროზე მდებარე რამდენიმე ნავსადგური. ჯერ ტონკინის უბეში შევიდეთ და იქიდან მაკაოში გადავალთო. ეს ქალაქი ერთ დროს პორტუგალიას ეკუთვნოდა და ახლაც ბევრი ევროპული ოჯახი ცხოვრობდა იქა. განსაკუთრებით ხშირად მიდიოდნენ ხოლმე იქით მისიონერი მღვდლები, რათა იქიდან ჩინეთში გადასულიყვნენ.

გადავწყვიტეთ, ჩვენც იქით წავსულიყავით. ბევრი წვალეებისა და

მომქანცველი, ათასნაირად დახლართული გზით ცურვის შემდეგ, ერთ დღესაც ნაპირი დავინახეთ. გადაწყვეტეთ პატარა მდინარეში შევსულიყავით, რომელსაც ჩვენი გემისთვის საკმაო სიღრმე ჰქონდა. იქიდან კი ხმელეთით ან ნავით, მახლობელ ნავსადგურში შევიდოდით და გავიგებდით, რა გემები იდგა იქა.

ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ტონკინის უბეში მეორე დილას ორი ჰოლანდიური გემი შემოვიდა. მესამე გემმა, რომელსაც სულაც არ ჰქონდა აღმართული არც ერთი სახელმწიფო ბაირალი, მაგრამ ჩვენ მაინც დავასკვნით, რომ ჰოლანდიური იყო, სულ ორიოდ ლიეს მანძილზე ჩავვიარა და ჩინეთის ნაპირებისკენ გასწია. ნაშუადღევს კი იმავე მიმართულებით გაიარა ორმა ინგლისურმა ხომალდმა. ჩვენ ვიდექით პატარა მდინარეში და იქიდან ნავით მივდიოდით ხოლმე ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსკენ, საიდანაც ტონკინის დიდი უბე იწყებოდა. სწორედ ასეთი მოგზაურობის დროს აღმოვაჩინეთ, რომ მტრებით ვიყავით გარშემორტყმული. იმ ადგილებში მცხოვრებთ ერთი ჩვეულება ჰქონდათ - როცა რომელიმე გემს უბედურება დაატყდებოდა თავს და ნაპირთან ახლოს დაილუპებოდა, გემის მთელ შემადგენლობას ისინი თავიანთ ტყვეებად მიიჩნევდნენ.

ზემოთაც აღვნიშნე, რომ გემში წყალი ჟონავდა, მაგრამ ვერ მივაგვინით, საიდან. მერე უცებ თავისით შეჩერდა ჟონვა, მაგრამ გემი მაინც არ გვეჩვენა საიმედოდ და გადავწყვეტეთ, სანამ ერთ ადგილას ვიდექით, მეჩეჩზე შეგვეყენებინა, მძიმე ნივთები ამოგვეღო და კარგად გაგვესუფთავებინა ძირი: იქნებ ბზარის აღმოჩენა მოგვეხერხებინა. შევამსუბუქეთ გემი, ბარბაზნები და სხვა ნივთები ერთ მხარეს გადავაწყეთ და ძებნა დავუწყეთ შესაფერ ადგილს, სადაც გემს დავაყენებდით, მაგრამ ასეთი ადგილი ვერ მოვნახეთ.

იქაური მცხოვრებნი მოგვადგნენ და ნაპირიდან ცქერა დაგვიწყეს. მათ ვერ დაინახეს ჩვენი მეზღვაურები, რადგან ერთი ნაწილი გემის ფსკერზე მუშაობდა, ხოლო მეორე ნაწილი მოფარებული იყო, ნავებში ისხდნენ; იფიქრეს, გემი დალუპულა და ნაპირზე გამორიყულაო და, ცოტა ხანში, ათი-თორმეტი დიდი ნავით მოგვიახლოვდნენ.

ჩვენს გემს შემოუარეს ნავებით და მხოლოდ მაშინ დაგვინახეს მუშაობაში გართულები. ერთბაშად შედგნენ და გაშტერებით დაგვიწყეს ყურება. ჩვენ, ცოტა არ იყოს, შევცბით, ვერ მივმხდარიყავით, რა ჰქონდათ განზრახული. მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, უფრო იმედიანად რომ ვყოფილიყავით, ზოგი ჩვენგანი მაშინვე გემში ავგზავნეთ, რათა დაბლა მომუშავეებისათვის თოფები და ტყვია-წამალი გადაეცა,

თუ, ვინიცობაა, საჭირო გახდებოდა. და მართლაც საჭირო გახდა.

თხუთმეტიოდდე წუთის განმავლობაში ისინი თათბირობდნენ. ბოლოს, ეტყობა, დაასკვნეს, რომ გემი ნამდვილად დაღუპულია და მეზღვაურები ახლა ჯახირობენ, თავი გადაირჩინონ თავიანთივე ნივთებით. ამიტომ თავიანთ საკუთრებად ჩაგვთვალეს და პირდაპირ მოადგნენ ჩვენს ხალხს.

დაბლა მომუშავეებს ვუბრძანე, ყველაფერს ხელი უშვით და ახლავე გემზე ამოდით-მეთქი. ნავში მყოფებსაც გაეძახე გვერდზე მოეყენებინათ ნავი და გემის ბანზე ამოსულიყვნენ. ხოლო გემზე ვინც იყვნენ, უკლებლივ ყველანი, ცდილობდნენ, როგორმე გემი გაესწორებინათ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

კოხინხინელები თავიანთი ორი ნავით მოადგნენ ჩვენს ერთ დიდ ნავს და მეზღვაურებს ხელი სტაცეს, ტყვეებად წაყვანა მოუნდომეს.

პირველად ერთ ინგლისელ მეზღვაურს ეცნენ, რომელსაც მუშკეტები ეჭირა ხელში, მაგრამ არც კი უცდია გასროლა, იქვე დადო, ჩასჭიდა ველურს ხელი და თავის ნავში გადაათრია. მერე ყურებში სწვდა და ისე მაგრად მიახეთქა ნავის კიდეს, რომ მაშინვე ხელში ჩააკვდა. ამასობაში იქვე მდგომმა ჰოლანდიელმა მეზღვაურმა დასტაცა თოფს ხელი და ისე მარჯვედ დაატრიალა კონდახი, რომ ხუთი ველური, რომლებიც ნავში ამობობლებას ცდილობდნენ, იქვე დააწვინა.

მაგრამ ხუთი კაცი რას გაუმკლავდებოდა ოცდაათ-ორმოც ველურს, რომელთაც ანგარიში ვერ გაეწიათ საშიშროებისათვის და ჯიქურად მიიწევდნენ წინ, დიდი ნავისკენ.

ჩვენი დურგალი გემის გარეთა ნაწილის შესაღესად ემზადებოდა, ბზარებში კუპრი უნდა ჩაესხა; უკვე ნავში ჰქონდა გადატანილი ორი დიდი ქვაბი - ერთი სავსე იყო მდულარე კუპრით, ხოლო მეორეში - ერთმანეთში არეული თუხთუხა ქონი, კუპრი, ზეთი და ამისი მსგავსი რაღაცეები ესხა, რასაც გემის დურგლები ხმარობენ ხოლმე. დურგლის

დამხმარე მეზღვაურს ეჭირა რკინის დიდი ჩამჩა, რომლითაც ცხელი კუპრი უნდა მიეწოდებინა მუშებისათვის. ორმა ველურმა სწორედ მაშინ შედგა ნავში ფეხი, როცა ეს ყმაწვილი წინა შკოტთან იდგა. ყმაწვილმა სასწრაფოდ ამოჰკრა ჩამჩა მდულარე კუპრში და ველურებს გადაასხა. ნახევრად შიშველი ველურები ისე დაიწვნენ და დაითუთქნენ, რომ ხარებივით მორთეს ბლავილი, გაცოფებულებმა ფეხი იშვირეს და

პირდაპირ ზღვაში გადახტენ.

ღურგალიც წამოხტა, ხელი დასტაცა იქვე ნეჭის ცოცხს, ამოურია კუპრიან ქვაბში და ველურებს გადაასხურა. სამ ნავში მყოფ ველურთაგან ერთიც არ გადარჩენილა, რომ საცოდავად და საშინლად არ დამწვარიყო. ისეთი ღრიალი და ყმუილი მორთეს, ჩემს დღეში იმის მსგავსი არაფერი გამიგონია.

არასოდეს ისე არ გამხარებია გამარჯვება, როგორც ახლა. არა მარტო იმიტომ, რომ სრულიად მოულოდნელად დაგვესხნენ თავს და საშიშროებაც დიდი იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ გამარჯვებას სისხლისღვრის გარეშე მივალწიეთ. მხოლოდ ერთი კაცი მოკლა ჩვენმა მეზღვაურმა უიარაღოდ და ამის გამოც ვწუხდი.

მე მაინც ცხოვრების უკუღმართობად მიმაჩნდა, როცა იძულებული ვხდებოდით, თავის დაცვის მიზნით, ჩვენივე მსგავსი არსებები დაგვეხოცა. ამ აზრისა ვარ ამჟამადაც. დარწმუნებული ვარ, ასევე ფიქრობს ყველა კეთილგონიერი ადამიანი, ვისაც ნამდვილად ესმის სიცოცხლის ფასი.

მეორე დღეს, რაკი გემის შეკეთებას მოვრჩით და დავრწმუნდით, რომ ბზარი აღარსად ჰქონდა, იალქნები გავშალეთ და გზას გავუდექით.

გვინდოდა ტონკინის უბეში შევლა, რათა ჰოლანდიური გემების ამაბავი გაგვეგო, მაგრამ ვერ გავბედეთ, რადგან შევნიშნეთ, რომ უბეში რამდენიმე გემმა შეგვასწრო. ამიტომ ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთით გავწიეთ, კუნძულ ფორმოზასაკენ, თან გვეშინოდა, გზაში ინგლისურ ან ჰოლანდიურ სავაჭრო გემებს არ გადავყროდით.

*

მივადექით ფორმოზას და ღუზა ჩავუშვით, რათა სასმელი წყალი და საგზალი მოგვემარაგებინა. იქაური ხალხი მეტად თავაზიანი და განათლებული აღმოჩნდა, სიამოვნებით მოგვამარაგეს ყველაფრით, რაც ვთხოვეთ. იქიდან ისევ ჩრდილოეთისკენ ავიღეთ გემი და გადავწყვიტეთ, პირველსავე სავაჭრო ნავსადგურში შევსულიყავით. ხმელეთთან მიახლოებას რომ ვაპირებდით, ერთი მოხუცი პორტუგალიელი ლოცმანი მოგვადგა ნავით და სამსახური შემოგვთავაზა. ეს ძალი-

ან სასიხარულო იყო ჩვენთვის და მაშინვე გემზე ავიყვანეთ.

ვუთხარი ნანკინის უბეში შეგვიყვანე-მეთქი, რომელიც ჩინეთის სანაპიროს ყველაზე ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მოხუცმა განაცხადა, ძალიან კარგად ვიცი ნანკინის უბელი. მერე გაიღიმა და მკითხა: „მაგრამ იქ რა უნდა გააკეთოთ?“ მე ვუპასუხე, რომ იქ ჩვენს საქონელს გავყიდდით, შევისყიდდით ჩინურ ჩაის, დაუმუშავებელ აბრეშუმს, ქსოვილს და სხვა საქონელს და ამავე გზით დავბრუნდებოდით უკან. ლოცმანმა მითხრა, თუ ასეა, გირჩევნიათ მაკაოში მიხვიდეთ. იქ თქვენს ოპიუმსაც კარგად გაყიდით და ჩინურ საქონელსაც ისევე იოლად შეისყიდით, როგორც ნანკინშიო.

- ეს მართალია, სინიორ, მაგრამ ამაჟამად არ გვაინტერესებს. თქვენ ის გვითხარით, შეგიძლიათ თუ არა ნანკინში მიგვიყვანოთ, პეკინში კი მერე იქიდან გავემგზავრებით.

- ადვილი სამსახურია, - გვიპასუხა მან, - ამ ცოტა ხნის წინ, სწორედ ერთი დიდი ჰოლანდიური გემიც წავიდა იქით.

ამ საუბარში გამოირკვა, რომ ჰოლანდიური გემები სწორედ ჩვენს გემს ეძებდნენ, მეკობრეების მიერ გატაცებული ეგონათ, და იპოვიდნენ თუ არა, მაშინვე ჩამოახრჩობდნენ კაპიტანს. ავდექი და ყველაფერი ვუამბე ლოცმანს. მოვუყევი, როგორ მოიტანეს იერიში სწორედ ამ გემზე. ისიც ვუთხარი, თუ ვისგან ვიყიდეთ ჩვენ ეს გემი და შემდეგ როგორ გვიშველა

ჰოლანდიელმა მეზღვაურმა. მაღაიელების მიერ კაპიტნის მოკვლისა და გემის გატაცების ამბის სიმართლეში ეჭვი არ მეპარებოდა, - ვუთხარი კიდევ, რატომ ვიყავი ამაში დარწმუნებული, - ხოლო ის ამბავი, მეზღვაურები მერე მეკობრეებად იქცნენო, მათივე მონაჩმახია. სანამ ასე მოულოდნელად დაგვესხმოდნენ თავს და იძულებულს გავვხდიდნენ ჩვენც სროლა აგვეტეხა, კარგად უნდა გამოერკვიათ საქმე. რაც ჩვენ სისხლი დავღვარეთ სამართლიანი თავდაცვის დროს, ისიც მათ უნდა მოეკითხოთ-მეთქი, დავუმატე ბოლოს.

ამ ამბავმა ძალიან გააკვირვა ლოცმანი და გვირჩია, გემი გავეყიდა და და სხვა გვეყიდა.

- მუშტრებს ბევრს შეხვდებით ნანკინში, - დასძინა მან, - ხოლო თქვენ ჩინური ჯონკით შეგიძლიათ დაბრუნება. მე თვითონვე გიშოვით მუშტარსაც და გემსაც. იმ კაპიტნებს, თქვენ რომ ბრძანებთ, მე ვიცნობ,

ვნახავ კიდევ ყველას, აქეთ რომ ჩაივლიან. დარწმუნებული ვარ, გავაგებინებ, რომ ცდებიან. სიმართლეში გავარკვევ: გემი გაიტაცეს მეზღვაურებმა, მაგრამ მეკობრეებად არ გავარდნილან. ეგეც არ იყოს, ახლა ის მეზღვაურები კი აღარ არიან გემზე, არამედ სხვები, ალალ-მართალი ხალხი, რომელთაც შემდეგ იყიდეს გემი.

ასე ვსაუბრობდით და თან შეუჩერებლივ მივიწევდით ნანკინისაკენ. დაახლოებით ცამეტი დღის მოგზაურობის შემდეგ ღუზა ჩავუშვით ნანკინის დიდი უბის სამხრეთ-დასავლეთით. აქ კი შემთხვევით გავიგე, რომ ორმა ჰოლანდიურმა გემმა შემასწრო უბეში. ჩემს ამხანაგს ვკითხე, ამ განსაცდელიდან თავი როგორ ვიხსნათ-მეთქი. ისიც ჩემსავით შეშფოთებული იყო, სადაც გინდა წავიდეთ, ოღონდ კი ამათ გავეცალოთო. მე მაშინვე ლოცმანი მოვიხმე და ვკითხე, აქ ახლომახლო ისეთი ყურე ხომ არაფერია, სადაც შეგვიძლია მტრისაგან დაფარული ვიყოთ და თან ჩვენი საქმეც ვაკეთოთ-მეთქი.

ლოცმანმა მიპასუხა, ორმოცდაროი ლიეთი თუ გადაინაცვლებთ სამხრეთით, ერთ პატარა ნავსადგურს მიადგებით - კვინჩანგს. ამ ნავსადგურში მისიონერი მამები ჩამოდიან ხოლმე მაკაოდან, ჩინელების ქრისტიანებად მოსაქცევად,

ევროპელ გემს კი იქ ერთხელაც არ გაუვლია. შეგიძლიათ იმ ნავსადგურში შეხვიდეთ და ნაპირზე დამშვიდებულად აწონ-დაწონოთ ყველაფერი. თუმცა იქ სავაჭრო ადგილი არ არის და მხოლოდ განსაკუთრებული ბაზრობის დროს მიდიან ხოლმე იაპონელი ვაჭრები ჩინური საქონლის შესაძენადო.

ყველანი დავთანხმდით, იქითკენ წავსულიყავით.

ნაპირზე მხოლოდ ორჯერ გავედით სასმელი წყლის მოსამარაგებლად. ორივეჯერ ძალიან თავაზიანად მოგვექცა იქაური ხალხი, უხვად მოგვითანეს სურსათ-სანოვაგე, ჩაი, ბრინჯი, ძირები და ფრინველებიც. მეორე დღესვე ამოვიღეთ ღუზა და იმ ნავსადგურისაკენ გავწიეთ.

პირქარი ამოიჭრა და ნავსადგურს მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ მივალწიეთ. სამაგიეროდ, ძალიან კმაყოფილები დავრჩით. დიდი სიხარული და ამასთან მადლიერებაც ვიგრძენი, როცა ხმელეთზე დავდგი ფეხი. მეცა და ჩემმა ამხანაგმაც გადავწყვიტეთ. თუკი მოვახერხებდით კარგად მოწყობასა და საქონლის ხეირიანად გასაღებას, თუნდაც ნაწილობრივ, მეტად აღარ შეგვედგა ფეხი იმ ბედუკუღმართ გემზე.

ადამიანს არაფერი ისე არ ანადგურებს, როგორც განუწყვეტელი შიში. მოსვენება დავკარგეთ. მე და ჩემს ამხანაგს ლამის ყოველდღამე გვესიზმრებოდა სახრჩობელა. ერთ ღამეს ერთ-ერთ მეზღვაურს მივვარდი და ძირს დავანარცხე... უეცრად, ძილში. მომუჭული მუშტი მართლაც ისე მაგრად მივარტყი კაიუტის კედელს, რომ ხელი სერიოზულად დამიშავდა - ვიღრძე, ხორცი დამილილაავდა... მაშინვე გამეღვიძა.

იმის გაფიქრებაც კი მძიმე იყო, რომ ორმოცი წლის განუწყვეტელი წამებისა და გასაჭირის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მივალწიე ნავსაყუდელს, საითკენაც მთელი ქვეყანა მიისწრაფვის - ვეწიე მოსვენებასა და სიმდიდრეს, მერე კი უცებ ჩემივე

უხიაგი და უბედური სურვილით ახალ განსაცდელში გავიხლართე! კაცი, რომელმაც ძლივძლივობით დავალწიე თავი სიჭაბუკიდანვე თანდაყოლილ ფათერაკებს, ახლა, მოხუცობის ჟამს, სახრჩობელაზე უნდა წარვდგე, ისიც სადღაც გადაკარგულში, და ისიც ისეთი საქმისათვის, რომელშიაც იოტისოდენა ბრალიც კი არ მიმიძღვის!

რამდენადაც მძიმე იყო ეს არეული ფიქრები და განცდები, სანამ ზღვაში ვიყავით, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა სიხარული, როცა ხმელეთზე შევდგით ფეხი. ჩემს ამხანაგს სიზმარი უნახავს: თითქოს ბურგზე ჰქონდა მოგდებული საოცრად მძიმე ტვირთი, რომელიც მთაზე უნდა აეტანა, მაგრამ ძალა ელეოდა, მუხლები ეკვეცებოდა... უცებ პორტუგალიელი ლოცმანი გამოეცხადა და ბურგიდან ტვირთი ააცალა. ერთბაშად მთა გაქრა და გზაც სწორი და ადვილად სავალი შეიქნა. მართლაც ასე მოხდა. თითქოს მართლაც მოგვეხსნა ტვირთი. მე, ჩემდა თავად, გულზე მომეხსნა დიდი ლოდი, რომლის ტარება მეტად აღარ შემეძლო. ამიტომაც, ზემოთაც მოგახსენეთ, გადავწყვიტეთ, რომ იმ გემზე ფეხი აღარასოდეს შეგვედგა.

ნაპირზე რომ გადავედით, მოხუცმა ლოცმანმა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში დაგვიმეგობრდა კიდევ, დაგვაქირავებინა სახლი და საწყობი ჩვენი საქონლისათვის. ეს საწყობი წარმოადგენდა ბამბუკისაგან ნაგებ პატარა ქოხს, რომელიც ასეთივე ნაგებობის დიდ სახლს ჰქონდა მიდგმული. გარედან ერთგვარ მსხვილი ბამბუკის მესერი, ქურღბაცაცებისაგან დასაფარავად. ქალაქისთავმა გუშაგი დაგვითმო - ერთი ალებარდიანი თუ ბუფანიანი ჯარისკაცი, რომელსაც გასამრჯელოდ თითო პინტ ბრინჯსა და ცოტაოდენ ფულს ვაძლევდით ყოველდღიურად. იგი ზედ კართან იდგა და არაფერი დაგვკარგვია.

ბაზრობა კარგა ხანს არ ყოფილა. მანამდე ჩვენ მდინარეში დავათვალიერეთ სამი ჩინური გემი, ანუ ჯონკა და ორიც - იაპონური. საქონელი ჩამოეტანათ ჩინეთში გასაყიდად და ახლა ვაჭრებს ელოდებოდნენ.

ერთ დღეს ჩვენმა მოხუცმა პორტუგალიელმა ლოცმანმა მოგვიყვანა იაპონელი ვაჭარი, რომელმაც იყიდა მთელი ჩვენი ოპიუმი და გადაწყვიტა, დაქირავებინა ჩვენი გემი თავისი მეზღვაურებიანად და იაპონიაში წასულიყო, იქიდან კი ახალი ტვირთით - ფილიპინების კუნძულებისაკენ.

ჩვენ დავთანხმდით, ყველაფერი მოვავგარეთ და მალე იაპონიისკენ გავამგზავრეთ, ჩვენ კი ჩინეთში წავედით. თუ ბენგალიაში ყოფნის დროს მიმაჩნდა თავი სამშობლოდან გადახვეწილად, რაღა უნდა მეფიქრა ახლა, ათასი ლიეთი კიდევ უფრო შორს გადატყორცნილს. ერთადერთი იმედი ის იყო, რომ ოთხი თვის შემდეგ დაიწყებოდა ბაზრობა, სადაც, გარდა სასურველი საქონლის შეძენისა, შეიძლებოდა გვეშოვა ჩინური გემი და შემდეგ მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანით იქით წავსულიყავით, საითაც მოვისურვებდით. დიდ იმედებს ვამყარებდი ამ ბაზრობაზე. თუ გემის ყიდვას ვერ მოვახერხებდით, შეგვეძლო რომელიმე ინგლისურ ან ჰოლანდიურ ხომალდზე მოგვეთავსებინა ჩვენი ტვირთი და ინდოეთისაკენ წავსულიყავით, უფრო მივახლოებოდით სამშობლოს, რადგან ახლა საშიში პირებად არ ვითვლებოდით და თავისუფლად შეგვეძლო გემების დაქირავება.

ამ იმედით გადავწყვიტეთ, დაგვეცადა. მანამდე კი, გართობის მიზნით, ორი-სამი მოგზაურობა მოვაწყეთ იმ კუთხეში. პირველად ათი დღით გავემგზავრეთ ნანკინში. მართლაც რომ ღირდა ამ ქალაქის ნახვა. ამბობენ, მილიონი მცხოვრები ჰყავსო. ქალაქი დაგვეგმილია სწორად, დასერილია პირდაპირი, სწორი ქუჩებით, რომლებიც ერთმანეთს სწორკუთხოვნად კვეთს.

შემდეგ პეკინში წასვლა გადავწყვიტეთ. კარგ ფეხზე გავემგზავრეთ. ნება დავვრთეს გვემოგზაურა ერთ-ერთი მანდარინის ამაღასთან. მანდარინებს იქ მეფისნაცვლებისა თუ პროვინციის გუბერნატორების მსგავს თანამდებობის პირებს ეძახიან, რომლებიც დიდი უფლებებით სარგებლობენ - მოგზაურობენ დიდი ამაღის თანხლებით და ხალხიც განუზომელ პატივსა სცემს. ხშირად ისინი აღატაკებენ ხოლმე მცხოვრებლებს, რადგან ხალხი ვალდებულია საგზლით მოამარაგოს მანდარინებიცა და მათი მხლებლებიც. ახლა, რაკი ჩვენც მის ამაღასთან ერთად მივემგზავრებოდით, თავზე საყრელად გვექონდა საგზალიცა და

ცხენების საკებიც - ხალხი გვაძლევდა. მაგრამ ამალის მნემ ყველაფერი გვიანგარიშა იქაური საბაზრო ფასების მიხედვით და ფული გადავხდევინა.

ოცდახუთი დღე მოვუნდით პეკინს ჩასვლას. მივდიოდით ძალიან მჭიდროდ დასახლებულ, მაგრამ, ჩემი აზრით, ცუდად

მოწყობილ სოფლებში. მეურნეობა, მიწის დამუშავება, ცხოვრების წესი მეტად სავალალო იყო. იქაური მებატონეები სასაცილონი არიან. იბლინძებიან, ცხვირსა ბზეკენ, ხოლო მდგომარეობა სულაც არ აძლევთ ამის ნებას.

ეს მოგზაურობა შვეებისმომცემი იყო ჩემთვის, არაფერი მაწუხებდა, ფიქრებს აღარაფერი მიშფოთებდა, მოგზაურობის დროსაც არ შემხვედრია ისეთი გასაჭირი, რომ დავეღონებინე, გარდა ერთი არასასიამოვნო შემთხვევისა: პატარა მდინარეზე გადასვლის დროს ჩემი ცხენი დაეცა და მე, როგორც იტყვიან ხოლმე, წყალში გადამიძახა. უბის წიგნაკი სულ დაღბა, ნაწერი გადაიშალა და ამოკითხვა ვეღარ მოვახერხე. ამიტომაც არ შემიძლია მოვიგონო სახელწოდება ზოგიერთი ადგილისა, სადაც ამ მოგზაურობის დროს მომიხდა გავლა.

როგორც იყო, პეკინს ჩავალწიეთ. თან არავინ მახლდა, გარდა იმ ყმაწვილი კაცისა, რომელიც ჩემმა ძმისწულმა გამომატანა მსახურად და მხლებლად და რომელმაც დიდი ერთგულება და დაუზარლობა გამოიჩინა. ჩემს ამხანაგსაც მხოლოდ ერთი მსახური ახლდა, რომელიც მას ნათესავად მოხვდებოდა. რაც შეეხება პორტუგალიელ ლოცმანს, მან გულით მოიწადინა სასახლის ნახვა და ჩვენც ჩვენი ხარჯით წავიყვანეთ. თან თარჯიმნადაც გამოვიყენებდით, რადგან ჩინური ენა იცოდა, ფრანგულსაც თავისუფლად ლაპარაკობდა და ინგლისურსაც კი ამტკრევდა. უნდა ითქვას, კარგი სამსახურიც გაგვიწია ამ მოხუცმა კაცმა. ერთი კვირის ჩასული არც კი ვიყავით პეკინში, რომ იგი ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ ქალაქში ენახა მოსკოველ და ჰოლანდიელ ვაჭართა დიდი ქარავანი, რომელიც შინ დასაბრუნებლად ემზადებოდა და ოთხ-ხუთ კვირაში ხმელეთით გაემგზავრებოდა მოსკოვისაკენ. ლოცმანი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებდით და უსათუოდ გავყვებოდით ქარავანს, ხოლო მას იქვე დავტოვებდით და მერე მარტოკა უნდა დაბრუნებულიყო.

უნდა გამოგიტყდეთ, ეს ახალი სასიამოვნო ცნობა ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ენა დამება და ერთხანს ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. მერე მე და ჩემმა ამხანაგმა მოვითათბირეთ, რომ წავსუ-

ლიყავით და პორტუგალიელი ლოცმანიც თან წაგვეყვანა ჩვენივე ხარჯით.

*

ქარავანი ასოცზე მეტი კარგად შეიარაღებული კაცისგან შედგებოდა. ხალხი სხვადასხვა ჯურისა იყო; უმეტესობა კი, სამოცზე მეტი კაცი, მოსკოველი ვაჭრები და მოქალაქეები. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ის იყო, რომ ჯგუფში ხუთი შოტლანდიელი ერია - დიდად გამოცდილი, საქმის მცოდნე და შეძლებული ხალხი.

ის მიდამო, სადაც ჩვენი გზა გადიოდა, მჭიდროდ არის დასახლებული. მცხოვრებლები უმთავრესად მექოთნეობას მისდევენ, ესე იგი, თიხას ამზადებენ ჩინური ფაიფურისათვის. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ჩვენი პორტუგალიელი ლოცმანი, რომელიც გზაში მუდამ გვამხიარულებდა ხოლმე, და გამეჩირდავი სიცილით მითხრა, ახლა ისეთ რამეს გიჩვენებთ, რასაც მთელი ქვეყანა რომ შემოიაროთ, ვერსად შეხვდებითო. ერთი სული მქონდა, მანამ გავიგებდი, რა უნდა ყოფილიყო ასეთი უცნაური. ბოლოს ლოცმანმა მითხრა, ერთი მებატონის სახლია, ჩინური ფაიფურისაგან ნაგებიო.

- მერე რა მოხდა, ადვილად შესაძლებელია, - ვუთხარი მე. - მაინც რამოდენაა? ყუთში თუ ჩაეტევა, რომ აქლემს ავკიდოთ? თუ ჩაეტევა, ვიციდოთ კიდევ.

- აქლემსო! - წამოიძახა ლოცმანმა და ხელები გაშალა, - რას ბრძანებთ! შიგ მთელი ოჯახი ცხოვრობს, ოცდაათი სული.

ძალიან მომინდა იმ სახლის ნახვა. ახლოს რომ მივედი, დავრწმუნდი, რომ ჩვეულებრივი ხის სახლი იყო, როგორსაც ინგლისშიაც აშენებენ ხოლმე - ფიცრებისაგან ნაგები და მერე შელესილი. მაგრამ შელესილი იყო ჩინური ფაიფურით, ანუ იმ თიხით, რისგანაც ჩინურ ფაიფურს ამზადებენ. სულ თეთრი იყო, ლურჯი ფიგურებით მოხატული, როგორც დიდი ჩინური ლარნაკი. მზეზე თვალისმომჭრელად ელვარებდა. შიგნით კედლები მშვენიერი ფაიფურის ოთხკუთხა ფილებით იყო დაფარული, მართლაც რომ დიდებულად მოვარაყებულნი, სხვადასხვა ფერის, მათ შორის, ოქროს, შეხამებით. ზოგიერთზე

თითო ფიგურა იყო მოხატული, მაგრამ ისე ოსტატურად უერთდებ-

ბოდა და ეხამებოდა სხვებს, რომ გაგიძნელებოდა მისი სხვებისგან გამოყოფა; ალიზი იმავე მასალისაგან იყო გამზადებული. იატაკიც ფაიფურისა ჰქონდა, მაგრამ ქვასავით მაგარი და გლუვი. კედლებისაგან განსხვავებით, იატაკი, მოხატული არ ყოფილა, გარდა ზოგიერთი მომცრო, საკუჭნაოს მსგავსი ოთახებისა, რომლებშიაც იატაკადაც ისეთივე მოხატული ფილები დაეგოთ. ჭერიც ასევე ფაიფურისა ჰქონდა. სახურავად შავი, ელვარე ფაიფური გადაეხურათ. ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი ჩინური ფაიფურის სახლი. გზას ვადექი, თორემ უსათუოდ შევჩერდებოდი რამდენიმე დღით და უფრო დაკვირვებით დავათვალიერებდი. მითხრეს, ბალში ფაიფურისავე შადრევნები და თევზების აუზები აქვთ მოწყობილი. ხეივანებში კი ფაიფურის ქანდაკებები იდგა თურმე.

კარგა ხანს მოვუნდი ამ უცნაური სახლის დათვალიერებას და მთელი ორი საათის სავალით ჩამოვრჩი ქარავანს. ამის გამო ჩვენმა წინამძღოლმა დამაჯარიმა და განმიცხადა, კიდევ კარგი, რომ ახლა კედლის შიგნით ვართ სამი დღის სავალზე, ამდენივე მანძილზე რომ ვიყოთ კედლის გადაღმა, მაშინ ოთხჯერ მეტი თანხით დაგაჯარიმებდით. აღვუთქვი, რომ მეტად აღარ დავარღვევდი წესრიგს. შემდეგ დავრწმუნდი, ქარავნის საერთო უშიშროებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წესრიგის დაცვას.

კიდევ ორი დღის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ გავიარეთ ჩინეთის დიდი კედელი, რომელიც თათრებისაგან თავის დასაცავად იყო აგებული. ზოგან ეს კედელი ისეთ მთაგრებილებსა და კლდეებზე გადის, რომ უდიდესი შრომაა გაწეული მის ასაგებად. თუმცა სავსებით ტყუილ-უბრალოდ, რადგან იმ მიუვალ სალ კლდეებსა და უფსკრულებზე, აბა, რა მტერი უნდა გადავიდეს, ხოლო ის კლდეები თუ გადალახა, მაშინ კედელი რაღას დააკავებს! როგორც გადმოგვცეს, კედლის სიგრძე დაახლოებით ათას ინგლისურ მილს უდრის, ხოლო სიმაღლე და, ზოგ ადგილას სიგანეც, ოთხ საჟენამდე აღწევს.

კედლის გადაღმა მოსახლეობა გაცილებით ნაკლები იყო. სამოსახლოდ ამორჩეული ჰქონდათ უფრო გამაგრებული ადგილები, რადგან ეშინოდათ თათრების თავდასხმისა, რომლებიც დიდ რაზმებად დათარეშობდნენ და, ამრიგად, გაშლილ ადგილზე უიარაღო ხალხისაგან ძნელი შესაკავებელი იქნებოდნენ.

დავრწმუნდი, რომ მოგზაურობა ამ მხარეში უსათუოდ დიდი ქარავნებით არის საჭირო, რადგან მოთარეშე თათრების რამდენიმე რაზმი დავინახეთ. როცა კარგად დავაკვირდი იმ თათრებს, გავოცდი: ჩინე-

თის იმპერია როგორ უნდა დაარბიონ ამ საზიზღარმა მაწანწალებმა! ეს ხომ უწესრიგო და უვიცი ველური ადამიანების ურდოა! ბრძოლისა არაფერი გაეგებათ. ცხენებიც ყოვლად უვარგისი ჰყავდათ - გაუწვრთნელი და საცოდავი. ამაში მაშინვე დავრწმუნდით, როგორც კი თვალი შევახვალეთ, როცა ფეხი შევდგით უფრო გავერანებულ ადგილებში.

მორიგე წინამძღოლმა ნება დაგვრთო, დაახლოებით თექვსმეტი კაცი სანადიროდ წავსულიყავით. ნადირობა სინამდვილეში ცხვრების დაჭერა იყო. თუმცა, მართლაც შეიძლება ნადირობა შევარქვათ, რადგან ველური ცხვრები საოცრად ფეხმარდები იყვნენ და ისე სწრაფად დაქროდნენ, რომ ადრე არასოდეს არ მენახა ასე სწრაფად მორბენალი ამ ჯილაგის ცხოველი. სამაგიეროდ დიდხანს სირბილს ვერ უძლებენ და თუკი გამოედევნები, თავიდანვე შეგიძლია დაიმედებული იყო, რომ უსათუოდ მოკლავ, რადგან ისინი ჯოგებად დაეხეტებიან, ოცდაათი, ორმოცი ერთად, და ცხვრის ბუნებას არ ღალატობენ - როცა გაიქცევიან, მაშინაც არ იფანტებიან.

სწორედ ამ უცნაური ნადირობის დროს გადავეყარეთ ორმოცამდე თათარს. ვერ ვიტყვი, ისინიც ჩვენსავით ცხვარზე სანადიროდ იყვნენ გამოსულნი, თუ სხვაგვარ ნადავლს დაეძებდნენ. ეს კია, დაგვინახეს თუ არა, ერთმა მათგანმა რაღაცნაირ რქას ჩაჰბერა მძლავრად, რომელმაც ისეთი საშინელი ხმა გაიღო, რისი მსგავსი უწინაც არაფერი გამეგონა და ღმერთმა მომავალშიაც ნუ გამაგონოს. მაშინვე ის ვიფიქრეთ, ალბათ თავიანთ ამხანაგებს ეძახიანო, და გამართლდა კიდევ ჩვენი ვარაუდი. ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ ერთი მილის მანძილზე ორმოცი-ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი რაზმი გამოჩნდა, მაგრამ მანამდე ჩვენ მოვასწარით პირველთან გასწორება.

ჩვენ შორის აღმოჩნდა ერთი შოტლანდიელი ვაჭარი, რომელიც მოსკოვში ვაჭრობდა. გაიგონა თუ არა საყვირის ხმა, მაშინვე განგვიცხადა, დროს ნუღარ ვკარგავთ, ახლავე ვეკვეთოთო. მზადა ვართ და მოგყვებითო, ვუთხარით ჩვენ. მაშინ იგი პირდაპირ თათრებისაკენ გაექანა. იმათ პირი დაეღოთ და შემოგვეყურებდნენ, თითქოს არც ემზადებოდნენ, ისე

იდგნენ, როგორც ნამდვილი ბრბო. მაგრამ როცა დაგვინახეს, როგორ გავქუსლეთ მათკენ, ხელად მშვილდები მოზიდეს და ისრები დაგვიშინეს. საბედნიეროდ, ყველა ისარი აგვცდა. მაგრამ ეს არ იყო მათი ბრალი - შორს ვიყავით და იმიტომ აგვაცდინეს. საერთოდ კი, ისე მარჯვედ ისროდნენ ისრებს, ოცი იარღით უფრო ახლოს რომ ვყოფილიყა-

ვით, რამდენიმე კაცს თუ არ მოგვიკლავდნენ, დაგვიჭრიდნენ მაინც.

იმწამსვე შევდექით და ხის ისრების პასუხად ცხელი ტყვია დავუშინეთ. მერე ერთბაშად მოვწყდით ადგილს და თათრებისკენ გავქუსლეთ, თან ჩვენი გულადი შოტლანდიელი წინამძღოლის მსგავსად ხმალი ვიშიშვლეთ. ხომ ვაჭარი იყო ის კაცი, მაგრამ ისე მედგრად და მამაცურად მიგვიძლოდა, ამასთან ისე მშვიდად ეჭირა თავი, რომ უკეთეს სამეთაურო კაცს ჩემს დღეში არ შევხვედრივარ. როცა მივუახლოვდით თათრებს, ზედ ცხვირ-პირში დავახალეთ დამბახები და ოდნავ დავიხიეთ. მაგრამ იმათ წარმოუდგენელი არევ-დარევით მოკურცხლეს. ჩვენგან ხელმარჯვნივ მხოლოდ სამიოდე თათარი შეჩერდა, რომელთაც მხარზე მშვილდ-ისრები ეკიდათ, ხელში კი რკალივით მოხრილი მახვილები ეყრათ და გაქცეულ ამხანაგებს ანიშნებდნენ, მობრუნდითო. ჩვენი მამაცი წინამძღოლი პირდაპირ იმათკენ გავარდა ისე, რომ ჩვენთვის არც კი მოუმართავს, მომეშველეთო. მიუახლოვდა იმ სამ თათარს, ერთი თოფის კონდახით ჩამოაგდო ცხენიდან, მეორეს დამბახით მოულო ბოლო, ხოლო მესამემ ამასობაში თავს უშველა.

ასე დასრულდა ეს შეტაკება. ამ ბრძოლის ერთადერთი სამწუხარო შედეგი ის იყო, რომ ცხვრები, რომელთაც ჩვენ მივდევიდით, თვალს მიეფარნენ. ჩვენგან არავინ მოუკლავთ, არც არავინ დაჭრილა, თათართაგან კი ხუთამდე კაცი მოვკალით. რამდენი დაიჭრა, ვერ ვიტყვი, იმის თქმა კი შემიძლია, რომ მეორე რაზმი საშინლად დააფრთხო სროლამ და ყიჟინამ: მაშინვე გაიძურწნენ და მეტად აღარ გამოჩენილან.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ სულ ჩინეთის სამფლობელოში ვიყავით და ამიტომაც თათრები ისე გაბედულები ვერ იყვნენ, როგორც შემდეგში. დაახლოებით ხუთი დღის მერე მივადექით ფართოდ გადაჭიმულ, თვალუწვდენ უდაბნოს, რომლის გადაჭრას სამი დღე-ღამე მოვუნდით. იძულებული ვიყავით წყალი მოგვემარაგებინა ტყავის დიდ მათარებში და ღამით ისე დავბანაკებულიყავით, როგორც, გადმოცემით, არაბეთის უდაბნოებში იციან ხოლმე.

მეგზურებს ვკითხე, ვის სამფლობელოში შედიოდა ეს უდაბნო. მიპასუხეს, ეს ერთგვარ სასაზღვრო ზონას წარმოადგენს და გადაჭრით ძნელია თქმა, ვის მფლობელობაში შედისო: კარაკათის, ანუ დიდი სათათრეთის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ჩინეთის საკუთრებადაც ითვლებაო.

ამიტომ, არავინ იწუხებს თავს, რომ მოთარეშე ქურდებისაგან და-

იცვას ეს უდაბნო და ამიტომაც მთელ გზაზე ყველაზე სახიფათო ადგილად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ უფრო ფართოდ გადაჭიმული უდაბნოები გვედო.

მთელი ერთი თვე ჩინეთის იმპერიის სამფლობელოში ვმოგზაურობდით. გვხვდებოდა უმთავრესად სოფლები, რომელთაგან ზოგი გამაგრებული იყო თათრების თავდასხმის შიშით. ქალაქი ნაუმი ჩინეთის იმპერიის საზღვრად ითვლება. ციხესიმაგრესაც ეძახიან. ეს ქალაქი, იქაური სიმაგრეების პირობაზე, კარგად არის დამაგრებული, რადგან კარაკათელი თათრები, რომელთა რიცხვი, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე მილიონს შეადგენს, თავიანთი მშვილდ-ისრებით ვერაფერს დააკლებენ. ბარბაზნებს კი, რა თქმა უნდა, რას გაუძლებს!

ორი დღის სავალით ვიყავით დაშორებული ამ ქალაქს, როცა შათირები დაგზავნეს ყველა მიმართულებით და ქარავნები და მოგზაურები გაათრთხილეს, მანამ საგანგებოდ წარგზავნილი მცველები არ მივიდოდნენ, ადგილიდან ფეხი არ მოეცვალათ, რადგან ქალაქიდან ასე ოცდაათი მილის სავალზე გამოჩენილიყო თათრების უჩვეულოდ დიდი, ათი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი.

ეს მეტად არასასიამოვნო ცნობა იყო მგზავრებისათვის, მაგრამ გუბერნატორს წინასწარვე გამოეჩინა სიფრთხილე და საჭირო ზომები მიიღო. ძალიან გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, რომ მცველები მოგვეშველებოდნენ. მართლაც, ორი დღის შემდეგ მარცხნივ მდებარე ქალაქის გარნიზონიდან მოვიდა ორასი კაცისაგან შემდგარი მცველთა ჯგუფი, ხოლო ნაუმიდან - სამასი ჯარისკაცი. ამის შემდეგ გაბედულად განვაგრძეთ გზა. ნაუმელი სამასი ჯარისკაცი წინ მიგვიძლოდა, ხოლო

დანარჩენი ორასი უკან მოგვეყვებოდა. ქარავანი შუაში მოვიქციეთ, გვერდებიდან ჩვენივე ხალხი ჩამოვამწკრივეთ და, ამრიგად, საბრძოლველად მოვემზადეთ. გვეგონა, ადვილად გავუმკლავდებოდით ათი ათას თათარს, მაგრამ მეორე დღეს, როცა ისინი გამოჩნდნენ, ასე ადვილად აღარ გვეჩვენა ეს.

დილა იყო, როცა კარგად განლაგებულ პატარა ქალაქ ჩანგუდან გავედით და მდინარეს მივადექით, რომელზედაც ხიდი არ იყო და წყალში უნდა გავსულიყავით. თათრებს რომ ჭკუა ეხმარათ, სწორედ მაშინ იყო თავდასხმის დრო; უკანა რაზმიც ჩამორჩენილი იყო. ამის შემდეგ გავიდა სამი საათი, ჩვენ უკვე თხუთმეტი-თექვსმეტი მილი გზა გვექონდა გავლილი, როცა უეცრად წინ გადაშლილ უდაბნოში თვალი მოვკარით მტვრის კორიანტელს. აშკარა გახდა, მტერი მოახლოებუ-

ლიყო. ერთი წუთიც და ისინი ჩვენთან გაჩნდნენ.

ურიცხვი მტრის დანახვაზე ჩვენი მეწინავე რაზმი შეტოკდა. თითქოს ჩემს გულში იჯდაო, მოხუცმა ლოცმანმა გადმოძახა: „სინიორ ინგლებ, უნდა გავამხნევოთ ჯარისკაცები, თორემ შეტევაზე თუ გადმოვიდნენ თათრები... მორჩა, ველარ გაუმკლავდებიან“. მეც მაგას ვფიქრობ, მაგრამ რა ვიღონოთ-მეთქი, ვუპასუხე. „რა ვიღონოთ? ახლავე ასი კაცი გამოვყოთ ჩვენი ჯგუფიდან და ჯარისკაცებს მივაშველოთ. ისინიც გამხნევდებიან და თავგამეტებით იბრძოლებენ“.

მაშინვე დაწინაურდი და წინამძღოლს გადავეცი ჩვენი მოსაზრება. მასაც ჭკუაში დაუჯდა. ხელად ავარჩიეთ ასი კაცი და ორ ჯგუფად გავყავით, დანარჩენები უკან მივყევით. იმ ორას ჯარისკაცს, რომლებიც ზურგს გვიმაგრებდნენ, დავავალეთ აქლემებისათვის მიექციათ ყურადღება. თუ დაინახავდნენ, რომ გაგვიჭირდებოდა, ას კაცს ისინიც მოგვაშველებდნენ.

მოგვადგა თათრების ურიცხვი რაზმი. ვერ გეტყვით, ზუსტად რამდენი იყვნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარ ჯარს გამოეყო ერთი ჯგუფი და დასაზვერად გამოემართა. თოფის სროლის მანძილზე რომ მოგვიახლოვდნენ, წინამძღოლმა ორივე ფრთას უბრძანა წინ გავარდნილიყვნენ და ორივე მხრიდან ცეცხლი გაეჩინათ. ბრძანება დაუყოვნებლივ

შესრულდა. მზვერავი რაზმი უკანვე გაბრუნდა. ალბათ შეატყობინეს თავისიანებს, თუ როგორ გულთბილად მივიღეთ. სრბოლამ, ეტყობა, მადა დაუკარგა თათრებს - მაშინვე შედგნენ, ერთხანს ფიქრობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, მერე კი მარცხნივ შეუხვიეს და გაგვეცალნენ. იმჯერად აღარაფერი უთქვამთ. ჩვენც ეს გვინდოდა - ასეთ მრავალრიცხოვან მტერს აბა როგორ უნდა გავმკლავებოდით!

ორი დღის შემდეგ ქალაქ ნაუმს მივადექით. გუბერნატორს მადლობა მოვახსენეთ მზრუნველობისთვის. იქვე შევაგროვეთ ასიოდე კრონის საფასურის საქონელი და მცველ ჯარისკაცებს ვაჩუქეთ. ქალაქში ერთი დღე დავისვენეთ. მართლაც რომ გარნიზონი იყო, ცხრა-ასი ჯარისკაცი ჰყავდათ.

ქალაქიდან გასვლის შემდეგ გადავლახეთ რამდენიმე დიდი მდინარე და ორი საშინელი უდაბნო გავიარეთ. ერთ-ერთი უდაბნოს გავლას მთელი თექვსმეტი დღე მოვუნდით. ცამეტ აპრილს მივადექით მოსკოვის სამფლობელოს საზღვარს. როგორც ვფიქრობ, მოსკოვის მეფის პირველი ქალაქი, თუ გამაგრებული ადგილი არის არგუნა, რომელიც

მდინარე არგუნას დასავლეთით მდებარეობს

*

არ შეიძლებოდა არ მეგრძნო უდიდესი კმაყოფილება, რომ ასე უცებ შევედით ქრისტიანულ ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში ისეთ ქვეყანაში, რომელსაც ქრისტიანები მართავენ. მაშინვე მოვუხმე მამაც შოტლანდიელ ვაჭარს, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, ხელი მოვხვიე და ვუთხარი: „მადლობა ღმერთს, კვლავ ქრისტიანთა შორის ვიმყოფებით“.

მოსკოვის სამფლობელოში შესვლის შემდეგ, ვიდრე ასე თუ ისე მნიშვნელოვან ქალაქს მივადგებოდით, კარგა ხანს ღირსშესანიშნავი არაფერი შეგვინიშნავს. ერთადერთი, რაც თვალში გეცემოდა, ის იყო, რომ თითქმის ყველა მდინარე აღმოსავლეთისაკენ მიედინებოდა. რუკების მიხედვით (ქარავანს თანა ჰქონდა რამდენიმე რუკა), ეს მდინარეები ერთვის დიდ მდინარე ამურს, რომელიც, თავის მხრივ, აღმოსავლეთის ზღვასა თუ ჩინეთის ოკეანეში ჩადის. თავს ნებას მივცემ ვთქვა, რომ ის ხმები, თითქოს ამ მდინარის შესართავი ზღაპრული სიდიდის - სამი ფუტის სისქისა და ოცი-ოცდაათი ფუტის სიმაღლის ლელნარით იყო ამოვსებული, სულაც არ მიმაჩნია სარწმუნოდ, მაგრამ სანაოსნოდ ეს მდინარე მაინც გამოუყენებელია, რადგან ვაჭრობა სავსებით არ წარმოებს იმ მხარეში. ის მიდამოები ხომ თათრებს ეკუთვნის, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მსხვილფეხა საქონლით ვაჭრობენ. არც გამიგონია, ვინმეს ისეთი ახირებული აზრი მოსვლოდეს თავში, რომ ნავებით ჩაყოლოდეს მდინარეს შესართავისკენ, ან გემებით ამოჰყოლოდეს ზევით, ოკეანიდან.

ამურიდან რამდენიმე ლიეს დაშორებით, ჩრდილოეთისაკენ, შეხვდებით მოზრდილ მდინარეებს, როლებიც ჩრდილოეთის მიმართულებით მიედინება და თავს იყრის დიდ მდინარე თათარში. ეს სახელწოდება მდინარემ მიიღო განაპირა ჩრდილოეთის მოსახლეობის მიხედვით, რომლებიც მონღოლ-თათრებს შეადგენენ. ჩინელების აზრით, ესენი არიან ქვეყნად მთელ თათართა მოდგმის წინაპრები.

მდინარე არგუნას რომ გავცდით, მგზავრობა გაცილებით უფრო ადვილი შეიქნა. ამას უნდა ვუმაღლოდეთ მოსკოველ

მეფეს, რომელსაც ყველგან, სადაც კი შესაძლებელი ყოფილა, ქა-

ლაქები და სოფლები გაუშენებია. ამ ადგილებში განლაგებული იყო გარნიზონები მუდმივი ჯარით, როგორც რომაელებმა იცოდნენ ხოლმე ჯარის განლაგება თავიანთი იმპერიის უშორეს ქვეყნებში. როგორც წამიკითხავს, რომაელებს ბრიტანეთშიც ჰყოლიათ ჯარი ვაჭრობის დასაცავად და მოგზაურობისათვის ხელის შესაწყობად. იქაც სწორედ ასე იყო. ამ ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში ჯარისკაცები და მმართველები სულ ქრისტიანი რუსები იყვნენ, ადგილობრივი მცხოვრებლები კი - წარმართები. ისინი მსხვერპლს სწირავდნენ კერპებს და თაყვანსა სცემდნენ მშეს, მთვარეს, ვარსკვლავებს - ერთი სიტყვით, მთელ ცის მნათობებს.

ცნობისმოყვარეობამ დამძლია და ერთ-ერთ სოფელში, ნერჩინსკის ახლოს, გადავწყვიტე წავსულიყავი და ახლოს მენახა მათი ცხოვრების მეტად ტლანქი და აუტანელი წესი. ეტყობოდა, იმ დღეს მსხვერპლსა სწირავდნენ თავიანთ კერპს. ხის ჯირკბე ხისგანვე გამოჩორკნილი, ეშმაკივით საშინელი კერპი აღემართათ. თავის მოყვანილობა ისეთი ჰქონდა, რომ ვერავითარ მიწიერ არსებას ვერ მიაშგავსებდით: ყურები ჯიხვის რქებივით დიდი და ისეთივე წოწოლა, თვალები - ვაშლისოდენა; ცხვრის რქასავით მორეცილი ცხვირი; სწორედ ლომის მსგავსი პირი - უშველებელი, ოთხკუთხა, საიდანაც საშინელი კბილები გამოშვერილიყო, თუთიყუშის ქვემოთა ნისკარტივით მოკაუჭებული. ასევე საზიზღარი იყო მისი მორთულობაც - ზემოდან მოესხათ ცხვრის ტყაპუჭი, ისე, რომ მატყლი გარეთ ჰქონდა მოქცეული, თავზე დაეკოსებინათ დიდი თათრული ქუდი, რომელშიაც წყვილი რქა იყო გაჩრილი. ასე რვა ფუტის სიმაღლისა იქნებოდა ეს კერპი, მაგრამ არც ფეხები ჰქონდა, არც ბარძაყები, არც არავითარი პროპორციულობა არ გააჩნდა სხეულის ნაწილებს.

ეს საფრთხობელა სოფლის განაპირას იდგა. მე რომ მივედი, თექვსმეტ-ჩვიდმეტი ადამიანი გართხმულიყო იმ საშინელი, უფორმო ჯირკის ირგვლივ. ოღონდ ვერ ვიტყვი, ქალები იყვნენ თუ მამაკაცები, რადგან ერთნაირი ტანსაცმელი ეცვათ, არავითარი მოძრაობა არ ეტყობოდათ, თითქოს ისინიც კუნძები ყოფილიყვნენ იმ კერპის მსგავსად. პირველად მართლაც ასე მეგონა, მაგრამ სულ ახლოს რომ მივედი, ისინი ფეხზე წამოდგნენ და ძაღლებივით ყმუილი მორთეს, თან თითქოს ჩვენი მისვლა ეწყინათო, გაგვეცალგნენ.

კერპისაგან ცოტა მოშორებით, ერთ-ერთ ქოხთან თუ კარავთან, რომელიც ცხვრისა და ძროხის გამხმარი ტყავისაგან იყო შეკოწიწებული, სამი ყასაბი იდგა. როცა მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ ხელში გრძელი დანები ეჭირათ, ქოხის შუაგულში კი სამი დაკლული ცხვარი

და ერთი მოზვერი მოჩანდა. ალბათ ეს იყო ამ უგრძობი ჯირკისათვის შესაწირავი ზვარაკი. ის სამი ყასაბი ქურუმები ყოფილან, ხოლო მიწაზე გართხმული ჩვიდმეტი კაცი - ზვარაკის შემწირავნი, რომლებიც ლოცულობდნენ და კერპს ემუდარებოდნენ.

უნდა გამოგიტყდეთ, ასე ჩემს სიცოცხლეში არ აღვშოთებულვარ, როგორც ახლა, ამ სისულელისა და საფრთხობელას მიმართ ცხოველური ქედისმოხრის ხილვაზე.

საშინელმა სიშმაგემ შემიპყრო, ცხენი მივაგდე იმ კერპთან თუ ურჩხულთან, როგორც გინდოდეთ ისე უწოდეთ, ხმალი ქუდზე შემოვკარი და შუაზე გავფხრიწე. ერთ-ერთმა ჩემმა თანამგზავრმა ცხვრის ტყაპუჭს ჩაავლო ხელი და მოჰგლიჯა. ეს რომ დაინახეს იქაურმა მცხოვრებლებმა, ატყდა ჯოჯოხეთური ღრიალი და ყმუილი. ორასი-სამასი კაცი მოვარდა ერთბაშად და, ჩვენც ვიკადრეთ გაქუსვლა, რადგან შევნიშნეთ, ზოგიერთს მშვილდ-ისარი ეჭირა ხელში. მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტეთ, რომ კიდევ ვსტუმრებოდით.

ჩვენი ქარავანი კიდევ სამ დღეს დარჩებოდა ქალაქში, რომელიც აქედან ოთხიოდე მილზე მდებარეობდა. შოტლანდიელ ვაჭარს ვუთხარი, რა ვნახე და როგორ მომეკიდა ცეცხლი იმის გაფიქრებაზე, რომ ადამიანი შეიძლება ასე გამოთაყვანდეს და გადაგვარდეს. ოთხ-ხუთ ამხანაგს რომ გავიჩინდე, კარგად შეიარაღებულები წავიდოდით და დავანგრევდით იმ საზიზღარ, გულისამრევ კერპს; ვაჩვენებდი ხალხს, რომ მას იმის ძალაც კი არ შესწევს, თავის თავს უშველოს რამე. ამრიგად, თვითონვე დაინახავენ, რომ სათაყვანებლად და მსხვერპლის მისატანად არ ღირებულა-მეთქი.

შოტლანდიელმა ვაჭარმა ჯერ დამცინა: „იქნებ მართლაც კარგი იყოს თქვენი გულისწუხილი, მაგრამ მაინც რა აზრი აქვს

ამას?“ „რა აზრიო! - შევძახე მე, - ღვთის დიდება უნდა დავიცვა, რომელიც ახლა შებღალულია ამ ჯოჯოხეთური თაყვანით“. „როგორღა უნდა დაიცვათ, - მითხრა მან, - როცა ხალხი ვერაფერს მიგიხვდებათ, ვერ გაიგებს, რას აკეთებთ, თუკი არ განუმარტეთ და არ აუხსენით. ხოლო ასეთი ლაპარაკი რომ დავუწყოთ, დამერწმუნეთ, მაშინვე ბრძოლას გაგიმართავენ და გაჯობებენ კიდევც, რადგან თავგანწირული ბრძოლა იციან, მით უმეტეს, როცა საქმე თავიანთ კერპს ეხება“. „ჩვენც ავდგეთ და ღამით გავაკეთოთ ეს, ხოლო მიზგზები და ჩვენი მოსაზრებანი ქალაქდზე დავუწეროთ და დავუტოვოთ, თავიანთივე ენაზე“. „დავწეროთ? - მითხრა მან, - ხუთი მაგათი ტომი რომ შემოიარო,

ერთს ვერ შეხვდები ისეთს, წერა-კითხვის ინჩინინჩი გაეგებოდეს, მაგრამ რაკი ასე ამოგიჭრიათ გულში, უნდა გააკეთოთ კიდევ, მაგრამ ამას მაინც დაუფიქრდით, რომ ეს ველური ხალხები მოსკოვის მეფის სამფლობელოში შედიან. დაუნგრევთ თუ არა თქვენს კერპს, ათში ცხრა შანსი არსებობს იმისა, რომ ათასობით ველური მისდგება ნერჩინსკის გუბერნატორს - პასუხს მოითხოვენ. ხოლო თუ გუბერნატორმა ვერ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა, მაშინ ათში ცხრა შანსია იმისა, რომ ისინი აჯანყდებიან. ამრიგად, ეს გახდება საბაბი თათართა ახალი ომისა“.

შოტლანდიელის სიტყვებმა, უნდა გამოგიტყდეთ, ახალი საფიქრალი გამიჩინა. მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მაინც ვერ ამოვირეცხე გულიდან, მთელი დღე მის სისრულეში მოყვანაზე ვფიქრობდი. საღამო ხანს ქალაქში შოტლანდიელ ვაჭარს შევხვდი შემთხვევით. თვითონვე გამომელაპარაკა, მითხრა, რომ მასაც არანაკლებ ეზიზღებოდა კერპთაყვანისმცემლობა. მომიყვანა ერთი თავისი შოტლანდიელი ამხანაგი, რომელსაც იგი კაპიტან რიჩარდსონს ეძახდა და გადავწყვიტეთ, მხოლოდ ჩვენ სამი წავსულიყავი „კერპის დასასჯელად“.

ის ღამე საწვავის მზადებაში გავატარეთ - ავურიეთ ერთმანეთში არაყი, დენთი და ადვილად ასაფეთქებელი რამეები, რისი შოვნაც მოვახერხეთ, თან წავიღეთ ერთი ქოთანის კუპრი და მეორე დღეს, კარგად რომ დაღამდა, გზას გავუდექით.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, იქ რომ მივედით. სოფლებს ეჭვიც არ ჰქონდათ იმისა, რომ მათ კერპს რაიმე საშიშროება მოელოდა. ღრუბლიანი ღამე იყო, მაგრამ მთვარის სინათლე მაინც ატანდა ღრუბლებში და გავარჩიეთ:

კერპი იმავე ადგილას იდგა. სოფელს ეძინა. მხოლოდ დიდი ქოხიდან თუ კარვიდან გამოდიოდა სინათლე, სადაც ჩვენ ერთხელ სამი ქურუმი ვნახეთ.

კარებთან რომ მივედით, ლაპარაკი შემოგვესმა, ხუთი-ექვსი კაცი იქნებოდა. აშკარა იყო, დანახავდნენ თუ არა ცეცხლს, მოვარდებოდნენ და კერპს განადგურებისაგან გადაარჩენდნენ. აღარ ვიცოდით, რა გვექნა.

- დავატყვევით ეს ხუთი, მერე ხელები შევუკრათ და თავიანთი კერპის განადგურება ვაყურებიანოთ, მოიფიქრა შოტლანდიელმა.

შემთხვევით თან აღმოგვანდა კანაფი და ბაწარი. ამრიგად, გადაწყვეტით იმ ხალხს დავსხმოდით თავს; თანაც, რაც შეიძლებოდა ჩუმად. მივედით კარებთან და დავაკაკუნეთ. ერთი ქურუმი მოადგა კარებს. მივეარდით, პირზე ხელი დავაფარეთ, ხელები ზურგს უკან შევუკარით და კერპისკენ წავაჩიქჩიქეთ. იქ პირშიაც რაღაც ჩავჩარეთ, რომ არ ეყვირა, ფეხებიც შევუბორკეთ და დავაგდეთ.

ორი ჩვენგანი ისევ კარებთან იდგა და ელოდებოდა, როდის გამოიხედავდა ამბის გასაგებად სხვა ქურუმი, მაგრამ არავინ ჩანდა. ისევ დავაკაკუნეთ წყნარად. მაშინვე ორი ქურუმი მოვარდა კარებთან, მათაც ვტაცეთ ხელი და ისევე მოვექცეთ, როგორც პირველს. ასე წავიყვანეთ დანარჩენებიც და ჩვენს საქმეს შევუდექით. უპირველეს ყოვლისა, კარგად გავთხუპნეთ კერპი კუპრით, ქონითა და გოგირდით; მერე პირი, ყურები და თვალები დენტით ამოვუტენეთ და ცეცხლი წავუკიდეთ. დავიცადეთ, სანამ კერპი ბოლომდე დაიწვებოდა და ჩვენი ბანაკისკენ გავწიეთ.

დილით უკვე სხვებივით გასამგზავრებლად ვემზადებოდით. ისეთ ფაცაფუცში ვიყავით, ეჭვიც არავის აუღია. ან ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენ ისეთი მომქანცველი მოგზაურობის წინ, ღამით ლოგინიდან წამოვდებოდით და სადმე წავიდოდით.

ამით არ დამთავრებულა ეს ისტორია. მეორე დღეს მთელი ბრბო მოადგა ქალაქის კარებს. რუსი გუბერნატორისაგან გაცოფებით მოითხოვდნენ თავიანთი კერპის - ჩამ ჩი-ტანგუს დამწველებისა და ქურუმების შეურაცხმყოფელების დასჯას. ნერჩინსკის მცხოვრებლები თავდაპირველად დიდმა შეშფოთებამ მოიცვა, რადგან, როგორც ამბობდნენ, სულ ცოტა ოცდაათი ათასი თეთრი იყო. რუსმა გუბერნატორმა თათრებს ხალხი მიუგზავნა დასამშვიდებლად და ბევრი თბილი სიტყვა შეუთვალა. არწმუნებდა, ამისი არაფერი ვიცი, ჩემი გარნიზონიდან ღამით არც არავინ გასულა, რომ რაიმე ვიფიქრო. თქვენ თუ შეგიძლიათ დაადოთ ხელი, ვინც ჩაიღინა ეს საქმე, სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად დავსჯიო.

იმათ ქედმაღლურად უპასუხეს, მთელი ეს მხარე თაყვანსა სცემს დიდ ჩამ ჩი-ტანგუს და რა სულიერი გაბედავდა იმის შეურაცხყოფას, გარდა ურჯულო ქრისტიანისაო; ამიტომაც გადაწყვეტილი გვაქვს ომი გამოვიცხადოთ, რადგან სწორედ თქვენა ხართ ქრისტიანებიო.

გუბერნატორი ერიდებოდა ურთიერთობის გამწვავებას და ომის გაჩაღებას, რადგან თავისი ხელმწიფისაგან ჰქონდა ნაბრძანები, რბი-

ლად და დაყვავებით მოქცეოდა იქაურ ხალხს. ამიტომ თავი შეიკავა და კვლავ ტკბილი სიტყვებით უპასუხა. მერე განუცხადა, დილაადრიან რუსეთისაკენ ერთი ქარავანი გაემგზავრა, იქნებ ვინმე იმათგანმა შეურაცხყო თქვენი კერპი. თუ გინდათ, ახლავე ვაფრენ ხალხს და გამოვკითხავო. ამ სიტყვებმა თათრები დააშოშმინა. გუბერნატორმა მართლაც დაგვადევნა ხალხი და შეგვატყობინა, რაშიც იყო საქმე; გვაფრთხილებდა, თუ ვინმე თქვენგანი არის ამის ჩამდენი, ახლავე თავს უშველოს და გაიქცესო. და ისედაც, თუნდაც ცამდე მართალიც იყოთ, რაც ძალი და ღონე გაქვთ, აჩქარდით, მეც რამდენსაც შევძლებ, ამით აქ დავაყენებო.

გუბერნატორის მხრივ, ეს იყო დიდი მეგობრული სიკეთე. ქარავნამდე რომ მოაღწია ამ ცნობამ, ყველა სახტად დარჩა. და არც ჩვენზე - ნამდვილ დამნაშავეებზე, აუღიათ ეჭვი. ქარავნის კაპიტანმა მაინც მიიღო საჭირო ზომები და ორი დღე-ღამე ისე გვატარა, რომ მხოლოდ სულის მოსათქმელად თუ შევდგებოდით მცირე ხნით, დიდხანს არსად არ გავჩერებულვარ.

ერთ დღესაც, უკან რომ მოვიხედეთ, სადღაც შორს მტვრის კორიანტელი შევნიშნეთ. ზოგიერთმა თანამგზავრმა იფიქრა, ნამდვილად მღვერები იქნებიანო. რამდენიმე დღეში კიდევ მოგვადგნენ და ქურდულად კი არ მოგვპარვიან, როგორც მოველოდით, არამედ სამი შიკრიკი მოგვიგზავნეს და მოგვთხოვეს, ის ხალხი გადაგვეცა, რომელთაც მათი ქურუმები შეურაცხყვეს და დაუწვეს ღმერი ჩამ ჩიტანგუ; ისინიც ისე უნდა დავწვათ ცეცხლშიო. თუ მოგვცემთ იმ ხალხს, - გვითვლიდნენ ისინი, - არაფერს დაგიშავებთ, მაშინვე უკან დავბრუნდებით, არა და განუკითხავად გაგჟლეტთო. შეშფოთებულმა ვაჭრებმა ერთმანეთს გაუყარეს თვალი თვალში, თუ ვინმე დამნაშავეა, სახეზე შეეტყობაო. მაგრამ არა, არავინ აღმოჩნდა დამნაშავე. ქარავნის წინამძღოლმა შეუთვალა, დარწმუნებული ვარ, ჩვენგან არავის ჩაუდენია ეს საქმე, ჩვენ მშვიდობიანი ვაჭრები ვართ და ჩვენს გზას ვადგავართო: არც თქვენთვის, არც არავისთვის არაფერი დაგვიშავებია; ისა სჯობია, ნამდვილი შეურაცხმყოფლები მონახოთ. გირჩევთ, ხელი არ გვახლოთ, თორემ ჩვენც თავს დავიცავთო.

თათრები ჩვენს პასუხს არ დაყაბულდნენ, გათენებისთანავე ამხედრდნენ და მდინარეს მოადგნენ. რა დაინახეს, რომ გამაგრებული ვიყავით, მდინარის გადმოლახვა ვეღარ გაბედეს. კარგა ხანს იდგნენ ასე და შემოგვეყურებდნენ, მერე საშინელი ყმუილი მორთეს და ისრის სეტყვა დაგვიშინეს. მაგრამ კარგად ვიყავით გამაგრებული - მოვეფარეთ ჩვენს ტვირთს, და როგორც მახსოვს, არავის არ მოხვედრია ისარი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ცოტათი მარჯვნივ გადაინაცვლეს და მოგვეჩვენა, რომ ზურგიდან თავდასხმას აპირებდნენ. მაშინ ერთმა მოხერხებულმა კაზაკმა, რომელიც მოსკოველ ვაჭარს ემსახურებოდა, წინამძღოლს მიმართა, მე მიმიშვით, მაგათ ახლავე შილკესკენ გავაბრუნებო. შილკე ქალაქი იყო, რომელიც იმ ადგილიდან, სულ ცოტა, ოთხი-ხუთი დღის სავალზე მდებარეობდა, ჩვენგან მხარმარჯვნივ, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, უკან.

მოიმარჯვა იმ კაზაკმა მშვილდ-ისარი, ცხენს მოახტა და უკან გაქუსლა, ნერჩინსკის მიმართულებით. დიდი გზა შემოიარა და მერე პირდაპირ თათრის ჯარისკენ გაქანდა, თითქოს საგანგებოდ გამოგზავნილი შიკრიკი ყოფილიყოს იმ ამბის გადასაცემად, რომ ხალხი, რომელთაც ჩამ ჩი-ტანგუ დაწვეს, ახლა ქრისტიანების ქარავანთან ერთად, შილკესკენ გაემგზავრა, რათა იქ ტუნგუზების ღმერთი შალი-ისარი დაწვანო.

ეს ყმაწვილი წმინდა თათრულით ლაპარაკობდა, ამიტომ თათრები მოტყუვდნენ; მისი მონაწილე სიმართლედ მიიღეს, მაშინვე გატრილდნენ და გაცოფებულებმა გაქუსლეს შილკეს მიმართულებით. სამი საათი არც კი გასულა, რომ ისინი თვალს მიეფარნენ და მერე მათი ასავალ-დასავალი აღარ გაგვიგია; ვერც ის შევითყვეთ - ჩავიდნენ თუ არა შილკეში. ამრიგად, მშვიდობიანად მივაღწიეთ იარავენას, სადაც რუსის ჯარი იდგა. იქ ხუთი დღე დავრჩით, რადგან ბოლო დღის ჩქარი სიარულისა და ღამით უძილობის გამო არაქათგამოლეულები ვიყავით.

ამ ქალაქიდან გასულებს საშინელი უდაბნო უნდა გადაგველახა, რასაც მთელი ოცდასამი დღე მოვუნდით და მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში შევედით. აქ უკვე ხშირად ვხვდებოდით მოსკოვის ხელმწიფის მიერ დაარსებულ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს, რომლებშიაც გამწესებული იყო გარნიზონები და მუდმივი ჯარისკაცები. ისინი მოწოდებულნი იყვნენ ქარავნების დასაცავად თათრების თავდასხმებისაგან. თუ ასე არა, იქაური თათრები ძალიან საშიში იქნებოდნენ მოგზაურებისათვის.

როგორც იქნა, მივადექით რუსთა ქალაქს ენისეის. ეს ქალაქი გაშენებულია მდინარე ენისეიზე, რომელიც, როგორც იქაურები ამბობენ, აზიასა და ევროპას ჰყოფს. აქედან მოკიდებული დიდ მდინარე ობამდე, ჩვენ გავიარეთ დაუსახლებელი და დაუშუშავებელი ადგილები. თუმცა მშვენიერი, ნაყოფიერი და საცხოვრებლად ხელსაყრელი მიწებია.

ციმბირის დედაქალაქ ტობოლსკამდე ისე ვიარეთ, რომ ღირსშესანიშნავი არაფერი გადაგვხდომია თავს. ამ ქალაქში კარგა ხანს შევჩერდით შემდეგი მიზეზების გამო.

უკვე მეშვიდე თვე სრულდებოდა, რაც გზას ვადექით და ზამთარი წამოგვეწია. მე და ჩემმა ამხანაგმა ბჭობა გავმართეთ, როგორ მოექცეულიყავით, რადგან ჩვენი მდგომარეობა განსხვავდებოდა სხვებისაგან - ჩვენ მივემგზავრებოდით არა მოსკოვში, არამედ ინგლისში. გვითხრეს, ზამთრობით ირმის მარხილებით შეიძლება გამგზავრებაო. უფრო მოხერხებულიც ყოფილა მარხილებით მგზავრობა, დღისითაც და ღამითაც. რუსები ზამთარში მოგზაურობას არჩევენ კიდევცო, რადგან მთები, ველები, მდინარეები, ტბები - ყველაფერი ქვასავით მაგარი, კრიალა ყინულით არის დაფარული.

მაგრამ ვარჩიე, ქარავანი თავის გზაზე გამეშვა, მე კი დავრჩენილიყავი, ზამთრის სურსათი მომემარაგებინა და იქვე გამომეზამთრებინა, ციმბირის ქალაქ ტობოლსკში, რომელიც დაახლოებით განედის სამოც გრადუსზე მდებარეობს. იქ სამი რამით მაინც ვიქნებოდი უზრუნველყოფილი ცივ ზამთარში: თავსაყრელი საჭმელ-სასმელით, თბილი ბინითა და მშვენიერი საზოგადოებით.

იქაური ჰავა სასვებით განსხვავდებოდა ჩემი საყვარელი კუნძულის კლიმატისაგან, სადაც არასოდეს არ მიგრძენია სიცივე, გარდა იმ დღეებისა, როცა ციებ-ცხელებამ ჩამაგდო ლოგინად. პირიქით, ტანსაცმლის ტარება მიჭირდა და ერთხელაც არ გამიჩაღებია ცეცხლი გასათბობად, მარტო კერძის მოსახარშად ვანთებდი ხოლმე. აქ კი სამი ხელი თბილი ტანსაცმელი ვიყიდე. მქონდა აგრეთვე თბილი, გრძელი ქურქი, რომელიც მაჯებზედაც კი ღილებით მქონდა მჭიდროდ შეკრული.

რაც შეეხება სახლის გათბობას, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მას შემდეგ აღარ მომწონს ინგლისური ღია ბუხარი. ჩვენში მანამ ანთია ბუხარი, არა უშავს, მაგრამ როგორც კი ჩაქრება ცეცხლი, მორჩა - რაღა შინ და რაღა გარეთ! დავიქირავე საუკეთესო სახლი ქალაქში და ღუმელი შუა ოთახში მოვაწყობინე. ღუმელში ცეცხლი არ ჩანდა, როგორც ჩვეულებრივ აბანოებშია ხოლმე, სითბოს კარგად იჭერდა და ყველა ოთახს თანაბრად ათბობდა. როგორი სიცივეც არ უნდა ყოფილიყო გარეთ, სახლში მუდამ თბილოდა.

ყველაზე შესანიშნავი კი ის იყო, რომ იქ, იმ სიშორეს, ყინულოვანი ოკეანის მახლობლად, ახალი მიწიდან სულ რამდენიმე გრადუსით

სამხრეთით, მე მოვხვდი მშვენიერ ხალხში: იმ მხარეში სახელმწიფო დამნაშავეებს ასახლებდნენ, ამიტომაც ქალაქი სავსე იყო თავადებით, აზნაურებით, სამხედრო პირებითა და, საერთოდ, დიდებულებით. იქ შევხვდი ცნობილ თავადს - გოლიცინს, ძველ გენერალ რობოსტისკის და სხვა სახელგანთქმულ პირებს, მათ შორის ქალებსაც. შოტლანდიელი ვაჭრის წყალობით, რომელსაც აქ დავმორადი, მე გავიცანი რამდენიმე კეთილშობილი პირი და ზამთრის გრძელ ღამეებს სიამოვნებით ვატარებდი მათთან ერთად.

ერთხელ, ღამით, ვსაუბრობდი გადასახლებულ თავადთან. ეს თავადი ადრე მეფის მინისტრი ყოფილიყო. იგი მიამბობდა რუსეთის იმპერატორის სიდიადეზე, დიდებულებაზე, განუსაზღვრელ უფლებამოსილებასა და სიძლიერებზე. სიტყვა შევაწყვეტინე და ვუთხარი, მე რუსეთის იმპერატორზე ძლევამოსილი და დიდებული პრინცი ვიყავი, თუმცა არც მასავით თვალუწვდენელი სამფლობელოები მქონია და არც იმდენი ქვეშევრდომი მყოლია-მეთქი. რუსმა დიდებულმა გაკვირვებით დამაშტერა თვალეები, ნეტა რას ამბობსო. „ჯერ მომისმინეთ და მერე აღარაფერი გაგიკვირდებათ, - ვუპასუხე მე, - ჯერ ერთი, რომ განუსაზღვრელი უფლებები მქონდა ჩემს ქვეშევრდომებზე: მათი სიცოცხლეცა და ავლა-დიდებაც ჩემს ხელთ იყო. მაგრამ ჩემი განუსაზღვრელი უფლებების მიუხედავად, არც ერთ ქვეშევრდომს უკმაყოფილება არ გამოუხატავს არც სახელმწიფო მმართველობისა და არც პირადად ჩემ მიმართ“.

თავადმა თავი გააქნია და აღიარა, მართლაც რომ გიჟობნიათ რუსეთის ხელმწიფისთვისო. „მთელი მიწები ჩემს სამეფოში, - განვაგრძე მე, - ჩემს საკუთრებას შეადგენდა და ქვეშევრდომები სურვილის მიხედვით მაძლევდნენ ღალას. ისინი, ყველანი უკლებლივ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ ჩემთვის, და არც ერთი ტირანი (ასე ვუწოდებდი ჩემს თავს) ისე არ სარგებლობდა თავის ქვეშევრდომთა საერთო სიყვარულით, როგორც მე; თანაც არც ერთი ტირანის მიმართ არა ჰქონიათ ისეთი შიში, როგორიც ჩემ მიმართ ჰქონდათ ჩემს ქვეშევრდომებს“.

რამდენიმე ხანს ასე გამოცანებით შევიქცეი თავი, მერე კი ყველაფერი ავუხსენი - დაწვრილებით ვუამბე კუნძულზე ცხოვრების ისტორია: როგორ მოვეწყვე მე თვითონ და ჩემს ქვეშევრდომ ხალხსაც როგორ გავუმართე ხელი. ერთი სიტყვით, ისევე ვუამბე ყველაფერი, როგორც შემდეგ დავწერე. ჩემი თანამოსაუბრეები ძალიან გაიტაცა ამ ამბავმა, განსაკუთრებით კი თავადი, რომელმაც ამოიოხრა და მითხრა, ჭეშმარიტი დიდებულება ისაა, თვითონვე როგორ დაიჭერთ თავსო.

თქვენს მდგომარეობას, - მითხრა მან, - არაფრით არ გავცვლიდი რუსეთის სახელმწიფოს მდგომარეობაზე, რადგან ასეთი განმარტოებით უფრო ბედნიერადა ვგრძნობ თავს, ვიდრე მაშინ, როცა მეფის კარზე ვტრიალებდი და მეფისავე მფარველობის ქვეშ ვიყავი. უმაღლესი ადამიანური სიბრძნე ის არის, გარემოებას შეეგუო და როგორი ქარიშხალიც არ უნდა მძვინვარებდეს გარეთ, შენ მაინც შინაგანი მყუდროება მოიპოვო. პირველად რომ

ჩამოვედი აქ, - თქვა მან, - თემებს ვიგლეჯდი, ტანსაცმელი შემოვიფხრიჩე, სწორედ ისე, როგორც ჩემზე ადრე ჩამოსულები სჩადიოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მივიხედ-მოვიხედე, საკუთარ არსებაშიაც ჩავიხედე და დავრწმუნდი, რომ თუკი ადამიანი ზემოდან შეხედავს ქვეყანას, ნახავს, რა მცირე ჭეშმარიტ ბედნიერებას შეიცავს იგი; მაგრამ მას შეუძლია თვითონვე შეიქმნას ბედნიერება, თავისივე თავში ჰპოვოს დაკმაყოფილება, ქვეყნიდან მიღებული სულ მცირე დახმარებითაც კი შეისრულოს ყოველგვარი მიზანი და გულისწადილიო. ჰაერი, რომლითაც უნდა ვისუნთქოთ, საკვები, რომლითაც არსებობა უნდა შევინარჩუნოთ, ტანსაცმელი, რამაც სიცოცხისგან უნდა დაგვიფაროს, და ფიზიკური ვარჯიშობის საშუალება, რითაც ჯანმრთელობა უნდა შევინარჩუნოთ, - აი ყველაფერი ის, რისი მოცემაც, მისი აზრით, ქვეყანას შეუძლია. მართალია, დიდებულება, ძალაუფლება, სიმდიდრე და კმაყოფილება, რაც ზოგიერთის ხვედრია ქვეყნად ბევრ ისეთ სიკეთეს შეიცავს, რისთვისაც გული მიგვიჩქევს, მაგრამ ისინი, ამავე დროს, ადამიანში აღძრავენ ყველაზე მდაბალ გრძნობებს - პატივმოყვარეობას, თავგასულ სიამაყეს, სიხარბესა და ამაოებას. ეს თვისებები თავისთავად ხომ დიდი ბოროტებაა და ამასთან სხვა ყოველგვარი ბოროტების წყაროსაც წარმოადგენენ. ამ გრძნობებს არავითარი საერთო არ აქვს სათნოებასთან, რაც სიბრძნის განუხრელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ახლა კი, როცა მოვაკლდი მოჩვენებით ნეტარებას, რომლითაც სავსე იყო ჩემი ცხოვრება, როცა შესაძლებლობა მომეცა დავკვირვებოდი ამ მანკიერი გრძნობების ბნელ მხარეებს, დავრწმუნდი, რომ მხოლოდ და მხოლოდ სათნოება შეიქმს ჭეშმარიტ სიბრძნეს, სიმდიდრესა და სიდიადეს და უზრუნველყოფს ადამიანის მომავალი ცხოვრების უმაღლეს ნეტარებას. ამიტომაც, აქ გადმოსახლებული ხალხი გაცილებით უფრო დიდ ბედნიერებას ვეწიეთ, ვიდრე ჩვენი მტრები, რომლებიც იქ დარჩნენ და მთელ სიმდიდრესა და ძალაუფლებას დაეპატრონნენო.

რვა თვეს დავრჩი ამ ქალაქში. უნდა ითქვას, რომ საშინელი, პირქუში ზამთარი იდგა. მკაცრი ყინვების გამო გარეთ თავს ვერ გამო-

ყოფდი.

დადგა მარტი. ამინდი შედარებით ასატანი გახდა. ჩემმა თანამგზავრებმა მზადება დაიწყეს მარხილებით გასამგზავრებლად. მე ხომ არხანგელსკში მივდიოდი და არა მოსკოვში, ამიტომ არ ავჩქარებულვარ, მაისში დავიწყე

გასამგზავრებლად მზადება, და სწორედ ამ დროს დავფიქრდი მოსკოვის მეფის მიერ ციმბირში გადმოსახლებული ხალხის ბედზე. ისინი ხომ თავისუფლად იყვნენ იქ: საითაც მოისურვებდნენ, იქით წავიდოდნენ. დავინტერესდი, რა უშლიდა მათ ხელს გაქცევაში. მაგრამ ჩემი გაკვირვება მაშინვე გაქრა, როგორც კი ვკითხე ეს ჩემს ნაცნობს, რომელზედაც ზემოთ მქონდა საუბარი. ასე მიპასუხა: „არ უნდა დაგავიწყდეთ, ბატონო, სად ვიმყოფებით და რა მდგომარეობაში ვართ, განსაკურებით ჩვენ, გადმოსახლებული ხალხი. ირგვლივ ისეთი ზღუდეები გვაკრავს, რომ რკინის კარები და ურდულები რა მოსატანია მათთან. ჩრდილოეთით გაუვალი ზღვა გვარტყია, რომელშიაც თავის დღეში არ გაუვლია გემს და არც ნავს გაუცურავს. დანარჩენი სამი მხრითაც ათას-ათას მიღზე მეტი გზა უნდა გავიაროთ მეფისავე სამფლობელოებში. ეს ადგილებიც სავსებით გაუვალია და ან სიცივით დავიხოცებით, ან ისევ მეფის კაცები დაგვიჭერენ და უარეს დღეში ჩაგვყრიანო.

დავემშვიდობეთ ამ ხალხს და გავემგზავრეთ.

დიდი წვალების შემდეგ ვეულისიმაში მივედით, რომელიც დვინას შენაკად მდინარე ვიჩეგდაბეა გაშენებული; ამრიგად, საბედნიეროდ, მიუახლოვდით ხმელეთით მგზავრობის დასასრულს, რადგან მდინარე ვიჩეგდა სანაოსნოა და იქიდან შვიდი დღის განმავლობაში არხანგელსკში ჩავალწევდით. სამ ივლისს ლავრენსკოიში ჩავედით, დავიქირავეთ ორი დიდი სატვირთო ნავი და ერთი კარჭაპი ჩვენთვის და, ქალაქიდან შვიდ ივლისს გასულები, თვრამეტ რიცხვში არხანგელსკს მივადექით. ამრიგად, გზაში გავატარე ერთი წელი, ხუთი თვე და სამი დღე (ამ სათვალავში შედის ტობოლსკში გატარებული მ თვეც).

არხანგელსკში მთელი ექვსი კვირა ველოდით გემებს. უფრო მეტი ცდაც დავგჭირდებოდა, რომ ინგლისურ გემებზე ერთი თვით ადრე ჰამბურგული გემი არ გამოჩენილიყო. გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი საქონლის გასასაღებლად ჰამბურგის ბაზარიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ლონდონისას და ამიტომ ეს გემი დავიქირავეთ.

არხანგელსკიდან გავედით იმავე წლის ოც აგვისტოს და არცთუ ისე

ცუდი მგზავრობის შემდეგ, თვრამეტ სექტემბერს, ელბაში შევედით. აქ მე და ჩემმა ამხანაგმა დიდი მოგებით გავყიდეთ ჩინური საქონელი და ციმბირული ბეწვეული. მოგება რომ გავინაწილეთ, მე მერგო 3.475 გირვანქა, 17 შილინგი და 3 პენი. ამაში შედის ბენგალიაში ნაყიდი აღმასიც, რომლის ღირებულება ექვსას გირვანქას შეადგენს.

ჰამბურგში დავყავი ოთხი თვე, შემდეგ კი იქიდან ხმელეთით გავემგზავრე ჰააგაში, იქ გემში ჩავჯექი და 1705 წლის 10 იანვარს, ათი წლისა და ცხრა თვის სამშობლოდან გადახვეწის შემდეგ, ლონდონს მივადექი.

ახლა, სამოცდათორმეტი წლის უსაზღვროდ მრავალფეროვანი ცხოვრების შემდეგ, რომლის განმავლობაში კარგად შევისწავლე მყუდროების ფასი, გადავწყვიტე, უფრო გრძელი გზისთვის მოვემზადო და დარჩენილი დღეები მშვიდად გავატარო.

სქოლიო

[1] მანუელი - მცენარე, რომლის ტოტებს იყენებენ გოდრებისა და კალათების დასაწნავად.

[2] ბუშელი - საწყალო ინგლისსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. უდრის 36.4 ლიტრს.

[3] კარჭაპი - მოზრდილი, განიერი ნავი ტვირთის გადასაზიდად.

[4] ბოტი - მამალი დაუკოდავი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი.

[5] გალონი - ინგლისსა და ზოგ ქვეყანაში საწყაო ერთეული, უდრის 3.4-4.5 ლიტრს.